UDC(უაკ) 050(479.22)ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2021 / 3 / (41)

თბილისი
2021

მიდგომილი ღვთისმშობელი

ხატმწერი **ხატია ლარიაშვილი**

ხატმწერები: გიორგი ლარიაშვილი, ხატია ლარიაშვილი, ანრიდელ სარჯვეულაძე

გელა ლარიაშვილი, მამა ამირან ამირანაშვილი, თამარ გვეტაძესი, გულნაზ ხარაიშვილი, უშანგი მოსიაშვილი, ანზორ ჯაფარიძე, მაყვალა ველაშვილი, ბაურ ბურბაია.

მამა გაბრიელი

სიყვარული, თუ, არ იცით,
არაფერი გამოვა,
წმინდა მამა გაბრიელმა,
ასე ტკბილად დაგვმოძღვრა.
ერთი კაციც, თუ გძულს თურმე,
ძვირობ, მასზედ აუგობ,
ეჰ, მამაო, შენს დანაპირს,
ვერ ვასრულებ, რა ვუყო.
სიყვარულის მქადაგებელს,
შეგიყვარეთ, გაგიგეთ,
გთხოვ მამაო, მოგვიტევე,
ქართველები დაგვინდე.

მოკრძალებით ვბედავ, წმინდავ,
ოჰ, მიყვარხარ იცოდე,
შენს სიწმინდეს, მუხლის მოყრით,
გულმხურვალედ ვილოცებთ.
იქნებ ბევრჯერ გადაგვიდგავს,
შენს კვალდაკვალ ნაბიჯი,
შენს გულიდან, წმინდა სისხლის
სურნელება, კვლავაც სდის.
შენი ცრემლი დაეწვეთა,
აქვე ახლოს, ჩუმი ხმით,
ქართველებო სიყვარული,
გადაგვარჩენს...შენ, ხომ თქვი.

ნესტენ გეგენიძე



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო

აკროსტიხი

უშენობას ვერ აიტანს ერი,
ნექტრის წამალს გვიწილადებ ლოცვით
და ეს გვინდა ისევ ბევრზე ბევრი,
ალაგდება გულში გლოვის ბორცვი.

იისფერი გაზაფხულიც მოვა,
ცა ბობოქრობს, ქარიშხალით მოთქვამს,
ოცნებებით მე კი ფიქრის თოვას
ცისკრის დილის იმედებით მოვრთავ.
ხვალის დღეთა ვარდ-ბაღნარის ეშხით,
ლოდინის ხეს ეჟვანს ჩამოვწყვიტავ,
ომნამსხვრევი სამაჩაბლოს ვერხვს კი
უწმინდესო, რწმენით გამოვკვირტავ.
წმინდანი ხარ, საგანძური ერის,
მამულის და საქართველოს მწყემსი,
იქნებ ლოცვით აილაგმოს მტერი,
ნატყვიარი მიწა წყდება წელში.
დედამიწა ჩვენთან შენით ბრუნავს,
ენატკბილო, ჩვენო უწმინდესო,
საქართველოს განძ-საძვალეს მუდამ
ო, კვლავ მინდა ისევ შენ უმწყემსო.

გულნაზ ხარაიშვილი

სიკეთის წყარო
(მამა ამირან ამირანაშვილს)

მამა ამირან, სიკეთის და იმედის წყაროვ,
დაბადებულხარ გაზაფხულზე 24 აპრილს.
მოხდა წყალობა, ზეიმია, თბილა და დარობს,
ზღვის ტალღას მისდევ, მწამს გააღწევ
სიკეთის ნაპირს.
მზის პენი დაკრავს იმ განვლილ წლებს,
დროთა გაცვეთილს,
აზეიმდა და აფაქიზდა, ციურ ნათებად,
თქვენ შეისწავლით შეუცდომლად,
უფლის გაკვეთილს,
ამზიანდები, აბრწყინდები, ათინათებათ...
მყავდა მეუფე მირიანი სულის მკურნალად,
გამოჩნდი მაშინ, ის როდესაც გარდამეცვალა,
ლამის გაქციო „ათინათის“ ლამაზ ჟურნალად,
როს შემოფრინდი, გაზაფხულის ლამაზ მერცხალად.
მამა ამირან, დას მიწოდებ, გმადლობ ამისთვის,
ბედნიერი ვარ, ამ სიმდიდრეს გაუფრთხილდები...
ქვის ნატეხი ვარ, გამიძლია დროთა-ჟამისთვის,
მიხმე მამაო, თუ ოდესმე მეც დაგჭირდები!

გულნაზ ხარაიშვილი



* * *

ნაცრისფერებში, სევდიანი იყო ზათხული,
მუხის ფოთლები ძირს ცვიოდა, კითხვის ნიშნებით...
ამდენი სევდა, ტკივილები, თვალით ნახული,
ნუ მეკითხებით, როგორ ხარო, როგორ ვიქნები???

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

ამირან ამირანაშვილი



სამყაროს შემოქმედს!

უმორჩილესად პატიებას გთხოვ, დიდო მაესტრო,
შენს ნაწარმოებს ვერ ვუწოდებ შემოქმედებას.
უზომოდ მინდა შენს სიმფონიას დიდ ხანს დავესწრო,
„მარადისობას“ უწოდებდი დიად ქმედებას.
ამბიონიდან სადიროჟორო გიდგას კათედრა,
კლავიატურას ანგელოზები გიშლიან ფრთებით.
„მარადიული უკვდავების“ ჟღერს სიმფონია,
მთელი სამყარო ამ მელოდიით ვივსებით ვტკბებით.
უვერტიურა ჰარმონილულად ერწყმის „შესაქმეს“,
შემდეგ გაისმის წყლები როგორ ტოვებენ ხმელეთს.
მაჟორ ტონებში მზე დაადგრა დღის მანათობლად,
მინორ აკორდზე მთვარე კრძალულად ანათებს ბნელეთს.
ტალღის ტყლაშუნში წყალი იკავებს მეშვიდედ ნაწილს,
გამშრალ ნიადაგს მიაკუთვნებენ მხოლოდ მესამედს.
ფლორით, ფაუნით შემოიჭრება ცოცხალი ხმები,
ფორტისიმოთი ელოდებიან მბრძანებელს, მეფეს!
სრული სიჩუმე, მაესტრომ პულტზე გადასდო კვერთხი,
მიწა მოზილა, მეფე უნდა შეგვითხზას ხელით.
ისევ აკორდი და აგუგუნდა მთელი სამყარო,
ყველა არსებამ განიხარა ადამის ცქერით...
დაცხრა ორკესტრი, შემოიპარა წყნარი მინორი.
მუქმა ღრუბლებმა გადუარეს ადამის სხივებს.
მიხვდა მაესტრო და ვიოლინოს აღმოხდა კვნესა,
რომანტიული ფლეიტები სულს მთლად ამძიმებს.
ბულბულთა გუნდი თავს მოეხვია მოწყენილ ადამს,
აქ მელოდია აჭიკჭიკდა, დაისადგურა ორკესტრში სევდამ.
მაესტრო ითხოვს სრულ პიანოს, ოპერაციას.
სევდის მოტივი მიმოფანტა მხიარულ ევამ.
დადგა მუსიკის აპოთეოზი, ზემხიარული.
ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოზები უკრავენ ტაშებს.
ცაში ფრინველთა, მიწაზე კი ცხოველთ ზეიმი,
მხოლოდ ბოროტნი ელოდებოდნენ ცოდვას და ჩამშვებს.
ნება მიეცათ დასარტყმელებს, ტრუბებს ტრამბონებს.
კაკაფონიამ გადაუარა ორკესტრს მთლიანად.
და დაისაჯა სიყვარულისთვის ადამ და ევა.
ჭექა-ქუხილმა ხუთ ფორტეზე დაიგრიალა.
მიწამ მიიღო როგორც მშობელმა ცოდვილი შვილი,
შრომა და ოფლი თანხვედრი გახდა ადამისათვის.
აქ ჰარმონია თანაუგრძნობს მხოლოდ სიყვარულს,
მას შემდეგ ევა მწარედ ტკივილებს ითმენს შვილისთვის.
დაბადების დღეს ჩვენთან – თოფის სროლით ხვდებიან.
ევროპაში კი, ერთხმად მღერიან ტაშით „happy Birthday“-ს.
ჩვენს ქორწილებში ჟღერს მრავალჟამიერ დღისით ღამემდე,
ევროპაში კი მენდელსონის ქორწილის მარში.
მარადისობის სიმფონია გრძელდება მშვიდი,
მაყურებელი იბადება, ნელა იზრდება.
როცა დაკარგავს სმენის უნარს, ტოვებს და მიდის.
დარბაზი ისევ ახალ-ახალი ხალხით ივსება.
ყოფიერების მელოდიაა მთელი სიცოცხლე,
ადამის ძენი ვართ მსმენელი თავისუფალი.
აწ და მარადის იგუგუნებს „სიმფონიები“,
იდირიჟორებს კვერთხით ხელში ღმერთი უფალი!

ჩემი ძმები

მომენატრა ჩემი ძმები, უშანგი და ანზორი.
არარსებობს ხელსაწყო, ჩვენი ძმობის გამზომი.
სირთულეს რა გამოლევს, ბრძოლა გვიწევს მრავალი.
ყველა ბრძოლებს მოვიგებთ, სიმხნევეა მთავარი.
სამი გმირი მოვდივართ, წინ მოგვიძღვის სამება.
ვნანობთ ძმობის ხიდები ადრე უნდა გაგვება.
ძმობის წიგნი დაიდო, მას არა აქვს ბადალი,
გონაშვილმა შეკონა სამი კაცის ნადავლი.
წიგნს საფუძვლად დაედო მეგობრობა ქართული,
დღესაც რომ არ ვისვენებთ, შრომაში ვართ ჩართული.
უშო უვლის ქარხანას, ანზორი ვაზს ახარებს,
ამირანი ლოცვებით საყვარელ ძმებს ახარებს.
რთველის შემდეგ მოგვიწევს წიგნის პრეზენტაცია,
მეგობრები გვეწვევა ქალია, თუ კაცია.
ტაძარი და დარბაზი კასპში გასახსნელია,
უგვირგვინო ცოლ-ქმრობა უშანგისთვის ძნელია.
ჯვარი უნდა დავწეროთ ამაღლების ტაძარში,
ქეიფი არ აგვცდება სიცხეში თუ ავდარში.
ასე უნდა გავწიოთ მეგობრობის ჭაპანი,
რეალობად ვაქციოთ ამ ცხოვრების ზღაპარი.
ძმებო აქაც და იქაც, ერთად შევთხოვოთ უფალს.
ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ჯილაგს, მოგვასწროს თავისუფალს.

ბათუმი 16.08.2019

დროებითი რომანტიკა

ჩემს აივანზე დილის ნიავი მესალმუნება,
მორცხვი ალერსით ცდილობს როგორმე მასიამოვნოს.
ზღვიდან აკრიფა იოდიანი სუფთა ჟანგბადი,
შემომაგრილა და ეს ჰაერი ძალიან მომწონს.
როგორ სიმშვიდის მომგვრელია აქ ყოველივე,
ძალიან მინდა ეს მყუდროება არ დავარღვიო.
ეხლა ჩვენი ზღვა კამკამაა წყნარი და მშვიდი,
ნეტავ ქვეყანაც დავამშვიდოთ, არ ავამღვიროთ.
მაგრამ ვინ გაცდის, დროებითია ეს რომანტიკა.
მალე მეჩეთში აგუგუნდება არაბთა ლოცვა,
„ღამენათევი მასაჟისტები“ გახსნიან ბორდელს.
თურქებს სავაჭრო ცენტრებში ხომ არა აქვთ მოცლა.
დაემსგავსება ჩემი ბათუმი სტამბულის ბაზარს,
პირახვეული არაბები გუნდ-გუნდად დადის.
მკაცრად იცავენ თავიანთ წესებს, თავიანთ ადათს.
ზღვაზე არიან მაგრამ ზღვაში არავინ ჩადის.
ქობულეთი ხომ „მიაგირავეს“ ჩვენ მოძმე სომხებს,
მათი ბიზნესი განთქმულია მთელ მსოფლიოში.
ქობულეთლებმა მიაშურეს მეზობელ სოფლებს,
„ყაიმაღები“ გადაცვალეს პარკ ლობიოში.
ისევ მიბერავს დამორცხვებული, შერყვნილი სიო,
უკვე თურქული ყავის სურნელით გაჯერებული.
ყველა ფუსფუსებს, ჩვენ კი შევყურებთ ამ ორომტრიალს,
მხოლოდ ქართველი, ქართველები ვართ გაშტერებული.

დილა ზაფხულში

ვარვარა მზე შემოსკუპდა
ნაძვის წვერზე,
ჩარჩოობა გაუწია ფანჯარამ.
საოცრება იყო დილის პეიზაჟი,
სიურპრიზი მომიმზადა აჭარამ.

სიხარულის განცდა მქონდა მცირედი,
შავი ნისლი შემოიჭრა სურათში.
წაიშალა ჩახჩახა მზე ოქროსფერი,
მეც ჩავეშვი წარსულ ფიქრთა ბურანში.

სად ხართ ძმებო, რად დატოვეთ აჭარა,
თქვენ ბათუმი ჩემზე მეტად გიყვარდათ.
მოგვეშველეთ, დაგვიფაროს უფალმა,
მტერი ლამის სახლში შემოგვივარდა.

16.08.2019 წ.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

ვაჟა ებრისელი
კოლხური ფსალმუნები
100-ტომეული





ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აძვს გამოცემული საზღვარგარეთის ძვეძნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იძმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იძო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – გილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“



ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინათ ვწერდი: „რუსთველს, აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებ ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „ბაჯაღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული რომ წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „გონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი... დაბოლოს: „აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

P. S.

პოეტმა ვაჟა ეგრისელმა პოეზიის ასი ტომი საჩუქრად გადმოსცა აკადემიას.

გულნაზ ხარაიშვილი

პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

მაყვალა გონაშვილი

ფერისცვალება

ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი,
მე არც კი მახსოვს, როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი დამიხშეს,
ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
მიწის ხორკლიან მკერდზე გამიშვეს,
და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს,
ხან მიწყრებოდა სულ უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურმუხტს და ლალებს,
ხან ეჭვიანად მითვალთვალებდა,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის ნოხებს,
მე ვიცი, თუკი ერთხელ დავხარბდი,
ანდა დავეცი, გულს მოიოხებს
ზეცა ხარხარით და მუქლურჯ თაღებს
შეზარავს ჩემი ქალთან მსგავსება;
მუხლი სუსტი და თვალები ხარბი
და წამიერი ვნებით ავსება.
ნუთუ არ იცის ცამ, ყოვლისმცოდნემ,
ფერისცვალება რისი ბრალია,
რომ ფრთებდაჭრილი და თვალხილული,
თვით ანგელოზიც სუსტი ქალია,
ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

წარსულისკენ გადახრილი მზერა

როგორც სასჯელს, ისე ვიხდი ზამთარს,
როგორც ჯვალოს, ისე ვირგებ პალტოს,
არ მეგონა, თუ ამ ზამთრის მერეც
შეგხვდებოდი დაღლილსა და მარტოს.
მარტივია ახლა ყველა კითხვა:
ვინ და რისთვის, საიდან და რატომ?
მარტივია მარტის ყველა ფანდი
და როგორც სურს, მარტი ისე მარტობს.
მე კი უკვე სხვა მდინარეს მივდევ,
სხვისი ვნებით ვმარტვილობ და ვკრთები,
როგორ უნდა შევეგებო ზეკარს
დრო-ჟამისგან შელახული ფრთებით?
რაც ვიფრინე, განა ცოტა იყო?
რაც ვიდარდე, განა არა კმარა?
ამოვგმანე დავიწყების ლაფით
მოგონების ყველა ჭუჭრუტანა.
დავჭკვიანდი, აღარ ვებრძვი ქარებს,
რა ხანია, სიზმრის აღარ მჯერა,
ვერ გავიგე, მაინც რად მგვრის სევდას
წარსულისკენ გადახრილი მზერა?

მზის ცრემლი

შენ არ ხარ ქალი,
შენა ხარ ლექსი,
შენ არ ხარ სხივი,
შენ მზის ცრემლი ხარ,
მოგიქსოვია სიზმრის პერანგი,
მერე სიზმარსაც გამოქცევიხარ...
და გაგიშლია თეთრი ლოგინი
და თუმც ეკრძალვი სწორფერს და
სატრფოს,
ჯერ დაუკრეფი შენი მტევნები
აგვისტოს ხვატს და მზის ტორებს
ნატრობს.
რა შორს წასულა შენი მებაღე,
დაუკოცნავი გრჩება თვალები,
გადიდგულდები, თუ დაგივიწყა,
დაწყევლი, თუკი შეებრალები...
და შეიკვეცავ სევდისფერ დალალს,
რამეთუ, ქარებს ამაოდ სდიე,
შემოვა შენი მაღალი ღმერთი
და სასთუმალთან დაგიწყობს იებს.

ღვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში
ბაგით მღიმარით? თვალებით მშვიდით?
თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი,
ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი,
თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვეწამე,
როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი
და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს
ჰქონდათ პროფილი დიდი ჰეროდის.
ვნება – ზმანება, შვილი – სიშორე,
სისხლის ცრემლებით გამოტირება.
რწმენა – სიმაღლე, გოლგოთა – ჯვარცმა...
მამაუფალმა ასე ინება.
ჰო, აღასრულა, რაც გარდუწყვიტეს,
რაც დაუწერა განგებამ ბედად,
თქვენთვის ის ღმერთის ძეა მაღალი,
მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.
და მეც ვიტვირთე თქვენი ცოდვები,
მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს.
ზეცის ბილიკზე დამზრალ შროშანებს
ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე.
სხივი, რომელიც გინათებთ გზაწვრილს,
ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია,
ხეებს რომ ასე აკვნესებს ღამით,
ქარი კი არა, დედის გულია.
თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,
დღეები სევდით თუ დაიბინდა,
გფარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი,
მამაუფალი და სულიწმინდა.

ეული

ქალის თმას ჰქონდა ქალაქის, მტვერის
და სიგარეტის სუნი,
იპარებოდა ლამაზ ბაგიდან
აკვამლებული სული.
იგვიანებდა ისევ რაინდი,
ფიქრით დიდხანს რომ ხატა,
იზმორებოდა ღუმელთან ვნებით
ციცა — ხატულა კატა.
და გრძნობდა გული, რომ დარჩა კენტად
ამ უნაპირო ბრბოში,
ვით შერჩენილი სასახლის კიბეს
კონკიას ცალი ქოში.

ნატვრა

ფანჯრებს ბატისტის თეთრი ფარდები,
იატაკს შვენის ხალიჩა ჭრელი,
დუმს როიალი, კედელზე – ხომლი
და მოხატული იებით – ჭერი.
თითზე – ალმასის მძიმე ბეჭედი,
ოთახი – სავსე ბროლით და ბოლით,
სხვა რაღა უნდა ნეტავი დიაცს,
რომ იყოს მუდამ ერთგული ცოლი.
მეკითხებიან, – მაშ, რა გადარდებს?
– დიდი სიმშვიდე, ცხოვრება-თვლემა,
ჩემი უიღბლო ბედნიერება
ღმერთმა მას მისცეს, ვინც შურით თვრება.
სხვა რა მადარდებს? – თეთრი მერცხალი
ჩემს აივანზე აღარა ბუდობს
და ჩუმი სევდა ისე ყვავილობს,
ვით გაზაფხულზე ჭორი და სურდო.
ღმერთო, აკაციის ხედ მაქციე!
ჩემი ტკივილები ეკლებად შემასხი,
ჩემი სამკაულები – თეთრმტევანა
ყვავილებად,
ჩემი აუხდენელი სიზმრები –
მწვანე ფოთლებად ამიშრიალე,
ჩემი დაუწერელი ლექსები
რტოებზე ჩიტი-ჩიორებად შემიფრთხიალე
და შუა ოთახში ამაფეთქე,
როგორც ნაძვის ხე,
ანდა ხე ნატვრის.
მოვა ჩემი საქმიანი ქმარი,
სათვალეს მოიხსნის და გაოცდება,
რა უნდაო აკაციის ხეს შუა ოთახში.
ფარდებს ჩამოუშვებს,
მეზობლებმა არ დამინახონ
და არ დამცინონო,
რტოსაც შემომამტვრევს, რომ დაიჯეროს,
ცხადია და არა სიზმარი
და შიშისაგან გაოფლილი თითებით
აკრეფს ტელეფონის ნომერს,
ღმერთო, მაქციე აკაციის ხედ!
*
კაცი რომ წავა-წამოვა,
ან ჭორს დატოვებს, ან სახელს,
წყალი რომ წავა-წამოვა,
დატოვებს მხოლოდ ქვიშას,
მზე რომ ჩავა და ამოვა,
ყვავილებს მოაფარდაგებს,
ყავის ნალექზე მზე დამრჩა,
ეს სიმარტოვეს ნიშნავს.

ეთერ ჭელიძე

***

ვერც ნაკვალევი წავშალე და
ვერც მე წავიშალე შენიდან!
ისევ ნასაკირალ დღეებს მივაფიცხე,
კლდეზე შერჩენილი შუნი ვარ...
ყოფა ვიგუე და ვეღარ შევამჩნიე,
ირგვლივ სინანულის სუნია,
კლდიდან მოწანწკარე, პეშვში მოხითხითე
წყაროს სიანკარე მწყურია!

***

სილაზე შენ სახელს წერენ
თოვლით დაბურულ მინაზეც...
მზე კი, აფერადებს მზე ,
წარწერებს ვიღაცის ჯინაზე...
ფიქრებიც ყვავილებს გვანან
იშლებიან და ჭკნებიან,
ისე ვით, სილაზე ,მინაზეც,
ბავშვობის დღეები ქრებიან...
ბავშვობის დღეები ჩნდებიან
შესავსებ ფურცლებზე ტიტრებად,
მისტირი სახელებს წაშლილს და
კვლავ წერის სურვილი გიჩნდება!
სურვილი გიჩნდება სიანცეს
ერთი დღით რომ დაემგზავრო,
და შენში დარჩენილ პატარას
თუნდ ერთი დღით დაემსგავსო!...
სურვილი, უწყალოდ აჩეხილ
ხეებს შეუდგე მხარში,
ერთხელაც აახმიანო
შენში რომ ცხოვრობს ბავშვი...

დილიდან...

გინდა თუ არ გინდა
სიჩუმის ოთახში,
სიჩუმეს ტოვებ და ლაჟვარდებს
ერთვები,
ფეხქვეშ კი გზა-შარა
სად მიდის არ იცი,
იდუმალ ხმის ძალას
უსმენ და ნებდები...
თვალს ხვდება სიშლეგე
მტვრის კორიანტელის,
სიცხადეც, გაშლილი
ბუნების ედემად,
ქუჩები გულ-სავსე
შარაც და გზა-წვრილიც
მორთულა
გიჟმაჟურ ფოთოლთა ფერებად...
თითქოს უნებლიე
თამაშში ებმები,
ქარში მოცეკვავე
ფოთლის ბედს განიცდი,
ბედისგან ნამცვრევი
დინებას ეხლები
დრო სწრაფად მიფრინავს,
დრო აღარ დაგიცდის....
გინდა თუ არ გინდა
საღამოს ბილიკით,
დაღლილი, სიჩუმის
ოთახში ბრუნდები...
იდუმალ თასმებით
პირს უკრავ ფიქრებს და
მარტოსულ ვარსკლავთან
ჩურჩულში მშვიდდები..

ერთი დღეც...

ვარ ქარის ფრთებით აშენებულ
სევდის ფაცხაში
და თითო დილა ჯარისკაცად მიდგას
დროების...
მზე, ქუჩა ქუჩა მოიქროლებს
ნისლის თავშალი-თ
დღე კი, დღეს მისდევს
კვლავ ერთი დღის გ ა დ ა გ ო რ ე ბ ი თ...

დაგვიანებული შეხვედრა...

შენი გულის ცეცხლზე ვათბობ
ჩემს გათოშილ ხელის გულებს,
შენს ქორწილში ისე ვმაყრობ
ერთხელაც არ გაიღიმე...
არც კი ვიცი გამიხარდეს
თუ მეტკინოს შენი სევდა?
თუ იარა გაგიახლე
ერთხელ მაინც უნდა გეთქვა...
ახლა თითქოს უსახელურ
ჭიშკარს აღებ უცხო სახლის,
მეკი ისე მეჩვენება,
ქარი, გულის კარებს ფხაჭნის...
ვაყურადებ, თუმცა არ ღირს,
ფეხაკრეფით ,,კედელ-ყურე"ს,
მაგ მდუმარე მაყრიონსაც
უნებურად წავუყრუე...
და გასასვლელს, დასასრულის,
მოთმინებით გავეშურე,
თუმც ,,ბედნიერ" ქალის როლში
ვიცხოვრე და აღვესრულე!...

შენ, ბედისწერავ?!

საბელ გამობმულ კაცის ცხოვრებას
სადღაც მიათრევ უმისამართოდ...
გულ ამოცლილო ჩემო დროებავ
და ვერ ავლილო ბედის აღმართო...
გონდაკარგული წუთისოფლიდან
წუთს ვერ ამოსდე ისევ, ლაგამი,
ტკივილს რომელსაც სახელს ვერ ვარქმევ,
ვერც მიეშველე და ვერც ა ღ გ ა ვ ი!
ისევ გაუჩნდა კედელს ბზარები,
ვერ აღქმულია სიტყვა უკვალო,
ვით დაგირისხო სულში ზარები
გზა ტაძრისაკენ ვით გაგიკვალო...
ვერ დაეტოლე უფლის ნაფეხურს
და თმენის ძალას წრუპავ ნიადაგ,
დღეს რელსებიდან ამოვარდნილი
საით გაჰყვები უცნობ ლიანდაგს?!

შენ...

ტალღა რომელიც მკლავებით მიგაქვს
და ცეცხლებს გაყრის მგზნებარე ზვირთის,
ვით ქალის სხეულს მოხვეულ ნიავს
ყოველი კუნთი ტალღებად გითრთის.
ზღვაში შეჭრილი თოლიას დარად
თავისუფლების სურვილით ტკბები,
მთის ოხშივარი გამოგყოლია,
ატყორცნილ ტალღის უბეში თბები...

***

მას ველოდი, თბილ-თვალებას
მზისთვალება პეპლის ახოს,
დაღვრემილი შემეგება
ქარი, მის ფერ-სამოსახლოს...
მოვიწყინე, შეფუთული
გული მისი მოვინატრე,
მოვეფერე, შეკიდული
ცრემლი, წამ-წამს მოვიდარე...
მივითვალე, დრო, წამიდან
ასასვლელი ფიქრით ვზომე,
არც იმდენი დრო გავიდა,
გული, მის გულს დავატოლე...
ცრემლის წვეთი შუა ჩადგა,
შუამავლად მოვიგულე,
მზე მოვიდა პეპლის ფრთება
მოეფონა მიმქრალ გულებს.
რა პატარა სიო ქროდა
ცით მოვარდნილ ქარის კოხში,
და რა უცებ აიზიდა
წამწამიდან გულის ქოხში…

მოგონება

ჯონი გაბიანს

ვმარგლე სიცოცხლის ფერდობი
მოგონებებით დაღლილი,
დროებას აღარ ვენდობი
თარიღებია წაშლილი...
თარიღებია წაშლილი
სად გულნაბზარი მთვარეა,
შენ გზაზე ახლა აღმართი
და მიუვალი ღამეა...
სად ბედისწერის თავნება
მარადისობა ივანებს
და შენი დედა ალაგის
საძვალე შემოგილაგეს!
ვწუხვარ კი არა, მტკივა და
სიამაყითაც ვივსები,
თეთრზე, ოქროსფრად წერია
შენი ცხოვრების ციფრები...
შვილიც იყავი, ნათლულიც,
ძმა, ერთგულებით ნათელი,
მარტო მე არა, ჩემ ერსაც
დააკლდი დიდი ქართველი!

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

შეუცნობელი მანძილი

ატყობ, ყოველი თუ როგორ გაცვდა,
აღარაფერი დარჩა უთქმელი,
მაგრმა საშველი როდესაც არ ჩანს,
გამშვიდებს მხოლოდ კალამ-ფურცელი:
საპატიმროა ცხოვრება როცა,
და როცა გიჭირს მისგან გაღწევა,
შეგუებიხარ დარჩენის როლსაც,
არადა, გული მაინც არ რჩება,
აიღებ კალამს და სისხლით დაწერ;
დიახ, ეს ფრაზაც გაცვდა, თუმც ბედავ
რომ მოიძიო ხელახლა, ამ წელს,
შენს სისხლში მყოფი სამყაროს სევდა.
ბანალურია, აი, ეს რითმაც;
იღიმები და ფურცელზე ტოვებ,
ვით ცხოვრებაში შენს დიდ შერისხვას
შენს ულევ ფიქრსა და სიმარტოვეს.
ვიღაცა იტყვის, რომ ეს პოზაა, –
რომ პოეტები ტყუიან ხოლმე;
შენ კი მზეს ხედავ ანგელოზად და
ფურცელზე იგებ მსოფლიო ომებს.
მდუღარე მზერით გასცქერი დაისს,
თვალს ვერ სწყვეტ ზეცის დასისხლულ კიდეს,
თუმც გიხარია, ძალიან, აის,
მიწიდან ცამდე რომ მოჩანს კიბე;
და ფიქრი, ნელა კიბეზე ადის...
რა მანძილია მიწიდან ცამდის?!.

სიტყვათმაგია

ერთ კაცს ეგონა, თავი, ბარონი,
და შექმნა, იმან წიგნი - მონობა,
ის წერდა სწორად, ბევრი კანონით,
ლექსი კი არის უკანონობა...
როცა ფანჯრებში შემოდის შუქი,
როცა სინათლე ტალღად იღვრება,
იწყება, როცა, ნელი მუსიკა,
მე ფიქრებს ვუფრთხი.
რეალობიდან მინდა გავიდე,
მზეთა ლოცვების დროით ვვიდოდე,
სამყაროს მოვხსნა ფერადი რიდე,
გადაწვდეს გრძნობა კიდითი - კიდეს,
ლექსის წერა კი მუდამ მინდოდეს.
ვით ჯადოქარი პოეზიისა,
ვქმნი ლაბირინთებს რითმების ტევრის,
ვაგებ სასახლეს სიტყვებით ბევრით,
და ვძერწავ თეთრ გულს უმაღლეს მზისგან, –
ეს გული იყოს თეთრი შედევრი.
მე არც გრაფი ვარ და არც ბარონი,
არ შემიქმნია წიგნი-მონობა,
ჩემს პოეზიას არ აქვს კანონი,
რადგან თვითონ ვარ უკანონობა...

მზის მეწამული

დაისის ფერი ნელა ღებავს
მწუხარე ფანჯრებს,
ცას გააშეშებს,
უსასრულოს და უსამანოს;
მთელს ჩემს ცხოვრებას
უიმედო იმედად გასდევ
ჩემო ყვავილო –
მარტოსულო იასამანო...
დაისის ფერი ნელა ღებავს
მწუხარე ფანჯრებს,
ცას გააშეშებს,
უსასრულოს და უსამანოს...

ქალის სიჩუმე

თვალებით ამბობ
ამ გულის ფეთქვას;
თითებით ამბობ
ალერსის ტაძარს;

ის რაც ნათქვამმა სიტყვებმა
ვერ თქვა,
უთქმელ სიტყვათა
ფესვებში გასტანს;

თვალებით ამბობ
ამ გულის ფეთქვას;
თითებით ამბობ
ალერსის ტაძარს...

წვიმის ზღაპარი

აქ, წვიმის სახლში, მუსიკა ცხოვრობს,
მელოდიებად ითვლის ნაბიჯებს;
აქ, წვიმის სახლში მოგიყვან ბლოს,
და სიკვდილამდე ხელს არ გაგიშვებ.
სიკვილის მერეც შევხვდებით, რადგან
მელოდიების ხსოვნას გავყვებით,
იქ, იმ ნაპირზეც წვიმის სახლს დავდგამთ,
იქნება წვიმა-ცრემლით ნაგები.
ბედნიერება, იქნებ, ცრემლია,
და მზე გულიდან ნელა ამოდის;
მე განმიცდია ბერის კელიაც,
ტკივილიც – ჩემივ სულის ამოხდის...
მაინც გადავრჩი, სიტყვებად ვცხოვრობ,
მარადისობა ითვლის ნაბიჯებს;
წვიმის ზღაპარში მოგიყვან ბოლოს,
და სიკვდილამდე ხელს არ გაგიშვებ...

პროტესტი სამყაროსადმი

ჩემი ლექსები პროტესტებია...
არის ქუჩები ძალიან მცირე,
მათ კი, რომ ჰკითხო, პროსპექტებია...
ორ თარიღს შორის ისვენებს ტირე.
საოცარია თარიღი ორი,
საფლავის ქვაზე რჩენილი თალხად.
ჩემზე მეტი კი ისაა, მგონი,
ვინც უკვე თვითონ სიკვდილი ნახა.
მე არაფერი აქ აღარ მომწონს,
და პოეზია მიზიდავს მხოლოდ.
ვუყურებ გზაზე მიგდებულ ფოთოლს, –
ვხედავ პოეტის სულის სიმბოლოდ.
ჩვენ, საქართველო, თითქოს მოგვპარეს.
საუკუნეთა გალეწეს რიგი.
არ გამორჩება უმძლავრეს თვალებს,
გარიყული და ობოლი ფიქრი.
მე ვარ ბილიკი,სხვა იყოს ქუჩა,
სხვა იყოს თუნდაც მთელი პროსპექტი.
ვრჩები ბოჰემად, შეშლილად, ურჩად...
და პოეზია არის პროტესტი...

ტრიოლეტი – ორქიდეა

შენი ცრემლების თეთრი ორქიდე
მე მაგრძნობინებს მხარეს სიზმრების.
ბედად მაქვს – ტრფობის ზღვად უნდა მჭირდეს
შენი ცრემლების თეთრი ორქიდე,
და ვაღიარებ სტრიქონს, ვით ქრისტეს,
ხოლო შენ გულად სუნთქვად მჭირდები...
შენი ცრემლების თეთრი ორქიდე
მე მაგრძნბინებს მხარეს სიზმრების...

„მცოდნე“

ჩასაფრებულა ლექსთან რეგვენი,
„ღრმად“, „გამჭვირვალედ“ განსჯის სტრიქონებს,
ნაკლს ნახავს? – თავი ჰგონია ბრძენი,
თუ ვერ ნახავს და – გამოიგონებს.
არა აქვს გრძნობა, და გრძნობით ნაწერს
სჯის ათას „წესით“, ათას „კანონით“,
დაობებია გონება ასე,
ხოლო სტრიქონნი, უსამანონი,
მარადისობის მღერიან განცდებს,
ცხრა ცას სწვდებიან, მეტსაც, აქედან...
იმან კი, ვინც ძლივს კითხულობს და წერს,
სხვათა ნაწერთა განსჯა გაბედა...

თეთრი მოძღვარი

საღამოვდება,
სიმაღლიდან დაჰყურებ სოფელს,
ჭიანჭველების სასაფლაოდ
მოჩანს სოფელი,
ფთილა ღრუბელი ნელა მოდის,
შენ – ფიქრში მყოფელს,
გფარავს ღრუბელი.
მერე კვლავ მზეა,
ან – ნარჩენი სხივები მზისა,
და გიხარია, რომ
ვარდისფერ სხივებს კვლავ ხედავ,
და ეძებ ვინმეს,
რომ ხმა გამცეს,
თუმცა კი გიცავს
ეგ მარტოობა...
სოფელი კი კვლავ ჩანს
მაქედან.
ჩვენ ქვევით ვცხოვრობთ,
სიმაღლემდე არის გვიანი,
ვცხოვრობთ რა ბოღმით,
სისულელის რაგვარ ხუნდებით!..
შენ მარტოობამ შეგაყვარა ადამიანი,
და ამიტომაც აქ, ჩვენს შორის,
აღარ ბრუნდები...
საღამოვდება,
სიმაღლიდან დაჰყურებ სოფელს...

შემოდგომის სონეტი

ფიქრში შემოდის შემოდგომა, ოქროსფრით სავსე,
სამყარო ხდება ფოთოლცვენის დიდი თეატრი,
და ჩემი სული, გადამსხვრეულ ჯვარს რომ შევადრი,
დგას ამ თეატრში განცვიფრებით, გოლგოთის კვალზე.
არ გეჯიბრებით, – მეტი ტანჯვა ეგება სხვებსა
განგიცდიათ და, წითელ-ყვითელ ფოთლების ფრიალს,
უწითლეს ფოთლად, ეგებ თქვენი სისხლი თან მიაქვს...
უბრალოდ, მე ჩემს მძაფრ ჭრილობებს სტროფებით ვკემსავ...
შემოდგომაა ცრემლიანი, ობოლი ღმერთი.
და არასოდეს მოიკიდებს ობს ამულეტი,
ცამ რომ ამჩუქა დიდი ხნის წინ, დღესაც რომ თან მაქვს
მე იგი მიცავს, – არ დავეცე წყვდიადის ფერხთით,
პოეტურობა სულ ვატარო, ვით უფლის კვერთხი...
და სივრცე ყვება მანათობელ ფოთლების ამბავს...

კახა ბაციკაძე

* * *

დღეს პოეზიის ღამე იქნება,
მოვლენ, შორიდან, სევდის ლანდები,
მე რა ვქნა, – ბედმა ასე ინება
და უსათუოდ შემიყვარდები.
ეს სული ბავშვურ ზღვის ლურჯ სიშორეს
მიეძალება, როგორც თოლია,
და მედება თვალების ბაღებს
შემოდგომათა მიოანქოლია...

გრძნობა

თენდება... ხედავ – გადაღლილი სული ამოსდით
გაცრეცილ ფარნებს, არაფერი გეიმედება...
ბარათაშვილო, შენ, წარსულში, სულით დაობდლი,
და ეს ობლობა ჩვენს დროშიაც უღვთოდმეფდება.
ქუჩაა. ესეც მოწყენილი. უნდოდ იღვიძებს.
მზის სხივის კოცნა მის ხეივანს თუმცა ატყვია...
ნელა იღვრება ტროტუარზე თეთრი ფიქრის რძე,
რომელიც ღამემ თავის თავში ვერ დაატია...
რაღას კითხულობ? – რატომ ხდება ქვეყნად ასე, რომ
ადამიანი მარცხდება და მხეცი იმარჯვებს,
ან რა აზრი აქვს, თუნდაც, ღმერთი სადღაც არსებობს,
თუ ვიღაც ისევ გადაიხსნის ხვალ თავის მაჯებს...
სასოწარკვეთის მცენარე კი ისე იზრდება,
რომ ყველა სარკმელს, სინათლისკენ, ბურავს აჩრდილებს...
ამ სამყაროში შენ მოხვედი იმის მიზეზად
რომ ესაუბრო სევდისაგან შეშლილ აჩრდილებს...
ჟამი ქვიშდება, აღარ ისმის ხმა მოკრიალო,
სულ სხვა ფიქრების უდაბნოში დგას სფინქსივით,
ცრემლების ქარი თვალთა ტყეში ნაზად შრიალებს,
და არც ის გახსოვს, ახლა, უკვე, თუ რას მისტირი...

მეგობრის მომავლიდან

ოდესმე შენად შექმნი ლეგენდას,
შენაც გექნება შენი ვენდეტა,
რადგან ცხოვრება შენც გაგაწბილებს.
როგორ მოგხიბლავს ძველი ელადა
და ოცნებების გზებზე ჩაივლი,
ღამით შემოდგამ მთვარის ხელადას,
შარავანდედად სატრფოს აივნის.
შეამჩნევ, ქარის ლამაზ მუსიკას
როგორ უხდება ქვიშების ვალსი,
და მარმარილო თავს როგორ იკლავს,
როცა ცოცხლდება ღვთაებრივ ქალში...

გღლის ვულკანი როგორ მდუღარებს,
მერე ევლება ლავა ლავიწებს...
და შუაგზაზე როგორ უღამებს
ბედი, მუხთალი, ქარვისფერ პრინცებს...
მერე კი, ტაძრის გუმბათად ქცეულს,
შემოგეჩვევა თეთრი მტრედები...
სამყაროს, ძმაო, შენსავით ეულს,
ვგრძნობ, ნაადრევად შეაბერდები...
მანამ კი უნდა შექმნა ლეგენდა,
მხრებზე მოევლო მუზის არწივებს,
და პოეზიის ცაზე თენდება.
და პოეზია მკვდრებსაც აღვიძებს...

დიდი დასასრული

ზღვებდამსხვრეული ხმელეთები როგორ ვიწამო...
ცაჩამსხვრეული დედამიწა არ მენატრება...
როცა სამყარო პოეზიის ზღაპარს გიამბობს,
გახსოვს მხოლოდღა ოცნებები და ბეატრიჩე...
თუ სიტყვებს შორის შენ გასცურავ ვით მაგელანი,
ფსკერებსაც უნდათ თავის მსხვერპლი, გემის სურნელი.
დაგედევნება ცის სიღრმიდან ლურჯი ელვანი,
არავინ იცის, გადურჩები მერე უვნებლად?..
როცა სიმები ჩამოღვრიან მუსიკას თაფლის
და სიზმარ-ცხადი აიჭრება ფრთებივით პეპლის,
დგას ეს ხმელეთი, გამომშრალი, ხრაშუნა ვაფლი,
და რაღაც ახალს, იმედის მსგავს მცენარეს ელის.
იქეც თოლიად, რომ ლაჟვარდის გულად იფეთქო,
ირმის თვალების სივრცეები გსდევდეს, ვით ფიქრი...
თუ მთელს სამყაროს პოეზიად არ აქცევ, ღმერთო,
მაშინ დალიე, დასასრულის, ღვთაებრივ ჭიქით...

* * *

გულს ამოვიგლეჯ, გულით ცხოვრება
არის უბრალოდ შეუძლებელი,
სევდის ნისლები თვალზე გროვდება
და თვალი მოჩანს, როგორც ღრუბელი...
გულო, იფანტე მწვანე ფოთლებად,
იქნებ გადარჩე ხელუხლებელი,
ვერ მოგერიოს მძიმე ცხოვრება,
იყო ბავშვურად წმინდად შთენილი.
საღამოვდება და მთებს გავცქერი,
მთები მოჰგვანან დღეებს წარსულის...
თუნდ ნურც დარჩება ჩემი ნამღერი,
იყოს ღიმილი და დასასრული...

გიორგი ზუხბაია
(ზუხბა)

გზააბნეული წვიმა

ჩნდებოდა წვიმა სიზმრის ოდენა,
(მე ისევ ლექსის დაწერას ვითმენ)...
და წვიმით სავსე ცა მაგონებდა,
ვარდის ფურცლებზე შენახებ თითებს...
ნელა დავიდა ღრუბელთა ქარვა,
სიო ღელავდა, ღელვა - ულევი,
მერე სურნელი იცვალა ჰავამ,
სუყველგან დადგა ცრემლის სურნელი...
და ლურჯი ფერი უეცრად გალღვა,
თითქოს ლექსები გაჩნდა იმედად
და ფრინველები ფრინავდნენ დაბლა,
პირდაპირ ჩემი გულის კიდესთან...
და ფრენა იყო სუყველგან ქვეყნად,
მე თვითონ ლექსი მეგონა თავი,
და დავაგროვე ხელებში ფრენა,
და როგორც წყალი დავუსხი ყვავილს...
არავინ დარჩა სიჩუმის ირგვლივ,
არც ნივთი და არც დაბადებული,
და სწორედ მაშინ მოვიდა იგი,
წვიმა მარადის გზააბნეული...
წვიმა სევდისებრ მარად უთქმელი,
გზააბნეული: ჟღერდა, სხივობდა,
რადგან წვიმისთვის იყო სულერთი,
მოდიოდა თუ, არ მოდიოდა.
უყვარდა ქროლვაც, უყვარდა მოცდა,
უყვარდა განცდა არარსებობის,
რადგან იცოდა, მაშინაც როცა
ის არ წვეთავდა, მე ვსველდებოდი,
ფეხს არ ვიცვლიდი და ვსველდებოდი,
გზააბნეული წვიმის წვეთებით...

შუქის სიცარიელე

გრძნობას უსრული სიცოცხლე ახლავს,
ლანდები ზეცის განცდას შემრთავენ...
და წამწამები იწყებენ ხამხამს,
და წამწამები გრძნობენ ერთმანეთს...
ის იბადება ვით განცდით ბოდვა,
უსაზღვრო შუქი - სულის ნატკენი...
და როცა შუქი შემოდის ოდნავ,
ფარდებზე თეთრი კრთის ჟრუანტელი..
სიტყვა არავის არასდროს უთქვამს,
მხოლოდ ეს შუქი იღვრება ნელა,
კანკალებს თვალი, შეხებით შუქთან,
და თვალის უპე ჩიტივით ღელავს...
სიშორე მინას სრულიად ფარავს,
და იისფერი იხსნება ხაზი,
და თვალში ცრემლი შიგნიდან არა,
ცრემლი გარედან შემოდის მასში...
თითქოს ყოველი შეიგრძნო სულმა,
კვლავ წამწამებმა გაჭრა ჰაერი,
პატარა თვალში ეტევა სრულად,
მთელი სამყაროც და არაფერიც...
დღე სავსე არის სხივების სუნთქვით,
ცისფერი ფენაც ნელა იელვებს,
თვალს ამოავსებს სრულიად შუქი,
სრულიად შუქის სიცარიელე...
არავინ არის, მხოლოდ უჩნდება,
გულს ისევ ფეთქვა, ისევ სიახლით...
თვალი იხსნება, კვლავ იხუჭება,
ის თითქოს ფრინავს შუქის წიაღში...
ყველგან შუქია და მისი ბრწყინვა,
იგი სივრცეთა არის ალერსი,
და თვალი მართლაც ჩიტივით ფრინავს,
თავის მზერაში, ვით სიმაღლეში.
იქ არის შუქის სიცარიელე,
და ის სივრცეზეც უსასრულია -
წამი, როდესაც მხოლოდ გრძნობაა,
როდესაც მხოლოდ სიყვარულია...



ერეკლე საღლიანი

შიშმა თუ ვერ მოგდრიკა...

„ქალაქ გაგრის დაცემის შემდეგ, მებრძოლი ლევან ფირცხელანი, თავის მეგობრებთან ერთად ქალაქში შებრუნდა ძმების დასახსნელად, ისინი რუსეთის სადესანტო მებრძოლთა ალყაში იყვნენ მოქცეულნი. თავგანწირული ომის შემდეგ ლევანი გმირულად დაიღუპა მის შვიდ მეგობართან ერთად. სიკვდილის შემდეგ ისინი დაჯილდოვდნენ ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენით. მათი საფლავი უცნობია, მაგრამ ყოველმა მათგანმა ღირსეული ქართველის გულში დაიმკივდრა სამარე.”

რაღა დღეს მოიცალა ამინდმა საავდროდ,
ღრუბელიც გავსებულა, ცრემლი სდის ღაპაღუპით,
სიკვდილი დაგელაობს, სიკვდილი დანავარდობს,
სიკვდილი დანავარდობს ჩონჩხის რაკარუკით.
მაცდური მაცდურად მოვიდა და მოგვერია,
ზურგიდან მოგვეპარა პირისპირ ვინც ვერ გვავნო,
ქალაქში დარჩენილი ძმები კვლავ მოგელიან,
ძმები ისევ მოგელიან ლევან ფირცხელანო!
დღე, ვით თვალშავთანა მტევანივით იწურება,
დაშვრომის ჟამია და სუყველას გლოვა გვამრთებს,
სახლები გვიქციეს ნანგრევებად, მიწურებად,
სთესენ დაბნედილნი შესაქცევად ეკალ-ბარდებს.
გზა გაეხსნა ჩვენს მიწაზე სისხლის დამაქცევარს,
ფუძე წაგვიბილწა, ვისაც ჭერქვეშ ვიფარავდით,
შენმა გვარმა არ იცის არცა შიში, არც გაქცევა,
შენმა გვარმა არ იცის არცა კილვა, არც ღალატი.
შავი ზღვა სისხლს ისუნთქავს, ნაპირებს ცხედრებს ესვრის,
ვაი, მარტოსული უშურველი კაცის ბოლო,
რარიგად გყვარებია, რარიგად შენი ფესვი,
არ იქნება სიკვდილმაც კაცად არ დაგიხსომოს.
ხიფათი გისაფრდება სულ ბოლო მოსახვევთან,
ჯავრი გედება და უძინარი ბოლთასა სცემ,
შენი ნებით მიდიხარ უბირთან შესახვედრად,
შენი ნებით მიდიხარ მარტოკა გოლგოთაზე.
ფიქრები გეწეწება დამაშვრალ ნისლებივით,
ზეცა მსხმოიარე ტოტებს გიწვდის ატამივით,
გაიღე სიცოცხლე, კვლავაც კაცურ ღირსებისთვის,
დე, იყავ ზვარაკივით კედელში ჩატანილი.
ალში რომ გახვეულან, ნაჭრევი ნაძვებია,
აქ აღარც სინათლეა და აღარც დაფიონი,
შიშმა თუ დაგძალა, – აღსასრული რა ძნელია,
შიშმა თუ ვერ მოგდრიკა, – ყოფილა რა იოლი!
ილოცავს კვლავაც ჩვენთვის დიდ-დიდი მოძღვარი და,
სიკეთის, სათნოების ჩვენს გულში მომრიყავი,
ზეთს გწირავთ, გიხსენებთ, ახლა უფრო ცოცხალი ხარ,
ვიდრე მაშინ, ოდესღაც რომ იყავი.
მაცდური მაცდურად მოვიდა და მოგვერია,
ზურგიდან მოგვეპარა პირისპირ ვინც ვერ გვავნო,
გაგრაში დარჩენილი ძმები კვლავ მოგელიან,
ძმები ისევ მოგელიან ლევან ფირცხელანო!

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

სიცოცხლე სანამ ფხიზლობს

თუკი გავცდები ჟამთა ნახანძრალს
და თავს დავაღწევ მტარვალ ურვიდან,
აღარ გამოვფენ ფერად ტილოზე
სისხლმდენ ნაკაწრებს დაღლილ სულიდან.

ახლა საწუთრომ კევრში ჩამაბა,-
ვნება-საწადელს ისევ იურვებს,
ღია ჭრილობებს გზადაგზა ვიხვევ
და შემორჩენილ ვალებს ვისტუმრებ.

სანამ ოცნებამ ტვინი დაღალა,
გული ძლეული კიდევ იომებს,
სიცოცხლე სანამ ფხიზლობს, დარაჯობს,
ათას სატკივარს გამოიგონებს…

თვალებს მჭრის სიცხადე

პირქუში დრო არღვევს დაბზარულ გალავნებს,
მზეს ვნატრობ, სამყარო რომ აღარ დამუქდეს,
გზადაგზა ვაწყდები დაცემულ ქალაქებს,
მტრობით და ღალატით ურცხვად რომ გაქურდეს.

ლურჯი ცა - მშვიდობის, მრავალჯერ დასეტყვეს
თანდათან მომწიფდა ფარული ღალატი,
თითქოსდა, ცდილობდნენ, მაგრამ ვერ განდევნეს,
შხამიან ისრებით მაცდური თამაში...

და... უკვე დაიწყო საშიში გამოცდა,
ლუციფერს იბერნიც დაუდგნენ მონებად,
ეს... „უმსგავსოება“ საზღვრებს რომ გამოსცდა,
ამაზე მუშაობს გახრწნილი გონება...

მავანნი დაშოკეს - ზომბებად აქციეს.
დღეს, როგორც არასდროს, მოვუხმობ სიმშვიდეს.
გუშინაც , უხილავს ვებრძოდი მაქციელს,
ცა ჩამოგვექცევა, ხმალს თუ არ ვიშიშვლებთ!..

ამ ლაბირინთებში გზას მიკვლევს სინათლე,
ხანდახან ვბრკოლდები - თვალებს მჭრის სიცხადე,
ჯიუტად მივიწევ დასახულ მიზნამდე,
გაცხადდეს, ოღონდაც, - გაცხადდეს სიმართლე!..

შეგონება

ყოველ დილით მზის ამოსვლას გაუღიმე,
უფლის შექმნილს წუთისოფელს ნუ აძაგებ,
ნუ დააჭკნობ ლამაზ ყვავილს ტურფად გაშლილს,
დიდ სიყვარულს დიდი გული შესთავაზე.

ეს ცხოვრება სახდელია, - მწარეც, ტკბილიც,
გადაშალე, წაიკითხე, დაისწავლე,
თუ განგებამ დიდი ნიჭი დაგაბერტყოს,
დააფასე, უფლის მადლით გაიხარე.

თუ სამყაროს ახლებურად ვეღარ შეცვლი,
ხელმოცარვას ტრადიციებს ნუ აბრალებ,
ცხოვრებაში ახალ სიტყვას თუ ვერ იტყვი,
ძირძველ სიბრძნეს ახალ სახელს ნუ დაარქმევ.

ლამაზ დღეებს უმადურად ნუ გაფანტავ,
დღეის საქმეს სახვალიოდ ნუ გადადებ,
შენს კარავთან თუ რაში დგას დარახტული,
გააქროლე - ბედის რაში გააქანე.

შენი მადლი, შენი ხვედრი შეაფასე,
ფუტუროსგან ყალბ შენობას ნუ ააგებ,
სხვის ჯიბეში თავხედურად ფულს ნუ დათვლი,
შენი ქოხი სხვის სასახლეს ანაცვალე.

მძიმე ჟამი თუ დაგიდგა - მტერი გებრძვის,-
დროის ქურა განსაცდელებს ასამმაგებს,
შეასრულე შენი ვალი, - ვინ დაგძრახავს,
შიშველ ხანჯალს უდროო დროს ნუ ჩააგებ.

თუ ცხოვრება მძიმე უღერლს შეგთავაზებს,
შენი თავი თუ სიკვდილსაც არ ანაღვლებს,
ნუ მოუხმობ!.. მის განაწესს ნუ დაარღვევ,
მის მაგივრად საკუთარ ბედს ნუ გადაწყვეტ...

საწამლავი რაც გარგუნეს, გამოსცალე,
ცხოვრებაში რაც გადაგხდეს, დაითმინე,
მწარე ხვედრი სულგრძელობით გამოსცადე,
სანამ პირში სული გიდგას, გაიღიმე.

მეგობარი გულახდილი შეიყვარე,
გულს თუ გატკენს, ვაჟკაცურად გადახარშე,
ხასიათი სასიკეთოდ შეიცვალე,
ბევრი რამე ახლებურად გადააწყვე.

თუ დინებამ უცხო მხარეს გაგიტაცა,
შენი ფესვი - შენი ძირი არ დაკარგო,
რაგინდ ოქრო-ცურვილები შეგთავაზონ,
საკუთარ ცის სილურჯეში არ გაცვალო.

გაუფრთხილდი წინაპრების დიად საქმეს,
სამემკვიდრო დიდ სიმდიდრეს ნუ გაფანტავ,
რაც შენია, - რუდუნებით წილად გარგეს,
მტრულად მოსულ გადამთიელს ნუ გაატან.

მაშინ იხსნება სამოთხის კარი

მაშინ იხსნება სამოთხის კარი,
როცა ცისკარი იხსნის ღილ-კილოს,
მსურს, სიხარულის ცრემლმა იდინოს,
როცა მიღიმის ბაღის ღიღილო.

არ მიყვარს კაცი ვნებით ძლეული,
სხვისი სიკეთით რომ არ ღიმილობს,
საკუთარ თვალსაც დაითხრის, ოღონდ,
მოძმემ, მოკეთემ არ გაიღიმოს.

როცა კაცია სხვისი ქომაგი,
სხვათა სიკეთით სურს რომ ილხინოს,
ასეთი კაცის ნაამაგარი,
ღვთიური მადლით ხარობს - ბიბინობს.

სულს ეფინება სითბოდ, სალბუნად,
მშრომელი კაცი როცა ღიღინობს,
მისმა ჭერ-ფუძემ იკარ-ილხინოს,
სხვისი სიკეთით ვინაც ღიმილობს!..

ედუარდ უგულავა

ძლევაი საკვირველი

ჯერ დილაა,
ჯერ არ არის აგვისტოს მზე მწველი,
ვეღარ იტევს თურქ-სელჩუკთა ჯარს დიდგორის ველი.
მტრის სიმრავლე, ესოდენი, მნახველს ტოვებს სახტად,
დაუჩრდილავს ცის სილურჯე მათთა ბაირაღთა.
მომხვდურს ერთი სურვილი აქვს, ერთი ჟინით იწვის _
სრულად აღგვას საქართველო პირისაგან მიწის...
მაგრამ მამულს არ დათმობენ, სული უდგათ სანამ,
ორ მთას შორის ქართველები ჯებირივით დგანან,
მათ თვალებში სიმტკიცე და უფლის რწმენა სუფევს.
იქვე მდგარი ყივჩაღები აწვალებენ შუბებს.
ამართულა ცისკენ ჯვრები, შლიან სეფე დროშას,
ქართულ ჯარში ასიოდე ჯვაროსანიც მოჩანს.
მოლაშქრენი აღვირებით ძლივს იჭერენ ცხენებს;
ეჰ, რამდენი დღეს ხვალინდელს ვეღარ გაითენებს...
გული მათი აუწონელ ფიქრს და ვარამს იტევს _
ვის დარჩება საქართველო, მაჰმადსა თუ ქრისტეს?!.
ციდან უკვე დამშეული ყვავ-ყორნები ყეფენ.
საქართველოს ჯარს მიმართავს საქართველოს მეფე:
_ ეჰა, ქრისტეს მეომარნო, ვიდრე გული გვიცემს,
თუ ღვთის რჯულის დასაცავად,
მტერს დავხვდებით მტკიცედ,
არა მარტო ეშმას მსახურთ დავაფეთებთ ხმლებით,
თვით ეშმაკსაც დავამარცხებთ, უფლის მეოხებით!
ჩვენ შევკარით ვიწროები, ხით ჩავხერგეთ ხევი,
გზა ყოველმხრივ მოჭრილია უკან დასახევი.
მტერს, რომ ზურგი შეაქციოს, ვის მოუვა აზრად?!.
სიკვდილი ან გამარჯვება, არ არსებობს სხვა გზა!..
უცებ მტერი აჩოჩქოლდა, რადგან ნათლად ხედავს,
თავის მხარეს გადმომავალ ორას ქართველ მხედარს.
მცირე რაზმი ურიცხვ ლაშქარს ვერ მოუტანს ზიანს,
გზას უხსნიან, რადგან მოსულთ მოღალატედ თვლიან.
მტრის რიგებში შეაღწიეს ქართველებმა ოდეს,
იძრეს ხმლები, ხერხს მიმართეს ყოვლად მოულოდნელს.
სასიკვდილოდ განწირული, ძალა ერთი მუჭა,
ჯარს ყივილით დაეძგერა, ღვიძლს შიგნიდან უჭამს;
და იმავ წამს ქართველებმა სცეს საომარ ბუკთა,
დაბნეული შეტორტმანდა ჯარი თურქ-სელჩუკთა.
დაძრა ცხენი დავით მეფემ, ურყეველმა გულით,
სმენას ბზარავს ყიჟინა და ფლოქვთა თქარათქური.
ხმლები თეთრად ელვარებენ, მზეზე ჯაჭვი ბზინავს,
რკინა, ცეცხლში გაწრთობილი, ეხეთქება რკინას.
იღეჭება საჭურველი, ილეწება ძვალი,
იბრძვის დავით და ომშიაც მეფეთ მეფე არი...
თავს სწირავენ მეომრები მისაღწევად მიზნის,
იბრძვიან და ხმაურისგან ცა და მიწა იძვრის;
და ფრიადი ცემისაგან ხმალი გალღვა როცა,
მოწყდა მთიდან მხედრიონი, მტერმა გაიოცა, _
რა გრგვინვაა?! რა ზარია?!. რა ღვთის რისხვა არის?!.
ეს დემეტრე უფლისწული თავის რჩეულ ჯარით
დაეშვა და ქვა და ღორღი დაიყოლა თანა,
მომხვდურს ფერდი შეულეწა, გროვად გაიტანა.
გატყდა მტერი, ვეღარ იტევს აურაცხელ ზარალს,
იკლაკნება, ხერხემალი ისე დაებზარა.

თავს შველიან, სიცოცხლე სურს _ ჭკვიანსა თუ რეგვენს
და გარბიან, თან ერთმანეთს უმოწყალოდ სჯეგენ.
მტერს საზღვრამდე უნდა სდიონ, სული ამოჰხადონ...
ძარღვში სისხლი დაძაბუნდა, პირში ნერწყვი გაშრა
და ტფილისმა გაიგონა ქართველების ვაშა...
კვლავ ცხენდაცხენ მიჰყვებიან მეომრები პატრონს,
დავითს წამით ჩაეღიმა, არად აგდებს წვრილმანს,
რა ქარქაში კვლავ უარყო ხრმალმან დაღვლარჭნილმან.
გვირგვინოსანს ქვეშევრდომნი შეჰყურებენ რიდით,
დღეს მეფემან, მკლავმაგარმან, „ქმნა წყობანი დიდნი“.
.....
ახსოვს მამულს მტერთა ზედა ძლევა საკვირველი,
ახლაც იშრობს თურქ-სელჩუკთა სისხლს დიდგორის ველი...
მადლი იმ დღის მავანს დღემდე გულს ესობა ისრად,
მხნეობითა ქართველთა და შეწევნითა ღვთისა..
.

***

ცხოვრებამ ფიქრი როგორ მაკმაროს,
ვიდრე მარილზე წავალ აღზევანს.
ან შენ სად ლპები, ჩემო აკვანო,
რომელ მიწაში ცდილობ დარწევას?!

მაგრამ კაცისთვის სევდას ვინ მოშლის
და მიაქვს ყორანს ცამდე აყეფილს,
ისეთი გული, როგორც ღვინოში
დასველებული პურის ნატეხი.

***

თუმც სევდა შენი სიშორის
მკლავს და ცხოვრებაც გაცუდდა,
ვინც მოინდომებს _ იშოვის,
სულ ცოტას მაინც, რაც უნდა.

აქ ვისაც ცრემლი გაუშრა,
ყველამ მიჰყიდა სიყალბეს.
მას, ვინც იკადრებს_ „რა უშავს“,
„ვაი, მას“, _ ვინც ვერ იკადრებს.

***

კოტე ნინიკაშვილს

ეს ცხოვრება, ალბათ, სიზმარს ჰგავდა,
სხვამ თუ არა, თქვენ ხომ კარგად იცით,
სპექტაკლის წინ თუ იხსნება ფარდა,
ბოლოს უნდა დაიხუროს ისიც.
დრო მკაცრია, ბევრს არაფერს გაცლის,
თუმცა მასთან შეგუება არ გსურთ,
თქვენ იმდენი სათაყვანო კაცის
ისტორია გამოსტაცეთ წარსულს.
ალბათ, ერთად თავმოყრილი წლები,
როგორ ითხოვს სიყმაწვილის სითბოს,
მაგრამ საქმის ერთგული რომ რჩებით,
უმთავრესი სხვა რა უნდა იყოს?!
დრო ცდილობს და კარგს ვერაფერს კარგავს,
სხვამ თუ არა, თქვენ ხომ მაინც იცით,
სპექტაკლის წინ თუ იხსნება ფარდა,
ბოლოს უნდა დაიხუროს ისიც.

ის დღეები

ჯერ აყმუვლდა ჩვენი ცუგა,
დაემგვანა კატა გორგალს,
მერე დედა გახდა ცუდად,
ჩაწვა, მაგრამ ვერ წამოდგა.

ღრძილს მიჭრიდა მაშინ კბილი,
უფრო სათნო მქონდა გული.
წუხდა დედა და ექიმი
თავს აქნევდა სინანულით.

მერე იყო თეთრი დილა...
მე დედასთან ვიდექ ახლოს.
ციოდა და თოვდა წვრილად...
ის დღეები თეთრი მახსოვს...

ძლივს ვახელდი შემკრთალ თვალებს
და ვიხდიდი რაღაც სახადს.
მერე დედა წაიყვანეს
და იმ დღიდან არ მინახავს.

იზა შუბითიძე

* * *

შენ სთქვი-სუსტიაო ქალი,
ცრემლი როცა მედგა თვალში,
სამშობლოს სინდისია იგი,
დედაა ძლიერი მასში.
შენ სთქვი-სუსტიაო ქალი,
ალბათ არ მიცნობდი მაშინ,
გულზე საქართველო მენთო
და მკერდს მიდაღავდნენ შანთით.
არ სთქვა – სუსტიაო ქალი,
ალბათ არ გინახავს,როცა-
ყველამ მიატოვა ღმერთი,
დედამ ამჯობინა მოცდა.
არ სთქვა სუსტიაო ქალი,
ცრემლი თუ შემნიშნე თვალში,
და როცა ჩემს გვერდით შენ ხარ...
სუსტი მინდა ვიყო მაშინ.....
.....
უფალი მარცვლებს საყანედ გვეძებს
დაცლილ ქალაქში თარეშობს ქარი,
მოაქვს სურნელი ჭირთა თმენისა,
ვით წარსულიდან ომახიანი
ამოძახილი წინაპრებისა:
მე ვიყავ ხურო, მე ვკაფე ტევრი,
მე ვიყავ, მკერდი რომ დამიშანთეს,
მიმტვრიეს კარი, მიგინეს ჯიში,
მაგრამ უფლის გზა ვერ მომიშალეს.
მე ვიყავ დედა, მე ვიყავ შვილი,
მე ვიყავ მიწა ქოხის ერდოზე,
და სიცოცხლის ხე, მტევნით შეკრული,
მუდამ შრიალებს ქართულ მდელოზე.
დაცლილ ქალაქში თარეშობს ქარი,
და დაატარებს იმედს, ჟინიანს,
უფალი მარცვლებს საყანედ გვეძებს,
ადამიანო, ნუ გეშინია.

უნდობი ქუჩა

აგვისტოს ეცვა ხორბლისფერი ისევ პერანგი,
თავთავს მზის სხივის დანაკოცნი ღაწვი ეწვოდა,
როგორც დიდი ხნის ჩამქრალ თვალებს უტყვი ცრემლები,
წვიმიან ღამეს სინანული ისე სდიოდა.
ამღვრეულ თვალებს ვერ ამშვიდებს ღამის სიგრილე
და მარტოობის საათები წამებს ითვლიან,
აუღელვებლად გავუყვები ეჭვიან ქუჩას,
სადაც სიყვარულს უეჭველად ბოდვად გითვლიან.
აგვისტო იცმევს გამჭვირვალე,ხორბლისფერ პერანგს
და სევდიანი ისევ დგება ღამე უმთვარო,
უნდობი ქუჩის თუ მომიწევს ისევე გავლა,
შენ მაინც ნუღარ მიმატოვებ, ჩემო უფალო!

...
წლები არა ჰგავს ირმებს,
მიჰქრიან და ვერ ესვრი,
ხომ უნდა ვიყო ვინმე,
რაკი ამოვთქვი ლექსი.
ქარში სტვენს მუზის შოლტი,
მეჩურჩულება თითქოს :
-რაც ფიქრთა ველზე ძოვდი,
რად ვერ მიეცი სტრიქონს?
ღმერთს შეავედრე ცრემლით,
ზეცაც შეგაწევს ექოს,
რომ შენი ლექსი, ვრცელი,
საფლავს იქითაც გეყოს.

***

უწინდებურად ლაღი აღარ ვარ,
უწინ სხვაგვარად ჰქროდნენ ქარები,
წლებმა გულიდან სისხლი დაღვარა,
შემომაძარცვა რკინის ძალები.
მაშინ? ჰო, მაშინ, დედამიწაზე,
სხვაგვარად რეკდნენ ცისკრის ზარები,
შენ იყავ გული - სურვილით სავსე,
მე - ,,ძოწ-ლალ- ბაგე შემაზარები“.
მე ზღვა ვიყავი, სავსე პირთამდი,
ვიყავ მფლობელი უთვალავ განძის,
შენ - სიყვარულის ზღვაში მყვინთავი,
არად აგდებდი ჩემამდე მანძილს.
და ვიღვრებოდით ზეცის ფანჯრიდან,
იასამნისფერ ლამაზ ფიქრებად,
ვიბადებოდით მერე ახლიდან,
ლექსის უზადო მარგალიტებად.
ჩვენ მივდიოდით ცისფერ სილაზე
და გვირილების მიგვქონდა გზები...
მაშინ? ჰო, მაშინ დედამიწაზე,
რაღაც სხვაგვარად ღელავდნენ ზღვები.

მახსოვს

მახსოვს წვიმა და მაისის ზეცა,
ცაცხვის ხე - ჩვენი გრძნობების ქოლგა,
სხეულზე თეთრი ლაბადა მეცვა
და სიყვარულის ქარიშხლად ჰქროდა.
დიდი ხანია ჩამდგარა ქარი,
შენი ღიმილი მახსოვს და მნუსხავს,
მე კი - პირველი ტრფობის მძევალი,
შენ გეძებდი და წავაწყდი სულ სხვას.
მახსოვს წვიმდა და მაისის ზეცას,
დააჩნდი მთვარის ვერცხლის გამებად,
ისევ მოთეთრო ლაბადა ეცვა
ჩემს უკანასკნელ შემოღამებას.

***
მიყვარს სითბო და გაზაფხულზე იის სურნელი,
ვეტრფი ჩემს ბაღში აყვავებულ ატმის ყვავილებს,
მზის შვილი ვარ და სხივს ჩამოვყევ დედამიწაზე
და ფიფქებს როგორ შევერიე – მე ეს მაკვირვებს...

ქალის სიყვარული ზეცის მაღაროა

პასუხს ვეღარ მოსთხოვ დილას "ნაგრძელღამევს",
ბედი გაწვართული ილტვის თავის გზაზე,
ქალის სიყვარული - ზეცის მაღაროა,
მარად მზის მადანით სავსე.
სიყვარული, ღმერთო, ეს რა დაგვანათლე,
სანუკვარი, მაგრამ თვით სიკვდილზე ძნელი,
ნატვრით ანანთებარს ვუცქერ ჩამქრალ სანთლებს,
გაციებულ სანთლებს და სიცივე მღერის.
ხელებს იმტვრევს, კვნესის, გმინავს პოეზია,
ბედი სინანულით ილტვის თავის გზაზე,
ქალის სიყვარული - ზეცის მაღაროა,
მარად მზის მადანით სავსე...
.....
ოდესმე ფიქრი მოგწვდება ჩემი
და აღარასდროს დაგტოვებს მარტო,
სულში იმედად დარჩენილ დღეებს,
მხოლოდ და მხოლოდ ისევ მე მანდობ.
იასამნების ყვავილობამდე,
ლოდინით სავსე წუთები დაგღლის,
გაგახსენებენ ჭადრები კვლავაც
ჩვენი შეხვედრის შეუცვლელ ადგილს.
ოდესმე ფიქრი მოგწვდება ჩემი,
გაგახსენდება ბაგე - ნაკოცნი,
სულში იმედად დარჩენილ დღეებს,
გაუფრთხილდი და ნუღარ გამოცდი..
.....
მთების ამაყო ყვავილო
ცისფერთვალება კესანე,
გზად რად შემომხვდი ,ლამაზო
ამ გვიან, შენი კვნესა მე...
ან აქ რამ ამოგიყვანა,
გაგსვრიან,გადაგთელავენ,
წყარომ ვერსაით გიპოვნა,
ღრუბლებიც შენზე ღელავენ.
იცოდი ვერ გაგიგებდნენ,
იცოდი გეტკინებოდა,
იცოდი დაგივიწყებდნენ,
და.... მაინც გეღიმებოდა.
მოგწყვეტენ,არ დაგინდობენ,
მოგაცილებენ ღეროსა,
ყველას მანამდე უყვარხარ,
სანამ ამშვენებ მდელოსა...

აღარ მომძებნოთ, მე ვრჩები მათთან

საღამო სავსე ლურჯი ოცნებით,
ნიავი ანცი,ცოტა სულელი,
გაზაფხული კი უკრავდა მოცარტს
და იასამნის იდგა სურნელი.
ტყემლის ტოტებზე სკდებოდა კვირტი,
პირველ სიყვარულს დანებებოდა,
უღმერთოსავით ის იყო მშვიდი,
სანამდე ცოდვა დაედებოდა.
და ღამემ როცა შეიკრა წარბი,
კვლავ ახმაურდა სიჩუმე ჩემში,
ვერშეკავებულ ცრემლების მსგავსად,
გულსაც მოაწვა გრძნობების თქეში.
გათენდა და მზემ ცის კაბადონზე,
დაღლილი სული ამოიტანა,
გზაზე აპრილი წამომეწია,
და განაჩენი გამომიტანა.
.....
ვაითუ აქ დარჩეს
სარკმელში თავი შემოჰყო ღამემ,
წვიმის წვეთებიც მოიყოლა,
შემიფარეო.....გენაცვალე....
მეშინიაო - მოიგონა.
უნდა ვუმასპინძლო, სხვა რა გზაა,
ჩაიც შევთავაზო - სტუმარია,
თანაც თვალს მარიდებს, მაგრამ ვიცი
ჩემი მარტოობა უხარი,.
ისე ეშმაკურად ნაბავს თვალებს,
თითქოს მართლა რამის ეშინია,
ვაითუ აქ დარჩეს და ჩამისახლდეს..?
მეშინია.....

ხათუნა ჩიტაძე

სვანეთი
(მესტიაში)

ეს საოცარი მოკითხვა
მთების, ამ ჭრელი ველების,
არც ისე შორი ყოფილხარ,
თუმც მოგირბინე სვენებით.
მთათა სიუხვე მაკვირვებს,
მინდვრის ყვავილთა ხალები,
უსწორ-მასწორო კლდეები,
უძინარი მზის თვალები!
როგორ გამითბე სულის ცა
და სიყვარული შთამბერე,
ამიბობოქრე სულიცა,
ზღაპრული სიო დამბერე.
ფეხს რბილად გადგამ გულ-მკერდზე,
რამე მანდ არა თქვა ბრაზითა!
შემყვარებიხარ დღე-დღეზე,
აწ სულ შენთან ვარ აზრითა!
მომენატრები უცილოდ,
რა მომასვენებს აწი მე,
ეგ ლოცვა არ ამაცილო,
სულ ერთი ნახვით გამწირე!
ხმა მესმის შენი მდინარის,
გრიალი ქარის, მეხისა!
ხარ სიტკბო ქვეყნის მთებისა
და ტრფობა ჩემი ლექსისა!

2015წ.

ციცინათელა

გაზაფხულდა და სულის მაისებს,
შემოეჩვია ცისა ნათება,
ზეცა ვარსკვლავით პეშვებს აივსებს,
მიწას მოქარგავს ციცინათელა!
ტრფობამ მასწავლა ღამის გათევა,
მისმა ციალმა სევდა გათელა.
სულის სამშვენი – ღამის ნათელა,
ხელის გულს მიზის ციცინათელა!

2015წ.

ჩვენ

ზღვაში ორი მზე განაობს,
ცაზე ღვთიური მზე მღერის,
დილა ოცნებით ქანაობს,
პატარა ბიჭს ხმა აქვს ბელის,
მთაში მთვარე აძინებს შვილს,
ბუთქუნას, ცისკრის ვარსკვლავსა,
მე კი ისევ ლოცვით გავშლი,
ჩემი მომავლის კარავსა!
უფროს ვარსკვლავბიჭუნასა,
მოუმრავლდა საქმე-რბენა,
გზას გავყურებ, მოდის სიო,
ჩქარობს, – ჩემი გულის ზენა.
დედამიწა გვარდში მიდგას,
დასაგამით ამ წამ-დღემდე,
ის ზღვა, ზეცა და მთა მიყვარს,
მინდა რითმით ნათელს ვფენდე –
ჩემი სულის ლაჟვარდებში
მანათობელ ბედის ელვას,
ლოცვას ვგალობ,
ლურჯ ღრუბლებში
ლექსსა ვწერ და ისევ ვღელავ!
ზღვაში ხუთი მზე განაობს,
ხუთი ცისკრის ვარსკვლავია,
ჩემი ცხოვრება ნანაობს,
ცხადია თუ ზღაპარია!

2015წ.

მდგომარეობა

სიცხიან ავზში ახლა ვნებები
ძილისპირულებს სულ არ აპირებს,
მზესთან ვეშვები,
მერე ვნებდები,
და ვკოცნი წითელ სულის ნაპირებს.
გარეთ ქვეყანა, როგორც ჩიკორი,
ისე ბზრიალებს, სევდა წკრიალებს,
და ვფიქრობ, როგორ გავაღო კარი,
პასუხი გავცე უცღმრთო ტიალებს!
თუმც სულაც არ ღირს... ადამ-ევადან,
ჩემს სამყოფელში მშვიდი სფერია,
გარეთ სიბნელე სივრცეს ისრუტავს,
ჩემთან კი ლბილი, თბილი ჩერია.
ქაოსი თითქოს ლეწავს კარიბჭეს,
დარდი მოდის და იპყრობს ზმანებას,
გონება დარდს კი არას ანიჭებს,
ისევ მარცხდება!
მერე ხარება!....
ვერ მერევიან!
დასაბამიდან,
მე, მოზაიკის, ვსწავლობ აწყობას,
მხოლოდ ფერადის!
მხოლოდ ჟღერადის
და ბილიკების თეთრით გაწყობას.
საღამოს სიცხის ნისლი მოცურავს,
მხოლოდ ნისლია,
მხოლოდ მისია
მახსოვს!
სულ მახსოვს...
ვისაც არ ახსოვს,
სევდა და დარდი სწორედ მისია!
ჩემს ჩეროში კი მადლი ელვარებს!
გრძნობაც!
იმედიც!
და ძლიერებაც!
სიყვარულისთვის ვპოვებ ყველაფერს,
და ასე მოდის ბედნიერება!
სიცხიან ავზში ახლა ვნებები,
ძილისპირულებს სულ არ აპირებს...

2015 წ

ეგონა

სამყარო!
ეს დიდი თეატრი!
იქ, სადაც ოცნება ყანდდება!
ვერ ვუძლებ ვერაფრით მე ამ „მიქსს“
და გული მცირე ხნით ქვავდება.
ხანდახან სულ ცოტაც მახარებს,
ხანდახან სულ მცირეც ხიჭვია
და ის ბუმერანგიც ახანებს...
მითია!
ყოველი მითია!
მე მაინც ოცნების მჯეროდა,
ნეტავი რა გულით ვიწამე!
ზაფხულის სილაღე გელოდა,
მერე გაწბილება ვისწავლე!
სამყარო!
შეშლილი თეატრი!
ვინ-მარიონეტი, ეული,
ეგონა-რომ იყო რჩეული,
ეგონა...

2015 წ

ციცინათელების ღამე

პაწაწინა მათრობელას,
ქართლის გულში უდევს ბინა,
ციცინათელას, მნათობელს,
კარს ვუღებ და ვუშვებ შინა.
ჩემი გულის სამშვენისი,
მარგალიტი რომ ხარ ღამის,
ვინც იპოვის, მას შვენისო,
უიმისოდ ვერ ძლებს წამით!
მოდი, ჩამებნიე თმაში,
ახალისე ტრფობის არე,
ჩუმი კრძალვით მიხმობს ქარში,
ციცინათელების ღამე!

2015წ.

ზვრე 2015 წ

***

ოცნების ფერები აისხა ბუნებამ!
მზის სხივი დასახლდა ჩვენს შორის, მიწაზე!
ნეტავი შეგვეძლოს მზესთან დაბრუნება,
ამ ფიქრთან ჭიდილში რა აღარ ვიწამე!

2015წ

მალვინა ჭელიძე

დროსთან ჭიდილი

არც არასდროს მძულებია,
არც მიყვარდა არასდროს,
თუმცა მისთვის სულერთია
დარდი როდის დაგათოვს.
არც არასდროს მიფიქრია
მასთან ბრძოლა ჭიდილი,
ვეფერები ჭადრის ტოტებს
დროს, გარდასულს, მივსტირი.
მიუსაფარ ტკივილებთან
ქარმა გაიჯეჯილა...
არ ვიცოდი უთქვენობით
მეცინა თუ მეტირა.
ღმერთი გახდა საფიცარი,
ჩემი თავშესაფარი,
სიცრუის და ბოროტების
მოვისმინე ზღაპარიც...
სიო არხევს ჭადრის ტოტებს,
და მეც ამიყოლია,
დავაღწიო თავი ფიქრებს
რაღაც, არამგონია?!
სხვისი დარდით ბედნიერი
ბევრი გამიგონია,
უბედური თვითონ არის
სულში ეშმა ჰყოლია.
ღმერთო, ისევ შეანელე
ირგვლივ სუსხის თარეში,
მზის სხივებით მიმობნეულ
ირგვლივ, არემარეში.
მთვარეს ისევ მოციმციმე
ვარსკვლავები არტყია,
უფლის გზაზე მიმავალი
ეგებება განთიადს...
დროს, რომელსაც დარდი მართავს,
სევდამ აიყოლია,
რომ მიყვარდეს თქვენზე ძლიერ,
ვინმე? არამგონია!
შეიცვალა წლებმა მხარი,
თითქოს ფერი იცვალა,
მზის უბეში შეყუჟული
სევდა გარდაიცვალა?!

ცხრა თვის წინ დაკარგა დედა...

ვერ დაივიწყა მან დედამისი (ლარა)
მის ხსენებაზე ტირის და ოხრავს,
ორჯერ ინფარქტი გადაიტანე,
ჩემო პატარავ, შენ დარდი მოგკლავს.
გაოცებული ვყურებ ხოლმე,
როგორ ვუწოდო მე მას ცხოველი,
ყველა ქალში რომ დედამის ეძებს,
ქუჩას გაჰყურებს ისევ მოელის.
რამდენჯერ ნახა სხვაში მსგავსება,
უყეფს შორიდან აწკმუტუნდება,
მეკითხებიან ავი ძაღლია?
ან მისი მოვლა არ გიძნელდებათ?
მე მერიდება ძაღლი უწოდო,
რას ამბობთ ძალზე ღვთისნიერია,
თქვენ ვარცხნილობით დედამის გევხართ,
თქვენი თმის ფერიც მისი ფერია.
მეორეს ვუხსნი, თქვენ ტანად გევხართ,
ძალიან დიდი არის მსგავსება,
გთხოვთ მიესალმოთ და მოეფეროთ
და ტკივილებიც გაუქარწყლდება.
დედამის ჰყავდა თეთრი მანქანა,
მსგავსი თუ ნახა გაეკიდება,
როცა საჭესთან ლარას ვერ ხედავს
თვალცრემლიანი მომიბრუნდება.
  მე ვეფერები როგორც პატარას,
როგორც დედა ჩვილს მოეფერება,
  მე მასზე დარდმა ისე დამღალა
მას უჩემობაც გაუჭირდება.
ის ვერ მეტყველებს ,მაგრამ მას ესმის,
ვესაუბრები როგორც მეგობარს,
მისგან შორს არის შუღლი და გესლი
მისი სიკეთე საგზალად ეყოფა.
ის აღარ არის, რაც იყო გუშინ,
გული აწუხებს, გული ძალიან...
  ეს ტკივილები გაუსაძლისი
მონატრების და დედის ბრალია.
არცერთი წუთით არ მიგატოვებ,
შენთან ვიქნები დღესაც და ხვალაც,
არ გაგრძნობინებ ჯოო, სიმარტოვეს,
ჩვენ მეგობრებად დავრჩებით მარად!
ჩემო პატარავ რა სიყვარული,
რა ერთგულება, ძაღლებს სცოდნიათ,
არც არაფერი მინახავს მსგავსი,
არც არაფერი გამიგონია!

***

მეოცნებე ქალის გულმა,
ღამე სად არ იარა,
ხან, ზეცაში დაფრინავდა,
ხან ძირს იხოხიალა.
მაჯისცემას აყოლილი
თითქოს სუნთქვა ეკვროდა,
სიმშვიდისკენ მიილტვოდა,
ერთგულებას ეტრფოდა.
და მოწყენილს დარდის სკვერში
სევდა მკლავზე ეწვინა,
მასთან მშვიდად ნებივრობდა,
მასთან მშვიდად ეძინა.
ეს დროებაც უმართავი,
დაჰყვებოდა აჩრდილად,
ერთგულება გადაიქცა
თითქოს დროდ და მანძილად.
გული სანთლად ანთებული,
მოგონილი სიმშვიდით,
ნაბიჯ -ნაბიჯ დაჰყვებოდა,
სიკაშკაშით ....სიწმინდით…
უსამართლოდ მიყენებულ
ტკივილებზე დაობდა,
ის მე მეპაიქრებოდა,
ღამე მასზე ჯავრობდა.
გულო ჩემო, განსაცდელი
თუკი შემოგეყარა,
გაყუჩდი და გაირინდე
ნუ შეჰყარე ქვეყანა.
მინდა ისე ჩაგიხუტო
ჩემო ტკბილო, ნეტარო,
არც ერთ გზაზე უგულობას
არსად გადაეყარო.
გულო, დარდებ შეპარულო
მოვლენილო წვიმებად,
ყველა წრფელი სიყვარული,
შენგან მოედინება.
გულზე ჯვარი დაიბნიე
ჯვარი, უფლის ნაკურთხი,
საიმედო სურვილებით,
იოცნებე, გაყუჩდი.
გულო, ჩემო სიყვარულო,
ერთგულების ნექტარო,
გიფრთხილდები ბოროტებას
რომ არ გადაეყარო .
გულო, ჩემო საიმედოვ,
დარდი შენი მტერია,
ბევრჯერ გაგიხარია და
ხშირად ბევრი გწყენია.
გეწეოდეს უფლის მადლი,
ჯვარი, უფლის ნაკურთხი,
სიკეთისთვის მოვლენილო
მხნედ იყავი, გაყუჩდი!!!

* * *

რაღაც უცნაურად წვიმდა,
თითქოს ამოვარდა ქარიც,
ქუჩას მიუყვება დინჯად,
ბედთან მომღიმარი ქალი.
გზაზე მიიკვლევდა მარტო,
ქალი, ანგელოზის მზერა,
წვიმა უსველებდა ფიქრებს,
ქალი ლერწმის ტანა ქერა.
წვიმამ დაუსველა კაბა...
ქარმა აუწეწა თმები
მე კი მისი ჯავრი დამყვა
ვაი თუ აებნია გზები.
წვიმამ გადაიღო უცებ
უცებ ქარიშხალი ჩადგა
ქალი დაუბრუნდა წარსულს...
დარდიც ბილიკებხე გაცვთა.

არჩილ ჭოველიძე

ჩემი ძარწემი

მიხმობს, მეძახის, ჩემი ძარწემი,
ერთ დროს ძლიერი კირით ნაგები....
მე მიძახიან ჩემი პაპები,
ჩემი ფესვები, დიდი ტაძრები.
სალით ქვით ნაშენს,
ჩემს კოხტა ძარწემს,
მრავალ ჭირის და
გმირის გამზრდელი
ქათველი დედა,
იქ, აკვანს არწევს,
გმირებს უნთიათ წმინდა
კანდეილი.
იქ, გაიჭრება ჩემი საფლავიც,
სად, მამა-პაპის ძვლები მარხია...
იქ, მელის ჩემი მამა-პაპანი
ნაფეხურები მიწას ატყვია!

სიზმარი

ერთხელ სიზმარში გიხილე,
ლექსს გიკითხავდი კარგო...
არ გაგიტაცო, იფრთხილე,
გულზე არ დაგიქარგო.
შენზე ვლოცულობ, გოგოვ და...
ფიქრით ვათენებ ღამეს,
გულში გრძნობა მაქვს ვერ გბედავ....
ეგებ შენ მითხრა რამე.
შენა ხარ, ჩემი მუზა და...
შენზე ფიქრები მართობს,
გულში ჩაგიშვებ ღუზად და...
მცივა და მსურს გამათბო.
ჩემი ეს ლექსი წრფელია,
ვით სანთლის ალის ბრიალი
გოგოვ, თუ სხვებიც გელიან,
გთხოვ, ჩემსკე გამოტრიალდი!

ლექსების წერა

ლექსების წერა მასწავლა,
შენმა ფიქრმა და დარდმა,
შენა ხარ მზე ვით ცხრათვალა,
იქეცი გულის ვარდად.
შენა ხარ, ჩემი ზაფხული,
ჩემი ფიქრების ფერია,
ამ ჩემს გულმკერდში დაბმული,
უშენოდ ყოფნა ძნელია.

დედა

სულ შენზე ვფიქრობ, თითქოსდა გხედავ,
ჩემო ლამაზო, ძვირფასო დედა.
შენ სხვანაირი გქონდა ხედვა და...
შენი თვალები მხსნელად დამდევდა.
რამდენი ღამე ათენე ჩემთვის,
რამდენჯერ თეთრად დაგთენებია,
რა ბედნიერი ვიყავი შენთან,
თმა ჩემს აღზარდაში გაგთეთრებია.
რაც გაზაფხულზე ია ამოვა,
დავკრიფავ, ყველას შენთან მოვიტან,
ღამის სიზმარში მჯერა რომ მოხვალ,
ამ მოლოდინში დროსაც გავიყვან.
შენთვის ვილოცებ, ძვირფასო დედა,
შენს სურნელს აფრქვევს ეზოს ვარდები ...
დღისით და ღამით შენს სახელს ვხედავ,
ახლა ლექსს ვანდე, გულში ნადები!

* * *

მე მახსენდება ჩემი ხეობა
და იმ კუთხეში დიდი დღეობა.
მე მენატრება ჩემი ქუჩები
გამტანობა და ერთად მეობა.
ჩემი სამშობლო მარტო გულია
და ქართველ კაცში არის მეობა,
თუ დღეს სამშობლო დაჩაგრულია
შევინარჩუნოთ მაინც მხნეობა.

მზის სხივი

ჩემთვის შენა ხარ მზის სხივი,
ამიმზიანე სამყარო,
გთხოვ, ნუ იქნები გულცივი,
ჩემი გრძნობების მაყარო.
შენი ღიმილით ვსუნთქავ და...
შენს დანახვაზე, თავბრუ მეხვევა,
მიყვარხარ კარგო, მიყვარხარ,
ფიქრიც შენ გადაგეხვევა.

* * *

მე არ ვიქნები არცა მგოსანი
და არც მართალი კაცთა მორალის
რომ არ დავწერო ჩემი ტკივილი
რადგან მშვიდობა ისევ შორს არის.

ეჰ, დაგვიკარგავს ჩვენ აფხაზეთი,
ჩვენი ცხინვალი და სამაჩაბლო,
დამეჩაგრები ჩემო სამშობლოვ
მტრისგან ნაჯიჯგნო და ნათელო

ნუ გეშინია არ დაეცემა
სამშობლოს მცველნი ვაჟკაცნი მგლები,
ჩამოვირეცხოთ სირცხვილის წლები
და კვლავ აღსდგება დიდება ძველი.

წარსული თამარის წლებია,
დიდება გმირების სამშობლოს.
ერთგულებაა მთავარი,
ერო ტკივილით ნაშობო.

სოფოს

სოფო, სოფო, სოფიკო,
მზეო, ჩემთვის მოსულო,
ერთხელ მაინც გამიღიმე,
ხომ ხედავ, რომ ვცოდვილობ.

ღმერთს ვთხოვ, რომ შემიყვარო,
გხედავ და მიხარია,
გულში შემომიყვანო,
გრძნობამ ამრი-დამრია.

შეგხედავ და ვივსები,
გულში დამრჩი მუდმივად.
გთხოვ, ნუ გაესხვისები,
თუ, ხოს მეტყვი მოვდივარ.

ლია ჯავახიშვილი

დატკბი

ჩამესმის დილით მერცხლის ჭიკჭიკი
და ვგრძნობ სიცოცხლე საამურია,
გადამითქერავს ჩოქვით ბილიკი
ცხოვრების გზაზე
რაც კი მივლია.
მინდა ჩამხედონ მომაკვდავს სულში
თუ კი შემომრჩა
სუფთა კაკალი,
ცხოვრების ყვითელ ორომტრიალში
არ დამეწყება შიშის კანკალი.
ყველა ცდუნება,
სულის მტეხელი,
მაქვს ფუფუნება
დარჩეს წარსულში,
ბოლომდე გავყვე
თავაწეული,
დაგდებულ ბილიკს ჭრელ ყვავილნარში.
და სულ ახალი მოდის და მოდის,
სიცოცხლე ბრუნავს აქვს თავის ღერძი,
დატკბი ყოველ წამს იმით რაც არის,
სიკვდილს ყოველთვის სიცოცხლე ებრძვის!

* * *

ჩემიდან შენამდე
ისეთი შორია,
ჩვენ შორის ზღვაა, მთები და ცა.
გული კი შენსკენ ისე მოისწრაფის
მიზიდავს სიყვარულის უფსკერო ჭა.
შენიდან ჩემამდე მართლაც და შორია,
მანძილი, დრო და კრძალვა
სიყვარულს სჭირდება უჭკნობი ფერები,
მზის სხივთა ფერების გამა.

თავისუფლება

გარიჟრაჟს შევხვდი ისევ იმედით,
გამოვუკეტე სევდას კარები
და შენ სამყარო ერთ წუთას მაინც,
მიერთგულე და მოგესალმები.
წუთი წუთს მისდევს ცხოვრება მიდის
არ უნდა ჩაწყდეს ჯაჭვის გორგალი,
შთამომავლობას გადაეცემა
გენებით შენი ნაცოდვილარი.
ვინ ხარ,საიდან,გვარი სახელი,
ეს ყველაფერი კოდში წერია
ქართველი ვარ და ყველამ იცოდეს
თავისუფლება სულსა სწყურია.

ხანდახან ვუღიმი სიცოცხლეს,

ბევრჯერ კი გავდივარ ზონიდან,
ცხოვრების უწესო წესებით
თამაშობს ხალხი და წონიან.
__ზოგი მართლაცდა თამაშობს,
ბევრს უჭირს აზიდოს ჭაპანი,
სიმართლის მთქმელი ცოტაა
რადგან მოხვდება მათრახი.
____ იქნებ გათენდეს როდისმე
მშრომელთ დაუდგეს საშველი,
პატიოსნებით ნაშოვნი,
დღის ბოლომდეა სამყოფი.
ხანდახან ვეტრფი სიცოცხლეს,
ხან მათხოვრობაც არ მინდა,
ვცოცხლობ და ვერას ვთამაშობ
და ემიგრანტი ვაგდივარ.
20/8/2021წ.

მიზანი

ვეძებ, ვეძებ და ვკრებავ,
როგორც ვარსკვლავებს ცაზე,
მინდა შევაქუჩო ერთად,
ნამსხვრევად ქცეული ღამე.
ჯიუტად ვეძებ და ვკრებავ
პატარ პატარა წამებს,
როგორ ბჭყვრიალებს ხედავთ?
უიღბლო ცხოვრების სარკე.
როგორ გადამწვარა ირგვლივ,
სადაც გამივლია გზაზე,
სიკვდილს შევებრძოლო უნდა,
სიცოცხლე მივანიჭო მთვარეს.
მერე გადავიხსნა მკერდი
ნატყვიარები რომ მიჩანს,
აღარ გაგიფრინდე დედი
აქვე მივაღწიო მიზანს!
2021წ.21 ივლისი.

ემიგრანტის სევდა

მერე რა რომ წუთებს მიაქვს წლები,
მერე რა რომ ვერ გავზარდე შვილი,
მერე რა რომ გამქცევია წლები,
მერე რა რომ გამითეთრდა სისხლი.
__მერე რა რომ ვეღარა ვცნობ ბადიშს,
ეკრანიდან სულ პატარებს ვხედავ,
მერე რა რომ თუკი დავბრუნდები
ღიმილით ვერ დამიხვდება დედა.
____მერე რა რომ საზღვარს იქით დარჩა
ოჯახი და სამეზობლო ყანის,
ნატვრაში რომ დაიღალა სული,
მერე რა რომ შევიშალე ლამის.
____მერე რა რომ აქ გაჩერდეს გული,
ვინმე ტყუის? უკაცრავად თქვენთან,
შენი ნებით გაიქეცი, გელით
ემიგრანტი საყვედურებს ბედავ?
__მერე რა რომ ნატვრად. გადამექცა
კვლავ ვიხილო ჩემი საქართველო!
ჩვენ ხომ დიდი ვალი გვაწევს მხრებზე
თქვენ იყავით კარგად ჩვენო ხალხო!

29/6/2021 წ.

* * *

ახლა ჩემს გულში ქარიშხალია,
ძლიერ მახეთქებს გრძნობის ნაპირებს,
აღარც კი მახსოვს
თბილი დღეები,
სიცარიელე მკლავს და მატირებს.
სიცარიელე სულშია მგუდავს,
ვისი ვიწამო,ვის დავუჯერო,
ცხოვრება ჩვენი უფრო გვარწმუნებს,
გადასხვაფერდა მთელი სამყარო.
სულეთის ფერიც შემოიძარცვა,
სიტყვებს სიყვარულის აღარ აქვს ნდობა,
მისაკუთრება სხვისი გონების,
აღარ სჭირდებათ სიწმინდის წვდომა.
ვებრძოლო მაცდურს,სიკეთეს ვუხმო,
იქნებ ცხოვრება წავიდეს წაღმა
ეგების შევწვდე დიად საწადელს,
ფერად სიყვარულს გავუშვებ გაღმა.

მომნატრებიხარ სამშობლოვ

____ჩამავალი მზის სხივები
გულს ირიბად გაივლიან,
თითქოს დამეფერფლა სული,
ნაღდად იქეთ მეძახიან.
__ფენიქსივით აღსდგა ყველა
ფსკერზე ჩაწოლილი ვნება,
ბავშვობაში დამაბრუნა
გამიზარდა თვითშეგნება.
____სიხარული, სიყვარული
ოჯახი და შვილები,
შენთან ერთად ტრიალებს,
შენთან ავსოცირდები.
_____ მზე ზენიტში ასულა და
უხვად უშვებს გულის სითბოს,
მოგონებები აყვავდა
თაფლად დნება მათი სიტკბო.
____ქართულმა მზემ დამაბრმავოს
მისგან თუნდაც დავიფერფლო,
მაგრამ. თუ კი დავბრუნდები,,?
სულ თავიდან დავიბადო!

28/7/2021წ.

ვიხილე

განთიადისას დილას,
ვიხილე ხილვა წამით,
ჯერ კიდევ მგლისფერ ცაზე,
გარდმოისახა ჯვარი.
ინათებს, სხივი კიაფობს,
სულში იმედი მეფობს,
შენს ძალას ვერვინ ჩრდილავს,
ერთად ერთი ხარ ღმერთო.
აგვისტო არის მწველი
კმარა ვაი და კვნესა,
თმენით და ლოცვით დავხვდეთ,
დედა ღვთის მობრძანდება!
ზეციურ ცის კალთაზე
ბრწყინავს, ჯვარია თეთრი,
ყველა განსაცდელი წავა,
ვიწამოთ ქრისტე ღმერთი!

10/8/2021წ

დედამიწა

__წუხელის ორჯერ ვიგრძენი,
ძლიერ დამრტყმელი ბიძგები,
__იქნება მეც გამიფრთხილდეთ,
თორემ გადავსკდი, ვიხვრჩები.
____ ვერვის პატრონობთ, ვერ შველით?
უბე გამივსეთ გვამებით,
დედებს შვილებით მიგზავნით
მომავალს მიკლავთ წამებით.
___ ვინ გაბოროტდა ასეთი, რომ
ვერ ამოსდეთ ლაგამი,
ანგელოზებით გაივსო
ჩემი უბე და საცავი.
____დედა ვარ, დედამიწა ვარ,
მეცა მაქვს დედის გონება,
მინდა გარჩინოთ, გაპუროთ,
თანაბრად გავყოთ ქონება.
____ გონს მოდით: უნდა შეჩერდეს
თვალუხილავი ჯალათი,
თორემ გასკდება გული და
აღარ დარჩება არავინ.
____ გადავვარდები ღერძიდან,
თუ სამართალი არ არის
ვინც ახლა მაღლა დაფრინავს,
ჩაენარცხება მარადისს.
____ ქვესკნელში ჩაიმარხება
აღარ დარჩება ბადალი,
დედა ვარ, დედამიწა ვარ,
ვეძებ ვიპოვნო წამალი!

17/8/2021

გერმანე საზანოელი

****

ულამაზესო, კოხტა მუზა გქვია მგოსანის
და გადავმარცვლოთ სიყვარულის კრიალოსანი,
ისე მიყვარხარ მზეს კოცნასაც ვეუარები,
ჩემი ლექსი ხარ, ჩემი გულის მემუარები!

****

დილაა, საწვიმრის ტკაცუნობს წვეთები,
ცაზე კი ღრუბელთა სიშავის შფოთვაა,
ვუცქერ და ჩემს თვალთა სხივებით ვერ ვთბები,
სივრცეა ისეთი როგორიც ყოფაა!

რა საწყენია

რა საწყენია როცა სხივი ხარ,
ფეხის გულიდან თმამდე მართალი,
სხვა რომ გათენდეს, მაინც ჰყივიხარ,
მსხვერპლობ სიცრუის ბრმა ანათალი.
რომ სჭირდებოდა იმიტომ არა,
მიამიტობა ამ სივრცეს ქუდად,
მაგრამ ამ ქვეყნად ივლის ტომარა,
რომ გადამალონ სიბრმავე თუნდაც.
ბოლოს კი მიჰქრი მიგაქვს იარა,
მცირე ხნით კი ხარ სატახტო ოთხთა,
დარდობ რომ ტყუილად ღმერთთან კი არა,
ყინვებთან შეძელ ბოდიშის მოხდა!

*****

პეწი უბრწყინავთ მზისგულა ლეღვებს,
კვლავ რითმის საძმოს, ალის, დუღს, კალთაც,
ლექსი ააფრქვევს ღელვას და ღელვებს,
თუმც ეულობა ქარის დუმს, ქართა .

კვლავ საალერსოდ წამობს გრაგნილიც,
ცასავით ერთვის ხმიდან , თან ხმათაც,
გულის ბუდიდან ამოვარდნილი,
ვით სიყვარული ქალის თუ ქალთა!
****

იმედი მქონდა

იმედი მქონდა რომ ღრუბელიც შემიყვარებდა,
მიალეწავდა, ოქროდასხმულ ზამთრად, ჩაგვრის რტოს,
რას ვიფიქრებდი თუ ივნისიც ჩემს სისხლს დალევდა,
თან დამდაგავდა, ისე როგორც მზის გულს, აგვისტო.
გაზაფხულს ვგავდი, რომ მჩაგრავდა, ბედი, ტიალი
და მაინც ისევ დარდიანი, შემდგომ ომიდან,
ყოველ წარსულ დღეს ისევ მსტუმრობს, ბბედის ტრფიალით
და მეც მას ვუსმენ, დაპყრობილი შემოდგომიდან!
****

****

რატომ ან რისთვის
(დიდგორობას)

რატომ ან რისთვის თავს სწირავდნენ მამა პაპანი,
მათ გზას მუქ ფერად დაჰფენოდა მელნის სისველეც,
აუ რამდენჯერ გადახდია ნამუსს საბანი,
კავკასიონიც სულ ცრემლობდა, ღმერთო მიშველე!
რატომ ან რისთვის თავს გვაწონებს დღეს ქუთაია,
ისევ ამდენი წლების შემდეგ გვმოძღვრავს დავითი,
გაზაფხულისაც არ ესმოდა თითქოს ხმა იას,
სხვა რით გველექსოს მეწარსულე, ნეტავ, რა მითით?!.
რატომ ან რისთვის ვულამაზებთ რითმებს ბასიანს,
რატომ ან რისთვის გვეგებება სიწმინდე მტკვარის,
წერდნენ, ხიდებზე ვიღაც რწმენის ითმენს, პასიანსს,
იმ სისხლიან დღეს მდინარეც კი გამხდარა კვარი.
რატომ ან რისთვის შეფერილა წითლად ყაყაჩო,
ზეცის ამაყად დააბიჯებს სიტყვაც კრწანისი!
იმიტომ არა რომ მოგვიჭრეს ფრთები ხარაჩოს
და არც ტანჯვად რომ დაგვფენოდა არეს, წვრთნა ნისლის.
რატომ ან რისთვის დაიწერა დიდი ასპინძა,
რატომ ან რისთვის დაიბადა დიდი ერეკლე,
რატომ ან რისთვის გადაედნო ასჯერ ასი ძმა,
ჩვენი ცხენები რომ ემართა უღვთოდ, მეეკლეს?
ეს ჩვენი მიწაც მარიამის დიდი ნათლული,
უნდა მზეობდეს, უნდა იდგეს, მყარად, მარადჟამს
რატომ ან რისთვის გვიგალობდა, ენა ქართული,
რატომ ან ვისთვის დაწერილა ბრძენი მარაბდა.
ნუთუ იმისთვის რომ მოვიდეს ვიღაც დიდ გონზე
და ჩვენი ტურფა გოგონები მონად აციოს,
შემდეგ ზმორებით შეიგინოს დიად დიდგორზე
და მისი წყალი ფეხნაბანი ქართლმა აქციოს?!
ხედავთ აქ როგორ მზეს გვიხატავს ზეცაც, სხვაგვარად,
აქ გავზარდეთ შოთაც, ვაჟაც, ფუნჯით ფიროსიც,
ნუ გადავცემთ, ქართველიშვილს,უცხოს, ბრმად, გვარად,
მტერი გვყოფნის, ჩრდილისაც და სანაპიროსიც.
სიტყვით ყველასთვის საჭირო ვართ, საქმით, ბრმა ერი,
დაე, მტერმაც კი, ხმალი დაჰკრას, ამ რთულ პარადოქსს,
დაე ჩვენც იქნებ ჩავისუნთქოთ, რწმენის ჰაერი,
დაე გაბრწყინდეს საქართველო, როგორც არასდროს!
დაე აყვავდეს კიდევ ერთხელ თეთრად აპრილიც
და გადნეს ლოდი გულს რომ ადევს მტანჯავ გუნდებად
ვარდების ფეთქვას მზედ დაადგეს სუნთქვაც არილის
მოდის დავითი ქართულ სიტყვის დასაბრუნებლად!
****

მამუკა ოჩიაური

ოცნებებით მოგიტაცე

ვით ახალი მთვარე ცაზე,
მემალები კვლავ ღრუბლებში
ოცნებებით მოგიტაცე,
გადაგკარგე ქალავ მთებში.

ბნელს ანათებს განაკვესი
ნაპერწკლები ღამით ნალის,
სადაც არის ჩემი ფესვი,
დაუშლელი ფუძე-კარი.

იქით მიმყავს ეს მერანი
შენც ჩაკრული, როგორც სურო
რას დაგვაკლებს მომდევარი,
"ჩემო გულო", "ჩემო სულო".

დღეს მთებია მასპინძელი
მეპატრონე ამა სოფლის,
ამისრულდა რასაც ველი,
დრო დასრულდა მარტო ყოფნის.

მაგრამ, ვაი მხოლოდ ფიქრით
მოგიტაცე ქალი – ალი,
კვლავ უშენოდ დღეებს ვითვლი
არ ჩანს შენი ნატერფალი.

როცა ღამე ვრჩები მარტო
და ენთება მთვარე ცაზე,
ოცნებებით ჩემ თავს ვართობ,
თითქოს მთებში გაგიტაცე.

* * *

მე ოცნებიდან მარტო ვბრუნდები,
დაფერფლილია იმ წამთა ფერი
გულში ფიქრების აბლაბუდები,
კვლავ უშენობა ,სხვა არაფერი !

დაჩეხილო მამულო

ასე რომ გჩეხავთ, ნეტავ რა გველის
საით გაგვრიყავს დროის ტალღანი,
ხორცი ხალისობს, სული ნაგვემი
სწუხს და წყლულზე აქვს ისევ ბალღამი.

უღმერთოების ჩამოდგა ჟამი,
ღვთისმშობლის წილხვედრს ებრძვის დემონი,
სანთელი ჩაქრა ,გვიქრება კვარი
ხატებსაც აღარ მოსდით მირონი.

გათითოკაცდა ერი თუ ბერი
გვიხმება ფესვი ,ჯიშის და მოდგმის
უცხო ტომელთა სიმღერას ვმღერით,
როცა დრო გვიდგას გლოვის და მოთქმის.

რა ქართველობა, რის ქართველობა
ჩაგვძახის უცხო, – გონებას გვირევს
ღალატი გახდა ჩვენი ხელობა,
გულში ნაისრალს ვგევართ ხარირემს.

გამოღვიძება და ერთად დგომა,
დღეს გადარჩენის გზაა მცირედი,
სამშობლოს ვყიდით, არ გვინდა შრომა
ვხედავთ უფსკრულის პირას მივედით.

აღსდექი ერო შეუდრეკელო,
გმირო ვაჟკაცო სახე ნათელო,
ვერ აუღებო ზღუდე კედელო
გაუტეხელო მუდამ ქართველო.

ნეტავ სადამდე ანდა როდემდე ,
უნდა ვიცხოვროთ ტანჯვა – გვემაში,
არის საშველი გზა გადარჩენის –
ერთობაში და უფლის რწმენაში

ბალღამიანი სული ნაგვემი,
ჩამონგრეულის იწყებს შენებას
ნუღარ იკითხავთ – ხვალე რა გველის?!
გეტყვით, – გაქრობა ,გადაშენება.

* * *

ცხოვრება გახდა ჩემთვის ჭადრაკი,
ამოუცნობი ქალი – გრძნეული
მიუსაფარი მე ვარ აბრაგი
ცხოვრებისაგან გამოქცეული!

მამი

ბალახზე მძივად ჰკიდია ნამი,
წუხელ ფიქრებით გასულ წლებს ვწნავდი
ნელ-ნელა ვხედავ ,ვბერდები მამი
გავფერმკრთალდი და გავჭაღარავდი.

აღმართი უკვე მღლის და მაწვალებს,
ახალგაზრდული ხუნდება ღონე
სიმძიმე აწევს გუგებს ,წამწამებს
გული ჩამოჰგავს ანთებულ თონეს.

თვალს მოჰკლებია ძველი ციალი,
საგნები ხშირად უკვე ორდება
ახალგაზრდობა ოხერტიალი,
ვხედავ არასდროს განმეორდება.

ქრება და ცვდება ღონე და ჯანი
წარსულში დარჩა ძველი ხალისი,
როგორ მაკლიხარ მუდამჟამს მამი,
უშენოდ სევდის თასად ავივსი.

როგორ მაკლიხარ, ხსოვნის მსახური
ისევ იმ წარსულს ველაციცები,
მამი ,ყოველთვის შენი ნატრული
ვიღვენთები და უხმოდ ვიწვები.

შევერცხლილია თმა წაბლისფერი,
რომ მიჩეჩავდი ბავშვს მოფერებით,
სოფელში სახლი გიცდის და გელის
და იერი აქვს არდაჯერების.

მამი რამდენი რამ შეიცვალა,
სოფელს ეცვალა ძველი იერი
ბევრი დაგვაკლდა, – გადაიცვალა
ჩამობინდულა თვალსაწიერი.

ბალახზე მძივად ჰკიდია ნამი,
წუხელ ფიქრებით გასულ წლებს ვწნავდი
წლები მიდიან,დავბერდი მამი
გავფერმკრთალდი და გავჭაღარავდი.

უძილობა

ფიქრი ნისლად მომეხვევა
ღამენატეხ სხეულზე,
დარჩა მცირე ჩამორხევად
ღამე ,ცისკრის ხვეულზე.

ნელა-ნელა ვარსკვალებიც,
გაპარულან ზეციდან
ფიქრით მე რომ მაწვალებდი,
გულს უშენოდ შესცივდა.

სულმა ვეღარ დაივანა,
წმინდა ღრუბლის გრილოზე,
მთები დგანან აივნებად
მიწის მწვანე ტილოზე.

გატეხილი ღამის სურა,
ბნელეთს ხათრით ეკიდა
წადილი რომ აისრულა,
ცისკარს გამოეკიდა.

ფიქრი ნისლად მოხვეული,
სხეულს აკანკალებდა
ღამე მოშლილ – მორღვეული,
მოთმინებას დალევდა.

გატეხილი კუნაპეტი,
უსაშველოდ მსხვრევადი
რა ვიაურვო ამის მეტი,
გული ნაკლებ ღელვადი.

გატეხილი ღამის სურა,
ბნელეთს ხათრით ეკიდა
წადილი რომ აისრულა,
ცისკარს გამოეკიდა.

მალიქა

ამ გაზაფხულის ქარებმა
ღრუბლები დააწალიკა,
გზად შემხვდა ლამაზთვალება,
ყვითელნაწნავა მალიქა.

შემომანათა ღვთიური,
მზერა გრძნობების ამშლელი,
ნათება ამქვეყნიური
ვერ ვნახე დარდის დამშლელი.

ვერ გავიხადე მეგზურად,
გული ვერ მივეც ზიარად,
ჩემამდე ზვავად მოვიდა
და გული გაამზიანა.

ყვითელნაწნავა მალიქა
ნაზი და ლამაზთვალება,
ფიქრები დამიწალიკა,
როგორც ნისლები ქარებმა.

ლია შენგელიძე

მოვძულებივარ ხატსაც და ღმერთსაც...

ვიწრო ორღობე,
რკინის ჭიშკარი,
ჩაჟანგებული,
ძლივს რომ ვიცანი,
ხავსმოდებული,
მესრის რიკული,
კედლის ფასადი-
მოზაიკური...
იქით - ხეივნის
გამხმარი ვარდი,
გულს შემომაწვა
უფრორე დარდი,
ბაღში ხეხილის
მოჩანს ჯირკები,
ზედ ჩამომსხდარან
ლაღად ჭინკები...
შემოვლებია
აივანს სურო,
ქვეწარმავლების
ბუდედ ქცეული,
ერთ დროს ვცხოვრობდი,
ახლა კი ვსტუმრობ,
ამ ეზოყურეს გადაჩვეული.
სად ვიყავ?!.
ვისი ნერგი ვახარე?!.-
ცრემლმორეული
ძლივს ვახელ თვალებს.,
უცხოტომელთა
ვიყავ ნუგეში,
ახლა უმწეოდ
ვგდივარ გუბეში.
ჩამოვჯექ ქვაზე,
ავხედე ზეცას,
მოვძულებივარ
ხატსაც და ღმერთსაც!..

მრავალტანჯულო დედოფალო, ქეთევან ჩემო!..

ძნელი ყოფილა დედოფლობა საქართველოსი,
რისხვა და მავნე დასტრიალებს ნათელს გარშემო,
შენი მხნეობა მაოცებს მე ჟამთა ჩეროში,
მრავალტანჯულო დედოფალო,ქეთევან ჩემო!
მამული, ენა, ღირსება, რწმენა,
არ გაგიცვლია ფერად ჰარემში,
სამშობლო მიწის სურნელება, ქალური კდემა,
გისაზრდოებდა ნაწამებ სულს უცხო მხარეში.
მტარვალთ ეწადათ, გაეტეხათ ქართული ნება
და უსინდისოდ ეზეიმათ ჩვენი წარწყმედა,
ის არ იცოდნენ უგუნურმა, ვერაგმა მტრებმა,
ქედუხრელობის ძალას თავად ქრისტე გმატებდა.
შიშჩამდგარ თვალებს ფიქრში ვხუჭავ, გულდაკოდილი,
საუკუნეთა მიღმა გიმზერ, სულით უვნებლად,
თითქოს იმ ბრბოში მეც ვერიე, ერთი ცოდვილი,
ეს, მეც ვუბიძგე ჯალათს უღვთოს აღსასრულებლად.
ო, მაპატიე, სანატრელო, ხორცის წამება,
შენს საცხონებლად ამინთია ტაძრად სანთელი,
ეგ სატანჯველი როდი ნიშნავს გარდაცვალებას,
როცა თავს გადგას მარადიულ სხივთა ნათელი!
მოხვედ სამკვიდროს, ნაგვემ სხეულს იშუშებ ახლა,
ჩვენი შვებაა, დაგიჩოქოთ და გაგიხსენოთ,
მართალთათანა განისვენებ, ციურზე მაღლა,
მრავალტანჯულო დედოფალო, ქეთევან ჩემო!

ქართველის ნათქვამი

სამშობლოვ, შენი სისხლის წვეთი ვარ,
შენი გული ვარ, შენი მარჯვენა
და შენ კი ჩემთვის მასზე მეტი ხარ,
რაც მიკარნახა ჩემმა გამჩენმა!
საკურთხეველი შენა ხარ წმინდა,
ტაძრად მოსული ერთი მოკვდავის,
შენ იქით ცოცხლად ყოფნა არ მინდა,
შენა ხარ ჩემი ნათლისმმოსავი!
ასე დაცემულს, ასე დაჩოქილს,
ვით შეგეგუო, გულს იქით, მქრქრალი?!.
ვილოცებ შენთვის და მტერს აქოჩრილს
დავხვდები ისე, ვით გორდა ხმალი!
შენ ჩემი რწმენის ხარ საიდუმლო,
გაცხადებული რკინაში, ქვაში,
არ ამოვაშრობთ იორს და რიონს,
ერთად დავდგებით ხვნაშიც და მკაშიც!..
სამშობლოვ, შენ ხარ, რაც მასულდგმულებს,
რაც მაწერია გულის ფიცარზე,
წამბილწველებს და შინაორგულებს,
არ ვაბოგინებთ ქართულ მიწაზე!

სხვისგან ნუ მოელი შველას

თუ გტკივა, გაუძელ,
ტკივილი ხვედრია ამ მოწამებრივ გზაზე,
პალმის რტოს არავინ დაგიფენს,
არავინ გაგატარებს ბზაზე.

ნუ ტირი, ცრემლები შეიშრე,
არავინ დაგინახოს, რადგან
წამით შეგიცოდებს ცოტა და
მრავალი მოჰყვება გაგანს.

ხორცმა თუ დაგძლია, გშია და გწყურია,
დიდხანს ვერ გაუძლებ, ვიცი,
იშრომე, იბრძოლე, ღრეჯვით და წუწუნით
ნურავის დაუწყებ ქიცინს.

შეგიცოდებენ და მერე დაგგესლავენ,
ასპიტის წაიგდებენ ენას.
იყავი პატრონი შენი თავის,
სხვისგან ნუ მოელი შველას!

წუთისოფელი ასე შობილა

მიდიან, თითქოს არც კი ყოფილან,
მიჰყვებათ ნატვრა, ფიქრი.
წუთისოფელი ასე შობილა,
ქარივით სწრაფად მიქრის.

მიდიან, ჩნდება თვალში ნისლები,
გულში- დარდების წყება
და სადღეგრძელო არდავიწყების,
ჩვენში რომ შეისმება.

მიდიან, ჯვარი ესმება ყოფას,
იქით, სიკვდილის ნებით.
იყვნენ, იცხოვრეს რამდენი წელიც,
გვამცნობს საფლავის ქვები.

მეც წავალ, როცა დადგება ჯერი,
იმქვეყნიური მიცდის სამყარო.
მხოლოდ ამას გთხოვ, მე, ფეხთა მტვერი,
უფალო, შენს მადლს რომ არ გამყარო!

იასამანი და ქალი როიალთან

წაიფარებს მზე ღრუბლების საბანს,
ბარში სიო დაიქროლებს ნელი,
კვირტებდამსკდარ მუქლურჯ იასამანს
გადაუვლის უცბად სევდისფერი.

მოლოდინის სუნთქვით ნაფოფინებს
იმედების წაუხდება კვალი,
ასაწყვეტად მკერდს დაბნეულ ღილებს
შეაჩერებს სევდის ნატერფალი.
ცრემლები ზღვად მოასკდება სარკმელს,

როიალთან ჰანგს აკვნესებს ქალი,
უმზეობით რა გაუთბობს მას მკერდს,
გული როა მოლოდინით მქრალი.

წაიფარებს მზე ღრუბლების საბანს,
ნისლს ოცნებად მოისხამენ მთები,
ოთახში ქალს , ბაღში იასამანს,
რაც აწუხებთ, უთქმელადაც ვხვდები.

უშენოდ წუთი საუკუნეა

მზე ჩაესვენა სადღაც, მთებს მიღმა,
ირგვლივ ყველაფერს წყვდიადი იპყრობს.
შენ ახლა ალბათ სიზმრებში დაქრი,
მე კი არ მძინავს და შენზე ვფიქრობ.

გულჩათხრობილი გავყურებ წყვდიადს
და ამ წყვდიადში შენი ლანდია,
შენ კი, თუ გძინავს, გჩუქნი ტკბილ სიზმრებს,
ახლა სხვა მეტი რა მაბადია...

გულში ნაფიქრალს და ნაოცნებარს
შენთვის ნაჩუქარ სიზმრებში ვაქსოვ,
პირველად ვათევ უშენოდ ღამეს,
დაფერფლილ გულზე მაწვიმს და მათოვს.

პირველად ვათევ უშენოდ ღამეს
და მოუთმენლად ველი განთიადს.
უშენოდ წუთი საუკუნეა,
გულში ისეთი ცეცხლი ანთია.

თეა გურგენიძე

* * *

მონატრებაც ვისწავლე,
სიყვარულით ანთებაც,
სხივებჩამქრალ თვალებში
უცებ გამონათებაც.
გაღიმებაც ვისწავლე
საკუთარი თავისთვის...
საუკუნე რად მინდა,
სულსაც დავთმობ წამისთვის.
მონატრებით გამთბარი
გული თავბრუს დამახვევს
და რად მინდა სიცოცხლე,
შენ რომ გვერდით არ მყავდე?!

* * *

ნუ დამიტირებ!.. ტირილამდე ისე შორია,
ისე საბრალო ჩანან ფიქრები,
ისე დაბლა ფრენს ზღვაზე თოლია,
ლამის შევახო ფრთებზე თითები...
ნუ დამიტირებ!.. შეინახე ცრემლები ცივი,
თბილი ხელები სანუგეშოდ გამომიწოდე,
ვფიქრობ, არ კმარა, როგორაც ვიწვი,
ის კი არ ვიცი, უფრო ძლიერ როგორ ვიწოდე...

შენფერი იმედი

"ავიღებ კალამს და წავწვდები რითმებსაც,
ავურევ ერთმანეთს სიზმარს და ცხადს.
ავიღებ კალამს და ... მიწიდან ზეცამდე
გავავლებ საოცრად უცნაურ კვალს...
არ შემეშინდება უფალთან წარდგომის,
თამამად შევაღებ იმქვეყნის კარს,
ვერაფერს დამაკლებს ეშმა და ბოროტი,
თუ გვერდით შენფერი იმედი მყავს.

* * *

ო, ახლა ქუჩაში ისეთი ქარია,
ქარს ღმერთთან ავყვები დღეს.
მინდა, რომ თავმდაბლად მადლობა ვუთხრა და
მერე შეგავედრო შენც.
ო, ახლა ქუჩაში ისეთი ქარია...
ღრუბელიც ვერ იშრობს ცრემლს...
მე კი ამ წვიმაში, სახლის წინ, თოკებზე,
ფიქრებს სარეცხივით ვფენ...
ო, ახლა ქუჩაში ისეთი ქარია,
ამინდი მტანჯავს და მრევს...
თავს ვერ გამოვუტყდი, რომ შენზე ფიქრები
მჟავე ტყემალივით მწყენს...

* * *

ორ კაცზე გაშლილი ვახშამი და
კუთხეში მბჟუტავი ბრა...
ბუხარში ალი მოციალე,
ნაცრისფერშენაპარი ცა...
ტალღებად დაღვრილი მუსიკა და
ბროლის ჭიქების ხმა.
ვახშამი გაშლილი ორისთვის და...
გრძნობათა ულევი ზღვა...

* * *

რითმა რითმას ვერ მოვარგე,
ამერია აზრთა წყებაც.
ფიქრი გონის სუფრასთან ზის,
დარდის ღვინით უღვთოდ თვრება...
ვარსკვლავებად აწყობილი
იმედების მძივი წყდება...
მთის კალთაზე შეფენილი
წამოკრიფა სხივი მზემაც...
სევდის ჩიტებს წამომიშლის
ეს მგლისფერი შეღამება
და სიცოცხლე, მერცხალივით,
ზეცის სარკმელს შეასკდება.

ლალი ევლალია პერპერიდი

ანგელოზიც რომ ჩამოვიდეს და სხვა
რამე გითხრათ რაც არ გამოცხადებულა
თქვენთვის ჩვენი მხრიდან შეჩვენებული იყოს

საჟამოს ავან ჩავანი

.....76.....
თუ არვისა არ არგიხარ ამა სოფლად მაშ რადა ხარ?
თუ კეთილსა არა იქმი მაშ შენს დროსა რაღას ახმარ?

დაიხსომე მოწყალება ჩვენი სულის არი სარჩო,
სიმშვიდისა არის მგვრელი გულმა დარდი მით დაახრჩო.

რასაც შევძლებთ დღეს ვქმნათ იგი
რაიცი რა მოხდეს ხვალე
მოვინანიოთ ცოდვები
სანამ მიწას მიგვაბარეს.

საჟამოს ავან ჩავანი

.....105.....
როგორ გვინდა რომ დრო გავაჩეროთ
და სიკვდილმა ცოტაც გვაცალოს,
როგორ არ გვინდა სიცოცხლის თასი
გაილიოს და გამოიცალოს.

მზე ჩაესვენოს, ჩამოდგეს ბინდი,
გაუფერულდეს, ფერი იცვალოს,
დასრულდეს, მორჩეს, შევწვიტოთ სუნთქვა
და ხორცი სულს რომ შემოეცალოს.

მაგრამ ასეა, რაც ცოცხლობს კვდება,
ეს არის სოფლის,განგების ნება,
ვერავინ შეცვალის, ასეა ოდეს,
რაც ცოცხლობს ხარობს და ბოლოს ჭკნება.

საჟამოს ავან ჩავანი

საჟამოს ავან ჩავანი

ჟამო უჟამო მრავალს შენით დაუკვნესია,
მით მოავლინა ამ საჟამოდ ღმერთმა მესია,
ჩვენ წარმავალო ისე მოვიქცეთ როგორც წესია.

როს არ ანთხიოს ამ საწუთრომ ჩვენზე გესლია,
ღმრთის მსახურებას თუ აღვავლენთ უკეთესია,
მით აღმოვაცენოთ დათესილი რწმენის თესლია.

თუ საქმით შენ მწამს არ აღასრულებ
ვერ შეგეწევა ვერც ლოცვა და ვერც ეკლესია,
ეს ყოველივე განგებულება დაემორჩილე ღმერთის წესია.

საჟამოს ავან ჩავანი

.....74.....
ვებძვი საწუთროს...
 არ ვნებდები დიდი ხანია,
რომ მოვაღწიე აქამომდე
უფლის მადლია.

მიზანამდე მიველ ღმრთის წყალობით,
ლოცვა,ვედრებით,
არ მეშინია დროის რბოლის
არც დაბერების.

მძალუძს განვსჭვრიტო
ამა სოფლის იდუმალება,
თუმც ვინ იცის
მის სიღრმეში რა იმალება.

საჟამოს ავან ჩავანი

.....75.....
ხშირად ჩემში გრძნობა ღელავს,
ვერ ვაოკებ აიწყვიტავს,
უშენოდ ვერ ვიარსებებ,
უჩემობა გულს დაგწყვიტავს.

გაზაფხულის გიჟი ქარი,
მომიწყვიტავს ვარდს და ტიტას,
ჩემი გული ყოველს დათმობს,
უშენობას ვერ აიტანს.

გრძნობის ლაღი აღმა ფრენა
ემზგავსება ლამაზ სიზმარს,
გაზაფხულის მოლოდინში
ცივ ზამთარსაც გადავიტან.

შორენა ჩხიკვიშვილი

ბრძენი და ყმაწვილი

ერთ ყმაწვილს შეუყვარდა ლამაზი ქალი, გადაწყვიტა დაქორწინება. მივიდა ბრძენთან რჩევა-დარიგებისთვის. ბრძენმა ურჩია მას, რომ ლამაზი ქალისთვის თავი დაენებებინა და ცოლად ჭკვიანი ქალი მოეყვანა. სიყვარულში ღრმად შეჭრილმა ყმაწვილმა არ დაუჯერა მას და ლამაზ ქალზე დაქორწინდა. გავიდა ხანი. მიხვდა ყმაწვილი, რომ ბრძენს მართალი უთქვამს მისთვის, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ბრძენი – არ გინდა ლამაზი ქალი,
თუ დაუჯერებ ბრძენსაო,
სხვა კაცი თვალს რომ დაადგამს,
მერე ინანებ ბევრსაო.

ყმაწვილი – კარგია ლამაზი ქალი,
თუკი მარგუნებს ზენაო,
არ მჯერა, მე ეგ ნათქვამი,
ტყუილებს ამბობ შენაო.
ისეთი მომხიბვლელია,
ვეღარ ვაცილებ თვალსაო,
და თუკი მე ის დავკარგე
სად ვნახავ ისეთ ქალსაო

ბრძენი – ტყუილს თუ ვამბობ, მიხვდები,
გაივლის დრო და ხანია,
ძაღლი უფრო გიერთგულებს,
ვიდრე ლამაზი ქალია.
რადგანაც შენსას არ იშლი,
მე ვერ დაგატან ძალსაო,
ჭკვიანი ქალი სჯობია,
იცოდე, ლამაზ ქალსაო.

ყმაწვილი – თურმე სულელი ვყოფილვარ,
რომ არ დაგიგდე ყურია,
ქალზე ერთგული ყოფილა
პატარა ძაღლი „მურია“.
მაშინ ისე შემიყვარდა,
აფორიაქდა სულია,
ახლა იმდენს ვნერვიულობ,
გონება გაფანტულია.
შენ მართლა ბრძენი ყოფილხარ
და მართლა გამოცდილია,
გაქრა ჩემი სიყვარული
და გულიც გატეხილია.

ბრძენი – ამიტომ უნდა შეირთოს
კაცმა ჭკვიანი ქალია,
რომ ხალხში ისე იაროს,
არ იყოს ცოცხალ-მკვდარია.
რომ არასოდეს დაკარგოს,
იმედის ნაპერწკალია,
გულში ჰქონდეს სიხარული,
სულში კი მზე და დარია.

28.02.2011

უშენოდ სიცოცხლე ძნელია

ვუძღვნი ყველა შეყვარებულ წყვილს

მე შენ მიყვარხარ, მშვენიერო,
ჩემო სიყვარულის ფერიავ!
უშენოდ მოვკვდები, ძვირფასო,
უშენოდ სიცოცხლე ძნელია!

წავიდეთ, ცხრა მთას გადაგატარებ,
ცხოვრება დავიწყოთ თავიდან,
გნატრობ, გეძახი, გელოდები,
შენს მეტი არავინ არ მინდა.

შენი ბრალია, საყვარელო,
ჩენი გონების დაბინდება,
ალერსი მაღირსე წამიერი,
არ მშველის მხოლოდ გაღიმება.

ნუთუ წახვედი სამუდამოდ,
ნუთუ ჩემი აღარ იქნები,
თუ მოფრინდები, გამახარებ,
შენთან ბედნიერი ვიქნები.

როგორ მიყვარხარ, სანატრელო,
ჩემო სიყვარულის ფერიავ!
უშენოდ ვერ გავძლებ, ძვირფასო,
უშენოდ სიცოცხლე ძნელია!

19.04.2012

ნოდარ დუმბაძეს

თავზარდამცემი იყო ჩვენთვის შენი სიკვდილი,
ნისლმა გურიის თეთრი მთები შავად დაფარა,
ყოველთვის გქონდა სიყვარული შენს ქვეყანაში,
ქართველმა ხალხმა შენ წინაშე თავი დახარა.
ცრემლებს ღვრიდა და დაგტიროდა ქართველი ერი,
მშობლიურ მიწას აბარია შენი საფლავი,
როცა წახვედი და დატოვე შენი ქვეყანა,
საქართველოში ჩაქრა კიდევ ერთი ვარსკვლავი.
სავსე სიკეთით, ჰუმანიზმით, ნიჭიერებით,
იყავი მუდამ ერთგული და სამართლიანი,
არ მეგულება ქვეყნად ვინმე შენსავით სათნო,
პატრიოტი და უანგარო ადამიანი.
შენ ატარებდი ქართველ კაცის ღირსეულ სახელს,
გჯეროდეს ნოდარ, უკვდავია შენი სიმართლე!
არ ავიწყდება საქართველოს შენი ღიმილი,
შენი ნათელი აზრი მუდამ გზებს გაგვინათებს.
შენმა სიკვდილმა შეაძრწუნა მთლად საქართველო
და ხალხის გულში დატოვა ღრმა ნაიარევი,
არ დაბნელდება ჩვენს მამულში „მზიანი ღამე“,
კვლავ იფრიალებს შენი „თეთრი ბაირაღები“!
გაგვახსენდება შენი სახე დაუვიწყარი,
არ განელდება ჩვენს გულებში დარდი მწუხარე,
შემოქმედება შენი, ნოდარ, უკვდავი არის,
„მარადისობის კანონი“ ხომ ისევ მქუხარებს!
შენი სიბრძნე და იუმორი სულ იარსებებს,
შენი აზრები ჩვენს ცხოვრებას ნათელში ახვევს,
სანამ იცოცხლებს მადლიერი ქართველი ერი,
არ უწერია დავიწყება შენს ძვირფას სახელს!

25.02.2016

ირინოლა ფერაძე

გ-ულო, სულის მოზიარევ,
უ-ნაპირო, სითბოს ზღვაო,
ლ-ამაზ-ლამაზ მარგალიტებს,
ნ-აზად გვიფენ, გზადაგზაო.
ა-სე, კარგი, ვინ დაგბადა,
ზ-ეცამ აცხოს, მირონიო,
ი-ა-ვარდად გაგეშალოს,

ხ-ელ-აპყრობილს, სტრიქონიო.
ა-მოდუღდი, განცდებად და...
რ-უდუნებით, ქარგე სიტყვა,
ა-მოქუხდეს, ამომზევდეს,
ი-ს საუნჯე, რაც ვერ ითქვა!
შ-ორსმჭვრეტელს და სიბრძნის ,,დედანს",
ვ-ერ გატეხავს, დრო და ჟამი,
ი-დღეგრძელე, გულნათელო,
ლ-ურჯად გექცეს, დღენი-შავი...
ი-კამკამე, შვების ზღვაო...

*

წუთისოფელმა ვერ მოინელა,
საბედისწერო, სამოთხის ვაშლი,
ყველას აქვს სულში, (ვით თეთრ პერანგზე)
ლაქა, რომელსაც, ვერაფრით წაშლი...

*

რა კარგია, რომ არსებობს,
სამყაროში ფერები,
ყვავილები, მინდორ-ველად...
ცაზე ცისარტყელები.
გიხაროდეს, თუ ნეგატივს,
პოზიტივით ერევი,
რაც სიცოცხლეს გიხანგრძლივებს,
იმას, ნუ შეელევი,
სიყვარული, თუ არ მოდის,
მიაკითხე თვითონვე...
უთხარი, რომ ბოლობოლო,
როგორც იქნა, იპოვნე!
ხან თუ დარდი გადმოანგრევს,
შენი სულის ჯებირებს,
თუ არავინ განებივრებს,
თავი გაინებივრე...
ფეხს აუწყობ? ,,საგოლესაც"
არაფრით არ გაუშვებ!
ჩამორჩები? ეს ცხოვრება,
შენც გაგიშვებს ,,აუტზე"...

*

სანთლით დავეძებთ, სიკეთის მარცვალს,
სანამ სიმართლეს დაადუმებენ...
ისე გვიგდებენ შხამიან სიტყვას,
როგორც მშიერ ძაღლს, ძვალს დაუგდებენ.

რამდენ იუდას იტევს, საწუთრო,
(ყოველდღე, თითო, გვიმიზნებს ,,ტყვიას"...)
სიცოცხლე სიკვდილს, რომ მიაკუთვნოს,
რამდენ ბარაბას, ხელი გასვრია...

მინდა, გვტკიოდეს, გაქვავებული,
ჩვენი ცოდვები, ვერ-დასალევი...
როგორც იესოს სტკიოდა, გული
და... კიდურებზე, ნალურსმანევი...

*

რა დროს სიკვდილზე ფიქრია,
ჯერ ისევ მჯერა, ოცნების,
მისი ახდენის, მჯერა და
.უფალთან ერთად ცხოვრების.
არ წავალ, სანამ არ ვნახავ,
ჩემს
შვილებს, ღვთის გზებით, მავალთ...
შტოს, დალოცვილს და დატოტვილს,
ზედ კი, საღ ნაყოფს, ტკბილს, მრავალს...
 მოვკვდები, მაგრამ ჯერ არა!
სანამ ,,წიქარას" ჰგავს ერი,
და
,,დაბრუნებულს", ჩვენს სხეულს-
მიწას... ჩეხავენ, ყასბები!
ჯერ ისევ მიყვარს სიცოცხლე,
აპრილს, ქორწილი ატმების,
ვარდობისთვეში გრძნობების,
მოქარგვა, იასამნებით.
შემინდეთ, მძიმე ფიქრისთვის,
მტერმა კი, გაწბილებისთვის...
სიკეთის დამრჩა ვალები,
და არა, კბილი-კბილის წილ...

*

ქალი ვარ, ქალი, ნაზი არსება...
დამყვება ტკბილი სურნელი, ვარდის,
სულის მშვენება, არ გამიქრება,
ქალობას, ვადა, არასდროს გასდის.

გაზაფხულივით, ვაფრქვევ სიცოცხლეს,
ერთგულებისთვის, გამოძერწილი,
ხან, იასავით, თუ დავიმორცხვებ,
ხანაც მოჰყვება, მძიმეს-წერტილი! ...

ან ,,სიკვდილი" და ან, სიყვარული,
უნდა ვიბრძოლო, ორში-ერთისთვის,
ისედაც, მძიმედ ნაგვემი სული,
რომ არ გავწირო,
 ჯოჯოხეთისთვის.

*

სად ნახავს, თვალი, უკეთეს წალკოტს,
როგორიც, ჩვენი მთა და მდელოა,
არ გვემეტება, ერთი გოჯიც, კი...
დავით-გარეჯი, საქართველოა!

არ შეერგებათ, ამ ქვეყნის მიწა,
ქართველი ხალხის, სისხლით ნაჟღენთი,
საშველად გვიხმობს, ოშკი და ზარზმა,
საქართველოა, ტაო-კლარჯეთი...

რამდენს გაუძლო, ბედკრულმა ერმა,
ალბათ ჰგონიათ, ჩაგვრას დავჯერდით!
საქართველოა, ყველამ იცოდეს!
სამაჩაბლო და ცხუმ-აფხაზეთი...

მინდია ზვიადაური

შეურიგალი...

სიზმარს ღამიდან გამოსჭვივის
მზერა ახლური,
ცა ვარსკვლავებით დაჭორფლილა,
ვით ზღვა და ქვიშა.
და ბოლო სიტყვა,
ბოლო დღისთვის გადანახული,
ხშირად ასი წლის სიცოცხლეს
და სიხარულს ნიშნავს.
შენს თეთრ მირაჟებს შურისგებას
შევუნდობ შავზე,
ირმის ნახტომთან ტყვიის ჭექა,
თუ გექცა სისხლად!
არ იყოს წყევა, სილაჩრისთვის,
შენს ქართულ გვარზე,
ხორცს ნაკვალევი კვლავ სტკიოდეს
შიშველი ხმლისა.
შეუცნობელის შეცნობისთვის
რა გრძნობით ვწერო,
რომ ღვთის ხატიდან დავიწურო
ღვინოდ ადამი!..
შენც მომიტევე, უმეცრება,
შენც ცოლო ჩემო,
თუ დაბრუნებულს ცრემლი მომაქვს,
როგორც ნადავლი.
სავსე ფიალას შევიმოსავ,
რომ სულთა ღვიძილს
თავზე დაატყდეს სისხლის ღელვა,
როგორც გრიგალი.
დღეს კარგად ვიცი, ხვალ ვიქნები,
მეც მტვერი მიწის,
ქვაზე წარწერით:
საწუთროსთან შეურიგალი!!!

გაკვეთილები...

მე ყოველ დილით განთიადს ვეგებები,
პირველი მზის სხივები სავსეა
იმედებით.
მარხვისგან მოღლილები ტაძრებში
ვეხეტებით
და აღარც გვახსენდება ვის როგორ
ვიმეტებდით.
ნაომარ მამებისგან ნასწავლი თაობა
ვართ,
ცრემლიან დედებისგან გოდებით
გამოზრდილნი.
და ვისაც ცხოვრებამ თვალები
დაუბრმავა
არასდროს არ ჰქონია ეს გრძნობა
გამოცდილი...
არასდროს არ ვყოფილვარ ბეჯითი
მოწაფე და
ცხოვრების გაკვეთილებს ვანაცვლებ
გაცდენებით.
ეს წლებიც მატულობს და ძნელია
მოსახედად,
რომ ხშირად თავს ვიმშვიდებ
ყველასგან გაქცევებით.
კვლავ წლები მატულობს და ვესწრები
პანაშვიდებს,
მეგობრებს ვაბარებ და მიწის გულს
ვემდურები.
ვნებული სული ვარ და დავტირი
დანაკლისებს
და მხოლოდ სიყვარულს...
სიყვარულს ვეშურები!..

მენავეები...

შორს მოსჩანან, როგორც გედები,
მათი სიშორე ტილოსავით
იშლება თვალწინ.
ვიცი, შენს მზერას სიყვარულში
ვერ შევედრები,
როცა მზესავით მინათდები
უმწეოდ ნაწვიმს.
წლების ბეღელში იზაბელა,
გროვდება ღვარძლიც,
მხოლოდ კალენდრის ფურცელია
ამ დღის სასრული.
აშენებულა უფლის ციხე,
სულ თითო მარცვლით,
სულ თითო მარცვლით,
სიყვარულით, შემოგარსული...

ქვეყნის სამართალი...

ნადიმი ჰქონდა ქვეყნის სამართალს,
ჭამდა და სვამდა შრომას და გარჯას.
სიცრუე ედგა თავში თამადად,
უადვილებდა კაცთა მზის ხარჯვას.
თან მორალს სწერდნენ აუჩქარებლად:
ვინც აქ პოულობს აქავე კარგავს!..
თავის სუფრასთან სკამს სთავაზობდნენ
მათთან მოახლე გულზვიად ანგარს.
— ცას მიწის მცველად დავუდგენივართ
და ჩვენს ჩონგურზე სიმღერებს ქარგავს.
სიცოცხლის სუნთქვაც ფეხებს გვიკოცნის,
ჩვენგან განდგომილთ მიწაში მარხავს.
არცერთი წუთით არვის გავუცდენთ
ჩვენთვის ლოცვას და ჩვენთვის მარხვას,
არავის აუგს არ ვათქმევინებთ,
რომ ჩვენთან ძმობილთ პატრონი არ ჰყავს!

— ამას ამბობდა ქვეყნის სიმართლე.
ღვთის სამართალი კაცთასას არ ჰგავს.

წარმიძეხ მოძღვარო...

წარმიძეხ მოძღვარო, შორია ზეცამდე,
ვაი თუ დამისხლტეს ფეხები მყინვარზე,
ვაი თუ გრიგალმა მაბნიოს ბზესავით,
მკლავებში დამეტყოს დაღლა და სინაზე.

წარმიძეხ მოძღვარო, მიმწიე ღმერთამდე,
იქნებ მეც მარგუნონ ჯვრის მცირე ნაჭერი,
ვზიდო და მემძიმოს ნაჩოქი მუხლებით,
რომ ძილად არ მექცეს სიცოცხლის ნარჩენი.

სულ მიწად მოვფანტე იმედის მარცვლები,
მიწადვე ვისვენებ სხეულის დარაჯად.
მრავალი გზა არის, მრავალჯერ ჩავლილი,
ტანთ მცვია სხვისაგან ნაცვეთი ფარაჯა.

მითივით მცირეა ეს ჩემი საუფლო,
არაფრით მოველ და არ მივალ არსაით.
ხატებთან ვდგები და მხვდებიან დღეები,
უცოდველ კაცისგან ნასროლი ქვასავით.

წარმიძეხ მოძღვარო, სანამდე შემშლიდეს,
ნაძარცვი სამრეკლოს ზართაგან რეკვები.
სანამდე სიყვარულს სიგიჟედ ნათლავენ,
კაცებად მტკივანი სამყაროს ნეკნები.

უ - თანასწორობა...

შენ სამკაული ამა ქვეყნისა,
მე კი მტევანი ფეხქვეშ ნაწური...
კვლავ უნდა შევსვა ჩვენი შეყრისა,
ჟინი მოვიკლა მამაკაცური.

> შენ მოკაზმული ათასფერებით,
> მე კი ნაოფლი, როგორც ფაშატი...
> გულიდან გულში გადასვენებით
> ახლაც მატყვია მკერდზე ნაშანთი.

შენ მოიმედე შენი მეფისა,
მე კი გლახაკთა ბედის ნაყმობი...
სული, როგორაც თასი ვერცხლისა
პაპის პაპიდან დღემდე ნაქონი.

> მე ნაქმარევი შენი ცოლობის,
> შენ კი ნაჩვევი სხვისა ცოლობას...
> თუ კი გვირგვინი მე მხვდა მონობის,
> მაშ რა ფასი აქვს თანასწორობას?

გამოთხოვება...

ხმაურით აჰყვა ვაგონი ვაგონს:
— ვიცი, რომ გიმძიმს გამოთხოვება!..
მე და დუმილი და ხეთა - რიგი
და გაზაფხულის მოახლოვება, -
ვდგავართ ერთ მხარეს და ერთი წვეთი,
თუკი რაიმე შენი გვმართებდა,
მივენდობოდი შენსკენ ზურგის ქარს,
გზას შენი ლანდი გამინათებდა.
ლურჯი ნაპირი სცილდება საზღვარს,
მუდამ ტვირთად მდევს უსაზღვროება.
და ბოლო მზერა, შენს ბოლო ვაგონს,
შემოვაფეთე ვით სათნოება.
სიცივე იყო, გციოდა ალბათ,
შუქი არ კრთოდა არსად კანდელის.
სიცივე იყო და მეც მციოდა,
უსახლ - კაროს და შენგან განდევნილს.
უფერულ დღეთა ნაცრისფერ ჰოლში,
მზის იშლებოდა მკრთალი მონეტი,
არც ადამიანს და არც განგებას,
არ მიუღიათ ქვეყნად პოეტი...

მარიკა კაპანაძე

ადამიანს

ვლოცულობ, ცაზე მზემ რომ იმზეოს
და შენ მიწაზე მშვიდად იარო,
რადგან, უშენოდ რომ ამ სამყაროს
ფასი არა აქვს, ადამიანო!

28.03.2020 წელი

არ მავიწყდება

იცით, რად მიყვარს შავი ზღვა?
მზე რომ იძინებს მასში,
სანაპიროზე ყოფნა, კი
თვით სამოთხეა მაშინ...

ქართული ცა რატომ მიყვარს?
აქაურს არა ჰგავს,
მთვარე რომ ამოგორდება,
ვარსკვლავებს უხრის თავს...

აქაურ ცაზე ვარსკვლავი
არასდროს არა ჩანს,
ერთი, ან ზოგჯერ ორი თუ
გამოაჭყიტებს თვალს...

ვინც ნახა, დამერწმუნება,
არ მოიტყუებს თავს,
მისი სამშობლო ამ ქვეყნად
რომ არავისას ჰგავს...

ახლა აქ რომ ვარ არ ნიშნავს,
აღარ მახსენებთ თავს,
ან მავიწყდება, რომ ყველა
მე სამშობლოში მყავს!

1.08.2020 ვალენსია

ცხოვრება საამურია

ცხოვრება ზოგჯერ მეტად ძნელია,
ზოგჯერ ადვილი დელი-დელია,
გაუსაძლისად როცა ძნელია,
ცხოვრება უფრო მშვენიერია!

ცხოვრება თბილი გაზაფხულია,
ზამთართან ჯაჭვით გადაბმულია,
თავის გატანა როცა რთულია,
ცხოვრება უფრო საამურია!

22.03.2020

შვილებს

თქვენს ჭაღარას ენაცვალოს დედა,
ცხოვრებაში განვლილ დროს და წამებს,
გიყურებთ და სხვანაირად გხდავთ,
გიყურებთ და ვერ ვუჯერებ თვალებს.

როგორ მალე გაფრენილა წლები,
გხედავთ ისევ, ჩვილებსა და ბავშვებს,
ღრმად მოხუცებს რომ დაგათოვთ თეთრად,
მოვეფერო მინდა იმ წუთს წამებს.

თქვენზე ფიქრში მითენდება დილა,
მაქვს ასობით ნათენები ღამე,
სარკმელიდან ზოგჯერ მიმზერს წვიმა,
ზოგჯერ ცაზე მოკაშკაშე მთვარე.

შვილის გაზრდა არ გეგონოთ ვალი,
დედობისთვის გაჩნდა ქვეყნად ქალი,
ერთმანეთში თუ გაგარჩევთ იმ დღეს,
დამეშანთოს მე ორივე თვალი.

თუ ეშმაკი ჩასახლდება თქვენში,
ცდილობს, ჩემი შეგაჯავროთ თავი,
ჩემი გული სულ ილოცებს თქვენთვის,
არ დაგტოვებთ მე არც ერთი წამი.

თუ ოდესმე დაივიწყებთ დედას,
გულზე ლოდად დამედება ნამი,
ვიამაყებ, თქვენი დედა რომ ვარ,
არ ვინანებ მე არც ერთი წამი.

შვილის გაზრდა არ გეგონოთ ვალი,
დედობისის გაჩნდა ქვეყნად ქალი,
ვიამაყებ, თქვენი დედა რომ ვარ,
არ ვინანებ მე არც ერთი წამი!

31.05.2021 8:35

აღარ გაჰყარო

ღმერთო მაღალო,
შენ დაიფარე ჩვენი სამყარო,
გვაკმარე ცრემლი, დედას შვილი
აღარასდროს აღარ გაჰყარო.

აღარ შემოსო ქართველი ქალი
ძაძით, ტკივილით,
ღმერთო, გვაკმარე,
ამდენი დარდი, ცრემლი, ტირილი.

დედაო ღვთისავ,
შენსკენ მოვაპყრობ ხელებს და ლოცვას,
გემუდარები ნუღა მომასწრებ
ახალგაზრდების ავ საქმეს, ხოცვას.

დედაშვილობის მადლი ჰფარავდეს
დედა სამყაროს,
ღმერთო მაღალო, გემუდარები,
დედას შვილი აღარასდროს აღარ გაჰყარო!

19.06.21

მინდა რომ

მინდა, რომ სადმე ვიმოგზაურო,
სადმე ძალიან შორს,
იქ, სადაც მხოლოდ, სიკეთეა
და ვერ გაიგონებ ჭორს.

იქ, სადაც მუდამ სიხარულია
და გვირილები თოვს,
ზამთარი ვერაფერს რომ დაგვაკლებს,
გული სიყვარულს გთხოვს...

იქ, სადაც გული მუდამ ხალისობს,
ისმენ სიმღერას, ლხინს,
ერთმანეთს სულ რომ ეფერებიან,
იადვილებენ ჭირს...

მინდა, რომ სადმე ვიმოგზაურო,
სადმე ძალიან შორს,
იქ, სადაც მუდამ გაზაფხულია,
და ყვავილები თოვს!

გემუდარებით

ღმერთო, დალოცე ის შვილი,
დედის რომ იცის ფასი,
ქვეყნად, დედა რომ ერთია,
არასდროს გასცვლის სხვაში.

გულს რომ არასდროს არ ატკენს,
თუნდაც ახრჩობდეს ზღვაში,
რამეთუ იცის, რომ დედის
ლოცვა ააფრენს ცაში.

ღმერთო, დალოცე ის შვილი,
რომ აერია გზა,
დედის ფასი რომ არ იცის,
ჰგონია, ვიღაც სხვა.

გამოიყვანე სამზეოს,
გამოახედე თვალს,
დედის არ დამფასებელი
ბეწვის ხიდზე რომ დგას.

შვილებო, გემუდარებით,
ნუ აწყენინებთ დედას,
აცრემლებული თვალებით
სამყაროს ვეღარ ხედავს.

თქვენზე მლოცველი დღე და ღამ,
მუდამ მუხლებზე დგას,
თუ დაგჭირდებათ, უსიტყვოდ
თქვენთვის გასწირავს თავს.

მუხლმოდრეკილი ვლოცულობ,
შვილების დამაქვს დარდი,
ღმერთო, მოჰფინე სამყაროს
დედაშვილობის მადლი!

და მაინც

უკიდეგანო სივრცეში
ვერ გპოვე მტყუან-მართალო,
შენი იმედი, რწმენა მაქვს
ამ ქვეყნად, ღმერთო მაღალო!

მინდა, რომ შენზე ლოცვაში
სამყარო შემოვიარო,
ძნელია და მაინც ვცდილობ,
ჩემი სიმართლით ვიარო!

გაორება

აქ ვარ და იქ მინდა,
იქ ვარ და აქ მინდა,
მეც არ ვიცი რა მინდა
და წლები კი გაფრინდა.

ვიცი, რომ ხვალ კარზე
მომადგება სიბერე,
თმაზე თეთრად დამათოვს,
დამჭირდება სიმხნევე.

გული რომ არ ბერდება,
მე ლექსებად ვიმღერე,
გაზაფხულს ველოდები,
ყელი რომ მოვიღერე.

12.08.2020 წელი

მაპატიე დედა

არ ვიცი ასე რატომ მიყვარს
და რად ვნატრობ ოდა სახლს,
ალბათ იმიტომ, რომ ამ სახლიდან
ჩემი ბავშვობა ჩანს.

ალბათ იმიტომ, რომ ყოველ დილას
დედა გაჰყურებს გზას,
ნეტავი დღეს თუ მაინც მოვაო
თუ შემოაღებს კარს.

ალბათ იმიტომ, რომ ამ სახლიდან
ჩემს ლამაზ წარსულს ვხედავ
და თუ როდესმე გატკინე გული
გთხოვ, მაპატიო, დედა!

დედულეთი

(სოფელი ქვედა საზანო)

ახლა ისე გამახსენდა,
თითქოს იყო გუშინ,
დედულეთში გაზაფხულზე
აყვავილდა ნუში.

ეზოში დაკრიახობდა
წიწილებით კრუხი,
ზოგჯერ კბილს ჩაავლებდა
ცუგრუმელა რუხი.

მზის ჩასვლას ელოდებოდა
ძროხა, ღორი, ცხვარი,
დაბინავებამდე უნდა
დაელიათ წყალი.

ვახშმად ბლომად გვქონდა
სოფლის რძე და ყველი,
ბებოს ხელით ამოკრული
თონის პური ცხელი.

დაღლილი და დაქანცული
მუდამ ადრე დგებოდა,
მე კი დილით გობის ქვეშ
ჭყინტი ყველი მხვდებოდა.

საღამოს და დილის ნაწველს
დაასხამდა მკვეთს,
დაკოჟრილი ხელებით
აკეთებდა ყველს.

ახლოს მივუცუცქდებოდი
დაუბნევდა რძეს,
ბებია თან მიყვებოდა
ისტორიებს ძველს.

დღე და ღამე შვილივით
ევლებოდა ვენახს,
გაფურჩქნიდა, ააკრავდა,
დალოცავდა მტევანს.

დიდი ხნის წინ წამოიქცა
სახლის დედაბოძი,
ფუძეს მუდამ მფარველობს
მთავარანგელოზი.

ახლა ისე გამახსენდა,
თითქოს იყო გუშინ,
გაზაფხულზე დედულში
აყვავილდა ნუში.

ქრისტეშობა

ვარსკვლავი მთვარეს ეჩურჩულება,
უფალი იშვა წუხელ ბეთლემში,
მე, სანთლის შუქზე მუხლმოდრეკილი,
ვლოცულობ, ღმერთო, შემოდი ჩემში

იესო

წყენა და ყველა ტკივილი
გულზე სულ ეკლად მიესო,
გემუდარები, ვლოცულობ,
ამაღლდი ჩემში, იესო!

თითო კუპლეტი

ჩემი სამკაულები
(ანნას, ელენეს, ნიტას)

მე სახვა სიმდიდრე არ გამაჩნია,
არ გამაჩნია სხვა სამკაული,
თქვენით მოირთო ჩემი ცხოვრება,
რწმენა ხართ ჩემი და სასწაული.

აღარ ვიქნები

გადაიკითხავთ როცა ჩემს ლექსებს,
იქნებით, როცა ჩემთან ფიქრებით,
მოვფერებოდით, სხვას რას გვთხოვდაო,
იფიქრებთ, მაგრამ აღარ ვიქნები!

ვფიქრობ

ვფიქრობ, ვერ ვხვდები, რად დამეწერა,
ეს მძიმე ხვედრი ემიგრანტობის,
ლანდად რად დამსდევს სულ მონატრება
უცნობების და მე ნაცნობების...

შორებელისა, მტრისა, მოყვრისა,
ახლობელისა და ჩემი მოდგმის,
ვინც არ გამოცდის, ის ვერ გაიგებს,
თვალებზე ცრემლი ხშირად რად მომდის...

არავინ იცის, რად მენატრება,
უტკბესი გემო პირველი კოცნის,
ეკლესიაში სანთლის დანთება
სიყვარულისთვის მხურვალე ლოცვის.

კი არ მივსტირი, გულს უხარია,
უკან მოხედვის რომ არ მრცხვენია,
ბედნიერი ვარ, რომ დღემდე სახეს
წარსულის ხიბლი შემომრჩენია...

მივალ მივუყვები

ვისთვის სიცოცხლე ვარ
და ვისთვის სიკვდილი,
ვისთვის სიხარული
და ვისთვის ტკივილი.

მივალ, მივუყვები
ცხოვრებას ნელა,
არ მიყვარს იქ ყოფნა,
სადაც ბნელა.

არ მიყვარს უმიზეზოდ
ვინმეს წყენა,
უმიზეზოდ ვინც მატკენს,
მიფრთხილდეს ყველა!

არ გამიბრაზდეთ,
თუ გთხოვეთ რჩევა,
მიყვარს ჭკვიანი კაცი,
მისი ზნე და ქცევა.

მძულს უგულო კაცის
ყველა ჩვევა,
მავნე ჩვევას რომ
ვერ გადაეჩვევა.

მძულს ყალბი სიყვარული,
კოცნა-ხვევნა,
სიკეთის მკეთებელ კაცს
არავინ სჯობს ქვეყნად...

სანამ აქა ვართ,
ვიღუღუნოთ ერთად,
მერე პირნათელი
წავიდეთ ღმერთთან!

17.03.2020 წელი

ისედაც მიხვდებით

მე პოეტი რომ არა ვარ,
თქვენ ისედაც მიხვდებით,
ეს გულია გადაღლილი
მონატრებით, ფიქრებით.

მომენატრა გაზაფხული
იებით და ვარდებით,
მზის ჩასვლა, მთვარის ამოსვლა,
ვარსკვლავების თანხლებით.

მომენატრა საქართველოს
მინდვრები და მთები,
მწვანედ აბიბინებული
ყანები და ზვრები.

ფიქრებში, მონატრებაში
გამიფრინდა წლები,
ალბათ, ასაკის ბრალია,
უღვინოდ რომ ვთვრები.

ღმერთო, ისე ნუ მომკლავ,
ვერ გავშალო ფრთები,
უკვალოდ არ დაიკარგონ
ჩემი ეს ლექსები.

მარინე შანიძე

სურვილი

მინდა გული ბუდეს მქონდეს,
ირგვლივ ყველა კარგად მყავდეს,
გუთნეული ბობოქრობდეს,
მკის დროს მკიდეს, ხვნის დროს ხნავდეს!
ბეღელში კი ხვავ-ბარაქა,
წლიდან წლამდე არ გათავდეს,
ქვევრთან სტუმარ-მასპინძელი,
ოქრო ვაზის ნაჟურს სვამდეს!
ცას სწვდებოდეს ლხინის ექო,
სუფრის ბოლო არც კი ჩანდეს,
მტერსაცა და მოყვარესაც,
მუდამ ერთგულება სწამდეს!
კვალში მედგეს შვილი ჩემი,
თავის ჯიშს და ჯილაგს ჰგავდეს,
სადაც შეხვდეს გაჭირვება,
იქვე გზა ნათელი ჩანდეს!...
გაძლიერდეს ფუძე, კერა,
მტერიც არსად არ მოჩანდეს,
სინანული შთააგონოს,
ღმერთმა, ყველა ცოდვის ჩამდენს!
მაგრამ, მაინც,უფრო მეტად,
მინდა დარდი გულს არ მწვავდეს,
ქართველების აღმაფრენა,
მათი სიძლიერე მწამდეს,
საქართველო, ერთადერთი,
მარად უძლეველი მყავდეს!

კ ა ხ ე თ ს ♡

ჩემი სამშობლოს ცისკრის ვარსკვლავო,
წარსულის დიდო გადმოსახედო,
სულში ჰანგებად ამღერებულო,
გულიდან ლექსად გადმონახეთქო,
მზე რომ გადმოგდის მთების უბიდან,
ეს სასწაული სხვაგან სად ვნახო?
შენა ხარ ჩემი წმინდა საძვალე,
ბაღი, ვენახი და სამოსახლო!
შენ ჩემი დილის გათენებაც ხარ
და მხრების გაშლას რომ დავაპირებ,
ერთი სურვილი მიჩნდება უმალ,
ფეხით დავუყვე ივრის ნაპირებს.
ვნახო ყანები თავთუხიანი,
მარად შრიალა ტყე და ტევრები,
მკერდგარუჯული ალაზნის ველი
და მზით დამწვარი ოქროს მტევნები...
ცად აღმართული საჯიხვეები,
ჭალები ლურჯი და მობიბინე,
ზვარში ჩამდგარი ჭაღარა მეზვრე,
შენზე მლოცველი და მოღიღინე.
კალთაზე ხვავის სურნელი აგდის,
წარსულში მტერთა რისხვით ჩაგრულო,
მომხდურზე ჯავრის ამოსაყრელი,
კვლავაც ზღაპრული ისმის ,,ჩაკრულო".
ისევ გეძახის მეხრედ, მეგუთნედ,
ნატერფალები მამა–პაპათა,
მადლობა უფალს, რომ შეგრჩა ძალა
და დღესაც ფხიზლობ შვილის აკვანთან...
...კვლავ ისმის ნანა, ხმა სიკეთისა,
ბოროტი ყველა განდევნილია!
...ისევ იზრდება მეფე ერეკლე,
ისევ იზრდება დიდი ილია!...
ავ თვალს მახვილი ეწიოს მუდამ,
მომავლის სხივად გაბრწყინებულო,
ბევრჯერ მტერთაგან დამარცხებულო,
მაინც ზეცამდე ამაღლებულო,
შენ ლხინო ჩემო,სიცოცხლევ ჩემო,
ლექსო გულიდან გადმონახეთქო,
სულში ჰანგებად ამღერებულო,
უბერებელო – ჩემო კ ა ხ ე თ ო !

შემოდგომა კახეთში

სულს რომ აგიწრიალებს და
შეგეყრება გოდებად,
სხვა რომ არაფერი გინდა
და არც მოგაგონდება...
გულში ლხინად ჩაგიძვრება,
სხვა ფერით და სხვა ხედით,
შემოდგომის დედოფალი -
მადლიანი კახეთი.
თუ სტუმრობა გადაწყვიტე,
არ ინდომო სხვა მხარე,
მოდი, უხვი მასპინძლობით
დატკბი და გაიხარე!
თვალსაც უჭირს დაჯერება,
გრძნობა გათანგულია,
შემოდგომით კახეთი ხომ
მთლად სამყაროს გულია!
გეძახიან, გატყვევებენ
პაპის ხელშენახები -
ოქროსფერად მოწეული
ოქრო ბაღ-ვენახები.
პატარძალს ჰგავს,
თვალმახარას,
ზვარი – სათნოდ მოვლილი
და ღიღინით გულს ახარებს
გლეხი – შრომით მოღლილი.
ირგვლივ მუდამ ფუსფუსია,
ლაღი და საამური,
გადახლეჩილ ბრონეულებს
წითლად ასდით ალმური...

აივანზე კეკლუცობენ
ღიპიანი გოგრები,
ქვევრის პირას ჯერს ელიან
ყურძნით სავსე გოდრები.
ჰაერს მოტკბო სურნელი აქვს,
სასწაულის სადარად,
შუაცეცხლზე, სავსე ქვაბში,
კვლავ თუხთუხებს თათარა!
თავბრუსხვევას ვერ წაუხვალ,
თან ცდუნება დიდია,
როცა ორმხრივ ხარიხებზე
ჩურჩხელები ჰკიდია...
ასდის ცხელი ოხშივარი,
გულის მონაწყურები
და თონეში, მადლიანი,
ცხვება დედასპურები!
წინ ლხინია, არნახული,
კაკალს დიდი ჩერო აქვს,
რთველის სუფრას სხვა
ლაზათი,
სხვა მადლი და გემო აქვს!
ნაკვერჩხალზე იწვის მწვადი,
საგანგებოდ ასხმული,
სადღეგრძელოს ელოდება
ღვინო – ჯამში ჩასხმული.
სუფრის თავში ჩამოჯდება,
ბევრათეულმოყრილი
პაპა, ხელებდაკოჟრილი,
შრომით წელში მოხრილი.

ძლიერდება ლხინის სუფრა,
ერთმანეთით ხარობენ,
ჭიქა ჭიქას ენაცვლება,
სადღეგრძელოს ჩქარობენ!
პირველს, უფალს მიაგებენ,
შესწირავენ მადლობას,
მერე ვაზის სადიდებელს,
კიდევ ერთხელ ნათლობას!
პაპა გულით ილოცება:
ქვეყნად დასარჩენებო,
გამიმრავლდით, მრავალ ამ
დროს,
დაესწარით, ჩემებო!
ყველა უნდა კარგად მყავდეთ,
გულმა თქვენით იფეთქოს,
ღვთისმშობელმა
მფარველობის
კალთა ჩამოიბერტყოს!
ქვეყნად მუდამ ბევრი გვყავდეს
ვაზის ჭირისუფალი,
თქვენი შრომის გასამრჯელოდ
შეგწეოდეთ უფალი!
დაგელოცოთ საქართველო
ქარაფით და ჭიუხით,
ყოველი წლის შემოდგომა
მოსულიყოს სიუხვით!
სტუმრები კი, გაოცებით,
ბჭობდნენ: -ეს რა ვნახეთო?!
...მაინც რა დალოცვილი ხარ,
მადლიანო კ ა ხ ე თ ო !

წავიდეთ!

წავიდეთ!
სადღაც შორს,
თუნდ მთაში წავიდეთ,
ამდენი ჯაფით და
ფუსფუსით ვღონდები,
მგონია, ისევ ის
აპრილი დადგება,
მე და შენ, სხვებისგან,
თუ განვმარტოვდებით...

წავიდეთ!
მოვშორდეთ ამ შეშლილ
სამყაროს,
გულს ვეღარ გადავღლი
უაზრო ფიქრებით,
წავიდეთ, სიცოცხლეს
სხვა ფერი მიეცეს,
იქ, სადაც ჩვენ, ორნი,
სულ მარტოდ ვიქნებით,

წავიდეთ!
ოღონდაც შეგატყო სურვილი,
მიწას ფეხს არ ვახლებ,
სულ ფრენით წამოვალ,
შემპირდი, ამიხდენ
ამ ნანატრ ოცნებას,
თორემ თუ მოგიკვდი,
სიზმრადაც არ მოვალ!

წავიდეთ!
ხომ ხედავ,
გაგვლია ცხოვრებამ,
უაზრო ჭიდილმა
გვაწვალა ძალიან,
საფიქრალ-საზრუნავს
ქვეყნად რა გამოლევს?
მე შენთვის, შენ ჩემთვის
– სულ აღარ გვცალია...

წავიდეთ!
შემპირდი,
რომ ისევ მიმღერებ,
მოვასწროთ,ისედაც
ბევრი დრო გავიდა?!
ახლაც რომ სითბოთი
ჩამყურებ თვალებში,
მგონია, ცხოვრება
იწყება თავიდან...

წავიდეთ!
სიანცით
ავიკლოთ მინდვრები,
წითელი ყაყაჩო
საჩვენოდ ბევრია,
წავიდეთ!
ოღონდაც არ მითხრა უარი,
ნუ იმჩნევ, ჭაღარა
რომ შემოგვერია...

ეკა ნადირაშვილი

* * *

მზის სხივები აიკეცავს კაბას
და ზაფხულიც ხელს დაგვიქნევს მალე...
შემოდგომა შემოგვიღებს კარს და
ყვითელ კაბით იკეკლუცებს არე.
ყველა დროს აქვს თავის ხიბლი, ვიცით,
მაგრამ ზაფხულს სულ სხვა ეშხი ახლავს…
როგორ მიჭირს, რომ განვშორდე იცი...
თითქოს, სული მეხუთება ახლა…
ვერ გაგიშვებ, სიყვარულო ჩემო,
მე სიცივეს მიჩვეული არ ვარ...
მოდი, ეს დრო შევაჩეროთ ისე,
სითბომ ძარღვში რომ ირბინოს მარად.

2021.08.11.

ეს ჩემ მტკივან გულს

დასევდიანდა გული, -
იმედგაცრუებით სავსე...
უკვე ტკივილებიც ახლავს
და არითმიაც თან სდევს.
გულო, გამიძელ! – შეგთხოვ, –
მინდა, ფეთქავდე დიდ ხანს!
ვიცი, წყენა ბევრი გახსოვს,
მაგრამ, ბედნიერიც იყავ.
ვიცი, მიერთგულებ, გულო,
დარდსაც გამიფანტავ, ვიცი..
იმედს ჩამისახავ მიზნად,
იმედს გამიღვივებ, ვიცი...

2021.07.29.

მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ

...და ნუთუ, მართლა დაგავიწყდა ის პაემანი –
იმ ხეივანთან თვალი მკიდე, მე კი ვიმორცხვე,
მესროლე მზერა, იმ მზერით კი ისე დამჭერი, –
დღესაც იარა გახსნილი მაქვს, ვეღარ ვიხორცებ...

არ მითხრა ახლა, რომ სრულიად არ გედარდები...
რაც იყო ჩვენში, ყველაფერი ქარს გაატანე...
ნუთუ სხვას ეტრფი, ამიტომაც არ გენაღვლები,
არა, არ მჯერა!.. – თუმცა ფიქრი დღემდე მაწამებს...

იმ ხეივანთან გელოდები... ვიცი, რომ მოხვალ!
და შენ გახდები ჩემი გულის ფიქრის თამადა,
ისევ მომიტან გვირილების ლამაზ გვირგვინებს,
და შენი ხელით სიყვარულით თავზე დამადგამ...

2021.07.16.

როცა არ ვიქნები

როგორი გაზაფხული მოვა?
მე რომ არ ვიქნები მაშინ ?
როგორ დაეწყება თოვა
ნუშის ულამაზეს ყვავილს…
როგორ აფეთქდება კვირტი,
სურნელს საკმეველი აკმევს
და ჩემს თიხად ქცეულ სხეულს
გულზე თეთრ ხალიჩას დაჰფენს.
ნეტავ, სად ვიქნები ამ დროს?
ალბათ, მოვფრინდები მერცხლად,
ბუდეს გავიკეთებ სახლში,
ისევ ვიჭიკჭიკებ თქვენთან.
როცა ამ ქვეყნიდან წავალ,
როცა გამეყრება სული,
როგორ გადავლახავ საზვერს,
ადგილს სად მიმიჩენს ღმერთი…
მე, კი იმედი მაქვს მართლა,
გული სიკეთით მაქვს სავსე,
სული აფრინდება ზეცას,
მჯერა, იქ აანთებს სანთლებს...

* * *

უსაქმურ ხალხს რა გამოლევს ქვეყანაზე...
სხვის ქილიკი მათ ხომ უკვე ჩვევად ექცათ,
გისაფრდება! -თვალში ბეწვი დაგინახოს,
თავის თვალში, – დირესაც კი ვერა ხედავს....

2021.

* * *

კარგს ვეღარ ისმენს ეს გული უკვე,
სულ ცუდი ესმის დაღლილა თითქოს.
მტკივანი გული , უფრო გტკივდება
და ვერ იჯერებ მის სიკვდილს თითქოს.

ხო, ემიგრანტის სანთელი ჩაქვრა,
განთიადს ვეღარ იხილავს თვალი.
მერამდენეა თვლა აღარ ააქვს...
რამდენმა დედამ, დაკარგა შვილი.

სიკვდილო, რათ ხარ დაუნდობელი,
რატომ აშორებ დედას თავის შვილს?..
როგორ არ გტკივა,- გული არა გაქვს?...
თუ ლოდი გიდევს, მკერდში უგრძნობი.

გულისტკივილით ჩემგან ჩემს მეგობარ
რუსუდანს. ექსპრომტი.
მაპატიეთ თუ ისე ვერ დავწერე..

2021.

გულგრილი ვერ იქნები

დღეს რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში.
გულისტკივილმა დამაწერინა ეს ლექსიც.

დღეს თბილისის ცა მოიცვა ნისლმა,
წვიმის ცრემლები ასველებს ქუჩებს,
ხალხმა თითქოს და რწმენა დაკარგა,
ტაძრის გზას ასცდა... გზას ვეღარ იკვლევს…
სად გაქრა ქართველ კაცის კაცობა
და" ქარვთლის დედის" მანდილი ძველი,
როგორ დავკარგეთ სინდისი სულ მთლად, -
ქალი ქალს ყვარობს... კაცი კაცს ეტრფის?..
დღეს თბილისის ცა მოსილა ნისლით.
ცრემლები დასდის "მთაწმინდის მთვარეს",
მტკვარიც ბობოქრობს, აყრუებს თბილისს
გულჩათხრობილს და დარდებით სავსეს.
დღეს თბილისის ცა მოიცვა ნისლმა,
ეშმაკი ცდილობს მოიდგას ფეხი…
ღვთისმშობელ დედის იმედადა ვართ, -
ის დაგვიფარავს, დაგვიცავს ლოცვით!

2021.07.08.

* * *

რა დარდანელი, ანდა ბოსფორი?..
ულამაზესი „ოქროს რქის ყურე“?
მიდის ბორანი მრუმე სივრცეში..
უკიდეგანო სივრცის შემყურე...

ზღვა მიაქანებს დატვირთულ ბორანს.
აღარ მოისმის მგზავრთა ჩოჩქოლი...
და სიჩუმეში... ანაზდად ისმის
ნაცნობი სიტყვის ამოძახილი...

ნუთუ? საიდან? საიდან სადა?
ეს მშობლიური ქართული სიტყვა?
ნუთუ, მომესმა? ნუთუ ჩამესმა?
ანაზდად ჩემს თავს დავუსვი კითხვა...

ამ უცხო მხარეს ქართული მესმის.
ნუთუ ცხადია და სინამდვილე?
მშობლიური ხმა ისე მომესმა,
მელოდიური, ვით ჰიმნი ლილე...

გაცნობის წყურვილს ვეღარ ვიოკებ,
სიხარულისგან გონი მერევა…
ქალი შევნიშნე ულამაზესი, -
ტანით ალვის ხეს რომ ედარება.

თვალში მაყვალი ჩაჰბუდებია,
მხრებს კი უმშვენებს დალალი გიშრის,
თვალში ჩავხედე, ნაღველი მეცნო, -
ყოველდღიური დარდის და ფიქრის...

მერამდენეა, თვლა აღარა ააქვს,
რამდენის თვალში ჩამქრალა სხივი.
ქართველი ქალი, ვით ემიგრანტი ...
გაუწირია ცხოვრების ჭიდილს

გადავეხვიე, ჩავიკარ გულში...
ნეტარ არიან ხვიჩა და გოჩა...
უცხო მიწაზე გადახვეწილთა
ყოფნა დამთავრდეს! დამთავრდეს!
მორჩა...

02.07.2021.

ქეთი ატენელი

* * *

დამღალა აქეთ-იქეთ სიარულმა
არც სატრფო, არც რაი წაწალი,
უბრალოდ დამივიწყა სიხარულმა
მომწყინდა სახლს იქით წანწალი.

ჩემი მიწას ვნატრულობ დარდიანი
მამის სახლს ძველს- ჩემთვის ბაჯაღლოს,
დილა გამითენდეს მადლიანი
მერე გინდ სიკვდილმა დამხანჯლოს

ატენის სახლში მინდა, მამის კარზე,
დედის ნაქონ ღუმელს გავახურებ,
ვიღაცა მოდით სულზე მომისწარით
მერე გინდ კუბოს ჭერი დამახურეთ...

* * *

მაწვიმს, მათოვს, ვერ მერევა სიცივე,
რადგან შენი იმედი მაქვს ერთო...
რაღაც, გიჟი სიყვარული ვიცი მე,
"გიჟისცალი" დამილოცე ღმერთო...
არა მხიბლავს ქალაქური სინაზე,
ლამპიონზე განათევი ღამე.
სულს სწყურია მთაში კარვის ბინაზე
ვიბაასოთ სანთლის შუქზე რამე...
როგორა ვძლებ უჰაეროდ ან კი მე,
არ ვუმზერდე შურთხებსა და არჩვებს..
გულს ვერ მითბობს გზა-სავალი ბარისკენ,
მთის შვილსა და მთის კალთაზე ნაჩვევს.
ვერ დავცალე ბარის ლხინში ფიალა,
უსისხლძარღვო "ტაში-ტუში" მყინავს,
უჰაერო სივრცემ გამატიალა,
სიცოცხლეში სიკვდილივით მძინავს...
სუნთქვა მიყვარს მთისა - ვენაცვალები,
მიყვარს წვიმა, მოვარდნილი თქეში,
მზერა მიყვარს ჩემიცალას თვალებში
გადარეულ სიყვარულით ხელში...

მე, Keti Ateneli – დავიბადე ქ.გორში. დავამთავრე ატენის საშ. სკოლა. შემდგომ თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი იურიდიული განხრით. ვცხოვრობ თბილისში. 13 წელი ემიგრაციაში ვარ – ამჟამად გერმანიაში...

ვწერ ექვსი წლიდან. (10 წლიდან ვიბეჭდებოდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. ვარ რამოდენიმე პოეტური კრებულის თანაავტორი.) ასევე ვხატავ. (საქართველოს რეგიონთა შორის ხატვითი ნამუშევრების გამოფენა-კონკურსის პირველი ადგილის გამარჯვებული – 1986წ).

ვცეკვავ, ვმღერი, ვუკრავ სხვადასხვა მუსიკალურ საკრავებზე..

პოეზია ჩემთვის არის, ჩემი სული და არსი სიცოცხლისა, რითიც ვუძღვები ლხინსა და ჭირს ცხოვრებისას...

სამყარო ჩემშია რომელსაც სიყვარულით ვიტევ...

* * *

მთელი ცხოვრება რაღაცას ვეძებ,
ვერ მივაგენი ხორცის სავანეს,
დედოფლის როლში სასტიკად ვერ ვძლებ,
ნარნარ ცხოვრებას სიკვდილს ვამგვანებ.

მაშ რაღა მინდა, დავეძებ რაღას,
თუ მოსვენებაც, დაღლაც ერთია?
ზოგჯერ ჭირისგან მე სულის მღაფავს
ჩემივ სიკვდილთან გამითევია...

არ შემიცვლია მიზანი წინ სვლის,
არ დამცდენია წუწუნი "ყოფით",
ჭირთ გამო ხელებს ჭუჭყში არ ვისვრი,
ჯანით ნაოფლი ცხონებად მყოფნის.

მე მივაგენი ბრძოლით ტკბილ არეს,
არვის მარჯვენის გრამად და მისხლად,
- მონაპოვრიდან ლუკმა ვიკმარე,
რატომღაც მეტი მაძღრობა მსისხლავს...

მიდის ცხოვრება მიექანება,
აბჯარასხმული მივყვები გონით,
ვერრა დამაკლეს სასტიკ ქარებმა,
გავუმკლავდები სიკვდილსაც მგონი.

და მაინც, საით მივდივარ ნეტავ,
მოსვენებისაც არ ვარ ყაბული,
რა უნდა ღირდეს იმაზე მეტად,
ზვარაკი იყო შენი მამულის?!..

ატენო

ვერ მოგივედი, შენი მიწა ვერ დავიმაძღრე,
შენი სურნელი, ვერ ვიყნოსე, სულის აბები...
გულს ამეჩქარე, ზღვა ფიქრებით გამოვირაზმე
შენსკენ, მოგიყვე საოცარი ქვეყნის ამბები...
გითხრა, თუ რამე მიხარია, ერთო მიზეზო
ჩემი სილაღის ყველა ღიმი შენი ბრალია,
მომნატრებია შენი კალთა, სახლ- კარი, ეზო,
ჩემს "დაკარგვაზე" ეგება და სულ გამწყრალია.
შენი მთებიდან იწვერება ყველა სინათლე,
ყველა ზეიმის არეალი შენი ბარია!..
მინდოდა მეთქვა, - გული რწმენით რომ მომინათლე,
ცოდვის ნაკვეთი გამშრალი და გადამხმარია...
შენთან ვისისხლე სიყვარული, ძარღვში მდუღარე,
სხეულს რომ მითბობს და სამყაროდ სულზე გადმომდის..
ყველა სიკეთე სულის სარჩოდ ჩამადუღაბე
და ამიტომაც, მზე სიცოცხლის შენგან ამომდის!
მინდოდა, შენი გულისფეთქვა დამეყურადა,
ტანს მომხვეოდა შენი მიწის მძაფრი სურნელი...
შენი ტყისა და ველის ზეცა დამეხურა და
მეყნოსა შენი მაჟალო და შავი კუნელი...
შენი ტყის ფერდობს ავყოლოდი, როგორ მინდოდა,
"შაშასბაგები" დამეკოცნა, ბებერი ფშატი,
იქ, მაყვლიანში, გული წიფლის ნახვას ითხოვდა,
მთელი "გორისა" ერთადერთი, ვით ანდამატი...
რა ლამაზი ხარ, მადლიანო მთითა თუ ბარით,
ვით წმინდა სანთელს, მოგდებია ოქროს ალმური,
გლოცავენ ყოვლად წმინდანები ცით გადმომდგარნი,
როგორც მიწისა ანგელოზი, როგორც ამური.
ბარში ღვთისმშობლის სალოცავი მოგმადლებია,
"ბარბაროს ქედზე" გადმომდგარი წმინდა ბარბარე...
წმინდა გიორგი "დანახვისით" გადმოგნთებია,
ტაძარი ღვთისა, წმინდა სიონი, მადლსაც გაბარებს...
"ატენის ციხე", "ვერის ციხე", "ნაქალაქარი",
ჩემო სამოთხევ, საამაყოდ შემოგჯარვია,
დიდი გიორგი სააკაძის " ფელე" აქ არის,
წმინდა მარიამ დედოფალი, გულს, რომ გჯავრია...
შენს კალთაშია უფლის მადლი, რამ დაგითვალოს?!..
პატარძალივით მორთულია შენი სხეული...
ღმერთო, ატენი დამილოცე, არ გამეთვალოს,
ჩემი სამშობლოს სამლოცველო გამორჩეული...
ვერ მოგივედი და ტკივილზე მეტისმეტია,
ამ მონატრებით მერამდენე ღამე ვათენო...
როგორ მიყვარხარ, უკვე, გულშიც ვერ დამეტია...
არრა გეტკინოს, მე მოგიკვდე ჩემო ატენო...

* * *

სულ ჩემი გზებით დავიარები,
გზა-გზა ომები მეტ მუღამს მმატებს,
ხორცზე მატყვია ნატყვიარები,
რომ ჩემს სიყვარულს არ ვუღალატე!..

ათასი მზე და ათასი ფინდი,
-გამოეტყუათ გული აშარებს,
ათასჯერ მცადეს, არ შევცდი, მივხვდი
რომ მხოლოდ შენი მზერა მახარებს.

გადამიწყვიტეს მოთმენა წელში,
ბეწვზე ვეკიდე პირას გამოცდის
-შენი იმედი მიჭირავს ხელში,
რითიც სიცოცხლეს ასე გამოვცლი...

* * *

იცი? – ძალიან მიყვარხარ,
იცი? – ძალიან მჭირდები,
მთელს ქვეყანაზე რომ მყავხარ
სიკვდილსაც შევეჭიდები!

შენ რომ არ მეგულებოდე
დღეების ჭირთა ცვენაში,
იქნებაც კიდევ ვკვდებოდე
სისხლად არ მჩქეფდე ვენაში.

ისე უცხო და სადა ხარ
მიწის ღმერთო და ჩემგულავ,
ზოგჯერ არც ვიცი სადა ხარ
მაინც მიყვარხარ ერთგულად.

სულ სხვანაირი გემო ხარ
მწვავ უმოწყალოდ მზე ვითარც,
თუმცა ძლიერი გოგო ვარ
მდრეკ უცნაური მზერითა.

არც რა მაქვს ხელში საბუთად
რატომ მიყვარხარ ვიცოდე,
ვიცი – რომ ღმერთმა აკურთხა
ჩემს გულში შენი სიცოცხლე...

ეთერი ზარიძე

* ფერეიდანი *

ფერეიდანი-უცხო მიწა,უცხო მამული,
გადასახლებულ ქართველების ცრემლით ნამული,
ქართული ენა სულში განძად გადამალული,
სევდიან დღეთა გაქროლება სწრაფი მარულით.
ოთხასი წელი შეინახე ქართული ენა,
აკვანს არწევდი, ასწავლიდი მართვეებს ფრენას,
გულში იკლავდი მწარე ნაღველს,დარდსა და წყენას,
აფერუმ,მართლა შენს გაძლებას,შენს ჭირთა თმენას!
რამდენ გრიგალებს გაუძელი ჯიშო ქართულო,
ზეცის თავანზე მზის სხივებად ამოქარგულო,
მუხავ ძლიერო,ქართველების გულში დარგულო,
ცრემლის მდინარევ,მაგრამ მტკიცე სისხლო ქართულო!
ღმერთმა გიბოძა გაძლების და მოთმენის ნიჭი,
შენს მწარე ხვედრზე სიტყვის თქმა და ფიქრიც კი მიჭირს.
ფერეიდანში ახლაც ისევ ქართულად გალობ,
გმირულად ლეწავ წუთისოფლის
სევდიან კალოს.....
აფერუმ მართლა შენს გაძლებას,შენს ჭირთა თმენას.

პოეტის სული

თუმც ჩვენს სიყვარულს გასვლია ყავლი,
ფიქრში კვლავ შენი სახე იელვებს...
და როგორც წიგნში ჩარჩენილ ყვავილს
ჩემს წარსულს ისე ვათვალიერებ.
იმ გაფრენილი წლების ქარავანს
შორს გაჰყვა ჩემი ლურჯი აპრილი
ჩემს წინ კი ისევ შენი ლანდი დგას,
მოკრძალებული და თავდახრილი.
პოეტის სული ცრემლის ზღვა არის,
ტკბილ მოგონებებს ძველ სკივრში აწყობს,
ეპოტინება იმედებს ხვალის
და სევდიანად უღიმის აწმყოს.
აგვისტოს ღამე ფანჯრებთან დადის,
ეს მერამდენედ ვკითხულობ ბოდლერს,
ვერ დამაჩოქებს ვერაგი დარდი,
"მე სიამაყე ძველთაგან მომდევს".
თუმც ჩვენს სიყვარულს გასვლია ყავლი,
ფიქრში კვლავ შენი სახე იელვებს...
და როგორც წიგნში ჩარჩენილ ყვავილს,
ჩემს წარსულს ისე ვათვალიერებ.

ოღონდ დაბრუნდი

ოღონდ დაბრუნდი,დავამარცხებ
წლების მარულას
და ჩვენს შეხვედრებს გადავაქცევ
ძველ სიყვარულად.
ისევ ვიქროლებთ მწვერვალებზე
ნიავქარულად
შორეულ ნისლებს შევერევით
ბინდში ფარულად.
ოღონდ დაბრუნდი! არ მოვითხოვ
მე სხვას არაფერს,
რომ გავემიჯნო მწარე დღეებს
დარდით დანაფერს,
ოღონდ დაბრუნდი! მეცხრე ცაზე
სტრიქონს ავაფრენ
და ცის მნათობებს შენს ფეხებთან
ნოხად დავაფენ!
.....

ოღონდ დაბრუნდი!

მაგული კუჭაშვული-კურტანიძე.

ეს გული არ მაქვს

ოპერაციას უკეთებენ, გვერდით ვიღაცას,
არ ვიცი ბავშვია თუ ვინმე ქალია...
ვინ მეტყვის ამბავს, აქ ასეთი არვინ მინახავს,
ცნობისმოყვარე, თვალმა მზერა გადაალია.
ასიმეტრია ვითარდება რაქიტიანის,
რაქიტიანი, დარწმუნებით ჩემი გულია,
კუბოში ვწევარ, ამოვდივარ და ისევ ვწვები,
ვგრძნობ კუბოს გარეთ სუსხიანი გაზაფხულია.
თეთრ პალატაში ღამეს ვათევ დღე გამოშვებით,
ექიმს ვერა ვცნობ, თეთრ სამოსით შენიღბულია,
აქ, ეჭვის თვალი მაკონტროლებს უნდობი მზერით,
რაც დამიმალავს, ზედმიწევნით, გაშიფრულია.
ეს, გული არ მსურს, შემიცვალით იქნებ სხვა გულით,
რადგანაც ჩემთან წამოიწყო, მკაცრი თამაში,
ახალი გული ჩამინერგეთ, ისეთ „კარკასით“,
სადაც ვერ აღწევს, სიძულვილი და სიყვარული.

შეიშრე ცრემლი პატარა ქალო

ისევ ნისლში ხარ, შენ ისევ ტირი,
რად მოგდგომია, თვალებზე ცრემლი,
გული მოგიკლეს?
ვერ ძლებ უგილოდ?
უგულოდ ყოფნა არ არის ძნელი.
უგულო ფიქრი ვერ აგაშფოთებს,
შენში ტკივილი ვერ შემოაღწევს,
ეჭვის ჭია ვერ შეგეპარება,
უმადურობა წელში ვერ გაგტეხს.
გული არასდროს აგიჩვილდება,
უგულო, საქმით ვერ იგრძნობ დაღლას,
თავს არ მოიკლავ სიყვარულისთვის,
ადვილად დასძლევ ყოველგვარ
ღალატს.
შეიშვრე ცრემლი პატარა ქალო,
არ გაგიყოლოს მწარე ნაღველმა,
გული მოგიკლეს?
უგულობა სჯობს,
ბრძანებელს კარგავ,
რა გენაღვლება.

დღეს ღრუბელს ვართავ

დღეს ღრუბელებს ვართავ,
და მოგიქსოვ, მალე
თეთრ წინდებს,
გაგითბობ ფეხებს,
იქნებ გულუც გაგითბო ოდეს,
ძვირფასო, შენთვის სხვა რამესაც ვითვალისწინებ,
მსურს მშვიდად იყო,
იღიმოდე და გიხაროდეს.
იცი? ღიმილი ძალზე შვენის, შენს ხისფერ თვალებს,
წ, მაგ თვალები სიზნარშიაც მაგონებს ზეცას,
წადილს უმალვე აგისრულებ, თუ დამავალებ,
რაც მზერას გტაცებს, რაც გიზიდავს,
და უფრო მეტსაც.
რა გავაკეთ, რომ
არასდროს არ მოიწყინო,
ვმსურს სიხარულით
სავსე იყოს ყოველი წამი,
მემხოლოდ შენთვის ვითამაშებ
იწლ- ბიწილოს,
მუზის სამფეხზეც რრიკვას მხოლოდ შენთვის
ვუსწავლი.
პარ., 20:29

თამარ ნიჟარაძე

თუკი

თუკი ცხოვრებამ მახე დაგიგო,
თუ მეგობარმაც გიმტრო,
მიენდე, უფალს, აზრთა გამრიგეს...
კეთილი ხარ და მიტომ.
თუ წაიქცევი, ისევ ადექი,
და სული გაამდიდრე ....
თუ ვინმეს უჭირს გამოადექი,
უფალი განგადიდებს!.

დავიღალე

დავიღალე, სხვის მიწაზე, დავიღალე,
დავითვალე, ამერია წლები,
ბედისწერავ, ასე როგორ დამიღამე,
ყოველ ღამე ცრელიანი ვწვები.
მონატრებამ, დაღი ძლიერ დამამჩნია,
ისევ მად ვარ ფიქრითა და გრძნობით,
ვის ვახსოვარ, ალბათ, ეს კი გააჩნია,
ვინ მელოდა, მონატრებით წლობით.
ასაკითაც ისეთი ვარ, ისევ ის ვარ,
რადგან გული მად დავტოვე თქვენთან,
ძილის დროსაც, შემოვაღებ, ფიქრთა კარავს,
თქვენით ვცოცხლობ, გული თქვენით ფეთქავს!

ბოღმა

სულ სხვანაირი დილა თენდება,
ძაღლი არ ყეფს და ჟრიამული არ ისმის არსად...
დარდით მე უკვე თმა მითეთრდება,
უცხო მიწაზე ვარ, რისი ფასად?
აქ, არც მეზობელი გიძახის,
არ გკითხულობენ, გიჭირს თუ გილხინს,
არ იკრიფება ვენახი,
რადგან შვილი ხარ, სხვისი.
სამწუხაროა, აბა რა, ქართველიც სალამს არ ამბობს,
დადიხარ, სადღაც კარდაკარ,
არავინ შენზე არ დარდობს.

მადლობა უფალს

თვალებში სიკვდილს,
ბევრჯერ ჩავხედე,
კიდეც ვიტირე, როცა დავეცი...
როგორ გაუძლო, ქარებს, თავხედებს,
ისე ვიტირე,
ხმა ვერ გავეცი.
მადლობა უფალს,
რწმენით ვისწავლე,
რა სიმდირეა,
გრძნობდე სიყვარულს,
გულს გრძნობის ცეცხლში
ბევრჯერ გავავლებ,
გულსაც მოურჩენ, ერის მოყვარულს!

აღარ გვძინავს

საქართველოს დარდი გულში,
არ მასვენებს დღე და ღამე...
მე, იქ მინდა ჩემს მამულში,
და აქ, ვითვლი წასვლის წამებს.
თუმცა ვხედავ სიძულვილი,
ყველგან როგორ დაბატონობს,
დაინაცრა სიყვარული,
ჰოდა როგორ ავიტანო.
სისხლი თავის სისხლს არ ინდობს,
ძმა ძმის მტერად გადაიქცა,
ცრემლებს ვიდენ თვალზე დიდრონს,
მგონი ზეცა ჩამოიქცა.

ქალი

უფალმა იცის, რას ითმენს ქალი,
ქალის ხომ ისეც არავის ესმის...
ქალია, ზუსტად ის ცეცხლის ალი,
შვილისთვის ვეფხვსაც თავზე რომ ესხმის.
როცა ის ტირის, ვერავინ ამჩნევს,
დარდით სავსე გულს თვით ანუგეშებს,
მერე ამ დარდსაც, გულს თვითონ აჩვევს,
მწირ სიცოცხლისთვის ძარღვი რომ შერჩეს.
მოგონებებით ცოცხლობს დღე და ღამ,
მარტოხელა და როგორც ეული...
თუ დაისვენებს ჩრდილში ცოტახანს,
წინ გაეშლება, დარდის რვეული!

ქალბატონო გულნაზი

ამას ჰქვია მადლი,
ამას ჰქვია ნატვრა,
რავქნა, ქალ- ღმერთს ვადრი,
ქალს, ყველაფრის ამტანს...
ჩაწვდა სიღრმის ტკივილს,
წაიკითხა, ჩუმად ..
განა სხვაგან ყვირის,
დარდი გამიჩუმა.
ღმერთო, დამილოცე,
დედასავით ტკბილი,
სითბო გაგაოცებთ,
დარდით გამოვლილი.
გული მომირჩინა,
აღარ მტკივა უკვე,
საქმეც გამიჩინა,
თოვლს მივდევდი უკვლევს.
იმედია ხვალის,
მზე აქვს ქალ-ღმერთს გულში...
ისე, მომაცოცხლა,
წავალ ჩემს მამულში!

კოშკი

ეს კოშკი ჩემია,
ბავშობას მაგონებს,
იქ, მამაჩემია,
დედაა, და ძმები,
ის მთებიც ჩემია,
ნატვრით რომ მაღონებს,
სვანებს, ღალატი არ ჩვევიათ!

ნუთუ

ნუთუ მიტომ წვალობს დედა,
არ აღირსო თბილი სიტყვა,
დედას შრომით სული ძვრება,
შვილი აგდებს მაინც ბრიყვად.
ასე როგორ შეიცვალა,
ეს ტკივილი რა დიდია
დედამ გული ანაცვალა,
შვილი იტყვის ვინ მიგდია,
აღარ უნდა ქალს სიცოცხლე,
და დაწერა განაჩენი,
მაინც იტყვის, თქვენ იცოცხლეთ,
ახლა თქვენ თქვით დანარჩენი!



ლაურა ასისტიშვილი-სარალიძე

მე რომ არა ვთქვა

მე რომ არა ვთქვა ...
შენ რომ არა თქვა...
მან რომ არა თქვას ერის ტკივილი,
სუყველამ ერთად ველოდოთ ხვალეს,
აღარ ვიდარდოთ მოძმის ტირილი...
რაღა იქნება, რაღა დაგვრჩება?
სხვის მომლოდინე,
თვით მძინარენი,
მტერი ხომ სახლში შემოგვივიდა
და გამოგვტაცა მზე და მთვარენი.
შენ თუ არ დარდობ,
მე თუ არ ვდარდობ,
ის თუ არ დარდობს
რას იქმს თაობა?
რას დაუტოვებთ?
რაღა დარჩებათ?
როდისღა იყოს ქართველთ მზაობა?
სულ სხვას ველოდოთ,
სულ სხვას ვუყუროთ,
ჩვენი საქმენი სხვას მივაბაროთ,
მაშ ჩვენი ვალი ვინ მოიხადოს?
ველოდოთ, მტერმა როგორ აგვყაროს.
გამოიღვიძეთ,
მეც, შენც, იმანაც,
რა გვავალია, არ დავივიწყოთ,
მამულს ვიცავდეთ,
ნუ მოვდუნდებით,
უღირს გროშებზე
არ გავიყიდოთ.

შენ დალევ

შენ დალევ სასმელს და მოიკლავ ამ მონატრებას,
მე კი ცრემლებად დამადნება გულის იარა,
რამდენი ღამე მოინატრებ ჩემს თბილ შეხებას,
ვერც კი გაგაბთო, მზემაც ისე ჩამოგიარა.
შენ სიგარეტსაც გააბოლებ, უწმაწურს იტყვი,
თავისუფლება შეგინაცვლებს დიდ მონატრებას,
მე ხომ ქალი ვარ, შებოჭილი უფლება არ მაქვს,
მხოლოდ ღამეებს მოვუყვები სევდიან ამბავს.
ბევრჯერ დაგსერავს ჩემზე ფიქრი, რომ არ ეცადე
დარჩენას ჩემსას და არ გითქვამს: – დარჩი, ნუ წახვალ,
ჩარჩოებს დარჩა სიყვარული, ებრძვის გალიას,
როგორ გიჭირდა ამ სიტყვის თქმა: – მე შენ მიყვარხარ.

იტალია ნაპოლი

პოეზია

პოეზია მსტუმრობს,
არ მასვენებს რითმა,
ლექსსა ვწერ და სულის
ყველა ბწკარი მითქვამს.
ყველა წავალთ იქით,
დრო ყველაფერს თელავს,
ოღონდ ჩემი ლექსი
საუკუნოდ ღელავს.
ტკივილების თხრობა
გულს მიამებს ოდნავ,
რითმა რითმას მოსდევს,
მიწვევს ლექსის ოდა.
მინდა გითხრათ, სანამ
გული ღელავს მძიმედ,
ტკივილები ყველა
მე სათქმელად მიწვევს.
ჩემი სულის ნაშთი
მოგაწოდოთ ლექსად,
სანამ ფეთქავს გული
მუზის თასი შევსვა.
პოეზია მიწერს
ანარეკლებს სულის,
მოღალატე ჟამის,
უღალატო მუზის.

იტალია ნაპოლი

იბერს

შეიგრძენ სუნი ქართული თიხის,
ქვევრების ღვინოს დასდე ჭაშნიკი,
ვაზის ფერებას არ გპატიობენ,
მოფერებიხარ ვენახს ბავშვივით.
როს ალავერდის ეახლო ტაძარს
და სვეტიცხოველს უნთებდე სანთლებს,
ჯერ ქართველი ხარ და ქრისტიანი,
დავითის გელათს ვერვინ წაგვართმევს.
მოკლეს სამშობლო, იქ წიწამურზე,
აქეთ კრწანისზე ელავს ყაყაჩო,
სამას არაგველს წინ ვინ დაუდგა?
ხერხეულიძეთ ბრძოლამ დამათრო.
ქართული სისხლი ყივის ძარღვებში,
სამშობლოსათვის ვიფიქროთ უნდა,
თუ ერთი წამი სხვამ გაგიელვოს,
გზაარეული იქნები მუდამ.
გამოანათა სვეტიცხოველმა
და მცხეთის ჯვარი წერს ისტორიას,
ცეცხლისფერ აისს ვერ გავცვლი, ვერა,
და კრწანისამდეც ო, რა შორია.

იტალია ნაპოლი

ისე

ისე მომწოლია ქართლის ტკივილები,
ისე მომიზღვავდა გულში ქართველობა,
ხმალი ვიშიშვლო და
მეც მტერს შევებრძოლო,
ღმერთო, არ მოაკლო
მამულს მფარველობა.
რაში უსაბელო ყალყზე წამომდგარა,
გული ძლიერია ბრძოლას შემგუები,
მაგრამ ვის აღვუდგე
მოძმე მოძმესა კლავს,
ასეთ სკამთმოყვარე
მტერს ვერ ვეგუები.
სისხლი ამიდუღდა,
გული ამიჩქროლდა,
რაშებს უსაბელოს ვეღარ შევაჩერებ,
განთიადმა მოკლა მოძმე კიდევ ერთი,
ცოდვის ჩამდენი კი,
ღმერთო, შეაჩვენე.

იტალია ნაპოლი

სულებს როცა ძერწავდი

სულებს როცა ძერწავდი...
აკვნებს როცა არწევდი...
მათი სუნთქვის დარაჯი
უპირობოდ იყავი.
დაივიწყე შენი" მე".
მათ მომავალს ღელავდი...
გიჭირდა თუ გილხინდა,
მხოლოდ მათთვის ელავდი.
ქარიშხლებიც გიქროდნენ...
მწველი მზეც გაცხუნებდა
და დაღლილი მკლავები
ვერასდროს გადუნებდა...
ფოთლებივით გაგცვივდა
იმედები ცხოვრების..
მოლოდინი არ ცხრება,,
შედეგს ისევ მოელი
და ცხოვრებაც გასულა
სულის ტანჯვა- ვაებით.
ისევ წვალობ, იღლები
და ისევ იტანჯები..
ძველებურად გაცვია
მარტოობის მანტია,
უიმედო ქარი ქრის..
გულში ცივი ქარია..
სულებს როცა ძერწავდი...
აკვნებს როცა არწევდი...
ნაოჭებად მოჯარდა
დარდი დედის თვალებში..

იტალია ნაპოლი

წასულან

ყველა წასულა თანამგზავრები,
გული დაღლილა მოგონებებით,
ვინ რა იყო და როგორ უყვარდი,
წარსულს მივანდოთ,
დროვ, მე გნებდები.
შემომენახა ტკბილ მოგონებად
ვინც გამახარა, მტერი არ იყო,
მწარე იარა ვინც დამამჩნია,
ესეც იყო და არა იყო რა.
ტკბილ მოგონებებს გულში ვინახავ,
შემოდგომების დამდგარა ჯერი,
თუკი ხმაური მხიბლავდა უწინ,
სიმშვიდეს ვეტრფი მე გადაღლილი.

იტალია ნაპოლი

წლები

წლები, წლები,
ო, ჩიტივით გაფრენილი,
თმები, თმები,
დალალები, თეთრად ფერავს,
მოვა, მოვა შემოდგომა სევდიანი
და სიბერის მე თეთრ
კაბას შემიკერავს.
წლები, წლები
ნაომარი, ნასეტყვარი,
ძალას მართმევს და ძარღვებში სისხლი ქრება,
როგორ მინდა,
როგორ მინდა,
ბედო ჩემო,
მე უდარდელ ბავშვობაში
დაბრუნება.
მოდის, მოდის
დასეტყვილი შემოდგომა,
გულს არ ძალუძს ძველებურად აფეთქება,
შენი ხელი,
შენი გული
დამაკლდება,
მიმსუბუქო შემოდგომა, რა იქნება?

იტალია ნაპოლი

ბავშვობა

ჩემი ბავშვობა – სახლი პატარა,
ეზო მწვანე და ხეები კაკლის,
მთები მდუმარნი, ძლიერ უთქმელნი,
მე მათი ცქერა ვერასდროს დამღლის.
ბუხართან ბებო წინდების ქსოვით
და მზრუნველობით, ოჯახზე ფიქრით,
გადაღლილი და მაინც მებრძოლი,
იმ მოგონებით მე თბილად ვივლი.
მომნატრებია სუფთა ბავშვობა,
საით წავიდნენ წლები გამთბარი,
არც ბავშვობაა, აღარც სილაღე,
შემოდგომა და ზამთარი მიცდის.
ზღაპრულ ფერებით თავს მომაგონებს,
ცრემლებს მომადენს ის მონატრება
და ახლა როცა ყველაფერს ვხვდები,
როს ჩამიქროლეს უკვე აფრებმა,
მინდა მოგიყვეთ, გული გაგითბოთ
და დავიცალო ჩუმი გრძნობებით,
მე წავალ, მაგრამ ფურცლებს დარჩება
გაშიშვლებული სულის ლოცვები.

იტალია ნაპოლი

არ დამიტოვოთ

არ დამიტოვოთ გულში სევდა ჩემი მამულის,
არ დამიტოვოთ მე ადგილი სხვა სიყვარულის,
არ წამიშალოთ ძველთაძველი მიწა მამულის
და ვარსკვლავები ჩემებურად მიმოხატული.
არ დამიტოვოთ მე ქართლს ვაზი დაუკრეფავი
და ცის ტატნობზე გამიფანტეთ შავი ღრუბელი,
არ დამიტოვოთ მტრის ბოგინი მშობელ მიწაზე ,
არ გამიჩეროთ მე რიონი აღელვებული.
არ შემიმუსროთ ქრისტეს ჯვარი, სიმაღლე მისი,
არ დამიმციროთ ქართვლის დედა, დედა ყოველთა,
აღმაშენებლის საქართველოს ფრთხილად ეპყარით,
პასუხი მიეც ჩვენს წინაშე მახვილთ მპყრობელთა.
გადამირჩინეთ ეს ველები მოხატულები,
პატივი ეცით ნიკორწმინდას, მცხეთას, ალავერდს,
ერთი პატარა საქართველო შემინარჩუნეთ,
ჩემო ქართველნო,
დღეს არა გთხოვთ მე სხვას არაფერს.
ჭიქაში ღვინო ჩამიტოვეთ მე სისხლისფერი,
ზეცა ამინთეთ სიყვარულით ფირუზისფერი,
დიდება ვუთხრათ, ვინც სამშობლო გადაგვირჩინა
და ბრძოლის ველზე ვენებიდან სისხლი იდინა.
არ დამიტოვოთ გულში სევდა ჩემი მამულის...

დამალულს

ბოკალში ჩატოვებულ ღვინოს,
გულში დამალულ დარდს,
სიყვარულს გაუმხელელს,
ღამის უჩუმარ ცრემლს,
სევდა ატყვია ჩუმი
მონატრებების აბგას.
გამოუთქმელი დარდით
დავალ ,როდემდე დავალ,
აჰ ,ვიოლინოც ტირის,
წვიმა მასველებს მარტოს,
ტირიფიც ტირის ჩემთან,
სათქმელს ისიც ვერ ამბობს.
მიდის დრო ულმობელი,
დაუნდობი და მკაცრი,
გულგრილი ნუ იქნები,
მომეცი ერთი ზარი.
ბოკალში ჩარჩენილ ღვინოს,
გულში დამალულ დარდს,
ბალიშზე მარტოობის ცრემლებს
მოზიარე არავინ ჰყავს.

თუკი

თუ მონატრება აღარ შეგშლის, თუკი გაცივდი,
ამ მოლოდინსაც აქვს საზღვარი, ამ სიყვარულსაც,
არვინ მოგიკრეფს ცის კიდიდან ვარდებს ელვარეს,
ანდა როგორმე გადავიტან ამ სინანულსაც.
ალბათ ზაფხულიც გადაივლის, დაიყვავილებს,
ვეღარ შეგაკრთობს სიყვარულით ჩუმი კოცნები,
რამდენი ღამე გათენდება მთვარით ელვარე,
მოგენატრები დაიწვები ჩუმი ოცნებით.
გადაიფრენენ თოლიები, ზღვაც დამშვიდდება,
ღრუბლის ფთილებზე გამომყვება ჩუმი ოცნება,
დაიყვავილებს ეს ზაფხულიც, თუ არ იჩქარებ
და მონატრებას ავაჟღერებ დამწველ ლოცვებად.

იტალია ნაპოლი.

აღარ მინდოდა

აღარ მინდოდა დამეწერა,
მაგრამ რას იზამ?
მუზის ჭიები მოსვენებას აღარ მაძლევენ,
რაც ირგვლივ ხდება
შენ განსაჯე, ღმერთო მაღალო,
მომეცი ძალა,
რომ მოვზომო ფიქრი ასევე.
აღარ მინდოდა დამეწერა,
მაგრამ რა ვუყო?
ფიქრებს წამოშლილს,
ნაიარევს ცხოვრების გზაზე,
მე დავწერ ისევ,
სულ სხვა გზები მე მეძახიან
და დამაფრენენ მე უსაზღვრო, უძირო ცაზე.
აღარ მინდოდა დამეწერა,
მაგრამ რა ვუყო?
ოცნების ფერებს,
ჩაგუბებულს გულში ხვიარად,
რა ვუყო სიტყვას, პირზე მომდგარს,
ცით ნაკარნახევს,
ანდა რაღათი დავიმშვიდო გულის იარა?
მე ისევ დავწერ, რადგან იმედს შენგანს მოველი,
ამ პოეზიამ, შენმა სითბომ იქნებ მიშველონ
და ღია ცის ქვეშ ბედს მინდობილს მომდის ცრემლები,
დამინდე ბედო, გედის სიმღერა იქნებ ვიმღერო.

ყველას

ყველას გვეყოფა ჰაერი
და ცაც ყველასთვის ერთია,
როდის მიგვიღებს უფალი
გამგები მხოლოდ ღმერთია.
ნუ იბოროტებ და ნუ გშურს,
სიკეთეს მუდამ ხედავდე,
ის დააფასე, რაცა გაქვს,
ოცნებებს ფრთხილად ბედავდე.
შეიგრძნე სილამაზენი,
ბედნიერება იწამე,
ხომ ყველაფერი გაჩუქა
ღმერთმა დალოცვილ მიწაზე.
გიყვარდეს მოძმე,
აკეთე სიკეთე ტკბილად შესარგი,
თუკი სხვასავით ვერა ხარ,
არ გინდა მწარე სარკაზმი.
მიეცი ღმერთსა ღმერთისა,
ვალი აღირსე მოვალეს,
მტერი იცოდე, უფრთხილდი,
გიყვარდეს შენი მოყვარე.
წუთისოფელი წამია,
ბოროტი შორს ვერ წასულა,
ხალისით შევხვდეთ დღეს ყოველს,
თორემ ცხოვრება გასულა.

ლია ძამუკაშვილი

***

დღეს წვიმიანი დღე გათენდა ცა მოიქრუშა,
უცებ იჭექა,შორიახლოს მეხიც გავარდა,
ფიქრები დაფრთხვნენ ისე როგორც,,ლურჯა ცხენები,,
და ჩემი მუზაც უცაბედად წარსულს ჩაბარდა.
მოწყენილ ვდგევარ,გავცქერ სივრცეს გამოუცნობელს
წვიმს,ფანჯარაზე წკარუნობენ წვიმის წვეთები,
ბეღურას ვგევარ,მარტოდმარტო ხეზე დარჩენილს
და დილას ვხვდები განსხვავებულ ემოციებით.

სადღეგრძელო

მოდი ვადღეგრძელოთ დედამიწა,
ცოდვებს რომ გვიზიდავს თავის ზურგით,
მოდი ცოდვით ნუღარ დავამძიმებთ
უფლის გზად მიმავალთ შეუერთდით.
მოდი ვიმარხულოთ ყველამ ერთად
წარსულს გავატანოთ მძიმე განცდა,
მოდი შევიყვაროთ ერთმანეთი
თორემ უფლის რისხვა არვის აგვცდა.

მოდი ჩვენს ერთობას გაუმარჯოს,
გვერდს არ გავიკაროთ მასონები,
მოდი გაგვიმარჯოს ყველას ერთად
ჩვენი სიმართლით და ამფსონებით.
მოდი გავუფრთხილდეთ ერთ გოჯ მიწას
სისხლით არ შევღებოთ მთა და მდელო,
მოდი ვადღეგრძელოთ ყველამ ერთად
ჩვენი გატანჯული საქართველო.

15/3/2021

****

გათენდა დილა,მზე გაიფურჩქნა
ვით მზესუმზირის დიდი ყვავილი,
მთვარე ჩამოჯდა ღრუბლის ფთილაზე
ღამენათევი და გადაღლილი.
სხივებმა იწყეს ხტუნვა-თამაში
კენწეროებზე,გაფურჩქულ ხეთა,
ფოთოლმა ფოთოლს მიუალერსა
კოკორმა მზერა შემოაფეთა.
ჯადოსნურ ბაღში ყვავილთა ფეთქვას
ახლავს სიცოცხლის დიდი ელფერი,
გადახვევია თეთრ ვარდს წითელი
შეყვარებულ წყვილს როგორც შეჰფერის.
ზამბახი ნარგიზს ეჩურჩულება
შროშანი გულში იკრავს გვირილას
მაგნოლიები ფოთლებს იცლიან
გასთენებიათ ლამაზი დილა.
მაისის თვეში სითბოს და ხალისს
გადაუხსნია გულის კარები,
ზეციდან გლოცავთ და გესალმებათ
გაბრწყინებული ცისა თვალები.

17/3/2021

*****

მე სხვა არაფრით არ შეგაწუხებ
დასაბამიდან მხოლოდ ერთსა გთხოვ,
მუხლმოყრით ვდგევარ და გევედრები
დედებს შვილები უცოცხლე ღმერთო!
მე გადავლახავ ბევრ დაბრკოლებას
ადრეც ეკლიან გზებზე მივლია.
მხოლოდ შვილები მიმყოფე კარგად
შვილები ჩემი სიყვარულია.
შვილების გამო მთებსაც გადავდგამ,
ოკეანეში გავიკვალავ გზებს,
მხოლოდ შვილების ჯანმრთელობა და
მე სხვა არაფერს აღარ დავეძებ.
ღმერთო! უცოცხლე შვილები დედებს,
რომ ჩაიხუტონ გულის უბეში,
არცერთ დედიკოს ცრემლებს ნუ ადენ
ყველა დედიკოს მიეც ნუგეში.
მე სხვა არაფერს არა გთხოვ ღმერთო
მე გადავლახავ ყველა განსაცდელს,
ოღონდ შვილები დამილოცე და
სხვა ყველაფერი თვითონ განსაჯე.

21/3/2021

****გაზაფხულის ბილიკებზე****

მე გაზაფხულის ეშხს მოგიტან
როდესაც მოვალ,
უკან დავტოვებ ემოციებს
დარდსა თუ ტკივილს,
მე ვერ გავუძლებ მარტოობის
უზომო ქროლვას
და გაზაფხულის ბილიკებზე
ეულად ვივლი.
გზადაგზა მოვკრეფ ბალახებზე
მოფანტულ იებს,
ცრემლებს გავატან რაც ოდესღაც
იყო წარსულში,
ყოველგვარ წყენას,სიჯიუტეს
მე გაპატიებ
და ჩაგიხუტებ სიყვარულით
მჩქეფარე გულში.
მე გაზაფხულის ყვავილებით
მოვდივარ შენთან,
თან მახლავს შენი მონატრება,
ლანდი,აჩრდილი,
მოვყვები შენთან გამომავალ
მწვანე სამყაროს
და გზას მილოცავს მაგნოლია
კოკორ აშლილი.

5/3/2021

****

შემოპარულა,მარტი როგორც
ჩუმი ნიავი,
აფეთქებულან განასკვული ხეზე კვირტები,
ყვითლად ანათებს მიმოზების
ხეთა ნაკრები,
ველად გაჭრილან თვალხატულა ყოჩივარდები.
იასამნებმა სურნელების
დაანთეს ცეცხლი,
ბაღებს ამშვენებს ნაირფერი
ლამაზი ვარდი,
აბიბინებულ მწვანე ბალახს
სიცოცხლე ერწყმის.
ზამთრის სიჩუმეს გაჰყოლია
წუხილი,დარდი.
კვირტებს შლის ნაზი მაგნოლია
იღიმის ზეცა,
კარგი იქნება ყველაფერი მოვხატო ფუნჯით,
მსურს მანდილოსნებს მოგილოცოთ
რვა მარტის დილა,
ამ ლექსის ბწკარებს მსოფლიოში
ყველა ქალს ვუძღვნი.
ღმერთმა დაგლოცოთ ყველა ქალი,
ყველა ასული,
დიდი,პატარა,მოხუცი თუ
უკვე ზრდასრული,
უფლის წყალობა გეწეოდეთ ყოველ ნაბიჯზე
და დაგდგომოდეთ გაზაფხული ჯერ არნახული.

7/3/2021

მოგონებანი

მოგონებანი,იმ წარსულ დღეთა
ვარდისფერებით განათებული,
ფოთოლთ შრიალი ვერხვების ხეთა,
ბავშვობის წლები გალაღებული.
ჩვენ ვიზრდებოდით როგორც ბავშვები
და დავდიოდით ფორმის კაბებით,
თმას გვიმშვენებდა თეთრი ბაფთები,
გზებზე გვეფინა ია-ვარდები.
მობილურები ჩვენ არ გვქონია,
არ დაგვებინდა გონება ბავშვის,
არ გვაწუხებდა მელანქოლია
არ ჩავკეტილვართ არასდროს სახლში.
ჩვენ ვთამაშობდით ყველანი ერთად
ისმოდა ლხენა და ჟრიამული,
ასე დაგვლოცა ჩვენ მამა-ღმერთმა
ასე გვასწავლეს ჩვენ სიყვარული.
ასეთი იყო ბავშვობა ჩვენი,
დაუვიწყარი წლები გასული,
შორს დარჩენილან განვლილი დღენი
და მოგონებად ქმნილი წარსული.

****

დაღლილს,დაქანცულს,ძალაგამოცლილს,
თვალებზე ცრემლი არ შეშრობია,
ოჯახიდან შორს გადაკარგულ ქალს
დაუფლებია მელანქოლია.
ღამე ხომ ძილი არ ეკარება
დღე არ თენდება მისთვის მზიანი,
სადღაც წარსულში გადაკარგულა
შვილებთან ყოფნის დრო მადლიანი.
წლები მიჰქრიან,როგორც რაშები,
აწ მომავალი დღენი ჩქარობენ,
მაგრამ არც წლები და არც დღეები
სულაც არაფრად აღარ ფასობენ.
,,რამდენი წელი უნდა განვლიო
მთელი ცხოვრება აქ უნდა ვიყო,,?
ხშირად გაისმის ეს კითხვა,მაგრამ
დროის საზომი ვერვინ გაიგო.

მაგდა გოშნიაშვილი

ჩემს სულში

ჩემს სულში ცხოვრობს ყველა ქალღმერთი,
კაცი და ღმერთი, არა სატანა...
მე შემიძლია სიყვარულიც და
ჭირის დროს სულის კბილით გატანაც.

ჩემს სულში ცხოვრობს მავრი ოტელო,
არა ვპატიობ ღალატს და ტყუილს.
როდესაც ჩემგან თავსხმას ელიან,
მე ვამჯობინებ სიჩუმეს, დუმილს.

ჩემს სულში ცხოვრობს მონაც და მეფეც,
საკარნავალო ოქროს დრაკონიც,
ხანდროს ვახერხებ მუზებთან ჭიდილს
ისეთს, რომ სიტყვებს ლექსად ავკონი.

ჩემს სულში ცხოვრობს ევა და ქალი,
ადამიანი – ღმერთის ქმნილება.
რომ შეუძლია გულით ყველასთვის
სიკეთის ქმნა და განაწილება.

ჩემს სულში ბევრი იარა ცხოვრობს,
ბევრ დარდს ვინახავ ჩუმად უბეში.
მე დარდიანიც ვახერხებ, ვცდილობ
თვალცრემლიან კაცს მივცე ნუგეში.

ჩემს სულში ცხოვრობს ყველა ქალღმერთი...
აფროდიტედან ზევსის ატემდე,
მსურს სიყვარული მქონდეს იმდენი
მთელს სამყაროზე ყველგან ვატევდე.

03.07.2019

მეფე ლირი

მე მეფე ლირის ბედი არა მშურს,
ბედი მეფისა, არა მშურს ტახტი.
სკიპტრა , გვირგვინი , ძალაუფლება,
კარიდან კარზე თავისით დახტის.
მე მეფე ლირის მამობაც არ მშურს,
მეფეც ცდება და უშვებს შეცდომებს..
ზენიტს ასული ძალაუფლება
ეცემა, ვერ იგერიებს ომებს.
*
ოხ , კორდელია...ოხ, კორდელია...
გულუბრყვილო და კეთილო გოგოვ,
როგორ გაგწირა სისხლმა და ხორცმა,
მამამ გულიდან მოგკვეთა როგორ?!
*
_მე,მიმყავს არაფრის მქონე ქალი,
მაგრამ სულით და სიტყვით მდიდარი,
ფრანგთა ხელმწიფეს, გთხოვთ , მიათხოვოთ..
პასუხი _კი ან არა მითხარით!
მე, საფრანგეთის ხელმწიფე ვირთავ ,
თქვენს კორდელიას, მესამე ასულს.
მაგრამ უფრთხილდით იმ ორ ქალიშვილს,
უმადურს, ხარბს და მეტად თავგასულს.
უმოწყალოა წუთისოფელი,
მარცხდება მეფეც, ღზევდება გლახაც.
თავს არ შეგაწყენთ, დიდო მეფეო,
დააკვირდით და თავადვე ნახავთ.
*
დამარცხდა ლირი, შვილებმა ნახეს
ბედნიერება ოქრო და ვერცხლში,
დამ გაიმეტა და_ სასიკვდილოდ
ეშმაკმა დაწვა ორივე ცეცხლში.
გისოსებს მიღმა აღმოჩნდა მეფე,
კორდელიას გვამს ბანდა ცრემლებით,
თან პატიებას შესთხოვდა ლირი,
ეფერებოდა დამჭკნარ ხელებით.
თუმც, კორდელიამ შეუნდო მამას
სანამ ბრძანებას გასცემდნენ დასჯის.
ბრძენო მკითხველო შეუნდე მეფეს
უფლება არ გაქვს ცოდვილის განსჯის.

უმოწყალოა წუთისოფელი,
ატირებს მეფეს, აცინებს მონას,
ისა სჯობია ტახტს არ ჰყოლოდა მემკვიდრე,
ტირან შვილების ყოლას.
მე მეფე ლირის მეფობა არ მშურს,
ძალაუფლებას მტერი უჩნდება....
სკიპტრა, გვირგვინი და მეფის ტახტი
რევანშს ვერასდროს გადაურჩება.

დაჰკარით ბუკებს, დაჰკარით ბუკებს!
ლირი აღარ ჰყავს ბრიტანეთს უკვე!

გაზაფხულის სიმფონია

აპრილია, გაზაფხულის შუა თვეა,
შეუტია ყვავილების მყვირალობას.
ვერ ითმენენ, სურს გამოსკდეს ტყემლებს კვირტი,
აფეთქდნენ და გადალახონ წინაღობა.

ხეზე ისე აუცეტდათ ატმებს ნასკვი,
უსირცხვილოდ გადაიხსნეს კაბის კალთა,
თითქოს მდგარა მაისის თვე ჩასაფრებით,
სიმწიფისგან თვალში შესულ წითელ ბალთან.

მერე ხე– ხილს აჰყვა კვირტი ყვავილების,
შეასრულა ყველამ ერთად სიმფონია
და ისეთი შექმნეს ნაზი ჰარმონია,
გაზაფხულმა ეს რა ძალა იქონია.

ორკესტრისთვის დაიწერა მელოდია
ვიოლინოს, როიალის , ერთად არფის,
კვირტის გაშლა შეეზავა საკრავთ ჰანგებს,
თითები კი თავისთავად სწრაფად დარბის.

საქსოფონი, ფლეიტა და კლავისინი
ჩაება და დირიჟორი პულტს არ წყდება,
მოდი ახლა გაგიკვირდეს, ფურ ირემი
თუ უცაბედ ხარ ირემთან გადაცდება.

02.03.2019

გიშრის ყელსაბამი

გრძნობებს ვეღარ ვებრძვი, თვალს მჭრის შენი გედის
თეთრი ბროლის ყელზე – ყელსაბამი გიშრის
და დეკოლტე მალვით სიშიშვლეს რომ ფარავს,
ნიავი ზედ მხრებზე ნაწნავს კვნესით გიშლის.

შავ თვალების ჟუჟუნს ვერ ვუსწორებ მზერას,
მინდა შევეფარო წამწამების ჩეროს.
მერე გაზაფხულზე შემოგეჭრე მარტში
შეყვარებულ ქალზე პოეზია ვწერო.

არ დამცინო თუკი წაგიკითხავ რიხით,
შენს ფეხებთან მკვდარი ფენიქსივით აღვსდგე,
ბროწეულის ბაგეს დაგიმარცვლი კოცნით
თუ არ წახვალ კარგო ამის წინააღმდეგ.

გიშრის მძივთან ყელზე შევაჩერებ ბაგეს,
გაზაფხულის კვირტნი რომ არ გამიხელდნენ,
გადავრაზავ ვნებას, რომ არ გამებუტნონ
და მეორედ მერე ვაი თუ არ მენდვნენ.

გამომწვევად ბზინავს და მატყვევებს ეშხით
თეთრი ბროლის ყელზე ყელსაბამი გიშრის,
დავტკბე თქვენი ცქერით და კვირტების მზერით,
რა გაკლდება ამით ანდაც შენ რას გიშლის.

10.03.2019

კ უ რ ო
(ზოდიაქო)

ხან ვარ მაისი, აპრილის ბოლო,
ქარის ქროლვა ვარ ზურგიდან ცივი,
მინდვრად დაშლილი თეთრი გვირილა,
როგორც ყელიდან შემწყდარი მძივი.

ხან თეთნულდი ვარ ზვავიან თქერით,
კლდეზე მარაოდ გაშლილი სურო,
სხვისი თვალებით უძლური ქალი
და ჰოროსკოპით ძლიერი კურო.

მთვარე ვარ ღამით გზას რომ ანათებს,
ზღვის ტალღა, როცა არწევს თოლიას.

ნერგზე გამსკდარი პირველი კვირტი,
მოცდა და რიგი რომ არ ჰქონია.

მზე ვარ აისზე მწველი – სხივებით
და კუბიდონის ტრფობის ისარი,
რომ არასოდეს არ ავაცილებ
და გულში დაჭრის დამყვა მიზანი.

გაზაფხული ვარ კვირტების ბუმი
ზოგჯერ ვედრები უძილო ოლოლს,
ზოდიაქოთი ვარ ქალი – კურო
დავბადებულვარ აპრილის ბოლოს.

08.03.2019

იოსებ ტაბიძე

სხარტულები

მალე ტყეში
სადაცაა მოთოვს,
ძაღლი უყეფს
ფრთა მოყინულ ხოხობს.
ყვავილებში
ჩაკარგული ია,
ხან, ჩრდილს ნატრობს,
ხან, დღეს ელის მზიანს...
მტრობას, ტრფობას,
ოცნებებს თუ ფიქრებს,
ურთიერთთან
მოქმედება იწვევს.
მელოდიას,
აგურსა, თუ ტყვიას,
ვისთვის მტერი,
ვისთვის, მცველი ქვია.
დავამთავრე
უკვე წიგნის წერა,
შევასრულე
მისია და მჯერა;
თუ კარგ ლექსში
ისმის, სიმთა ჟღერა;
კარგ სიბრძნეში,
ფრთხილობს „ბედისწერა“.

(ჩამატება პოემაში)

1864-1871

ამავ წლებში დაიგო
საქართველოს რკინიგზა;
რათა უფრო შემოკლდეს,
აბრეშუმის დიდი გზა...

2020

ამ წლის „კოვიდ“ ვირუსთან
ბრძოლა ქვეყნებს ითვლიდა.
თუმცა ვატყობ, ჰაერი
კარგად არ გაიწმინდა.

2021

წელს „წიგნის დღეს“ მსოფლიოს
საქართველო მასპინძლობს;
იმედია ჩვენს ამბებს
ბევრი ვინმე გაიცნობს!

ქვეყნად ბევრი რამ მინახავს

ქვეყნად ბევრი ლექსი ითქვა, კიდევ ბევრი ითქმება,
მაგრამ ჩემი ლექსის კითხვა, ახლა ასე იწყება:

I

ვინ გაუგო ამ ცხოვრებას, ბედის ვინ სცნო გზა-კვალი.
ვინ ასახა უფრო ნაღდად, მისი ავან-ჩავანი.
ზოგი ცალკე, ზოგი ერთად, უმზერს სხვების ქონებას.
ფიქრობს, როგორ აღისრულოს, მისი კუჭის ოცნება...
ზოგი თავის ოქროს კარგავს, ზოგი, სხვისას დაეძებს,
გეტყვით: – დროზე თავს მიხედეთ, შარში რომ არ გაეხვეთ.
ნიავი რომ დაუბერავს, მდელო აბიბინდება.
ნაღდი ლექსი, რომ იცოდეთ, ზუსტად მაშინ იქნება.
სწორედ მაშინ გამოჩნდება ამ ცხოვრების გზა-კვალი,
სწორედ მაშინ დაირწევა შთაგონების აკვანი.
შემოდგომა რომ დადგება, წეროები ქრებიან,
თბილ ქვეყნისკენ მიფრინავენ, ისევ დაბრუნდებიან.
აქ კი, ციცქნა ბეღურები ზამთარშიც აქ რჩებიან,
მათ სიცივე არ აშინებთ, ერთურთს ეხუტებიან,
ვინ გაიგო ეს ცხოვრება, მისი ავან-ჩავანი,
ხვდება: – იქნებ, რაღაც დასთმოს, მაგრამ არა მთავარი.

II

ქვეყნად ბევრი განმიცდია, თავსა ვგრძნობდი მეფურად.
ქარი მიდი-მოდიოდა თავზე ქუდი მეხურა.
ქვეყნად ბევრი რამე ვნახე, ბევრი რამე მხიბლავდა;
ავტო მყავდა, ტურფა ქალიც და სიცოცხლე მიმყავდა...
როს მხვდებოდა, თამაშ-თამაშ, ერთურთს ვეტოლებოდით...
ხან ზღვის პირას ვსეირნობდით, ხანაც მზეზე ვდნებოდით.
სურვილებიც ავისრულეთ, ეხებოდა ხელი-ხელს.
სიცხეც ვნახეთ და სიცივეც, თან მისდევდნენ წლები-წლებს.
რა დრო იყო რა იქნება? – თავს ისევ ვგრძნობ მეფურად.
დაე, ტურფა ბუდე იყოს და მე ვიყო ბეღურა.
მინდა, ლამაზ ლექსად იქცეს, ეს საკმარი ცხოვრება.
უანგარო, უშურველი, როგორც უბრალოება.
რომ ისევე, ახლებურად, უბერავდეს ნიავი.
დაფნის ბუჩქში ბუდე იდოს, ...მწიფდებოდეს ქლიავი,
ბოლოს მინდა ჩიტთან ერთად შენც მღეროდე ქართველო
და ეს ლექსი შეიმეცნო, როგორც სახელმძღვანელო.
ქვეყნად ბევრი რამ მინახავს და მიცვნია საზღვარი,
ბევრი რამე დამითმია, მაგრამ არა მთვარი!

ნაადრევი – REQVIEMI

სიტყვა ვძებნე, ვაფრთიანე, როგორც მემატიანემ.
წიგნი იყო და იქნება, ვინც გაგვაერთიანებს.
გულიც მისთვის ფხიზლად მქონდა და თან მშვიდად მღეროდა,
ხოლო ზოგჯერ დაძაბული „ასტეროიდს“ ელოდა....
და თუ ასე, მეც მარსივით, დავასრულებ ცხოვრებას;
მინდა გწამდეთ, რაც დავწერე, ბევრს ეყოფა ცხონებად!



ნინო უძილაური

ნეტავ სად ხარ

ნეტავ სად ხარ,
ჩემს გულს რატომ ენატრები,
იქნებ ფიქრთა გადმოლახე ჯებირები,
გულს მგლეჯენ და
საფლავს თხრიან ჩემი მტრები,
ვიცოცხლებო...
ვერ გპირდები...ვერ გპირდები.
ნეტავ სად ხარ,
ნეტავ თუ გრძნობ რომ მჭირდები,
არ თენდება...უშენობით უკუნია,
ხომ იცი რომ,
ჩემს სიყვარულს შენ გპირდები.
შენ მჭირდები...
კოცნას ვატან ფიქრთა ნიავს.
ნეტავ სად ხარ,
ახლა ისე გვიანია,
სარეცელზე გაწოლილა სევდა კრული,
ასე რატომ,
რატომ დაგიგვიანია,
თვალს ვერ ვხუჭავ,
თვალზე მკოცნის სევდის რული.
ნეტავ სად ხარ,
ნეტავ სად ხარ ჩემო ახლა,
უშენობით
გულს მოუნდა ტყვიის დახლა.

ზეცის ხმას ველი

ისევ დავთრგუნე ჩემში ლანდად ქცეული ბავშვი...
დოგმა-ჩარჩოთი შემოვფარგლე წრფელი ოცნება...
თავისუფლება დავატყვევე... დავმალე თავში...
და დავატარებ მონადქცეულ დროის მოცდენას.
რა სისულელე მიფიქრია, როცა ვიცავდი,
მიწადქცეულ და სხვის წისქვილზე მობნეულ მარცვალს...
მთის მწვერვალებზე ბილიკ-ბილიკ ახლა ვინც ადის,
სამადლობელი ბედ-იღბალთან სწორედ იმან თქვას.

რადგან დავთრგუნე სულში მყოფი ბავშვობა წრფელი,
ჩემი უფალი მელოდება...ზე ცის ხმას ველი.

სიყვარულის სიმღერა

პატარა ქოხი...
სიყვარული სიცოცხლედ მღერის,
სასახლე დიდი...
უსიცოცხლოდ ილევა ჟამი,
სადაც სიყვარულს დღე და ღამე უწყვეტად ელი,
ჩერდება დრო და ბედნიერი თენდება წამი.

ტრფობა, ალერსი
და სიმშვიდე სულთა ერთობის,
სილაღე თვალთა
და ღიმილი ბაგეს რომ შვენის,
რა ბედენაა ქოხი გაქვს თუ სასახლე თრობის,
მთავარი არის სად ციმციმებს თვალები შველის.

პატარა ქოხი...
სიყვარული სამოსელს ქარგავს,
სრა სასახლეში...
იპარება ცხოვრება მალვით,
ბედნიერება უკვდავების ხესაც იქ დარგავს,
სადაც სიყვარულს სიძულვილი თაყვანს სცემს კრძალვით.

დარდი ქუჩას

მიუყვება დარდი ქუჩას,
გზად ქსოვს ქსელის აბლაბუდას,
თვალი ვისაც გააყოლა,
საგზლად ატანს დარდის გუდას.

ზოგსაც სევდას შემოახვევს,
გატანჯავს და გააწამებს,
სიყვარულს ტანთ შემოახევს,
ძლივს შეკერილ ფარჩის კაბებს.

ატირებს და ცრემლად დაღვრის,
დაუსველებს ხშირ წამწამებს,
თუ შემოგხვდეს, მენდე, არ ღირს,
დარდს ატანდე ოქროს წამებს.

ზღვა ირხეოდა

ზღვა იყო წყნარი და ისე მშვიდი,
თითქოს დანებდა ცა დედამიწას,
ტალღებმა მზესთან გამართეს ფლირტი
და ათამაშეს ნაპირთან მიწა.

მე კი სიმშვიდით ვუცდიდი სათქმელს,
მაგრამ სათქმელი იყო ამაო,
მწველი სხივები ფერავდა ტალღებს,
ზღვაც ირხეოდა, როგორც მარაო.

ნიკა ჭიკაიძე

ზეციერო, გადმოხედე ექვს მილიარდს,
ლურჯი მზიდან მარადმწვანე დღე იშლება,
დედამიწის ნახევარი შეშლილია,
ნახევარიც ალბათ მალე შეიშლება.

ყველაფერი დაუკარგავს ადამიანს,
განთიადი შეცვლილია დაღამებით.
პოეზია ჩემი სულის ტაძარია -
ლექსებს ციდან ლოცვასავით აღვავლენდი!

მთვარე თეთრი ოცნებების სამოთხეა,
სურს ზეცაზე ვარსკვლავებთან რომანტიკა.
ჩემი გული საუკუნის ამბოხია,
მოთმინებით მომზირალი ხომალდიდან!

ვწყვეტდი მთვარეს ვარსკვლავების
მტევნებიდან,
ტიტანივით ატლანტიდა გადავცურე,
დღეს გამოვალ საკუთარი მერნებიდან
და სამყაროს საიდუმლოს აღვასრულებ!

თუ ღმერთი გწამს, ნუღარაფრის გეშინია,
რადგან მხოლოდ უფალშია შენი შვება.
დედამიწის ნახევარი შეშლილია,
ნახევარიც ალბათ მალე შეიშლება...

მზეს მოვტაცე მოთმინება სალოსური,
ღმერთს ვუამბობ მოკვდავთათვის აღსარებას:
ცოდვის წვიმა - წარღვნასავით წამოსული,
ემუქრება საუკუნეს წასალეკად.

ტიტანიურ ზღვებს მუსიკით ვაწყნარებდი
პრომეთესთან მისტიური ომი მქონდა,
დღეს კაცთათვის დაფარულის გაცხადებით,
ღმერთებს ცეცხლი გამოვტაცე ოლიმპოდან.

ცისფერი მზე ლოცვასავით ცას მიადგა,
აბრეშუმის ღრუბლებიდან სულს აღანთებს,
როგორც ნოე - პოეზიის პატრიარქად
დედამიწას სათნოებას უქადაგებს.

სიოსავით არ იძვრება დროც არსაით,
კვლავ მოითხოვს ფიროსმანი სათნო ღვინოს,
რომ წარსული - მარადმწვანე დროშასავით
ღრუბლებიდან ცისარტყელად გადმოფინოს.

თუ სამყაროს განთიადი შეცვლილია,
საუკუნეს გადასცდება შენი მცნება...
დედამიწის ნახევარი შეშლილია,
ნახევარიც ალბათ მალე შეიშლება...

ხვალ იქნება ანგელოზთა ცაში კრება,
მინდა, ზეცა მოწყალებით გადავკვეთო.
ყველა ქალაქს უწერია დამშვიდება,
წილად ხვდება მრისხანება არმაგედონს!

მოჩანს ქრისტე - ღრუბლებიდან მხრებგაშლილი,
და ბავშვივით საკუთარ თავს ვკარგავ ურცხვად.
ჩემი სული - დღეს წიგნივით გადაშლილი,
მალე ღმერთმა მოწყალებით გადაფურცლა.

აქ წერია - რასაც ენა ვერ აღგიწერს,
რომ მეგონა, დედამიწის შემქმნელს ვგავდი:
გამაოგნა ჩემი სულის სიმახინჯემ,
რასაც დღემდე ვერასოდეს ვერ ვხედავდი.

ვფიქრობ, მორჩა, მე საერთო რა მაქვს
ღმერთთან;
ამ დროს მღვრიე ჯოჯოხეთის ხმა მომესმა,
მაშინ ქრისტემ დამშვიდებით შემომხედა
და ამგვარი მოწყალებით მანუგეშა:

კმარა, შვილო, ნუღარაფრის გეშინია,
რადგან მხოლოდ უფალშია შენი შვება...
დედამიწის ნახევარი შეშლილია,
ნახევარიც ალბათ მალე შეიშლება...

დღეს დაისი ედემისფრად დაიბინდა,
მარადმწვანე სიფერადით გხატავ სულო.
მაშ, გამოვალ საკუთარი მერნებიდან,
რომ სამყაროს საიდუმლო აღვასრულო!

დღემდე გული მცოდველობამ გადარია,
ყოველივეს საკუთარი გვწამდა ღმერთი.
პოეზია ჩემი სულის ტაძარია -
ლექსებს ციდან ლოცვასავით აღვავლენდი!

საკუთარ თავს მსურს დავუსვა გამოცანა,
სიკვდილამდე, ვიდრე პატივს ვცემ გონებას:
დედამიწავ, აქამდე რამ გამოძრავა,
რომ არასდროს მოგიწია შეყოვნება!

მსურს, შევხედო გალაკტიკის სულს გარედან
და შევკადრო, ადამიანს რაც არ უთქვამს:
შენ შეიგრძნობ შენი სულის უკვდავებას,
მაგრამ მაინც თავს იმეტებ დასაღუპად!

ადამიდან ქედმაღლობის დგას ქაოსი,
სიბნელისგან სინათლე ვერ განვასხვავე,
როცა „მე ვარ“ ერთადერთი სამყაროში
„ყველას გამო ყველაფრისთვის დამნაშავე"!

მაგრამ მჯერა, უფალი არ დაგვივიწყებს,
ცოდვის გამო რაც არ უნდა დავუძლურდეთ;
დედამიწის ნახევარიც გაიღვიძებს,
რომ სამყაროს საღი აზრი დაუბრუნდეს!..

მადონა კალანდია

თქვენამც გენაცვლებით!

აქეთ სამაჩაბლო მტკივა,
იქით – აფხაზეთი.
მინდა, მაგრამ ვეღარ ვთბები
ჩემი ზეცის მზეთი.

მომეძალა მონატრება
და ყოველდღე ვკვდები,
აფხაზეთიც ჩემია და
სამაჩაბლოც – ჩემი.

გადამიჭრეს მაჯები და
სისხლისგან ვიცლები...
სამაჩაბლოვ, აფხაზეთო,
თქვენამც გენაცვლებით!

სიმღერა თბილისზე

მოვედი და ჩამიხუტე
და ჩამისვი კაკალ გულში,
ვერა, ვერავინ მაჯობებს
თბილისო, შენს სიყვარულში.

მეც ხომ შენი შვილი ვარ და
შენს თბილ მკერდზე მიდევს თავი,
დედასავით ტკბილი ხარ და
უფალივით სალოცავი.

მაგ ზღაპრულმა სილამაზემ
უცხოც ბევრი აამღერა,
უკვდავების ქალაქი ხარ,
მეგობრობის თბილი კერა.

სუნთქვაც ხარ და გულის ფეთქვაც,
მტრის წინაშე ქედუხრელი,
ღმერთმა მუდამ აგაცილოს
მონობა და მტრის უღელი.

მეც ხომ შენი შვილი ვარ და
შენს თბილ მკერდზე მიდევს თავი,
დედასავით ტკბილი ხარ და
უფალივით სალოცავი.

გაიღვიძეთ, ქართველნო!

გაიღვიძეთ, ქართველნო,
მტერი გვიქრობს სანთელს,
რა გაძინებთ, გაიღვიძეთ,
რუსი მამულს გვართმევს.
ვერა ხედავთ, შვილები
მამულს როგორ ყიდიან?
უქარქაშო ხმლები კი
მუხის ხეზე კიდია.
ჩამოხსენით ის ხმლები
სხვისთვის არა, საჩვენოდ,
ატრიალეთ ხელმარჯვედ
მტერს რომ ძალა აჩვენოთ.
უტკბილესი მამული
რომ ცოცხლობდეს, სულ იყოს,
ჩვენში მუდამ მღეროდნენ
,,შავლეგოს“ და ,,სულიკოს“,
რომ ვერავინ თელავდეს
ჩვენი მინდვრის სათიბებს,
რუსეთუმე ქართველთა-
ყველას დედა ვატირე!
გაიღვიძეთ, ქართველნო,
ჩვენს მამულში ომია,
სანამ მუხას, ფესვმაგარს,
ფესვი არ გახმობია.
ასე რამ დაგადედლათ,
ფერი რაღამ გიცვალათ,
დავიჯერო, ქართული
გენი გარდაიცვალა?!
ასე რაღამ შეგცვალათ,
სისხლი რამ გაგიწყალათ,
დგას დღეს ფრთებჩამოყრილი
ქაშვეთი, ნარიყალა.
ნუთუ არც დავითი გვყავს,
არც ცოტნე, არც თამარი,
გვიჯობს, შემოვიჭიროთ
მაშინ ყელზე ქამარი.
გაიღვიძეთ, ქართველნო,
მტერი გვიქრობს სანთელს,
რა გაძინებთ, გაიღვიძეთ,
რუსი მამულს გვართმევს!

რაღა ვუთხრა დავითს?!

პლეხანოვზე გავიარე გუშინ,
სევდის ნაღმი ამიფეთქდა გულში.
მწუხარებამ დამიღარა სახე,
იმ ქუჩაზე ქართველი ვერ ვნახე.
წინ შემომხვდა ჩადრიანი ქალი,
ცრემლებისგან ამიწყალდა თვალი,
ისე მიმზერს, ხასიათი ამხელს,
ამ ქუჩაზე რა უნდაო ქართველს.
დავდივარ და მოძმეს სანთლით ვეძებ,
ვეძებ, თანაც აღმაშენებელზე.
თავი არ მაქვს ჩხუბისა და დავის
აღარ ვიცი, რაღა ვუთხრა დავითს.

იფხიზლე, ძმაო!

ნუ გამაყოლებ საფლავში ჯავრად
მამულზე ტკივილს, ფიქრსა და სევდას,
აღარ ყოფილა ამქვეყნად არსად,
ვინმე რომ ასე მოექცეს დედას.
მოვეფერები ებრაელ და-ძმას,
მამულის ფასი იცის რომელმაც,
რომლის ძარღვებში სამშობლო ახლაც
თერგად, არაგვად და მტკვრად მოღელავს.
რა გემართება, ქართველო, მითხარ,
რამ გაგიწყალა ძარღვებში სისხლი,
სინდისი ნუთუ არ შეგრჩა მისხალ,
შენს მიწა-წყალს რომ გროშებად ყიდი.
რას ეუბნები შვილს და შვილიშვილს,
მონობისათვის როგორ იმეტებ,
ფულის გროვებას შრომით ვინ გიშლის,
ნუ გაუცრუებ შვილებს იმედებს.
რად გინდა ფული,თუ გახდი მონა,
უცხოტომელი დაგაჯდა თავზე,
ერთ მშვენიერ დღეს ოჯახშიც მოვა,
რაღა მოხდება,არ ფიქრობ მასზე?!
რამ დაგაძინა საღათას ძილით,
რაღამ წაგართვა უნარი ფიქრის,
იფხიზლე, ძმაო, ერთხელ დილით
აღარ აღმოჩნდე სამშობლოს იქით!

დედა ხარ და მიყვარხარ!

გულისგულში ჩასასმელო,
სულისსულში გინახავ,
უტკბილესო აფხაზეთო,
დედა ხარ და მიყვარხარ!

ჩემი თვალის ჩინი ხარ და
შენით ვხედავ სამყაროს,
არა, ძალა არ არსებობს
მე რომ შენგან გამყაროს.

ჩვენს სიყვარულს რას დააკლებს
რუსი ან სხვა ნაცია,
შენი ჭრელი გაზაფხული
ტანზე კაბად მაცვია.

მზეც ხარ, მთვარეც, ვარსკვლავებიც,
ყველა შენში ბინადრობს,
ვინ არს, თუნდაც ერთხელ გნახა,
ისევ აღარ გინატროს.

სულისსულში ჩასასმელო,
გულისგულში გინახავ,
უტკბილესო აფხაზეთო,
დედა ხარ და მიყვარხარ!

სიყვარულო, რა ყოფილხარ მაინც...

სიყვარულო,
რა ყოფილხარ მაინც!
სიცოცხლეც ხარ,
სიკვდილიც და
დარდიც,
წიწაკაც ხარ,
თაფლიც ხარ და
შხამიც,
სულის კიბოც,
ეკალიც და ვარდიც;
ცეცხლიც ხარ და
წვერიცა ხარ დანის,
ბულბულიც ხარ
და ბახალაც ყვავის,

სამოთხეც ხარ,
ჯოჯოხეთიც ლამის,
კაკალ გულში
აფეთქება ქარის;
მზეც ხარ, მთვარეც,
ვარსკვლავებიც ღამის,
იცი, ბრმაც ხარ,
სინათლეც ხარ თვალის,
მდუმარეც ხარ,
ცის მეტყველი თვალიც,
ვარდის ტუჩზე
მოციმციმე ცვარიც;
ზღვაც ხარ, ცრემლიც,
ბალახიც და ზვავიც,

ჰაერიც ხარ,
უკვდავების წყალიც,
ლექსიც ხარ და
მუსიკაც ხარ ბახის,
სუროც ხარ და
ზამბახიც ხარ ბაღის,
სიყვარულო,
რა ყოფილხარ მაინც...
მომერიე
ლოდინისგან დაღლილს.

მარი კუბლაშვილი

„ვიეჭვიანებ"

ბავშვობის მერე დღეს პირველად ვინატრე წვიმა,
მყუდრო ოთახი, გვერდით შენ და ფინჯანი ყავა,
თუმცა ოცნებას მცხუნვარე მზის სხივები მიკლავს...
და ეს დღეც ალბათ უავდროდ და უშენოდ წავა.

რთულია მწამდე, მიყვარდე და მე სხვა მესმოდეს,
ვიცი, ათასი გეტრფის, მაგრამ ათასს უარყოფ,
ჩემი სამყარო ცარიელი ახლა ესოდენ,
არარსებულზე მეოცნებე გახდა თუ ატყობ.

იწვიმებს ხვალ, ზეგ, სულ ერთია, მაინც იწვიმებს,
ღამეს მოლოდინს შემოვახვევ, როგორც ლიანებს,
ათასი გეტრფის, ისიც ვიცი, ყველას უარყოფ,
მაგრამ მე მაინც შენს ლექსებზე ვიეჭვიანებ.

„შენ მზეს გაჰყევი"

შენ მზეს გაჰყევი, მე კი დავრჩი მთვარის ამარა,
გათენება და დაღამება ახლა ერთია,
დრომ თითქმის ყველა შეცოდება ჩემი მაკმარა,
ვხვდები, რომ ჩემში უფრო მეტი ახლა ღმერთია.

შევეჩვიე და მარტო ვანგრევ ყველა განსაცდელს,
ტყუპისცალივით დავიმსგავსე უცნობი ლანდი,
ჯანდაბას, ერთხელ ალბათ ყველას უნდა დასცალდეს,
გაღიმებაც და ამ ღიმილში მოკლული დარდიც.

დღეს სინამდვილეს გავუსწორე თვალი გულგრილად
და დამფრთხალ ღამეს შემოვავლე ფიქრთა აკიდო,
მზად ვარ ბოლომდე გავიმეტო წარსულის ლანდი,
რომ ოცნებები ახლებურად მზეზე გავკიდო.

„ყვითელი ფოთლები"

მოვაგროვებ ტკივილებს შემოდგომის კართან და
ასე დაველოდები დროის უხმო განაჩენს,
უკვე ვიცით, რაც იყო, რა ხანია დამთავრდა,
თუმცა ჩემი თვალები მოგიყვება დანარჩენს.

ისევ ყვითელ ფოთლებთან დაგიტოვებ ხელწერას,
(როგორც ადრე, ყვითელი ახლაც ჩემი ფერია),
წაიკითხავ არაფერს, რაც ფოთლებზე მეწერა,
მაგრამ ეს არაფერი, ჩემთვის ყველაფერია.

გაიხსენებ ოქტომბრის ერთ მშვენიერ საღამოს,
და შეხვედრას მომავლის ჯერაც უცნობ სტუმართან,
გაცოცხლდება ფოთლებში ის გოგონა, საამო,
ვისაც შენზე ძალიან პოეზია უყვარდა.

„წვიმა გვიყვარდა"

წვიმა გვიყვარდა,ვუყვარდით წვიმას,
ცა რომ მოხსნიდა პირს,
მეკითხებოდი,თვალებციმციმავ,
კვლავ ჩემი ტრფობა გჭირს?

მე შენით შეშლილს,სხვა რა მინდოდა,
ან რა მიშლიდა ხელს,
მიმეორებდა წვიმის წვეთები,
ჩემთვის ნაცნობ სახელს.

რა იქნებოდა ისევ ეწვიმა,
ბედნიერების ცრემლს,
რაც გადაიღო,მას შემდეგ ჩემო,
სულ სინანული მდევს.

აღარც წვიმაა,აღარც სურვილი,
ცამ დაიქუხოს კვლავ,
მზე ამოსულა,მე კი მზის სხივებს,
სულ სათითაოდ ვკლავ.

წვიმების სეზონს მარტო შევხვდები,
მარტო ვიცეკვებ ვალსს,
იქნებ ოდესმე მზე შემიყვარდეს,
ის დაგიბრუნებს ვალს.

წვიმა გვიყვარდა,ვუყვარდით წვიმას,
ცა ისევ მოხსნის პირს,
გაგახსენდეს რომ თვალებციმციმას
კვლავ შენი ტრფობა სჭირს.

„ისე რაა"

წამო წავიდეთ, ხომ ხედავ რომ შენსკენ აცივდა...
გზააბნეული წვიმებია გულს რომ გისერავს,
არც მე ვარ კარგად, გეფიცები, კარგად არავარ,
მაგრამ თუ მკითხავ, გიპასუხებ რომ ვარ ,,ისე რა!"

ხომ შეიძლება ერთ დღეს ლექსად ვეღარ მოვქსოვო
ვერც სათხოვარი, ვერც გრძნობების მთელი არმია,
და ვერც შენ მიხვდე, უგუნებოდ შევიქმენ რატომ...
ან მონატრების ტკივილებმა რად გადამრია.

წამო, წავიდეთ, ამას იქით სხვა სამყაროა,
იქ სიყვარულის ფიალები ლექსად ივსება,
არავარ კარგად, გეფიცები, მაგრამ... მაგრამ რა?!...
თუ მაინც მკითხავ, გიპასუხებ ისევ- ,,ისე რაა"!

,, მე გული არ მაქვს"

შენ სიყვარული არ იციო, მითხარი გუშინ,
მე არაფერი გიპასუხე, გული დავხურე,
იმ სამოთხეში, სადაც ჩემს თავს შემოსვლას ვუშლი,
ვხვდები რომ ყოფნას სულ არაფრით არ ვიმსახურებ.

ალბათ გრძნობ, როგორ შეცვლილია ჩემში განცდები,
უკანასკნელი ფოთოლივით სევდის მონა ვარ,
მე გული არ მაქვს საყვარელო, არა, არ ცდები,
და ისიც მიკვირს, დღეს საერთოდ ასეც რომავარ.

შენ სიყვარული არ იციო, არა და ვიცი...
თუმც არაფერი გიპასუხე, ან კი რა მეთქვა,
როცა დღესაც კი ერთგული ვარ იმ ძველი ფიცის...
ვერ დავუშვებდი საიდუმლო ასე გამეთქვა!

*****

ისეთი ღამეა
აგიშლის საღერღელს,
გნატრობ და თავადაც
რა მინდა არ ვიცი,
სხეულს და გონებას
ზღვასავით აღელვებს,
ვნებათა კოცონი,
რომელსაც განვიცდი.

ერთმანეთს ერწყმება
ცხადი და სიზმარი,
რომ მყავდე, უთუოდ
კოცნას არ დაგაცდი,
რა მტანჯავს, ვის ვკითხო,
ალბათ ის მაწუხებს
ჩვენ დროში ერთმანეთს
უღმერთოდ რომ ავცდით.

ბოლოს კი ვნებდები
ღამეს და სასმელში,
ჩავახშობ ვნებებს და
სურვილებს ვასხვისებ,
გნატრობდი, თუმცაღა
ვრწმუნდები რომ ახლაც,
ეს ღამე უშენოდ
შემივსებს სასმისებს.

,,ვიღაც"

ვიღაც ჩემს სიზმრებში ხელებს აფათურებს,
ყელზე ყულფს მიჭერენ ღამის აჩრდილები,
შიში სიკვდილისა სულაც არ მაქვს თურმე,
უფრო მეშინია, რომ შენ დაგჭირდები.

მე რომ ვერ გიპოვო, შენც რომ მეძებდე და
ხელში შეგრჩეს მხოლოდ ჩემი თილისმები...
ახლა უმიზეზოდ ისე მეცრემლება,
რაღა გამაღიმებს ჩემო, იმის მერე.

უხმოდ ვაკვირდები დაწვრილებულ მაჯებს,
ძარღვში პოეზიას ვისხამ წვეთ-წვეთობით,
ვდგავარ და ვამრთელებ გულს, ვით ძველ ფარაჯებს,
ვინმეს დასჭირდება, ვისაც ვერ ვეთმობი.

ვიღაც ჩემს სიზმრებში ხელებს აფათურებს,
ყელზე ყულფს მიჭერენ ღამის აჩრდილები,
შიში სიკვდილისა სულაც არ მაქვს თურმე,
უფრო მეშინია, რომ შენ დაგჭირდები!

„ვიღაც"

ვიღაც ჩემს სიზმრებში ხელებს აფათურებს,
ყელზე ყულფს მიჭერენ ღამის აჩრდილები,
შიში სიკვდილისა სულაც არ მაქვს თურმე,
უფრო მეშინია, რომ შენ დაგჭირდები.

მე რომ ვერ გიპოვო, შენც რომ მეძებდე და
ხელში შეგრჩეს მხოლოდ ჩემი თილისმები...
ახლა უმიზეზოდ ისე მეცრემლება,
რაღა გამაღიმებს ჩემო, იმის მერე.

უხმოდ ვაკვირდები დაწვრილებულ მაჯებს,
ძარღვში პოეზიას ვისხამ წვეთ-წვეთობით,
ვდგავარ და ვამრთელებ გულს, ვით ძველ ფარაჯებს,
ვინმეს დასჭირდება, ვისაც ვერ ვეთმობი.

ვიღაც ჩემს სიზმრებში ხელებს აფათურებს,
ყელზე ყულფს მიჭერენ ღამის აჩრდილები,
შიში სიკვდილისა სულაც არ მაქვს თურმე,
უფრო მეშინია, რომ შენ დაგჭირდები!

„ჩემო სულისფერო"

ღამე შეშლილი და ვნებიანი,
ვტკბები სრულყოფილი ნეტარებით,
ჩემო სულისფერო, ჩემიანო...
ბაგეს საკოცნელად ვეტანები.

არ ვცდი, რომ გაგექცე მკლავებიდან,
სიტყვებს დაგიტოვებ უპასუხოდ,
ვიცი, გაბუტულს რომ ვერ ამიტან
როცა მთელს სამყაროს უნდა ვუხმოთ.

მივხვდი, არ არსებობს სიყვარული,
თურმე ნორმალური სულისფერო,
არანორმალურად როცა გიყვარს,
სწორედ მაშინ უნდა შეიფერო.

ღამე, შეშლილი და ვნებიანი,
ურცხვად დაგიტოვებს ჩემს ნაკვალევს,
მერე ადგება და ალიონზე,
ალბათ უჩემობას შეგაყვარებს!

„დაკარგული სიყვარულის რექვიემი"

ვკარგავ სიმშვიდეს, როცა ვფიქრობ, რომ გულს განდობდი,
როგორ დავმარხე სულში ის, რაც ასე მტკიოდა,
არ ვიკარებდი ახლოს არვის და რასაც ვგრძნობდი,
დაუფიქრებლად, სტრიქონებად გადმოდიოდა.

შენიღბავს ცრემლებს უსასრულოდ ყალბი ღიმილი,
სასწაულია ისიც ახლა, ამას რომ ვცდილობ,
მზვერავად დარჩა ერთგულება, სიკვდილმისჯილი,
რომ ხელისგულზე სხვას არავის არ აკოცნინო.

რომ გავიხსენო, მეშინია, სულ სხვად არ ვიქცე,
რომ გავიხსენო...მაგ ხელებით სხვას მოეხვიე,
სხვას, ვინც ოდესღაც მიშუშებდა იარებს იქნებ,
ახლა კი სარკმელს ვდარაჯობ და ვისმენ რექვიემს.

რა მინდა... უკვე არაფერი, თუ მკითხავს ვინმე,
ვზივარ ჩემს ფიქრში, ვწრუპავ ღვინოს და შენთან ვცილობ,
მე ვკვდები, მაგრამ ერთგულებას ვტოვებ დარაჯად,
რომ ხელისგულზე სხვას არასდროს არ აკოცნინო.

ნანა ჩარკვიანი

შვლის ნუკრი

მივყვები ჩაფიქრებული,
ტყეში, გზა გადის ირიბად.
შვინდის და მაყვლის ნაყოფზე,
მზე იღვრებოდა ღიმილად.
ტყის პირას, მინდორს ჰშვენოდა,
ყელყელაობდა გვირილა.
ფრინველთა ხმები, მატკბობდა.
ნიავმაც ჩამიღიღინა.
შეშინებულმა, შვლის ნუკრმა,
ჩემს წინ, რომ გადამირბინა.
ჯერ დავიბენი, მერე კი,
გადავიღებთქო ვიფიქრე.
შემასწრო ტყეში, ფეხმარდმა
და ვეღარ დავაფიქსირე.
გზა გავაგრძელე, ვფიქრობდი
ლექსს თან რითმებით ვძერწავდი.
რა ხელმა შეჰქმნა სამყარო,
ჯადოსნური და ფერადი.
ვერ მოვიშორე,გულიდან
შველის დამფრთხალი თვალები,
კადრებად დარჩა გონებას,
ეს საოცარი წამები.

ყაყაჩო

უფრიალებს კაბას ქარი
სიმორცხვისგან წითლდება,
ყაყაჩოო! შავი ხალი
იცი?,როგორ გიხდება.
წელზე ნაზად მოგეხვია,
აგაყოლა თვალი
სერენადებს გიმღეროდა,
სიყვარულით მთვრალი.
ამწვანებულ მდელოს ჰშვენი,
გულზე ღილად ეკვრები,
მეც წითელი კაბა მინდა,
კაბა მინდა,შენფერი.
ყანა იწვის სიყვარულით,
თავს გევლება,პეპლები.
გაზაფხულის სურნელი დგას,
ჭიკჭიკებენ მერცხლები.
ცეკვით თავბრუ დაგახვია,
არ ჩერდება ქარი.
ლამის წელში გადაგწყვიტა,
გაგაცალა ძალი.
მაინც დგახარ,სიფრიფანა,
მინდვრის დედოფალი.
ამწვანებულ მდელოს ჰშვენი,
გულზე ღილად ეკვრები.
მეც წითელი კაბა მინდა,
კაბა მინდა,შენფერი.

* * *

წვიმა წამოვიდა თქეში,
ნისლი გაიფანტა მთებში.
ვარდებს დაუსველა კაბა,
კნუტი,გახვეულა პლედში.
წვიმა დაერიათ ვარდებს,
ისევ აიწყვიტა ქარმაც.
ვარდებს გააცალა ქანცი,
ფურცლებს
აღმა ,დაღმა ჰფანტავს.
ბულბულს დასტყობია დარდი,
ხმაში შეჰპარვია სევდა,
სტირის,ფურცლებ დაყრილ
ვარდებს,
ისმის, მისი სულის კვნესა.
წამით, მზემ შეავლო მზერა,
ბაღში,ათინათებს აწნავს.
ცაში,ჯადოსნური ქნარით,
ღმერთი,
ცისარტყელას ჰქარგავს.

საუბარი მუზასთან

მუზავ, გეძახი სად დამეკარგე,
ნუთუ, დაგთრგუნა ჩემმა ნაღველმა,
მოთმენით ვქსოვოთ იმედის ჯაჭვი,
ჩვენთანაც მალე გამონათდება.
მომიახლოვდი, ჩამხედე სულში,
სიყვარულს, ისევ შევასხათ ფრთები,
რითმები დავწნათ, მძივებად, ისევ
ლექსად ავკინძოთ, სავალი გზები.
ნუთუ გამირბი, მოგწყინდა ალბათ,
სულ სევდიანი,ქალის ყურება.
ვწეროთ ლექსები, შენ მაინც იცი,
ჩემს სულს ლექსი, რომ ესალბუნება.
ისევ მომხვიე შენი მკლავები,
რომ სულმაც იგრძნოს შენი შეხება.
რომ,აიტაცონ ისევ სიმღერად
და იღიღინონ, ჩვენმა ლექსებმა.

* * *

სისხლით დაცული სამშობლო,
მტერს რა უფლებით მიჰყიდეთ.?!
ოცდაათ ვერცხლად გაყიდეთ
და გადაცვალეთ სინდისზე.
მიწა დედაა ჩვენი და,
ქართველი კაცის სიმდიდრე.
ენა და სარწმუნეობა,
ჩვენი ხატი და სიწმინდე.
გამყიდველებო,ვერასდროს
ვერ მოიპოვებთ სიმშვიდეს.

ბროწეულებს

აყვავებულ ბროწეულებს,
მთელი ხიბლით და მშვენებით.
შესევიან ყვავილები,
როგორც ციცინათელები.
მივუყვები შუკას ნელა,
მონატრებით დაღლილია,
შევაფარე მის ჩრდილს თავი,
ცხონებაა, ნამდვილია.
ზოგს ყელი აქვს მოღერილი
ზოგს,წამწამი დახრილია.
მოვეფერე და ვუწოდე,
სიყვარულის ყვავილია.
მათაც მორცხვად გამიღიმეს,
ისე, ნაზად აჩურჩულდნენ,
მზე უგზავნის კოცნას ულევს,
თვალციმციმა, ბროწეულებს.

მწამს ბედისწერის

მირახრახებს ცხოვრება,
როგორც მატარებელი.
ყველას თავის ტვირთი აქვს,
მხრებით სატარებელი.
ზოგჯერ, ცრემლს ცვლის ღიმილი,
აღმართს მოსდევს დაღმართი.
ზოგჯერ, ბედი გვიმტყუნებს,
ზოგჯერ არის, წაღმართი.
ზოგჯერ,შავი ღრუბელი,
ცაზე კარავს გააფენს,
ზოგჯერ ნაწვიმარ ცაზე,
მზე საოცრად ანათებს.
ზოგჯერ ბედის ბორბალი,
წაღმა დატრიალდება
და სიცოცხლის ალამი,
სულში აფრიალდება.
ზოგჯერ, შტორმს და ქარიშხალს,
უმკლავდები უმწეო.
ასე ნაზი, თან ფიქრობ,
ამდენს, როგორ ვუძლებო.
როცა გული სუფთა გაქვს,
სიყვარულით ავსილი.
ღმერთი არ მიგატოვებს,
ყველგანა გაქვს გზა, ხსნილი.
ბედისწერის მაინც მწამს,
წინაპართა ნათქვამის.
ცაზე სულ ბრდღვიალებდეს,
თქვენი ბედის ვარსკვლავი.

ჩემი ბავშვობა,ბლის ტოტზე დამრჩა

ცამ გადაჰფანტა შავი ღრუბლები,
ააციმციმა, ნამი ბალახზე.
სამყარო ხატავს, საოცარ ხედებს
და გულს მიმშვიდებს,ეს სილამაზე.

ბლის კუნწულები, ჩამწიფებულან
მაგრამ ვერ შევწვდი,ასე მაღალზე.
ტოტიდან, მიცქერს ჩემი ბავშვობა
და ეღიმება, ეხლა ამ ქალზე.

ხეებზე, ისე მარდათ დახტოდა,
მსუბუქი იყო, ის ნიავქარზე.
ფიქრებში, ვხედავ პატარა გოგოს,
ჩამოხევია, კაბა მაყვალზე.

ხან მოთხუპნული, თუთით ტუჩები,
ხანაც ყურებზე, ბლის კუნწულები.
ხან, ფეხშიშველი მინდორში რბენა,
ხანაც, ჩამავალ მზის სხივთა ცქერა.

ხანაც, ფრინველთა ჭიკჭიკის სმენა,
უმანკო ბავშვის ლაღი სიმღერა.
ტოლებში ბურთის თამაში წრეში.
ჭრელი პეპლების ფარფატი მზეში.

ჭიამაი, ამინდის მაცნე
და გვირილები, ჩაწნული თმებში.
ჭიდან მზირალი, ნამგალა მთვარე
და, ჭრიჭინების, ჭრიჭინი ხმებში.

ციცინათელას ადევნებული
ციცინათელა,პატარა ქალი.
მხრებზე დაყრილი წყვილი ნაწნავი
ლოყაზე, მკრთალი პატარა ხალი.

გაწრიპულ გოგოს, ვხედავ ნაწნავით.
ცხვირთან გაჩენილ ჭორფლის წერტილებს,
დახუჭობანას ისე თამაშობს, რომ
თავს არავის დააჭერინებს.

ვერ გავექეცი, ძველ მოგონებებს,
შემოვიხვიე, წარსულის ფარჩა.
ეხლაც, დავეძებ მე ჩემს ბავშვობას,
ჩემი ბავშვობა, ბლის ტოტზე დამრჩა.

მე და მთვარე

ბედისწერას
გავუსწორე
მზერა და,
ღამე,ისევ
უძილობით გავტეხე.
მთვარე იყო,
ფანჯარასთან
მომდგარი,
მან მე,მე კი,
მთვარეს
სულში ჩავხედე.
ვკითხულობდი,
ცხოვრების წიგნს
ცრემლებით,
მთვარემ მითხრა,
არ გაბედო დანებდე.
მოიმარჯვე,
ცისარტყელის ფერები,
სანამ ახალ,
სუფთა ფურცელს
დაწერდე.
აფერადე, შენი ხელით
სამყარო,
არ დანებდე,
სანამ გიჭრის გონება.
ეს ღრუბლები
ისე გაიფანტება,
ცოტა ხანში,
არც კი, მოგაგონდება.
ხედავ?!
როგორ ვცოტავდები
ვიშლები,
მერე ისევ,
ვიბადრები ვივსები.
აღმართს,
მოსდევს,
მერე ისევ დაღმართი,
არ დანებდე,
არ იფიქრო
დავმარცხდი.
დავუჯერე...
კვლავ ავივსე იმედით,
დავდიოდი,
კვლავაც ვივლი
სიკეთით.
თენდება და,
ჩვენ საუბარს
ვერ მოვრჩით.
ყველას სძინავს
მე და მთვარე
შემოვრჩით.

ემიგრანტი ქალები

ძილგატეხილს
ერთხელ ,თუ არ გინატრია,
შენი ქვეყნის
აქოჩრილი ჭალები.
მთვარის შუქზე
ღამისთვის არ გაგინდია,
ნამალავი
ოცნება და, დარდები.
თუ ერთხელაც,სიზმრად
მთები არ გინახავს,
ტაძრებიდან როგორ
რეკენ ზარები.
დაკეტილი სახლის
სევდა არ გიგრძვნია,
ოცნებით არ
შეგიღია კარები.
ოცნებებით,ფეხით
თუ არ დაგივლია,
ახლობელთა

ნანატრი საფლავები.
თუ,ზღვის ტალღებს,
ტბას და ჩანჩქერს
არ შეჰყურებ მოგონებით,
ნაღვლიანი თვალებით,
თუ შვილების სიყვარულით
გათანგული,
სულში,არ გაქვს
მონატრების ბზარები.
თუ,დღის შუქზე
დარდს არ მალავ,
ღიმილის ქვეშ
სევდიანი,
ნიღაბ ანაფარები,
ღამით,თუ არ გისველებენ
ბალიშს, ცრემლის
დადენილი ღვარები.
თუ ,უფალთან დაჩოქილი,
არ ხარ ნაზიარები.
თავზე თუ,არ დაგათენდა
ხელში სანთლის ალებით.
თუ,სამშობლოს
სიყვარულით
გულს არ გითბობს დარები.
ვერ მიხვდები,რასაც
გრძნობენ,
ემიგრანტი ქალები.

მამულს რომ ყიდით

მამულს რომ ყიდით
იმ ფულით
ნეტავ რა უნდა იყიდოთ?!
ეს მიწა, ბევრის მნახველი,
წინაპართ სისხლით მორწყული.
ჩვენამდე ხომ მოიტანეს,
თუმც ბევრი ჰყავდა მომხვდური.
ეს ცა და ცაზე ვარსკვლავნი,
მრავალი ჭირის მნახველი.
ბრძოლებში გამარჯვებული,
ამაყი სულის ქართველი.
ეს მზე, დედას გულს უთბობდა,
ომში დაცემულ გმირების.
მთვარის შუქს სიზმრად
სტუმრობდნენ
მონატრებული შვილები.
პური, ღვინო და მარილი,
ქართველი კაცის სიმდიდრე.

დღეს გაყიდული მამული,
გადაბიჯება სინდისზე.
ვაზი, და წყარო ანკარა,
ალმოდებული ჭალები,
წინაპართ საფლავები და,
ტაძრები ნალოლავები.
რატომ გაყიდეთ სამშობლო
თავი რით უნდა იმშვიდოთ?!
მამულს,რომ ყიდით იმ ფულით
ნეტავ რა უნდა იყიდოთ.?!
საუკუნეებს გაუძლო
ჩვენმა გენმა და კულტურამ,
სისხლით დაცული ქვეყანა
დაგვინაწევრა უგნურმა.
მე ქართველს არც კი ვუწოდებ,
არიან ფულის მონები.
სამშობლო თუ არ გექნებათ,
რად გინდათ მილიონები?!
შესდექ! ეს მიწა რჩეული,
ღვთისმშობლის არის
წილხვედრი.
არ მოგვიშალო უფალო,
ქართველებს შენი იმედი.
მოგვიტევე და შეგვინდე,
ცოდვით დამძიმდა ქვეყანა.
როგორ მინდოდა ჩემს მამულს,
ემრავლა და გაეხარა.
უფალო შენ მომასწარი
ქართველი ხალხის ერთობას.
ყველა გამყიდვლის მაგივრად,
ღმერთო! მე ვითხოვ შენდობას.

ლამზირა შეყილაძე

* * *

რაც თავი მახსოვს, მას აქეთ ვომობ,
არ ჩამიგია ხმალი ქარქაშში,
სამშობლოს დაცვა მწადია მხოლოდ,
გაჩხერილი ვარ მტრების ხახაში.

ბებერ მთებიდან გოდება მესმის,
მოთქმით ქვითინებს, ტაძრის კედლები,
გაცრეცილ ფრესკებს, თვალთაგან მოსდის,
უიმედობის მწარე ცრემლები.

დგას გორგასალი ხმალაღმართული,
სევდით გაჰყურებს გაყიდულ მთა-ველს,
წევს დედამიწა, დარდით დამზრალი,
ზეცის წიაღში აცეცებს თვალებს.

მოედინება ცრუთა მდინარე,
მოღალატენი, მომრავლდნენ უფრო,
მათი ქმედება და სულმდაბლობა,
სამშობლოს ნათელ მომავალს უქრობს.

ჩემივე თავთან დავიწყე ჯანყი,
პატიმრობისგან ვერ ვიხსენ ტაო,
ციცაბოებზე ჰკიდია ხალხი,
ველზე უმზეოდ სულს ღაფავს, ბაო.

დუღს და თუხთუხებს, ცოდვა და მადლი,
ავად ბუტბუტებს მტკვარი, რიონი,
და ქართულ მიწას, ომებით დაღლილს,
გულმკერდით იცავს კავკასიონი.

ყურში ჩამესმის წინაპრის ხმები,
ომის ქარ-ცეცხლში შევყავარ ფიქრებს,
წამოიმართნენ საომრად მთები,
სიცოცხლე, კბილით უჭირავს ნისლებს.

დგას ქართვლის დედა, ხმლითა და თასით,
უფლის წინაშე, სხვა გვაქვს სათქმელი,
სისხლით დავიცავთ ღვთისმშობლის წილხვედრს,
ვალდებულნი ვართ ყველა ქართველი.

თქვენ! თქვენ რას იტყვით, მოღალატენო,
ვინც უღირსობით სული იკვებეთ,
გულს რით იამებთ, ან გაყიდულ სულს,
რომელი შხამით გამოიკვეთებთ.

გულს მოედო სურვილი

ნადირობა გადაწყვიტა,
რადგან ძლიერ უყვარდა,
პაპის ძველი თოფი ჰქონდა,
ძაღლსაც არა უშავდა.

ტყის სიღრმეებს შეუერთდა,
დრო ეჩვენა უკუნი,
მერე უცბათ ყურთა სმენას,
მოწვდა დათვის ბურდღუნი.

ძაღლს ანიშნა გაჩუმდიო,
არ დამიფრთხო ნადირი,
ერთხელ მაინც ავისრულო,
ჩემი გულის წადილი.

როცა დათვი მონადირემ
ამოიღო მიზანში,
თვალწინ ქალი აეფარა,
თავი იგრძნო სიზმარში.

გაქვავდა და გაირინდა,
გულს მოედო სურვილი,
ნადირობა დაავიწყდა,
კლავდა ქალის წყურვილი.

გიშრისთვალა ტყის სიღრმუსკენ,
ნელა-ნელა იწევდა,
ქალი თვალთა მარგალიტი,
კაცს დუელში იწვევდა.

კაცი უფრო გაახელა,
ქალის უცხო თამაშმა,
ვერც კი მიხვდა ამ დუელში,
თავად როგორ დამარცხდა.

მხოლოდ გარჟრაჟზე იგრძნო,
სვრცე რომ ირწეოდა,
ახლაც ერთი სურვილი კლავს,
ქალღმერთს წამოწეოდა.

ეშმაკი ცოდვისკენ გვაქეზებს

დედაო, ცრემლი გდის ღაწვებზე,
ჩვენი უგნურებით ღონდები,
სადაც რომ სიცოცხლე დათესე,
იქ, დაგხვდა ულევი ლოდები.

ეშმაკი ჩვენს ფიქრებს სდარაჯობს,
მიწიერ თამაშით ვერთობით,
თვალხილულს ბრმასავით გვატარებს,
ჩვენივე ცოდვებში ვეფლობით.

ხელს გვიწვდი, როგორმე გვიშველო,
ვერ გწვდებით, წადილით, მცირედით,
წყვდიადში დაკარგულ თავს ვეძებთ,
ცდუნებით გზაშეცდომილები.

ღაწვებზე, ცრემლი გდის ჩვენს გამო,
ეშმაკი ცოდვისკენ გვაქეზებს,
გაღონებს, შეშლილი სამყარო,
და შენ კვლავ მაცხოვარს გვავედრებ.

მაცხოვარს, რომელიც ჯვარს ვაცვით,
არ გვთხოვდა გვირგვინს და მეფობას,
რომელიც ამბორით გავეცით,
ახლა კი მასა ვთხოვთ შენდობას.

დედაო, ეშმაკმა გვაცდუნა,
თევზივით გავებით ბადეში,
ახლა კი ვნანობთ და განვიცდით,
ვერ გიმზერთ ცრემლიან თვალებში.

მარი ბერუაშვილი

* * *

გაიზრდებიან ეს შიმელებიც,
დაბერდებიან ვერხვებიც ხვალ-ზეგ,
ჩაივლის წყაროც ქვებს შიშ-ფეთებით,
ნაოჭს დაითვლის ყაყაჩოც, ხალზე.
ბაღი მებაღეს დაუწერს უსტარს,
გადმომხედეო ბოლოდან სოფლის...
ქაცვი აიყრის ღობეზე ცრუ ტანს,
წელს ვერ ივარგებს ნაყოფის მოსხმით.
ქება- დიდებით დამდგარი წელი
გაითუთქება, როგორც ტყემალი...
აუმღერდება გლეხს საწნახელი,
შემოდგომაზე, მაჭრით შემთვრალი.
კვლავ დაიწყებენ თევზივით ფართხალს
თვეები, დრო რომ მოაკლებს ჰაერს,
ფიფქის ღილები ასწყდება ზამთარს,
წამოედება ყინვა თმით სარებს.
გაქრება თოვლი, მე რომ მიყვარდა!
ვინანებ, ლექსი რად ვერ ვუთხარი?!
მარტი შეიწმენდს ცრემლებს ყვრიმალთან,
კარს შემომიღებს ია – სტუმარი.
ბოსტანში მწვანილს გამარგლავს დედა,
აუვა ჰაერს რეჰანის სუნი...
ხან გაგვიღიმებს, ხან კი შუბლს შეკრავს
წუთისოფელი, ლხინით თუ ურვით.
სტრესის ქურაში გამომწვარ დღეებს
უავადდებათ გულის სარქველი...
მიწა გამოზრდის ახალ შიმელებს,
ხეს ჩამოტყდება ტოტები ხმელი...

* * *

მე, ამოზრდილი დედამიწიდან,
ფერს დავატარებ ბალახი, ყვითელს.
სულის შუბლშეკრულ დარაბებიდან
გადმოდის მთვარე და ღამეს მითევს.

ყველა ცდუნება ჰგავს მონალიზას
ღიმილს უფერულს, ეშხით შენიღბულს,
მშვენიერებას, სინაზით მზირალს,
ბროლის ჭაღს ვუნთებ წკვარამში, მდიდრულს.

ვიდარდე, რომ ცხელ წარსულის ბუხარს
დრო ჩავარდნია ვნების კოცონში,
და სინანული გულის სარქველს ხრავს
გადავიხადე ნდობაში გროში.

ნაწვიმარ მიწის, დაცვარულ ბალახს,
კესანე მახლდა ხელისმომკიდედ...
ათასი წელი ეძებდნენ სამარხს
და ჰპოვეს ლექსი-- ჩემი მემკვიდრე!...

მამღერებს

\- - -

მიწა მამღერებს ნადიდგორალი,
ნაშამქორალი - მამღერებს სული.
გადავაფარე წმინდა ოლარი
ახალ ცოდვათა,უკვე მზა სურვილს.
მე ამამღერებს ეს აწმყოც ჩემი,
სინანულშია და ვედრის უფალს...
თეთრი დღეების მოდის ჩანჩქერი
თავისუფალი,თან მეტად სუფთა.
იავნანიდან მღერის საარი
და აკვნებიდან იზრდება რწმენა,
ეს გუთნის დედის ხნული გზა არის,
რომ აღმოცენდა- მარცვალი ჩვენ ვართ.
ქვისხანინდელი მამღერებს გული,
ფიქრში ვიხსენებ ტაოს და კოლხას.
მე იაზონის მკლავს სიყვარული
და მიხარია, მედეა რომ ვარ .....
მამღერებს ერი ნაჩონგურალი,
ილიას "მამულს"მუხლს ვუყრი ჩემსას...
მწამს ნიკორწმინდის სვეტ-ჩუქურთმანი,

სიყვარულის ბილიკზე

გადაღლილი მივდივარ სიყვარულის ბილიკზე,
წამწამების აპრეხვით, წინ მხვდებიან ტყემლები.
ცაო, ახლა არ გინდა, ცაო,გვიან იტირე,
მეც ცრემლები მახრჩობს და წამიერად ვჩერდები!
არსებობის აივნებს უხმებიან იები,
არ მეგონა, ვარდს უწყლოდ თუ შეეძლო ცხოვრება...
სიყვარულის მდინარევ, ძარღვში მიედინები
და მკვდრადმყოფი სხეული, უცებ გამოცოცხლდება.
არ მეგონა, ძაფებით მოვქარგავდი გვირილებს,
არ მეგონა, ბისერებს ჩავაწნავდი უშნო მკერდს!
ღვთაებრივი ძალა აქვს მაღალ მთების სიგრილეს,
გადაღლილი მივდივარ და მწვერვალზე ვისვენებ.
ხიდებს, დაბლა ,ჟანგი ჭამთ, სამეგობროდ ნაშენებს,
იღბალს ფეხი უცდება, ჩაინთქმება ლავაში,
მერე, იქ მზე მივა და გააბრწყინებს ნამსხვრევებს
და ბინდშეყრილ ცხოვრხბას, ცა ვაარსკვლავებს დააფშვნის.
ზაფრანების სუნი სცემს ღარიბ ორანჟერიას
და ბაგიდან უსიტყვო მდუმარებას გამოსცრის...
ხსნას, აქ, ჩემი შროშნები ისე ჩუმად ელიან,
სიჩუმეში იყიდე შროშანები ცალობით....
სიყვარულის ბილიკზე, ბალახების სუნი დგას,
ტუხტის ყნოსვით ბრუვდება ღაწვის ნორჩი ადგილი,
ამ ბილიკზე მავანნი იცვლებიან მუდმივად,
ამ ბილიკზე მართალი ყველა როდი გაივლის....

* * *

განა ვარდება უმიზეზოდ ხიდან ფოთოლი?
წყალი იღლება და ამიტომ სტოვებს კალაპოტს!
რადგან მარტოა, პირქვე წვება ფიქრების მოლი
და ცელქი წვიმა საფიქრეთის არჩენს ნაღრძობ ტოტს.

განა ცოტაა სასწაული-- მზით გარდატეხვა,
ნაეკლარ ღობეს თბილი სხივი უამებს ნატკენს.
საკუთარ თავში აღმოაჩენ, ყოფილა ის სხვა,
რომელიც შენთან დასარჩენად მიზეზებს ავლენს.

მარტის ამინდებს შერჩენიათ სხეულზე ბაო,
თავის გასავლელს გაივლის და წავა ეს ჩრდილიც...
ვიცი, მოვედი, წუთისოფელს რომ ჩავაბარო
წუთები-- სულის პოეზია და ყოფა ცვილის.

ნასახლარისაც აღარ რჩება ყვითელი ავლი,
სიცოცხლის ჭილოფს ადამის ძე ხვალ ისევ გაშლის.

მაია სიჭინავა

* * *

Გრძნობათა კრებულს, სულის სიწმინდეს
ეალერსები შირს,
მარიამ ღვთისმშობლის გულით შემკობილი
ამოტვიფრული მაქვს დრო.
იზიდავს სიყვარული მძიმე ქარტეხილებს
არაამქვეყნიურს სპობს,
ნამდვილი გრძნობაა ნათელი მომავლის
ორ გულში ღმერთი რომ შობს

* * *

სადაც ქართული მიწაა,
ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა
ი ც ო დ ე თ !!!
ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ა .

* * *

„ახალს ვერაფერს ვერ ვიტყვი,
კაცს რაც კი არ გაუგონია,
ახლა დრო არის სიახლის“
შეყვარებული ვარ მგონია.“

* * *

„ამისხია სამკაული ბოშა ქალის,
მოჩითული გრძელი კაბაც მაცვია,
თმებიც მხრებზე დალალებად ჩამოშლილი –
გიტარაც მაქვს... შენი ცეცხლი მაკლია...“

რუსთავი

ჩემს ქალაქში გულიანად მუდამ ვმღერივარ,
მიყვარს ხოლმე ხეტიალი ქუჩებში დავდივარ,
რუსთავში ხომ ყველა მღერის დარდი რად გვინდა,
ყველგან ვიტყვი მე სიმღერით რუსთაველი ვარ.

რუსთავი, რუსთავი
რუსთაველების ქალაქი,
ლამაზი გოგონების და
კაი ბიჭების ქალაქი.

მზე, როდესაც გაიღვიძებს ღიმილიანი,
ის დღე არის ბედნიერი და იღბლიანი,
გაუღიმოთ ჩვენ ერთმანეთს ღიმილი გვიხდება,
ამ ღიმილით რუსთავი ხომ გამოირჩევა.

ყვავილის თესლი მიწაში ღვივის
და სილამაზე იქ იბადება,
ჩემი სიმღერები ზეციდან მოდის...
იქ ი ბ ა დ ე ბ ა.



მანანა სამყურშვილი

არ იყიდება...

ჩავკეტე ოდეს სიყვარული და
გულის პარკუჭში დაუდე ბინა.
მე ამ სიყვარულს შენც გიწილადებ,
იქნებ შენს გულშიც დაიდოს ბინა.

გულში კვლავ ერთად ავაგოთ,
სიყვარულისა ტაძარი,
ყვავილთ გულებში გაუჩნდეთ
ერთურთის ტრფობით ხანძარი.

გვირილას თეთრი ფრთილები,
მორიგეობით ვაცალოთ,
ისე გავპუტოთ საბრალო,
სიტყვის თქმა არ დავაცადოთ.

გაპუტულ გულში ჩავხედოთ,
მომავლის არის დავთარი,
მასში სწერია იცოდე,
სიტყვები მეტად მთავარი.

ერთი ფრთილა კი სიყვარულს
უმოწყალოდა გვპირდება,
მოვასწროთ, გადავინახოთ,
ეს გრძნობა ძლიერ ძვირდება.

სიყვარულია ისეთი,არასდროს არ იყიდება,
მისი პოვნაც კი იცოდე,ძალიან გაგიჭირდება,
დეფიციტია ქვეყნისთვის,უფრო და უფრო ძვირდება,
უსიყვარულოდ სიცოცხლე ძალიან გაგიჭირდება.

ნისლმა დანამა...
წუთისოფელი....

შემოდგომისფრად ყვავის ფერები,
სიოც ნაბერი წააგავს ერთობ,
ნისლმა დანამა თვალთა უპედა
არ ვეპუები,სულს მაინც ვაწრთობ.

გულს შევუსახლე სიყვარული და
სულს ვაკეკლუცებ,ვღიღინებ,ვართობ,
ადამიანებს განურჩევლად,
ვანუგეშებდა სიტყვანაკაზმით ვამკობ.

მზისფერი დილა როს გათენდება,
გინდაც ისმოდეს ღრუბელთა ჯავრი,
ხელაბყრობილი ზეცაში ვეძებ
მიჭირავს ქრისტეს ნატანჯი ჯვარი.

ვეძებ და სადმე თუ მომესმება,
ანგელოზებთა გაისმის კრება,
მაშინ სიტყვები დალაგდებიან,
უფალთან მიდიან წყება-წყება.

უპირველესი ნატვრაა ჩემგან...
ჩემი სამშობლო,მისი შენება,
ოდეს ნეტავი ვეღირსებოდე,
საქართველო როს დამშვენდება.

მეორე,ოჯახია და შვილთა სიმრავლე,
ჩემო სამშობლოვ! რა ბედენაა,
ფესვი თუ გახმა,თუ არ ვიმრავლე,
ნუ გამაქრობ და არ მომსრა ქვეყნად!
უხდება მამულს ფესვთა სიმრავლე.

მამულს უმრავლე მოკეთე ყველგან,
ამისთვის ვიცი,რა არის ჩვემგან...
უნდა ავაწყოთ სულის სიმები,
გავაცისკროვნოთ თვალთა სხივები.

აკვანში ჩვილი სულ მიხმიანე,
მისსა გარშემო მეც მატრიალო,
ხახადაღებულ დედამიწაზე,სულ
ცოტა, ასი წელი მსურს მატრიალო.

მერე თუ გინდა ჩემი დღეები
სულ ერთნაირად გაატიალე,
რა ბედენაა,რაღას გავიგებ,ცოდვითსავსე
დედამიწა რომელ მხარეს დაატრიალე.

ალუბლის მძივი...

და როს ნახა თვალმა-თვალი,
შვა,ცრემლები ცვრიანი.
თვალი ისე მოლივლივდა
ზღვას ემსგავსა წყლიანი.

მასთან მივედ მოწიწებით,
ხმანი მესმა მიჯნურის,
ისე ნაზი მომეჩვენა,
სირინოზი ბულბულის.

მივედ ბატის ფრთა ავიღე,
წერილის დასაწერადა,
თვალნი წამწამნი დავრაზმე,
მე, სატეფოს ასახწერადა.

თვალზე ცრემლისა მძივები,
მარგალიტებად ეკიდა,
ყურზბზე მწიფე, ორ-ორი
ალუბლის მძივი ეკიდა.

ბაგეს ვარდნი იშლებოდნენ,
ყაყაჩოსფერი ეფინა,
ღაწვზე გვირილის ფრთილები,
თოვლის ფიფქივით ეფინა.

ბროლის ყელს შემოხვეოდა
მარგალიტების მძივები,
ყელზე ეფინა ისე ვით,
ციდან ნაბნევი სხივები.

მივედ და მოვეალერსე
მას,ნეტავი ეს ეწყინა?!
მას ჩემი ხელის შეხებით
ნეტავი, რაიმე ეტკინა?!

ხმაც არ ამოსთქვა,
მხოლოდ მზერანი ლამაზნი
ციურ სხივებად მომფინა,
მარგალიტების ცრემლები
ღაწვებზე ჩამოიფინა.

შეტრიალდა და წავიდა,
თვალები მისკენ გამექცა,
მინდოდა მივსულიყავი
 და სიყვარული დამეცვა.

ვაგლახ, ქალი და ლამაზი
ხელიდან როგორ გამექცა,
მას მრე ჩემი ცხოვრება
თავს უკუღმართად დამექცა.

არ დამიშრება მელანი...

მოგონებებმა ამ დილას
კარებზე მომიკაკუნა,
წვიმაც წკაპუნით მომადგა
თვალები ჩამიპაჭუნა.

მაგრამ,რატომღაც მე მაინც,
მის უგულობას ვხვდებოდი,
წვიმის უგულო წვეთებით,
ვცივდებოდი და ვკრთებოდი.

გვირგვინი თავზე ჩაწნული
ფურცელ-ფურცელი მცვიოდა,
გული კი ტრფობის ალებით
თანდათან უფრო ღვიოდა.

მაგონდებოდა, გვირგვინებს
შენივე ხელით მიწნავდი,
წვიმისგან შეციებულს კი
უმალვე გულში მიკრავდი.

დრო მიჰქრის,ვერაფერს შევცვლი,
განგება სინაზეს მაცლის,
ქარი უგულო,აშარი,
უშენოდ მხრებზე თმებს მიშლის.

თუმცა, მე მაინც ამაყი,
სიტყვასაც არ დაგითმობდი,
შენც ხომ იცოდი, შენს ნაცვლად,
ვარდთან ბულბულებს ვიხმობდი.

შენ, მაინც მორცხვად,მინდვრის ყვავილებს
ჩემს ეზოს კართან აწყობდი,
უნდა გცოდნოდა ფარული მოსვლით,
შენ, ჩემს გულს როგორ აკრთობდი.

* * *

სიბერეში რომ გადავდექ
ისევ მომჩხავის ყორანი,
მე კი შევკარი, მივდივარ,
აღარ ჩერდება ბორანი.

ახლა მომინდა წვიმაში
ჩემი ფიქრების მღერანი,
სიტყვა არ გამომელევა,
არ დამიშრება მელანი.

ვარდის ტოტზე...

ვარდის ტოტზე ეულ მთვარეს,
სხივით თავი დაეხრჩო,
მისსა ტანჯვას,მისსა ვარამს,
გულში ცეცხლი აენთო.

მწარე ცრემლებს ღვრიდა ვარდი,
ღაწვზე ცრემლი სდიოდა,
მთვარე სხივზე ეკიდა და
ვარდი მწარედ კიოდა.

ბულბულს ხმები აერჩია,
საზანდარზე კიოდა,
გულში ტრფობის ცეცხლი ენთო,
სიყვარულის ნაპერწკალი ღვიოდა.

სტვენა-სტვენით ვარდის ტოტზე
ფრთები ნაზად გაშალა,
მთვარის გულში მისმა ხმებმა
ტრფობის ცეცხლი აშალა.

ზეცის ზღურბლზე აიჭრა და
ვარსკვლავთ სუფრა გაშალა,
ბულბულის და ვარდის ტრფობა
მან შორიდან ჩაშალა.

ალუბლის მძივი...

და როს ნახა თვალმა-თვალი,
შვა,ცრემლები ცვრიანი.
თვალი ისე მოლივლივდა
ზღვას ემსგავსა წყლიანი.

მასთან მივედ მოწიწებით,
ხმანი მესმა მიჯნურის,
ისე ნაზი მომეჩვენა,
სირინოზი ბულბულის.

მივედ ბატის ფრთა ავიღე,
წერილის დასაწერადა,
თვალნი წამწამნი დავრაზმე,
მე, სატეფოს ასახწერადა.

თვალზე ცრემლისა მძივები,
მარგალიტებად ეკიდა,
ყურზბზე მწიფე, ორ-ორი
ალუბლის მძივი ეკიდა.

ბაგეს ვარდნი იშლებოდნენ,
ყაყაჩოსფერი ეფინა,
ღაწვზე გვირილის ფრთილები,
თოვლის ფიფქივით ეფინა.

ბროლის ყელს შემოხვეოდა
მარგალიტების მძივები,
ყელზე ეფინა ისე ვით,
ციდან ნაბნევი სხივები.

მივედ და მოვეალერსე
მას,ნეტავი ეს ეწყინა?!
მას ჩემი ხელის შეხებით
ნეტავი, რაიმე ეტკინა?!

ხმაც არ ამოსთქვა,
მხოლოდ მზერანი ლამაზნი
ციურ სხივებად მომფინა,
მარგალიტების ცრემლები
ღაწვებზე ჩამოიფინა.

შეტრიალდა და წავიდა,
თვალები მისკენ გამექცა,
მინდოდა მივსულიყავი
და სიყვარული დამეცვა.

ვაგლახ, ქალი და ლამაზი
ხელიდან როგორ გამექცა,
მას მრე ჩემი ცხოვრება
თავს უკუღმართად დამექცა.

ვარდის ტოტზე...

ვარდის ტოტზე ეულ მთვარეს,
სხივით თავი დაეხრჩო,
მისსა ტანჯვას,მისსა ვარამს,
გულში ცეცხლი აენთო.

მწარე ცრემლებს ღვრიდა ვარდი,
ღაწვზე ცრემლი სდიოდა,
მთვარე სხივზე ეკიდა და
ვარდი მწარედ კიოდა.

ბულბულს ხმები აერჩია,
საზანდარზე კიოდა,
გულში ტრფობის ცეცხლი ენთო,
სიყვარულის ნაპერწკალი ღვიოდა.

სტვენა-სტვენით ვარდის ტოტზე
ფრთები ნაზად გაშალა,
მთვარის გულში მისმა ხმებმა
ტრფობის ცეცხლი აშალა.

ზეცის ზღურბლზე აიჭრა და
ვარსკვლავთ სუფრა გაშალა,
ბულბულის და ვარდის ტრფობა
მან შორიდან ჩაშალა.

ალო!!!.....

ალო!!! საქართველოა?!
ო,როგორ მინდა მასაუბროთ ახლა პარლამენტს,
მე საზღვრებს გარეთ დავიბადე,ქართული ფესვი,
ახლა ისე ვარ დამუხტული,წყალიც ვერ შევსვი.
მენატრება და ძლიერ მიყვარს ჩემი სამშობლო!!!
დედამ მასწავლა დაბადებამდე მე საქართველო!!!
მითხრეს თუ როგორ იყიდება ჩემი მამული,
ვეღარ ვისვენებ,გული ცრემლითა მაქვს დანამული.

ალო!!!საქართველოა?!
გთხოვთ, მასაუბროთ სახელმწიფოს მამამთავარი!..
როდემდე ვიყო კრიჭაშეკრული და განაბული,
უმისამართოდ არსებული წმინდა ქართველი!!!
ნუთუ არ გესმიით? ჩემი კვნესა, ჩემი ვედრება?!
კიდით-კიდემდე ეს სამყარო დღესაც შენდება!
საქართველოს კი ანგრევენო! ვინ მოგცათ ნება?!
ხმას რატომ არ მცემთ! გამაგებინეთ!
საქართველო არსებობს?თუ სრულად გაყიდულია?!
ქართლია ჩემი, კახეთის ზვრები,ალაზნის ჭალა,
რაჭა,ლეჩხუმი,სვანეთის მთები თოვლმა დაფარა?!
დიდგორის ველი, კრწანისის ველი,დედა ქართლისა,
მუხთალ ომებში ბოკვერებს რომ ფარად ეფარა!..
ნეტავი ტანჯვის წუთისოფელი აღარ ეკმარა?!

ალო!!! საქართველოა?!!!
მე ანდერძი მაქცს მამა-პაპის სისხლით ნამული,
არ გამიყიდოთ მიანდერძეს მომაქვს საბუთი!!!
მასში სწერია,საქართველო! ნიკობსიიდან დარუბანდამდე,
დავითის ხმალო ოი, ამისთვის როგორა ჰქუხდი,
როცა კარიბჭე ჩამოხსენი დარუბანდისა,
მხრებით ეწიე გელათამდე, ძლიერა სწუხდი!!!
ურჯულოს ხმალმა ამიკაფა ვაზი ქართული,
შენ კი წინაპართ ძვლებისმკვნეტელო რითი ხარ გართული!!!
სამშობლოს ჩემსას შემოარტყეს თურმე მავთული!
აღარ არსებობს?ჩემი მიწა წმინდა,ქართული?!

ჰოი,დედასა! საქართველო მრავალტანჯულო!
რად გამიყიდეთ?! უფლის ბაღია ჩემი მამული.
მოვდივარ! მომაქვს! წინაპრების ძველი ანდერძი!!!
შეჩერდით ხალხო! დამანებეთ ჩემი მამული!!!
ოქროს ზოდებით,წინაპრების ხელით ნაძერწი.
შეჩერდით! მომაქვს ანდერძი!
წინაპრების სისხლით ნაწერი!!!
შეჩერდით! ქართლის დედა სწუხს,
მე დამანებეთ ჩემი მამული!!!
ალო!!! საქართველოა?!!!
გესმით? შორიდან ფესვთა ძახილი?!!!

სიკეთე თუ აქვს ხელობად...

მთა მიყვარს ცივი წყლიანი,
ბალახი დილით ცვრიანი,
დღე ნათელი და მზიანი,
ჭალა ლამაზი ტყიანი.

მთაში ქორბუდა ირემი,
ბარად რომ მესმის ღრიალი,
სიო ნაბერი დილ-დილით,
ფოთოლთა მღერა, შრიალი.

ღარიბი ადამიანი,
ენა ტკბილი და წყლიანი,
სათხოვარს რომ ვერ გიბედავს
გული მაინც აქვს მთლიანი.

სიკეთე თუ აქვს ხელობად,
ვინც იცავს ყველა ზნეობას,
არ გაგრძნობინებს ქილიკს და
არ იწყებს სიტყვით ფერობას.

გული მეწვის და ვწუხდები,
სადმე თუ შევხვდი მათხოვარს,
ძირს არ დავუშვებ მერწმუნეთ,
სიტყვას ალალად ნათხოვარს.

მთლიანად გულში ჩავისვავ,
ეკალს გადავბდღვნი ხელებით,
მათი გულისთვის ცის კიდეს
ყირაზე გადავევლები.

გულში იმათთვის დავადნობ,
ძვირფასი რაც მაქვს მადანი,
არ გავაცრუებ სიტყვას და
არ ვიცი ტყუილი ქაქანი.

სიტყვას ჰაერში არ ვაგდებ,
საბუთად მყოფნის ნათქვამი,
მიყვარს მტერი და მოყვარე,
გული მკერდში მაქვს ნათალი,
ბოროტი გრძნობით კი არა
ოქროს ზოდისა ნათალი.

ერთგულებისთვის მიიღე
საბუთად ჩემი ნათქვამი,
უფლის ბეჭედი არტყია,
არ არის ჰაერით გამონათქვამი.

იქნებ ერთხელაც შემომიარო...

იქნებ შემომხვდი სიყვარულო ოდესღაც გზად და
არ მოგაქციე ყურადღება,ან ვერ გიცანი.
მე, უკვე მოხუცს,თვალდაბნედილს რა მეკითხება,
შენ, მარადიულს გეპატიება? რად ვერ მიცანი?!

მე,გვიან მითხრეს,ვეღარას მივხვდი სად ჩაიარე,
იქნებ მძინარეს ზედ გულზედაც გადამიარე,
ან იქნებ ტკივილებისგან გათანგულს მძიმედ,
შემოხვედი და ეს ტკივილები შენ დამიამე.

იქნებ სუფრაზე მოკიჟინე ვიყავი მაშინ,
ან ვახტანგურის თქმაში ვიყავი ტოლთან გართული,
ყანწი ხელიდან გამაგდებინე ამ მძიმე დარდში,
ღვინო დაიქცა,ამ სიმწარეში ვიყავ ჩართული.

ნეტავი მითხრა,გზად სად შემომხვდი?
ვარდის ბაღში თუ ვაზის ჩეროში,
ან იქნებ მაშინ მოხვედი ჩემთან,
როცა ვარდის ძირსა ვრგავდი ეზოში.

უფალო! -ღმერთო! რად აგვირიე გზები ნეტავი?
მე და სიყვარულს შეგვიკვეცე ფრთები ნეტარი.
მას მერე ასე ნაღვლიანი დავიარები,
ვეღარ ვიპოვე დღენი ლამაზი, სულის ნეტარი.

ერთხელაც მოდი სიყვარულო მოძმეთა მხოლოდ,
რომ ჩამეთვალო აღსარებად, სიცოცხლის ბოლოდ,
არაფერია უფრო თბილი,უფრო სათუთი,
სიყვარულია მოყვასთა და მოძმეთა მხოლოდ.

ერთხელაც მოდი,შემომიარე ბაღში მჯდომარეს,
როცა ქარი თმებს მივარცხნის კრძალვით და თრთოლვით.
მიერთგულე და თუ გინდა დარჩი ჩემთანაც ბოლოს,
ოღონდ არასდროს არ შემომხედონ ჭმუნვით და გლოვით.

თუ გსურს...

არ მინდა ჩინი, მედალი,
და არცა ოქროს მძივიო,
უბრალოებით შემამკეთ,
მხოლოდ
მზისა მსურს სხივიო,
სიღარიბისა მგმობელი,
სიმდიდრეს არა ვჩივიო.

არ მინდა ხელზე ბაჯაღლო,
ყელს
ვერცხლის,ოქროს წნულიო,
არად ღირს გული ბოროტი,
სიხარბეს გადართულიო,
ხე არ გინახავს უბრალო?
წელშია გამართლიო?!

ოქროს კრუხი და წიწილი?
ან ოქროს ხარი, გუთანი?!
,შაირ სიტყვითა მესტვირეს",
სული,გული აქვს სუფთანი,
დღეს პირზე სევდას მოვწმენდ და
ხელსახოცი მაქცს სუფთანი.

მზეს სხივთა კოცნით მივყვები,
გაზაგხულს იის კონითა,
ბოროტება და სიხარბე
ჩემგან დადექით შორითა,
ყოველი მინდა მივიღო
მხოლოდ ალალი შრომითა.

ნუ გამომყვებით ნურავინ,
შურით, ბოღმით და ომითა,
არც ძლიერება არა მჭირს
არ განვირჩევი ღონითა,
ასპარეზზს ერთხელ დაგითმობ
თუ გსურს ვიჭიდოთ გონითა.

ნუთუ გეწყინაა!..

ჩემს ნატერფალზე ია ამოვა...
მზე სხივთა კოცნით მასთან ჩამოვა,
წვიმა წკრიალით,
ზეცის თვალთაგან,
ცრემლად წამოვა.

გამომზიაბდი,მოდი იაო,
ჩემი სიცოცხლე მარტოდ დგიაო,
მოდი, მოასწარ, სანამ სიკვდილმა
ეს ლურჯი კაბა დამიხიაო.

მოდი, ჩამეკარ გულში იაო!
ნაზი თვალები გაგიღიაო,
თავი ასწიე მოგეფერები,
ნეტავი ძირს რად ჩაგიღიაო.

ვეღარა გნახე პირადმცინარი,
დარდი გულში რად ჩაგიდიაო?
ნუთუ გეწყინა ჩემი სიტყვები,
ჩემზე ხელი რად აგიღიაო?!

გულზე მძივები, ტრფობის სხივები,
შენ ერთს სიტურფით აგიღიაო,
ჯილდოდ გერგუნა სიყვარული და
შენგან ვერავის წაუღიაო.

მაპატიეთ...

დილით მზე მეალერსება,ღამით მდარაჯობს მთვარეო,
მიმომიქარგეს სხივებით ეს სანუკვარი მხარეო.

ტყუილა როდი ირჯება ცად მნათობების ამალა,
გამოველ გარეთ თუ არა ვარსკვლავმა თავი დახარა.

მზე დედაჩემი ყოფილა,ციდან ალესით დამყურებს,
მთვარე მამა ჩემი და უხვი მანანით მაპურებს.

ვარსკვლავნი ჩემი და-ძმები მეძებენ გარეთ თუ არ ვარ,
ბახში სხივთა მძივს აყრიან,მათ იციან რომ ვარდთან ვარ.

ჩემი გულისთვის მნათობნი ცის კიდეს სხივით ჰქარგავენ,
დღისით მზე,ღამით კი მთვარე ცას ვარსკვლავებით ჰქარგავენ.

მაპატიე ჩემო კარგო თუ შენამდე ვერ მოვედი,
ახლა მზესთან ვარშიყობ და მერე რა? თუ ვერ მოვედი!

ღამით მთვარის მუხლთან ვზიცარ,მოუყვები არაკებსო,
ჩოხის კალთა დახევია,რიჟრაჟისას უნდა ვკემსო.

დილით მზე რომ სხივებს გაჰფენს,არე-მარეს ნათელს მოჰფენს,
დახეული კაბის ბოლოს ცის კიდეზე გადააფენს.

მზეს და მთვარეს მივეკედლე,ტრფობით უხვი სიტყვა ვშალე,
სიყვარულის ბოხჩა გავხსენ გული მათთან გადავშალე.

მაპატიე ჩემო კარგო,მზე და მთვარე შემიყვარდა,
ცისკიდეზე ლურჯა ცხენი სიყვარულით შეიკაზმა.

ისევ მოვალ ბაღში ოდეს,კოკორი რომ გაიშლება,
ჩემი გული,შენი გული,სხვაზე არ გადაიცვლება.

* * *

დუელი
მე და გვირილა....

ველად გავიჭერ ამ დილას,
ფიქრის გავმართე ომიო,
მხოლოდ გვირილა შემომრჩა,
დუელში ვდგევართ ორნიო.

მანძილი თავად ვირჩიე,
მიმალული და შორიო,
თვალი ავავლე,ჩავალე,
გზა ავირჩიე სწირიო.

თვალზე ცრემლები მოადგა,
მკერდზე შეხსნოდა ღილიო,
ცრემლი წკრიალით ჩამოსდის,
გული ჰქონია ჩვილიო.

კაბას ბაბთები ნაქარგი,
ყელს შვენის ოქროს მძივიო,
მზემ უხვად ჩამოაბნია
თავზე ნარ-ნარა სხივიო.

ჰა, ფეხთქვეშ გადაგიფინე,
ჩემი თეთრი ნაბადიო,
სიყვარულის ცეცხლში ნუ მწვავ
მეც ვარ ხვთისდან ნაბადიო.

მტრობას როგორ ვიფიქრებდი,
ძირს დავეცი ტევრებიო,
გვირილა გულს ჩავიკარი
შემოვხვიე
ხელის ორივ მტევნებიო.



გერონტი მესხი

მამის ნაკვალევზე

ციკლიდან "ჯარისკაცის დღიურიდან"

აქ მიწის თითქმის ყველა მტკაველს
აწვიმდა სისხლი.
ჰკითხეთ,
რამდენი გრიგალები ახსოვთ ტრამალებს.
დნეპრს ჰკითხეთ,
ახლა რომ დგაფუნობს
და შხეფებს ისვრის,
ტალღებმა მკერდში თუ რამდენი
ბოღმა ჩამალეს.
ხუტორებს ჰკითხეთ,
ანდა, ქარებს,
მავალთ გზირებად,
მოგიყვებიან ზღაპრად ამბებს
გარდასულ დღეთა,
თუ როგორ იშვნენ ომის ველზე
ბრძოლით გმირები
და მათი ხსოვნა
მერმისებში
კვლავ რარიგ ფეთქავს.
...ამ გზებზე ბრძოლით გაუვლია
მაშინ მამაჩემს,
უკრაინული მთვარის შუქზე
იწვა დაჭრილი.
ვიპოვი,
მისი ბრძოლის ველი
მეტყვის დანარჩენს,
თუ მკერდზე ვაჟკაცს როგორ შერჩა
ომის აჩრდილი.
გულისპირს მძევლად გაჩხერილი
ლითონის ტყვია
აგონებს ახლაც რუხი კვამლით
დაფარულ იმ ცას...
ო, მე იმ ტყვიით
გულდაჭრილი
სამშობლოს ტყვე ვარ,
და მეც იმ გმირთა მონაპოვარ
მშვიდობას ვიცავ.

1974წ.

მაბეზღარას, მლიქვნელს

მიდი, აბეზღე რაც მეტი!..
ბოლთას ხომ ამის გამო სცემ...
შენ ხარ საცვალში ნახვრეტი
და შიდა ხმაურს გამოსცემ.

2007წ.

მაია

(ვუძღვნი ჩემს 3 წლის ქალიშვილს)

მკერდზე მაზის პეპელა,
თავზე- ჭიამაია.
დავიბადე მაისში,
და დამარქვეს მაია.
დედამ ასე ამიხსნა
ჩემი მოკლე სახელი.
გავვოცდი და გავკვირდი
ამის მომსწრე-მნახველი.
ეს თუ ასე ყოფილა,
აგერ, თეაც აქვეა.
დაიბადა მარტში და
„მარტა" რატომ არ ქვია?
ან, ჩემი ძმა რომ ამბობს-
გული მაქვსო რკინისა,
დაიბადა ივნისში,
რად არ ჰქვია „ივნისა"?
დედიკონა, გეთაყვა,
არ თქვა, არა მცალია,
უფრო კარგად ვერ მეტყვი,
რატომ მქვია „მაია"?

1984 წ.

მაკას საჩუქარი

გუშინ მაკას უსახსოვრეს
თვალხატულა ფისო.
მაკა აქებს - ასე კარგი
ფისო ვის გყავთ, ვისო?
ფანჯარაზე რომ შემოვსვი,
ისევ ისე ზისო,
არცა ჩხავის, არცა მფხაჭნის
და არც იბანს პირსო.
გოგამ უთხრა:
შე კუდრაჭავ,
ცელქო და ჭრელკაბავ!
თუკი მზეზე არ ნებივრობს,
თვალებს თუ არ ნაბავს,
თუ შენს ფეხთან არ კრუტუნებს,
არ გიფხაჭნის საბანს,
თაგვი თუ არ დაიჭირა,
რა კატაა, აბა?

1984 წ.

მამულო ჩემო!

მე სიყვარული შენით ვისწავლე
და უკვდავებაც შენგან შევიცან.
ეცადნენ, მაგრამ ვერ შემიცვალეს
ვერც შენი მიწა და ვერც შენი ცა.
ჩემი ფიქრები გმოსავს სრულიად,
ცამდე გამაღლებს ბაგრატი, გრემი...
ეგ მთა, ზვიადი, ჩემი გულია,
ზღვის ნაკადები-სისხლია ჩემი.
ზვრებად გაშლილი ჩემი სხეული
გადაპენტილა ხვავით, ბარაქით...
მე ქარბუქი ვარ გადარეული,
ხან, რომ გარწყულებს, ის ვარ-არაგვი!
მე საწყისიდან მოგდევ ამგვარად,
ევას შექმნიდან-დღეის მცხეთამდე.
ყველგან ვარ, სადაც სისხლი დავღვარე
გმირულად, ზოგგან-ბოლო წვეთამდე.
მშვიდად სიკვდილი, უმტროდ, მე არ მხვდა,
ის კი გვეხვია თავზე ურიცხვი.
მე ის ბიჭი ვარ, მტერს რომ შეაკვდა
ერთი მტკაველი მიწის გულისთვის.
შენ კი თილისმად რომ მოსდევ ქართველთ,
შარავანდედად ჩვენს "თავსა ზედა".
ის ხარ, ბრძოლებში შეწირულ მართვეთ
გულს რომ იკრავდი-ადგილის დედა!
და, თუმცა, ჩემი აწამეს ღმერთიც,
ბევრჯერ მამულიც, ნაგრამთან ერთად,
ვერ დამაჩოქეს მწამებლის ფერხთით,
ვერ ქნეს, უღმერთო რომ მეცნო ღმერთად.
შენს სამეგობროდ გაწვდილ მარჯვენას
გამოუხშირეს ბევრჯერ ძირები.
...ქორონიკონმა მტერსაც აჩვენა,
როგორ კვდებიან შენთვის გმირები.

2014წ.

მამულს

მყინვარზე მიდგას თოვლის კარავი
და შენსკენ ვაფრქვევ მზერას ვნებიანს.
შემყვარებიხარ, ჯერ რომ არავინ
მზის ქვეშ არავის არ ჰყვარებია.
სამარადისო დიდება შენი
ამ მწვერვალს სცდება და ცამდე ადის.
საუკუნეებს ავსებს და შვენის
ძლიერი მოდგმა, სწორი ლომ-ხვადის.
სხვა სანატრელი მე არა მინდა,
შევთხოვო უფალს, შემომქმედს ყოვლის:
გნახო მთლიანი და უფრო წმინდა,
ვიდრე მყინვარზე მბრწყინავი თოვლი.
მშვენიერებავ! მტრის აღარ მიკვირს,
შურს რომ ავლენდა შმაგი და ავი.
მსურს, ვგავდე შენთვის შეწირულ იმ გმირს,
სამსხვერპლოზე რომ მოგართვა თავი...

2013წ

მარინა

სოფელი, ნაშენი წვალებით,
მდინარის ბუტბუტა ნანინა.
და, იქვე, ციმციმა თვალები,
ცისფერი თვალები... მარინა...
შეხვედრა... მერე განშორება...
ცრემლები ცვივიან თვალიდან.
ასეთი ყოფილა ცხოვრება,
ნუ დარდობ, პატარა მარინა.
მაგ თვალებს ავდარებს ვადარებ,
ქარმა რომ ცრემლებად მადინა.
მე გულით მარადის ვატარებ
შენს სახელს, ძვირფასო მარინა.
ქედები... მინდვრები... ჭალები...
ფოთლების შრიალა ნანინა.
სოფელი... ციმციმა თვალები...
ცისფერი თვალები... მარინა...

1973წ.

სიცოცხლის გაელვება

ხორცი შემასხა მშობელმა მიწამ,
სისხლი ჟუჟუნა წვიმებმა მომცეს.
სული ნიავმა შთამბერა იმ წამს
და "დაბადება" ეწოდა პროცესს.
მოვედი, რათა მცირედი წვლილით
შევალამაზო ქართული სივრცე.
მტერს-მტრის მივუზღო, ძმას კი-ძმის წილი
და მიწის ქმნილი კვლავ მიწად ვიქცე.

1998წ.

მზია ელიაძე

* * *

ანი ვარ, **ბ**ანი ვარ, **გ**ანი ვარ, **დ**ონი ვარ,
ანთებულ სანთელ-კანდელ-კელაპტარი ვარ!
ენი ვარ, **ვ**ინი ვარ, **ზ**ენი ვარ, **თ**ანი ვარ,
ერთხელ ამ მიწიერ ხორციელ ყოფს ვარ!
ინი ვარ, **კ**ანი ვარ, **ლ**ასი ვარ, **მ**ანი ვარ,
იადონ-ხოხობი ივრი ჭალებიდან!
ნარი ვარ, **ო**ნი ვარ, **პ**არი ვარ, **ჟ**ანი ვარ,
ნარნარ-მოცეკვავე ქართულ გენის ვარ!
რაე ვარ, **ს**ანი ვარ, **ტ**არი ვარ, **უ**ნი ვარ
რჯული მტკიცე, ღვთისმშობლის რჩეული ქვეყნის ვარ!
ფარი ვარ, **ქ**არი ვარ, **ღ**ანი ვარ, **ყ**არი ვარ,
ფარ-ხმლიან ფარნავაზ მეფის ფესვ-ძირი ვარ!
შინი ვარ, **ჩ**ინი ვარ, **ცანი** ვარ, **ძ**ილი ვარ
შრომა-გარჯა-ჯაფით დაღლილი გლეხი ვარ!
წილი ვარ, **ჭ**არი ვარ, **ხ**ანივარ, **ჯ**ანი ვარ,
წილხვედრი, ტანჯულ მამულის შვილი ვარ!

* * *

ასე ვარ, ჰერეთის საამო ჰაერი
ერთიან სამშობლოს გულ-მკერდზე დამფენი!
ანბანთა მეფე ვარ, ქართველთა სიმდიდრე.
ოქრო, ჯილდო, განძი – თოთხმეტში რჩეული!
სამგუნოვანი ვარ და ჰა, სამხმოვანი (სამსხივანი)
მამის, სულიწმინდის და ნეტარ ძის დარი!..

გიგი თეთრაძე

წავედი

წავედი, გზებია სათიბი,
დროებამ დროებით გაგვთიშა,
ცხოვრება არაა ტალახი,
არა ღირს არაფრის ჩანიშვნა.
თუ გიყვარს მიჰყევი ოცნებას,
ვერავინ ვერასდროს გაგიგებს,
სამყარო სადაც შენ სუნთქავ
სიყვარულს ორმაგად აბრუნებს,
ნუ წახვალ საკუთარ გულიდან,
სხვისი ნუ გახდები მძევალი,
მხოლოდ სიყვარულს ემონე,
იგემე ამ ყურძნის მტევანი.
მშვიდია ბუნება,ცის კიდე,
არ იძვრის ფოთოლი, ნიავი,
შენი თვალების ჩრდილის ქვეშ,
როგორი პატარა ვიყავი.
დღეები ხურდებში გავცვალე,
თითებზე ვითვლიდი სამყაროს,
მინდორში ყვავილებს გიკრეფდი,
იქ სადაც ყვავილი არ ხარობს.
წავედი, მშვიდობით,ნახვამდის,
დროებამ დროებით გაგვთიშა,
ცხოვრება არაა ტალახი,
არა ღირს არაფრის ჩანიშვნა.
10.7.21

***

გაზაფხულის იდგა თბილი საღამო,
შენს თვალებში ვარსკვლავები ელავდა,
შენი ცქერა მედებოდა მალამოდ,
ამ წამს მე სხვა არაფერი მებადა,
წყლის დუდუნი მელოდიას მოჰგავდა,
მაგ ღიმილში იცლებოდა სამყარო,
შენს თმებში კი ჩემი ვნება ბორგავდა.
გაზაფხულის იდგა მშვიდი საღამო.

შენს თვალებში ვარსკვლავები ბრწყინავდა

19 აპრილი 2021

მას...

ფიქრით ალეწილ თვალებში ჩაგხედე,
სევდის გუბეებს ფსკერი ვერ ვუნახე,
გახსოვს, ოცნებით ზღვა რომ გადავცურეთ,
მაშინ ორივემ ერთმანეთს ვუწამლეთ,
წვიმა მოვიდა, სატრფოს ცრემლივით,
მიმოასველა მთები, ბორცვები,
გახსოვს, პერანგზე ღილი, რომ შეგხსენი
და რომ ვიგემე სათუთი მოცვები.
ნესტით გაჟღენთილ შენ კანის სურნელს,
ხარბად იხვრეპდნენ სველი კოცნები,
თითქოს ვზოგავდი განცდილ სამოთხეს,
შუბლმოცვარული მიმზერდნენ მოცვები.
ცაზე ვარსკლავნი ბნელ ოთახში,
ათევენ უვადო ღამეს,
ჩემი სული კი მთვარეულია,
მსურს შევუერთდე მთვარეულ მთვარეს,
მაგრამ რა ვუყო შენს ლამაზ თვალებს,
მე ამ თვალების დახრა მაოცებს,
ფიქრი მაოცებს და ფიქრთა წვიმა,
ამ ქვეყნად უფალს რომ არ მოეშვი,
შენ იქნებოდი წმინდათა წმინდა.
ფიქრით ალეწილ თვალებში ჩაგხედე,
მელნის ტბა იყო, ღრმა და უძირო,
მახსოვს, პერანგზე საკინძე შეგხსენი,
ღრუბლებში ვიწექით, ცხრა ღამის უძილო.
9.8.21

ნიკა ფუხაშვილი

შიში და სიყვარული

ლოთი: აპირებენ ქვეყნის „რემონტს“?
არავინ: კი ამას ბევრი ნატრობს,
ლოთი: კაი რა ორი ჭიქა აბათილებს შიშის გემოს! არავინ: და მაგაზე ვინ დარდობს?
ლოთი: არავინ! რადგან მიზანია სადღაც, იქით ზემოთ, არავინ: რა მიზანი?
ლოთი: არავის აინტერესებს ჩვენი თავი არც მთავრობას და არც არავის, შვილო გეშინია გულის ცემის?
არავინ: არა მოხუცო მე მეშინია ტაშისა და კულისების, ლოთი: ჯერ წადი ცხოვრება მოასწარი!
არავინ: მე წავალ, მაგრამ მომთაბარეს სახლს
აქ შენ ვერ მიასწავლი! ხომ იცი სხვისი
უვიცობა შენი ნასწავლია! შენში ისევ
შიში ჭარბობს,
ფიქრობ ეგ ღვინო გათბობს?
გაიგებ გემოს, როცა მოტეხავ ღეროს,
მცირე ჰოლოგრამის, მძიმე
ფონოგრამის,
ჯიბეში დარჩენილი ისევ ბოლო
გრამის,
და მიხვდებით ეგ ღვინო რას
შეგახვედრებთ გაისათ მაისს,
ლოთი: რას?
არავინ: სიკვდილს და არა ოდეს ფეხზე
მდგომ რაინდს, კარგად
ბრძანდებოდეთ...
ლოთი: დაიცადე მაინც შვილო!
მეძავი: გამარობა ლამაზო! გინდა
ვილაპარაკოთ? არავინ: კი მინდა
მაგრამ რაზე? თუმცა რას ვმალავ
გეტყობა ლაპარაკზე...
ნუ ფიქრობ იმას რასაც მე არ
ვფიქრობ!
მეძავი: არ ინანებ დამიჯერე,
არავინ: შენ არაფერი გცოდნია არც
სინანულზე და არც სიყვარულზე,
მეძავი: კაი რა! არ მოგწონს ჩემი მკერდი და
ტანი? არავინ: ნუ ცდილობ ზედმეტად
წამიქეზო მე თავი! მეძავი: დაცვის
გარეშეც შეგიძლია ლამაზო,
არავინ: არც დასაცავი! ვისაუბრეთ და მორჩა
დარჩეს ზავი, ფორტუნაა მექნება თუ
არა შენთან „ნაზასავი“ დამიჯერე
ჩემთან მასეთი ქმედება არ ღირს,
მე მაპატიე, მაგრამ ვერ ვხედავ შენს
პიროვნებაში მანდილს.
მეძავი: ბინძურო იდიოტო!
არავინ: მადლობა კეთილ საღამოს
გისურვებთ ნახვამდის...

ბიჭუნა: ბიძია ხელში ამიყვანე,
არავინ: მოდი მაგარო ბიჭო, რა ჰქვია?
ბიჭუნა: მე ვარ 6 წლის და მქვია ივანე,
არავინ: რაგინდა მარტოს აქ იცი რამდენი ავი
ძაღლია?
სად არის შენი მშობლები?
ივანე: არ მყავს. შემ რა ჰქვია?
არავინ: სახლი გაქვს?
ივანე: არ მაქვს შენ რა ჰქვია?
არავინ: არ მაქვს,
ივანე: რა არ გაქვს?
არავინ: სახელი
ივანე: მაშინ რა დაგიძახო?
არავინ: რაც შენ გაგიხარდება,
ივანე: მამიკო!
არავინ: რა კი მაგრამ... ჰმმ... კარგი
შოკოლადი გიყვარს? ივანე: კი
ძალიან მამიკო!
არავინ: წამოდი შენთვის უნდა ვიყიდო. შეჭამე
და შემდეგ მითხარი იცი თუ არა რა
არის სიყვარული? ივანე: კი ვიცი ეგ
ისაა, როცა დედა და მამა ბავშვს
კოცნის,
არავინ: და იცი რა არის სინანული?
ივანე: კი ვიცი ეგ ისაა, როცა...
არავინ: როცა რა?
ივანე: დედა და მამა არ გყავს და არავინ
გკოცნის. არავინ: მოდი ჩემთან
გაკოცო!
ნახე ქუჩის მუსიკოსი გიყვარს მუსიკა?
ივანე: კი ძალიან მამიკო!
არავინ: წამოდი მოვუსმინოთ,
ივანე: კარგი მამიკო.
მუსიკოსი: დავხევ და დავწვავ შენს ტანჯვას
მელექსევ, ხელს მელნით დაგბან
გამომიწოდე,
და დოდან დომდე ოქტავაში ჩავტევ
ცხოვრებას, მოდი და მიწოდე

უცოდველი ცოლის მცოდველი,
მაგრამ ვერასდროს ვერ შეამჩნევ ჩემს
გაორებას. ივანე: მელექსე გქვია
მამიკო?
არავინ: არა ივანე ჩემი სახელია არავინ
მაგარო ბიჭო, ივანე: მე მელექსე
მამიკოს დაგიძახებ,
არავინ: შენსას არ იშლი ხო?
ივანე: გამიბრაზდი?
არავინ: არა მაგარო ბიჭო ვერასდროს
გაგიბრაზდები. ივანე: კარგი მამიკო,
მუსიკოსი: დაელოდე შეგიყვარებს!
ივანე: რატომ გიწოდა მელექსე, საიდან
წამოვიდა ეს სიტყვები?
არავინ: ჯერ ამას შენ ვერ გაიგებ ესაა ჩემი
ფიქრები, ივანე: იცი მე რაზე
ოცნებობ?
არავინ: არა, რაზე ოცნებობ?
ივანე: მე მინდა გავხდე ცნობილი ქიმიკოსი!
არავინ: შენ რა იცი რა არის ქიმია შენ
მხოლოდ 6 წლის ხარ!
ივანე: სკოლაში დიდი ბავშვები დედიკოსა
და მამიკოს ეობნევოდნენ, რომ
ქიმიკოსები უნდა გამხდარიყვნენ და
ამიტომ მეც გავხდები ქიმიკოსი!
არავინ: თუ იშრომებ გახდები ქიმიკოსი,
პატარა საიდუმლოს გაგიმხელ იცი მე
ქიმიკოსი ვარ და ქიმიამ შემაყვარა
ერთი გოგონა,
ივანე: ანუ მე დიდიკოც მეყოლება?
არავინ რა? არა ამას ერთმანეთში ნუ
აურევ, როცა გაიზრდები მიხვდები
რაზე ვსაუბრობდი...
ივანე: ვიცი მეც მიყვარს ერთი გოგო, მაგრამ
სკოლაში სულ სახაზვს მირტყამს
ხოლმე,
არავინ: როგორ გამაცინე ხოდა შენც
დაელოდე, როცა აღარ დაგარტყამს
სახაზავს,
ივანე: კარგი მამიკო დაველოდები.
არავინ: წამოხვალ ჩემთან სახლში? აცივდა
ქარი ამოქროლდა...
ივანე: კი მინდა შენთან!
ქარი: ამ ბიჭს ახსენებ თავს შენი თმებითა და
ღიმილით, გარეთ კი თრთოდნენ
ქარები,
ზუზუნ-ზუზუნით კვლავ ზუზუნებს
ზღურბლს იქით ვიღაც,
ვერ დაემალა ამ სამყაროს, უყვარს
ისევ შენი თვალები, მაშინ, როდესაც
თვალს ხუჭავ და სიყვარული წინ
გიდგას.

ეგოიზმი

როგორც წვიმდა ისე ქუხდა
იმ განმარტოებულ ქოხთან,
იქნებ მორჩეთ ამ ცერცვის
შეყრას გაუგონარი კედლისთვის,
რა კავშირი გაქვთ გაუთავებელ ომთან,
ცდათ არ ღირს შედარებისთვის,
სანამ არ დადგები საკუთარი თავის წინაშე,
მანამ ვერ დაინახავ ზღვაში სიმლაშეს,
ვერ ხედავ პეიჟასს თუ არ გაგიმირაჟეს,
მთაზე დგახარ, მაგრამ თავს ვერ ხრი მის წინაშე,
რომ გამოსწორდე მაგიტომ გექცევიან ცუდათ,
არ გიშველა ლოცვებმა, რადგან არ სურდათ,
მიდი გაიკითხე იქნებ გითხრან რა უნდათ,
მაგრამ ეგოისტი სხვის აზრს მიიჩნევს აფსურდათ,
რას ფიქრობ ეს საშინელება ვინ გითხრა?
მოდი ჩემთან მე მაქვს ერთი წყეული კითხვა,
სად გადის შენი ზღვარი და ყოველი სტიგმა,
რითმა, სტიგმა, კითხვა, ბინდმა,
მინდმა, უბრალოდ ლოგიკის მიღმა.
ვიცი გართმევ რამდენიმე წუთს,
შენ თავს აქნევ და აქ ისევ ქუხს,
რაც უპასუხოდ დარჩა ახლა იღებ პასუხს,
იმასაც რაც ასე ძალიან გსურს,
მინდა სარკიდან სარკეში სახე ავრეკლო,
მინდა ვნახო სიმშვიდე,ზარები დავრეკო,
სად დაბინავდა ცისფერი გარემო,
სად დავკარგეთ ეს წყეული სამეფო,
მაგრამ ის რაც უკვე დავმარხეთ,
მომავალ თაობას ვერ ვანახებთ!
ვიცი სხვისთვის იშვიათად გეცალა,
იქნებ დაფიქრდე და ყველასი გეწამა,
კანონზომიერებას ნუ დააბრალებ
შენ თუ ეგოიზმა შეგცვალა,
მე ჩემს თავს ვაბრალებ თუ შანსი გამომეცალა,
ეს ყველაფერი შენც უნდა გამოგეცადა,
ქუჩა ქუჩის ბოლოს მისდევდა,
ისევ ქუხს ისევ წვიმს, ისევ წითელი თვალი,
მზის ნაცვლად მთვარე მარტოობის რკალი,
ისევ სიგიჟე შემტვრეული კარი,
ლექსის ავტორი უცნობი მხატვარი.

28/02/2021

მაია კახიძე

ისე რაღაცნაირად... ეპითალმა

საღამოსპირ
ჩქარობს გული,
ქარბორია ქარივით,
მკერდზე შემოგესეირნე,
შეყვარებულ ქალივით.
ფერებ - ფერებ,
ხუტებ - ხუტებ,
სიზმარ - სიზმარ,
ნანინად,
მომენატრე ამ საღამოს,
ისე რაღაცნაირად...
ღამღამობით,
დილდილობით,
სულში ჩახვალ, გაიარ,
ჩაგეკვრები, გულო, ისევ,
ცეცხლაქარისნაირად.
შეღამდა და
ღელვა - ღელვით,
ღამე მტკვარში ჩავიდა,
ნაპირ-ნაპირ ვხეტიალობ,
გულო, ჩემო, ბაიდა...
სხეულ - სხეულ,
სუნთქვა - სუნთქვა,
მკლავებ - მკლავებ,
ნანინად,
ჩქარა, თორემ
სიყვარული,
ხოხობივით აფრინდა...
მომენატრე ამ საღამოს,
ისე რაღაცნაირაად...

მე შენ მიყვარხარ

მე შენ მიყვარხარ,
როგორც შოთას მეფე თამარი,
მე შენ მიყვარხარ,
როგორც ლადოს მისი ანიკო,
ვერ გამოვლიე საფიქრალი,
სულ შენით სავსე,
ფეხდაფეხ მივდევ სიყვარულს
და შენკენ წამიღო...
მე შენ მიყვარხარ,
როგორც მირზას ხატულა ნინო,
მე შენ მიყვარხარ,
როგორც გალას მთვარე და მერი,
ვპოეტობ, ჩემო, მზედ რომ მყავხარ,
ხანაც ღრუბლებად,
დღეს შენთვის ვწერე სტრიქონები
ძალიან ბევრი...
მე შენ მიყვარხარ,
როგორც ტატოს „მერანი“ მისი,
მე შენ მიყვარხარ,
როგორც გოგლას მისი „ფეფიკო,“
მხოლოდ მე ვიცი,
ჩემს სიზმრებში რამდენს გეძახი,
მე ერთმა ვიცი, ის შენი მზე
ჩემთვის რა იყო...
მე შენ მიყვარხარ,
როგორც ანას ეზოში თუთა,
მე შენ მიყვარხარ,
იდუმალი პაოლოს „ელლი“,
მე შენ მიყვარხარ, –
ვაჟას ნუკრი, პაწაწა, სუფთა
და ტიციანის იასავით დღესაც
მოგელი...
მე შენ მიყვარხარ!..

ხან გაგიჟება

საოცარია სიყვარული,
ფრინველივით საოცარია,
მიფრინავ და, არ იცი, საით.
ხან ღრუბლებია,
ხან მონატრება,
ხან კიდევ ქარი...
შენი თვალების ბეღურებს
ჰგავდა დღეს ლურჯი ცაი!
ხან სიმშვიდეა,
ხან გაგიჟება,
დარდიც და დარიც...
საოცარია სიყვარული,
ფრინველივით საოცარია,
მიფრინავ და, არ იცი, საით..

უფალი ახლა ისე ახლოა

მაფორიაქებს ფიქრი, სევდა, სიზმრები ცხადი,
ფერგადასული ჩამოდგა ზეცა ზამთრის ბინდებად,
ბუხარი კვნესის, ვერ ისვენებს აპრილის კვამლი,
ანგელოზები დამეფინნენ მკერდზე ჩიტებად...

შორიახლო ვარ, თეთრ ტაძარში შევდივარ კრძალვით,
რა სურნელია საკმეველის, ტკბილი თაფლივით,
ნეტავ, შემეძლოს, ავიღებდი ღვთისმშობლის ლოცვას,
ცას დავკიდებდი, რა თქმა უნდა, გულზე ჭაღივით.

მინდა დავმშვიდდე, ფორიაქით არ შევიშალო,
თვალებს ვხუჭავ და უფალი ახლა ისე ახლოა...

ჩემს ფანჯარასთან ჩამოჯდა ჩიტი

წვიმდა და წვიმდა.
ჩემს ფანჯარასთან ჩამოჯდა ჩიტი,
იჯდა და იჯდა.
მეცოდებოდა ავდარში მარტო,
ის ერთი ციდა.
ან რას მეტყოდა უენო ბიჭი:
– ბიჭია ვითომ?
– იქნებ გოგოა?..
– ბიჭი თუ გოგო,
– გოგო თუ ბიჭი?!
ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს,
ჩამხედა თითქოს, ჩამყვა, ჩავიდა...
შემომაფეთა ის გამოხედვა,
მარტოსულ ქალის მზერას რომ ჰგავდა.
ჰო, გოგო იყო და არა ბიჭი,
ჰო, გოგო იყო ის ჩიტი მართლა
და იმიტომაც მიყურებდა,
საშველად, ალბათ...
რას ვუშველიდი?..
ქარი არხევდა ქუჩაში ხეებს,
სევდიან ცრემლებს დღეს წვიმა შლიდა,
ჩემს ფანჯარასთან ჩამოჯდა ჩიტი,
წვიმდა...

როცა ძალიან მომენატრები...

როცა
ძალიან მომენატრები,
მთებს ვუმზერ ხოლმე, იქით ხარ, როცა,
მეძალებიან შენი ნატვრები
და ნაწვიმარზე ქარს ვატან კოცნას.
როცა
შენთან ვარ, გულს ვერ გაშორებ,
მერე თავიდან იწყება ათვლა,
გრძნეული ღამე შენს თავს მაშორებს,
მკლავებიდან კი არ მინდა წასვლა.
როცა
ძალიან მოგენატრები,
გამოგექცევა ფიქრები ჩემთან,
ცა - ლაჟვარდებში მოვალ ნატვრებით
და დავბრუნდებით აპრილში ერთად.
ჩქარობს
მარტი და იხსნის საკინძეს,
მკერდი ღელავს და კვნესის შიშველი,
რა ვქნა, მარტოკამ ვერ დავიძინე,
ეს სტრიქონები თუკი მიშველის...
ფორიაქობენ
სულის მხატვრები,
გამოგცქერიან შორი თვალები,
მახსოვს იმ სახლის ცეცხლაქარები,
ვეღარ დათვალა გულმა ნატვრები.
როცა შენთან ვარ,
ახლოს ვარ, როცა,
როცა ძალიან მომენატრები...

ანამარია ლილუაშვილი

სიყვარულის გული

სიყვარულის კალათს ვავსებ,
ემატება გულებს გული.
გამორჩეულ ბაფთებს ვატნევ,
და არ არის სულაც რთული.

არა გმირები არ დალეულან

არა, გმირები არ დალეულან,
დღესაც ულევად ჩვენს გვერდით დგანან.
თუ სუსტი მათში გამორეულა,
ეს სულ არ ნიშნავს რომ აღარ გვყვანან.

ბილიკებს წყნარად მიუყვებიან
და თუ დასჭირდა წინ ხაზზე ჩანან.
საფრთხეს პირისპირ ეგებებიან
შეუპოვრობით ძუ ლომებს ჰგვანან.

არა გმირები არ დალეულან,
დღესაც უდრეკად ჩვენს გვერდით დგანან.
და თუ ჯერ საქმით არ გვაკვირვებენ
ეს სულ არ ნიშნავს რომ აღარ გვყვანან.

ღირს ?

ყველანი ვცოდავთ ,სულს ღმერთს ვავედრებთ.
ერთმანეთს ვტანჯავთ, რას არ ვაყვედრებთ.
გაუსაძლისი გამხდარა ყოფა,
დედამიწაზე აღარ ღირს ყოფნა?

უმადურობა ცუდი სენია
გულს კი დაგწყვიტავს , მაგრამ არა ღირს.
ათას სიკეთეს წყალში ჩაგიყრის
ერთი უარით სიტყვაც აღარ სჭრის.

რატომ ვიცხოვროთ უერთმანეთოდ,
სითბოს სიკეთე ერთად ვაერთოდ.
შევხედოთ კარგი ქმედების შედეგს,
ფესვი მოურწყათ სიკეთის ნერგებს.

გული გაუხსნათ გულწრფელ სიყვარულს ,
უხვად მივიღებთ ულევ სიხარულს.
ღმერთო მოგვეცი საღი ფიქრები
და მადლობელი შენი ვიქნებით.

ტბაზე მზის ჩასვლა

ტბაზე მზის ჩასვლა, საოცარი ფერთა ნარევით,
მთებზე დაკრული დასერილი ღრუბელთ ნაკრებით.
წყალს ზედაპირი მოუხატავს უცხო ჩრდილებით,
გრძნობის ამშლილი სხივი ზეცას ქარგავს ხრიკებით.

სიმშვიდეს გაძლევს, თან აღაგზნებს უცხო საღერღელს,
ფიქრებს მოუხმობს, რომ უფრო ღრმად ჩაწვდე საწადელს.
ხელოვნებაში შეგიტყუებს სულს დაგიამებს,
ან კალამს იღებ და ან ფუნჯით კურნავ იარებს.

სამოთხე დედამიწაზე

აბა სამოთხე თუ გინახავთ დედამიწაზე
თითქო ზღაპარში გიცხოვრია თავდავიწყების.
გელოდება და უხილავი გაბამს მიმავალს,
ნაზი ჰანგების უხვი წვიმა, რომ ქმნის ნიაღვარს.

სრული შერწყმაა, შეხამება და ჰარმონია.
მოჯადოებულის სიამისგან ბრწყინავს თვალები.
დროის ამთვლელი ჩართულია და წამზომია
ისე მიფრინავს დაუხაზავს უკვე რკალები.

ნიავი ფრთხილად გეპარება ლოყებს გიკოცნის
ალეწილ სახეს ეფერება მზისგან სხივები.
დარდი გაქრება სიყვარული გზასაც იპოვნის
გულის ფართხალს კი შეუხსნია მკერდზე ღილები.

აბა სამოთხე თუ გინახავს დედამიწაზე?
თითქო ზღაპარში გიცხოვრია თავდავიწყების.
გელოდება და უხილავი გაბამს მიმავალს,
ნაზი ჰანგების უხვი წვიმა, რომ ჰქმნის ნიაღვარს.

ა. ლ.



რმენა არ დაკარგო

სიყვარული სულს აშენებს ,
სიძულვილი ანგრევს.
სილამაზე დაამშვენებს ,
სიმახინჯე ფრთას ტეხს.

შავი ბნელად აღიქმება,
თეთრი ნათელს აღწერს.
დღე საქმეში გაილევა,
ღამე ფიქრებს აღწერს.

გამარჯვება ძალას გმატებს,
დამარცხება აზრებს.
თავის რწმენა არ დაკარგო
დაკვირვება გმართებს.

დიდგორის ბრძოლა

შეიქმნა ბრძოლა სასტიკი
მთებს შორის დასცეს ყიჟინა.
სამ ჟამსა შინა დასრულდა
სისხლის მდინარემ იდინა .

დაიქცა თურქთა ჯარები,
გვამით აივსო ხევები.
გაწყდა ოთხასი ათასი
მტრის გამოწვრთნილი დევები.

ტყვე და ალაფიც მოგროვდა
სპანი დაბრუნდა ნადავლით.
დავითს სამეფო აევსო
ოქრო, ვერცხლით და მადანით.

გლეხიც კი ოქროს იღებდა
სხვას არას გაეკარაო.
მეფემ კი ძღვენი შეკრიბა
და გელათს გააგზავნაო..

ბრძენმა დავითმა მეოტთა
რვა დღე კვალდა კვალ მისდია.
დუბეისმა და ილღაზმა
დიდი სირცხვილი იწვნია.

დიდგორის ბრძოლით დაიწყო
ქვეყნისთვის ოქროს ხანაო.
მეფეთა მეფემ უძლევმა
დავითმა გაიმარჯვაო.

თემურ გოგსაძე

მოგზაური

მარადიული ვარ მოგზაური –
სხვა დროში ყოფნა, მრავალჯერ ვიგრძენ...
დადგენილია ღვთის საზღაური,
სიკვდილი, სულ სხვა დატვირთვას იძენს!..
ღვთისმორჩილება ძლივს დავიმკვიდრე,
სულმა და გონმა – ხიფათი იგრძნეს!...
ცოდვა და ჭმუნვა, არის სიმდიდრე,
სამყაროსეულს ვაგროვებ, სიბრძნეს!!!
სიყვარულია, რაც მაბადია,
ყვავილებივით, ვარიგებ სითბოს...
ყველა ღვთისაგან დანაბადია,
ბოროტისაგან გამოხსნას, ითხოვს!!!
დავალ და დღემდე – ნათქვამს და საქმეს,
თავისუფლების სასწორზე ვწონი!..
უსაზღვროების ხატი მაქვს, აქ, მე –
სვეტიცხოველი თუ პეტრიწონი*!!!
წუთისოფლის ხმა, როცა მიწყდება,
სამსჯავროს კართან, მცირედ ვისვენებთ?!
ბევრი რამ მართლაც დაგვავიწყდება,
თუმცა სიყვარულს, ყველგან ვიხსენებთ!!!
ღვთაებრივ არსში – გადაწყვეტილი,
მიიღო უცებ – მართლაც რთულია!..
თვითონვე არის ათვლის წერტილი,
რაც, ჩვენი აზრით, დასასრულია!!!
და ამიტომაც, რწმენით სულს ვივსებ,
აღარ ვსვამ, კითხვებს – ვინა ვარ? – რა ვარ?
მომიწევს რიგი და მოვალ ისევ –
მარადისობის ფერხულში ვდგავარ!!!

* პეტრიწონი – ქართული მართმადიდებლური ტაძარი ბულგარეთში.

არსებრიობა

ცა გადმომაყრის ვარდის თეთრ
ფურცლებს...
მარადისობის ვძერწავ სტრიქონებს!..
თქვენ ამ წამს,
როცა ჩემს ფიქრებს უსმენთ,
სხვა დროში, ვიცი, ვიღაც მიგონებს!..
ვიღაც ისე ვთქვი, რაც მთავარია,
სიყვარულია მისი სახელი!..
დროები ყველგან ერთად არიან,
ხშირად ვარ ამის,
შემგრძნე, მნახველი!..
ეს კოსმიური გადაწვდომაა –
მიაქვს სუნთქვა თუ ჩემი სისხლია...
განა ბოდვა ან გადაცდომაა,
რაც არ ვიცით
და ვერ აგვიხსნია!!!
ყოველ ჩვენგანს ხომ იესო ქრისტე
ჯვარს გაგვიკრავს და ჩამოგვიხსნია(?!)
საუკუნოვან ცოდვის გვირისტებს,
სიყვარულისთვის თუ აგვიხსნიან!..
მცნებათა დაცვას – ცოდვათა კლიტეს,
შეგვაგონებენ, ასგზის გვიხსნიან...
ღმერთს და სატანას
ერთად რად ვიტევთ –
ვცდილობთ და მაინც ვერ აგვიხსნია?!
სამყაროს მკერდზე
ვჩნდებით-ვიცვლებით...
მონანიებულთ – სასჯელს გვიხსნიან..
თუ სიყვარულში გარდავიცვლებით
მარადისობის კარებს გვიხსნიან!!!

1998 წ.

სიყვარულის მარადისობა

და იქმნა არსი! –
მამა-უფლის ღვთაებრივ გონით!..
ჭეშმარიტება სამყაროში ასე იშობა!..
აწცა, ვერასდროს
გადაწონის ეშმა-დემონი,
რამეთუ ავსებს –
სიყვარულის მარადისობა!!!
და სული ჩვენი,
სულიწმინდის ხდება ზიარი,
ოდეს შიშს ბადებს, მხოლოდ, უფლის
უკმარისობა!..
ვისშიც და რაშიც,
ეს კრძალვა და ესე მზე არი,
კარიბჭეს უხსნის –
სიყვარულის მარადისობა!..
უნდა დავბრუნდეთ!
ერთმანეთში ვიპოვოთ სული,
თუ მართლა გვინდა კაცთა მოდგმას, ისევ
ღვთისობა!!!
რადგან ჩვენცა ვართ –
დასაწყისი და დასასრული...
და აღთქმული გვაქვს –
სიყვარულის მარადისობა!!!
აჰა, გიპოვე...
ეს სილურჯე სრულიად მავსებს...
და ჩვენშიც, ახლა,
პირველქმნილი გრძნობა იშობა!..
სრულყოფილებას დრო
ვერასდროს გადააფასებს
და შეგვიერთებს –
სიყვარულის მარადისობა.

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

ჩემი შარაგზა

ჩამოვიარე ჩემი შარაგზა,
შემოვიარე ყველა ორღობე,
ყველაზე შორ-შორს, იმავ ადგილზე
შენი საზღვრები ისევ მოვღობე.
კიბე მივიდგი, უფალთან მივალ,
თავს გადმოგვაფენს ზეციურ ნათელს
კვლავ დაიბრუნებ მას, რაც გეკუთვნის
დედაღვთისმშობელს დავუნთებ სანთლებს.

ჩემი ოცნება მანამ აღსრულდეს,
ვიდრე ვუყურებ მზიან სამყაროს,
ბოღმა და შური, რაც აქ ჩათესესეს
მინდა ღვთისმშობლის მადლმა აგყაროს.
შენი საზღვრები შორ-შორ-განი იყო,
უფალმა თავის გაჩუქა მიწა
ვინ გაგიბედა, როგორ გაგიყო,
ვინ მიითვისა ჰერეთი, რიწა.
ბევრი ინდომეს, ცოტა არ ეყოთ,
ოდესღაც შენი იყო ეს მიწა,
– ნიკოფსიიდან, დარუბანდამდე –
დაგიბრუნდება, უფალი გიცავს.
დადგება ისევ ის ლამაზი დღე,
რომ დაიბრუნო ძველი დიდება,
აღმაშენებას ინდომებს ვიღაც,
სამართლის გზასაც უნდა მიგნება.
შემოვიარე შენი საზღვრები,
ჩამოვიარე ყველა ორღობე,
ყველაზე შორს და იმავ ადგილზე
შენი საზღვრები ისევ მოვღობე.

4.12.2020 წ.

მგლები

მგლები ვერ მიდიან ანთებულ ცეცხლთან –
სანთლებს კი კაშკაშა ალი აქვთ.
ასეთი მგლების მე არ მეშინია
ქურქშემოკრულებთან ბრძოლის დარდი მაქვს,
მე იმ ქვეყნისა შვილად ვარ ნაშობი
ომებში წამების ცეცხლით რომ იარა,
მლიქვნელთა ალერსი ბევრი იგემა
ჯოჯოხეთურ გზათა ბილიკით იარა.
მაგრამ მათი მწამს, ვინც მიხვდა შეცდომას
დანაშაული ბოლომდე აღიარა,
შხამის ნაცვლად, შარბათი გულწრფელად მიიღო,
დაგმო უმადურობა, მადლი კი არა,
ალმოდებულ მაყვლოვანს თავი შეაფარა,
თავისი რწმენით ურჯულოთაც თავი შეაყვარა,
მშვიდობის სიყვარულის გზებით იარა,
უკუაგდო სიძულვილი, სიყვარული აღიარა,
ერის ჭირ-ვარამი გაითავისა,
უკუღმართი გზით აღარ იარა,
მტერს სავალი გზა ჩაუხერგა და
ქართლს მოუშუშა მწველი იარა.
მგლები ვერ მიდიან ანთებულ ცეცხლთან...

6.07.2021 წ.

ღამეა

ღამეა, ბინდი ჩამოწვა
ცამ დაიკრიფა გულხელი,
დღეს დარდმა ვეღარ მაჯობა
სევდამ დამთრგუნა წუხელის.
მიყურა ჩემმა გულისთქმამ,
– მას დარდსაც ვეღარ ვუმხელდი –
მწარეა წუთისოფელი
– არ დაიკრიფოთ გულხელი –
თან თუ არ იცი რა გელის
შველას ნურვისგან ნუ ელი,
გულში ჩაგიწყვეტს მჟღერ სიმებს
ცრემლით ნაბანი გზა გელის.
ამიტომ შრომას მიმართე,
მის მეტი არრა გიშველის,
გინდა უყურო მომავალს
თავს არ განებებს წარსული,
ცისკარი მაინც ტკბილია,
არ მიყვარს მე მზე ჩასული.

5.07.2021 წ.

თქვენ

თქვენ ხართ ჩემი თვალის ჩინი
გულის ტკბილი მალამო,
არ თენდება ჩემთვის დილა
და არ მოდის საღამო
თქვენზე ზრუნვა გულს ალაფებს
ძალას მმატებს ლოცვები,
ფურცელს ჯიბით დავატარებ,
საქმეს როგორ მოვცდები.
აი, ახლაც ხახვებს ვარჩევ
მღერის ჩემი ოცნება,
ღმერთმა ლოცვა შემაყვარა,
წერა დიდმა მგოსნებმა
დედის ტკბილმა მოფერებამ
შვილებს გული გაუღო,
დიდედობამ შვილიშვილებს
სულის კარი შეუღო.

ერთი კაცის სიყვარულით
ვძლიე ყველა ცდუნება,
არც სიმდიდრე მიძებნია
და არც ლაღი ბუნება.
მკაცრი დროის ბილიკებით
გავიარე ცხოვრება,
თქვენს გარშემო ტრიალებდა
ჩემს ფიქრებში გონება,
შევაჯერე ფიქრთა ჯარი
მსურს, რომ ბნელი წალეკოს.
მინდა მუდამ კარგად მყავდეს
ვახტანგი და ალეკო.
ლოცვებს თავზე შმოვავლებ
ნოდარს, მარის, თამარის,
მუხლს მოვიდრეკ ღვთისმშობელთან,
ჩემი გული მზად არის!

24.07.2021 წ.

ვარ კავკასიელი

მე ევროპელიც ვარ,
ვარ აზიელიც,
მაგრამ ქალი ვარ
კავკასიელი.
ქართველი შვილების
ვარ წმინდა დედა
მე ჩემს მომავალს
უფალთან ვხედავ.

ვიცხოვროთ ისე, რომ
არასდროს შეგვრცხვეს
შვილებსაც თვალებში
ვუყუროთ წმინდად.
დედაღვთისმშობლისა
არ მოგვერიდოს
მასთან მისვლის დროს
რომ შევხვდეთ მშვიდად.

3.07.2021 წ.

ჩემი კალამი

საყვედურს მეტყვის ჩემი კალამი
ვეღარ ვუთხარი ტკბილი სალამი,
ვეღარ ვუამბე ქვეყნის ამბავი,
მისი ტკივილის დიდი ვარამის.

გადაიტანა მოძმეთა ომი,
ტყუილ-მართალის მძვინვარებს შტორმი,
აღარ ინდობენ ერთმანეთს მგონი –
რას ვეტყვით შვილებს?... „ვაჰ, დრონი, დრონი!“

1.08.2019 წ.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი

ძირულავ

რამდენი წლის ხარ ჩემო, ძირულავ,
ვინ იცის ნეტავ შენი წარსული.
რამდენის დარდი ფსკერს ჩაძირულა,
მდინარევ, შენ ხარ, უკვე ზრდასრული.

შენ გახსოვს, ჩემი პაპის პაპანი,
მომსწრე ხარ, ბევრჯერ გულის ნიაღვრის...
ჩემს ხალხთან ერთად წიე ჭაპანი,
შენ იყავ დარდის თანაზიარი.

ძირულავ, ჩემი ბავშობის ყრმობავ,
მესაიდუმლევ, გულის ჩურჩულის...
რამდენს გაზრდი და უკეთესს შობავ,
რომ არ გტორავდეს ბედის ურჩხული.

ერთს გეტყვი, ჩემო გულის ხმაურო,
ბედნიერების წუთებს ვიხსენებ...
ახლა ეს წლები აურზაურობს
დარდით ძირულავ, ვეღარ ვისვენებ.

თურმე მდიდარი მაშინ ვიყავი,
შიშველ ფეხებს რომ ქვები მისერდა,
არ ვიყავ ბედით გაურიყავი,
ვცელქობდი, მაგრამ დედა მითმენდა.

ვაცხობდი ქვიშის ქადა ნაზუქებს,
და ვბანაობდი, შენს ლურჯ ტალღებში,
ჭალვანის გზებზე, თოვლის ქარბუქებს,
როს ვიზილავდი ჯანსაღ ძარღვებში.

ახლა მოვედი, ტირი ჩემსავით,
დაეძებ შვილებს, შენ რომ გაზარდე...
შენც გახსოვს ვიცი წინა დღესავით,
რამდენი დარდი გამოვიზამთრე.

გავჩუმდეთ ახლა ჩემო ძირულავ,
ისევ წარსულში, ჯობია ვიყოთ...
სურვილი დარჩეს, ისევ სურვილად,
რადგანაც ბედი ორივეს გვბრიყობს!

საქართველოს ისტორია

საქართველოს ისტორია შემიჭამეს,
დამიღეჭეს, ჩამოაჭრეს ჩუმად გვერდი,
ღმერთიც ალბათ, არასოდეს არ იწამეს,
ამ ტყუილებს ვწუხარ, მეც რომ შევაბერდი.

დამიბრუნეთ, თითო გოჯი ჩემი მიწა,
წინადელი, სახარება წამაკითხეთ,
ისტორია ვინ სად, რიგორ დაამიწა,
დამნაშავეს თვით უფალი განიკითხავს.

ჯერ ისედაც, პირადული მსერავს დაღი,
დავით გარეჯს, სიზმარშიაც ვტირი ცრემლით.
დამიბრუნეთ, საკამათოდ ნუღარ დამღლით,
დამიბრუნეთ, თქვენი ხელით მონაცელი!

როგორც იობი.

წაბლის ხე იდგა როგორ გიორგი
და ტაშს უკრავდა ტოტის ხელებით,
წარსულს ითმენდა როგორც იობი,
უსამართლობით განახელები.

პაატას თავი ვითარც მზე ქართვლის ...
ასხივოსნებდა, სოფლის ბოლოდან,
მამას დაეძებს, სხივების სანთლით,
რადგან გიორგი დროსთან ბრძოლობდა.

ომი მოიგო და ტაშისკარში,
ბიჯგად ბეჭები ზეცას მიადგა...
მიმოდიოდა სული ცისკარში,
ამობრწყინდა და ამოდიადდა!

გამიკვირდა

თოვს და დაგეძებ, მინდა რომ გნახო,
მთებივით მაღალს სულს ვეძებ ცაში,
ო, როგორ მინდა, ვიყო შენს ახლოს,
მაშინ ექნება სიცოცხლეს ფასი.

მე ვარ ზაფხული, სიზმარში ვითომ,
თოვლს შევეხე და დნობა დაიწყო,
მეგობრობა სურს რომ შემომფიცოს,
იმ, შარშანდელი მარტის არ იყოს.

თოვლი გაალღო, უცებ ზაფხულმა,
თხილმა საყურე ჩამოიკიდა,
გამოვიღვუძე, სიზმარ ნახულმა,
დავრჩი ზაფხილად და გამიკვირდა.

ტაშისკარი

დღეს იქ, ტაშისკრის, წაბლის ხეზე ჩიტები ისხდნენ,
ტყის სივრცე იყო, სიხარულის გარემოცვაში,
ნედლი ტოტები, შეიშმუშნენ, თითქოს და მიხვდნენ,
რომ საქართველო, სულ იქნება გმირის ლოცვაში.

გიორგის სული იმ დღეს ციდან დატრიალებდა,
ხელოვან ბავშვებს, უმღეროდა ,,ლალეს“ პაატა,
გაავებული შაჰ-აბასი დაღრიალებდა,
თევდორე მღვდელის, თავგანწირვით წელში გადატყდა.

ზვიადის გუნდით, უწმინდესის ლოცვა კურთხევით,
იქ, ტაშისკარში, საქართველომ გამოიფხიზლა,
დღეს ზეიმობდა, თვით ბუნება, ნაძვი, ურთხმელი,
შახის მოდგმა კი, შიშით, სადღაც გადაიხიზნა!

უჩუმრად

სიხარულის საკაბე მსურს, შევიძინო,
ფონად ქონდეს გაზაფხულის ყვავილები,
გევედრები ღამევ, მშვიდაად დამაძინო,
გამახარე, სანამ სულ არ დავიღლები.

ტყეშიც მინდა ავაშნო, ჩემთვის ქოხი,
შევისწავლო, მთის ფრინველის ადათ წესი,
დავიღალე, ჩემითა, და სხვათა ოხვრით,
სიმშვიდეა, ჩემი ფიქრის განაწესი.

გამომჟეჟა, დრომაც ისე უმოწყალოდ,
გულის ტოტი, ამოკაფა ყველა მხარეს,
სულ უჩუმრად, უხმაუროდ, მაინც ვწვალობ,
მომავალნო, იქნებ თქვენით გავიხარო!

იწურება

ყურძენივით იწურება, იმედის რტო,
ვაიძულებ, აყვავილდეს ფიქრის ყლორტი...
შევეცდები ჩემს გულს ისევ განვუმარტო,
ამიტომაც მასთან ერთად განმავრტოვდი.

ვისაუბრეთ, მე და გულმა სახვალიოდ,
ვიდარდოთ თუ,
კვლავ სიცოცხლე გამოვკვეროთ...
გადავწყვიტეთ, წლები ისე გამოვლიოთ,
გამძლეობით, მომავალი გავაკვირვოთ!

შენ რა იცი

წყლის მორევში ამოზრდილ ქვას,
ალბათ გული როგორ ტკივა.
ენა არ აქვს, რომ ამოთქვას,
წყალშია და იქნებ ცივა.
პაპამ ასე მიმანიშნა,
რომ მის მამას, ქვაზე უთქვამს,
ის ყოფილა გვალვის ნიშნად,
ისიც მითხრა, ქვა რომ სუნთქავს.
აგვისტოში თავს ამოყოფს,
ისე როგორც ჩიტბატონა,
დიდ-პატარას ის არ დაყოფს,
ვინც ხმელეთზე იბატონა.
რა გვალვაა, გლეხი იტყვის,
თუ ქვას წყალი წელზე წვდება,
ბაყაყები იწყებს ყიყინს,
უწყლოდ ბევრი თევზიც კვდება.
ზოგი მოდის, ზოგი მიდის,
ზოგი ჭრის და ზოგი კერავს,
ის იზრდება, დიდზე-დიდი,
ვინაც მშობლებს დაუჯერა.
შენ რა იცი, მან რაც იცის,
ან იმ ქვის ქვეშ, რა ბინადრობს,
ტყეში დახტის, სადღაც კვიცი,
მგელმა ყელი არ გაღადროს.
გვალვა არის ამ ჩემს ხალხშიც,
და მურია მიტომ ყმუის,
ვიფუფქები დარდის ალში,
ამიხსენით აქ ვინ ტყუის???

ადამიანო

ცურავს თევზები, მდინარეში აღმა და დაღმა,
არავის ერჩის ქარავანი, მიდის და მოდის,
მათ არ იციან, არასოდეს, რა არის დაღლა,
ერთად არიან, თევზის ჯიში სხვადასხვა მოდგმის.

ვხედავ ხის ტოტზე, ჩამოსკუპტნენ, ფრინველთა ჯგუფი,
ზოგი ნიბლია, შაშვები და ციცქნა ბეღურა,
ფრინველი, ფრინცელს ეფერება, ჭყლოპინობს გუნდი,
გრძნობით ძლიერებს სიყვარულის ზეცა ახურავთ.

ვიღაც აყვირდა ქუჩის მხრიდან, მოკლეს, ისვრიან,
ბრბო აბობოქრდა, რას ჩადიან, ცემეს, დახოცეს...
თუ კი თევზები, არ ჩხუბობენ, ძმობა იციან,
ადამიანო, შენ ნასერ გულს, რად ვერ ვახორცებ,!???

უფალო

შენ ერთს გენდობი და გულით,
უფალო, ისევ მოგიხმობ...
ერისთვის ხე მაქვს დარგული,
ვიცი არადროს გამიხმობ.

დამეფიცება არ მინდა,
ვიცხოვრო, ვინმეს ყვედრებით,
ცრემლები ბევრჯერ დამდინდა,
მოგმართავ ღმერთო, ვედრებით.

აღარ მომასწრო, ვიტირო,
გარდავიცვალო უმიზნოდ,
და თუნდაც სიტყვით მიყვირონ,
ტყვია შიგ გულში მიმიზნონ...

ეკლიანია ჩემი გზა
და აღმართებიც მაოცებს,
მტერით შემომხვდა ცრემლის ზღვა,
ღმერთო, ის მტერიც დალოცე!

სავსე ჭურჭელი

სიყვარულით სავსე ჭურჭელს,
შეგაგებებთ, დასალოცათ,
ზოგი ლუკმას სხვას, რომ უჭერს,
ზოგიც ენით, მოყვრებს ხოცავს.

გავცე რაც მაქვს, მე სულ ვცდილობ,
გონი მინდა შემრჩეს ჩემი,
სეტყვას უნდა აგაცდინოთ,
სხვა თქვენ იცით დანარჩენი!

გააჩნია

გააჩნია გზის სავალზე, სად შეგხვდება აღმართები,
მე პირადად, ვქმენ სიკეთე, ვგზავნე ტკბილი ბარათები.
ვიფიქრებდი? ჩემმა ვარდმა, მოფერება დამიშალოს.
ვერ განსაზღრავ, სად და როგორ, ეგებ მეც კი შემეშალოს.

ჰოდა, ისევ გადავწყვიტე, გულის სითბო დავაფრქვიო,
ვიყო მაინც კეთილი და ცრემლი აღარ დავაქციო.
სულის შვილებს, ვინც არიან, საიდუმლო გაუმხილო.
მე არავარ, ექიმბაში, ბრმას, რომ თვალი აუხილო.

სიბოროტეს, სიკეთე სჯობს, რაც არ უნდა გაუჭირდეთ,
ჯობია, რომ ნერგებს რგავდნენ, ვიდრე ცულით გადაჭრიდნენ.
მინდა დედას დამიჯეროთ... არ იფიქროთ მტერზეც ცუდი,
ღმერთი ხედავს ყველაფერს და ლუკმა მშიერს გადაუდგით!

რა ხდება

არ ვეძებ განძს და არც სასახლე მინდა იცოდეთ,
სიმშვიდეს ვნატრობ, საქართველოს შვილთა შვილების,
ქუჩაში ყველგან ,,ოროველა“ ისევ ისმოდეს,
კაცი და ქალი დადიოდეს, ერთად წყვილები.

რა დრო დაგვიდგა, აირია, დედა თბილისი,
თითქოს და ჯავრი სხვა არ გვქონდეს, ცოდვილ მიწაზე,
ესეც ზაფხული, ესეც ჩვენი ცრემლის ივლისი,
გული დაიჭრა, ვეღარაფრით ვეღარ ვუწამლე.

დაიბადაო, ბიჭიაო, ისროდნენ თოფებს,
თუ გოგო იყო, იღიმოდნენ, ისე ყასიდად,
ახლა რა ხდება არაფერი აღარ გვაშფოთებს,
მუხას რაც ესხა, ის ფოთლებიც ბევრი გაცვივდა.

მელოდებიან

შემოღამებას მოვესწარი, ბრუნავს წისქვილი,
საქბავიც ბევრჯერ გამოვფქვი და პურიც დავაცხვე,
ღამეში მესმის, უსაქმური ღელის სიცილი,
კოდალაც ჩემსკენ გამოფრინდა, ცდილობს დამაცხრეს.

მე კი სიმშვიდით ველოდები ხორბლის მოსავალს,
მარცვლის თავთავებს, ხელით დავფშვნი, გავანიავებ,
მელოდებიან, და ცის ხიდზე ჩქარა გადავალ,
გთხოვთ, არ გამიწყრეთ, ცოტახნით თუ დამაგვიანდეს.

ტკივილ-ნაგვემო
(გილოცავ დაბადების დღეს)

მიუხედავად, ტკივილ-ნაგვემო,
რწმენით აგრძელებ ისევ ცხოვრებას,
ო, ბედისწერის დიდო განგებო,
ხდება სიცოცხლის განმეორება.

ღმერთი გამოცდას უწყობს ძლიერებს,
გული ბედისწრით ანაცრელია.
კლდეკაცო, ღმერთი გაგაძლიერებს...
შვილები შენთვის ყველაფერია,

სამშობლო არის შენთვის დიდება,
უშგულის მთები... კლდის არწიევები,
ახლაც ეკლიან ბილიკს მისდევ და...
ისევ სამშობლოს შეეწირები.

მერამდენედ

ამოგორდა ცრემლის ტალღა,
დიდი თანაც ზღვის ტოლია.
იქ, რა ხდება, ნეტავ გაღმა,
აქ, პატრონი არ მყოლია.

ხეს დაცვივდა თოთო კვირტი,
აქვითინდა, უტყვი მუხა...
ტუჩის კვნეტით დავაკვირდი,
დრო, ამ ტოტებს, როგორ სუსხავს...

ღმერთმა იცის ვინ ტყუის და...
ან ვის ასე, რატომ აწყობთ
მტკივა, კვნესი, დავღმუი და...
იმედს კეცში ვეღარ ვაცხობ.

ამას კი ვგრძნობ, საქართველო,
მათ ცალ ფეხზე რომ ჰკიდიათ,
სხვა ბატონობს, გააქვს ლელო,
ცხრა თავი აქვს, თან დიდია.

რა ჯანდაბა უნდათ ნეტა,
აღარ შერჩა მუხას ყლორტი,
ცა ღრუბლებით გადიპენტა,
მერამდენედ უკვე მოვკდი!

ნათლის სვეტი

დროა უკვე, შევიყვაროთ ერთმანეთი,
ნათლის სვეტი გულში ამოვაშენოთ...
ვიარსებოთ, ერთად სულის ათინათით,
უცხო ძალამ, სულ არ გადაგვაშენოს.
რას ვუცადო, უკვე არის მეტისმეტი,
ამოივსო დედამიწა გვამებით,
გულში ხალხო, გულში დადგით ნათლის სვეტი,
სიცოცხლეა უკვე განაწამები!

შემონაცრემლი

ხვანი-ჭალვანის გადასახვევთან...
წარსული ისევ ალაპარაკდა.
მშვიდი სიო, რომ ჭადრებს არხევდა,
სიჭაბიკის წლებს, დრო იპარავდა.
მიხაროდა და თურმე ვცდებოდი,
ასაკთან ერთად, დარდზე ვდარდობდი...
იმ მთებთან ერთად ბევრჯერ ვკვდებოდი,
ძირულასავით თავქვე გავრბოდი.
სიფრიფანას და სინაზის ყვავილს,
რა არ გადამხდა, რა არ ვიტვირთე,
იქ, ეხლაც ჩხავის უაზროდ ყვავი,
დარდი შიგ გულში, ამოვიტვიფრე.
მთები კი დუმან უტყვი ბაშვივით,
სანუგეშებლად მთა, მთას გასცქერის...
დადის სიკვდილი დიდი არშინით,
თვით ბუნებაა, შემონაცრემლი.

ფრესკის სახე

ხარის ძალით, გამოიწრთნო გული,
დარდის ტალღავ, ჩემსკენ ნუ მოღოღავ...
მზის სხივი მაქვს შიგნით გამორგული,
რადგან ყინვა აღარაფრით მოლღვა.
ოქროს საწმის დავეძებდი ვნახე,
გაკვირვებით დავაკვირდი თუმცა...
ქართველს გავდა, ერთი ფრესკის სახე,
გონი იყო დამიჯერეთ სუფთა.
ახლა ვფიქრობ, ჩვენთან არის ის რაც,
რაც წარსულში დავკარგეთ და ვეძებთ...
ღმერთი გაწყრა, ადათს აღარ ვიცავთ,
პლანი ღუპავს, პირტიტველა ვერძებს!

პატივი ეცით

პატივი ეცით, ქეთევანის წმინდა ნაწილებს,
ჩემს ერს უჭირსო, აშფოთდა და ჩამოგვაკითხა...
მოეფერება, გულანთებულ, ქართველ არწივებს,
მტყუან- მართალს კი, დოფალი არ განიკითხავს.

ყველას დალოცავს, ერთიანად ჭკვიანს, შფოთისთვს,
მაგრამ ერის მტრებს, გამყიდველებს, უფალს მიანდობს,
წმინდა სამებას, ნაწილები ფრთხილად მოურთავს,
სული დედოფლის, ჩაფრენია ლამაზ იადონს.

სხვა სამყარო გაქვს

(მალვინა ჭელიძეს)

მთაში გაზრდილხარ, ვით ორქიდეა,
მთის საბუდრიდან ამოფრენილი,
გულის მკურნალო, ვითარც მედეა,
შენი საუბრით ვარ, მორჩენილი.
ნასერი გული შემომიხორცა,
შვილო მალვინა, შენმა სიტყვებმა,
მეც ჩემს სიკეთეს, გადმოგილოცავ,
დანარჩენს ჩემი ლექსი გიყვება.

ჩემს გულში

ჩემს გულში არის,
მხოლოდ უფალი...
მე მის იმედად,
ვცოცხლობ მიწაზე
მასთან ვარ მშვიდად, თავისუფალი...
როცა მტკიოდა,
რწმენით ვიწამლე.
ჩემი მიზანი,
ის არის მხოლოდ,
დავატარებდე,
სიკეთეს გუდით...
ეხლა თუ აქ ვარ,
ცას ავალ ბოლოს,
აქ ხომ სიკვდილი,
სიცოვხლეს ბუდნის.!

ჩემს ერს გული როგორ მოურჩინო???

ღმერთო, გამითენე ისეთი დღე,
რომ კვლავ აგალობდეს ერი ჩემი...
ზღვაში ვეშაპი და ურჩხულიც წევს,
თვითონ შეადგინეს განაჩენი.
ურჩხულს დაუღია დიდი ხახა,
ვეშაპს, ზლაზვნით მიაქვს მძორი ტანი...
მხეცმა ჩემი მიწა დაინახა,
ადრეც მინახავს და შევიცანი.
როგორ მოვერიო აღარ ვიცი,
ან სად გადავმალო ჩემი მიწა,
ბევრი წამართვა და ვერ დავიცდი,
სისხლით გაიჟღინთა დედამიწა.
მტერი კვლავ მოიწევს, საჯირითოთ,
იქნებ მხსნელდ ვინმე მომიჩინო,
მითხარ, საით, როგორ გავარიდო...
ჩემს ერს გული როგორ მოურჩინო???

:· ა = ლ = ბ = ა = თ :·

სამოსელს ვაცმევ, გულის სიკეთეს,
რადგან კარგია, სითბო ძალისთვის...
თუ გაზაფხულზე კვირტს ააფეთქებს,
მაშინ ვიზრუნებ, ისევ ხვალისთვის.
თუმცა სურვილი ისე ბევრია,
ოკანეში, ვითარც ტალღები...
ალბათ, ეს გული უფლის წევრია,
რომ არს სიკეთის, ჭარბად გამღები!

დაიძახე

როცა კარებს შემოაღებ ჭიშკარში,
დაიძახე მასპინძელის სახელი...
ეგებ შენთვის გამოვაცხვე ,,ჭვიშტარი“,
გამეცანი, სვანი ხარ თუ კახელი.

უკითხავად სახლში როგორ მიგიღებ,
ანდა სალამს როგორ გეტყვი საეჭვოს,
რას გავიგებ, რა ენაზე ღიღინებ,
საქართველო, იქნებ კბილით დაღეჭო.

არ დანებდე

არასოდეს, არ დანებდე, დარდის ქარებს,
არც წვიმებმა შეგაშინოს, ცრემლნარევმა,
უსათუოდ, დამერწმუნე გაიხარებ,
სიხარულსაც არ უხდება გადარევა.
არ დაცინო, და არა თქვა, შენ არ იზამ,
თუ ვარდები იქნებ ხავსსაც ჩაეჭიდო,
თუკი მგლის ჯგრომ, საქართველო გადახიზნა,
მოვალე ხარ, მას საზღვრამდე გაეკიდო.
თუ სხვას ტკივა, განიცადე, შეიბრალე,
უხარია? შეეცადე გაგეხარდეს,
ქმენ სიკეთე მტერი ამით დააბრმავე,
წვეულება მასთან ერთად გადიხადე!

ამოვდიოდი

გიორგი გიგაურს და
ლაშა ტალახაძეს

დღეს სიხარული ზღვაზე დიდია,
ზეცაა, მთვარე, მზე ვარსკვლავებით...
თქვენ ხართ ბიჭებო, ქართვლის ხიდი და...
რომ გადიხადეთ, მტერთა ვალები.
იყო, ჭიდილი, ლაშა გამაგრდი,
გიორგი ბიჭო, შიშსს არ დანებდე...
თქვენთვის სავახშმოდ გული ჩავადგი,
დღეიდან დარდსაც ალბათ გავაგდებ.
ამიმზიანე, საჩხერე ლაშა,
პოეზიის ჟინს კლავდა გიორგი,
აქამდე ცრემლმა თუ იპარპაშა,
დღეს ხელმეორედ ამოვდიოდი!

არ შეშინდეთ

და თუ თქვენ მზის, აღარ მოგწვდათ სხივები,
შევნიშნე, რომ გიჭირთ რაღაცნაირად...
დავინახე, მართლაც ძლიერ გჭირდებით,
თვენი სახე, დარდით მეუცნაურა...
მაშინ ჩემს გულს, გამოვწურავ მთლიანად,
რაც სითბო მაქვს, ყველას გაგინაწილებთ,
სულ, რომ დავრჩე, ზამთრის ცივ თვის იანვრად,
შემოგიშრობთ, ბედისწერის ნაწვიმებს.
სიმშვიდეა, ჩემი ფიქრის სამყარო,
სიყვარულის დიდი სავსე კასრია,
სიძულვილის ჭერი უნდა ავყარო,
ეს დრო ისეც, ცბიერი და ფარსია!

ბედის საწმისი

მოხლეჩილ ტოტზე დასეირნობ,
ვშიშობ ძალიან,
მყიფეა იგი ვერ აიტანს ქარივით ტრიალს,
შენ გწამს უფალი, და ამიტომ შენი ვალია,
იქნებ არც იცი ანგელოზად
გულში რომ გვთვლიან.
სუფრა გაგიწყვე, არ გაკლია
ალბათ ჩიტის რძეც,
ისიამოვნე, შენთვის მე ვარ, უფლის გზავნილი,
უნდა იფიქრო, არ გაიქცეს სხვაგან შენი მზე,
იქნებ მნათობი უკვე არის ბედით დაღლილი.
უნდა გაუგო, მე მოვითხოვ, უნდა გაუგო,
ვხედავ, შენშია ბუნებრივად ბევრი ღირსება,
და თუკი უნდა, ახალი ხეც იქნებ დაურგო,
ბედის საწმისი, სიყვარულის ახლა ივსება!

გულიადა სანოძეს

გული არი, გულიადა,
გულის გულში რომ წვდება,
მასში არის ილია და...
კლავენ... მაინც არ კვდება.
მას ესროლეს, როცა ტყვია,
დაუშინეს აფხაზეთს,
როლში ,,გულის“ რა არ ჰქვია,
ამბობს, თუნდაც გაბრაზდეთ.
მსახიობ ქალს იქ, ესროლეს,
სამაჩაბლოს საზღვართან,
ქართველები რომ მოცელეს,
მკვდარს არავინ მარხავდა.
ამ ტკივილში ცხოვრობს დედა,
მართლაც დიდი ვარსკვლავი,
ტირის, როცა შვილი კვდება,
ბევრს არც ერგოთ საფლავი.
ეროვნულ ქალს, თან მსახიობს,
დაბადებას ვულოცავ,
ქარმა თმა არ შეურხიოს,
მზე სახე-პირს ულოკავს.
გულიადა, გულის გულო,
გლოცავ ას წელს აჯობე...
შენ არავის არ ორგულობ,
იცავ, ღვთისგან ნაშობებს.
დილა როცა გათენდება,
სხივმა მინდა გაკოცოს,
ვწერ და ლექსი არ თავდება,
თუმცა რამ გაგაოცოს!???

სიამაყეს ვინც აჯობა

ცელი ნამჯას, ვერ მოცელავს, თუ ის მიწას გაკრულია,
ბალახი კი სულ არ დარდობს, ბუნებრივად დარგულია.
ვარდები კი, გაზაფხულის, მოსაწყვეტად არის ძნელი...
სურნელი აქვს არნახული, ეკლით იკაწრება ხელი.
იმ, ხელოვნურ ვარდებს ჯობნის,
ძირს ნაფორთხი ბალახები,
ბუნებრივი ნამი ყოფნის, ცოცხალია მინდორ-ველი.
თავმდაბალ კაცს მშვიდად ძინავს,
ამაყი კი, ძილშიც შფოთავს,
ქარ-წვიმაში მზე არ ბრწყინავს...
ცის ღრუბლები მიტომ მოთქვამს.
ეს ანდაზა ნიშნავს იმას,
არ დაუწყოთ ღმერთს ვაჭრობა,
მშვიდად მხოლოდ იმას ძინავს,
სიამაყეს ვინც აჯობა!

დიდგორის ომი

დავითს, იმ კლდეკარს, იმ, ბუმბერაზ გონიერ მეფეს,
რკინისებური ნებისყოფა, უფლით რგებოდა,
ბრძოლის დროს მისთვის, წიგნი იყო სიმშვიდის სეფე,
მოულოდნელად, მცირე ჯარით, მტერს ესხმებოდა.
ქალაქ რუსთავი და სამშვილდე თურქებს წაართვა,
გამარჯვებასაც მიაღწია, დიდგორის ომში,
... და კვლავ ბრძოლებით,
აღმავლობის ღვთის გზას დაადგა,
მამულს უშველა, დაპყრობილს
და ზღვარ-ლიბო მოშლილს.
ჩვენს ისტორიას, აბა ახლა, კვალდაკვალ გავყვეთ,
მერამდენეჯერ მოწმე გავხდით, სისხლის და ღვარის,
ო, როგორ მინდა, დავით მეფეს, კვლავ ვინმე ჰგავდეს,
მტრობით კი არა, სიყვარულით, რომ იყოს მთვრალი!

თუ გაგიჭირდათ

იმ, ხვანის მთებში, ნაზ შროშანებს,
წარსულში ვრგავდი,
ხასხასა ბელტებს ვაგროვებდი ხელის თითებით.
იცით? ფარფატა, მოსეირნე, პეპელას ვგავდი,
და იმ ბუმბერაზ, ხვანის მთების, შვილად ვითვლები.
დღეს აქ, გზას მივდევ, გაუკაფავს, წვალებ-წვალებით,
მარტო მივდივარ, გზის აღმართზე მომატყდა ტოტი,
ძერამაც ბევრჯერ, გადასერა გული ბრჭყალებით,
და რა საზარლად მომკიოდა, უგულო ჭოტი.
რას ვიფიქრებდი, ამდენ ეკლებს, თუ,
კვლავ გავსხლავდი,
რომ არ მებრძოლა, ბედისწერა გზას მომიჭრიდა...
იმედის ველი შემოვღობე, აქვეც დავსახლდი,
ყველას გიშველით, თუ გეტკინათ, თუ, გაგიჭირდათ!

ფერისცვალება

ნეტავ ისე შეიცვალოს ფერი,
ბუნებამ და აცისკარდეს ზეცა.
ხალხი შემხვდეს, ერთურთს მონაფერი,
ყველას ჭრელი, სამოსელი ეცვას.
შავი ფერის ცაც არ მინდა ვნახო,
ნეტავ მიწაც, ოქროს ფერად იქცეს,
მასპინძელო... ტკბილად დავიძახო,
მტერიც იქნებ, მოყვრად გადიქცეს.
ყორნისფერობს, ახლა დღეთა წუთი,
ჟანგისფერი, მოსდებია ქალაქს,
ჩემი გული, ტკივილდანათუთქი,
დარდს გაურბის, ცრემლებს ისე მალავს.
გათენდება, ვარდიფერი დილა,
რადგან ასე მწამს და კიდეც მჯერა,
უფლის ხელმა, ხილი გადალილა,
მე კი კაბას, მზის სხივის ფერს ვკერავ!

ირგვლივ სიჩუმეა

გემი ჩამომდგარა დატვირთული,
ახლა საჩუქრები დარიგდება.
ერთად ტრიალებენ, ფათი-ფუთით,
ყველა ერთმანეთთან შერიგდება.
ზეცა გაეხვევა, თეთრ ნაბადში,
მიწას ასდინდება ოხშივარი,
თოვლი ცივი ფიფქით არ დაბარდნის,
ყველას მოურჩება სატკივარი.
ჩემი სურვილია ასე იყოს,
ტოტი მოვიწიე იმედების,
ბედი ერთხელ მაინც გავაბრიყვო,
სოსხლო, დარდით ნუღარ მიდედები.
თუკი რამე მქონდა დავარიგე,
გული მოკაზმული თბილი სიტყვით,
ცაო, სიჯამრთელე, გადმომიგდე,
ხალხი რატომ მიგყავს, გამომიტყდი.

სიყვარულის ნერგი

სიყვარულის, ნერგი უნდა დავრგო,
ნაკურთხ წყალით, მოვრწყო ყოველ დილით...
თითო ტოტი ყველას უნდა ვარგო,
საჩუქრის დროს უნდა გავხდე ფრთხილი.
გამრავლდება, დავარიგებ ნერგებს,
გრძნობის კვირტებს გამოისხამს ვიცი...
გავახარებ, იმ მომავალ დედებს,
ვინაც დადო, მეუღლესთან ფიცი.
სიყვარულით, ვინც ამრავლებს ოჯახს,
ათინათი, რომ უბრწყინავს თვალში,
გამიმრავლებს, ვახტანგის და ოთარს,
არ იქნება, საქართველოს ვალში!

სიცოცხლის ფესვი

სიცოხლის ფესვებს, ვაფხვიერებ, ხელის თითბით,
ამოვაშენებ საყდრის კედლებს რამენაირად,
საუკუნებს უჩურჩულბს მერე მითები,
დღეს კი ლამაზი, ეს ზაფხული მეუცნაურა.

ვიცი ყლორტები გაიზრდება, ტოტებს გაიშლის,
რომ დამწიფდება, საღ ტოტებზე უკვე ეტყობა,
და ჩემს მოყვანილს, მოსაკრაფად, ან ვინ დამიშლის,
გამლელ-- გამომვლელს მოსავალი ყველას ეყოფათ!

წმინდა ნინო

აგერ უკვე მეორმოცე ნომერია,
ჩემს „ათინათს“ რომ მფარველობს ნინოს ხატი,
მკითხველები, სიხარულით მოელიან,
ყველას გულში მოკრძალებით ჩანახატი.

სულ არ მიკვირს, რომ გამოდის, რად მიკვირდეს,
ნინოს ძალას, ეშმა როგორ მოერევა,
არ გეგონოთ, ქადა ნაზუქს, ცა მიყრიდეს,
ცოტა მაინც იფლს ღანძილი შეერევა.

ვასუფთავებ, ღანძილისგან ყველა ნომერს,
ნინოს ძალა მფარველობს და ვუშვებ ჟურნალს,
ჩემს მომავალს, შეუნახავ, თქვენს ნაშრომებს,
ზოგჯერ ვჩუქნი, სამოკეთოთ მოსულ სტუმარს!

ლევან სხირტლაძეს

შენი ბუნებით, მიყვარხარ ბებო,
სიჭკვიანეთი, ნიჭით, სიდინჯით...
შენ სულ ცდილობდი ვისთვის რა გერგო,
და ისიც იცი რაა სინდისი.
მეცნიერების გზას დაადექი,
პატარა ბიჭმა, შენ ეს შეძელი...
მშობლებსაც ბევრჯერ, გამოადექი...
გზებს, სიკეთისას, ყველგან ეძებდი.
ლიტვაში იცავ, ხარისხს ბებიკო,
და გახსოვს მუდამ, ,,ვისი გორისხარ“
ბებოს სიცოცხლე, ჩემო ლევიკო,
ლოცვა მიიღე, ახლა შორიდან.
შენი მიზნები, უთქმელად ვიცი...
ცრემლსაც, მზის სხივზე, მიტომ გავაშრობ...
არ ამბობ, მაგრამ გულს ანდე ფიცი,
არ მიატოვებ, ერს და სამშობლოს!

შენ სხვა იყავი

წარსული წლების დღეთა წამებამ,
სიხარული და ტკივილიც იცის,
ზარებს რეკავენ, წმინდა სამებას,
წელი მიდისო, მიდის, არ იცდის...
იქნებ აქა ხარ სულო, ზვიადის,
საყდრის კედლებში, მეკვლედ შემორჩი,
თუ ასე არის, ამოზვიადდი,
ერის იმედად ისევ გამოჩნდი.
ჩემს გულში ნადებს, ვამხელ და გეტყვი,
ვარ მოწიწებით, უფლის წინაშე..
მამული მტკივა, მომავალს ვეტრფი,
ვცოცხლობ, ამჯერად მტრების ჯინაზე.
კვლავ ბურუსია, მივყვები ნისლებს..
ვერ დავაღწიე, ქარიშხალს თავი,
ვწუხ! სულის კალთას ვერავინ მივსებს ...
საქართველოსთვის შენ სხვა იყავი!

ეს ლექსი ჩემი სავიზიტო ბარათია

პოეტი ქალი

* *

პოეტი ქალები, სიცოცხლის გულია,
ალალი, მებრძოლნი,
ხან მზე და მთვარეა,
წარსულშიც ქართველ ქალს,
სწორ გზაზე უვლია,
პოეტი ქალები, ნეტარნი არიან.
თუ უყვარს, სიყვარულს
არავის დაუთმობს,
პოეტის ფიქრია, გული რას განიცდის...
პოეტი ღამის ძილს,
არავის დაუფრთხობს,
რადგანაც ღვთის
შვილმა ღალატი არ იცის.
თუ ტკივა, პოეტ ქალს
სიყვარულს ქვითინებს,
თავის დარდს არ გახვევთ,
თვითონვე შეფუთვნის...
სიმართლეს ამბობს და...
რად უნდა ითბინოს,
არ დათმობს, არ მოგცემს,
რაც თვითონ ეკუთვნის.
ნუ ცდილობთ, რომ მოკლათ,
პოეტი არ კვდება...
თუ რამე წამოცდა, შეუნდეთ ამ ლექსით,
დარდიან ცრემლებით,
სიცოცხლე აკლდება,
პოეტ ქალს ჭირდება, ციური ალერსი!!!

გიორგი სააკაძე

მაყვალა ხაჩიძე

დიდება ტაშისკარელ გმირებს

იქ, სადაცმთები, მთის კიდურს ერწყმის,
სადაც სხივები მტვრის შხეფებს ერთვის,
სალამი ქაეთლის ზეცას და მიწას,
ვინც მას იცავდა, ის ისევ იცავს.
ფხიზლობს გუშაგი, მეციხოვნეს
ხმაური ესმის:
„ჰკა მაგასაო“
მხედრიონი
ურდოს შებმია,
ხმის ნაპერწკლები
ლოკავენ ღრუბლებს,
მტერი ვერაგი, ბევრზე-ბევრია.
სისხლის ღვარებით
შეფერდა,
დედა მდინარე,
გვიამბოვს ამბავს,
და შეგვახსენებს
მემატიანე...
მზის „ათინათი“ ქონგურებს ფერადს.
ფხიზელი თვალი,
გარემოს ზვერავს,
მოგონებები წყლის ნაკადს ერთვის,
თითქოს შორიდან გამარჯვების ყიჟინაც გვესმის,
დიდება გმირებს:
გიორგის, დავითს, ერეკლეს, ჯურხას,
და მათთან ერთად
სხვებიც არიან...
ვიწრო ხეობას, მზის სხივების, ჯარი არტყია,
ტაშისკარის ტატნობს,
დღესაც მათი სისხლი ატყვია.

ნიკა ჭიკაიძე

გიორგი საკაკაძე

გარბოდა გიორგი მშობლიურ ნოსტედან,
უკან კი "გმირობის" აჩრდილი მოსდევდა.
დასჭექეს: სამშობლომ მტრისათვის აღზარდა,
ფიცრები აჰყარეს სამცხეთის საზღვართან.
და ახლა მამულის სისხლით რომ ვერ დაძღნენ,
მოსდევენ უკანვე ისინი ცხენდაცხენ.
თავის თავს დაუწყო უეცრად კამათი:
არ მინდა სიკვდილი, არცა მსურს ღალატი.
ახსენა გამჩენი და უფლის იმედად
მაშინვე ამღვრეულ მტკვრის ზვირთებს მინებდა...
თვალებში უდაბნოს მრისხანე ცეცხლი სწვავს,
როგორღაც შაჰის კარს მიადგა საშინელს,
შაჰი კი კითხულობს: რად დასთმობ შენს მიწას?!
შენს მონად მიგულვე - მიუგებს მაშინვე...
წლებმა რომ წამებით დაიწყეს გადათვლა,
შეცვალა რჯულმა და შეცვალა ადათმა.
სული კი ხორციელს არ ჰგავდა გარეგანს,
(შიგნიდან დაფარულს ვერ ვხედავთ გარედან).
მას შემდეგ თორმეტი წელია გასული,
რაც თავზე მწველი მზე დასცქერის სპარსული.
გაუძლო ხელმწიფის ყოველგვარ გამოცდას,
ყოველგვარ გასაჭირს უცდომლად გამოცდა
და მაინც, შემთხვევა ვერ გააბოროტებს...
შაჰს გული ჰკარნახობს: "არ ენდო ბოლომდე"!
... და როცა ამდენი დევნით და თარეშით,
ღამით კვლავ ქართულ ცას ჩახედა თვალებში,
აღმოხდა: სიძულვილს ვპატიობ თავადებს,
შენ სიყვარული ხარ, სამშობლოვ, თავადვე.
ფიქრში მყოფს ტკივილი ძარღვებში გაატანს,
მკვდრად ჩათვლის წინასწარ ცოცხლად მყოფ
პაატას
და მაინც მიზანი სიმტკიცის ქვას გახეთქს...
მტრის რაზმი ჭირივით მოედო ქართლ - კახეთს,
მოედო... და ჯარი მარტყოფში განლაგდა,
მარტყოფს კი მალევე მოჰყვება მარაბდა...
ხმალივით ვიწრთობი ცეცხლსა და ღადარში,
შენსავით მეც სიკვდილს რამდენჯერ გადავრჩი,
ვინ იცის, რამდენჯერ დავფიქრდი ამდენად:
შევძლებდი ამქვეყნად უშენოდ გაჩენას?!
ვიძახი, როდესაც იმ დღეებს ვაჯამებ:
დიდება მარტყოფს და სირცხვილი ბაზალეთს!
ვიდრემდი განგვკითხავს სიკვდილის სამკვიდრო,
მტერს გადავურჩებით - სამშობლო არ გვინდობს...
არ ვიცი, რა უცნობ წლებს გადმოენარცხე,
დრო უცხო მიწაზეც დღემდე არ გაცხოვნებს
და თუკი წარსულში გმირად არ შეგრაცხეთ,
მაშ, ნუღარც მომავლის ღალატით
გაცხოვრებთ...

ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი

გიორგი სააკაძე

სააკაძე გიორგი
მამულს მკერდით იცავდა,
მომხდურს ვერ დაუთმობდა
მამა-პაპის მიწა-წყალს.
ცხენკაცს კვეთდა შუაზე
ფუთიანი მახვილით
ამხნევებდა ქართველთ ჯარს
ვაჟკაცური ძახილით
ორბს აფრენილს ნოსტეში
ფრთის გაშლა არ აცალეს
გონიერ და ძლიერ კაცს
ორგულობა დასწამეს.
სამშობლოდან განდევნეს
გადაუწვეს სახლ-კარი,
ფერფლის გორად აქციეს
მისი ნამოსახლარი.
სამშობლოს სიყვარული
ღადარივით ღვიოდა
იქნებ მონატრებისგან
ჩუმი ცრემლიც სდიოდა.
შაჰს სამშობლოს სანაცვლოდ

ძე, პაატა აჩუქა
არავინ დაუფასა
ვაჟკაცს თავის გაწირვა.
არ დაინდეს ბოლომდე
კვლავ ღალატით გასწირეს,
უსაყვარლეს მამულში
სიკვდილი არ აღირსეს.
იქნებ იქცა ვარსკვლავად
ცის გუმბათზე კაშკაშებს.
უსაყვარლეს სამშობლოს
ზეციდან დაჰკაშკაშებს.

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

* * *

დღეს ლამაზია ირგვლივ ყოველი
უძირო ცით და ხატულა მიწით,
მზეც სიხარულის სხივთა მთოველი,
სიკეთის შუქად იღვრება, იწვის.
დღეს გადმოფრინდით ოქროს ბუდიდან
და თქვენს თვალებშიც ვარსკვლავებია,
ცისარტყელების ფერთა თამაში
ამ დიდ სიხარულს შეერთებია.
მოგაქვთ ვარდები თქვენს აღმზრდელებთან
და განშორებით გული ღელდება,
თქვენი საქმენი მალე, სულ მალე,
ვიცით, საქვეყნოდ ამეტყველდება.
ზოგი აქედან მთებს მიაშურებს,
თავისკენ იხმობს შრომის დიდება,
ზოგი სწავლაზე ოცნებობს კვლავაც,
თეთრი მტრედივით შორს გაფრინდება...
თქვენ ჩვენი მიწის ხართ ყვავილები,
სიკეთის შუქად ამოსულები,
წინ გაზაფხული გელით მრავალი
და სიხარული გელით ულევი.
მაისის დილას ვარდები შვენის,
ნათელ გონებას ოქროს კალმები,
მე მჯერა თქვენი, მე მჯერა თქვენი
და სიხარულით მოგესალმებით.
ცისარტყელების ფერთა თამაში
ამ დიდ სიხარულს შეერთებია,
გწამდეს, ლამაზო სამშობლო მხარევ,
ახალგაზრდობა შენი ფრთებია.

1966წ.

ჩემი სოფელი

(ძველი ლექსებიდან)

ვით გაზაფხულის ნაზი ღიმილი,
ვით ვარდზე ნამი შეუშრობელი,
როგორც სიცოცხლე საამო, ტკბილი,
მიყვარს ლამაზი ჩემი სოფელი.
მწვანე ხეივნის ტევრში ჩაფლული
ეს საყვარელი ჩემი ფლავია,
ხალხით განთქმული, შრომით განთქმული
მშვენიერი და მომხიბლავია.
აქ ყველა დიდი ხალისით შრომობს,
ერთურთს ტკბილ ლუკმას არ აყვედრიან,
რადგან იციან, ვინც შრომით ცხოვრობს,
ბედნიერებაც მისი ხვედრია.
ყველგან სიცოცხლე, მზე, სილამაზე,
საგაზაფხულო ფერთა თამაში,
ყვავილთა სუნთქვა, ნიავთა ქროლვა
ჩართული დედის იავნანაში.

ნიკო სამადაშვილს

საკუთარ ტკივილს შემოვრჩი მარტო,
ფიქრები ფიქრებს წუხილს ართავენ.
ო, იდუმალო სევდავ და დარდო,
ნეტავ სად არის შენი სათავე.
...თვით სიკვდილშიაც თუ ხსნა მოგველის,
რად გვეშინია ჩატეხვა ხიდის?
ო, უცნობელო წუთისოფელო
საიდან მოდის, საითკენ მიდის...
რა მზე ანათებს იმ სამეუფოს,
ნათელს ჩრდილები აქ რად ერევა?
ვინა თქვას კაცს რა ამაღლებს უფრო...
უბედობა თუ ბედნიერება?
მე სიზმარ-ცხადის საზღვართან შევდექ,
მსურს დავიოკო მღელვარე გული
და ვიდგე, როგორც წვიმების შემდეგ
ბუნების სარკე დამშვიდებული.

გული

ო, გულო, გულო, ვინ გაგიგოს, გულო უთქმელო,
თუ რამდენ სითბო და რაოდენ სიყვარულს იტევ...
შენ გგრძნობენ მაშინ, როცა თვალებს, თვალებს გრძნობიერთ
ჩამოსწყდებიან წმინდა ცრემლები,
შენ გგრძნობენ მაშინ, როცა თითებს უხეშს თუ ნატიფს
ნელი ცახცახი შეუდგება და ჩუმი თრთოლა,
შენ გგრძნობენ მაშინ, როცა სახეს სიკეთით მშვენსა
ელვასავით გადახაზავს ცხელი ღიმილი,
შენ გგრძნობენ, თორემ არასოდეს თავს არ გაამხელ,
შენ ჩუმად გიყვარს, გიხარია ან იტანჯები.
ო, გულო, გულო, შენ იდუმალ სულის სივრცეებს
ათბობ, ანათებ ვით სამყაროს მზე სხივკეთილი.
უ, უწმინდესო, უტკბილესო, უნეტარესო,
ცრემლის, ღიმილის, ოცნებების უშრეტო წყაროვ,
შუქო სიცოცხლის და მომავლის წინათმგრძნობელო!..
შენში ჰყვავიან იმედები უჭკნობ ვარდებად,
თვით ღვთაებრივი სილამაზეც შენში ყვავილობს.
1972 წლის 29 დეკემბერი

* * *

ძველი ლექსებიდან

ცად აღმართულ მწვერვალს ნისლი მოუხურავს.
წინ კი ნოხად განფენილი კორდებია,
ვხედავ დიდი რუსთაველის ნაფეხურებს
იები და ენძელები მოსდებიან.
მკერდმოქარგულ მიწის ცქერით ვხარობ, ვტკბები,
და შრიალი მწვანე რტოთა ტკბილად მესმის.
ყვავილებზე გადაყრილა წყაროს თვლები
და კამკამებს, ელავს, როგორც ცრემლი მესხის.
ვდგავარ ასე, თმებს მიწეწავს ზენა ქარი,
საალერსოდ, საამბოროდ მონაქროლი
და მაოცებს შოთა – დიდი წინაპარი,
ვისი სისხლიც ჩვენს ძარღვებში ღელავს ჩქროლით.
ყველგან შოთა – ყვავილებში,მწვანე რტოში,
მუხის ფესვში, წყაროებში, ლერწმის ღერში,
სიყვარულში, უკვდავების სამეფოში,
მზის სიცილში და სიცოცხლის ლამაზ ფერში.

1965 წ.

ცად ახველ ვალმოხდილი

ჟიული შარტავას ნათელ ხსოვნას

ის, რაც გიბოძა მაღალმა –
სიცოცხლე მეტად ტკბილი,
რაც მოგანიჭა მამულმა –
შენ ვაჟკაცობა ზრდილი.
არ გიძუნწია სულითა –
არ მიიყენე ჩრდილი,
მათვე შესწირე ზვარაკად...
ცად ახველ ვალმოხდილი.
წამიერ წყდება მთავარი –
ოდეს სულით ხარ გმირი...
აღარ დაჭკნება არასდროს
ყვავილი ზეცას შლილი...
შენს თავდადებას უგალობს
მომავლის ოქროპირი,
ზეციურ საქართველოსი
გახდი ლამაზი შვილი.

2001 წ. ფერისცვალება



მუხრან მაჭავარიანი

მე ბზიფთან ერთი ვიცი ურთხელი

მართალი გითხრა, –
ხე ყველა მიყვარს! –
მაგრამ ურთხელი! –
განსაკუთრებით! –
ის ვინაიდან,
ქვეყნად, ხეთაგან,
ყველაზე დიდხანს
ცოცხლობს, გეთაყვა!
მე ბზიფთან ერთი ვიცი ურთხელი, –
შოთა რომელსაც ახსოვს რუსთველი!

აუ! – რას წვიმს!..

ქუხს და ელავს.
წვიმს და ელავს.
ბნელა.
ბნელა.
ბნელა.
ბნელა.
წყვდიადს ელვამ
არემარე
გამოსტაცოს
წარამარა
ქუხს და ელავს.
წვიმს და ელავს.
– აუ! – რას წვიმს!..
ნენა!
ნენა!

* * *

თავისას წერას გაექცევა ამქვეყნად ვერვინ! –
ვერანაირი სიკვდილმისჯილს ვერ იხსნის ცრემლი!
ავს ჩემს ადგილზე წარმოიდგენს როს ჩემი მტერი, –
ყველაზე დიდი დამცირება ესაა ჩემი!

ქარსაკუთარი თრთის მხდალი ვერხვი

ნათელყო დღემა, –
რაც ღამემ ბნელყო;
კაკალმა ტყემალს
ესროლა წენგო.
ემჩნევა ბექობს
გზა საცალფეხო.
ჩანს ბიჭი სერზე, –
არ ჰქვია სესე! –
არადა, ესეც
ქვებს
ესვრის
მერცხლებს.
ქარსაკუთარი თრთის მხდალი ვერხვი! –
არ იძვრის ძმერხლი, –
როა
მის
ფერხთით.

ბიჭვინთა

წითლად განიხვნა ზეცის კარიბჭე;
ხმელთით
ავარდა
ცად
ევკალიპტი...
ერთი
კარგი
დღე
/ვით არაერთხელ/, –
დღეს,
ერთხელ კიდევ
ჩა –
მო –
ყა –
ლიბ –
და!

მკათათვის შუადღე არგვეთში

საცაა
მიწას აუვა ბოლი;
ზეცაა ლურჯი.
მზეა კარპაში.
შავად ლაპლაპებს,
ვენახის ბოლოს,
ნაშთი ყორისა, –
ხვლიკების პლაჟი.

* * *

ცისად ისეთი აღავლინა
შაშვმა მუდარა! –
ენა გაკმინდა
თვით ვერხვმაც კი, –
ქარსაკუთარმა.

* * *

ყოველნაირი სიხარული სევდისკენ მიდის! –
შენთვის უსაზღვროდ სიხარული, –
ზრდა შენი შვილის! –
შენს და მას შორის,
სამწუხაროდ, ზრდაა მანძილის!

* * *

ღამე გაწყალდა, – გაილია, – გასიფრიფანდა, –
გამოიხელა მაყვლის ჩირგვი წახრილ იფანთან...
მზემ მეწამული ბეღლის კედელს სწყვიტა ლიბარდა, –
სიბნელე როცა მთლად განიფანტა.

* * *

ჭასთან, – თავისით ამოსულლა, – კოხტაობს იფნი.
იქვე მოხუცნი რაღაცაზე ბჭობენ ტირიფნი.
გალობს ბულბული /კაკალზეა, მე მგონი, იგი/!
კაკალქვეშ სამნი პატარათი ვჭუკჭუკებთ ჭიქით...
გალობს ბულბული...
– აი, – მესმის! –
რას გალობს! –
იფ! – იფ!
„და საიდანღაც /ილიასი/ ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს / მაგონდება!/ გაგიჟებული.”

ვაჰმე!

ზოგმა დამკარგა!
ზოგი მომკვდა! –
მეგობართაგან
შემრჩა ორიღა!..
– სად ხარ?! – არ ჩანხარ! –
სხვა, – როგორა ხარ?! –

მესმის ხანდახარნ –
ცალყბად–შორიდან!..
ვაჰმე! – რა ხალხმა!
/ყველამ ჰა და ჰა!/ –
ვაჰმე! – რა ხალხმა
იჩონჩორიკა!

* * *

ღამეა ბნელი.
მონატრებით ნამყოს გავცქერი
/ფოთლებზე წვიმის მესმის თქარუნი/...
გულს მივსებს სევდით
/ვით შემთხვევა ჩემთვის საწყენი/
ამბავი, –
ჩემთვის
უაღრესად სასიხარულო.
ვარ მოწყენილი, –
სიხარულს ვწუხარ!
– რატომ წუხარო?! –
იმიტომ ვწუხარ, –
ეს სიხარული

ვინმეს რომ ვუთხრა, –
ვიცი, –
არავინ
მიიტანს
გულთან!
ღამეა ბნელი.
მონატრებით ნამყოს გავცქერი
/ფოთლებზე წვიმის მესმის თქარნი/...
ახლა ცოცხალი ყოფილიყო
რომ დედაჩემი, –
ეღირებოდა,
აი, როდის,
ეს სიხარული!



ბეჟან ხარაიშვილი

* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები —
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
— გონს მოდით მეთქი! — ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
— ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
— არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
— მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე —
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა —
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება —
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? — გკითხავდი და დუმდი...
— სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად განახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
— სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
— სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? — გკითხავდი და დუმდი...
— სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,

ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია —
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი —
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, —
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაგნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, —
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

გურა-ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)

ჩვენ შორეულით მოვდიოდით, ძალიან დიდხანს

მშიერ ლანდებით მოვბლანდენი ბადე წარსულის,
ბადე წარსულის, ვით ორსული, გვიმრის ჩრდილებში,
ძლიერ ტანჯული აღსასრული, ბინდით გართული,
მზისგან დაცლილი, სავსე მდუმარ გამომშვიდებით.
და იყო გლოვა, არამკობა სიხარულების,
დროებათ მდოვრედ გადინება სივრცის ტანიდან,
არამნათობნი, არა ცანი, არა დილები,
არცა ამბები, მოტანილი შლეგი ქარიდან.
ვსთქვი რა მადარდებს, რა მაღელვებს, რას ვსევდიანობ,
რატომ ხარხარებს ბნელი ხევი, გიჟი მდინარის,
კიდევ ყვავისო ფურისული, ბუჩქთან იაო...?
გააღვიძებსო ისევ მიწა და ცაც მძინარი?
ნუ, გეშინისო სიკვდილისა, ვიღაცამ მითხრა,
ვიღაცამ ჩუმად იხითხითა, ბედის გაცინვით,
ჩვენ შორულით მოვდიოდით, ძალიან დიდხანს,
ჩვენის კეთილი ღმერთებით და ეშმაკ-მაცილით.
მარადიულად გვქონდა ბრძოლა შავბნელ ძალებთან,
მარადიულად, მარადიულად, მარადიულად,
გამოვიარეთ ტანჯვა მეტი, მეტი წვალება,
გამოვიარეთ ტანჯვა მეტი, მეტი წვალება,
ურემიც ბევრჯერ გზაზე ხრამში გადაგვიბრუნდა.
დიახ, ასეა, კარგად ვიცი, ჩემო ძამიკო,
კაცთა ჩვენს ბედთან შერიგება როდი გვჩვევია,
სოფლისაგან ჭამამ ვერა გვიქნა, ლოკვამ რა გვიყოს,
მაშ, სევდა, სევდა სულს რაისთვის შემოსჩვევია..?
ბევრია მტრობა, შური, ღვარძლი, მუხანათობა,
ბევრი მზაკვრობა, ვერაგობა, ბევრიც ფლიდობა,
ცა გაიხსნაო ლაჟვარდისფრად, სადღაც ტატნობთან
და ნორჩ ხეებსაც დაეტყოო ტანაშლილობა.
აბა, მანახეთ, ხელი შევავლო, გულით ვიხარო,
ვიგრძნო სიოთა ახლებური ქროლვა მოლაღვით,
დაბრმავებულხარ ბედო, ყრუც ხარ და უსინათლოც,
მით უარესი, ჩვენ იმედის აწ ვართ შვილები,
რაა სიკვდილი? ვიცით, მაგრამ არ გვეშინია,
ათას ფორმაში სული დაჰქრის ფრთით გაშლილებით
და გაზაფხული ყვავილებით შემოგვესია.

"მე მიხარია რომ ფეხი."
/გურა-ანგურა/.

ფეხი

ნიშა ხარი

"რიცა იაბრა, ეწარედ ფიაფბრა..."
/გურა-ანგურა/.

ქარდეული
ფეოდანი

ნახატები: გურამ გელეკანიფეხილისა.

გურამ ჭავჭანიძე
09.08.2019 წ.

ღმერთო შემინდე

რა ვქნა თუ გულში ვერ ჩავატიე
ვერც ტკივილი და ვერც სიხარული,
ღმერთო შემინდე და მაპატიე
ვერ დაფარული ეს სიყვარული.

23.08.2019

„ავს თუ ავი არ უწოდო...“

მირზა გელოვანის ამოძახილი

აფსუს, ჩემო, „უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ“.
მტრებისაგან დაგიცავი,
„მოყვრებისგან“ ვეღარ გიცავ.

ვიდრე პარადს მოგვიწყობენ

ნეტა, ვისი წყალობაა,
რომ დაგვევსო თვალები,
რომ მომრავლდნენ ზნედაცლილი
კაცები და ქალები?
ახლა მაინც გაახილეთ
დასავსები თვალები,
ვიდრე პარადს მოგვიწყობენ
ჰომოსექსუალები!

„ვარდოსნებს“

ვარდები და ტაშ-ფანდური კარგია,
თუ ქვეყანას რაიმეში არგია,
დღეს კი რა გვაქვს ზარ-ზეიმის
თანხლებით,
ძველი კლანის ჩანაცვლება ახლებით?
ბაქიბუქით გულისყური წუხდება,
დაპირებებს შესრულება უხდება!

* * *

ისე მტრობენ თანდათან,
„ქოცები“ და „ნაცები“,
ვერ გაიგებ ხანდახან
ვინ უფროა საცემი.

ღმერთმა დასწყევლოს!

ვინც გაასხვისა ჩვენი მთა-ველი,
გაამათხოვრა კაცი ქართველი,
ვინც გაგვიმრუდა გზა გასავლელი,
ღმერთმა დასწყევლოს მისი სახელი!

ათი წლის მერე?

ათი წლის მერე, ვინ იცის,
საქმე იმდენად წახდება,
ქართველი კაცი თბილისში
სანთლით საძებნი გახდება!

ბევრი მდიდარი ყაჩაღი...

ბევრი ყაჩაღი თუა მდიდარი
სიკეთეც ბევრი იქნება?
არავითარი, არავითარი,
რაცა გვაქვს, ისიც გვიქრება!

ვირთხები

თუ იყნოსეს ავდარია,
მზად არიან გასაქცევად,
სანაცვლოდ კი მზად არიან
თუნდაც ქვეყნის დასაქცევად!

* * *

ნეტა ვინ სცოდავს იმ მაღალ ღმერთთან,
ვინ დაშვრა თქვენი გადამზადებით?
ან ვით შეგყარათ ამდენი ერთად
ეს დახვეწილი არამზადები?!

* * *

ამბობენ, რომ გუბაზი
გახდა მეტად ბუტია,
მიტომ სინდის-ნამუსსაც
უტია და უტია!

„ერთი – ცხვრისკენ, მეორე – მგლისკენ“

ქართული ანდაზა

რუსიც და თურქიც ოდითგან
ოკუპანტია, ცხადია,
ჩვენთვის ორივე ერთია,
,,ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.
მგლისკენ მეორეც უნდა ვთქვათ:
ლარისას ვერ სჯობს ხათუნი,
გათურქებასაც გადურჩა,
ახალციხე და ბათუმი!

* * *

ის რა კაცია ვინც ვერ მოტვინა
ალენ დალესის ბილწი დოქტრინა
და რომ უგვანო რუსოფობია
როგორც ფაშიზმი დასაგმობია!

როგორ მიყვარდი

როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი,
შენ მახარებდი, მხოლოდ შენ ერთი,
შენ იყავ ჩემი ია და ვარდი,
შენ იყავ ჩემი ხატი და ღმერთი.

ტრფობა რომ გულში ვერ ჩავატიე,
კრძალვით მოგართვი ლურჯი იები,
მიყვარდი, მაგრამ ვერ გაპატიე
ის, რაც არ იყო საპატიები...

ასე ცხოვრება არ შეიძლება

ასე ცხოვრება არ შეიძლება,
ნუთუ ვერ ხვდები ხალხო ქართველო,
თუ ჩვენი ყოფა არ შეიცვლება,
გადაშენდება ეს საქართველო,
შემირცხვენია მილიონები,
თუ ხალხი ფეხზე დაკიდულია,
თუ ზეიმობენ ფულის მონები,
ხოლო სამშობლო გაყიდულია!

როცა „გულს გული იცნობს“

ბ-ნ გერონტი მესხს

გულით ვიხარე, ვფიცავარ გამჩენს,
ძმობა ლამაზად გაგილექსია,
ჩვენ სიყვარული თუ გადაგვარჩენს,
ალბათ მას ვიმკით, რაც გვითესია!
კარგია როცა „გულს გული იცნობს“
და გვასულდიდებს სიცოცხლის არსი,
ნაღდი პოეტი ნაღდ პოეტს იძმობს,
რამეთუ იცის ამ ძმობის ფასი.

იზა ჭიკაიძეს

არ მასვენებენ შენზე ფიქრები,
არ მასვენებენ შენზე დარდები,
გწამდეს არასდროს არ გამიქრები,
გწამდეს ყოველთვის გამიხარდები.

ჩემიც ხარ

ჩემიც ხარ, თუმცა ოაზისი ხარ,
დღემდე თანა მდევს შენი სურნელი,
მიტომაც დღემდე სულში მიზიხარ
ვით სიყვარული განუკურნელი!

საბავშვო განყოფილება



ლელა კობერიძე ჭიაურელი

ყვავილები

ქრიზანთემა და ყაყაჩო, ღიღილო და ია,
იასამანი, ნარცისი ზამბახი თუ სვია.
ყოჩივარდი სიყვარულით შროშანს ჩახვევია,
ვარდზე ბულბული დასკუპდა
                  და მიენდო ნიავს.
ფურუსულა და ენძელა, გვიმრა, ციცუნია
საუცხოოდ გაფეთქილი თეთრი მაგნოლია.
ხარისძირა, ალიანდრი, გვირილა და ია,
ჩიტისთვალას და ჟასმინსა
                  ოო, რა სურნელიაქვს.
უთვალავი ტყის ყვავილნი მოსაფერიბია,
დედამიწაზე ბუნებას საოცრება ჰქვია.

ია-ია

ია-ია ლურჯი კაბა
ტანზე როგორ გიხდება?
შენი აყვავბიდანვე
გაზაფხული იწყება.
საამური სურნელი გაქვს
ია-ია პატარავ,
ბუჩქის ძირას მიმალულო
უჩინარო ხანდახან.
ბავშვებისთვის საპოვნელა
ლურჯთვალება თვალოვ,
დედიკოსთვის გაზაფხულის
საჩუქარი ხარო.

გარეული ცხოველები

გაიხსენეთ, ჩამოთვალეთ
უღრან ტყეში მცხოვრებია,
ცალკე ტროპიკულ სივრცეში
ცალკე წყალში მყოფებია.
ვეფხვი, ლომი თუ ავაზა,
მაიმუნი, ჯიხვი, არჩვი
აქლემი, ჟირაფი ზებრა
ხარ-ირემი,ციყვი,ზღარბი.
სპილო, წავი, თუ კენგურუ,
შინშილა და დათვი პანდა,
ტურა, მგელი და ენოტი
სხვაც არიან ამათ გარდა.
ნიანგია თუ ვეშაპი,
ზღვის ლომი და თეთრი დათვი
წყალში თავს მშვენივრად
გრძნობენ
არ უზიანნდებათ ტყავი.
ცხოველები,რომლებიც არ
ბინადრობნ ფარეხსა,
ყველას გარეული ჰქვია
ნუ გაუღებთ კარებსა.
რადგან ნადირთა მოდგმისგან
ვიცით ნდობა არა ჭრის
და არც მოშინაურდება,
მხეცთან ყოფნა არა ღირს.

10.03.2021წ. ათენი

ენის გასატეხი

ჭრელ ჭალაში
ჭრიჭინებენ
ჭრიჭინბი
ჭრიჭინობით
ჭამენ ჭია-ჭუანსა,
ჭაჭუნაში,
ჭაობებში ჭიყ-ჭიყია,
ჭიყ-ჭიყია ჭურშიც
ჭაჭის ჭკვიანად.

გამოიცანი

ფუტკარს, ბზიკსა და ობობას
ტილსა რწყილსა და ჭიასა,
ბუზსა, კალიას, კელასა
ჭრიჭინა-ჭიანჭველასა
რა საერთო აქვს ყველასა?
ნაირ- ნაირი ფერებით
გადააჭრელეს ველები
და მათ რა ჰქვიათ?

მწერები

გამოიცანი
ჯერ მწვანეთ გააქვს ბიბინი
მკათა თვეს იპრისებაო,
ზამთარში ცხოველებისთვის,
საკვბად იყიდებაო.

შინაური ცხოველები



ძაღლი,ღორი,კატა,ვირი
ცხენი, ძროხა მცოხვნლნია,
ცხვარი, ხარი თუ ჯორცხნა
თხა-კიკინა მხტომლია.
რაც კი თქვენ ფარეხს ამშვენებს
ის ოთხფეხა ყოვლნია,
ყველა სარგებელს იძლევა
შინაურო ცხოვლნია.

ბოსტნეული

კომბოსტოს, ნიორს, კამასა
ბოლოკს, ნიახურს თალგამსა,
წიწმატს,ქინძსა თუ გოგრასა
კიტრ-პომიდორს თუ ქონდარსა.
ბადრიჯანს ხახვს და სტაფილოს
მზესუმზირას თუ ბარდასა,
სლსა,ქერსა თუ ხორბლეულს
მათ რას ვეძახით? ბოსტნეულს

გარეული ფრინველები

გნოლი, კაკაბი, მწყერჩიტა
ტოროლა ბუ და მერცხალი,
ბეღურა, წერო, ფასკუნჯი
სვავი,ყვავი და ყორანი.
ბულბული,შაშვი,შოშია
არწივი, ყანჩა, ძერანი
გარულ ფრინვლთ ეკუთვნის
ჩამოთვლილიდან ყველანი.

შინაური ფრინველები

იხვი,ბატი და ქათამი,
იდაური ფხორია,
შინაური ფრინველნია
რაც ეზოში გყოლიათ.
ცივსისხლიანთა ოჯახი
ხვლიკი თუ ქამელონი
ბაყაყი,ნიანგი,თვზი,
იაგუანა,კუ,გვალი
ცივი სისხლისა ყოველი.

ხილი

ვაშლი ,მსხალი და ატამი
კომში,ლღვი და კაკალი,
ყურძნი,ქლიავი,თხილი,
ამ ყველაფერს ქვია "ხილი "

კენკრა

კვრინჩხი,კუნელი,
მაყვალი მცენარეა ეკლოვანი
ჟოლო,მოცვი და მოცხარი
ხილი არის "კენკროვანი".

მზიანი აჭარა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აჭარის ორგანიზაცია

ნიაზ ბოლქვაძე

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრი, ბაშკირეთის რესპუბლიკის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ეროვნული კულტურის ცენტრის დამფუძნებელი, ბაშკირეთის ქართველთა სათვისტომოს დამფუძნებელი და პრეზიდენტი (ამჟამად საპატიო), საქველმოქმედო ფონდი ,,წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მწერალთა კავშირის რაინდის წოდების მფლობელი.

არის 15 წიგნის, 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის და 500-ზე მეტი პუბლიცისტური სტატიის ავტორი ქართულ და უცხოურ გამომცემლობებში.

უძველეს კოლხთა რკინის საადნობი სახელოსნო ძვ.წ. XIII–VIII საუკუნეები. რეკონსტრუქცია

იდეის ავტორი: ნიაზ ბოლქვაძე
მხატვარ-არქიტექტორი: ვალერ მიქელაძე

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნიაზ ბოლქვაძის ნაშრომი ,,უძველეს კოლხ მეტალურგთა საიდუმლოება. არ დავიწყება საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისებისა“ ეძღვნება დედამიწაზე რკინის მეტალურგიის ჩასახვისა და მისი განვითარების ისტორიას. ნაშრომში სიღრმისეული ისტორიული ანალიზით საინტერესოდ არის წარმოდგენილი 3000 წლის წინათ, საქართველოში, უძველესი კოლხეთის ხეობების დაბურულ ტყეებში საიდუმლოდ რკინის წარმოების ამსახველი სურათი და ამ საიდუმლოების დაცვის ხერხები, რაც დღემდე გამოუცნობი იყო და სიახელს წარმოადგენს ამ მხრივ. აქვე წარმოდგენილი არის ახლებური მიდგომა უნიკალური, ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, უძველეს კოლხთა რკინის საადნობი სახელოსნოების გადარჩენის და პოპულარიზაციის მიზნით.

ნაშრომი საინტერესო იქნება ისტორიკოსთათვის, ლექტორ-მასწავლებელთათვის, ასევე ფართო წრის მკითხველისათვის.

უძველეს კოლხ მეტალურგთა საიდუმლოება არ დავიწყება საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისებისა!

,,ლოდი, რომელიც მშენებლებმა
დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა...“
მათე, 21,42

ამიერკავკასიაში უძველესი მეტალურგიის კერების აღმოჩენისა და შესწავლის მხრივ თითქმის საუკუნის მანძილზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიღწევების შედეგად ძალიან მნიშვნელოვანი შრომები მოგვეპოვება.

მიუხედავად ამისა კვლავ რჩება შესასწავლი არაერთი საინტერესო საკითხი, რომელიც დღემდე არ იყო შესწავლილი.

აქედან გამომდინარე ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე, რომელიც სიამაყის გრძნობასთან ერთად დიდ ინტერესსა და გაოცებას იწვევს, კერძოდ: ძველი კოლხეთის მმართველები და კოლხი მეტალურგები საუკუნეების მანძილზე როგორ ახერხებდნენ რკინის წარმოების ტექნოლოგიების საიდუმლოების დაცვას?

ვიდრე ამ საიდუმლოების ახსნას შევეცდებოდე, საერთო წარმოდგენისათვის კარგი იქნებოდა ამ საკითხის მოკლე ისტორიული შეფასება.

უძველეს კოლხთა ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სხვა დარგებთან ერთად მეტალურგია იყო.

მეტალურგია (ბერძნ. metallurgeo-მოვიპოვებ მადანს, ვამუშავებ ლითონს) კაცობრიობის განვითარების უძველესი დროიდან ღებულობს სათავეს[1]

უძველესი წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ადამიანი უკვე ძვ.წ. VII-V ათასწლეულებიდან ადნობდა სპილენძს, იცნობდა თვითნაბად ოქროს, ვერცხლს, მეტეორიტულ რკინას.

რკინის ყველაზე უძველესი ნაკეთობები, რომელიც აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად, დათარიღებულია ძვ.წ. აღრიცხვით IV, III, II ათასწლეულის შუა ხანებით და მიეკუთვნება შუმერებისა და ეგვიპტის ცივილიზაციას. ისინი დამზადებულია ზეციური წარმოშობის მეტეორიტული რკინისაგან: სამკაულები და საბრძოლო იარაღები ეგვიპტური სამარხებიდან, შუმერული ქ. ურიდან და სხვა... მეტეორიტული რკინისაგან ნაწარმი ნივთები ფარაონთათვის ზეციურ, ღვთაებრივ ჯილდოდ ითვლებოდა...

როგორც ცნობილია ენეოლითის ხანის შემდეგ იწყება ბრინჯაოს ხანა-საზოგადოების განვითარების ისტორიულ-კულტურული პერიოდი. უძველესმა ადამიანებმა ისწავლეს ბრინჯაოს წარმოება. ბრინჯაოს ყველაზე უძველესი ნაწარმი და წარმოების კერები აღმოჩენილია ირანის, შუა მდინარეთის და დღევანდელი თურქეთის ტერიტორიებზე.

ძვ.წ. III ათასწლეულებში ბრინჯაო ფართო გავრცელებას პოულობს სხვა და სხვა ქვეყნებში. ამ დროისათვის ადამიანი არ ფლობდა მადნიდან გამოდნობის წესით. რკინის მიღების საიდუმლოს.

ევრაზიის უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ცენტრი ბრინჯაოს ხანაში, ძვ.წ. III ათასწლეულიდან ხდება კავკასია. არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით ირკვევა რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, უძველესი კოლხეთის მკვიდრთ, ბრინჯაოს ხანაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ როგორც სამთამადნო, ასევე მეტალურგიულ ლითონდამამუშავებელ ინდუსტრიაში. კერძოდ, გვიან ბრინჯაოს ხანაში, კავკასიაში-კოლხეთში ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში მოხდა დიდი ცვლილებები. მეტალურგიის განვითარების უდიდესი მიღწევა იყო კოლხი მეტალურგების მიერ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება, რამაც რევოლოციური გარდატეხა მოახდინა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში მხოლოდ რკინამ შეძლო უძველესი ადამიანის ცხოვრებიდან ქვის, სპილენძისა და ბრინჯაოს სამეურნეო და საბრძოლო იარაღების გამოდევნა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო თემური წყობილების რღვევის პროცესს და კლასობრივ საზოგადოებად ჩამოყალიბებას.

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.ტ.VI, 1986., გვ.606

უძველესი და ანტიკური ხანის ეგვიპტური, ხეთური, ბერძნული, ურარტული და სხვა ისტორიული წერილობითი წყაროები ადასტურებენ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ძველი კოლხური ტომები - ხალიბები რკინის პირველი მწარმოებლები იყვნენ. ანუ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება დედამიწაზე პირველად ჩაისახა და იწყო განვითარება შავიზღვისპირეთში, ძველ კოლხეთში.

ამ აზრის ჭეშმარიტებას ასევე ადასტურებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქართველი ერის ეკონომიკურ დაწინაურებას უძველესი დროიდან ქრისტეშობამდე, რომ ამ დროისათვის ქართველებს უკვე სცოდნია მადნეულობის ამოღება დედამიწიდან და მისი დამუშავება.

,,გერმანელი ენათმეცნიერი ოტტო შარდერი ფიქრობს, რომ ევროპის ენებში შესული ზოგიერთ ლითონთა სახელები ქართულიაო... თუ ქართულ სამადნო კულტურას ზეგავლენა ჰქონია ევროპისაზე, სჩანს ქართველობა ათი საუკუნით წინ ქრისტეშობამდე დიდი განვითარებული ერი ყოფილა“[2] - აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

ბუნებრივია ამ აზრის აღიარებისათვის, რაც თავის მხრივ ჩვენი წინაპრების უდიდესი ღვაწლის დაფასებას ნიშნავს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში, მხოლოდ ძველი ისტორიული წერილობითი წყაროები და XX საუკუნის პირველნახევრისათვის არსებული არქეოლოგიური მონაპოვარი საკმარისი ვერ იქნებოდა. საჭირო იყო მეტი ნივთიერი მტკიცებულებები.ამიტომ, 1950-იანი წლებიდან ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები.

1959-2000 წლებში მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოების აღმოჩენამ, რომლებიც ყველაზე ძველი კოლხური ძეგლებია და თარიღდებიან ძვ.წ. XIII-VII საუკ.[3] (მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის, სუფსა-გუბაზეულის, ხობი-ოჩხომურის აუზებში და სხ.) ნივთიერი მტკიცებულებებით დაადასტურეს ზემოაღნიშნული ისტორიული წერილობითი წყაროებით გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა.

ძვ.წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია უკვე წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს.[4]

ცივილიზაციის განვითარების გზაზე ასეთი დიდი გარდატეხა როგორც უკვე აღინიშნა არ იყო შემთხვევითი. მას წინ ბრინჯაოს მეტალურგიის მდიდარი გამოცდილება ედო საფუძვლად. საბადოებით მდიდარი ამიერკავკასია იზოლირებული ვერ იქნებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი მელითონეებიც ჩართული იყვნენ წინააზიური კულტურების განვითარების ერთიან სისტემაში[5].

ამ საკითხთან დაკავშირებით, არქეოლოგიური ფაქტებისა და ისტორიული წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა: ,,ქართველ ტომებს მარტო თავიანთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ჭურჭელი და იარაღი, არამედ შორეულ ქვეყნებშიც გაჰქონდად გასაყიდად... ქართველმა ხალხმა სახვნელი იარაღების მრავალი სახე შექმნა, განავითარა ეს სახეები, დაწინაურდა მეურნეობრივად. მეზობელმა ქვეყნებმა ქართულ სახვნელ იარაღთაგან მრავალი სახე ისესხეს და გამოიყენეს“...[6]

,,უეჭველია, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველ განათლებულ კაცობრიობის წინაშე... ქართველებმა პირველებმა ისწავლეს მადნის დამუშავება-ო“[7].

ივანე ჯავახიშვილის მიერ გაკეთებულ ასეთ საფუძვლიან დასკვნას, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა, ათეული წლების შემდეგ ფაქტობრივად დაადასტურებს აღმოჩენილი უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოები.

---

[2] დავით გვრიტიშვილი. ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1960., გვ.28

[3] დავით ხახუტაიშვილი. სამტომეული, ტ.,II, ბათ., 2009, გვ.187

[4] გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბ., 2001, გვ. 45

[5] ამირან კახიძე. უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში. საქართველო-უძველესი მეტალურგიის კერა. ბათ., 2019, გვ.14

[6] დავით გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ.107

[7] დავით გვრიტიშვილი.დასახ. ნაშრომი, გვ.75

წინაპართა ამ უდიდესი ღვაწლის დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები, ძველი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოები,რომელთა აღმოჩენებსაც აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა აღფრთოვანებით ,,დიდი საქმის დასაწყისი“ უწოდა, (1964წ.) განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მეცნიერულად შესწავლის შემდეგ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოებიდან შედარებით უმნიშვნელო სამუზეუმო ექსპონატების მუზეუმებში გადატანის შემდეგ მთავარი, თვით სახელოსნო-ღუმელები, ქვის მაგიდა ,,საჟეპელა“, ირგვლივ მოფენილი წიდებით კონსერვაციის გარეშე დარჩენილი ათწლეულების მანძილზე დავიწყებას მიეცა. შედეგად, ბევრი ასეთი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, ძეგლი რომლითაც იამაყებდა ნებისმიერი ერი, განადგურდა. სოფლის მეურნეობისათვის გამოყენების მიზნით ეს ტერიტორიები ადგილობრივმა მოსახლეობამ შემოღობა, მოხნა და აითვისა...

მუზეუმებში დაცულ ათასობით სხვადასხვა სახის ექსპონატების გვერდით რკინის წარმოების ნიმუშები ვერ ახდენენ იმ შთაბეჭდილებას მნახველზე, როგორიც შეიძლება მოახდინოს უძველესმა, დედამიწაზე პირველი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების ნახვამ. ამას მოწმობს არა ერთი ფაქტი:

გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა, მწერალმა და მოგზაურმა ტიმ სევერინმა საქართველოში მოგზაურობის დროს (1984 წლის ივლისი-აგვისტო) აღნიშნა, რომ 3300 წლის შემდეგ, უძველესი არგონავტების კვალდაკვალ მათი ასეთი შორეული და რთული მოგზაურობის მთავარი მიზანი არის მეცნიერული ხასიათის.

,,მიმაჩნია, რომ კოლხეთი ბერძნებს იზიდავდა განვითარებული მეტალურგიითა და მედიცინის დონით, რაც ასე კარგად აისახა ლეგენდაში...

იმედი მაქვს ,.,არგონავტების“ გზის განმეორება დაგვეხმარება გავიგოთ როგორ გაჩნდა ამ ქვეყნად ლეგენდები, რომელშიც დაშიფრულია ისტორია“... * -აღნიშნა ტომ სევერინმა.

(გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა“. ნაოსნობის ისტორია, 11 ივლისი, 1984 წ.,

გაზეთი ,,საბ.აჭარა“, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ,,მზის შვილის ქვეყანაში“. 24 ივლისი, 1984წ)

უცხოელ სტუმრებს, ,,ახალ არგონავტებს“ მასპინძლებმა უჩვენეს საქართველოს სხვა და სხვა ქალაქების მუზეუმებში დაცული ექსპონატები, რომლებიც არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის პერიოდს ეკუთვნის (გაზეთი ,,კომუნისტი“. არგო ოქროს საწმისის ქვეყანაში“. 24 ივლისი, 1984წ.,)

ტიმ სევერინის ხელმძღვანელობით ,,ახალი არგონავტების“ საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით მოცემული ინფორმაცია, რომელიც 1984 წლის ივლის-აგვისტოში გაშუქდა ცენტრალური და რეგიონალური პრესით, ასევე შემაჯამებელი პრესკომფერენციის მასალები მოწმობენ, რომ ,,ახალი არგონავტებისთვის“ მაშინ მასპინძლებს არ უჩვენებიათ ,არგონავტების“ მითის რეალობის მთავარი დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები, არგონავტების და ტროას თანამედროვე ისტორიული ძეგლები-რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოები, რომლებიც მაშინ უკვე აღმოჩენილი იყო მდ. ჩოლოქის (სოფ. ლეღვა) და მდ. ჭოროხის აუზებში. აღნიშნული ძეგლები ფაქტობრივად ადასტურებენ, რომ მაშინდელ საქართველოში რკინის წარმოება საიდუმლოდ მიმდინარეობდა, რისთვისაც სინამდვილეში თავის დროზე არგონავტებმა გადაწყვიტეს შორეული და თავდაგასავლებით სავსე მოგზაურობა. მასპინძლებმა დაჯერდნენ მხოლოდ ისტორიული სახელოსნოებიდან მუზეუმებში გადატანილი შედარებით უმნიშვნელო ექსპონატების წარმოჩენას, რომლებმაც როგორც უკვე ამასთან დაკავშირებით აღინშინა, იქ დაცულ სხვა შინაარის მქონე ათასობით ექსპონატებთან ერთად ის ეფექტი ვერ მოახდინეს.

,,ტიმ სევერინის მოგზაურობის შემდეგ“, ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდნენ უცხოელი მეცნიერები და მოითხოვეს პირადად ენახათ ეს სენსაციური აღმოჩენები, ლეგენდარული არგონავტებისა და ტროას თანამედროვე ძვ.წ. XIII-X საუკ. რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი პირველი კერები დედამიწაზე. ჩოლოქში, სუფსაში და სხვაგან ჩასულებს კი, სადაც არქეოლოგიური ძეგლები იყო აღმოჩენილი, არაფერი დახვდათ...უმეტესი ნაწილი განადგურებული აღმოჩნდა, ზოგი კი მივიწყებული და დაკარგული, მიუწვდომელი იყო მათთვის. უცხოელი მეცნიერები გაოცებასა და ბრაზს ვერ მალავდნენ და გულდაწყვეტილები დაბრუნდნენ თავის სამშობლოში“- გულისტკივილით მოგვითხრობენ ამ საკითხით დაინტერესებული სპეცისლისტები ამ ისტორიის შესახებ.

მიზეზი ამისა იყო ის, რომ გასული საუკუნიდან დღემდე ჯერ კიდევ არ იყო სწორი მიდგომა ამ

უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლების, ქურა-სახელოსნოების მიმართ, არ იყო ასევე შესწავლილი საკითხი წარმოების ტექნოლოგიების საიდუმლოს დაცვის შესახებ და ა.შ. რაზედაც ძირითადად ამ სტატიაში გვექნება შემდგომ საუბარი.

შედეგად მას არ მოჰყოლია ის ფართო რეზონანსი, ქართველი ერის წინაპართა ღვაწლის საერთაშორისოდ აღიარება და დაფასება, როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობ-ლოსი, რაზედაც აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, მეცნიერთა საზოგადოება და შეიძლება ითქვას მთლიანად ქართველი ხალხი იმედს ამყარებდა.

ამ აზრს დამატებით მოწმობს ის ფაქტებიც, რომ საქართველო მსოფლიო ხალხთა ატლასზე, ტურისტულ ცნობარებში და სხვაგან წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ძველი ქრისტიანული ქვეყანა და ვაზის სამშობლო. არაფერია ნათქვამი ქრისტეშობამდე ქართველი ერის დიად წარსულზე, მადნიდან გამოდნობის წესით რკინის წარმოების ისტორიის საწყისებზე.

კაცობრიობის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ყოველ ერს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა გააჩნია. ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი წვლილი შეაქვს და ამდიდრებს ამ საგანძურს.

აქედან გამომდინარე ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ქართველთა სათანადო დამსახურებას კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში.

ამ ისტორიული სინამდვილის წარმოჩენა, ეჩვენებინა თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო კულტურის საგანძურში, რითი გაამდიდრა მან ეს საგანძური ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

ამ დროს, უძველეს ქართველთა დიადი წარსული, კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორია კი სამუდამო დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მივიწყებული ისტორიული სახელოსნოების განადგურებით ნადგურდება მთავარი ნივთიერი მტკიცებულებები იმისა, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა დედამიწაზე. ნივთიერი მტკიცებულებების გარეშე კი არავითარ წერილობით წყაროებს ცალკე აღებულს არავითარი ძალა არ გააჩნია.

ასეთ შემთხვევაში, უძველესი კოლხური რკინის მეტალურგიასა და არგონავტების ისტორიასთან დაკავშირებით იგივე მდგომარეობა იქმნება, მაგ. რომ ისაუბრო სემირამიდას ბაღებზე, ან სხვა ისტორიულ ძეგლებზე, რომლებიც აღარ არსებობენ და მხოლოდ წერილობით ლეგენდის სახით არის შემორჩენილი.

ამდენად ისტორიული ქურა-სახელოსნოების გადარჩენას და მის რეკონსტრუქციას გლობალური მნიშვნელობა აქვს. ყველას მიეცემა საშუალება ნახოს მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღების აკვანი, თუ როგორ ეყრებოდა საფუძველი ბრინჯაოს ხანაში რკინის წარმოებას დედამიწაზე..., რომელმაც ადამიანის ცხოვრებიდან შეძლო გამოედევნა ქვისა და ბრინჯაოს სამუშაო და საბრძოლო იარაღები და შეცვალა კაცობრიობის ბედი...

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე თანამოაზრეებთან ერთად ჩემთვის შესაძლებელი გახდა კოლხეთის სხვადასხვა მხარეს, მდ. ჩაქვის წყლის, მდ. ჭოროხის და მდ. ჩოლოქის აუზებში უფლის ნებით, სასწაულებრივად ჯერ კიდევ უვნებლად შემორჩენილი, დაკარგული ისტორიული კოლხური მეტალურგიის კერების მოძიება, ტერიტორიების შემოღობვა, გადარჩენა და დაცვა. მათ შორის ჩაქვის ჩაისუბნის ისტორიულ რკინის სადნობ სახელოსნოს საქველმოქმედო ფონდის ,,წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ ინიციატივით 2019 წლის ნოემბერში უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ძეგლებთან მიმართებაში. აღნიშნული ისტორიული ძეგლების დაცვისა და ფართო პოპულარიზაციის მიზნით ჩაქვის ჩაისუბნის ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მოეწყობა მუზეუმი...

აღნიშნული მუზეუმი იქნება უძველეს კოხლთა რკინის სადნობი სახელოსნო აღდგენილი მისი პირველადი სახით:

-3000 წლის წინათ, ღია ცის ქვეშ, მუხით, ცაცხვით, წაბლით, წყავით და მურყანით დაბურულ ტყეში წარმოდგენილი იქნება თუ როგორ ხდებოდა დედამიწაზე ადამიანის მიერ პირველად მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ზღვისპირად მცხოვრები კოლხების მიერ მაგნეტიტური ქვიშისაგან მიწის ღუმელებში მაღალ ტემპერატურაზე (დაახ.1500-1600 ^{0}C) რკინის გამოდნობა.

აქვე გაცოცხლებული იქნება სურათი, თუ როგორ მზადდებოდა ჩვენი უძველესი წინაპრების

მიერ მიღებული რკინისაგან საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, ასევე თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით გაცოცხლებული იქნება გვიან ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანის წინაპართა ცხოვრების ამსახველი სურათები...

თვით უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლი-ქურები და მაგიდა ,,საჟეპელა" განთავსებული იქნება იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ ჯარგვალული ტიპის ხის შენობაში. ეს მუზეუმი იქნება საბაზო, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება ექსპონატები ჭოროხის, ჩოლოქის, სუფსა-გუბაზეულის, ხობის მდინარეების აუზებში უძველეს დროში მოქმედი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოებიდან. ასეთი მიდგომით, მნახველის წინაშე წარმოდგენილი იქნება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან - ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, გვიან ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანაში უძველესი კოლხური მეტალურგიის ერთიანი სისტემა.

დღეს ჩვენს წინაშე მდ. ჭოროხის (ჭარნალი), მდ. ჩოლოქის (ლეღვა) და ჩაქვის წყლის (ჩაისუბანი) აუზებში დაცული უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოების სახით, ისტორიულ წერილობით წყაროებთან ერთად საკმარისი ნივთიერი მტკიცებულებები გაგვაჩნია იმისათვის, რომ საქართველო ,,იუნესკოს" წინაშე წარსდგეს როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლო. მსოფლიოს ხალხთა დიდ ატლასზე საქართველო ვაზის სამშობლოსთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას რკინის წარმოების ისტორიულ სამშობლოდ!

(იხ. წიგნი: ნიაზ ბოლქვაძე. ,,წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად. საქართველო, ჩაქვი-უძველესი მეტალურგიის სათავეებთან" თბ., 2020)

* * *

,,სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო
ძვირად მიღირს, ვიდრე სპარსეთის ტახტი"
დემოკრიტე

როგორც უკვე შესავალში აღინიშნა, ამ ნაშრომით შევეცდები იმ ისტორიული მოვლენების ახსნას, რომელიც ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, არასწორი წარმოდგენა დამკვიდრდა მასზე და დღემდე პასუხს მოელოდა.

საქმე ეხება მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტს: თუ როგორ იყო შესაძლებელი ძველი კოლხეთის მმართველებისთვის საუკუნეების მანძილზე რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოდ დაცვა, მაშინ, როცა საქართველოს უკვე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, ასევე იყო სხვა ათასი დაუპატიჟებელი მომხდური თუ მოგზაური. ამის ერთ-ერთი მაგალითია არგონავტების მოგზაურობა საქართველოში, რომელთა მთავარ მიზანს უპირველესად სწორედ, რომ რკინის წარმოების საიდუმლოების მოპოვება წარმოადგენდა. ამ აზრის ჭეშმარიტებას უნდა მოწმობდეს ჩვენს წინაშე არსებული ერთ-ერთი ის რეალური ისტორიული ფაქტი, რომ ჩოლოქის (ლეღვას)რკინის სადნობი სახელოსნო არგონავტების საქართველოში მოგზაურობის დროს (დაახ. ძვ.წ. XIII საუკ.) მოქმედი ობიექტი იყო, სადაც რკინის წარმოება ვითარდებოდა. ამ დროისათვის როგორც ძვ. ხეთური და ბერძნული წყაროები მოწმობენ რკინა ოქროზე 10-ჯერ მეტად ფასობდა[8].

ოქროს საწმისი კი მატერიალურად მდიდარი კოლხეთის სიმბოლო იყო, რომელმაც მაშინდელი სამყაროს შემოქმედებით წრეებში პოეტურად ასახვა ჰპოვა...

დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი დემოკრიტე (ძვ.წ. V-IV საუკ) აღნიშნავდა: ,,სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე სპარსეთის ტახტი".

აქედან ის მინდოდა მეთქვა, რომ უძველესი დროიდან ცივილიზაციის განვითარების გზაზე, ყოველი ახალი აღმოჩენა, რომელსაც სამხედრო და ეკონომიკის განვითარების მხრივ სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მკაცრად საიდუმლოდ ინახებოდა.

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ კოლხი მეტალურგების მიერ რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოება მრავალი საუკუნის მანძილზე მტკიცედ იყო დაცული.

როგორც უკვე შესავალში ავღნიშნეთ ძვ. წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ კოლხეთი წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს. მანამდე

[8] ირინე ტატიშვილი. ლითონი ხათურ ლექსიკაში, საქ. უძველესი მეტალოგენური კერა, ბათ., 2019 ., გვ. 144

ქართველ მეტალურგებს, ბრინჯაოს ხანიდან სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უკვე საუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ, სადაც შემდგომ უკვე რკინის ნაწარმი და თვით რკინის მასალა გაჰქონდათ. ზემოაღნიშნულიდან ისმება მთავარი კითხვა: სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე სხვა ათასგვარი შემოსევებისა და მომხდურების ფონზე, როგორ ხერხდებოდა საუკუნეების მანძილზე რკინის მეტალურგიის წარმოების საიდუმლოების დაცვა?

ისტორიის ამ დარგის სპეციალისტთა შორის გავრცელებული არის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები საიდუმლო წარმოება იყო, მაგრამ ჩემს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში ამის შესახებ არსად არ არის გაკეთებული განმარტება.

ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ იყო საიდუმლო წარმოება იქ, იმ ტერიტორიაზე, სადაც არის განთავსებული, მივიღე შემდეგი პასუხი:

,,მეტალურგებს საწვავი მასალის ადგილზე მოპოვება და მაგნეტიტური ქვიშის ზღვის სანაპიროდან მოტანა უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე პირიქით, საწვავი მასალის შორს გადატანა. აქვე იყო წყალი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო რკინის სადნობი სახელოსნოს მუშაობისათვის“.

ასეთი პასუხი, ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიული სახელოსნოს და მისი შემოგარენი ტერიტორიის დათვალიერებისას თავიდანვე საეჭვოდ მეჩვენა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მას სიმართელსთან არავითარი კაშვირი არ ჰქონდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საწვავი ხის მასალა, რომელიც რკინის წარმოებისათვის ამ მხარეში გამოიყენებოდა: წყავის, შკერის, წაბლის, რომელიც მაღალ ტემპერატურას (დახ.1600 გრადუსზე მეტს) იძლევა, ზემოაღნიშნულ მთავარი მდინარეების ზღვის შესართავთანაც ახლოს, იქ სადაც მადანი-მაგნეტიტური ქვიშა მოიპოვებოდა საკმაოდ უხვად იქნებოდა. აღნიშნული ხის ჯიშების კვალი ამ ტერიტორიებზე დღესაც საკმაოდ კარგად შეიმჩნევა. რაც შეეხება წყალს, მთავარ მდინარეზე ბუნებრივია მეტია, ვიდრე მის შენაკადზე, რომლის მიმდებარედაც სახელოსნო იყო განთავსებული.

ამდენად ეს ვერსია, რომელიც დღემდე იყო დამკვიდრებული თავიდანვე გამოირიცხა, პასუხი სხვაგან უნდა მეძია.

ცნობილი მწერალი და გამომძიებელი კონან დოილი, იგივე ,,შერლოქ ჰომსი“ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას ამბობს: ,,ჩვენ ყველა ერთნაირად ვხედავთ, სხვადასხვანაირად კი ვამჩნევთ“. მთავარია შემჩნევა და წარმოსახვის უნარი.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ჩაქვის ჩაისუბნის შემდეგ ჩოლოქის და ჭოროხის აუზებში განთავსებული ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერების, ამასთან ერთად რუკაზე სადაც ისტორიული სახელოსნოები არის განთავსებული ყურადღებით დაკვირვების შედეგად უძველეს კოლხთა რკინის წარმოების სახელოსნოების საიდუმლოდ შენახვის სქემა ჩვენს წინაშე მთელი თავისი სინამდვილით იშლება:

რკინის სადნობი სახელოსნოები კოლხეთის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ერთიდაიგივე, კარგად გააზრებული საერთო პრინციპით. მაგ. ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, რომელიც ითვლება ჩაქვის წყლის აუზის სახელოსნოდ, არ არის განთავსებული მთავარ მდინარეზე - ჩაქვის წყალზე. იგივე მდგომარეობაა მდ. ჩოლოქზე, მდ. ჭოროხზე, მდ. სუფსაზე , მდ. ხობზე და სხვაგან.. არამედ იგი განთავსებულია მთავარი მდინარისა და ზღვის შესართავიდან მთავარი მდინარის გასწვრივ, რამდენიმე კილომეტრის (დაახ. 3-5 კმ.) გავლის შემდეგ ერთი რომელიმე პატარა შენაკადით ღრმა ხეობაში, შენაკადი მდინარის განაპირად,დაბურულ ტყეში. იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობებს შორის არსებულ პატარა ხეობაში.

ამ აზრის ჭეშმარიტებას არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოწმობს:

უძველეს დროში, კოლხეთის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მთავარი სახმელეთო გზა გადიოდა ზღვისპირად, ასევე გარკვეულ ადგილებზე იყო საზღვაო ტრანსპორტისათვის მისადგომები- ნავსაყუდელები. პარალელურად იყო მეორე გზა-სამთო ბილიკებით, რომელიც კოლხეთში შემავალ ჭოროხის, ჩაქვის და სხვა მდინარეთა ხეობებს აკავშირებდა ერთმანეთთან. სამივე გზებით: საზღვაო, ზღვისპირა და სამთო ბილიკებით მიმავალი მგზავრისათვის რკინის წარმოების სახელოსნოები იყო უხილავი, დაფარული. როგორც უკვე ვთქვით იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობების შიგნით არსებულ პატარა ხეობებში.

უცხო მგზავრი ვინც მოგზაურობისას გადაკვეთავდა მთავარ მდინარეს, ან კიდევ შეჩერდებოდა ამ მიდამოებში და შეუყვებოდა მთავარ მდინარეს ზღვის შესართავიდან მის სათავეებამდე, (ან პირიქით) ვერაფერს შენიშნავდა. მაგრამ თუ ის მდინარის შენაკადებით ხეობის სიღრმეებში, გაუვალ ტყეებში დაიწყებდა მოგზაურობის გაგრძელებას, რაც უკვე აშკარა ინტერესს ავლენდა რაღაცის მიმართ, მაშინ მისთვის ეს მოგზაურობა უდავოდ საბედისწერო აღმოჩნდებოდა. (შესაძლებელია მთავარ მდინარეზე, მაღალ მთებში სადმე ყოფილიყო განთავსებული რკინის სადნობი სახელოსნეობი, მაგრამ იგი აუცილებლად იქნებოდა მოცილებული დასახლებული პუნქტებისაგან და უხილავი, დაფარული და მიუწვდომელი მგზავრებისათვის.)

სტრატეგიული დანიშნულების ამ უმნიშვნელოვანესს ობიექტებს სადაც დედამიწაზე ახალი, ბრინჯაოსაგან განსხვავებით მტკიცე რკინა-ფოლადი იქმნებოდა, ბუნებრივია ჰყავდა მებრძოლებისაგან შემდგარი უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდ გარემოში რკინის წარმოების პროცესს.

ამ აზრის ჭეშმარიტებას ადასტურებს კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი.

ზემოაღნიშნულ საქალაქთაშორისო გზებიდან, ერთ-ერთს, სამთო ბილიკებს სავაჭრო-სატრანზიტო დანიშნულების გარდა, ასევე სამხედრო თავდაცვითი ფუნქცია ეკისრა. ჩვენს მიერ აღწერილი მდინარეების ხეობები, სადაც განთავსებული არის ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები, უძველესი დროიდან საქართველოს შავიზღვისპირეთის თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს წარმოადგენდნენ. აქ, ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალ მთის ფერდობებზე (დახ. 400-700მ) განთავსებულ სათვალთვალო-სასიგნალო პუნქტებიდან შესაძლებელი ხდებოდა კოლხეთის ვრცელი ტერიტორიის გაკონტროლება. გუშაგები მათთვის დადგენილი სასიგნალო ნიშნებით (კოცონის დანთება; მალემსბოლელი..) მეზობელ ხეობებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ამცნობდნენ მოახლოებული საფრთხის შესახებ.

თავდაცვითი სისტემის ეს ფორმა, რომელსაც როგორც ჩანს ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი, XVIII საუკ. ბოლომდე მოქმედებდა[9].ზემოგანხილულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ხეობები, სადაც განთავსებული იყო რკინის სადნობი სახელოსნოები, ეს იყო აკრძალული ზონები, დახურული ხეობები თავისი საგუშაგოებით, კარგად ორგანიზებული თავდაცვითი სისტემით, სადაც დაუპატიჟებელი ,,სტუმარი“ სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა საიდუმლო იმფორმაცია რკინის წარმოების ადგილმდებარეობის შესახებ. მსგავსი მაგალითები მოიპოვება სხვადასხვა ერის ცხოვრებიდან, მაგ. ტიბეტის ისტორიიდან. როგორც ცნობილია ტიბეტი საუკუნეების მანძილზე, XVIII საუკუნის ბოლომდე იზოლირებული იყო გარე სამყაროსაგან. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ მითებითა და ლეგენდებით იყო ცნობილი. დაუპატიჟებელი მგზავრი, ვინც ტიბეტში აღმოჩნდებოდა მათი კანონის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა ამბავი ტიბეტის შესახებ.

როგორც ჩანს მხოლოდ ასე შეეძლოთ უძველეს ქართველ წინაპრებს ამ უდიდესი სტრატეგიული დანიშნულების, ახალი აღმოჩენის - მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღების საიდუმლოების თითქმის 1000 წლის მანძილზე დაცვა.

როგორც ცნობილია რკინის ათვისების ადრეული ეტაპი საქართველოში აღინიშნება ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებით.

რკინის წარმოების განვითარებული ეტაპი აღინიშნება ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში რკინის წარმოება მაღალი დონით აღინიშნება მთლიანად ამიერკავკასიაში.

ძვ.წ. V-I საუკ. კი შეფასებულია, როგორც რკინის წარმოების საყოველთაოდ გავრცელების პერიოდი.[10]

იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ საქართველომ რკინის ათვისების ადრეული და მისი შემდგომი განვითარების ეტაპები, მის საყოველთაო გავრცელებამდე უწყვეტად განვლო ამ ფაქტს წერილობით წყაროებთან ერთად დღეს ნივთიერი მტკიცებულებებით მოწმობს გადარჩენილი და დაცული მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის და ხობი-ოჩხომურის აუზის (ძვ.წ. XIII-VII საუკუნის) ძეგლები.

[9] იური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. 1958წ. წიგნი 1, გვ. 91

[10] .გივი ინანიშვილი, ნოდარ ფოფორაძე. ამიერკავკასიაში რკინა-ფოლადის უძველესი წარმოების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური ასპექტები. საქართველო, უძველესი მეტალურგიის კერა. ბათ., 2019 . გვ. 93.

აღნიშნული ეპოქებისათვის, რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები დახურულ ზონებში მოქმედი რკინის წარმოების საიდუმლო ობიექტები იყო, საიდანაც უცხოთათვის შეუძლებელი იყო რაიმე იმფორმაციის მოპოვება, ამაზე მაშინდელი ყველაზე ცივილიზებული ერების ცხოვრებისა და მათი საერთაშორისო ურთიერთობების მოკლე ანალიზიც ნათლად მეტყველებს:

საქართველოში ადრეული რკინის და მისი შემდგომი განვითარების პერიოდი ეს არის ეგვიპტის ფარაონების ძლიერების ხანა; ბიბლიური მოციქულების: მოსეს, დავითის, სოლომონ ბრძენის მოღვაწეობის პერიოდი, შორეულ აღმოსავლეთ აზიაში ჩინური დინასტიების აღზევების ხანა. მეზობელი ურარტუს ძლიერების ეპოქა. მათთვის ამ პერიოდისათვის როგორც წერილობითი ისტორიული წყაროები მოწმობენ რკინის წარმოება უცხო იყო.

ამიტომ, რკინა იშვიათი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. პირველ ხანებში იგი რკინის არა მწარმოებელი ქვეყნებისათვის საუველირო ნაკეთობებისათვის და ფუფუნების საგნებისათვის გამოიყენებოდა. რკინისაგან ამზადებდნენ სამეფო რეგალიებს, რკინის ნივთებით, რომელიც ოქროზე მეტად ფასობდა, აჯილდოვებდნენ გმირებს, ამკობდნენ საღვთო სახლების წმინდა საგანძურებს.

ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ III-ის და ეხნატონის არქივში მოპოვებული წერილობითი წყაროები (ძვ.წ. XV-XIV საუკ.) პირველია, რომელიც მოგვითხრობს საქართველოში რკინის წარმოების შესახებ, კერძოდ: კოლხეთის მართველს ეგვიპტის ფარაონისათვის მონა ქალებთან ერთად საჩუქრად რკინის ხანჯლები და ბეჭდები გაუგზავნია;

,,რადგან მხოლოდ ყოგი, ბაშანის მეფე იყო დარჩენილი რეფაიმთა მოდგმიდან... აჰა, მისი საწოლი, რკინის საწოლი“... მოგვითხრობს ბიბლია ამის შესახებ (ბიბლია, წიგნი მეხუთე, 3.11).

მოციქული მოსე განსაკუთრებით აღნიშნავს მეტალების დამუშავების ხელოვნების შესახებ, როგორც უფლისაგან ადამიანისათვის ბოძებულ უდიდეს მადლზე: ,,უთხრა მოსემ ისრაელიანებს: უყურეთ, უფალმა მოუხმო სახელდებით ბეცალიელს, ძესა ურისა, იუდას შტოდან.

აავსო იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებით, ცოდნით, რათა შეასრულოს ჩანაფიქრი, დაამუშაოს ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, გამოთალოს თვლები“... (ბიბლია, გამოსვლა, თ., 35-31).

როგორც ვხედავთ აქ რკინის დამუშავება ნახსენები არ არის. ამ დროისათვის რკინის წარმობა და დამუშავება უცხოა ისრაელიანებისთვის.

მოგვიანებით, მოციქულ მოსეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიწურულს ისრაელიანების ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ შრომის იარაღებიდან რკინის ცულს, (ბილბია, მეორე რჯული, თ.19-5) ასევე რკინის ჭურჭელს რომელსაც ისინი სხვა ძვირფას ჭურჭელთან ერთად უფლის საგანძურისათვის იყენებენ, მაგრამ რკინის შრომის იარაღები და ჭურჭელი ისრაელიანებს უდაოდ სხვა ხალხებთან ვაჭრობის ან ბრძოლების შედეგად ნადავლის სახით აქვთ მოპოვებული. ამ აზრის ჭეშმარიტებას თვით ისრაელიანების ისტორიაზე ყურადღებით დაკვირვების შედეგად ვგებულობთ.

,,ცეცხლს მისცეს ქალაქი და ყველაფერი, რაც შიგ იყო. მხოლოდ ოქრო-ვერცხლი, სპილენძისა და რკინის ჭურჭელი უფლის სახლის საგანძურისათვის გადადეს-ნათქვამია ბიბლიაში ამის შესახ. (ბიბლია, იესო ნავეს ძე, თ. 6-34).

ბიბლიაში აღწერილი ეს ისტორია, მოციქულ მოსეს მოღვაწეობის ხანა (ძვ.წ. XIII საუკ.), ნათლად მოწმობს, რომ ამ ეპოქისათვის, ებრაელი ხალხისთვის რკინის წარმოება უცხოა.

ბიბლიაში მოცემული ისრაელიანების ისტორიის პარალელურად იგივე ეპოქაში, ჰომეროსის ,,ილიადა“, აქ აღწერილი ტროას ომი ასევე ადასტურებს, რომ ამ დროისათვის ბერძნებისთვისაც უცხოა რკინის წარმოება. ისინი მთლიანად აღჭურვილნი არიან ბრინჯაოსა და სპილენძის იარაღით. მათ აქვთ რკინის ნივთები, მაგალითად სპროტული ასპარეზობისათვის რკინის ,,ბადრო“, მაგრამ იგი გმირ აქილევს ბრძოლებში გამარჯვებით მოუპოვებია:

,,პელიატმა მოყმეთ შესთავაზა ბადრო რკინისა,
მას წინათ მძლავრი ეტიონი ტყორცნიდა ხოლმე,
როცა ის მოკლა აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა,
სხვა საუნჯესთან ერთად ბადროც წამოუღია“ - აღნიშნავს ჰომეროსი.[11]

[11] ჰომეროსი. ილიადა, ქება ოცდამესამე. თბ., 1979, გვ. 517

ბერძენი პოეტი, პოეზიის პატრიარქი (ჰომეროსთან ერთად) ჰესიოდე (ძვ.წ. VIII-VII საუკ.) თავის პოემაში ,,სამუშოები და დღეები“ გადმოგვცემს ლეგენდარული ბერძენი სახალხო გმირის პრომეთეს დამსახურებებზე, კერძოდ: რომ მან მისცა ხალხს განათლება..., პირველმა ააგო გემი და აღჭურვა იგი იალქნებით, დაუმორჩილა ადამიანს ცხენი, მოიშინაურა ხარი და მისი ძალა მინდვრების სახნავად გამოიყენა... ადამიანებს გააცნო ლითონები, ასწავლა როგორ მოიპოვონ იგი მიწის წიაღში, დაამუშაონ და გამოწრთონ... მეტალების ცოდნაში აქ იგულისხმება ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ბრინჯაო. ამ დროისათვის რკინა მათთვის უცხო იყო.

ამ აზრის ჭეშმარიტებას მოწმობს თვით ჰესიოდეს მიერ გაკეთებული დასკვნა, რომელსაც იგი ბერძენი ხალხის მიერ განვლილი განვითარების ხუთი (5) ეტაპის დახასიათებისას იძლევა:

-,, პირველი დედამიწაზე იყო ოქროს ხანა, ყველაზე ბედნიერი დრო ადამიანთა ცხოვრებაში,...

-მეორე იყო ვერცხლის ხანა...

-მესამე მოდგმა ადამიანებისა იყო სპილენძის საუკუნე. ამ დროში მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ შავი-მუქი რკინის შესახებ...

ამავე დროს, სპილენძის ეპოქაში ღმერთმა შექმნა მეოთხე, უფრო კეთილშობილი, ღმერთების სადარი გმირების მოდგმა ადამიანებისა. ისინი ყველა დაიღუპნენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ომებში, ზოგი ტროას ომში, ზოგი კი სხვაგან...[12]

საბოლოოდ, მეხუთე საუკუნე და ადამიანთა მოდგმა – ეს არის რკინის ხანა. ის დღესაც გრძელდება[13] – აღნიშნავს ჰესიოდე.

როგორც ვხედავთ ჩემს მიერ წარმოდგენილ ანალიზს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ძველი ბერძენი მოაზროვნე, ჰესიოდე სრული სიზუსტით ადასტურებს, რომ ტროას ეპოქაში ბერძენთათვის რკინის წარმოება უცხო იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბუნებრივია რკინის წაროება უცხო იყო ბერძენთათვის არგონავტების საქართველოში ლაშქრობის დროსაც, რომელიც დაახლოებით რამდენიმე ათული წლით ადრე იყო ტროას ომზე. ამ დროს კი როგორც ვიცით ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე უკვე მიმდინარეობს რკინის ათვისების ადრეული ეტაპი: ამას მოწმობს დღეს მაშინდელი ეპოქის თანამედროვე ქურა-სახელოსნოები, ამას მოწმობს უძველესი წერილობითი წყაროები:

,,შენ უნდა მოხნა მინდორი ჩემი რკინის გუთნით...“[14] უბრძნებს თავის გადაწყვეტილებას კოლხთა მეფე აიეტი არგონავტების წინამძღოლს იასონს. როგორც ნაწარმოებიდან კარგად ჩანს მეფე აიეტი ხაზგასმით აღნიშნავს რკინის გუნთის შესახებ, როგორც განსაკუთრებულ ძლიერ შრომის იარაღზე, რომელიც უცხოა ბერძენი გმირისათვის.

ჩინეთისათვის, რომელიც ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. Iათასწლეულის საწყის ეტაპზე, რკინის წარმოება უცხოა. ჩინეთში, რკინის გამოყენება იწყება ძვ.წ. I ათასწლეულის დაახ.შუა ხანებიდან, მაშინ როცა რკინის საყოველთაო გავრცელების ეპოქა იწყება. იგი უთუოდ დაკავშირებული უნდა იყოს აბრეშუმის გზის ჩამოყალიბების საწყის პერიოდთან, როდესაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ფართო განვითარებას იწყებდა.[15]

არა მხოლოდ შორი ქვეყნებისათვის, არამედ საქართველოს უახლოესი მეზობელი ხალხისათვისაც კი უცხო იყო რკინის წარმოების საიდუმლოება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ინტერესს კოლხეთის მიმართ. ისტორია ამის შესახებ მოგვითრობს, რომ ძვ.წ. VIII საუკ. ურარტუს მეფე სარდურ II-ეს დაულაშქრავს კოლხეთის ქვეყანა, აუღია მათი სამეფო ქალაქი და ამ გამარჯვების აღსანიშნავად აქაური ხელოსნებისთვის უბრძანებია რკინის ბეჭდის დამზადება[16]...

ძვ. წ. VIII სუკუნეში შავი ზღვის სანაპიროზე, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილიც კოლხეთის ტერიტორიაზე მოდიოდა 100-ზე მეტი ბერძნული კოლონია-დასახლება იყო. მათ ჰქონდათ

[12] ნ.ა. კუნი. ძველი ბერძნების ლეგენდები და მითები. არგონავტები. ტაშკენტი, უზბეკისტანის გამომცემლობა ,,ეშ გვარდია“, 1986., გვ.69

[13] ნ.ა. კუნი. დასახელებული ნაშრომი, გვ.70

[14] ნ.ა. კუნი. დასახელებული ნაშრომი, გვ.220

[15] მსოფლიოს დიდი ატლასი. ფაქტები ახლო აღმოსავლეთ აზიის შესახებ. ჩინური დინასტიები. გამომცემლობა პალიტრა L, 2011, გვ.129.

[16] დავით ხახუტაიშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ.179

მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგრამ მათთვის, როგორც ჩანს რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოების მოპოვება მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ინტერესისა, რასაც ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე არგონავტების ისტორია კარგად მოწმობს, შეუძლებელი ხდებოდა, კოლხების მიერ რკინის წარმოების კერების დახურულ ხეობებში, აკრძალულ ზონებში ზემოთ აღნიშნული პრინციპით განთავსების შედეგად.

როდესაც კოლხთა სამეფოში მოსულ უცხოთათვის მიუწვდომელი ხდებოდა არამარტო რკინის დამუშავების ტექნოლოგიების, არამედ რაიმე ინფორმაციის მოპოვებაც კი მისი წარმოების ადგილმდებარეობის შეახებ, მაშინ ხალხურ თქმულებებში ჩნდებოდა ცრუ წარმოდგენები იქ არსებულ განსაკუთრებულ ზებუნებრივ მისტიკურ ძალებზე, თუ როგორ იცავდნენ ზღაპრულად მდიდარ კოლხური სამეფოს სიმდიდრეს ზღაპრული არსებები - ურჩხულები, დრაკონები, გველეშაპები და ა.შ. საუკუნეების მანძილზე უძველეს კოლხთა სამეფო, კიდევ უფრო მიუწვდომელი და საინტერესო ხდებოდა, რამაც შემდეგ სხვა და სხვა ხალხის ცხოვრებაში მითებისა და ლეგენდების სახით დამკვიდრა ადგილი და დღემდე თაობიდან თაობას გადაეცემა. ამას მოწმობს არგონავტების ისტორია, ლეგენდა ,,ოქროს საწმისზე“.

ძვ.წ. VIII-VII საუკუნის შემდგომი პერიოდიდან სხვა და სხვა გარემოებათა გამო უკვე თანდათან იწყება რკინის ფართო გავრცელება.

რკინის საყოველთაო გავრცელების ხანაში (ძვ. წ. V-I საუკ.) ქართველები მსოფლიოში საუკეთესო მეტალურგების სახელს როგორც ჩანს კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ: ,,სტოელებისა და სოკრატელების ძლივს შეძენილი წიგნები გაგიყიდია, რათა შეგეძინა იბერიული ჯაჭვის პერანგი! მოგებული ხარ“-ეუბნება თავის მეგობარს კვინტუს ჰორაციოს ფლაკუსი[17]...

დასასრულს შეიძლება ავღნიშნოთ შემდეგი: კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, მეცნიერულ მიღწევებს ყოველთვის თან ახლდა და ახლავს ეკონომიკური თვალსაზრისით თუ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების მხრივ ახალი აღმოჩენების საიდუმლოდ დაცვა, მისი შემდგომი გამოყენების მიზნით. ამის არაერთი ისტორიული და თანამედროვე ფაქტი არსებობს.

განსაკუთრებით XX-XXI საუკუნეებში კარგადაა ცნობილი დახურული ქალაქები, ან რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე, ტყის სიღრმეებში განთავსებული საიდუმლო სამხედრო ნაწილები, რომელთა საფოსტო მისამართი მხოლოდ სამხედრო ნაწილზე მინიჭებული ნომრით გამოიხატება.

დახურულ ზონებში როგორც ზოგადად ცნობილია განთავსებულია მთელი რიგი ლაბორატორიები, სადაც იქმნება მასობრივი განადგურების თუ მისგან თავდაცვის ახალი იარაღი, განთავსებულია საიდუმლო სარაკეტო ნაწილები და სხვა...

ამ ნაშრომით, ძველი კოლხი მეტალურგების მაგალითზე ვხედავთ, რომ დედამიწაზე სტრატეგიული დანიშნულების იარაღის წარმოებისათვის გასაიდუმლოებული, აკრძალული ზონების არსებობის ტრადიციას ერთ-ერთი უძველეს საქართველოშიც ჩაეყარა საფუძველი. აქ თავის დროზე, კოლხი მეტალურგები, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, დახურულ ხეობებში განთავსებულ სახელოსნოებში დედამიწაზე სრულებით ახალ, რკინა-ფოლადის სამეურნეო და საბრძოლო იარაღს ქმნიდნენ, რამაც შემდგომ ცივილიზაციის განვითარების საქმეში გარდატეხა მოახდინა.

ეს ისტორიული ძეგლები (ძვ. წ. XIII-VII საუკ.) რომლებიც ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მონაპოვარია, დღეს ჩვენს წინაშეა, რომელსაც სათანადო გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა, აღიარება და დაფასება ჭირდება!

P.S.

ძვირფასო მეგობრებო!

მოგმართავთ ყველას, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, განურჩევლად ეროვნებისა, მოქალაქეობისა, ვისთვისაც ძვირფასია და საინტერესო საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორია, ვიცოდეთ ჩვენ და გადავცეთ მომავალ თაობებს წინაპართა მიერ განვლილი გზისა და ღვაწლის შესახებ, რომლებიც უძველესი დროიდან ცივილიზაციის საფუძვლებს ჰქმნიდნენ, შემდეგ ერთი ხალხიდან გადადიოდა მეორეში, იხვეწებოდა, ვითარდებოდა და დღეს უმაღლესი

[17] აკაკი გელოვანი, სიბრძნის სიმფონია. თბ., 1989., გვ.753

ტექნოლოგიების ერამდე მოგვიყვანა. სწორედ ასე, მსოფლიოს ყველა ერმა თავისი წვლილი შეიტანა საერთო საკაცობრიო კულტურის განვითარებაში.

მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული არიან ქართველები.

თანამედრვე საერთაშორისო საზოგადოება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დიდ ყურადღებას საჭიროებს არის წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის მძიმეა იმის განცდა, თუ როგორ, სახელმწიფოთა შორის კომფლიქტების გამო, შეიარაღებული დაპირისპირებების შედეგად გამოწვეულ ადამიანთა მსხვერპლს, ასევე თან ახლავს ამა თუ იმ ერის მატრიალური კულტურის ძეგლების განადგურება. ამის სამწუხარო მაგალითები ჩვენ გვაქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (ერაყში, სირიაში და.ა.შ) ამით რასაკვრიველია ნადგურდება ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობა.

ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით იმედის მომცემია ,,იუნესკოს“ აქტიურობა, მაგრამ არასაკმარისი. არსებული ვითარება მოწმობს, რომ მხოლოდ ,,იუნესკოს“ საქმიანობა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს ამ მწვავე პრობლემის გადაჭრას, თუ არ იქნა ფართო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა ამ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საქმეში, რომელსაც წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა ჰქვია.

ზემოაღნიდანულიდან გამომდინარე ჩვენთვის ძალიან მძიმეა იმ რეალობასთან შეგუება, რომ ჩვენს სამშობლოში, ჩვენს თვალწინ მშვიდობიან დროს თუ როგორ ნადგურდება უნიკალური ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მხოლოდ და მხოლოდ გაუგონარი გულგრილობისა და უყურადღებობის გამო. კონკრეტულად, ამ შემთხვევაში ნადგურდება ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნები, სადაც ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ ქვისა და ბრინჯაოს ხანაში, საიდუმლოდ მოწყობილ სახელოსნოებში, პირველად მსოფლიოში, მაგნეტიტური ქვიშისაგან ადნობდნენ რკინას.

ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში ჩვენი საინიციატივო ჯგუფის მიერ საკუთარი ენთუზიაზმით გაწეული შრომის მიუხედავად სამწუხაროდ ვრწმუნდებით, რომ საზოგადოების თანადგომის გარეშე შეუძლებელი ხდება ამ ძეგლების გადარჩენა.

ჩვენთვის მძიმეა იმის აღიარება, რომ ასეთი უმნიშვნელოვანესი გლობალური მნიშვნელობის ისტორიულ მემკვიდრეობას, რომელსაც მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი გააჩნია, არავითარი ყურადღება არ ექცევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქველმოქმედო ფონდის ,,წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ მთავარი მიზანია ამ უნიკალური ძეგლების გადარჩენა, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიულ სახელოსნოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობას.

ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ მსურველს, ვინც კი დაინტერესდება ამ საკითხით, გავაცნოთ ეს ძეგლები. მათთვის უაღრესად საინტერესო იქნება იმ უძველესი რკინის მეტალურგიის კერების ნახვა, რომლისთვისაც 3300 წლის წინ ,,არგონავტებმა“ იასონის მეთაურობით თავგადასავლებით აღსავსე გზა განვლეს.

ეს ძეგლები, რომელშიც ასახულია წინაპართა ღვაწლი კაცობრიობის წინაშე, შთამომავლობისაგან გადარჩენასა და თვალსაჩინოდ წარმოჩენას იმსახურებს.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

ნიაზ ბოლქვაძე:
კონტატი:
E-mail: niazbolqvadze@gmail.com
მობ: 597 17-64-63
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღები: ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი-წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად
ანგ. # GE51BG0000000161499266

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.VI,1986.
2. დავით გვრიტიშვილი ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1960.
3. გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი .თბ., 2001.
4. ამირან კახიძე. საქართველო უზველესი მეტალოგენური კერა. (აჭარა). ბათ.,2019
5. ირინე ტატიშვილი. ლითონი ხათურ ლექსიკაში, საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა, ბათ., 2019.
6. იური სიხარულიძე.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა.ბათ., 1958, წიგნი1.
7. გივი ინანიშვილი, ნოდარ ფოფორაძე. ამიერკავკასიაში რკინა-ფოლადის უძველესი წარმოების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური ასპექტები. საქართველო, უძველესი მეტალოგენური კერა. ბათ., 2019.
8. ჰომეროსი. ილიადა, ქება ოცდამესამე, თბ.,1979.
9. ნ.ა.კუნი. ძველი ბერძნების ლეგენდები და მითები. ტაშკენტი. უზბეკისტანის გამომცემლობა ,,ეშ გვარდია“, 1986.
10. მსოფლიოს დიდი ატლასი. გამომცემლობა პალიტრა L,თბ., 2011.
11. აკაკი გელოვანი. სიბრძნის სიმფონია თბ., 1989.

,,კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის'' საინიციატივო ჯგუფს და მის ხელმძღვანელს ნიაზ ბოლლქვაძეს.

დიდება რკინას!

შემოგვინახა ათასწლეულმა
მადლი ქართული მიწის
და ამ მიწაზე, სადღაც ეულად,
ღადარი ძველი რკინის.

გვასწავლა ყველას, ყმაწვილს თუ მოხუცს,
ერისთვის დაღვრა სისხლის.
რისხვა ელოდა ათასგვარ მომხდურს
რისხვა, კოლხური რკინის!

დიდი პატარა ჯავშანს კერავდა,
ასე ხვდებოდნენ დუშმანს,
პატივი ჩვენი მაჭახელას და
გონიოს ქვეყნის გუშაგს.

ზღვა ბობოქრობდა, ჭექდა, ღელავდა,
კოლხეთის ცამ რომ იცის.
ტოკდა, შფოთავდა დიდი ელადა
ნაპერწკლებისგან რკინის,

სანთლის ალივით ვუფრთხილდებოდით
სიტყვას, ფიცსა და სინდისს
ხელი მეომრის, ხელი მეგობრის
იყო ყოველთვის რკინის.

ვერ შეგვაშინეს შურით, მუქარით
ქარს მოაპობდა რაში.
ცოცხლობდა კერა, როგორც ვულკანი
თოვლში, წვიმაში, ქარში.

ასე მოვედით, როგორც ბალადა
მზე დაჰყურებდა თბილისს
ზეაღმართული ასე გვფარავდა
დავითის ხელი რკინის!

თაყვანი ჩვენგან ყველა ქვაკუთხედს,
ყველა ძველისძველ ბექობს.
იმ სიამაყეს, დღეს რომ ვაკურთხეთ
ჩვენი წარსულის ექოს.

დიდ ტრიუმფამდე წამები რჩება
წინაპრის სისხლი ყივის,
ერის დიდების გადასარჩენად
-ჩვენი კოლხური რკინის!

ხათუნა დოლიძე

დაბადებული 1975 წლის 2 ივლისს. იურისტი სამი კრებულის ავტორი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია "ქალდეა საქართველოა" აკადემიკოსი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატური.

ლიფანალი გარდაცვლილთა სულების
მოსახსენიებელი დღესასწაულია
სვანეთში.მორწმუნეთა წარმოდგენით,
ამ დღესასწაულზე მიცვალებულთა
სულები,საკუთარ ოჯახებს ერთი
კვირით სტუმრობენ.
მათ "გასამასპინძლებლად" საწესო
სუფრაა გაშლილი.ისინი, შაბათ
საღამოს ლალხორს მიდიან სათათბიროდ.იქ უნდა მიიღონ
გადაწყვეტილება -თუ ვინ წაიყვანონ იმქვეყნად.
სულები ოჯახებს ორშაბათ დილით
ტოვებენ.

ლიფანალი

ლიფანალის დღესასწაული ახლოვდებოდა. ამ ნანატრი დღის დადგომას, ყველანი მოუთმენლად ველოდით. მალე, უკან დაბრუნების ნებართვა მივიღეთ, შებინდებას დაველოდეთ, ჯგუფებად დავირაზმეთ და გახარებულებმა მიწისკენ დავეშვით.

ფრენისას, გასაოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობდით, ჩვენი სხეულები ციცინათელების მსგავსად ციმციმებდა. მცირე ხნიანი ფრენის შემდეგ, კაცთა თვალისთვის უხილავი - სამყაროთა გამყოფი ხაზიც გადავკვეთეთ და თავისუფლების საამო სურნელით გაჟღენთილი ჰაერი ხარბად შევუსუნთქეთ!

უეცრად, საოცარი შვება ვიგრძენით-სწორედ ისეთი, მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ, სამზეოზე გამოსულ ადამიანს რომ ეუფლება. არც ზეცამ დააყოვნა წყალობა და თავზე ქათქათა ფანტელები გადმოგვაყარა...

კარგა ხანს ვცეკვავდით ფიფქებთან ერთად და თოვლით დაბურულ მთა-ბარს გარს ვუვლიდით. ნაცნობი ადგილების მოსიყვარულებით რომ გული ვიჯერეთ, გეზი სოფლისკენ ავიღეთ. როცა მაღალ სვანურ კოშკებს თვალი მოვკარით, სახეზე სიხარულის სხივმა გადაგვირბინა. გზასაყარზე ერთმანეთს დავემშვიდობეთ და საკუთარ კერას მივაშურეთ.

- მე თქვენთან ერთად ვერ წამოვალ, არ მიწყინოთ, ლილე მელოდება! - ვუთხარი ჩემებს მუდარით სავსე ხმით და განზე გავდექი.

- წადი შვილო, კვირა საღამოს აქ დაგელოდებით, გზაჯვარედინზე მოდი და ერთად დავბრუნდეთ უკან! - მითხრა დედამ და მრისხანედ წარბშეყრილ უხუცესებს თვალი-თვალში გაუყარა. მივხვდი, რომ ისინი ჩემს გადაწყვეტილებაზე განაწყენდნენ, თუმცა დედას ხათრი ვერ გაუტეხეს და მდუმარედ გამშორდნენ...

კარები ღია დამხვდა. გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, ფრთებში ძალა სულ მთლად გამომეცალა, მღელვარებისგან აცახცახებული სხეული ძლივსღა დავიმორჩილე. სახლში ფრთხილად შევიპარე.

სიფრთხილის მიუხედავად, ფარდები ისე აფრიალდა, თითქოს ფანჯრებთან ძლიერი ქარი მოვარდნილიყო. კარგად განათებულ ოთახში სიმშვიდე სუფევდა. მაგიდა ლამაზი ჯამ-ჭურჭლით იყო გაწყობილი. კედლის თაროზე, ხატების სიახლოვეს, ჩემი სურათი შევნიშნე. საკუთარ გამოსახულებას შორიდან გავუღიმე და სადღესასწაულო კერძებით გადავსებულ სუფრას მივუახლოვდი.

ანთებული სანთლები ცრემლებად იღვენთებოდნენ. საკმევლის და ცხელი კერძების სუნი ერთმანეთს შეზავებოდა და არამიწიერ სურნელებას ქმნიდა. ხანგრძლივი ფრენით მოშიებულს, ერთი სული მქონდა, სუფრას მივსხდომოდი და ყველაფერი გამესინჯა, თუმცა, თვალი მას ეძებდა, იმას - ვის ნახვასაც ამ ხნის მანძილზე გულისფანცქალით მოველოდი. ფეხაკრებით გავემართე საძინებლისკენ - ის იქ იყო! საკურთხის სამზადისით დაღლილს, ტახტზე ფქვილიანი წინსაფრით ჩაძინებოდა.

- ლილე! - წამოვიძახე გახარებულმა.

მინდოდა ლამაზი პირისახე დამეკოცნა, ამბორით გამეღვიძებინა და გულში ჩამეკრა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მასთან მიახლოებისას რაღაც ძალამ ინერციით უკან გამიქნია. ნაბიჯი რამდენჯერმე გადავდგი, თუმცა ამაოდ...

მხოლოდ ახლა მომაგონდა, რომ ცოცხლებთან მიახლოვება სასტიკად გვეკრძალებოდა. სასოწარკვეთილს მინდოდა ცრელმლებით მეტირა, თუმცა ცრემლიც გამშრობოდა. საწოლზე ჩამოვუჯექი და თვალებით დავიწყე მისი მოსიყვარულება. რაღაც იგრძნო და სახეზე ბედნიერმა ღიმილმა გადაურბინა. ასე მეგონა, რომ მის ღიმილზე, ლალისფერი ბაგეებიდან მზე გადმოგორდა. ლილემ, მერცხლის ფრთასავით აქნეული, გრძელწამწამებიანი თვალები ააფახულა და გაღვიძებულმა ჩურჩულით ჩაილაპაკა:

- რა კარგი სიზმარი იყო, ნეტავი არ გამღვიძებოდა! დამესიზმრა, რომ ღვთისო ჩემთან მოვიდა, ხელებს და პირი-სახეს მიკოცნიდა. ისეთი სიმხურვალე და სითბო ვიგრძენი, თითქოსდა, ეს ყველაფერი ცხადში ხდებოდა!

- სინამდვილეა საყვარელო, შენთან მოვედი. ხედავ? - შენი ნაყიდი პიჯაკი ჩავიცვი, შენი საყვარელი სუნამო ვიპკურე, საგანგებოდ შენთვის გამოვეწყვე! - ვუთხარი ალერსიანი ხმით და მის წინ ამაყად გავიარ-გამოვიარე. ჩემი მცდელობის მიუხედავად, ვერ დამინახა, გულმოკლული დამტოვა და მისაღებისკენ გაემართა. მე ფეხდაფეხ გავედევნე. ლილემ გაოცებით შეხედა აფრიალებულ ფარდებს, ხელით გაასწორა და მაგიდას მიუჯდა.

- საოცარია, დღეს რაღაც უცნაურობები მემართება - მთელ სახლში ღვთისოს სუნამოს სუნი ტრიალებს! - მხრები აიჩეჩა ლილემ, სახეზე ჩამოგორებული ცრემლები მოიწმინდა და ჩურჩულით ლოცვების წაკითხვა დაიწყო.

მალე, ლიფანალის დღეები დასასრულს მიუახლოვდა. შაბათ საღამოს, ჩემები ლალხორს წავიდნენ სათათბიროდ, რათა სოფლის ბედი გადაეწყვიტათ.

მე არ გავყევი, ლილეს დატოვება ერთი წამითაც აღარ მინდოდა. მუდამ უკან დავყვებოდი და იმ ბედნიერ წლებს ვიხსენებდი, ერთად რომ გავატარეთ. დიდხანს არ დაგვცალდა ერთმანეთით ტკბობა...

იმ ავად სახსენებელ დღეს ჩემთვის ყველაფერი დასრულდა. მომაგონდა, როგორ ვცადე მოჩხუბარი თანასოფლელების გაშველება. თოფმა როგორ დაიჭექა. იმ წუთის შემდეგ კი აღარაფერი მახსოვს. შორიახლოს ვიდექი და გაოცებული ვუყურებდი ჩემი დაფლეთილი, სხეული, მეზობლის ბიჭებს საკაცით როგორ მიჰქონდათ. ძალიან შევშინდი, ერთიანად ვცახცახებდი.

დახმარებას ვითხოვდი, თუმცა ჩემი ყვირილი არავის ესმოდა. უეცრად, დედა გამოჩნდა. მისმა დანახვამ შიში სრულიად გამიქრო. მომღიმარმა ხელი გამომიწოდა და ერთად გავუყევით მწვანე მინდორს...

იმ დღის შემდეგ, სამუდამოდ გადავინაცვლე მარადიულ სასუფეველში. იქ მყოფს ერთადეთი ნატვრა მქონდა - როგორმე ჩემი ლილე მენახა, ჩავხუტებოდი და მისი თმის სურნელი შემეგრძნო. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, ეს დღეც დადგა და ახლა მის სიახლოვით ბედნიერების მწვერვალზე მყოფს, უკან დაბრუნებაზე ფიქრიც კი მზარავდა!

- ღვთისო, სად ხარ შვილო, რატომ არ მოხვედი გზაჯვარედინზე. სანამ ორშაბათი დილა გათენებულა უნდა წავიდეთ, იჩქარე! ფიქრებიდან სარკმელთან მდგარი დედის შეწუხებულმა ხმამ გამომაფხიზლა.

მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ჩრდილების ქვეყანაში ვიყავი დასაბრუნებელი. საათს დავხედე, გათენებას რამდენიმე წუთი აკლდა.

- დედა, შენ წადი. მე ლილეს ვჭირდები. რომ დაგანახა, როგორ გულმწარედ ტირის ჩემს გახსენებაზე, უკან დაბრუნებას აღარ მთხოვდი.

- ღვთისო, არ შეიძლება სულეთის კანონების დარღვევა, წამოდი, ნუღარ ყოვნდები - შემევედრა დედა.

მივიხედე, ჩემები მოფრინავდნენ - ჩემს წასაყვანად დარაზმულიყვნენ. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, თავი თაროზე შემოდებულ საკუთარ სურათს შევაფარე

- ღვთისოო, ღვთისოო! - არ წყდებოდა ხმები.

საათის ისრების წიკწიკი ჩემს სულს, ბასრი მახვილივით ხანჯლავდა. სურათის უკან მიმალულმა, რაღაც საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს აგიზგიზებულ კოცონში ჩამაგდეს. სიმწრისგან დაკლაკნილმა, სხეული ფანჯრამდე ძლივსღა მივათრიე. სარკმელთან შევდექი, ოთახისკენ მივიხედე და ლილეს ათრთოლებული ხმით დავუძახე:

- მშვიდობით საყვარელო, მომავალ დღესასწაულამდე. შორ გზაზე მიმავალს ნუგეშად შენი თვალების სითბო მიმყვება...

პაპამ ჩემი დაუძლურებული სხეული მხრებზე შემოიდო, დანარჩენებიც გვერდით ამოგვიდგნენ და ჩრდილების ქვეყნისკენ გავემართეთ!

ამოჭრილი ქარი თოვლის ფანტელებს სახეზე გვაყრიდა და სულების საუფლოსკენ ზუზუნით მიგვაქანებდა...

ისევ ვცოცხლდები ჩემს ახალ ლექსში!

იმ დღეს, ალუბლის სისხლისფერ
ტუჩებს-
მზე აკვდებოდა...მგზნებარე კოცნით.
მწიფე ატმები ათრობდნენ ქუჩებს,
ვიღაცა უფალს შესთხოვდა ლოცვით!

იმ დღეს, დაჰქროდა ნიავი ცელქად,
ჩემს დაბადებას ამცნობდა ველებს...
მზეს,ანთებული გიზგიზა ცეცხლად-
ბროწეულები ჰპარავდნენ ფერებს!

ზეცას ემოსა ქათქათა კაბა-
ქარს შეეკერა ღრუბელთა ქულით...
როგორ შემეძლო იმ დღიდან აბა-
რომ არ მეცხოვრა პოეტურ სულით!

არ დავედაგე მგზნებარე სტრიქონს,
სხივები რომ არ ჩამეწნა თმებში...
ასე მგონია, ვკვდები და... თითქოს
ისევ ვცოცხლდები ჩემს ახალ ლექსში!

მუზის ტრფიალი მრგებია ხვედრად-
ვძერწავდე გრძნობით ნახანძრალ სიტყვას...
ივლისის თვეში მოვლენილს ქვეყნად,
სულში თაკარა ზაფხული მიდგას!

10.08.2021

აჭარაში ჩატარებული ღონისძიებები

ნონა გალოგრე, ჯემალ მიქელაძე, ნონა მჟავანაძე, მანანა ცეცხლაძე, ანძიკო ნიკოლაიშვილი, მანანა წულუკიძე, ნანა მომცელიძე, ელგუჯა მაკარაძე, ანგელინა გუგუშვილი, ნიაზ ბოლქვაძე, ნანა რევაზიშვილი,გურამ ფუტკარაძე, ხათუნა დოლიძე, ოთარ ბოლქვაძე, გოგი გოგიტიძე, ჯემალ არობელიძე.

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 16 მაისს, ქალაქ ბათუმში გაიხსნა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აჭარის ორგანიზაცია.

აკადემიის ხელმძღვანელის, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის გადაწყვეტილებით, პრეზენტაციაზე ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა, ქალბატონი ნანა მომცელიძე-ფილოლოგი, იურისტი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი,საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის "ქალდეა - საქართველოა" აკადემიკოსი.საქართველოს ეროვ-ნული აკადემიის აკადემიკოსი. მოადგილედ არჩეულ იქნა ოთარ ბოლქვაძე-რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი,აკადემიის აქტიური რგოლი. აკადემიის პირველი სხდომა 30 მაისს გაიმართა.ქალბატონმა ნანა მომცელიძემ ისაუბრა აკადემიის მუშაობის პრინციპებზე,ძირითად პრიორიტეტებსა და სამომავლო გეგმებზე. აკადემიამ თავისი მუშაობის მოკლევადიან ინტერვალში,შეძლო ირგვლივ შემოეკრიბა და წევრთა რიგებში ჩაერიცხა მრავალი ღირსეული ადამიანი. ეს ადამიანები წარმოადგენენ აკადემიის სახეს,რომლებიც თავიანთი ცხოვრებით და შემოქმედებითი ღვაწლით, უდიდეს ეროვნულ საქმეს აკეთებენ.

თამაზ დუმბაძე, დავით ქიძინიძე, ტარიელ სურმანიძე,ოთარ ბოლქვაძე, აკაკი მახარაძე, სულიკო ანთაძე, ნანა მუმლაძე,ნიაზ ცივაძე, გურამ ფუტკარაძე, ხათუნა დოლიძე,ანა ცივაძე,მაყვალა გონაბვილი, ნანა მომცელიძე.

ედნარ ბაგრატიონი, ნიაზ ბოლქვაძე, ტარიელ სურმანიძე, ოთარ ბოლქვაძე, აკაკი მახარაძე, სულიკო ანთაძე, რომან საგინაძე, ნანა მუმლაძე, ნიაზ ცივაძე, გურამ ფუტკარაძე, ხათუნა დოლიძე, ანა ცივაძე, მაყვალა გონაშვილი, ნანა მომცელიძე.

მარიამ გაჩეჩილაძე,ლუკა კურტანიძე,ნანა მომცელიძე,ნიაზ ცივაძე,მერაბ შათირი,ნანა მუმლაძე.

მოგახსენებთ,რომ 2021 წლის 5 ივნისს ბათუმში,მხატვართა კავშირის შენობაში,გაიმართა ფონდის "წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად" წევრების შეხვედრა. სხდომას ხელმძღვანელობდა ამ ფონდის თავმჯდომარე ბატონი ნიაზ ბოლქვაძე.შეხვედრაზე საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნანა მომცელიძე აკადემიამ მხარდაჭერა გამოუცხადა ბატონ ნიაზ ბოლქვაძეს პროექტში "უძველეს კოლხ მეტალურგთა საიდუმლოება" ამ თემასთან დალავშირებით, 2021 წლის 12 ივნისს TV-12 პირდაპირეთერში, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემიის,აჭარის ორგანიზაციამ წარმოგვიდინა თოქ- შოუ "აკადემიური საათი"

12 ივნისს ასევე, ჩატარდა მწერლის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის,ხათუნა დოლიძის სამი კრებულის პრეზენტაცია. შემოქმედებით საღამოს ორგანიზება გაუკეთა ქალბატონმა ნანა მომცელიძემ.

2021 წლის 8 ივლისს, საგანმანათლებლო პროექტს "მწიგნობარი", კორესპოდენტის ამპლუაში ეწვია აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნანა მომცელიძე.

მაყვალა გონაშვილი, ნანა მომცელიძე ღონისძიების მსვლელობისას.

ხათუნა ელიაშვილი, სულიკო ანთაძე,ჯემალ მიქელაძე, გურამ ფუტკარაძე, ნიაზ ბოლქვაძე, მაყვალა გონაშვილი, ნანა მომცელიძე,ნიაზ ცივაძე,ანა ცივაძე.

4 ივლისს აკადემიამ უმასპინძლა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს. ქალბატონ ნანა მომცელიძის ორგანიზატორობითა და საგანმანათლებლო პროექტის "მწიგნობარი" წევრების მონაწილეობით,გაიმართა ქალბატონ მაყვალას შემოქმედებითი საღამო. ღონისძიების მსვლელობისას,მოხდა აკადემიისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტი-ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა, ჩვენი აკადემიის აკადემიკოსი, ბატონი ნიაზ ბოლქვძე, ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისა და დამსახურების გამო, დააჯილდოვა რაინდის წოდებით.

2021წლის 2 აგვისტოს აკადემიამ უმასპინძლა საპატიო სტუმრებს: მერაბ შათირსა და ლუკა კურტანიძეს.

2 აგვისტოს ასევე TV-12 -ის პირდაპირ ეთერში, გადაცემაში "აკადემიური საათი" მიწვეულები იყვნენ: ქალბატონი ნანა მომცელიძე და მწერალი მერაბ შათირი.

4 აგვისტოს,ქალბატონ ნანა მომცელიძის ორგანიზატორობით, გაიმართა მერაბ შათირის რომანის "ანატორი" პრეზენტაცია.

8 აგვისტოს აკადემიას სტუმრად ეწვია ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. ღონისძიებაზე მოხდა წევრთა დაჯილდოვება ხათუნა დოლიძეს გადაეცა მწერალთა კავშირიდან თამარიონის ენდალმა ხოლო ოთარ ბოლქვაძეს გოგებაშვილის სახელობის პრემია. მინდა ავღნიშნო ის ფაქტი,რომ აკადემია თანამშრომლობს ტელეკომპანია TV-12-სა და აჭარის ტელევიზიასთან, რომლებიც აქტიურად აშუქებენ აკადემიაში გამართულ კულტურულ ღონისძიებებს.

ტელეკომპანია TV-12-ის დამფუძნებელმა დირექტორმა, ბატონმა ჯემალ მეგრელიძემ აკადემიის ხელმძღვანელობასთან ერთად, მეტად საინტერესო პროექტები შეიმუშავა და ყველაფერი კეთდება ამ პროექტების განსახორციელებლად.

დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ ამ მოკლე დროის მანძილზე აკადემიის ხელმძღვანელის, ქალბატონ ნანა მომცელიძის ძალისხმევით,აკადემია გაძლიერდა და თანდათან აჭარის რეგიონის ერთ-ერთ წამყვან და თვალსაჩინო კულტურულ ცენტრად ყალიბდება.

აკადემიის ხელმძღვანელობა, ცდილობს შეიმუშავოს მრავალი საინტერესო და ეროვნული პროექტი და დასახოს მათი წარმატებით განხორციელების გზები.

ვიმედოვნებ, რომ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აჭარის ორგანიზაცია, კვლავაც წარმატებით გააგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას!

პატივისცემით **ხათუნა დოლიძე**

ნოდარ ჩიკვილაძე

თუ კი იცხოვრე

დაბადება და სიცოცხლე ქვეყნად
ამ წუთისოფლის ერთი წამია.
ქვეწარმავალი და ზემავალიც
იმ ქვეყნად ყველა წარმავალია.

მხეცი თუ ცხოვრობს მხეცური ჟინით
ქვეწარმავალი მიწაზე ღოღავს.
ჭიანჭველა ზურგით დაათრევს სარჩოს
დელფინი შვილს კი ძუძუთი კვებავს.

და თვით ადამი, მეტყველ გონებით
სამყაროს შექმნის თანაზიარი
ვით ხელოვანი ხატავს მომავალს
ამ ჩვენ სამყაროს ნათელ მზიანის
და ამა ქვეყნის ყველა ბინადარს,
რომელიც სახავს ხატებად ღმერთსა.
ვალად,რომ აძევს ღმერთისა რიდი
თვალს რომ უსწორებს გარდასულ დღესა.

როცა სიცოცხლე გრძელდება დიდხანს
ზღვარს გადაცდება ასაკი როცა,
მოძალებული ფიქრთა შტრიხები
გახალისებს და გულზე გესობა.

თუ კიი იცხოვრე ამ ყვეყნად ისე,
ამ წუთისოფლის ვალი არ გაძევს.
დიდხანს ენთება სანთელი შენი
დროც, შესაბამის სახელს დაგარქმევს.

ფიქრის გორა

ფიქრის გორაზე მოვცოცავ მაღლა,
სულს კაეშანი აღანთებს ისევ.
ჯერ არ ვემდური მუხლებში ძალას,
გული გულობას ჩვეულობს ისევ.

საკეთებელი კიდევ ბევრი მაქვს,
ბევრი სათქმელი გულში დევს ისევ,
მე ჩემი ქვეყნის სარგებელ საქმეს,
ვაკეთებდი და ვაკეთებ კიდევ.

ვხნავდი მიწას და ვთესავდი სიმინდს,
ბაღჩაში ჩალის ზვინიც დამიდგამს,
ვიცოდი ყადრი სოფლის და მიწის,
სადაც გავჩნდი და ფეხი ამიდგამს.

ვადნობდი ფოლადს თუჯსა და რკინას,
ნათელს ვუცქერდი შავი სათვალით,
ვიცოდი ყადრი მუშის სულგრძელის,
მეგობრობის და თავის გატანის.

ვაგებდი სახლებს ხუროს სიდინჯით,
ამ საქმით ბევრი მადლი მიქნია,
რომ მობინადრეს ვხედავ გაბადრულს,
და მის თვალებში სითბო მიგვრძნია.

ცხოვრებამ ბევრი კარგი მასწავლა,
შავის და თეთრის გარჩევის არსი,
მელნით და კალმით ლექსიც დავწერე,
ჩემი გულისთქმა ჩავდევი მასში.

ახლა მივყვები გზას შემოქმედის,
ფიროსმანსაც დავხატავ კიდევ,
გულით ამაყი ბებერი კაცი,
კვლავ მიუყვები ცხოვრების კიბეს.

ნუ ჩამიტყდები ცხოვრების კიბევ,
ფიქრის გორაზე მასწავლე ასვლა,
მთელი ცხოვრება ვწიე ჭაპანი,
არაფერს ვნანობ სიბერის გარდა.

ნანა მომცელიძე – ფილოლოგი, იურისტი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აჭარის ორგანიზაციის ვიცეპრეზიდენტი. საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის "ქალდეას" აკადემიკოსი. ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

ნუ შეიძულებთ პოეტს ლექსისთვის

ნუ შეიძულებთ პოეტს ლექსისთვის
ზოგი კარგად წერს,ზოგიც თავისთვის,
ერთი ყველასთვის,ყველა ერთისთვის
მტრად ნუ იქცევით მხოლოდ ამისთვის.
პოეტი თავის გულისთქმას განდობთ
შინაგანს,რითიც იწვის და დნება,
თქვენს სიახლოვეს არაფრად დათმობს
რადგან იმ ერთი სიტყვისაც ჯერა.
გთხოვთ,ნუ გალანძღავთ პოეტს რითმისთვის
რადგან მუსიკა სხვაგვარად ესმის,
ნუ განიკითხავთ მხოლოდ იმისთვის
თუ დაარღვია ლექსთწყობის წესიც.
პოეტს აცალეთ თქვას ერთი სიტყვა
ის ერთი სიტყვა თქვენამდე მოსვლის,
ითქვას,რაც უკვე მრავალჯერ ითქვა
სიყვარულს ულევს ხომ ვერვინ მოთვლის.
ნუ შეიძულებთ პოეტს ლექსისთვის
ზოგი კარგად წერს,ზოგიც თავისთვის,
ერთი ყველასთვის,ყველა ერთისთვის
მტრად ნუ იქცევით მხოლოდ ამისთვის.

განსჯა

განსჯამ ამოსტყორცნა დასკვნა
სიმწრით მიიზიდა რეალობა,
ყველა საიდუმლო გახსნა
ვერდასრულებულმა ვერაგობამ.
აკივლებულია ცრემლი
კანონგადავლილი ბედისწერით,
თავად გამოვჭედე გრდემლი
ფოლადს, დამიჯერეთ,ვერ მიწვდებით.
ალოგიკურია სევდა
იქვე ლოგიკური ფიქრით,
სადღაც მონატრება მდევდა
მდევდა მეწეოდა თითქმის.
თითქმის მიბორკავდა სხეულს
თითქმის მიმატებდა ტკივილს,
როგორც მარტოსულს და ეულს
ტკივილს ვუნაცვლებდი ღიმილს.
ასე გაიკაფა გზები
განსჯამ თავისუფალ სულის,
მხოლოდ ჩემი თავის დასჯამ
უკვე მიმაჩვია დუმილს.

დავიბრუნოთ ცისფერი ფერი

უგნურთა ძალას შემოაცვდა მანტია გრძელი
ძველი ზღაპრები,გამოხედვაც იგივე ძველი,
ამბობენ,თითქოს ერთგულება არაა ძნელი
მაშ რატომა ვართ ასე შტერი და ასე ბნელი.
ერის გარყვნისთვის რად მოვძებნეთ მარტივი ხვრელი
ამდენ ცისფერში რად დავკარგეთ ცა ლურჯი ფერი,
გამოვიღვიძოთ,დავამარცხოთ, ქართველნო,მტერი
და დავუბრუნოთ ცას თავისი ცისფერი ფერი.
თითქმის წაგვართვეს ცისარტყელას ფერების ფერი
უკვე კაცობის დამტკიცება გაგვიხდა ძნელი,
თქვენ გადაშენდით ცისფერებო,გავმრავლდეთ ერი
და დავიბრუნოთ ნათელი და ცისფერი ფერი.

სამყაროს ზღვართან

მე უკვე ვდგავარ სამყაროს ზღვართან
ჩემს თავს დავეძებ,მაგრამ ვერ ვწვდები,
დაშვებულია საწუთროს ფარდა
და ჩემს სიცოცხლის წამებს ვნებდები.
მილეულია გავსილი მთვარე
და მთვარის შუქზე მხტომი ლანდები,
ჩემი მომავლის აზარფეშს დავლევ
გამეფანტება უცებ დარდები.
გამეფანტება და წავა უხმოდ
დრო წარსულისა მომავლად ქმნილი,
რამდენ სიცოცხლის წამსაც მოვუხმობ
იმდენჯერ ვხდები ჩუმი და ფრთხილი.
რამდენი კაციც ცოცხლობს ამქვეყნად
სამყაროც იმდენ სამყაროდ გვიხმობს,.
სანამ ვენახებს სეტყვა დასეტყვავს
სანამ გონება და აზრი გვიძმობს.
მე უკვე ვდგავარ სამყაროს ზღვართან
ჩემს თავს დავეძებ,მაგრამ ვერ ვწვდები,
დაშვებულია საწუთროს ფარდა
და ჩემს სიცოცხლის წამებს ვნებდები.

ეს ცხოვრება საცდურია

ეს ცხოვრება საცდურია
მართლად ყოფნა ძნელია,
ჯოჯოხეთის მეშინია
სამოთხის კი მრცხვენია.

ცრემლით ნაზავ რეალობას
აღარ ძალუძს ამდენი,
სადღაც ნაპოვნ მენტალობას
ცის შორეთში განვდევნი.

საცდურს მინდა ჩამოვშორდე
მინდა მართლად ვიარო,
ჯოჯოხეთის ცეცხლს გავშორდე
სამოთხისკენ ვიარო.

ეს ცხოვრება საცდურია
მართლად ყოფნა ძნელია,
ჯოჯოხეთის მეშინია
სამოთხის კი მრცხვენია.

ჩემო ქართველნო

ზეცამ ქნარისთვის ჩამოუშვა სულის სიმები
და აქ რა დახვდა, ღალატი და გაუტანლობა,
თითქოს დავიწყეთ, დავიწყეთ და სადღაც მივედით
მაგრამ ბოლო ჟამს კვლავ დაგვერქვა არარაობა.

თითქოს გვინდოდა საქართველოს სიმებად ქცევა
თითქოს გვინდოდა იავნანას აწყობა ქნარზე,
თითქოს გვინდოდა აკაკივით ჩონგურზე მღერა
და გამარჯვება სიყვარულით საკუთარ თავზე.

რა გვემართება ქართველებო,რა გვემართება
ბოღმამ წალეკა ისტორია და ყრმის აკვანი,
ნუთუ სამშობლო სულ მცირედით არ გვენანება
ნუთუ ფული და უღირსობა არის მთავარი.

ვისწავლოთ, როგორ შევიყვაროთ ჯერ ერთმანეთი
ვისწავლოთ, როგორ ამოვუდგეთ მხარში ერთმანეთს,
ჩვენ ხომ ერთნი ვართ ქართველები და ერთადერთნი
ბევრი ეცადნენ, ნაწილ-ნაწილ მაინც ვერ დაგვყვეს.

ჩემო ქართველნო, გავუფრთხილდეთ სამშობლოს სახელს
წარსულზე ფიქრით ავაშენოთ ქართული ოდა,
ეს გაუმარჯოს საქართველოს და გულით ქართველს
ღმერთო, უმრავლე საქართველოს ჯანსაღი მოდგმა

სიკვდილს დაბადება სდევდა

სევდა გაფენილა გზებზე
სევდით ავსებულა სივრცე,
ნისლი გაჩენილა მთებზე
ცა კი ღრუბლის ფთილას იცმევს.
ყველგან ანთებულა მწუხრი
ბინდი მოწოლილა ზღვართან,
როგორც ნაპერწკალი ბუხრის
ფიქრი აენთება ზღვასთან.
ისე მსუბუქია სევდა
როცა იღიმები ცამდე,
სიკვდილს დაბადება სდევდა
ტირილს გაცინება დასდევს.
ნუღარ მიეცემით სევდას
სულს ნუ აიწეწავთ ურვით,
სიკვდილს დაბადება სდევდა
გულს ნუ დაიხურავთ ჭმუნვით.
სიკვდილს დაბადება სდევდა.....

ვიხილავთ

მთას შემოასკდა ფიქრები
ბარად დაინთქა,დაზვავდა
შენ ჩემი აღარ იქნები
გულს სიყვარული დაზარდა.
ვეღარ მაგიჟებს ლოდებზე
ჩანჩქერის ორომტრიალი
მოედო ღობე-ყორეზე
ეს სარეველა ტიალი.
სისხლი გაჩერდა ძარღვებში
ისე აღარა ჩუხჩუხებს
თავი ჩაგვირგავს დარდებში
თითო ქოთანი თუხთუხებს.
ოხ, ნეტავ გაიღვიძებდეს
ქვეყნად სიცოცხლის მომცემი
დედაზე დაიფიცებდეს
მთას სარეველას მომცელი.
მაშინ ეს გულიც გათბება
ძარღვიც დაიწყებს ფრთხიალსა,
ალბათ ყინულიც გადნება
და დღეს ვიხილავთ მზიანსა.

ვერასდროს

ვერასდროს ნახავ უსაფრთხო ადგილს
ისე უსაფრთხოს, როგორც გულია,
ვერ უღალატებ სხეულის ნაწილს
სხივს ციდან მოსულს რომ გაუვლია.

ვერასდროს იტყვი, ვენდობი ვინმეს
ვერავის ანდობ ნაფიქრალს შენსას,
ვერ ამოხეთქავ რაც გულში გიდევს
სულს მიჰყიდიან მაშინვე ეშმას.

ვერ დაეყრდნობი ვერავის სიტყვას
ვერ გალაღდები მდინარის დარად,
ვერ იტყვი ვერსად თუ როგორ გიყვარს
რადგან სიტყვები აღარ გაქვს ფარად.

კარგად თუ იტყვი იგებენ ცუდად
ცუდად ნათქვამს კი ასხამენ ბუმბულს,
ასე ჩაივლის ცხოვრება ფუჭად
ასე დაკარგავ სითბოს და სულ-გულს.

სადღაც ნაპერწკალს დატოვებ შენთვის
იქნებ გაღვივდეს ოცნება სადღაც,
თორემ სიჩუმე და ფიქრი შეგშლის
მოგენატრება ტკივილში დაღლაც.

იწამებ იმას რაც აღარ გწამდა
სულს მოაშორებ ბოღმის მარწუხებს,
მოგენატრება რაც ადრე გწვავდა
და მარტოობა არ შეგაწუხებს.

ვერასდროს ნახავ უსაფრთხო ადგილს
ისე უსაფრთხოს, როგორც გულია,
ვერ უღალატებ სხეულის ნაწილს
სხივს ციდან მოსულს რომ გაუვლია.

გეყვარები?

დამივიწყებ?
        უფრო მეტად დაგივიწყებ
გეყვარები?
        უფრო ძლიერ გაგათბობ,
შენ თუ წყენას არასოდეს დაივიწყებ
ჩემს გულს უფრო სიხარულით გავართობ.

ამ ცხოვრების ფერხულს ისევ ჩავებმები
გაზაფხულის სურნელება დამათრობს,
ატმის ყვავილს მძივებივით დავებმები
ნაკადულის წკრიალა ხმა გამართობს.

ბილიკ-ბილიკ გავუყვები ამ ცხოვრებას
აღმართ-აღმართ სიარული გამათბობს,
ველოდები ზღვის ტალღების აგორებას
მზის სხივებიც ჩემს გულს ისევ გაათბობს.

დამივიწყებ?უფრო მეტად დაგივიწყებ
გეყვარები?უფრო მეტად გაგათბობ,
შენ თუ წყენას არასოდეს დაივიწყებ
ჩემს გულს უფრო სიხარულით გავართობ.

არსად წავალ

მე შენ მიყვარხარ როცა ნისლია
როცა წვიმს მაშინ მიყვარხარ იცი?
წვიმის წვეთები კართან მიცდიან
ბუხარი სითბოს ნაპერწკლებს ისვრის.
მე შენ მიყვარხარ,როცა ზღვა ღელავს
როცა თოლიებს არა აქვთ გეზი,
როცა ტალღები გიჟურად ელავს
ჩემი სიგიჟე ჩარჩოში ვერ ზის.
ბობოქარ ტალღად ვიჭრები სულში
ბობოქრობს სულში ვნება და ჟინი,
არ მინდა ღელვა,ტკივილი გულში
არც მინდა ვიყო ზღაპრული ჯინი.
თავისუფლების ჰაერი მინდა
სულის მარწუხებს ვიშორებ,წავშლი,
მე გამოგყვები წვიმაშიც,გინდა?
დავტოვებ ტალღებს ფიქრებში აშლილს.
მე გამოგყვები,ცის კიბეს ავალ
და უსასრულო დასასრულამდე,
ნუ გეშინია,მე არსად წავალ
შენთან მოვდივარ აღსასრულამდე.

დაბადების დღეს გილოცავ დედი

რაც არ უნდა ვთქვა ყველა სიტყვა ცოტა იქნება
რაც არ უნდა ვთქვა ბევრი რამე მრჩება სათქმელი,
დიდსულოვნება თქვენს გარშემო ისე იქმნება
ისე იღება ყველას გულში ოთხი სარქველი.
სიყვარულს აფრქვევთ უანგაროს, წრფელს და მადლიანს.
თქვენს წინ ანთია გულწრფელობის წმინდა სანთელი,
ყველას უკვალავთ გზა-ბილიკებს ყველა აზრიანს
თქვენი წყალობით წინ გზა გვხვდება უკვე ნათელი.
მინდა იცოცხლოთ საუკუნოდ, ჩვენს საიმედოდ
მინდა სიცოცხლის ნაპერწკალი ღვიოდეს მარად,
და სიყვარულის ქალბატონო, ჩვენო იმედო
ყველას გულებში ისევ რჩები უდიდეს ქალად.

დაუვიწყარი დღე შეკვეთილში

ულამაზესი საღამო გვაჩუქა ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა. კიდევ ერთი უძვირფასესი კრებულის "დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს" პრეზენტაცია. აჭარიდან საღამოზე მიწვეული ვიყავით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიიდან მე,აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აჭარის რეგიონში, აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ჩვენი აკადემიის აკადემიკოსი, გურამ ფუტკარაძე და ჩემი მოადგილე, აკადემიის ნამდვილი წევრი, ოთარ ბოლქვაძე.გვახლდა ასევე არაჩვეულებრივი მწერალი,ქალბატონი ლალი ორმოცაძე. ქალბატონი მაყვალა, ამ პანდემიის პირობებში, მაინც აქტიურად ახერხებს პოეტების გახარებას. უდიდესი პატივი მხვდა წილად ასეთ ღირსეულ წიგნში, ღირსეული ავტორების გვერდით დაბეჭდილიყო ჩემი ლექსი.მადლობა ყველას ამ დიდებული საქმისთვის.

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს

ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! ასე იწყება კიდევ ერთი საუკუნის წიგნი-საოცრება. მხოლოდ ერთეულთ შეუძლიათ ამ მძიმე პანდემიის და სოციალური პრობლემების ფონზე, ასე გაახაროს სრულიად საქართველო და პოეტთა გულები. ქალბატონი მაყვალა გონაშვილის უდიდესი ძალისხმევის შედეგია ამ უბრწყინვალესი წიგნის დაბადება.

"დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს" აქ ხომ ქართული სულია, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულია,უდიდესი რწმენაა საქართველის გადარჩენისა.ესაა წიგნი ერთიანი საქართველოს გადარჩენისა.შეძახილი ერთად დგომისა, ჯვარცმა ქვეყნის მომავლისთვის და რწმენა უფლისა.

ეს შესანიშნავი კრებული დიდგორზე სულის აღზევების 900 წლისთავს მიეძღვნა. ქართული სულის ზეიმია სამშობლოსათვის გულით და კალმით. უდიდესი სიხარულით მივიღეთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარისგან, ქალბატონი მაყვალა გონაშვილისგან. საპატიო სტუმრის სტატუსით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აჭარის ორგანიზაციიდან გახლდით: აჭარის მხატვართა კავშირუს თავმჯდომარე, ჩვენი აკადემიის აკადემიკოსი გურამ ფუტკარაძე, აკადემიის ნამდვილი წევრი, ჩემი მოადგილე ოთარ ბოლქვაძე და მე თქვენი მონა-მორჩილი.

ეს კრებული იმის დასტურია, რომ ქართველი პოეტების კალამი არასოდეს დაიდება უქმად და მუდამ იქნება სამშობლოს ისტორიისა და სიყვარულის სადარაჯოზე.

ნანა მომცელიძე

პროზა

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№28-40-ში)

ასე დაუკავშირდა ერთიმეორეს სკოლისა და ოჯახის ორი სხვადასხვა უძლიერესი მცნება, რომელიც ორივე ადამიანთა ურთიერთობას ასახავს, მხოლოდ სხვადასხვა მიმართულებით. ასე იწყება ბრძოლაც, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება კეთილშობილება და უსინდისობა, პატიოსნება და სიცრუე, დიდსულოვნება და ცბიერება, ზნეობა და უზნეობა, ადამიანის თავის ტვინს კი არ შეუძლია ორივე ასაზრდოვოს, ორივეს ემსახუროს, სკოლისა და ოჯახის გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ პროგრამას. ამიტომ ერთ—ერთი გზა უნდა აირჩიოს და მეც პატიოსნების გზას დავადექი, რადგან ჩემზედ მეტი ზეგავლენა მოახდინა ამხანაგებმა და მინდია ძიძიგურმა, ვინემ ოჯახმა, მაგრამ ადამიანობის პირველი მარცხი მაშინ ვიწვნიე, როდესაც საშუალო განათლება მივიღე და სწავლის გასაგრძელებლად უმაღლეს სასწავლებელში გამომცდელების წინაშე აღმოვჩნდი, ბილეთზე ვპასუხობდი და შიშით კრავივით ვკანკალებდი. რადგან მეჩვენებოდა, რომ ჩემს წინ მგლები ისხდნენ და კბილების ღრჭიალით ღებულობდნენ მისაღებ გამოცდებს.

თვალცრემლიანი გამოვედი მისაღები გამოცდებიდან, მაგრამ ადამიანობას მაინც ვერ ვუღალატე და მუშაობა წყალკანალტრესტის მეურნეობაში დავიწყე. პირველად ცხრაასართულიანი საცხოვრებელი სახლის დამონტაჟებამ მოგვიწია, შენობას მურმან ყრუს ლაშქარივით შევესიეთ თორმეტკაციანი ბრიგადით და დავიწყეთ ასფალტის აყრა, შეღებილი კედლების გამონგრევა, კაფელის გამომტვრევა და წყალკანალიზაციის მილების გაყვანა, ვითმინე და ბოლოს ვიყვირე:

– „ხალხო, რას შვრებით, ამ გაკეთებულ საქმეს რად ანადგურებთ მეთქი“?

„პრარაბი” მომიახლოვდა ყურებამდის მომღიმარი სახით და მითხრა:

– „ნეტავი ვიცოდე რა გაღრიალებს, შენზედ უკეთესად ჩვენ ვიცით რას ვაკეთებთ და რას ვაფუჭებთ. შენ კი რაზედაც მიგითითონ ის გააკეთე, ეს არისო შენი მოვალეობა”.

– კი მაგრამ ეს გაკეთებული საქმე რომ ფუჭდება? – შიშით შევკადრე მე.

– არა უშავს, ისევ ისე გააკეთებენ, დიდია ჩვენი ქვეყანა, გაუძლებს როგორმე ამ დანაკლისს – მიპასუხა მან და გამეცალა.

მე რადგან სინდის—პატიოსნების ეშმაკი შემომიჩნდა, მოსვენება აღარ მომცა და საღამოს ჩემს ყოფილ მასწავლებელს მინდია ძიძიგურს მივმართე რჩევისათვის.

– მერე ასეთმა დაბრკოლებამ შეგაშინა ყმაწვილო? – მითხრა მან, როდესაც ჩემი ნათქვამი მოისმინა – ნუთუ მარტო შენი „პრარაბია“ ამ ქვეყანაზე ადამიანთა ბედის გამგებელი, ნუთუ არ არსებობს ზემდგომი ორგანო, გულთან მიიტანს ამ საქმეს და არ გაანადგურებს გაკეთებულ საქმეს?

გამიწყრა ღმერთი, სამართალი მოვინდომე, ქვეყნის გასწორება დავაპირე, მინდია მასწავლებელი კი სიმართლის დიდი მცოდნე. წმინდა მოციქული და გზის მასწავლებელი იყო ჩემთვის, ავდექი და მეც ივანე სულელივით, ქორწილში წივილ—კივილითა და მოთქმა—გოდებით რომ მივიდა, მივსიდიე ნასწავლ წმინდანობასა და სიმართლეს. ზღაპარში რომ არის „ბევრი ვიარე თუ ცოტა” სხვებსაც გავუმწარე სიცოცხლე და საკუთარი თავიც დავიღუპე. ისეთი ძლიერი პანღური ამომკრეს, რომ სამუდამოდ დამეტყო წიხლი საჯდომზე და რაიმე სამუშაოზე მიღების ოცნებაც დაიკარგა.

სახლში მამაჩემი დაცინვას ვეღარ გავუძელი, ზედმეტ სახელად დაცინვით „პატიოსანი კაცი” შემარქვეს და ყოველდღე მამაჩემი დედაჩემს ელაპარაკებოდა ჩემს გასაგონად: – „პატიოსანმა კაცმა კიდევ ვერსად იშოვა სამუშაო?”, „პატიოსანი კაცი დღეს რას აპირებს?”, „პატიოსა-

ნი კაცი კიდევ არ ამდგარა?", პატიოსანი კაცი არ მოსულა?" და ბოლოს დააყოლებდა: – „ვაი მაგის პატრონს!? რა იცის მაგ საბრალომ, რომ პატიოსანი ხალხი მოჩვენებითია, თითოეული ზამბარიან სათამაშოს ჰგავს, სანამ ხელს ახლებდე პატიოსანია, თუ ხელი ახლე იქედან ისეთი ეშმაკი გამოგიხტება, კისერს წამში მოგატეხინებს".

ვხედავდი ორ წერტილს შორის სწორი გზა მარტო გეომეტრიაში ყოფილა, მაგრამ ცხოვრების გეომეტრია სულ სხვაგვარია. აქ მრუდი გზა მუდამ სწორზე უმოკლესია. ჩვენი პედაგოგები კი ვერ ამჩნევენ ცხოვრების მდინარებას და მღვდელებივით ერთსა და იმავეს გაიძახიან – „სიკეთე თესო" – ლამაზი ზღაპრებით აცდუნებენ ხალხს და როგორც სარწმუნოება, ადამიანს თუ გაგიჯდა ორგანიზმში მასწავლებლის შეგონებაც, ძნელად განთავისუფლდები იმის კლანჭებისაგან.

დღესაც ყურში ჩამესმის მასწავლებლების შეგონება: —„იყავ კეთილი, პატიოსნებაა ყველაფერი, სიავე არ ჩაიდინო, ძლიერს ნუ შეუშინდები, თითონ დაზარალდი და სუსტს დაეხმარეო და სხვა მრავალი ამდაგარვარი.

– აბა შენ როგორ გინდოდა რომ ესწავლებინათ? – ველარ მოითმინა გამომძიებელმა და წიკლაურს თხრობა შეაწყვეტინა – უსინდისობა, უპატიოსნობა, ღალატი, გაიძვერობა, ძლიერს წინ ნუ აღუდგები, სუტი თვითონ გათელე და გაიარეო"...

– არა, არც მთლად ასე უნდა ესწავლებინათ და არც მთლად ისე, მასწავლებელი პირველად ცხოვრებას თვითონ უნდა ჩახვედროდა, უნდა კარგად გაეგო და შეეასწავლა იმისი სწორხაზოვნება, შემდეგ უნდა გადმოეცა მოსწავლეებისათვის თავისი გამოცდილება. აღსაზრდელი თაობა კი „ჭურსა ჰგავს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს", – მასწავლებელი იმიტომ ხარ უნდა ჩასძახო, მაგრამ ფრხილად, უნდა იცოდე რომელ დროს როგორ უნდა ჩასძახო, თუ საჭიროა უნდა ჩასჩურჩულო, თუ საჭიროა ჩაჰღრიალო კიდეც, ოღონდ ჭკვიანურად, უნდა გაითვალისწინო „ვაიმე", რომ მერე არ აგაყვირონ!? ეს ჭკვიანური მეცნიერება რომ ესწავლებინათ ჩემთვის ფეხებში ჩავუვარდებოდი ჩემს ყოფილ მასწავლებლებს, მაგრამ მე მხოლოდ ღრიალით ნასწავლი პატიოსნება შევისისხლხორცე და ავღრიალდი, დავინახე თუ როგორ ატყუებდნენ ქუჩაში ახალგაზრდები მოხუცს, რომლებიც რაღაც ბურთულის დამალობანას ეთამაშებოდნენ და გამოვესარჩლე, სიმართლე დავიცავი და ხულიგნობისთვის დამიჭირეს. აქ კი პანღურს არ დამაჯერეს და იმდენი მცემეს ახლა არა მარტო საჯდომზე, გვერდებზედაც დამეტყო ნაწიხლარები. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე:

მოხუც კაცს რომელიღაც სოფლიდან ზურგით ქვევრი ჩამოეტანა ჩვენს ქალაქში და ხიდის თავში შეისვენა, მილიციელმა, გამოიარა, – „აქ რომელი დასასვენებელი ადგილი ნახეო" – უყვირა კაცს, აიღო ქვა, ქვევრს დასცხო და გაუტეხა, ატირდა კაცი და მე გამოვესარჩლე სუსტს, დამიჭირეს და ბევრი მახვეწნინეს: – „გუშინდელ ნარტყმევზედ ნუღარ დამარტყავთ—მეთქი".

ასე ვიცავდი სიმართლეს და „მუჭანახევარას" ზღაპარივით მუდამ გალახული და დალურჯებული ვიყავი.

– დალახვროს ღმერთმა – წამოიძახა გამომძიებელმა – რომელი ქვეყნიდან შემოტანილ თარგზე ჭრი ცხოვრების ავკარგიანობას? სხვა თუ შეეგუა სინდის—პატიოსნებას, შენ რატომ ვერ შეეგუე?

– იმიტომ, რომ სხვამ თვალი აარიდა უსამართლობას, მე კი როგორც მქონდა ნასწავლი პირდაპირ შევეჩეხე და დავმარცხდი მათი უმრავლესობის წინაშე.

– ცხოვრებაში სწორი გზის მოძებნა და შეგუება გადარჩენას ნიშნავს, მაგრამ ადამიანი მარტო საკუთარი სიცოცხლისა და შთამომავლობის შესანარჩუნებლად როდი იბრძვის, ის რა კაცია, ვინც მხოლოდ იმისათვის ზრუნავს – თავი როგორ გადაირჩინოს და საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ათასობით სიცოცხლე შეიწიროს, განა შეიძლება ადამიანი გამოცალკევდეს ამ უკიდეგანო სამყაროსაგან? წუთისოფელი არ დაინდობს მოღალატეს, უბირსა და უმეცარს. უკეთესი იყო შენ წყალკანალმეურნეობის მუშა ყოფილიყავი, მეტ სარგებელს მოუტანდი ერსა და სამშობლოს. განათლებამ კი ვხედავ ცხოვრების გზას კი არა ბილიკსაც აგაცდინა, უფსკრულისაკენ მიექანები დასაღუპავად და შენი ქადაგებით ჭკუაშერყეულნი თან უნდა ჩაიყოლო. მე შენ რჯულშეცვლილ ქართველად მეჩვენები და მართლაც რა განსხვავებაა, ქართველმა ვერ გაუძლო სიდუხჭირეს ქრისტიანული სარწმუნოება შეიცვალა, მაჰმადიანური სარწმუნოება მიიღო და თავისი სამშობლოს წინააღმდეგ გაილაშქრა. შენ კი პატიოსნებას უღალატე, დაჰგმე ქართველი ვაჟკაცის ღირსება, ბოროტებას ეზიარე და შენც სარწმუნოება შეცვლილივით ილაშქრებს შენი ხალხისა და სამშობლოს წინააღმდეგ. შენ ცხოვრების სიდუხჭირეს ვერ გაუძელი და შიშ-

მა დაგაბეჩავა, ვინც პატიოსნად იბრძვის და ცხოვრების უთანასწორო ჭიდილში არიან ჩაბმული, მათ თავგამოდებით ებრძვით და ცდილობთ მკაცრი მსჯავრის გამოტანას.

შენ ცდები, როდესაც გგონია ჭკუა ისწავლე და ჭკუა ასწავლე შენს ყოფილ მასწავლებელსაც, შენი ჭკუის სწავლა შენ განუკურნებელ ავადმყოფობაში სჩანს, რომელშიდაც გამორიცხული არ არის შენს მიერ გამწარებული ადამიანის ხელი ერიოს. მინდია ძიძიგური კი რაც მართალია, მართალია აწი აღარ შეცდება, რადგან აღარ იქადაგებს პატიოსნებაზე და რაღა შეაცდენს, როდესაც აღარაფერს გააკეთებს? ამიტომ შორიდან მაცქერალს იგი ყოველთვის მართალი ეგონება, მაგრამ ეს საშიში არ არის, საშიში მხოლოდ ის არის, რომ შენი შთაგონებით შეიძლება შენს შემდეგ კიდევ გაჩნდეს ირიდი წიკლაური, მუდამ გულჩათხრობილი, მუდამ ყველაფერში მართალი, ვისაც არც საკუთარი თავისა და არც სხვისი პატივისცემა არ ექნება.

რა დაინახეთ ცუდი მინდია ძიძიგურის ქადაგებაში, ის ხომ ცდილობდა და დღესაც ცდილობს დაიცვას ყველა ადამიანი ამა ქვეყნის სიავისაგან, – არ ილოთოთ – ამბობს ის – ლოთობა მომავალი დანაშაულის საწინდარია, არ იჩხუბო, გწამდეს რომ ყველა ძმაა შენი, გიყვარდეთ სამართლიანი ურთიერთდამოკიდებულება და იყავით ყველას მიმართ კეთილშობილი.

ასეთი ქადაგება ყველას რომ ეღაღადა, ყველას მოესმინა და გაეტარებინა ცხოვრებაში, ხომ აღკვეთილი იქნებოდა დღეს ყოველგვრი დანაშაულებანი?

– ვერ გამიგია რისთვის ესაჭიროება ადამიანს ქადაგებანი და ცხოვრების მიმართულების სწავლება, როცა ყველაზე უკეთ თვითონ ცხოვრება ასწავლის ჭკუასა და აძლევს გამოცდილებას?

– კი ასწავლის, მაგრამ გააჩნია როგორ? ცხოვრებას შეუძლია ასწავლოს არა მარტო სიმტკიცე და კეთილშობილება, არამედ სისასტიკეც, უნამუსობაც, გარყვნილებაც და ყოველგვარი უხამსობაც. ცხოვრება სტიქიონია, ვერ ენდობი მას და დიდი უგნურება იქნებოდა იმის იმედით ყოფნა, რომ ეს ბრმა სტიქიონი შეენაცვლება მასწავლებელს. აი ადამიანთა მოძულეობამ და საკუთარი თავისადმი უსაფუძვლო რწმენამ ხომ ხედავთ ბოროტმოქმედებამდე მიგიყვანათ, ვინ არის დამნაშავე, მასწავლებელი?

– დიახ! მასწავლებელი ჩემო გამომძიებელო, რადგან ეს დანაშაული ათეული წლების მანძილზე მრავალი ადამიანის ხელშეწყობით ნელ—ნელა მწიფდებოდა და დაამწიფეს კიდეც, ბევრი მათგანი დიდი ხანია წასულია ამაქვეყნიდან, მაგრამ ზოგ—ზოგები დღესაც ცოცხლები არიან და ტკბილად შეექცევიან თავის მიერ დამწიფებულ ნექტარს. დანაშაულიც კიდეც რომ აღიარონ სამართალში მაინც ვერცერთს ვერ მისცემ, „რამეთუ არ იცოდნენ რას სჩადიოდნენ", მათი დანაშაულებანი თვალთნათლივ ჩანს, მაგრამ სამართალში მიცემა ისევე უაზრობა იქნება, როგორც მეხი დაადანაშაულო – სახლი რისთვის გადაწვა. – ეს სტიქიაა და ასევე სტიქიურია ამ ადამიანთა ნამოქმედარიც, ამიტომ კეთილი ინებეთ, მარტო მე დამდეთ ბრალი და მაგებინეთ პასუხი ყველას მაგივრად.

– ვინც არ იცოდა რას სჩადიოდა, რა თქმა უნდა, მათ არ მოუწევთ საბრალდებო სკამზე დაჯდომა, მაგრამ შენ მიერ ჩადენილი დანაშაული დიდი ხნის ნაფიქრალია, დიდი ხანია ემზადებოდით ნახტომისათვის და გადახტით კიდეც. ახლა ნუღარ ხტიხარ, ნუ ეცდები ვინმეს შემოახვიო შენი დანაშაული, „ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას აზრი აღარა აქვს". მესმის შენი და ვხვდები საიდანაც გგონია მოდის დანაშაული, მაგარმ იცოდე „მძლავრთა დასის" ვიწრო თათბირი დამთავრდა, ყველა აგებს პასუხს თავის დანაშაულზე.

– ნეტავი მართლა მე ვიქნებოდე ბოლო ბოროტმოქმედი და მუზეუმში შესანახი ჩემი დანაშაულის ისტორია, მაგარმ არა მგონია ასე მოხდეს, მეწუკი თუ გამოწურე მთელ სხეულს მოედება, ასე ედება ბოროტმოქმედების აღგზნებაც კაცობრიობას სხვის მიერ ჩადენილი დანაშაული, თუგინდ სიკვდილით დასჯაც კი მალე ეძლევა დავიწყებას, სამწუხაროდ ცხოვრება ყველაფერზე დიდხანს ადამიანის სული ინახავს ტკივილს, ვის შეუძლია ახლა გვითხრას რომელ ოთახში მოჰკვეთეს თავი პაატა სააკაძეს? მაგრამ პატარა მამულიშვილის თავდადების ამბავი დღემდე არ წაშლილა ადამიანთა სულსა და მეხსიერებაში...

– შენ განათლებული გაიძვერა ხარ და მე მრცხვენია შენც ის უმაღლესი სასწავლებელი გაქვს დამთავრებული, რომელიც მე.

– თავი შეიკავეთ გამომძიებელო, მე სასჯელს ვიმსახურებ და არა შეურაცხყოფას, მე თქვენთვის არც გაიძვერა მიწოდებია და არც მოჩვენებითი პატიოსნებით მთვრალი.

– არის ერთი ანდაზა – „ცუდი კაცი ის კი არ არის, ვისაც ერთი წიგნიც არ წაუკითხავს, ცუ-

დი ისაა ვინაც მხოლოდ ერთი წიგნი წაიკითხაო, მაშინ არიან არა სულ მთლად უმეცარნი, არამედ ვაი განსწავლულნი". საინტერესოა თქვენი ცოდნით და პატისონებით როგორ ჩაირიცხეთ უმაღლეს სასწავლებელში?

– მეც ისეთივე მგლად ვიქეცი, როგორიც გამომცდელები იყვნენ, მგელთა ხროვის ბელადს ბატკანი მივართვი, ოო, – ნეტავი გეყურებინა როგორი ყმუილი ასტეხა სიხარულით და მე გავხდი სტუდენტი.

– შენი ცხოვრების ეპიზოდმა ისე გაგვიტაცა, რომ საგრძნობლად გადაუხვიეთ გამოძიების გზიდან, ჩვენ უკვე ვიცით იმ დანაშაულის არსი რომელიც ბრალად გედებათ და რომლის გამოძიებასაც მე ვაწარმოვებ. იქნებ სხვაც გაქვს რაიმე სათქმელი, როგორც თქვენ ეძახით – „სულის გასაწმენდად?"

– ჩემი სტუდენტობისა და მუშაობის პერიოდში ბევრი დანაშაული ჩამიდენია, ალბათ არ არის საინტერესო ყველა რომ ვაღიარო, მაგრამ როდესაც ახლა მე თვითონ პატიმარი ვარ და ცოტა თუ ბევრად ტუსაღთა ბედის მონაწილე გავხდი, არ შემიძლია ერთი დანაშაულის ისტორია არ მოგითხროთ:

– თქვენ მგონი მართლა დეტექტიური ნაწარმოებისათვის მაწვდით მასალას, მაგრამ მე რომ მწერალი არა ვარ?

– თქვენთვის მაგალითი უნდა ვიყო, რადგან ჩემი წარსული ორივე კლასის გამომძიებელს გამოადგება.

– რა გაქვს მხედველობაში?

– სინდისი და უსინდისობა!

– სინდისი ძვირფასია და მაშინ უფრო მეტად ფასობს ის, როდესაც უსინდისო ადამიანი გადმოგვცემს იმის ღირსებას. დაიწყეთ მე მზად ვარ ფირზე ჩავიწერო თქვენი საუბარი.

წიკლაური ჩაფიქრდა, ვერ გადაეწყვიტა მოყოლოდა თუ არა ამ ადამიანთან ერთ—ერთი ღირსშესანიშნავ ეპიზოდს თავისი ცხოვრებიდან, შემდეგ ხელი ჩაიქნია იმედდაკარგული ადამიანის გამომეტყველებით და ავადმყოფური გაცრეცილი ხმით დაიწყო:

– „საგზაო პატრულმა სწორედ მაშინ დააკავა დევი კიკნაძე, როდესაც ქალის გვამი გადასაგდებად თუ დასამარხად მიჰქონდა, ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელი იყო, მკვლელი დევი კიკნაძე უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ ვის ეკუთვნოდა გვამი ამას თვითონ ბოროტმოქმედი იტყოდა.

საქმე გამოსაძიებლად პროკურორმა მე გადმომცა, თუმცა რა გამოძიება უნდოდა თვალხილულ ბოროტმოქმედებას? ვიმედოვნებდი, რომ ორიოდე ფურცელს შევავსებდი, ბოროტმოქმედს დანაშაულზე ხელს მოვაწერინებდი და საქმეს სასამართლო გადავცემდი, მაგრამ შევცდი, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ბოროტმოქმედმა მკვლელობაზე უარი განაცხადა.

„ნამდვილი გიჟია", გავიფიქრე მე, ადამიანი ფაქტზე დაიჭირეს და დანაშაულს უარყოფს, შეიძლება სადღაც სწორია, მაგრამ მეც გიჟი ხომ არა ვარ ფაქტი ხელიდან გავუშვა და მინდორში ქარს დევნა დავუწყო?

საექიმო ექსპერტიზმის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ გვამი ნელი კოკუჩავას ეკუთვნოდა, რომელსაც მარცხენა ძუძუს ზემოთ ჰქონდა დანით მიყენებული ერთადერთი ჭრილობა. დანა შემთხვევის ადგილზე იპოვეს და დანის ტარზე დევი კიკინაძის თითების ანაბეჭდები დაფიქსირდა.

დევი მკვლელობას მაინც უარყოფდა, ამბობდა, რომ ნელი კოკუჩავას გვამი თავის ოთახში იპოვა, რომელსაც დანა მკერდში ჰქონდა ჩარჭობილი, მე დანა ჭრილობიდან იმ იმედით ამოვაძვრე, რომ ნელის გადავარჩენდი, მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო. შემეშინდა, მკვლელობას მე მომაწერდნენ და გადავწყვიტე გვამი თავიდან მომეშორებინა.

– ადრე თუ იცნობდი ნელი კოკუჩავას? – შეეკითხე დევის, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მიპასუხა:

– კი! ის საყვარელი იყო ჩემი!

– ადრეც თუ ყოფილა შენთან ბინაში?

– კი ხშირად!

– ვის შეეძლო მოეკლა და თქვენს ბინაში შემოეტანა გვამი?

– ის ადგილზე, ჩემს საწოლზე იყო მოკულული, ვის შეეძლო მოეკლა ვერ ვიტყვი, ეჭვი არავის მიმართ არა მაქვს, ჩვენი სიყვარული საიდუმლოებით იყო მოცული.

– იქნებ ქმარმა ჩაიდინა ყოველივე ეს?

– ქმრის მიმართ ეჭვი გამორიცხულია, ნელი ისე ფრთხილად მოქმედებდა, ქმარი როდესაც ქალაქში იყო გვერდითაც არავის გაუვლიდა.

– როდესაც მკვლელობა მოხდა იმ დღეებში სად იმყოფბეოდა ნელის მეუღლე?

– სოფელში იყო წასული, საშემოდგომო მოსავლის მოსანახავად!

– საიდან იცი?

– წინა ღამით ჩემთან იყო ნელი!

– იქნებ სოფლიდან მოვიდა, დაუდარაჯა და მოაგნო თქვენს სამიჯნურო თავშესაფარს?

– არა, არა, ნელი ძალზედ ცბიერი ქალი იყო, ის ყოველთვის გააცურებდა ქმარს!

ასე დამაჯერებლად ლაპარაკობდა დევი კიკნაძე, მაგრამ მე მაინც დავკითხე ნელი კოკუჩავას ქმარი – ცოტნე აბაშიძე, არავითარი ეჭვი იმის წინააღმდეგ არ დაფიქსირდა. ცოტნე, მართლაც, სოფელში იმყოფებოდა, როდესაც მივაკითხეთ ის თავგამოდებით მუშაობდა. მეზობლებმაც დაადასტურეს, რომ „სამი დღეა სახლიდან არ გამოსულა, მშიერ—მწყურვალი მუშაობსო".

როდესაც მეუღლის დაღუპვის ამბავი ვაცნობეთ, ძლიერ განიცადა, მაგრამ მკვლელობის ვითარება რომ გაიგო დასაფლავებაზე უარი განაცხადა.

მეც რა მქონდა გამოსაძიებელი, ან რომელი მკვლელი იტყვის „მე მოვკალიო", ვინც ფაქტზე დააკავეს. იმის მიმართ აღვძარი სისხლის სამართლის საქმე, მოვიყვანე უამრავი ფაქტები მკვლელობის შესახებ და სასამართლოს გადავეცი, რომელიც ასე დავასრულე:

– „მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედმა თავი დამნაშავედ არ სცნო, გამოძიება არ იზიარებს დევი კიკნაძის ცრუ ჩვენებას და ადგენს:

– იყო რა ნელი კოკუჩავა დევი კიკნაძის საყვარელი, დევი კიკნაძემ გადაწყვიტა დროულად თავიდან მოეშორებინა ნელი კოკუჩავა, რომ ქმარს არაფერი გაეგო და ხიფათი აეშორებინა. ამ განზრახვით თავის ბინაზე დაიბარა ნელი კოკუჩავა, მოჰკლა თავისივე სამზარეულო დანით და ღამით შეეცადა გვამის გადამალვას, მაგრამ საგზაო პატრულმა გამოიჩინა უმაღლესი ოპერატიულობა და ბოროტმოქმედი ფაქტზე დააკავეს.

მკვლელობის ფაქტზე ლაპარაკობს სისხლიანი დანა დევი კიკნაძის ხელის ანაბეჭდით, დევის სისხლიანი ტანსაცმელი, სისხლიანი საწოლი, რომელზედაც მოკლული იყო ნელი კოკუჩავა და დევი კიკნაძის საცხოვრებელი ბინა.

ამის შემდეგ საქმე დასრულებულად ჩავთვალე, ხელი მოვაწერე, დავხურე და სასამართლოს გადავეცი.

ერთი კვირის შემდეგ უმაღლესმა სახალხო სასამართლომ დევი კიკნაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მაია ფეიქრიშვილი

მე შენი ნიჭის თაყვანმცემელი

ამეტყველებული მარცვლები, ჟრუანტელის მომგვრელი სიტყვები, მთელი არსებით, გულით, სულით მაღალი დონის არტისტიზმით წაკითხული ყველა სალექსო სტრიქონი, ფრაზა, ... და კიდევ საოცარი გარდასახვის უნარი, თუმცა, ეს არაა ყველაფერი, რითაც შეიძლება დაახასიათო ნიჭიერი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოსწავლის სტატუსის მქონე, მაგრამ რახანია აღიარებული დეკლამატორი, მრავალი ფესტივალის თუ შემოქმედებითი საღამოების წამყვანი, ლაურეატი გამარჯვებული ვასილ აგლაძე.

სადაც სიტყვა მეფობს, სადაც სიტყვა მღერის, სადაც სიტყვას სხვა ფასი აქვს იქაა ვასიკო სულ, ამიტომაც არის, რომ ისე მიგვაჩვია ამ საოცრად პოზიტიურმა ახალგაზრდა კაცმა მის ტკბილ ხმოვანებას, სულშიჩამწვდომ რითმებს რომ ვერც კი წარმოგვიდგენია ხონელებს ვასიკოს გარეშე დაიგეგმოს რაიმე ღონისძიება.

ყველას კარგად გვახსოვს პატარა, ბუთქუნა, თეთრი ბიჭი დედას ხელჩაკიდებული რომ დაჰყვებოდა და ჭკვიანი თვალებით აკვირდებოდა გარშემო მყოფთ. უსწრაფესად სწავლობდა ეს პატარა ბიჭი ლექსებს. მთავარი იყო მას ეგრძნო ლექსის თემა, იდია. ვასიკოს სისუფთავე პოეზიის მიმართ, ოსტატობა ლექსის თქმისას გამოძერწა მისმა არაჩვეულებრივმა პედაგოგმა ქ-ნმა გულიადა სანოძემ, რომელსაც კულტურის ცენტრში გახსნილი აქვს მხატვრული კითვის წრე და, რომლის უცვლელი წევრია გახსნიდან ჩვენი

ვასიკო. იგი იქ დავაჟკაცდა, აქ შეიყვარა ხელოვნება, აქ შეიგრძნო ლაზარეს ენის – ქართული ენის სიდიადე, შეიყვარა ლექსი, პოეზია. ვასიკო როცა ლექსებს კითხულობს თავად განიცდის უდიდეს სიამოვნებას, რაც თავისთავად გადამდებია მსმენელისათვის, ეს ვაიკოს ხელწერაა!

ყველაზე დიდი ჯილდო რა არის შენთვის-თქო რომ ვკითხეთ, გვიპასუხა: ,, პირველი ისაა, რომ მე ქართველი ვარ და საქართველოში ვცხოვრობ. მეორე ისაა, რომ მიყვარს ყველა ხონელი! მესამე? მესამე შემოქმედების კუთხით გალაქტიონის ლექსი წავიკითხე 2015 წელს ვანში ,,გალაქტიონობაზე'' და მეორე ადგილი ავიღე, მაშინ 11 წლის ვიყავი... ძალიან გამიხარდა...'' ვასიკოს მრავალი დიპლომი, სიგელი, მედალი, სერთიფიკატი აქვს. სწავლობს წარმატებით I საჯარო სკოლაში. იგი ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის სტიქაროსანია, ღვთის მოშიში და მოყვარულია. დედისერთა ბიჭს დიდი წარმატება აქვს წინ. იგი შრომისმოყვარე ბეჯითი ახალგაზრდაა და ეს ის თვისებებია რაც დაეხმარება 21–ე საუკუნეში საკადრისი ადგილი დაიჭიროს მისი ნიჭისა და შესაძლებლობების მიხედვით.

ჩვენ გვიყვარს ვასიკო და გვეიმედება, რომ სადაც კი წავა, რა ასპარეზსაც დაიჭერს, იგი ყოველთვის წარმატებული და სასახელო იქნება.

მინდა მოვეფერო ჩვენს ვასიკოს, მის შესანიშავ მშობლებს მაკა ტვილდიანსა და კოკა აგლაეს, მთელ ოჯახს ხმამაღლა ვუხრა, რომ ვასიკოს მართლაც დიდი მომავალი აქვს წინ. იგი დამსახურებულად მიიღებს ყველა აღიარებას, ღირსია იყოს წარმატებული წარმატებულთა შორის. მადლობა გვინდა ვუთხრათ პედაგოგს გულიადა სანოძეს, რომელიც ფასდაუდებელი შრომის ფასად აოსტატებს ბავშვებს, აზიარებს ქართულ პოეზიას. მაშინ, როცა ჩვენი მოსწავლეები დღეს ძირითადად ინტერნეტ-სივრცეში არიან გადასულები, რის გამოც სრულიად დასცილდნენ წიგნს... ამიტომაც ლოგიკურად ისმის კითხვა, წიგნი... თუ კომპიუტერი??? ამ ფონზე ქ-ნი გულიადას მიზანი – აზიაროს ქართული სიყვის ჰარმონიას, ქართველი პოეტების, ხონელი პოეტების შემოქმედებას მოსწავლეები, მისასალმებელია დასაფასებელია და ხელშესაწყობია. თუნდაც თითო ლექსი ისწავლონ, ჩავთვალოთ რომ მიზანი მიღწეულია პირველ ეტაპზე ნაწილობრივ, მეორე ეტაპზე – მეორე იქნება, მესამეზე – მეასმე და ა.შ. და ასე აღმოჩნდებიან პოეზიის ლაბირინთში, საიდანაც გამოსვლა თავადაც აღარ მოინდომებენ...

ყოჩაღ, ვასიკო? ,,კარგი შვილი დედის გული ვარდიაო'', - შენ არა მარტო მაკას გულის ვარდი ხარ, არამედ სხვა მრავალი დედების, რომელთაც შენი დედიკოს მსგავსად აჩქარებით უცემთ გული, სიხარულის ცრემლით ევსებათ თვალები, ... როცა შენ სცენაზე დგახარ...

გაიხარე ჩვენო ვაჟკაცო. ვინ იცის როგორი გულანთებული ქართველი იქნები... უფალმა ყველა შენს სავალ გზაზე მწვანე შუქი აგინთოს, წარმატებული და ბედნიერი მომავალი გქონოდეს. შენს ნიჭსა და შენს შრომისმოყვარეობას ვეთაყვანები.

...ვასიკო შენი თაობის გამორჩეული ხონელი ხარ. ვამაყობ, მახარებს შენი ყველა ნაბიჯი. მიყვარხარ მიგულე უფროს მეგობრად.

გიორგი კეკელიძე

///

რა მწუხარებამ უნდა გაგვტეხოს ჩვენ, მანის ფაფასთან ბრძოლაში გამოწრთობილი ბავშვები? ეს საშინელი და აუცილებელი წმინდა ინკვიზიცია სრულიად გულგრილი სახით შემოგყურებდა თეფშიდან აისბერგივით ამოწვერილი კარაქით და სამყაროს დაუნდობლობას გვაჩვევდა.

კლასიკა გარდაუვალ სცენარს გულისხმობდა – უნდა დაგეწყო კიდიდან, შესაბამისად შუაში ცივდებოდა და რაღაც პატარა ბურთულები კეთდებოდა. კურკუტები. ან რამე სხვა სახელი – აი, ბავშვობისას ყველა ხომ რაღაც საკუთარს ვარქმევთ ასეთ წარმონაქმნებს, რისთვისაც დიდებსაც კი ჯერ ვერაფერი დაურქმევიათ. იმ ბურთულების ჭამა waterboarding-ის შემდეგი საფეხურია მსოფლიო წამებათა არსენალში.

ყველაზე მცირე თეფშსაც კი უძიროს ხდიდა მანის ფაფა. ამიტომაც ვერასდროს ვჭამდით ბოლომდე. ამიტომაც ყველას უშნო ცოლები და ქმრები გვეყოლებოდა.

და ჩვენ სულ არ გვანაღვლებდა არც მომავალი ცოლები და ქმრები, რადგან გოგონებიც და ბიჭებიც მხოლოდ ერთი შიშით განმსჭვალულები ვიჯექით და ველოდით სრულიად უწყინარ მზარეულ ზეზის. ზეზი უზარმაზარ ქვაბში თხევად ურჩხულს ხარშავდა.

ეს იყო ბავშვობა. უცნაური და გაუგებარი მწუხარებებისა და სიხარულის დრო.

სიხარული ხომ ორგვარია. ან თავისით მოდის, ანაც სწავლობ. ჩვენ უფროსებისგან დავიზეპირეთ, რომ ორი ტომარა პურის ფქვილი უდრიდა სიხარულს, იქვე შემოსასვლელში მიყუდებული და ორი კვირა პურის საცხობად სამყოფი.

და ამ ცხობისთვის და გათბობისთვის მთიდან ჩამოტანილი ხეების ჩამოცლა ძველი მანქანიდან მეზობლების დახმარებით უდრიდა სიხარულს შემოდგომის გაცრეცილ ღამით.

და საერთოდ ამ მანქანის თუხთუხით მოსვლა და ფარების ჭიშკართან მონათება უდრიდა სიხარულს. და მანამდე ლოდინი მთაში თხილის და შეშის ჩამოსატანად წასული ბაბუის და მამის. რომლებიც მოვიდოდნენ ან 18, ან 19, ან 20

ბერს.

რამ უნდა გაგვაბრუოს ჩვენ, ასეთი სიხარულებით გაზრდილი ხალხი? რა არის ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი? არაფერი. ვერაფერი.

///

ახლა გვიანი ზამთარია. ოდნავ მღვრიე მზეების დრო. დამფრთხალი წვიმების. ხველის. ხანაც ქარის. ძირმომპალი ჩალის სუნის დრო. უხორცო ცაზე გამეორებული გაკვირვებული მთვარეების. შორი მეზობლებიდან გაუგებარი ხმის მოღწევისა და ძროხების ზანტი ბღავილის დრო. ტალახიანი გზების იშვიათი მანქანის ნაბორბლარით. იქ ჩამდგარი ჭრელი წყლის. გადაჭრილ ბოთლებში ჩატენილი ქათმის სკინტლის. გადმობრუნებული ქვების ქვეშ შეღვიძებული ჭიაყელების. სიარულის მობეზრების დრო. სქელტანიან წიგნებზე თვალის შევლების და მერე კითხვის დაზარების დრო. უცხო ძაღლის ჩამორბენისა და წამიანი მოშტერების დრო. მერე ამ ძაღლზე ფიქრის დრო. მერე ამ ძაღლზე ფიქრზე ფიქრის დრო. მოკლედ აჯაბსანდალი. და საერთოდაც – ოდნავ მარილმეტი აჯაბსანდლის დრო. კედელს შემორჩენილი შპალერის დაზეპირებული ნახაზების თვალით გადალაგების და შპალერზე ნაცნობი კაცებისა და ქალების და უცნობი დევების და მამლების წარმოდგენის დრო. ძილის გატეხვის დრო. გატეხილი ძილის ბზარში ცხადის შეპარვის და სიზმრის ცხადად ქცევის დრო. შენი დრო, თუმცა შენ ჯერ არ ხარ. თებერვლის ბოლო ასეთია.

ღამით მოშარდვა მინდება და აივანზე გავდივარ. ტანზე მოცმა მეზარება და ისე გავდივარ. მხოლოდ ლოგინის შავზოლიანი მაისურით, სახელოები რომ ცოტა მოკლე აქვს. ცივა.

უნდა გადააფსა დუნიას? – მომაძახებს ბებია. არ მიკვრის, რომ ბებიასაც ღვიძავს.

მე არაფერს ვპასუხობ. უბრალოდ ცას ავხედავ. ცივა. სადღაც, შორიდან მომავალი გაზაფხულის დაუდასტურებელი, სავარაუდო სუნი იგრძნობა. შეიძლება რამე სითბოს ნაფლეთიც, უცებ რომ გაგკრავს და ქრება. ძნელია ამ სუნის და სითბოს დაჭერა, მაგრამ ხანდახან იჭერ. ცას ავხედავ. ღრმად ვსუნთქავ. ოდნავ მაჟრჟოლებს.

არ გაცივდე, შემოი შით! – ყრუდ მომესმის

თოთხმეტი ან თხუთმეტი წლის ვარ. გვიანი ზამთარია. მალე შეთენდება და სიცივე იმატებს. და შემაშინებელი სიცხადით ხვდები, რომ შენი დროა. ზუსტად ისეთის, როგორიც ხარ. შენი დრო, თუმცა შენ გვიან, იქიდან ბევრი თებერვლის მერე გამოჩნდები. გიღიმი და ოთახში ვბრუნდები.

გაადაფსი დუნიას? – მეკითხება ბებია

კი – რაღაც ბუნდოვანი კმაყოფილებით ვპასუხობ, ვწვები და გიყურებ. აქეთ, ბევრი თებერვლის მერე. მგონი, ეს არის სიყვარული.

////

ზაფხულის გრძელი დღეა. ქობულეთში რომ ორი გრძელი ქუჩაა, ეს ქუჩები რომ ერთმანეთს გადააბა, იმაზე გრძელი და დაუსრულებელი. სადღაც 800 ნომერთან ხარ, ანუ თითქმის საღამოვდება.

შენ ცხოვრობ, ვთქვათ, ერთი პატარა ქალაქის რომელიმე სახლში. სულერთია როგორში და კაცმა, რომ თქვას, სულერთია ვინ ხარ – მთავარია ხვალ ექსკურსიაზე მიდიოდე. ქუთაისში.

გიხარია. ძალიან გიხარია. საბაგირო. ქუთაისია.

– სიმაღლის გეშინია?

– სიმაღლის შენ გეშინია თუ კაია – გპასუხობს თოკო. კლასელი.

დედა საღამოს სადღაც გავიდა. ცოტა დააგვიანდა. სანამ დაბრუნდა, შენ დაწოლილი დახვდი.

– რა გჭირს, ტელევიზორს არ უყურებ?

– ხვალ დილას ადრე წავალთ და გამოძინებული უნდა ვიყო.

ასეთი ღამეები, ქობულეთის კი არა, სამყაროს ყველაზე დიდ გზებზე უფრო გრძელდებიან. ჩასაფრებული უყურებ ფანჯრის დაზეპირებულ კუთხეს, საიდანაც მზე ამოდის და სულ წარმოიდგენ რომ აი, ცის ბოლო ნამტირალევ ქუთუთოსავით შეწითლდა და გათენდება.

– გაიღვიძე! – დედა სასთუმალთან ზის

შენ წამოხტები და საათს უყურებ. უფ, არის კიდევ დრო. მიასწრებთ ავტობუსს.

– წავედით, წავედით! – ყვირი სიხარულით

– დაწექი – შემაშინებლად მშვიდია დედა

– რატომ? – ხმა გიწყდება

– სიცხე გაქვს – მეუბნება დედა

– არ მტკივა არაფერი. თავი არ მტკივა!

– შუბლი ცხელი გაქვს, მოიცა, გაგიზომავ!

– შუბლი სულ ცხელი მაქვს მასე!

– მოიცა.

შენ იცდი ათ წუთს. დედა თერმომტერს იღებს, ფანჯარასთან მიაქვს და გაყინული ხმით ამბობს.

– არ შეიძლება, 37.8 გაქვს, აგიწევს კიდევ. სწრაფად ფერთხავს. ოდნავ ფანჯრისკენ პირშებრუნებული.

– დღეს წიგნებს არ წაგაკითხებ. არც მათემატიკას. რამე ვითამაშოთ – იღიმის და ოდნავ თვალს გარიდებს.

ვერ ხვდები იტირო, იყვირო თუ თერმომეტრი დალეწო. რომც მიხვდე, თითქოს არცერთის ძალა აღარ გაქვს. სადღაც შენში იმეორებ განწირულ სიტყვებს: ექსკურსიაზე მინდა. არ მაქვს სიცხე. არ მაქვს.

– ხო, არ გქონდა სიცხე – გითხრა დედამ და ფანჯრისკენ ზუსტად ისე გაიხედა, როგორც თხუთმეტი წლის წინ. ცხოვრება ქობულეთის ერთი ქუჩიდან რომ მეორეზე შესახვევს გადაყავხარ, იმაზე მოკლეა. შენ უკვე 26 წლის ხარ. დედა 54-ის.

– მთელი ღამე ვირბინე მეზობლებთან და ნათესავებთან. კაპიკი არ ჰქონდა არცერთს და ვერ შევაგროვე ექსკურსიის ფული. ჯობდა სიცხე გქონოდა. სიცხე უფრო ადვილი იქნებოდა. ალბათ.

შენ გაკვირვებული უყურებ დედას. დედა შორს იყურება. სადღაც უკან. 15 წლით ახალგაზრდაა. იმ თერმომეტრს უყურებს და ფიქრობს.

///

თებერვლის ამინდია – გამოხრულ კბილში წყალნარევი ჭაჭა თუ ჩაგსვლიათ – ეგეთი გემოს და განწყობის. ქუჩაში შეგხვდება ზაზუნა. ზაზუნა ადამიანია. მეტიც – ზაზუნა დენის კაცია. ჩვენ – ძროხა დავკარგეთ. ზაზუნამ – თავი. მოდის ქორეოგრაფიული ბარბაცით. აცვია ფრთხილად-ყავისფერი ბუშლატა და ახურავს თამამადტალახისფერი ქუდი. ასდის პომიდვრის მჟავის სუნი. ყიჟინით ასდის – სამასი მეტრიდან გაგაგონებს. ეს სუნი დარვინული ბუნებრივი გადარჩევის ამბავში მარადიული გამარჯვებულია, რადგან ზაზუნა ასე ორმოც ოჯახში მაინც იყო, ორმოცივეში რაღაც აჭამეს და მაინც პომიდვრის სიმჟავე გცემს. ზაზუნა დენის კაცია. დენი კიდევ ის კაცია, თვეში ორჯერ რომ მოდის. ზაზუნა მოდის თვეში სამჯერ. ჩვენი ძროხა საერთოდ არ მოვიდა. არ მახსოვს რომელი – წაბლია, ფაცუნა და თუ კასანდრა. სტადიონზე დარჩებოდა – ამბობს მამა და მე და მამა სტადიონისკენ მივდივართ. საღამოს ექვსი საათია. ცოტაც და შეღამდება. შურასთან ლამფა ცოტა ადრე აინთო. მაგას ჩვილი ბაღანა ჰყავს და ალბათ ტანს ბანს. ამას ან მამაჩემი ამბობს ან არ ამბობს, მაგრამ ისე ხშირად უთქვამს აქამდე, რომ იქ ჩავლისას მაინც ყურში ჩამესმის. ზაზუნამაც ჩაგვიარა. ბარბაცის ილეთმა ვერ გადაგვკვეთა და დიდად არც ჩვენ გამო-გვიდია ჩახუტებით თავი. ზაზუნა რაფერ ხარ? – მიაძახა მამაჩემმა. ზაზუნამ თქვა – რავლრვრაბ-დბჰნცნჰასჰბდცურ თუ რაღაც მსგავსი და გზა გააგრძელა. ძროხა იწვა კუთხურის ალმის ადგილას. ჩვენ გაგვიხარდა და გამოვდენეთ. ჭიშკარი ბებიამ გაგვიღო. დაღამდა.

სცენის დასასრული.

თქვენ შეიძლება რამე სასაცილო ამბავს ელოდით ან ბუხარში ცეცხლის ტკაცუნს და ჭიქა წითელ ღვინოს და კრიმანჭულს და ჭყინტ ყველს და თვალის ჩაპაჭუნებას.

მაგრამ აი, ეს არის სოფელი. ეს არის მისი ჩვეულებრივი დღე. ამბავი არაფერზე. სოფელი გაძლების ხელოვნებაა. გამეორებული სცენების გაძლების ხელოვნება. ამ ხელოვნებით ბედნიე-რება ცოტას შეუძლია. ძალიან ცოტას. ამ გაძლებაში სხვა ადამიანად იძერწები. რომ გაიგო, ასე ასჯერ მაინც უნდა ჩაუარო ზაზუნას გვერდით.

///

ახლა სოფლებში ის დრო დგებოდა, როცა ბიჭებს გოგოები გვიყვარდებოდა. უფრო მეტად – ჩამოსული გოგოები. უფრო დიდი ქალაქებიდან, ვიდრე, მაგალითად, ოზურგეთი იყო. შეიძლება გოგოებსაც უყვარდებოდათ ბიჭები, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო და ხმამაღლა არ ამბობდნენ. ჩვენ კი გვიყვარდა ამ უცნაური, ვადიანი სიყვარულით, ზაფხულის შუიდან ვიდრე 30 აგვისტომდე. ამ სიყვარულის არსს ვერავინ გაიგებს, თუ 1995 წლის 14 ივლისს, საღამოს შვიდზე, ტუნგოების ბირჟაზე არ მისულა სველი სავარცხლით დავარცხნილი თმით და კისერზე წაკრული ბენდენით, სასხვათაშორისოდ გაფანტული მზერით და რაღაც გაურკვეველი სიმღერის ღიღინით. მისულა და ორ წუთში უკან არ გაბრუნებულა.

///

მამაჩემმა ვერაფერი მოასწრო. ვერც ავადმყოფობა. გუშინ, საავადმყოფოს მოსაცდელში რომ ვიდექი, კაცი იდგა სხვაც და ზურგიდან ძალიან ჰგავდა. მაშინ ვინატრე, ნეტავ ასე მაინც ყოფილიყო-მეთქი და ერთად გვევლო ანალიზებზე, გადასხმებზე და მაგგვარ ამბებზე. გვევლო და გველაპარაკა. სულ ცოტა ხნით რომ ჩავდიოდი შინ, მეუბნებოდა, თხილს რომ ვკრეფ და ბალახს ვცელავ, შენთვის სათქმელს ვაგროვებ და ახლა თლა მავიწყდებაო. ჰოდა, ძალიან მაკლია ის ლაპარაკი, სადღაც ჩაკარგული და უთქმელი სიტყვები. სად წავიდნენ? რომელი თხილის ძირში ვეძებო ახლა?

///

შეიძლება ყოფნა ჯობდეს ასეც – ცხოვრობდე სადმე, ასე სექტემბრის მიწურულს, შენ და რამდენიმე თაგვი – ზოგი სარდაფში და ზოგი სხვენში. ოღონდ ეს თაგვები ცხოვრობდნენ შენს სახლში და მხოლოდ შენი მისვლისას იწყებდნენ სირბილს. შენ კი სტუმრად იყო და იმ თაგვებზე

ფიქრობდე ხოლმე, ასე, ყოველი მესამე ჭიქისას. აგერ ხუთი კომლის გადაღმა იყო, გეცვას კისერთან მორღვეული პულოვერი, სკამზე გეკიდოს წვიმით სავსე ბუშლატა და გვიანამდე იჯდე სტოლში, სვამდე მჟავე ადესას და სახეში უყურებდე მთვრალ მეზობლებს. და მეზობლები გიყურებდნენ თვალებში. და ამბობდეთ სისულელეს, სისულელეს და კიდევ უფრო მეტ სისულელეს. აბა, რა სჯობს სისულელის ლაპარაკს? გაუზომავ, უფიქრო სიტყვებს. დაფიქრებით მხოლოდ თაგვებზე ფიქრობდე, ისიც სამ ჭიქაში ერთხელ. და მერე ადგე და წამოხვიდე ბანცალით. და მიხვიდე სახლში. შეაღო კარი და დატოვო ღია. დაწვე. და ცალი თვალით გახედო ცას, რომელიც თხელია და მთვარით. და შორს შავი ღრუბლის მონარჩენით. ძაღლი უნდა ყეფდეს შორს და სხვათაშორის. შორს და აუცილებლად. და შენ გრძნობდე რომ ხვალ არ არსებობს. რომ არსებობს მხოლოდ დღეს და არსებობს მხოლოდ ეს ღამე. მხოლოდ სექტემბრის მიწურული. და რამდენიმე თაგვი.

///

ადრე გრძელი წერილებით, თვიური გეგმას რომ მიმხელდა და ახლა რაც ტელეფონის საქმეს დაუფლა, მესიჯებით, დედაჩემისგან, სხვა შეტყობინებათა შორის, მომდის ამგვარიც: ,,დღეს მძიმე დღეა, იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე, იცოდე, ხორცი არ შეჭამო”

მე წესების ზედმიწევნით მიმდევარი მორწმუნე კაცი ვერ გახლავართ, მაგრამ ამ დავალებას სულ ვასრულებ. სხვა არაფერი შევასრულე, ძალიან არ ვგავარ იმ გიორგის, რაც დედაჩემს წარმოედგინა.

არც მძაფრი სიუჟეტითაა ეს მოკლე ამბავი რაც მოგითხრეთ, არც სოფლის სცენების სურათებით სავსე და არც სხვა რამ მსგავსით, მაგრამ თქვენც იცით, რომ არის რაღაც დიდი, ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი და სწორედ იმას წერ ყველაზე მშრალად და ბანალურად. სხვანაირად ვერ გამოდის.

//

ერთი რონკა ოტკა. ახლა არის ეს დრო, ზუსტად ეს დრო. ჭიშკართან მოდის და გიყურებს. ანზორიე. დილის ამინდს ცოტა აჟრჟოლებს ტანში, სულ ცოტა, გასაძლებად – როგორც ზაფხულის უცებ აგრილებულ საღამოებისას აივანზე შემორჩინილ პატარა ბავშვებს – სექტემბრის დასაწყისია. ჰოდა, ანზორიე დგას ჭიშკართან, როგორც შემოდგომის მეტაფორა. იმ შემოდგომის არა, სასკოლო წიგნებში რომ ხატავენ – ოქროსფერის, ყურძნის მზემაძღარი მტევნებით, კომბაინებით, რბილად დაღლილსახიანი, მომღიმარი გლეხებით და წითელზურგა ფოთლებით ქარში. არა. ანზორი სულ სხვა და ნამდვილი შემოდგომაა. ის შემოდგომა, რომელიც ამ ლამაზ ნახატებს მიღმა დგება სოფელში. ეს შემოდგომა გაღვიძებისთანავე სვამს ერთ რონკა ოტკას და ოდნავ ამღვრეულად უყურებს ყველაფერს.

///

მე მართლა მგონია, რომ ყველაზე სასაცილო სიტყვა, რაც მოგვიგონია – მესაიდუმლეა. ყველას გვაქვს ერთი ჩარაზული ოთახი – სადაც რამე მოქმედება ანაც ფიქრია გამოკეტილი და სხვას კი არა, საკუთარ თავს აღარ ვაძლევთ მის გასაღებს.

თუ შუადღის ფსკერზე, სოფლის რომელიმე ორღობეში, ღობეზე მიგდებულ ძელსკამზე მჯდარ მარტო მოხუცს ჩაუსაფრდებით, გაზეთში გახვეულ თუთუნს რომ ეწევა, ჩაუსაფრდებით და რამე მანქანებით მის თვალებს შეხედავთ, ეს თვალები ფრთხილად ამხელენ ამ ოთახის არსებობას. ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა კაცი ნამწვს გადააგდებს და გაშტერებით დახედავს. ოთახის არსებობას და არა ოთახს.

ეს ოთახია ადამიანად ყოფნის დიდი ნაკლი და უპირატესობაც. ეს ჩარაზული კაცი.

ირმა კეკელიძე

სანთელი

გაზაფხულზე, მარტის დასაწყისში, თოვლმა დნობა, რომ დაიწყო და ჰაერში გაზაფხულის სუნი დატრიალდა, ნენომ დილაუთენია სახლის კარი გამოაღო და ეზო–გარემოს გადაავლო თვალი. გარეთ გამოვიდა, ნაჯახს ხელი წაავლო და შეშის დასაჩეხად ეზოს კუთხისკენ გაემართა... ისე მოხერხებულად ანაწევრებდა დიდ მორებს, რომ ვაჟკაც კაცს შეშურდებოდა მისი ჯანღონისა და მოხერხების. დაჩეხილი შეშა ლამაზად მოათავსა ძველი კრამიტით გადახურულ ხის საწყობში და დაღლილ–დაქანცული იქვე ხის მორზე ჩამოჯდა... „სადა ხარ, შვილო, სად გამექეცი?!... აბა, ეს არის საქმე?!... მე უნდა ვჩეხდე შეშას?!.. ამხელა ვაჟკაცი გაგზარდე... თუმცა, რას დავეძებ შეშის ჩეხვას, ოღონდაც შინ დაბრუნდი და ყველაფერს გავაკეთებ, არაფრისთვის არ შეგაწუხებ!... ოღონდაც ჩემთან იყავი, ოღონდაც გხედავდე, რომ კარგად ხარ და არაფერს აღარ დავეძებ... ის ოხერი მაჭანკალიც, რომ მე მოვძებნე და ის უსინდისო გოგოც ჩემი რჩევით გახდა შენი ცოლი... შენზე საყვედური როგორღა ვთქვა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე მინდოდა, წინააღმდეგობა არ გაგიწევია... ომს ორჯერ გადაურჩი. ისე დამიბრუნა ღმერთმა შენი თავი, რომ ერთი ნაკაწრიც არა გქონია. ვინ იფიქრებდა, რომ შენს საკუთარ ოჯახში, ტყვიის გარეშე შიგ გულში დაიჭრებოდი!... ოღონდაც შინ დაბრუნდი, შვილო, და ყველაფერს თავიდან დავიწყებთ, ყველაფერს მივხედავთ. შენს გოგონასაც დავიბრუნებთ და კარგ ოჯახსაც შექმნი. ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ“... – ფიქრობდა ნენო და თვალცრემლიანი უაზროდ გაჰყურებდა ეზო–გარემოს...

**

ტაძარში ყველა იცნობდა ზურაბს. ყოველდღე იქ იყო. ზოგს არ მოსწონდა და ალმაცერად გახედავდნენ ხოლმე ტაძარში შემოსულს. ზოგსაც მის დანახვაზე სიბრალულით ევსებოდა გული. მუდამ შუბლშეკრული იყო. უფრო ხშირად ხაკისფერი სამხედრო ტანსაცმელი ეცვა. მაღალი, მხარბეჭიანი იყო. შავგვრემანი, შავი წვერითა და თმით. შავი სქელი წარბებით და დიდრონი თვალებით, ისეთი გამჭოლი მზერით იცქირებოდა, რომ თითქოსდა ირგვლივ მყოფთ მისი გადაუხდელი ვალი ჰქონდათ. მთელს სამყაროს ეჭვის თვალით უყურებდა. არავის არ ესალმებოდა. შეაღებდა თუ არა ტაძრის მაღალ ხის კარებს, ივერიის ღვთისმშობლის ხატისკენ აიღებდა ხოლმე გეზს და ხატის წინ ერთსა და იმავე ადგილზე დადგებოდა. იქვე მდგარ შანდალზე, ჩამქრალი სანთლების ნარჩენებს ერთმანეთს გადააბამდა, ერთ მთლიან სანთელს გააკეთებდა და აანთებდა. უძრავად მდგარი უხმოდ მიშტერებოდა ღვთისმშობლის ხატს... არავინ იცოდა ვინ იყო, საიდან იყო, რას ფიქრობდა, რა ხდებოდა მის გულში... ტაძარში მყოფთაგან მხოლოდ რამოდენიმემ იცოდა, რომ ზურაბი ერქვა და თუ დაინახავდნენ ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინ შანდალზე დამაგრებულ გადაბმულ სანთლის ნარჩენებიდან გაკეთებულ სანთელს, ხვდებოდნენ, რომ ეს ზურაბის ნახელავი იყო...

გაზაფხულის ერთ კვირა დღეს, როდესაც ტაძარში წირვა მთავრდებოდა, ზურაბმა ტაძრის კარი უხეშად, ჯიქურ შეაღო. მრევლი აქეთ–იქით მისწი–მოსწია, რომ როგორმე ღვთისმშობლის ხატამდე მისულიყო. როდესაც სასურველ ადგილზე მივიდა, რამოდენიმე ჩამქრალი სანთლის ნარჩენისგან თავისებურად სანთელი გააკეთა, დაანთო და ხმამაღლა, თითქმის ყვირილით დაიწყო ლაპარაკი: „რა გინდოდა, რა არ გყოფნიდა, რაც შემეძლო ყველაფერს გისურვებდი... ქალაქი გინდოდა და წამოგიყვანე ქალაქში. ბინაც ვიქირავეთ. დღე და ღამე ვშრომობდი, რომ შენთვის და ბავშვისთვის არაფერი დამეკლო. უნამუსო გამოდექი, უნამუსო!... დედაჩემი და მამაჩემი ზედ გევლებოდნენ. რას არ ეზიდებოდნენ სოფლიდან, რომ როგორმე შენი ოხერი გული მოეგოთ, მაგრამ ვერაფერი ვერ დაგანახეს!... მადლობაც არასოდეს გითქვამს საწყალი ადამიანებისთვის... შენმა უნამუსობამ მამაჩემის სიცოცხლე შეიწირა. ორმოც წელს გადავაბიჯე, მეორედ

გადავურჩი ომს, მაგრამ შინ დაბრუნებულს ისე ჩამისაფრდი, ისე მომკალი და ცოცხლად ისე დამმარხე, რომ ერთი მუჭა მიწაც არ მოგიყრია“...

***

კარგი ოჯახი ჰქონდათ ნენოს და თეიმურაზს. ბევრი შვილები უნდოდათ ჰყოლოდათ, მაგრამ ღმერთმა მხოლოდ ერთი ვაჟი, ზურაბი აჩუქათ... როდესაც ზურაბმა ინჟინრის დიპლომი მიიღო, დიპლომიანმა მექანიზატორმა, ისევ სოფელს მიაშურა. მექანიზატორის საქმე იქაც ბევრი იყო. როდესაც სულ ახალგაზრდა ყმაწვილმა ომში ამოყო თავი, ნენო და თეიმურაზი დღედაღამ ლოცულობდნენ, რათა მათი ერთადერთი შვილი უვნებელი დაბრუნებულიყო. დაბრუნდა კიდეც. მეზობლები ულოცავდნენ ზურაბს ომიდან დაბრუნებას, მაგრამ ახალგაზრდა მამაკაცი უკმაყოფილოდ ჩაიქნევდა ხოლმე ხელს და თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „მე კი დავბრუნდი, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ჩემს ომში ბრძოლას?! რაც დავკარგეთ იმას როდისღა დავიბრუნებთ?“...

გავიდა წლები. ზურაბსაც ასაკი მოემატა. გვერდზე სოფელში მცხოვრები მაჭანკალი, კესო, ნენოს შეუჩნდა და არ მოასვენა: „შენი ზურაბი ისეთ გოგოზე უნდა დავაქორწინო, რომ ჩემთან შენი ოჯახი მუდმივ ვალში იქნებაო. ჩემს მეზობლებს მარიამს და ვახტანგს ისეთი პირმცინარი და ლამაზი გოგო ჰყავთ, რომ შეხედავთ გული გაგინათდებათ. სოფლის მედ. პუნქტში მუშაობს, ლია ჰქვია, ექთანია... ბევრს მოსწონს სარძლოდ, მაგრამ ყველას თავს არ უყადრებს. აი, შენს ზურაბს კი ნამდვილად ვერ დაიწუნებს“... გაჭრა მაჭანკლის სიტყვებმა. ნენოს და თეიმურაზის ოჯახში დიდი საქორწინო სუფრა გაიშალა. გაიხარა ოჯახმა... ერთი წლის თავზე გოგონა, პატარა ნინო შეეძინათ... უხაროდა თეიმურაზს, სიხარულით ცას ასკდებოდა ნენო, ბედნიერი იყო ზურაბი. აღარ იცოდნენ რა ექნათ, როგორ ესიამოვნებინათ ახალგაზრდა დედა და პატარა პირმცინარი გოგონა... როდესაც ბავშვი ორი წლის გახდა, ლიას უხასიათობა დაეტყო, ჩუმჩუმად საყვედურობდა ქმარს: „რა მომავალი ექნება ჩვენს შვილს. ყველა ცდილობს ქალაქში მოიწყოს ცხოვრება. აქ ხომ არ უნდა ჩავკვდეთ დედაშენივით და მამაშენივით?!... გაინძერი, იღონე რამე. ინჟინერი ხარ, იქ უფრო უკეთეს სამსახურს მოძებნი. მეც სადმე საავადმყოფოში დავიწყებ მუშაობას. ბავშვიც უკეთეს გარემოში გაიზრდება. ცოდვაა, აქ ხომ არ უნდა ამოვხადოთ სული. ჩვენზე თუ არ ფიქრობ, ბავშვის მომავალზე იფიქრე!...“ ზურაბმა გაბედა და უთხრა მშობლებს ლიას სურვილი. თეიმურაზს გულზე ეკალივით მოხვდა შვილის და რძლის გადაწყვეტილება, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. დაღონებულმა ნენომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „თუკი ასე გირჩევნიათ, არ დავეძებ, ოღონდაც თქვენ კარგად მყავდეთ!... რაც შეგვეძლება აქედანაც მოგეხმარებით!...“

ქალაქის გარეუბანში ორ ოთახიანი ბინა იქირავეს. ზურაბმაც იქვე სახლთან ახლოს მშენებლობაზე, მუშად დაიწყო მუშაობა, სხვას ვერაფერს გახდა. ლიას მისმა მეგობარმა გოგონამ რკინიგზის საავადმყოფოში, ღამის მორიგე ექთნად უშოვა სამსახური და ისიც დასაქმდა. თავს არ იზოგავდა ზურაბი. შრომობდა, წვალობდა, რომ მისი ორი ლამაზი ქალბატონისთვის არაფერი დაეკლო. ყოველი კვირის ბოლოს ან თვითონ მიდიოდა სოფლად ან ნენო და თეიმურაზი ეწვეოდნენ ხოლმე სოფლის ძღვენით... სამ წელზე მეტ ხანს გასტანა სოფლიდან ქალაქში ჩამოსული ახალგაზრდა ოჯახის ყოფამ, როდესაც აგვისტოს ერთ მცხუნვარე დღეს, ქვეყანას და ზურაბსაც ფეხდაფეხ ისევ ომის ქარცეცხლი წამოეწია... წავიდა ზურაბი ომში... ისევ საშინელი დარდი და ვარამი შემოაწვა ნენოს და თეიმურაზს... ისევ უძილო ღამეები და შვილის მოლოდინში გათენებული ზაფხულის მზიანი, მაგრამ დარდიანი დღეები... ზაფხული გასული არ იყო, რომ ისევ დაბრუნდა ზურაბი. საღამო ხანი იყო, რომ სოფლის შარაგზაზე მიაბიჯებდა სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული, დაღლილი და სახემოღუშული. ეზოს ჭიშკარი შუბლშეკრულმა გააღო. თეიმურაზი და ნენო სახლის წინ მდგარ გრძელ ხის სკამზე ჩამომსხდარიყვნენ და ფიქრში წასულები უბრად ისხდნენ. ჭიშკრის ხმაზე გამოფხიზლებულები ერთხანს გაოცებულები მიშტერებოდნენ მოულოდნელად დაბრუნებულ შვილს, მერე კი ნენოს შეძახილმა, თითქოს ცა გააპო: „ჩემი შვილი, ჩემი ზურაბი დაბრუნდა!... დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა!...“ გაჰყვიროდა ნენო და ისე მირბოდა შვილისკენ. მას უკან უხმოდ, ჩემი ზლუქუნით თეიმურაზი მისდევდა... ზურაბი დედ–მამასთან ერთად ხელგადახვეული გარინდული იდგა ეზოს შუა გულში, ცაზე საღამოხანს მკრთალად მოციმციმე ვარსკვლავები კი სამივეს თავზე დაჰყურებდნენ და მათ სიხარულს იზიარებდნენ...

ვახშმად ლამის მთელმა სოფელმა ერთად მოიყარა თავი. თეიმურაზის და ნენოს სიხარულს მთელი სოფელი შეუერთდა. ზურაბს ომიდან მშვიდობით დაბრუნებას, უკვე მეორედ ულოცავდნენ. ზურაბი კი, ისევ ხელის ჩაქნევით პასუხობდა: „ან პირველად და ან მეორედ ნეტავ რა გავაკეთე?!... მხოლოდ ჩემი ოხერი თავი ჩამოვიტანე!... ის, რაც არ უნდა დაგვეკარგა, რაც ჩვენია,

მაინც დავკარგეთ!“... ვახშმობა მალე დაამთავრა. ფეხზე წამოდგა და ისე წარმოსთქვა: „უნდა წავიდე, ჩემს ლამაზ ქალბატონებსაც ისევე მოულოდნელად უნდა დავადგე თავს, როგორც თქვენ დაგადექით. არ მინდა ტელეფონით დავურეკო. გათენებამდე იქ ვიქნები“...

გარიჟრაჟზე, დილის ექვსი საათიც არ იქნებოდა, როდესაც ზურაბმა ბინის კარები ფრთხილად გააღო. დაინახა, რომ საძინებელ ოთახში შუქი ენთო. ოთახის კარი რომ შეაღო, გაოცდა. მეზობელი ქალი შუშანა, პატარა ნინოს, რომელიც საწოლში იწვა, თავზე სველ ნაჭერს ადებდა. ნინომ უცებ შეჰყვირა: „მამა, მამა მოვიდა!“ შეშინებულმა შუშანამ კარისკენ გაიხედა და მოულოდნელობისგან ენა ჩაუვარდა. ზურაბი დაბნეული მივარდა ბავშვს, ლოგინიდან წამოაყენა და გულში ჩაიკრა, ბავშვი სიცხისგან იწვოდა, შემდეგ შუშანას მიუბრუნდა და შეშინებულმა ჰკითხა: „ლია სად არის?“... შუშანა აიწურა, ხმას ვერ იღებდა, უხმოდ მიშტერებოდა ზურაბს, რომელმაც უკვე მკაცრი ხმით გაუმეორა: „ლია სად არის, ქალბატონო შუშანა?“ ქალი უცებ გამოერკვა. თავზე ხელი გადაისვა და გაოგნებულმა შეხედა თავზე ბოქაულივით წამომდგარ ზურაბს. შემდეგ თავი ჩაიქინდრა და ისე უპასუხა: „ლია სამსახურშია, დღეს მორიგეა, ბავშვი მე ჩამაბარა... ზურაბ, სულ დავიბენი... რა კარგია, რომ უვნებელი დაბრუნდი!“... პატარა გოგო მამის კისერზე ისე იყო ჩამოკიდებული, რომ გეგონებოდათ არასოდეს მოშორდება მის გულ–მკერდს ეს პატარა არსებაო.

დაბნეული ზურაბი თან ბავშვს ეფერებოდა, თანაც მეზობელ ქალს მიშტერებოდა. ზურაბი ისევ ჩაეკითხა შუშანას: „ბავშვი რომ სიცხიანია იცის?... შუშანამ არც აცია და არც აცხელა ისე მიახალა: „იცის, აბა, არ იცის? რამდენჯერ ვუთხარი, გადარეკე სამსახურში, ან მორიგეობა გაუცვალე ვინმეს. ბავშვს ასეთ მდგომარეობაში ნუ დატოვებ–მეთქი... მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა. სამსახურს ვერ გავაცდენო და სიცხიანი ბავშვი მე შემაჩეჩა ხელში. სიცხემ უფრო მეტად აუწია. ძალიან ვნერვიულობდი. მიხარია, რომ გამოჩნდი. მთელი ღამეა ვურეკავ, მობილური ტელეფონი გამორთული აქვს. თვითონ ერთხელაც არ დაურეკავს. ნუთუ არ აინტერესებს, ბავშვი როგორ არის?!... ერთი საათის წინ სასწრაფო დახმარება გამოვიძახე. ვირუსი აქვსო!... დანიშნულებაც მოგვცეს, მაგრამ მე რომ წამლებზე წავიდე, ბავშვთან ვინ დავტოვო?!..“ არ ცხრებოდა შუშანა.

ზურაბი დაბნეული და გაოგნებული მიშტერებოდა ხან ბავშვს, ხანაც მეზობელ შუშანას. ბავშვი უხმოდ დასვა ლოგინზე. გოგონამ ტირილი დაიწყო: „მამა შენთან მინდა“. მამა მოეფერა პატარას და თითქმის ჩურჩულით უთხრა: „ნუ გეშინია, ნინიკო, წამლებს გიყიდი, დედასაც მოგიყვან და მალე დავბრუნდები“. ბავშვმა ტირილი შეწყვიტა, სახეზ გაუნათდა და მამას შეეკითხა: „დედას მოიყვან?..“ მამამ უხმოდ დაუქნია თავი, ექიმის დანიშნულება გამოართვა შუშანას და სწრაფად დატოვა იქაურობა.

ავტომანქანაში მჯდარი ზურაბი, წამდაუწუმ ახსენებდა ტაქსის მძღოლს, რომ სწრაფად ევლო და დროულად მიეყვანა საავადმყოფომდე. როგორც იქნა მივიდა. განერვიულებულმა შეაღო საავადმყოფოს კარები. წინ დაცვის თანამშრომელი გადაეღობა და შეაჩერა... „ვერ გაგიშვებთ, არ შეიძლება!... ვისთან ბრძანდებით?... მე გაგირკვევთ თუ რამე გნებავთ“ – ეუბნებოდა დაბნეულ ზურაბს საავადმყოფოს დაცვის თანამშრომელი... ზურაბი თავს ვეღარ იკავებდა, ისე განერვიულებული უხსნიდა ახალგაზრდა დაცვის ბიჭს თავის მდგომარეობას და თან აჩქარებდა, რომ ლიასთვის დაეძახა...

საავადმყოფოს ფოიეში მდგარი მორიგე ექიმი ქალი შეშფოთებული უყურებდა ზურაბს და ხელების უაზრო მოძრაობით დაბნეული ესაუბრებოდა: „გუშინ საღამოს მოვარდა ლია საავადმყოფოში, მთხოვა, რომ შინ გამეშვა, რადგან ბავშვს სიცხე ჰქონდა. ვიღაც ახალგაზრდა ვაჟი ახლდა. მითხრა, რომ მისი მეუღლე იყო. მეც დავუჯერე და შინ გავუშვი. რამოდენიმეჯერ ადრეც მოაკითხა იმ ახალგაზრდა მამაკაცმა ლიას სამსახურში. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ის მისი მეუღლე არ იყო... ვერც წარმოვიდგენდი თუ მატყუებდა... მეტს ვერაფერს გეტყვით, გაოგნებული ვარ!...“

ზურაბმა შერყეული სახით გააღო ბინის კარები. ჩქარი ნაბიჯით შევიდა ბავშვის ოთახში. ნაყიდი წამლები შუშანას შეაჩეჩა ხელში... ბავშვს მიაშტერდა, ისე უყურებდა, თითქოს მას სთხოვდა პასუხს ყველაფერზე, რაც მის თავს ხდებოდა. გოგონა შეშინებული უყურებდა მამას. ბოლოს როგორც იქნა ჰკითხა: „მამა, დედა რატომ არ მოიყვანე?...“ ზურაბი დუმდა. ხმას არ იღებდა. ბავშვმა ისევ გაუმეორა: „მამა, დედა სად არის?...“ ზურაბი ბავშვის ხმაზე გამოფხიზლდა, გოგონა წამოაყენა საწოლიდან, ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. შემდეგ ხმადაბლა უთხრა: „ნუ გეშინია, ალბათ მალე მოვა დედაშენი!“... გაოგნებულმა შუშანამ თავი ვერ შეიკავა ისე მიახალა ზურაბს: „რა სამსახური აქვს ასეთი, რომ მის მდგომარეობაში არ შედიან?!... რა მოხდებოდა რომ გამოეშვათ ავადმყოფ ბავშვთან?! თანაც ქმარი დაბრუნდი ომიდან!... რა არაადამიანები არიან!...

რა უღმერთობაა!... გათენდა!... რითი ვეღარ დამთავრდა ღამის მორიგეობა?!“ შუშანას ქაქანი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კარის გაღების ხმა გაისმა. ლია შემოვიდა ოთახში. ზურაბის დანახვაზე შეცბა, ფერი დაკარგა. მის დანახვაზე შუშანამ ქაქანი გააგრძელა: „მადლობა ღმერთს, რომ დაბრუნდი! რა მოხდებოდა, რომ შენს მდგომარეობაში შესულიყვნენ და ბავშვთან გამოეშვით?“... ლიამ სწრაფადვე უპასუხა: „ძალიან ვეხვეწე და ვემუდარე მორიგე ექიმს, მაგრამ ვერაფერს გავხდი. კატეგორიული უარი მითხრა. ძალიან ვნერვიულობდი, თვალწინ სულ ბავშვი მედგა...“ გაფითრებულმა ზურაბმა ბავშვი საწოლში ჩააწვინა, ოთახში შემოსულ მეუღლეს გამეხებული სახით შეხედა და თვალი თვალში გაუყარა...

***

სასამართლოს დარბაზიდან გამოსულ ნენოს და თეიმურაზს გვერდზე მდგომი მეზობლები ამშვიდებდნენ. ნენომ ძლივს წამოილუღლუღა: „ბიჭი მეორედ იყო ომში. ცოლ–შვილს, დედ–მამას არაფერს გვაკლებდა. ყველაფერი ოჯახისთვის უნდოდა, შვილისთვის უნდოდა... უსინდისო გოგო, თვითონ ღალატობდა და ჩემი ბიჭი უნდა დაეპატიმრებინათ?! გაოგნებული თეიმურაზი ცდილობდა ნენო გაეჩუმებინა, მაგრამ თვითონაც ვერ შეიკავა თავი და ხმამაღლა ალაპარაკდა: „მეზობლის თვალწინ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლესო. მტკიცებულება არ ჰქონდა, რომ ნამდვილად უღალატაო!... მეტი რაღა მტკიცებულება უნდოდა!... ან კი, რომ არ შემოაკვდა, გასაკვირი არ არის?!“... გაფითრებულმა თეიმურაზმა უეცრად გულზე ხელი დაიდო და სასამართლოს კიბეზე ჩაიკეცა...

***

ტაძარში, ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინ მდგარმა ზურაბმა, საგულდაგულოდ შეაგროვა დამწვარი სანთლის ნარჩენები, შანდალზე დაამაგრა და დაანთო. ხან ღვთისმშობლის ხატს უყურებდა, ხან მის დანთებულ სანთელს. თავისთვის ლაპარაკობდა: „სანამ ციხეში ვიყავი, ორი წლის განმავლობაში, ისიც კი მოახერხე, რომ აქაურობა დატოვე, უცხოეთში გაიქეცი და ბავშვიც თან წაიყვანე. საწყალ მამაჩემს ხომ ბოლო მოუღე და საიქიოში გაისტუმრე. დედაჩემი საცოდავად მარტოდ არის დარჩენილი. იმის თავიც აღარ მაქვს, რომ საცოდავ ქალს გვერდში ამოვუდგე და ვანუგეშო!...“ ირგვლივ მყოფ ადამიანებს გადახედა. ხანში შესული მონაზონი ქალი მიუახლოვდა. დიდი კელაპტარი მიაწოდა და უთხრა: „დაანთე, შვილო, შეევედრე უფალს და გზას აუცილებლად გამოგიჩენს. სანთლის დანთება როცა გინდოდეს, არ მოგერიდოს, მე სულ ტაძარში ვარ... მთხოვე და რამდენი სანთელიც გინდა იმდენს მოგცემ. ნუღარ იწვალებ, სანთლის ნარჩენებს ერთმანეთს ნუღარ გადააბამ“... ზურაბმა მადლიერების ნიშნად ქალს გაუღიმა, სანთელი გამოართვა და დაანთო. ივერიის ღვთისმშობლის ხატს შეხედა და ჩურჩულით უთხრა: „ჩემი შვილი, ჩემი გოგო დამიბრუნე, მეტს არაფერს გთხოვ!...“

***

„... შენზე საყვედური როგორა ვთქვა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე მინდოდა. ყველაფერი დამიჯერე. წინააღმდეგობა არ გაგიწევია. ჩემი ამორჩეული ქალი შეირთე ცოლად... ორჯერ ომს გადაურჩი,ჯერ აფხაზეთში,შემდეგ სამაჩაბლოში. ისე დამიბრუნა ღმერთმა შენი თავი ერთი განაკაწრიც არა გქონია!... ვინ იფიქრებდა, რომ შენს საკუთარ ოჯახში, ტყვიის გარეშე, შიგ გულში დაიჭრებოდი!... ოღონდ შინ დაბრუნდი, შვილო, და ყველაფერს თავიდან დავიწყებთ, ყველაფერს მოვუვლით, შენს გოგონასაც დავიბრუნებთ. ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ და კარგ ოჯახსაც შექმნი. თითქმის შენი სიგრძე სანთელი ჩამოვქენი ღვთისმშობელს დავუნთე, მჯერა, რომ დამეხმარება... ოღონდ შენი თავი დამიბრუნოს, მეტს არაფერს ვთხოვ... უფალო, გევედრები, ჩემი შვილი, ჩემი ბიჭი დამიბრუნე!...“ ფიქრობდა დილას, გარიჟრაჟზე გარეთ გამოსული ნენო და უაზროდ გაჰყურებდა უმამაკაცოდ დარჩენილ ეზო–გარემოს.

მონაზონი: იოანა ონიანი (დარიკო ონაინი)

სევდიანი მონატრება

უფლის ნებითა და წყალობით, წილად მხვდა რწმენის გამოცდა, ქმნის მოთმინება, განსაცდელის გადატანა, სულგრძელობისა და სასოების ქონის უნარის დაფასება.

45 წლის განმავლობაში, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლითაგანს, უარყოფითს ვებრძოდი და ვებრძვი, ვინაიდან, ჩემი პირველი ტკივილი: მწუხარება და სასოება შევისისხლხორცე 1975 წლის 29 ნოემბერს, მაშინ, როდესაც ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი მძიმე ხვედრი მშობლის დაღუპვისა. ჩემი არსებობის პერიოდში ყველაზე ძვირფასი დღეები და საათები იყო; ბედნიერი "მწყემსი გოგონა" სოფლის სხვა-დასხვა მეურნეობის საქმეს ვეწეოდი; დავდიოდი სკოლაში ... გავიდა დრო, გავხდი ასპირანტი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გავახარე მშობლები, და-ძმანი, განსაკუთრებით კი მამას უხაროდა. შემპირდა, რომ ჩემი ასპირანტურის დამთავრებას მთელს ქალაქს შეატყობინებდა: შამფურზე შეწვავდა გოჭებსა და ციკნებს. მაგრამ, ამაოდ. სამწუხაროდ, მხოლოდ ჩემს ასპირანტურაში ჩაბარებას მოეწსრო.

60 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. ეს ამბავი ჩვენი ოჯახისა და ნათესავებისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა, ვინაიდან ჩემი მშობელი მამა იყო სოფლის თავკაცი, სარწმუნოების ერთ-ერთი ქომაგი, ყველა მოსახლის-კომლის სულისა და ხორცის მკურნალი, ეს ყველაფერი გამოიხატა სოფელ ჩუკულის მთვარანგელოზის სახელობის ტაძრის ახალი ეზოს შეძენაში. ტაძრის ეზოში შეკრებილი იყო 9 სოფლის მკვიდრი. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, საკუთარი ძალისხმევით სამი ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი დაამტკიცებინა.

ჩვენთან,სვანეთში, კომუნისტების ვერაგობის გამო ყველა ეკლესია უმოქმედო იყო და, შესაბამისად, მოძღვარიც არ არსებობდა.

1975 წლის ივლისში, ასევე, ტრაგიკულად დაიღუპა დედის მამიდაშვილის შვილი-ჟორა ბაბლუანი. ის იყო ლენტეხის ღვინისა და საკონსერვო ქარხნის დირექტორი: საკუთარი მუშის გადასარჩენად ხუთასტონიან რეზერვუარში ჩავიდა. ამოყვანის დროს ,უჰაერობის გამო, სამწუხაროდ, ორივე დაიღუპა.

ჟორას წესის აგებისთვის სოხუმიდან წამოიყვანეს მოძღვარი, რომლის დანახვამაც მამაჩემში დიდი რწმენა და სიხარული გამოიწვია. წესის აგების დასრულების შემდეგ მოძღვარს სთხოვა, ეკურთხებინა ის ახალი სასაფლაო, რომელიც მან გამოაყოფინა მთავრობას. მოძღვარმაც ეს დიდი სურვილი სიამოვნებით შეასრულა.

ჰოი საოცრებავ,მოძღვრის მიერ ნაკურთხ სასაფლაოზე, პირველმა მამამ დაიდო სამარადისო ბინა.

მამაჩემი იმდენად კეთილი, თბილი და უბოროტო ადამიანი იყო, რომ მთელმა ლაშხეთმა განიცადა მისი გარდაცვალება და აწუხებდათ შეკითხვა, თუ, ვინ ჩაუდგებოდა სათავეში მულზონს პირიბეს დაღუპვის შემდეგ, ვინ განაგებდა და უპატრონებდა სოფლის სალოცავებსა და შემოსულ შესაწირავს.

მამა სანთელს მულზონის წევრებს უნაწილებდა, ახმარდა ტაძარს შესაწირს და გაჭირვებულებს ეხმარებოდა. გარდაცვლილებს შემოწირული სანთლით კელაპტრებს უმზადებდა და, ამგვარად, აცილებდა მიცვალებულს სამარის კარამდე. კომუნისტების პერიოდში ეს იშვიათი მოვლენა გახლდათ, ვინაიდან ყველა ერიდებოდა ტაძარში შესვლასა და ლოცვას.

ჩემო მონატრებულო მამა, ამ ორმოცდახუთი წლის განმავლობაში, ბევრი რამ შეიცვალა, არამარტო შენს მრავალრიცხოვან ოჯახში, არამედ სრულიად საქართველოში, ბევრი რამ უნდა

გამცნო, კერძოდ, შენს მიერ დატოვებული ხუთი შვილი, 13 შვილთაშვილი უფრო დავაჟკაცდა და დაფრთიანდა. ბევრი სიხარულიცა და მწუხარებაც ვიწვნიეთ უშენოდ: შენი პირველი სანუკვარი შვილიშვილი-რეზის სანატრელი შვილი, იაგული, შენი გარდაცვალებიდან ცხრა თვის შემდეგ დაიღუპა. ამ ამბავმა ყველა დაგვამუნჯა. საბედნიეროდ, მწუხარებას სიხარულიც ბევრი მოჰყვა უფლის ნებითა და განგებით: ცამეტი შვილთაშვილი დაგიოჯახდა და მათი მონაგარი შეადგენს ოცდარვა შვილთაშვილს. ასე ბედნიერად და ლაღად გავატარებდით ბავშვობას, რომ არა ის ამბები,რაც ჩვენს ოჯახს დაატყდა: დედა და შენი უფროსი ქალიშვილი-რეზი ერთდროულად გამოგვეცალა ხელიდან. მათ მიჰყვა ოლია, ჯამბული, ქელეშბი გახდონი, ია. მათ გარდაცვალებას იმდენი ტკივილი და სევდა არ მოჰყოლია, რამდენიც შენი შვილიშვილის,ფატიმას ვაჟის, 22 წლის ვაჟკაცის – გოგა წიკლაურის მოულოდნელ გარდაცვალებას. ყოველივე ეს ყველასთვის შეუხორ-ცებელი ჭრილობაა, განცდა მწუხარებისა და მწარე ტკივილისა. ძალიან ვწუხვარ და განვიცდი იმ ფაქტს,რომ ამ ავბედითმა ჟამმა არ გვარგუნა თქვენს საფლავებთან ერთდროულად აღდგომის მილოცვა: რეზისა და გახდონის საფლავი გარდაბანში, ოლიასა და ქელეშბის –თეთრიწყაროში, ჯამბულისა და იას – თბილისში, გოგასი-თიანეთში, თქვენ კი – სვანეთშია, შენს მიერ არჩეულ ად-გილას. ვაი, რომ, მშობლებო, თქვენს საფლავზე სანთლის დანთების საშუალება არ გვაქვს. დედა სულ იმას ნატრობდა, რომ შენს გვერდით დასაფლავებულიყო, ასეც მოხდა.

1987 წლის უბედურმა სტიქიამ სვანეთის მოსახლეობა საქართველოს სხვადახვა კუთხეში გაფანტა, მათ შორის იყო ჩვენი ოჯახიც. ჩვენი ოჯახი წყალტუბოში დაფუძნდა, რა თქმა უნდა დედასთან ერთად.

1998 წელს, როცა საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, 9 თე-ბერვალს მიიცვალა დედა და გადავწყვიტეთ, თავისი ანდერძის თანახმად, სვანეთში, მამის გვერ-დით დაგვეკრძალა. ვაი, რომ სამი წლის შემდეგ, ჩვენი სოფლის, ჩუკულის მთა ადგილიდან მოწყ-და და მთლიანად დაფარა სოფლები და ის ახალი სასაფლაო, სადაც თქვენი ნეშთი განისვენებდა..

ვწუხვარ იმის გამო,რომ დღემდე ვერაფრით მოხერხდა საფლავების მოძებნა და გასუფ-თავება.

ჩემო მონატრებულო მამა, შენმა ნაბოლარა შვილმა ამ ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ბევრი ეკლიანი და სევდიანი გზა განვლე: უშენოდ დავამთავრე ასპირანტურა, დავიცავი დისერტაციები, საკანდიდატო, სადოქტორო, გავხდი მეცნიერ-მუშაკი, დოცენტი, პროფესორ-აკადემიკოსი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ახალ-ახალი იდეების განმახორციელებელი, ერთ-ერთი უნივერსიტეტის, სრულიად საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, რექტორიც კი.. მაგრამ, ბოლოს ბედმა მიმუხთლა და 2012 წლის მარტში ჩემი ბედის ბორბალი სულ სხვანაირად დატრიალდა: მძიმე დაავადების გამო ლოგინს მივეჯაჭვე, დავკარგე ჯანმრთელობა, მხოლოდ მეტყველება და აზროვნება შემეძლო. სამი წლის შემდეგ, უფლის ნებითა და წყალობით, აღმკვეცეს მონაზვნად. აღკვეცის შემდეგ აღმიდგა სხეულის მოძრაობა და დღემდე ვცოცხლობ, ვარსებობ უფლის შემწეობით. უფალმა მომცა ძალა და ენერგია უფრო ღრმად ჩავფლულიყავი ღვთიურ, მართმადიდებლურ სარწმუნოებაში. ყოველთვის, ყოველ საათსა და წუთში თან მდევს უფლისა და ის მონაზვნური, ღვთიური მადლი, რაც უფალმა დაუწესა თავის მოყვასს. ერთადერთი ჩემი ოცნება და სურვილია, ვიყო უფლის მადლიერი, მოშიში, შემაძლებინოს შენს საფლავთან ახლოს დედათა მონასტრის დაარსება და ჩვენი მიტოვებული სალოცავების აღორძინება.

ამა წლის 21 იანვარს სრულდება შენი უსაყვარლესი რძლის, ია ქარდავას, გარდაცვალების წლისთავი.

ჩვენო მკურნალო, ულამაზესო, უსაყვარლესო, ერუდირებულო და ინტელექტუალურო, მხევალო, ყველას გვენატრები, ყველას გვახსოვხარ, ყველას გვაკლიხარ, განსაკუთრებით კი, დედას, შვილებსა და შვილიშვილებს, დედმამიშვილებს, ძმიშვილებს, მულიშვილებსა და

მაზლიშვილებს. ვიხსენებთ იმ ბედნიერ დროს, როცა ყველანი ერთად ვცხოვრობდით.შენ იყავი ყველას მშობელი და მფარველი. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდი ჩვენს მიმართ. შენ იყავი მოთმინების, სულგრძელობის, სასოების, სტუმართმოყვარეობის ეტალონი.

ჩვენ არასდროს დავივიწყებთ იმ ბედნიერ სტუდენტურ წლებს, რომლებიც შენს გვერდით გავატარეთ.

ვწუხვართ და განვიცდით ,ასე უეცრად რომ გამოგვეცალე ხელიდან.

მართალია, ძალიან დარდობდი, მაგრამ მაინც ნატრობდი საყვარელ მეუღლესთან (ჯამ-ბულისთან) წასვლას. გედარდებოდა შვილები და შვილიშვილები; ანდრია, გიორგი და საბა ჯერ ძალიან პატარები არიან და მეც ასე ნაადრევად რომ წავიდე, ვეღარ მოვესწრები მათ დავაჟ-კაცებას.

ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს შენმა სულმა შენს მეუღლესთან ერთად და იქ განისვენოს, სადაცა მართალნი განისვენებენ.

გვიყვახრარ, გვენატრები, გვაკლიხარ!

განსაკუთრებით სევდიანი, ტკივილიანი და მწარე წეილწადი შეიქნა შენი შვილიშვილის, ფა-ტიმასათვის. მისგან უეცრად წავიდა თავისი ერთადერთი, საამაყო, ულამაზესი, 22 წლის ვაჟკაცი, გოგა წიკლაური. ის იყო არა მარტო თიანეთის, არამედ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი და სტუდენტი.

ყველასათვის საყვარელი, მისაბაძი, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე პიროვნება.

მეხის გავარდნას ჰგავდა 2019 წლის 19 ნოემბერი, გოგას დაღუპვის ამბავი, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის.

ყველასთვის ტკბილ და, ამავდროულად, მწარე მოგონებად დარჩება გოგას ომახიანი ხმა, სიყვარულით სავსე, მხიარული გამოხედვა, ათლეტური აღნაგობა. ცისფერი თვალებიდან მუდამ სიკეთესა და სითბოს ასხივებდა. მოუშუშებელი ტკივილია გოგას დაკარგვა დედულეთისთვის, თითოეული ახლობელი ადამიანისთვის, ვისაც კი მასთან შეხება ჰქონია,

განსაკუთრებით მძიმე შეიქნა გოგას გარდაცვალება თავისი ჯგუფელის, ახლო ნათესავის-თვის, გიორგი ტვილდიანისთვის, რომელიც სვანეთიდან ყვირილითა და ზარის მოთქმით ჩა-მოვიდა. იგი მწარედ მოსთქვამდა მის დაკარგვას, იხსენებდა სტუმრობას სვანეთში და ამაყი იყო მისით.

ბედნიერები არიან ოლია და ქელეშბი, რომ შენს იმ ქვეყნად წასვლას, ფატიმას გამწარებას, ვერ მოესწრნენ.

მაგრამ, ჩემო გოგა, მათ ტკბილად ჩაგიხუტეს გულში ცათა-სასუფეველში.

ეს იყო ჩემი სევდიანი მონატრება იმ ადამიანებისა, რომლებიც ასე ძალიან დამაკლდა და ჩემს გვერდით ვეღარ ვხედავ!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თვქენი სულები, სადაცა მართალნი განისვენებენ. მე კი აქედან ვილოცებ თქვენი სულების საოხად!

შორენა მამალაშვილი

ტაშისკრობა 2021



ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ ტაშისკარში, 2021 წლის 27 ივნისს, ფესტივალი ,,ტაშისკრობა“ გაიმართა. ღონისძიება მიეძღვნა 1609 წელს ნაფეტვრებთან გიორგი სააკაძის სარდლობით მტერზე ძლევამოსილი გამარჯვების 412-ე წლისთავს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში რიგი მიზეზების გამო ,,ტაშისკრობის“ საზეიმო ღონისძიება არ ჩატარებულა, მიმდინარე წელს კი, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევით, კვლავ აღდგა ტრადიციული, ეროვნული დღესასწაული „ტაშისკრობა“.

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ(ზაზა) დუგლაძისა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ასევე, კულტურის სამსახურისა და საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით ,,სააკაძის წაბლთან'' გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხაშურისა და ქვიშხეთის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.

ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად, ფესტივალს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები, მათ შორის გახლდნენ ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, გულნაზ ხარაიშვილი, აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, მამა ამირან ამირანაშვილი და აკადემიის წევრი პოეტები: ეთერ ჭელიძე, შორენა მამალაშვილი, დავით ახლოური, სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე. აკადემიის პრეზიდენტმა, გულნაზ ხარაიშვილმა, სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა ფესტივალის მნიშვნელობაზე და განაცხადა, რომ აკადემიის მიერ გამოცემულ ჟურნალ ,,ათინათში" უფასოდ დაიბეჭდება გიორგი სააკაძისა და მისი ვაჟის, პაატას შესახებ დაწერილი ლექსები. მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი იყო პოეტ ეთერ ჭელიძის სიტყვით მიმართვა და ლექსი ,,სად გადაგმალო", რომელიც მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვა მსმენელმა.

სიტყვით გამომსვლელებს შორის იყვნენ ისტორიკოსები: ნიკო ხერკელაძე, ვაჟა ოთარაშვილი და სხვები, რომელთაც გიორგი სააკაძის, როგორც მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურის შესახებ ისაუბრეს და მისი ბიოგრაფიიდან საზოგადოებისათვის უცნობ ფაქტებზე გაამახვილეს ყურადღება.

სიტყვით გამომსვლელების შემდეგ ღონისძიება საკონცერტო სცენარით გაგრძელდა და ჩოხოსანთა ხმლებში გატარების ულამაზესი რიტუალით დასრულდა.

კლარა გელაშვილი
პოეტი; ფილოლოგიის დოქტორი;
დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი

„ტაშისკრობა 2021“

ა. წ. 27 ივნისს, სოფელ ტაშისკარში, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს ჩოხოსანთა ორგანიზაციის ინიციატივით, რომელსაც ზვიად სეხნიაშვილი ხელმძღვანელობს, გაიმართა ტრადიციული დღესასწაული ,,ტაშისკრობა''. ღონისძიება 1609 წელს, ქვიშხეთთან, ნახვეტარას ველზე გიორგი სააკაძის სარდლობით მტერზე ძლევამოსილი გამარჯვების 412-ე წლისთავს მიეძღვნა. ეს იყო ყველაზე მასშტაბური დღესასწაული რაც დღემდე, ამ თარიღის აღსანიშნავად, გამართულა სოფელ ტაშისკარში.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დღესასწაულის დამკვიდრებაში ლომის წილი მიუძღვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ყორანაშვილს. 2009 წლიდან იგი მეგობარ პროფესორებთან ერთად, რომლებსაც ხაშურში ყოველთვის უერთდებოდნენ ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი ბ-ნი თამაზ ლაცაბიძე და მისი თანამშრომლები, მოეშურებოდნენ ტაშისკარში, რათა აღუნიშნავი არ დარჩენილიყო საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი თარიღი. ამ ტრადიციის დამკვიდრებაში თავისი წვლილი შექონდათ ქვიშხეთელებსაც; გურამ ყორანაშვილის წამოწყებას ყოველთვის მხარს უჭერდნენ არაჩვეულებრივი წიგნის „ქვიშხეთი, ჩემი ქვიშხეთის“ ავტორები, კლიმენტი სუთიაშვილი და გივი გელაშვილი. ასევე – დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები. წელს კი ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ(ზაზა) დუგლაძის და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, კულტურის სამსახურის და საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ორგანიზებით, ,,სააკაძის წაბლთან'' გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხაშურისა და ქვიშხეთის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა. ღონისძიების ერთ-ერთი ხელშემწყობი გახლდათ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი, არაერთი ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ქ-ნი მაკა დიდებულიძე.



27 ივნისს, დილით, ტაშისკრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წირვა აღავლინა მეუფე სვიმეონმა. წირვის შემდეგ იქ მყოფმა საზოგადოებამ იმ წაბლის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, სადაც, ყირიმელ თათრებსა და ოსმალთა სამოციათასიან ურდოზე გამარჯვების შემდგომ, გიორგი სააკაძის ლაშქარმა ინადიმა.

საზეიმო კონცერტს ესწრებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე მოწვეული სტუმრები: საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოება; ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი ქ-ნი გულნაზ ხარაიშვილი და მისი წევრები (კახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე და ეთერ ჭელიძე); შიდა ქართლის მწერალთა რეგიონალური კავშირის თავჯდომარე დავით ახლოური. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან კურტანიძე; „სტუდია გუთნის“ დამაარსებელი, ისტორიკოსი ლექსო გელაშვილი. ასევე სტუმრები შიდა ქართლის დეპუტატის ბიუროს აპარატიდან: ქ-ბი: ნინო ლიპარტელიანი და ეკატერინე დუგლაძე; ხაშურის ინტელიგენციის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროდან; თანამშრომლები ხაშურის მხარეთმცოდნეობისა და დიმიტრი ყიფიანის მუზეუმებიდან; ამავე სახელწოდების ქვიშხეთის საჯარო სკოლისა და ხაშურის სკოლა- პანსიონიდან. ღონისძიება გაიხსნა სურამ-ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონის მისასალმებელი სიტყვით და ლოცვა-კურთხევით. საზეიმო კონცერტს უძღვებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთა გაერთიანების ხელმძღვანელი, ჩოხოსანი გია ბოლოკაძე. ერთმანეთს ენაცვლებოდა სიტყვა, სიმღერა, ცეკვა და ლექსი... სიტყვებით გამოვიდნენ ისტორიკოსები: ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი თამაზ ლაცაბიძე, თენგიზ ჩიტიაშვილი, ნიკო ხერკილაძე და პოეტი -ისტორიკოსი ვაჟა ოთარაშვილი. ჟურნალისტი მაყვალა ხაჩიძე. დამსწრე საზოგადოებისთვის სასიამოვნო სიახლე იყო ის, რომ მომღერალ დავით არჩვაძეს სისრულეში მოუყვანია გადაწყვეტილება ხაშურში საბავშვო მუსიკალური ანსამბლის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. და აი, „ტაშისკრობის“ დღესასწაულზე ანსამბლ „მოძახილის“ დებიუტიც შედგა; განსაკუთრებული აპლოდისმენტები დაიმსახურა ანსამბლის სოლისტმა ირაკლი კოჟორიძემ. ამ ნომრით, როგორც დავით არჩვაძემ აღნიშნა, პატივი მიაგო ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტის, ზურა ბაკურაძის ხსოვნას... გიორგი სააკაძის ბანერის ფონზე ღირსეულად წარმოჩნდა ოპერის მომღერალი, ქვიშხეთელი და ქვიშხეთის კულტურის სახლის აღზრდილი ლევან ტაბატაძე. სიმბოლური იყო ის ფაქტიც, რომ მან „ტაშისკრობაზე“ შესრულებული სიმღერა თავისი პედაგოგის, მურად ღონღაძის ხსოვნას მიუძღვნა. ღონისძიება

გაალამაზა ქვიშხეთის კულტურის სახლთან არსებულმა მოცეკვავეთა ანსამბლმა „მთაწმინდამ“ (ხელმძღვანელები: ალიკა ტაბატაძე და გიორგი ქალიაშვილი). ასევე- ხაშურში არსებულმა მოცეკვავეთა ანსამბლმა „ფრესკამ“(ხლმძღვანელი ელენე რატიანი). ქართული ხალხური სიმღერების სიდიადეს გვაზიარა გოგი შუბითიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა ხალხურ საკრავთა ანსამბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. ლამაზი ლექსისა და სიტყვის თქმის ოსტატებს რა დალევდა ქვიშხეთ-ტაშისკარში, მაგრამ ყველაფერს თავისი ფორმატი აქვს და ტრიბუნა მხოლოდ სტუმრებს დაეთმოთ... ღონისძიების დასასრულს, ცნობილი გახდა, რომ მეუფე სვიმეონის გადაწყვეტილებით სოფელ ტაშისკარში გაიხსნება ჩოხოსნების სადროშო, რომელსაც ტაშისკრის მკვიდრი ბ-ნი ბადრი ხაჩიძე უხელმძღვანელებს. ასევე – საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსნები გახდებიან მოცეკვავეთა ანსამბლ „ფრესკისა“ და მომღერალთა ანსამბლ „მოძახილის“ წევრები... ღონისძიებამ ქართული დროშების ფრიალის ფონზე ჩაიარა. სრულიად ქართული სულით გაჟღენთილიყო ჰაერი; პანდემიისა თუ ყოფითი პრობლემების შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებას ერთმანეთთან გამოთხოვება ეძნელებოდა... ბოლოს, როცა ჩოხოსნების მიერ ჰაერში გაელვებულ ხმლებქვეშ, ტაშის გრიალში, საპატრიარქოს ჩოხოსნებში მიღების კანდიდატები, მოცეკვავეთა ანსამბლი „ფრესკა“ და მომღერალთა ანსამბლი „მოძახილი“ გაატარეს, თითქოს დიდებული წარსული გაცოცხლდაო, საოცარი ძალა ვიგრძენით!... უძლეველი ჯიშის, გენისა და სისხლის ყივილმა გამოგვაფხიზლა...

გუგუნებდა მრავალჟამიერი და შრიალებდა ბებერი წაბლის ხის ფოთლები...

ფეხზე იდგნენ თვალში სხივჩამდგარი ბავშვები; იქნებ ბრძოლის ჟინიც ეუფლებოდათ ალაპლაპებული ხანჯლების ტრიალზე...ვინ იცის, იქნებ... მაგრამ ერთი კი ნამდვილად ვიცი, – არასოდეს დაავიწყდებათ ნახვეტარას ველზე გაჩაღებული ბრძოლა, გიორგი სააკაძე და ტაშისკრის ნადიმი...

არც -ეს დღე...დიადი წარსულის წინაშე მუხლმოყრილი ერი და ბერი...

კიდევაც დაიზრდებიან!...

მრავალჟამიერ, მამულო, ჩემო!...

გულნაზ ხარაიშვილი

სიზმარეთი

მესიზმრა: ბუმბერაზ მთებში დავდიოდი, დასალევ წყალს ვეძებდი. ისე მწყუროდა წყალი, ტყის შრიალიც კი, წყლის ხმად მეჩვენებოდა. ერთ ადგილს მივუახლოვდი, მეჩვენება? – არა... წყლის ხმა იყო ნამდვილად. გავიფიქრე, მივალ ცოტას ჩამოვასვენებ დაღლილ გულს და წყლის წყურვილსაც მოვიკლავ და მერე ისევ, დარდის დაუსრულებელ გზას გავაგრძელებ, რადგან შვილი მენატრება. აუცილებლად უნდა ვნახო. თუნდაც ერთი წუთიც საკმარისი იქნება, რომ მონატრების წყურვილი დავიოკო. მეათე წელია, არ მინახავს. მიკვირს აქამდეც როგორ გავძელი უიმისოდ. კლდეს მივუახლოვდი, ჩემს ფიქრთან ვსაუბრობდი, არც კი გამიგია ისე მივედი. პატარა წყლის მორაკრაკე წყაროს თავს წავადექი. ეს, ხომ ქაქიჩოს წყალია, ჭალვანის გზაა? – კი ის არის. იქვე ლამაზი თავჩაღუნული ახალგაზრდა იდგა, დადარდიანებულს ფერი სულ დაკარგვოდა. შემომხედა ლამაზი ბრიალა თვალებით. დავაკვირდი, ეს თვალები სადღაც მინახავს, მაგრამ სად? – კი, კი, უცებ აღვიდგინე მეხსიერებაში, ჩემს საყვარელ გოგონას, თამუნა მიქელაძეს ჰქონდა ფეისბუქში გაზიარებული. თამუნა წერდა, როგორ გავძლოთ უშენოდო? ასევე წერდნენ დებიც, არ დაგვტოვო შმაგიო! აქ, რატომ დამხვდა? ესე იგი ცოცხალია, ნეტავი მის დედას, ნეტავ, ტყუილი იყოს და ოჯახის ყველა წევრს დაუბრუნდეს კვლავ სიხარულის დღეები. ახალგაზრდა ძალიან წესიერი და მოწესრიგებული ჩანდა. გავესაუბრე, თავჩაღუნულმა მიპასუხა: – ახალგაზრდა მეუღლე დავტოვე ორ შვილთან ერთად და მარტომ როგორ უნდა აღზარდოს ბავშვები. მეცოდება დედა, მამა და ჩემი დები. იცით, იმიტომ მეცოდებიან, რომ ისინი ვერ მხედავენ, მე კი მათ ვხედავ, ორმოცი დღე დავტკბები მათი ხილვით, მერე კი წავალ უფალთან, სადაც უკვე მელოდებიან.

ტყეში ხმელი ფიჩხის ტკაცუნის ხმა მომესმა, თითქოს ჩვენსკენ ვიღაც მოდიოდა. შმაგიმ გაიხედა და დათაო დაუძახა. გაოგნებული ვუყურებ, ხან ერთს და ხან მეორეს. ვდუმდი... დათამ შმაგის გაუღიმა: – მე აქ ვარ! ხმას არ ვიღებდი. რას ნიშნავს, დათას ეს სიტყვა: შმაგი მე, აქ, ვარ.

დათა გატრიალდა, შმაგის მოაძახა: გაიცანი პოეტი ქალბატონია. შენ, რომ ლექსები მოგიძღვნა, გელას დედაა, ჩემი გელა ძიასი. შენ არ იცნობ, ორმოცი დღის შემდეგ, შეგხვდებით. არაფერი იჯავრო ძმაო, ჩვენ იქ, ვართ. მაგ ქალბატონს, კი შვილი ენატრება, ყველა გარდაცვლილს საკუთარი შვილივით მისტირის, ლექსებს უძღვნის. შინაგანად დარდის ცეცხლში იწვის. ისე, ძლიერი ქალბატონია, არაფერს იმჩნევს და ცდულობს თავისი კალმით უკვდავების ძეგლი დაუდგას გარდაცვლილთ. შენ რომ ლექსები მოგიძღვნა, მე უკვე ვისწავლე. როცა სამუდამოდ დამკვიდრდები, იმ, ლექსებს

მე წაგიკითხავ. ძალიან მიყვარს ლექსების კითხვა, აი, იმ ბეჟან ხარაიშვილის დაა, ჭალვანის საშუალო სკოლა რომ ატარებს მის სახელს. – დათა ისე სწრაფად საუბრობდა, სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი. გზადაგზა შმაგიზე მიძღვნილ ლექსებს იმეორებდა.

სხვა ადგილზე გადავიდა

(შმაგი ლომსაძეს)

ცრემლის წვეთი, შეერია სევდის ტალღებს,
სიმწრისაგან, მამა ღმუის, დედა ტირის...
ყინულები, ჭალვანის ტყეს როგორ დალღვეს,
ობოლ ბავშვებს, ჩამოსტირის სახე პირი.
დები, ძმის მკერდს ჩაკონილან, ცრემლ-გამშრალი,
მთები გლოვობს, ძირულა კი მიდის ზლაზვნით...
აღარ ომობს ავდრისათვის ქარიშხალი,
ემზადება წასასვლელად, ზეცის მგზავრი.
ცათა ვარსკვლავს, მიემატა სიკაშკაშე...
მნათობები კითხულობენ ვინ მოვიდა?
ღმერთი შვილობს, ,,შმაგისნაირ“ ღვთის ვაჟკაცებს,
რად დარდობენ, სხვა ადგილზე გადავიდა!

სულის დედები

(პირადად შმაგი ლომსაძის
მშობლების გასამხნევებლად)

უსასრულობა სულის სახლია,
უკიდეგანო, მიღმის სამყარო,
აქ, ტირიან და თავს ქვას ახლიან,
ამ დროს სატანა ჩუმად ხარხარობს.
მე შვილ გარდაცვლს მხოლოდ ესა მწამს,
რომ შვილის სული არ დავამძიმო,
გრდაცვალებულს, მხსნელად ღმერთი ჰყავს,
ცაში წასულნი ყველა არწივობს.
ხან ვარსკვლავებად იკაშკაშებენ,
ხან ღუღუნობენ როგორც მტრედენი,
ცას მზის სასახლეს აშენებენ და...
მათ უპატრონებს სულის დედები!

ხვანში და ჭალვანში

შეხედეთ ფიგურებს,
რომ არ თვლით არაფრად...
ქაფქაფა თეთრებს და
მზესაც რომ ჯობნიან.
შავ ღრუბლებს იცოცხლე,
უხვად აქვს ბარაქა,
ხვანში და ჭალვანში
წვიმად რომ მოდიან.
ცას რატომ მომრავლდა,
სულ ახალგაზრდები,
ხოხობი, არწივი,
გნოლი და კაკბები,
ნუ გიკვირს ბედო,
რომ ძალიან ვბრაზდები,
შენით ვარ, ნაჯიჯგნი,
ძაღლივით ნაკბენი.

არ გწყევლი, რადგანაც
თავს შენ არ გიტოლებ,
ცოდვა ხარ, რომ სძულხარ,
ალბათ მთელ მსოფლიოს,
ჩემს გულში ვინც არის,
არავის მიტოვებ,
მოიწი, მოგწმინდო
ბოროტი, ოფლიო.
ვიცი რომ მიხედავს,
სუყველას უფალი,
ივიკოს, ჩემს გელას,
შმაგის და დათიას,
მომშორდი, მე შეგან
ვარ თავისუფალი...
ცის სახლში ჭაბუკნი,
ვარსკვლავად ანთიან!

შმაგის კი თავისი ცოლშვილის და ოჯახის წევრების სურათები გაეშალა და დაღონებული დასჩერებოდა. კარგა ხანი ვიყავი გაოგნებულ მდგომარეობაში, ბოლოს ამოიხრა, მადლობა გადამიხადა და დამპირდა, რომ ჩემ შვილს ნახავდა და ჩემგან მონატრებულ მოკითხვასაც გადასცემდა.

მამლებმა იყივლეს, ნუთუ გათენდა, ღამე იყო კი? სიზმარში ვარ? კი სზმარში ვყოფილვარ, რადგან მამლები ყივის, გათენებულა.

დილით როცა გავიღვიძე, თვალწინ დამიდგა, ის მწარე დღეები, რაც თავს გადამხდა. მამა ილარიონ მიქელაძე, რომ მოვიდა, თავის დაიკო თამუნასთან ერთად და ჩემი შვილის ცხედართან ფიცი რომ დადო.

აი, მამა ილარიონის სიტყვები: გელა, ჩვენ ერთად გავიზარდეთ, სანამ მე ცოცხალი ვიქნები, ჩემგან ლოცვა არ მოგაკლდებაო. თამუნას კი ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები.

აი, რატომ ვნახე სიზმარი. სული არ კვდება. გარდაცვალება კი სიკვდილს არ ნიშნავს. მთავარია რწმენა – სიცოცხლე ორთავ ქვეყანაში გაგრძელდება.

გულნაზ ხარაიშვილი

პატარა გენიოსი

სვანეთის ბუმბერაზ მთებში, სადაც სულის სიმტკიცეა, სადაც იციან, მოყვასის დახვედრაც და მტრის გამასპინძლებაც, იბადებიან უფლის რჩეულნი. მთა მთას გასძახებს, – დილა მშვიდობისაო, კაცი ოჯახის დიასახლისს შესძახებს, ბალღებს მიმიხედეო და დილიდან საღამომდე, შრომაში აღამებს. არ, არის იოლი მთაში ცხოვრება. ხშირად დიდ თოვლობის დროს, გზები იკეტება და იმ მთაში მცხოვრებნი, ხშირად შიშსაც შეუპყრიათ. სვანები ასეთ დროს ყოველთვის უფროს თავკაცთან ერთად, ღმერთის სადიდებელ ლოცვას აღავლენენ. ერთ ლამაზ და მზიან დღეს სვანეთში, ერთ ჩვეულებრივ ჭელიძეების ოჯახში, არაჩვეულებრივი ბიჭი გაჩნდა. მას ვაჩე დაარქვეს. ვაჩე, ძალიან განსხვავებული ნიჭისაა, ჯერ სკოლაში არ არის მისული და კითხულობს, წერს და ჭადრაკს იმ დონეზე თამაშობს, ბევრი ნიჭიერი მოჭადრაჯეც დამარცხებული ჰყავს. მან „ვეფხვისტყაოსანი“ ზეპირად იცის, როგორც ქართულად ასევე სვანურად. თავისი ნიჭით და სიდინ-ჯით, ყველას ყურადღებას იპყრობს პატარა გენიოსი. სურათზე ვაჩე ისე ჩახუტებია ადგილის დედას, თითქოსდა ამხნევებს უსულო საგანს: – არ შეშინდეთ, თქვენ თავს, არავის დაუთმობო. მერე კლდეს შორდება და თვალით ზომავს, ზეცის ტოლ მინდვრებს რომლებიც ისე ახლოს არიან ცასთან თითქოსდა ერთად სძინავთ მთას და ზეცას გვერდიგვერდ. ბოლოს თავდაჯერებული თავის პაპიდასთან, ქალბატონ ნათია ჭელიძესთან მივა და უთქმელად აგრძნობინებს: – მე საქართველოს მხსნელად მომავლინა უფალმა. გავიზრდები და დაკარგულ ტერიტორიებს, დავიბრუნებო! თვითონ ნათია ჭელიძე, თავისი სიდინჯითა და სილამაზით ბევრი პოეტისთვის არის მუზა.

სხვა სამყარო ხარ,
რაღაც უცხო, უკიდეგანო,
ვარსკვლავთ ქვეყნიდან ჩამოსული,
ქალი ღვთაება...
მე ვისურვებდი,
მომავალი შენ დაგემგვანოს,
იყოს მშრომელი,
ლამაზი და არა თავნება.
დედოფალი ხარ,
უგვირგვინო, ვარდის სამოსით,
გაზაფხული ხარ,
სურნელოვან, ფერთა გამებით...

ბევრ ვაჟკაცს თამილ,
ალბათ, გრძნობით, ცრემლი ჩამოდის
და ზოგიც არის
სიყვარულით განაწამები.
ეტალონი ხარ, სიწმინდის
და გახლავს ღირსება,
სილამაზე კი, ვიმეორებ,
მზის სადარია...
ლოცვით, სასმისი სადაც არ ხარ,
იქაც ივსება,
შენი სიდინჯე,
გენიოსთა თანაბარია!

ობოლი ნაკვეჩხალი

ლამაზ ბუმბერაზ მთებში გაზრდილი, ყველაფერი სუფთაა და გემრიელი. ტყის მარწყვი, ზღმარტლი, სოკო და სხვადასხვანაირი ხილი და იქ გაზრდილი ბავშვების სულიც კი სუფთაა. სუფთა და უმანკოა მათი სიცელქეც კი. ამბავი, რომელსაც ახლა ვწერ, მე მეხება, როცა პატარა ვიყავი, სკოლაში არ დავდიოდი. დედმამიშვილებიდან, მე მესამე შვილი ვიყავი. ლევანი, თამაზი და მესამე კი მე. ვერცხლის წყალივით მოსრიალე და მოუსვენარი ძალიან ცელქი დედის დავალებებს, ფაცხაფუცხით შევასრულებდი და დილიდან საღამომდე, მდინარე ძირულის პირზე წავიღებდი წიგნებს და ვკითხულობდი. კითხვა და წერა, სკოლაში მისვლამდე მასწავლა ჩემმა უფროსმა ძმამ ლევანიმ. მთელი დღე ვაცხობდი ქვიშის ხაჭაპურებს. ყველის მაგივრად ქვიშის ცომს ქვებს ჩავულაგებდი და მზის ცეცხლზე ვაფიცხებდი. ძირულის პირზე ბრტყელ ქვებს

თეფშებად ვხმარობდი, ჩემთან მოსულ ფიქრის სტუმრებს (ჩემნაირ ცელქ ბავშვებს) მასპინძლობას ვუწევდი. როცა დავიღლებოდი, გავძახებდი იქვე ახლო მცხოვრებ ლენას და კლასობანას ვთამაშობდით. ფეხის თითები, ქვებით მქონდა დასისხლიანებული. ერთ დღეს, შეჯიბრი მოვაწყვეთ ვინ უფრო მაღლიდან გადმოხტებოდა ძირულის მორევში. ჯერ ხიდიდან დავიწითლეთ გვერდები, წყალში ტყლაშატყლუშით და მერე, სახელურზე გადავინაცვლეთ, აქაც გავიმარჯვე. ჰაერში ავტრიალდი და ღომა თევზივით წყალში გავუჩინარდი. არც შიმშილი მახსოვდა და არც სახლი, წიგნები იქ, მქონდა და გართობის ყველანაირ ხერხს ჩვენ ვიგონებდით. მამამ დამიძახა, ცოტახნით ამოდი შვილო სახლშიო. კარგი მოსაქმე ქალბატონივით, მამის გვერდში წამებში გავჩნდი. მამამ გენაცვალოს, დედაშენი სახლში არ დამხვდა, მეგობარი მოვიყვანე, აბა, დატრიალდი და სუფრა გაგვიშალეო. ჩქარა-ჩქარაში თეფშებს, სულ რახარუხი ავუყენე, ვცდილობდი მამის დავალება მალე შემესრულებინა და წყალში გავქცეულიყავი. ასეც მოვიქეცი, რაც კი ოჯახში გაგვაჩნდა, ხუთ წუთში მაგიდაზე აღმოჩნდა. მამის მეგობარი, თურმე გაკვირვებით მადევნებდა თვალს და ეს რა კარგი დიასახლისი დადგებაო, ხმამახლა წარმოთქვა. გამესაუბრა, მეც სხაპასხუპით ვუპასუხე, რადგან გზისკენ მქონდა თვალები, უნდა გავქცეულიყავი. ის, იყო, კარებიდან ფეხი გადავდგი გასაქცევად, სტუმარმა მთხოვა: – ბიძამც გჭირიმოს, ბუხრიდან, ერთი ობოლი ნაკვერჩხალი მომიტანეო. სწრაფად შემოვტრიალდი, ხის გამოჩორკნილი საკეცეთ ერთ დიდ მუგუზალს ხელი დავავლე და სტუმარს მივაწოდე. სტუმარმაც ნელა-ნელა მოუკიდა თუთუნის სიგარეტს და შემომხედა. შენ, ისე მარჯვე და ლამაზი გოგონა ხარ, ვიფიქრე როცა გაიზრდებოდი რძლად უნდა წამეყვანე. ახლა გადავიფიქრე, რატომ? ინსტიქტურად წამოვიყვირე ექვსი წლის ბავშვმა. რატომ და მამამთილს ცეცხლის მუგუზალი ეგრე უნდა მისცე პირში? გავიდა წლები, ეს ჩემი სიცელქის ისტორია გონებას შემორჩა და უკვე დიდ ასაკში მოვუყევი ეს ამბავსი ჩემს რძალ თინას. მაინც მაინტერესებდა, რატომ მივიღე საყვედური, მამას მოყვანილი მეგობრისგან. დედაჩემმა ყური მოკრა ჩემსა და ჩემი ბიძაშვილის ცოლის (თინას) საუბარს და ამიხსნა: – შვილო, ობოლი ნაკვერჩხალი ნიშნავს, სულ ცალკე რომ დევს თავისთვის ცალკე ობლადო. გულში ტკივილი ვიგრძენი, მას შემდეგ, უსულო საგანიც კი ობლად დარჩენილი მეცოდება. მე კი დავრჩი მამაჩემის მოყვანილი მეგობრის დაწუნებულ სარძლოდ!

ჭიჭიკოს მორევი

სახლი სადაც ვცხოვრობდი, ოც მეტრზეც არ იყო დაცილებული მდინარე ძირულის ნაპირებიდან. იქ, ჩარგულ კაკლებს, ერქვათ და ახლაც ჰქვიათ: კოლიას კაკალი. კოლია ბიძა, იყო ჩემი. პედაგოგ ბიძაჩემი კოლიას, ანუ (ნიკოლოზის) ხელში გავიზარდე. მათემატიკი ყავდა მეუღლე. ბიცოლა თამარა, ძალიან ნიჭიერი და კეთილი ქალბატონი იყო. დიდი სიყვარულის და ერთიანი გენეტიკური სისხლი გვაერთიანებდა ერთმანეთთან. მდინარის გასწვრივ, ახლაც არის, ლევის, ამირანის, ბეჟანის და თამაზის კაკლები. მათი პატრონები ზეციდან დაჰყურებნ თავის ხელით დარგულ ხეებს. თვითონ კაკლები კი მდუმარედ დგანან და ხან ყინვისგან ცვივათ მოჟარული ფოთლები და ხანაც კიდევ, ნაყოფს ისხავენ. მაინც რანაირია ადამიანის ბუნება. შემოდგომით, როგორი გამეტებით ურტყავენ საგანგებოდ ხელით გამოჩორკნილ ხალას, საცოდავ კაკლებს. კაკლებსაც ვერ გაუგიათ როგორ მოიქცნონ. თუ მოისხამენ, ცემენ. თუ, ერთი ორი წელი გავიდა და არ მოისხეს, დიდ ბირდაბირი ხერხი მიაქვთ და ძირში ჭრიან. ადამინები უმადურები არიანო, გულში ფიქრიბ მჯერა.

კაკლების გასწვრივ ერთ ადგილზე, საკმაოდ ღრმა მორევია, რომელსაც ჭიჭიკოს მირევს უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა. ფერდობზე შეფენილია აქ, იქ, სერზე მიმოფანტული სახლები. მათ სერელებს უწოდებენ. ზევიდან დედა შვილს, რომ გამოძახებს, სად ხარ? დაბლიდან ბავშვი პასუხობს. ჭიჭიკოს მორევში ვბანაობ. ნებისმიერი დედა, ნახევრად დამშვიდებული მიბრუნებულა სახლში, რადგან მთის ძირში, ძირულის პირში ჩვენ ვცხოვრობდით და უნდოდა თუ არ უნდოდა დედაჩემს, მაინც უხდებოდა ყველასთვის თვალყური ედევნებინა. მერე როცა დაუძლურდა, აივანზე იწვა, შუბითიძის ქალბატინი, შვიდი შვილის დედა და გაჰყურებდა, გზის დასარიელს. ერთ დღეს, ზედა უბნიდან, მანანა მაჭარაშვილი ჩამოვიდა საბანაოდ, მანანა ძალიან ლამაზი, ტანადი და მომხიბლელი ბავშვი იყო. გაცილებით პატარა იყო ჩემზე. ტანით და სიძლიერით კი, ჩემზე ყველანაირად კარგი. მე, ერთი ფურცელივით სიფრიფანა, კარჭიოტა თევზივით წელწვრილი, ბავშვი ვიყავი. ერთად ჩავედით წყალში, თან ტანსაცმელით. მაშინ ვინ გაშიშვლდებოდა, ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო იმ დროში. მანანამ ცურვა არ იცოდა, მე ოცდაოთხი საათი წყალში ვიყავი და ისე მიშვილა ძირულამ, არც ფეხს ვხმარობდი და არც ხელს, ისე ნაფოტივით დამაფარფატებდა ტალღები. საცურაო ადგილად

ჭიჭიკოს მორევი (ანუ მამაჩემის) სახელწოდების ადგილი ავირჩიეთ. იქ, წყალში ამოზრდილი დიდი ქვა ახლაც არის, ბანაობით დაღლილი ბავშვები, ჩიტის ბეღურებივით შემოვსკუპდებიდით ხოლმე საუკუნეებით მობინადრე ქვაზე. ქვის შიგნით იყო, კიდევ თვალთ უხილავი ქვა, რომელზეც დაღლილ მუხლებს ვასვენებდით და მაინც წყალი წელზევით გვფარავდა. ვიბანავე ავყევი და დავყევი მდინარის მოლივლივე ტალღებს. მანანა კი იჯდა ნაპირზე ბროლივით ფეხებს ამღვრეული წყალი უფარავდა. შემეცოდა ამღრეული წყლისთვის მისი ქათქათა ახეული და გულით ვთხოვე, რომ წყლის შუა გულში მომყოლოდა და იმ, ქვაზე დამდგარიყო, რომელიც წელს მაინც დაუფარავდა. არაო, მითხრა, მე კიდევ არ მოვეშვი და ჩემი ახირებული თხოვნა კინაღამ ორივე ბავშვის საბედისწრო აღმოჩნდა. მანანა, ცოტა ხნით მშვიდად იდგა ქვაზე. მერე უთხარი, ახლა მე იქით გავცურავ და შენ აქ, ამ წყლის შუა გულში გაჩერდი. კიო, თანხმობა მომცა, ოდნავ რომ გადავიწიე გასაცურად, კაბაში მომწვდა. აი, რატომ არ უნდა გეცვას ბანაობის დროს ფართხუნა კაბა. ფიზუკურად ძლიერი მანანა მომერია და მორევის ფსკერზე აღმოვჩნდით. გონება არ დამიკარგავს, არც შემშინებია, რადგან ნაპირი არ იყო შორს, ინტუიციით გავიყვანდი ნაპირამდე და ისევე შემატრიალებდა სიღრმისაკენ, რადგან მას ნაპირი იქით ეგონა. სანამ ჰაერი მეყო, ასე ვიბრძოლე, მდინარის ფსკერზე. ასეთი სვლა, ალბათ, ოთხჯერ მაინც მქონდა გაკეთებული და ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. გავიფიქრე, ვიხრჩობით და მოვახერხე, მდინარის მაღლა თავის ამოყოფა. მთელი ძალით დავიყვირე, გვიშველეთ. ყოველთვის სავსე იყო ძირულის პირი

ბავშვებით, იმ დღეს კაციშვილი არსად ჩანდა. ერთხელ კიდევ გავიბრძოლე და ვიღაცა მამაკაცის მკლავებში აღმოვჩნდი. მანანას მამა, გრიშა მაჭარაშვული. ის, მამაჩემის მეგობარი იყო, ერთ-ერთი უბნის ბრიგადირი ანუ მამაჩემის კოლეგა და მეგობარი. გრიშა ბიძიას, წამებში ორი ბავშვი ვეჭირეთ ხელში, თავისი შვილი მანანა მაჭარაშვილი და მეტიჩარა გულნაზი, რომელმაც კინაღამ, ჩემი ახირების მსხვერპლი გავხადე მისი შვილი და ჩემი მოუსვენარი თავიც.

ბედისწერა

მამაჩემი სოფლის ბრიგადირი იყო. დაუჯრებელია, მაგრამ რეალურად ასე მომხდარა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ბიძაჩემი ნიკიფორე ხარაიშვილი ომში წაუყვანიათ. ერთ თვეში ცნობა მოსულა, ერთ-ერთი საომარი ოპერაციის დროს დაღუპულა. ბებიაჩემს, ნერვიულობაზე, მუცელი ატკივებია და მამაჩემი ნაადრევი მშობიარობით, დაბადებულა. ბებიაჩემი მართა მახათაძე გარდაცვლილა. გაბოროტებულ ბაბუას, ჯერ პირადობა ჭიჭიკოზე გაუკეთებია და მერე, უფიქრია ცოლი მომიკვდა და ახლა ნიკიფორეს გავაცოცხლებო და მამაჩემისთვის პირადობა შეუცვლია. ასე გახდა მამაჩემი ნიკიფორე ხარაიშვილი. ომიანობის პერიოდში მამაკაცები თითქმის სოფელში აღარ ყოფილა. თვითონ ბაბუა ორჯერ ყოფილა სამამულო ომში. მერე მდინარე ძირულაზე, საკუთარი წისქვილი გაუკეთებია და იქ, იყრიდნენ თურმე თავს ახალგაზრდები. კოლმეურნეობა, რომ შემოვიდა გაუკულაკებიათ ბაბუა. მდიდარი ხარო. მაშინდელი კერძო წისქვილი, სიმდიდრედ ჩაუთვლიათ. მამაჩემი თექვსმეტი წლის ყოფილა და ბრიგადირად დაუყენებიათ სოფელში. ძლიერი ყოფილა, ჭიდაობდა და ვერავინ აქცევდა და თავის ტოლებში საკმაოდ ავტორიტეტულს, სოფლის ბრიგადირობა არც გაჭივებია. სოფელში კრამიტიც იჭრებოდა. სწორედ კრამიტის ქარხანაში იყო წასული, როცა მე და ლენა ხარაიშვილი, დედამ მამაჩემის დასაძახებლად გაგვზავნა. იქ, ხიდი იყო გასავლელი, მაგრამ დედამ მითხრა, დაუძახე შვილოო და მამა გამოგხედავსო. რაღაც აუცილებელ საქმეზე მამა სახლში უნდა მისულიყო. ახალი გაზაფხული იყო, ბუმბერაზ მთებიდან, თოვლი ლღვებოდა და მდინარე ძირულას უერთებოდა. ადიდებული წყალი, თითქმის ხიდს წვდებოდა. მამაა გავძახე, ჩემი ხმა ძირულამ წაიღო. სხვა გზა არ იყო, ხიდი უნდა გაგვევლო მე და ლენას, მამაჩემამდე რომ მივსულიყავით. ხიდზე შევდექით თუ არა თავბრუ დამეხვა და უკან გამოვბრუნდი. ლენა კი პირიქით, ორჯერ გავიდა და გამოვიდა. ბოლოს ხელი მომკიდა და ძალათი შემაყენა, ხიდზე. დავმორჩილდი, რომ მეგონა ფეხს სწორად ვადგამდი, მდინარეში გადამიდგია ფეხი და ხელიხელ-ხელ ჩაკიდებული გულწასულები წყალმა, აღმა დაღმა გვატარა და ნაპირზე

გამოგვრიყა. ბოლოს ტალღების ცემამ მოგვაფხიზლა. ერთმანეთს ხელი გავუშვით და წამოვჯექით. ფეხსაცმელი არცერთს აღარ გვქონდა. სული რომ მოვითქვით, სველი ტანსაცმლით მამას ვეწვიეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ სიცოცხლე გიწერია ყველგან გადარჩები. წარმოიდგინეთ, აზვირთებულ მდინარის ტალღებში ხელიხელ ჩაკიდებული, ორი პატარა გოგონა. სკოლაში არც ერთი არ დავდიოდით. მე, დედაჩემისგან ის, დავალება მქონდა რომ, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირთან, აშენებულ კრამიტის ცეხში მომუშავე მამასთვის უნდა დამეძახა. როცა მამას გავკიოდი, ჩემი ხმა აზვირთებულ, გაავებულ ტალღებს მიჰქონდა. ჩემთან შედარებით ლენა უფრო გაბედული აღმოჩნდა და საცალფეხო ხიდზე, ორჯერ გავიდა. შიში ძალიან ცუდია, არასოდეს, შიში გულს არ უნდა მიაკარო. შიშის ბრალი იყო, რომ მდინარის ტალღებში აღმოვჩნდით. არ გვეწერა დახრჩობა და გადავრჩით. ახლაც თვალებში მიდგას, მდინარისგან გამორიყული, თევზბივით მიწყობილი, პატარა, გულნაზი და ლენა!

რატომ ვტოვებ ლუკმას

ზაფხულის არდადეგებზე, ყოველთვის თავს ვიყრიდით შუშანა ბებიასთან. ჩამოვიდოდნენ თუ არა კალვათიდან, მისი შვილიშვილები ნათელა და ნაილი, შუშანა ბებია, იმ წუთში სახაჭაპურე ცომს წაზილავდა. გიორგი ბაბუა, ხმელ შეშას დაამატებდა ბუხარს და კეცებს ზედ გადაალაგებდა. სანამ თიხის კეცები გაცხელდებოდა, შუშანა ბებიას, ცომის გუნდებიც ამოღებული ქონდა, ნახევრად მარილიან ყველით გაავსებდა და გადააკრავდა, შეშის ცეცხლზე გახურებულ კეცებს. ათ წუთში, ხაჭაპური მზად იყო. დაგვიჭრიდა, დაგვაპურებდა და მერე გავიდოდით, ყვავილებით სავსე ეზოში. ეს ასე ხდებიდა, ზაფხულის არდადაგების პერიოდში. ერთხელ შუშანა ბებიამ, მე და ნაილი გელაშვილების უბანში მარუსა ბიცილასთან გაგვზავნა. რაღაცა გაგვატანა, აღარ მახსოს რა იყო. ისეთი პერიოდი იყო, თეთრ მსხვილ ბალს სიმწიფისაგან გადაპრიალებული ჰქონდათ მარცვლები. მარუსა ბიცოლამ, არ გამოგვიშვა, ბალი ჩამოგვიკრიფა და მოგვართვა. მე და ნაილის გარდა, სხვა პატარა ბავშვებიც გვახლდნენ, ჩემი ძმა ამირანი რომ იყო, ეს კი ვიცი. ბალი, წამებში თეფშიდან ასლაპეს ბავშვებმა. მაინც რა არის ბავშვის თვალი, ბალი ჩვენც ბევრი გვედგა ეზოში. მამაჩემი ტყეში სადაც მწარე ბალს ნახავდა, გაზაფხულზე ყოველთვის დანამყნიდა. ერთხელ შევეკითხე, მამა ასე რატომ აკეთებ, ტყეში ფრინველები, მწარე ბალს წუნობენ? მამამ მიპასუხა, შვილო, მგზავრი წააწყდება და პირს გაისველებსო. არა და მამას, თვითონ ბალი არ უყვარდა. არასოდეს არ შეუჭამია, რატომ არ ვიცი. ჩვენმა მასპინძელმა მარუსა ბიცილამ ცარიელი თეფში, რომ დაინახა, ამირანს უთხრა: მიდი გენაცვალე, ჩამოკრიფე კიდევო. ამირანი წამოხტა, ვედროს ხელი დაავლო და ბლის კენწეროში მოექცა. მიბდგვნა-მოლეწა ტოტები და და სწრაფად ოთახში გაჩნდა. მარუსა ბიცილამაც ისევ კულტურულად, წყალი გადაავლო ბალს და წინ დაგვიდგა. თეფში ისევ წამებში მოცარიელდა. მესამედ, რომ თეფშს ხელი მოკიდა ჩვენმა კეთილმა დიასახლისმა, ნაილიმ წამჩურჩულა. გულნაზ, გააფრთხილე, ეგ, დამშეული ბავშვები, თეფშზე, რომ შეჭამენ, ცოტა ბალი დატოვონ, ვითომ აღარ უნდათ. მაგათ, ხე რომ მოჭრან და წინ დაუდგან, მაინც არ ეყოფათ. მეც ბავშვებს, გადაუჩურჩულე ნაილის შენიშვნა. იმათმაც დამიჯერეს და თეფშზე ბალი დატოვეს, ვითომდა აღარ უნდოდათ. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა და ნაილის ეს მითითება, ისე ჩამრჩა მეხსიერებაში, არ არსებობს, თეფშზე ლუკმა არ დავტოვო. ახლა აქეთ ვიღებ, ახალგაზრდებისგან შენიშვნას, მოკლედ რა, ამან ხომ ყოველთვის, რაღაცა უნდა დატოვოს. რა არის ინდენი გადმოიღე, რამდენიც გინდა, ერთხელ შვილიშვილისგანაც მივიღე შენიშვნა. ახლა ნაილი ცოცხალი აღარ არის, ნაილი ხარაიშვილი – ხეთერელი, ეს მოგონება შენ მოგიძღვენი დაიკო. თვალწინ მიდგია, ის დღე როცა ეს მოხდა. ახლა უფალი ხედავს, როგორ მომწყდა თვალიდან ცრემლი, განა დაეცა? არა, დაო, ლუკმასავით შერჩა ჩემს სახეს. დილით კიდევ მტრედი, მოფრინდა კარგა ხანს იფრთხიალა, ეს კი, ნამდვილად შენ იყავი, მტრედის სახით გამომეცხადე. დავამთავრე თუ არა მოგონება, მტრედიც გაფრინდა!

თამარ სვანი-ნიჟარაძე იუბილარია

როცა ტკივილი შეგხვდება, სული თანდათანობით ძირს დალექვას დაიწყებს, ეს, რომ არ მოხდეს, ხორცს არ უნდა მისცე ზეიმის საშუალება. უნდა იბრძოლო, რათა სული იხსნა ტანჯვისაგან. სწორედ ეს, იყო მიზეზი, ამაყი სვანი ქალბატონის, რომ დაეტოვებინა შვილები და საზღვარგარეთ წასულიყო, რათა ობლებს ლუკმა ქონებოდათ. ოცდათორმეტი წლის ქალბატონმა, დარდის მდინარეში ვეღარ გაძლო და ეკლიან გზას დაადგა. მაინც რა არის დედაშვილობა, რას არ მოიფიქრებ, რომ შვილებს არაფერი მოაკლდეთ. წავიდა, დარდის მდინარეს გაცილდა და ნოსტალგიის ფიქრთან დასახლდა. გულმა ვერ გაუძლო ტკივილს და ლექსებად დინება დაიწყო სულის არეალიდან. დაგროვდა ცრემლიანი სტრიქონები და ემიგრანტმა ქალბატონმა ჩათვალა საჭიროდ, რომ წიგნად გამოეცა, ტკივილიანი განცდები. ეს ქალბატონ თამარ ნიჟარაძის პირველი პოეტური კრებულია. მკითხველი კრიტიკულადაც, რომ მიუდგეს, საგანგაშოს ვერაფერს დაინახავს. ეს წიგნი ,,ემიგრანტი ქალი“ მისი პირველი თოთო ნაბიჯია, რაც იმას ნიშნავს, თანდათან გაიმართება და დაიხვეწება. მე ღრმად მჯერა, რომ დაიმკვიდრებს ქართულ პოეზიაში ადგილს. ამჯერად ეს, მისი გულის ამოძახილია, რომელიც ფურცელზე გადმოიღვარა. ქალბატონ თამარს ვუსურვებ, პოეზიის მწვერვსლების დაპყრობას და სამშობლოში დაბრუნებას. ამჯერად ჭაშნიკად გთავაზობთ მის რამოდენიმე ლექსს.



ემიგრანტი ქალი

ფიქრმა გონება გაიტაცა,
დაფრინავს,
საქართველოს მთებში,
გილმა მონატრება გამოხატა,
დარდმა გადამტეხა წელში.
შენთვის ვილოცებ,
საქართველოვ,
ჩემთვის ხარ,
მარგალიტის თვალი...
იქნებ გაიტანო ლელო,
გლოცავს ემიგრანტი ქალი!

ჩემო სვანებო

მე ჯიხვ საუფლოდან ვარ, სადაც არწივი ყივის...
ხან ვუძლებ წვიმებს და ქარს, არ მეშინია ტყვიის.
ტაძრები ზეცის ტოლია, სეფედ სიწმინდეს ვფენ,
ხან ვარ, ცის მაგნოლია, იქ, მეგულები შენ.
სვანი ვარ, სიტყვით მტკიცეა, არ გაპატიებ ღალატს,
არც სიტყვა მითქვამს მყიფედ და...
არც სხვას არაფერს ვპარავ.
სისხლი სვანის მაქვს ძარღვებში,
ძლიერი, სუფთა, მტკიცე,
თუნდ ვიყო დარდის ძაძებში,
მიწას არავის მივცემ.

ასეთი სულის ქალბატონი, დღეს იუბილარია. იგი გახლავთ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა, მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი.

ობობას ქსელი

ობობას ქსელში გაბმული დედა ფუტკარი საცოდავად წრიალებდა, აბლაბუდებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა.

ფუტკარი იძულებული გახდა ბედს მინებებოდა, შრომას მიჩვეული მტრის ბანაკშიც არ ჩერდებოდა უქმად... დილიდან საღამომდე ყვავილების სურნელით გაჟღენთილ თაფლს აგროვებდა, მიმსვლელს მასპინძლობდა და რაც გადარჩებოდა, სახლში ატანდა ობობას მეგობრებს...

ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო, ყვავილებს თავი ჩაექინდრათ, ნიავი არ იძვროდა. ცას ლურჯი სამოსელი ეცვა, მცირე ღრუბელიც არსად ჩანდა, უეცრად გრიგალი ამოვარდა, ქარი ქვიშის გორგალს ბურთივით ათამაშებდა ჰაერში, ნაძვის გირჩები დაკოტრიალობდნენ მიწაზე, ხრამში გადაჩეხილი ვირის ლეშის სუნმა ჰაერი გააბინძურა, არასასიამოვნო ჰაერმა დედა ფუტკარს თავბრუ დაახვია, საცოდავ ფუტკარს ესღა აკლდა, ის ისედაც დამცირებული იყო ობობასაგან, ქსელში მოსული ქარიყლაპია თევზებისათვის უნდა მიერთმია სურსათ-სანოვაგე. ობობა რაინდობას მაშინ იჩენდა, როცა მდედრ ქარიყლაპია თევზებს მოუყრიდა თავს. ამ დროს ფუტკარს საშინელ დღეში აგდებდა: – შემომხედეთ, ეს მე ვარ, ობობა, ყველას მბრძანებელი! გაიძახოდა და ისინიც ქირქილებდნენ ფუტკარზე. ასეთი გართობები ხშირად ტარდებოდა, ამ დროს ფუტკარს გულისტკენის მეტი არაფერი ხვდებოდა.

ტყვეობაში ჩავარდნილ დედა ფუტკარს ცუდი ჰაერი სულს უხუთავდა, გზაზე მანეკენივით გათხუპნული ქალი გამოჩნდა, მკვდარი ვირი რომ დაინახა, სიხარულით ტაში შემოჰკრა, მშველებიაო, გაიფიქრა და სასწრაფოდ სახლში გაიქცა, პარკსა და დანას ხელი დასტაცა, ორ წუთში ვირის ლეშთან გაჩნდა, თავის ქალა დანით გაუხსნა, ვირს ტვინი ამოაცალა, სახლში წაიღო და მაცივარში შეინახა.

ლილიპუტა მანეკენი, რომელსაც სულში ბოროტების მეტი არაფერი ჰქონდა, ნადირობდა ისეთ მამრებზე, რომლებსაც თანამდებობები ეკავათ. შეეძლო ისე გაეტარებინა მათთან ღამე, ვითომდა მათ მეტი არავინ ენახა.

ერთ-ერთ წვეულებაზე ჩვენმა ნაცნობმა ლილიპუტამ ობობას ბუდესაც მიაგნო, თავი აიკეკლუცა, მიითხიპნ-მოითხიპნა სახე და ობობას ვირისტვინგადარეული კრემიანი ნამცხვარი მიართვა. ობობამ ნამცხვარი თვალისდახამხამებაში გადაყლაპა, ისედაც ქალების მსუნაგს ესღა აკლდა საცდუნებლად. იმ დღიდან ობობას მბრძანებელი გახდა ლილიპუტა, ამაყი ობობა კი ლილიპუტას ხელქვეითი. თავის ბოთე ქმარს კი ერთგულების ფიცით ასულელებდა. ლილიპუტამ დაიმეგობრა თავისი თანამოზიარენი: ხალიანი ელენე, ჯოხიანი ლილი, ბუშტივით გაბერილი კესარია, მაგრამ ლილიპუტას ვინ შეედრებოდა?! მას ამ საქმეში პროფესორის კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული და ზედმეტ სახელად "პროფესორას" ეძახდნენ.

ასე გადიოდა დრო, თვე თვეს მისდევდა. ლილიპუტა მიირთმევდა ფუტკრისაგან შექმნილ თაფლს. არა და ფუტკარს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა მისი შეგროვება. ახლო-მახლო ყვავილები არსად იყო, შორ მანძილზე უხდებოდა წასვლა. ერთხელ, როდესაც ნექტრით დატვირთული ბრუნდებოდა ობობას ბუდეში, წინ ხარირემი შემოხვდა.

- კეთილო ფუტკარო, საით გაგიწევია?
- ობობას ტყვეობაში მოვხვდი და იქ მივდივარ.
- ობობასთან რა უნდა შენნაირ ერთგულ და დოვლათიან ფუტკარს?
- აბა რა გითხრა, გრძელი ისტორიაა...

ხარირემმა ფუტკარი აათვალ-ჩაათვალიერა, შეეცოდა, მაგრამ უკვე ვეღარაფერს უშველიდა, ბედს უნდა მინდობოდა, სხვა გზა არა აქვს ეტყობა კეთილ მოყვარე ფუტკარს. ბევრი ფიქრის შემდეგ ერთი ღრმად ამოისუნთქა და ფუტკარს მიმართა:

- წაიღე ჩემი რქა, როცა გაგიჭირდეს მასში წყალი ჩაასხი, დალიე და მაშინვე შევიგრძნობ შენს გასაჭირს, იმ წამსვე შენთან გავჩნდები. ისე ობობას წარსული რომ იცოდე შენც შეგეცოდებოდა...

- რა წარსული ჰქონდა?... ჩაეძია ფუტკარი.

- ის, თავდაპირველად, თმახუჭუჭა ხვიჩა ბიჭად მოავლინა უფალმა, ახლა მას ეშმაკი აზის ბეჭებზე და აქეთ-იქით დაატარებს... ბოლოს იმასაც მიაღწია ეშმაკმა ობობად გადააქცია. დაიმახსოვრე: მე ბოროტების წინააღმდეგ ვიბრძვი, მაგრამ მარტო მიხდება ამხელა ტვირთის ტარება, ამიტომ დროის მიხედვით ვაგვარებ დაძაბულ ვითარებებს. შენ კეთილი ფუტკარი ხარ, შენ სიკეთისა და დოვლათის წყარო ხარ, ამიტომ უკანასკნელ მოთმინებამდე უნდა იბრძოლო, ეგებ სასწაული მოახდინო და ობობას თავისი სახე დაუბრუნო.

- არა, ამას ვეღარ შევძლებ, ლილიპუტამ სულ გადარია. კარგი წადი, დრო გვიჩვენებს ყველაფერს, მიგულე ერთგულ მეგობრად.

ფუტკარმა ამოიოხრა, გულდამძიმებული გაფრინდა ობობას ბუდისკენ.

აგვისტოს ცხელი ზაფხულის სიცხეში გაეხვია ირგვლივ მყოფნი, ობობას კარი გამოეღო და შესასვლელი საერთო კარები საგანგებოდ ჩაეკეტა. ოთახიდან ხმა გამოდიოდა, ფუტკარმა ლილიპუტას ბრძანების ხმა გაიგონა. მომაშორე თავიდან ეგ საზიზღარი ფუტკარი, ვეღარ ვიტან შენს ქსელებში რომ დაბორიალობს, თაფლი მე ვარ გენაცვალე, მაგის შექმნილი რაში გჭირდება?!

ობობას ოღონდაც ლილიპუტა გვერდით ჰყოლოდა, ფუტკარს კი არა მთელ ბუდეს დაშლიდა. ბოლოს ასე შეთანხმდნენ: ფუტკარი უნდა გამხდარიყო ლილიპუტას ხელქვეითი. ობობა ცეცხლის პარში ატარებდა ფუტკარს, მის თვალწინ სჯიდა, აბუჩად იგდებდა. აბა რა ექნა, ლილიპუტას ასე სურდა. დედა ფუტკარი გულში იკლავდა შეურაცყოფას და ცდილობდა როგორმე ტყვეობისათვის თავი დაეღწია. თუმცა იმასაც ფიქრობდა, ობობას ქსელში მომსახურეს სხვა ფუტკრები კარგი თვალით აღარ შეხედავდნენ. ყველაზე მეტად ის ადარდებდა, რომ ობობას ადრინდელი სახის დაბრუნება უკვე შეუძლებელი ხდებოდა, რადგან "პროფესორასთან" ჰქონდა საქმე, რომელიც ხუთს ერთად ისე ატყუებდა, რომ ყველასთან მართალი ის გამოდიოდა. სიმართლის დასადასტურებლად ცრემლების პირადობა ჰქონდა გამოყენებული. მაინც რა ოსტატურად იფრქვეოდა ლილიპუტას თვალებიდან ცბიერებით გაჟღენთილი ცრემლები! ჰოდა კეთილი ფრინველი ლილიპუტასთან რას გახდებოდა? ის ხომ "პროფესორი" იყო, სიყალბის.

ობობას ქსელის რაფაზე შემომჯდარი ფუტკარი ითხოვდა კარების გაღებას, მაგრამ თხოვნას ლილიპუტა და ობობა არაფრად აგდებდნენ, სიბინძურის განცხრომაში იყვნენ. "მანიკინა" კვლავ ახალ ბრძანებებს იძლეოდა: ჩაკეტე კარები და ფუტკარი თავისი ბარაქით მოისროლე აქედან... ათას ცხოველთან ნამყოფ ლილიპუტას ისე ლოშნიდა ობობა, გეგონებოდათ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი იყო მის გვერდით.

შეურაცხყოფილი ფუტკარი იდგა დაკეტილი კარების ახლოს, დამცირებული, გულნატკენი... ან რად ენანებოდა, რაღად ცდილობდა ქსელში შესვლას?! საბრალოს გაეშალა ფრთები და ეფრინა თავისუფლად! ვინ არ მიიღებდა, ერთგულსა და მშრომელს?! ნუ გაამტყუნებთ, მთელი წლის ნაამაგარი სკიდან, უკვე თაფლის უხვი მისავალი უნდა მიერთმია ობობასათვის.

ობობას ისე ასულელებდა ლილიპუტა, დაავიწყა: ხალიანი ელენე, ჯოხიანი ლილი და ყველა მდედრი ქარიყლაპიები, "პროფესორა" ჩამოჯდებოდა ფუტკრის მიერ შექმნილი დოვლათის ახლოს, ეგღა აკლდა ხელი გაენძრია და ეშრომა! შეითხიპნებოდა ათასნაირი საღებავებით, ამოითხლიშავდა თვალებს ტუშით, ობობა თავს დასტრიალებდა, შეღებილ თმებზე თავისი ხელით ასხამდა ლაკს, ითხიპნებოდა სარკე და ყველაფერი... ანდა რა ენაღვლებოდათ, ის სიბინძურე ხომ ფუტკარს უნდა გაეწმინდა! ძალიან ნუ გაამტყუნებთ ობობას ის ხომ სიყვარულის ცეცხლში იწვოდა, ამ საქმეში გამოცდილმა ლილიპუტამ კარგად იცოდა, როგორ უნდა დაენთო ობობას გულში გრძნობის ალი. მის საცდუნებლად თავისი შვილიც ჰყავდა ობობასთან მიყვანილი. მათ საუბრის ახალი ხერხი ჰქონდათ შემუშავებული, ობობა და "მანიკინას" ქალიშვილი თვალებით საუბრობდნენ ერთმანეთში. ლილიპუტა ობობას საცდუნებლად იმეტებდა ყველას და ყველაფერს, ოღონდაც ობობასათვის დაეტყუებინა ისეთი საბუთი, რისთვისაც წლები... შრომა და ნიჭი იყო საჭირო.

დაღონებული ფუტკარი გაფრინდა გაურკვეველი მიმართულებით. ბოლოს ძალიან დაიღალა და ერთი ხის ტოტზე ჩამოისვენა, საცოდავად ბზუოდა, გაახსენდა ხარირემის ნაჩუქარი რქა. იქვე ნაკადული მოჩუხჩუხებდა, აავსო ირმის რქა და დალია. ხარირემი იმწამსვე მასთან გაჩნდა:

- რა გაგჭირვებია, ჩემო კეთილო ფუტკარო?

- ვერაფერი ვუშველე ობობას, გული ისე მატკინეს თვითონ მჭირდება შველა...

- მიენდე ღმერთს, რწმენით ილოცე, მეც შენს გვერდით ვიქნები, არაფერი გაგიჭირდება. შენ როცა ობობასთან მეგულებოდი, არ ვჯავრობდი, ახლა მე უნდა მივხედო, ეშმაკმა როგორ უნდა გვაჯობოს ამდენ კეთილებს!

იმ ხესთან, სადაც ხარირემი და ფუტკარი საუბრობდნენ, მტრედი იჯდა და უსმენდა, გაიგონა საუბარი და მათთან მიფრინდა. ნუ დარდობთ, მეც დაგეხმარებით, ერთად ვიბრძოლოთ, იქნებ შედეგი გამოიღოს ჩვენმა შრომამ.

ხარირემმა დაამშვიდა ფუტკარი, ნუ დარდობ ყველაფერი გაირკვევა. ჩემი მიზანი ეს არის, რომ ყველაფერი მოვაწესრიგო, ახლა შევეცდები მივხედო ამ საქმეს. ობობა ლილიპუტას ახლა არ დათმობს, დრო დასჭირდება. მე კი ეშმაკებთან და უთავმოყვარეო არსებებთან მომიხდება შერკინება, მაგრამ ვიცი, რომ შევძლებ, მივაღწევ კეთილ მიზანს.

მტრედი სასწრაფოდ გაფრინდა ობობასთან. ობობა მხართეძოზე წამოწოლილი დახვდა, გვერდით არყის ბოთლი და გამხმარი პური, მაგიდას არასასიამოვნო ელფერს აძლევდა. სარკის მინები "მანიკინას" თმის ლაკით იყო შეთხუპნული, აქ სად მოვხვდიო – გაიფიქრა და უკან გამობრუნება არჩია. ობობამ თვალი მოჰკრა მტრედს და სასმელით გაბრუებულმა ამაყად შესძახა:

- რაზე შეწუხებულხარ, მითხარი ჩქარა, თორემ ჩემი მზეთუნახავი უნდა მოვიდეს და მოსაწესრიგებელი მაქვს ოთახები.

კარები გაიღო, ოთახში დაუკითხავად ლილიპუტა შემოძვრა მტრედმა იკითხა:

- ეს ვინ არის?

- ეს არის ჩემი მზეთუნახავი, რომელსაც ვანაცვალე ყველა და ყველაფერი.

მტრედმა საჭიროდ აღარ ჩათვალა იქ გაჩერებულიყო, უხმოდ დატოვა ობობა და მისი "მზეთუნახავი ლილიპუტა".

ამ ამბავმა ერთ-ერთ კეთილ ადამიანამდე მიაღწია, რომელსაც ფინანსური მდგომარეობა მოჭარბებული ჰქონდა, სასწრაფოდ გასცა ბრძანება:

- ისეთი თავგანწირვა სულიერი არსებისთვის, რასაც დედა ფუტკარი, მტრედი და ხარირემი აკეთებენ, პირველად დავინახე. გამოიყოს ჩემი ანგარიშიდან თანხა და გადაირიცხოს მათ ანგარიშზე, რათა დაარსდეს სკოლა, სადაც ასეთი კეთილშობილები აღზრდიან თაობებს.

ბრძანება ერთ თვეში შესრულდა, ხარირემი, დედა ფუტკარი და მტრედი სათავეში ჩაუდგნენ ამ წმინდა საქმეს და შედეგიც სულ მალე ამზიანდა მიწიერ სამყაროში.

ლილიპუტას მობეზრდა უთაფლოდ დარჩენილი ობობა, სასურველი საბუთი ხელში ჩაიგდო და ახლა სხვასთან მოსინჯა ნაცადი ხერხი.

გაძვალტყავებულმა ობობამ ბუდე შეიცვალა და სხვა ადგილზე გადაინაცვლა. მოაწესრიგა თავის ქსელი, ლილიპუტას ადგილზე სხვა უნდა მოეძებნა, ისე ვერ გაძლებდა.

ზამთრის სუსხიანი დღე იყო. დაბინდულ ფანჯრებს ყინვამ ათასნაირი ფიგურები დაახატა. ფრინველები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. ერთი ფრთამოტეხილი ჩიტი, რომელსაც ზედმეტსახელად "ჯღარკა" ერქვა, აქეთ-იქით დაფარფატებდა, ბოლოს, როცა სიმშილმა შეაწუხა, ერთ-ერთ შენობას მიაგნო და შიგ შეფრინდა. ეს სამფლობელო გახლდათ ობობას ბუდე.

ობობამ ჯღარკა ჩიტს უხვად დაუყარა სურსათ-სანოვაგე, რაც კი მოეპოვებოდა ქსელში მის პირში ნავლებ საჭმელს თვითონ ივლებდა პირში, ეს მისი ნაცადი ხერხი იყო. ამით უმტკიცებდა სიყვარულს ყველას, ვინც მის ბადეში მოხვდებოდა. სიტყვები დაზეპირებული ჰქონდა, ერთი და იგივეს იმეორებდა ყველასთან. უმართლებდა კიდეც და თავს ბედნიერად გრძნობდა. ჯღარკა ჩიტიც შეეჩვია ობობას.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ობობამ და ჯღარკამ დიდი რაოდენობით სასმელი დალიეს. ბოლოს სიყვარულის ქარცეცხლმა ისინი ერთ მასად აქცია. გამოფხიზლებულ ჩიტს უკვე სიკვდილი უნდოდა, რაღას იზამდა, ობობას ნაშიერს მის ორგანიზმში დაედო ბინა.

ლილიპუტას ისევ დასჭირდა ობობა. თავისი საქმეები რომ მოიკეთა, ახლა სხვებისთვის დაიწყო ზრუნვა. ლილიპუტამ თავისი ნაცადი ხერხით ობობას მოთვინიერება ისევ შეძლო და საცოდავი ჯღარკაც მოაშორებინა იქაურობას.

შეთხიპნულ-შეპუდრული ლილიპუტა კი დადის ერთი სუფრიდან მეორე სუფრაზე, შეზარხოშებული საღამოთი ბარბაცით მიათრევს მაკარონივით ფეხებს, სახლში მოსულ ქმარს ერთგულებას ეფიცება, თავს აცოდებს და დაღლის მიზეზად ოჯახურ საქმეებს ასახელებს. რა ქნას საცოდავმა, იმასაც შეხვდა ვირის ტვინის ნაწილი, სჯერა მაცდური მეუღლის. თუ რამე ცრემლი არსებობს ქვეყანაზე, ლილიპუტას თვალში ჩაგროვილა, ამ ცრემლებს ლილიპუტა "სიმართლის" დასამტკიცებლად იყენებს.

დედა ფუტკარი და მტრედი შორიდან ადევნებდნენ თვალს ობობას და ცდილობდნენ, რომ მისთვის ადამიანური თვისებები დაებრუნებინათ...

დედა ფუტკარი და მტრედი ცის ანგელოზთან გაფრინდნენ. ზეცაში დიდი რიგი დახვდათ. მცველს უამბეს თავისი ვინაობა, მცველმა კეთილი ფრინველები ურიგოდ შეუშვა ანგელოზთან.

ანგელოზმა დაინახა თუ არა დედა ფუტკარი და მტრედი, გაუღიმა და საპატიო ადგილზე მიიწვია. თქვენ მე თვალს გადევნებთ, იმაზე მეტ მადლს თესავთ სხვებისათვის, ვიდრე მე დამითესია ქვეყანაზე.

- კეთილო ანგელოზო, დაიწყო მტრედმა, შენ ხომ იცი ხვიჩა ბიჭი, დედამიწაზე რომ ცხოვრობს?

- ვიცი, ვიცი, სიბრძნის ტომები შექმნა. დიახ, მან მიწიერნი გააოცა, მასზე მონოგრაფიები შეიქმნა, სიცოცხლეშივე დაიდგა უკვდავების ძეგლი. ეშმაკმა ვერ აიტანა მისი წარმატებები, ამან მე როგორ უნდა მაჯობოსო და... ერთ-ერთ ლილიპუტა ქალს თავისი ხერხები ასწავლა. ის გამორჩეული არ იყო, არც ნიჭით, არც ფიზიკურობით, ეშმაკის სული არხეინად მოირგო. ლილიპუტამ ხვიჩა ბიჭს სულ აუბნია გზები. ის ისეთ შეცდომებს ჩაადენინებს, მიწაზეევე დარჩება, დაიწვება ის წიგნები, რაც მასზე შექმნეს მეცნიერებმა. ცაშიც მის სულს აღარ მიიღებენ, უნდა უშველოთ რამე.

- ამიტომ მოვედით შენთან.

- კარგი, რადგან თქვენში ასეთი მეგობრობა დავინახე, აუცილებლად დაგეხმარებით, გაფრინდით დედამიწაზე, თქვენი თვალით დაინახავთ ყველაფერს.

დედა ფუტკარმა და მტრედმა ზღვას გადაუფრინეს, მათ დაინახეს, რომ□წყალი საავსე იყო ვირებით, დამხრჩვალ ვირებს თვალები გადმოეკარკლათ... ლილიპუტას და მის ქალიშვილსაც ვირების ბედი სწვეოდათ. დამხრჩვალ სხეულებს ზღვის ტალღა ხან ერთ კლდეს ახეთქებდა, ხან მეორეს.

წვიმდა...

კოკისპირულმა წვიმამ ჩამორეცხა მთის ფერდობები. ბალახები მოცელილი თავთავებივით გაეკრნენ მიწის ზედაპირს. ქარბორბალა დატრიალდა და ნიაღვრით შეთხუპნული თოთო ღეროები კვლავ აფოფრილი ცხენის ფაფარივით წამოიშალა, ქვიშის მარცვლები აქეთ-იქით მიმოფანტა. ტყის ნედლი ნეშოს ფოთლები აწეწილი თმებივით ერთმანეთში აიხლართნენ...

ატალახებულ ბილიკზე მოხუცი მგზავრი ფეხებს ძლივს მიათრევდა, სული კბილით ეკავა, ბევრჯერ წაბარბაცდა კიდეც. ღმერთო მიშველე, არაადამიანური ხმით დაიღრიალა და ჩაიკეცა.

მზის სხივებმა გაკვეთეს ღრუბლების ფენა და მოალერსე სხივებით ააშრეს ნაწვიმი მინდვრები, აჭიკჭიკდნენ მერცხლები, ლამაზი პეპლებით გაივსო დედამიწა. ხარირემი, დედა ფუტკარი და მტრედი გონებაწართმეულ მგზავრს თავს დასტრიალებდნენ. მგზავრმა თვალები გაახილა, თითქმის აღარაფერი სტკიოდა... ეს ის ხვიჩა ბიჭი გახლდათ, ეშმაკს ობობად რომ ჰყავდა გადაქცეული.

სიკეთემ გაიმარჯვა, ამას დიდი დრო დასჭირდა, აქ ხარირმის დამსახურება მეტი გახლდათ, რადგან სუსტი ფრინველები აბა მარტო რას გახდებოდნენ!

ხალიანი ელენე და ჯოხიანი ლილი დედამიწაზე ხალხმა შეიძულა, მათთვის სიკვდილი□ბედნიერება გახდა, მაგრამ ისინი სიკვდილმაც დაივიწყა.

ხვიჩა ბიჭმა კვლავ დაიწყო სიბრძნის ტომებზე მუშაობა. ის უკვე ასაკით დიდი იყო, მაგრამ ოცი წლის ახალგაზრდის ენერგია დაუბრუნდა, ის მადლიერებით წერდა, სიკეთეზე, ფილოსოფიაზე, რასაც ერთგული მეგობრობა ჰქვია. მეგობარი სწორედ მაშინ უნდა გინდოდეს, როდესაც ის სწორ გზას ასცდება... ლხინის სუფრაზე ყველა სიმშვიდით გრძნობს თავს.

უფალი ამ ამბით გახარებული იყო, რადგან დედამიწაზე კვლავ სიკეთე იმარჯვებდა.

მანანა გორგიშვილი

პირველი დატირება

პირველყოფილი მშვენიერებით ბრწყინავდა ზღვის სანაპიროზე მდებარე წალკოტი, სადაც ყველანაირი ხილი და მცენარე ხარობდა. ამ წალკოტის ბინადართაგან ერთი წყვილი იტაცებდა მნახველის თვალს. მათ განაპირა მხარეს ერთი მოზრდილი ხის ქვეშ დაედოთ ბინა. ქალს მზისფერი თმა წელამდე სწვდებოდა, მის ცისფერ თვალებში კი ზღვის უკიდეგანო სივრცის იდუმალება იმალებოდა. ვაჟი ბრინჯაოსფერ ქანდაკებას მოგაგონებდა.

უზრუნველად და უშფოთველად ცხოვრობდნენ ამ წალკოტის ბინადარნი. კაცები სანადიროდ დადიოდნენ, ქალები ბავშვებს უვლიდნენ, სარჩო-საბადებელს აბინავებდნენ და საღამოს ნადირობიდან მათ დაბრუნებას ელოდებოდნენ. ყველას თავისი საქმე ჰქონდა და სიტყვის უთქმელადაც ხვდებოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ. მცხუნვარე მზე დაჰნათოდათ და წალკოტიც ხვავრიელად ასაჩუქრებდა მათ საკვებით. ნადირობიდანაც ხელხვავიანად ბრუნდებოდნენ კაცები.

ერთ რამედ ღირდა ნადირობიდან მობრუნებული, წალკოტის განაპირას დაბინა-ვებული წყვილის შეხვედრის ცქერა. საღამო რომ მოახლოვდებოდა ზღვისფერთვალება პატარა ბექობზე ავიდოდა და იქიდან საათობით გასცქეროდა გზას. როგორც კი მონადირეები გამოჩნდებოდნენ, სიხარულით და შეხვედრის ნეტარებით აღვსილი მათკენ გარბოდა. ვაჟიც შორიდან, როგორც კი თვალს მოჰკრავდა, ფეხს აუჩქარებდა და ჩამორჩენილთა ყიჟინას ყურსაც არ ათხოვებდა ისე გარბოდა იმ ერთადერთისკენ, ვინც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო და იმ პატარა წალკოტივით მის გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება.დრო გადიოდა. წალკოტი ჰყვაოდა და მასთან ერთად ამ წყვილის სიყვარულიც.

იმ დღეს კი თითქოს ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული დღე იდგა. წალკოტის ბინადარნი ჩვეული საქმეებით იყვნენ დაკავებული. ბავშვები ყიჟინით დარბოდნენ და პეპლებს და მწერებს დასდევდნენ, ქალები ჩუმად, უსიტყვოდ ფუსფუსებდნენ და თადარიგს იჭერდნენ ნანადირევის დასაბინავებლად.

ბექობზე კი ზღვისფერთვალება იჯდა. მუხლებზე თავი ჩამოედო, მზისფერი თმები წელზე ჩამოშლოდა, შორს სივრცეს გაჰყურებდა და აგერ უკვე რახანია ასე გაუნძრევლად ელოდა... მისი თვალები სივრცეში გაჭრილ სიმწვანეს მისჩერებოდა და ცდილობდა გაერჩია სულ უმნიშვნელო მოძრაობაც კი, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ისინი ბრუნდებოდნენ და მათ შორის ისიც, ის ერთადერთი, ვის გარეშეც მას ვერ წარმოედგინა ცისქვეშეთი. მართლაც გამოჩნდნენ, მძიმედ მოდიოდნენ, თითქოს ფეხები უკან რჩებათო. ზღვისფერთვალება აწრიალდა, წამოხტა და მათკენ გაიქცა. გული არ უთმენდა, არანაირ წინააღმდეგობას არ ეპუებოდა, თავგანწირვით გარბოდა, ტოტები სახეს უკაწრავდა და შიშველი ფეხისგულები ეწვოდა. ეს ტკივილი უფრო ახელებდა, რადგან სულ მალე იქ, შორს ის მიეგებება, გულში ჩაიხუტებს, დაკაწრულ სახეს დაუკოცნის და ყველა ტკივილს დაუამებს. განა არ ღირს ამისთვის თავგანწირვა?

ჰოდა, ისიც თავგანწირული მირბოდა მის შესახვედრად. ანაზდეულად რაღაც ენიშნა. უკვე საკმაო მანძილზე მიუახლოვდა, მაგრამ ის ერთი, რომელიც მუდამ წინ გამორბოდა მის შესახვედრად, ვერ დალანდა. გაუკვირდა. ნუთუ ვერ შემამჩნია. ჰო, ალბათ ვერ დამინახაო - გაიფიქრა და უფრო მოუჩქარა. სახე ეკლიანმა ტოტმა გაუკაწრა, მაინც და მაინც წინ შემოეფეთა დახავსებული ლოდი, წაიბორძიკა, მაგრამ წამითაც არ შეჩერებულა. ხელები ჰაერში გაასავსავა, იქნებ ასე მაინც დამინახოსო. აგერ, უკვე მათი სახეებიც გამოჩნდა. რაღაც მოქუფრულები მოეჩვენა. ალბათ ვერ ინადირეს, დარცხვენილები ჩანან.

-ოჰ, დიდი საქმე, ხვალაც ხომ წავლენ. ჩავეხუტები და ყველაფერს დავავიწყებ, - ფიქრობდა და გარბოდა თავგანწირვით. აგერ უკვე სულ რამოდენიმე ნაბიჯიღა დარჩა.

-ნუთუ კიდევ ვერ მხედავს? - ეწყინა, წამით გაიბუტა. - ასე არასოდეს არ უქნიაო, - გაიფიქრა და ისე ახლოს მივიდა მათთან, რომ მათი სახეები გაარჩია. თვალებით მას ეძებდა. ვერ დაინახა. ისინი მდუმარედ უვლიდნენ გვერდს. თავები ჩაეღუნათ და ხელით იქით, ბოლოში ანიშნებდნენ. იქ კი სახელდახელოდ მოწყობილ საკაცეზე ორ მონადირეს ის მოჰყავდა. უმალ მიეჭრა. არაფერი არ უთქვამთ, ისე დაასვენეს მიწაზე და შორიახლოს გაეცალნენ.

ჩაიმუხლა, შუბლზე ხელი დაადო, სიცივემ მთელი სხეული გაუყინა. გულში ჩაეხუტა, სახე დაუკოცნა, თითქოს სურდა, თავისი სხეულის სითბო მისთვის გაენაწილებინა. ერთხანს ასე იჯდა. ელოდა, იქნებ ჩემმა გულისძგერამ მისი გულიც გააღვიძოსო. რომ მიხვდა, ვერაფერს გახდებოდა მწარედ აქვითინდა.

ზეცას ახედა და მისი სიბრალულით თავჩაქინდრულ მონადირეებს თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდათ.

დიდხანს იტირა. ცამდე ადიოდა მისი გოდების ხმა. ეფერა და დაუკოცნა სახე, ხელები... მერე აწეწილი თმები გაუსწორა, ხელები გულზე დაუკრიფა, ჩაეხუტა. კარგა ხანს იყო ასე.

უკვე ბინდდებოდა, როცა წამოდგა. ჩამავალი მზის სხივები ემშვიდობებოდნენ სანაპიროს. ის კი მიდიოდა. ვეღარაფერს ხედავდა ზღვის გარდა. როცა წყალი ფეხებს შეეხო, გააჟრჟოლა, სიცივე ესიამოვნა, მისი სიცივე მოაგონა. მთელს ტანზე ნელ-ნელა ელამუნებოდა ცივი წყალი. სიამოვნებდა, რადგან მისი სხეულის სიცივეს აგონებდა.

მიდიოდა ნელა და როცა მისი მზისფერი თმები წყალმა დაფარა, მზის უკანასკნელი სხივიც წყალმა ჩაძირა.

მერაბ ზაქარიაძე



ჩემი დედიკო მოვიდა?!

{ნამდვილი ამბავი}

ოზურგეთში, ჩემს ქუჩაზე, ერთი გამორჩეულად ლამაზი წყვილი ცხოვრობდა. ქმარი: საშუალოზე მაღალი, სახეზე სწორი ნაკვთებით, განიერი, გაშლილი მხარ-ბეჭით. ცოლი: სახითაც მშვენიერი და შესაშური სილამაზის ტან-ფეხით. ქმარი გურული იყო, ცოლი გორელი, ქართლელი. დედაქალაქში სწავლის დროს გაეცნოთ ერთმაეთი. 1945წელს, ..27წელს დაბადებულები, ანუ 18 წლისანი არამც თუ ომში, ჯარშიც აღარ გაიწვიეს. ჩვენი მოთხრობის გმირიც ..27 წ-ში იყო დაბადებული და იღბლად ომსა და უბედურებას გადაურჩა. სამაგიეროდ თავისი უფროსი ძმა იბრძოდა. ჯერ ევროპაში გერმანელების წინააღმდეგ, მერე აზიაში იაპონელებთან. 1939 წლის პირველ სექტემბერს დაწყებული მეორე მსოფლიო ომი, 6 წლის შემდეგ, ..45-ის 2 სექტემბერს დამთავრდა როგორც იქნა და ისტორიას ჩაბარდა! პოეტ-აკადემიკოსის - ირაკლი აბაშიძის სიტყვებით, რომ ვთქვათ: ,,დედამიწაზე კაენის სულის აღზევებამ გადისრიალა!“ 6 წელი ითარეშა კაენის იმ აღზევებულმა სულმა, და თან წაიყოლა ორმოცდა ათ მილიონზე მეტი ადამიანის [მათ შორის, ვინ იცის რამდენი ბავშვის] სიცოცხლე. თავის ნაჯირითევზე კი დატოვა: დანგრეული, ქალაქები და სოფლები, ამერიკული ატომური ბომბებით მიწასთან გასწორებული, ხიროსიმა და ნაგასაკი. ატირებული შვილდაღუპული დედები, ცოლები, მოხუცი მამები და რა ვიცი კიდევ რამდენი უბედურება შეიძლება ჩამოთვალო?!

დაბრუნდა ომგადახდილი უფროსი ძმა სოფელში, რომ იტყვიან, რამდენიმე უმნიშვნელო განაკაწრით, ორი ორდენით და მედლებით მკერდსავსე. სოფელში მამაკაცების ნაკლებობა იყო და გახარებულმა თავჯდომარემ ბრიგადირად დანიშნა. ძმას საქმე გამოუჩნდა. - რახან ჯარში არ გაგიწვიეს, წადი და ისწავლეო! - უთხრა უმცროსს. წავიდა! დედაქალაქში ახლო ნათესავი არ ჰყავდა, რომ შეჰკედლებოდა. უნივერსიტეტთან შორიახლოს ისე, რომ ფეხითაც შეეძლო გადასვლა, ერთოთახიანი ბინა იქირავა და სწავლას შეუდგა. აქამდე დედაქალაქში არც იყო ნამყოფი. აქეთ-იქით ხეტიალს ერიდებოდა, ე მანდ, არ დავიკარგოო! თავისუფალ დროს ეზოში ჩადიოდა და ჭადრაკის თამაშით გართული, თავის ახალი მეზობლების პაექრობას აკვირდებოდა, მორიდებით. ერთი კვირა მაყურებლის სტატუსით იყო და, ალბათ, კიდევ დიდხანს ასე გაგრძელდებოდა, რომ არა, ეზოში მოთამაშე ბავშვებს, დიდი, წითელი ბურთი, შემთხვევით არ გადმოვარდნოდათ უფროსებისკენ. ბურთი ახტა, და ზედ საჭადრაკო დაფაზე დახტა! დაფაც ააყირავა და ფიგურა-პაიკებიც მიმოაბნია. აღშფოთებულმა უფროსებმა, ჯერ ბავშვები თათხეს და კიცხეს, მერე არა მე ვიგებდი არა მეო! ვერ შეთანხმდენ. თეთრები იგებდნენო!- თქვა ჩვენმა გურულმა ბიჭმა.

ახედეს:- შენ რა იციო?

-თეთრებს პოზიციური უპირატესობა ჰქონდათ, თუ მხედრით ითამაშებდნენ, ორ სვლაში ხარისხსაც იგებდნენ და მერე მით უმეტეს მოგებული ჰქონდათო.

შავებმა:- ტყუილიაო!

-თუ გნებავთ, როგორც იყო დაგილაგებთო! - დაულაგა. აქ, მხედარი, ამ სვლით, ლაზიერს ემუქრება, ლაზიერი უნდა გაერიდოს, მაგრამ ისე ვერ მიდის ეს უჯრა დაიცვას. მხედარი ჯერ პაიკს იგებს და ჩანგალია: ორიდან ერთი ეტლი იკარგება და მერე უკვე გამარჯვება ადვილიაო!

-ვინა ხარ კაცო შენო?!- ჰკითხეს.

-თქვენი ახალი, ოღონდ დროებითი მეზობელი. სტუდენტი ვარ და 5 წელი აქ ვიცხოვრებო!

-აბა, დაჯექი, ერთიო!

დაჯდა და სათითაოდ პანტა-პუნტით წამოჰყარა ყველა ზედ. განაწყენდნენ მასპინძელი მეზობლები, ზემოთ დაუწყეს, ვიღაცას ძახილი. ახალგაზრდა ბიჭმა გადმოიხედა.

-სასწრაფოდ ჩამოდიო!

-არ მცალიაო!

-გადადე, ყველა, არ მცალია და ჩამოდიო! - ჩამოვიდა: - არც ხანძარია სადმე და გულწასულსაც ვერავის ვხედავ, რა მოხდა რა იყოო?

-რა ღა რა? ამ ჯეელმა სირცხვილი გვაჭამა, დაჯექი ეზოს ღირსება დაიცავიო!- დაჯდა ხელი გაუწოდა და გაეცნო. ასე, საჭადრაკო დაფასთან გაიცნეს ბიჭებმა ერთმანეთი. იპაექრეს და დაზავდნენ. კიდევ ორჯერ ითამაშეს და ისევ მშვიდობიანი ყაიმი. რაკი ამანაც არ წააგო მეზობლები მაინც კმაყოფილნი დარჩნენ.

ზემოთ ავიდნენ. კარის მეზობლები აღმოჩნდნენ.

- ვერ მოგიგე, მაგრამ არც წამიგია და ეზოს ჩემპიონად მაინც მე ვრჩებიო!

-რომ მომენდომებინა შენც მოგიგებდიო!

-რატომ არ მოინდომეო?

-ყველას შენი იმედი ჰქონდა და რა სინდისითო?!

თავისთან შეიპატიჟა, დედა გააცნო. ქალბატონი ჩაით და ტკბილეულით გაუმასპინძლდა. სანამ აცივდებოდა ეზოში თამაშობდნენ, მერე ბინაში აინაცვლეს. აღმოჩნდა, რომ ორივენი ლექსებს წერდნენ. ერთმანეთს წაუკითხეს. კიდევ უფრო დამეგობრდნენ. ომი ახალ დამთავრებული იყო და ცხოვრება არ ულხინდათ დედა-შვილს. ჩვენს ბიჭს, მაინც, რაც შეეძლოთ ყურადღებას არ აკლებდნენ. არც ეს რჩებოდა ვალში. სოფლიდან გაგზავნილ სურსათ-სანოვაგეს მათაც უზიარებდა. კი უხერხულობდნენ, მაგრამ ზედმეტი არაფერი იყო. ერთი წლის შემდეგ ჩავიდა გორიდან დეიდასთან და დეიდაშვილთან ჩვენი ბიჭის მომავალი მეუღლე. პედაგოგიურზე დაიწყო სწავლა. მართალია, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე სწავლობდა, მაინც ექსპერტად ჩათვალეს ბიჭებმა და თავისი ლექსები წაუკითხეს. მკაცრი კრიტიკოსი გამოდგა გოგო. სასტიკად დაუწუნა ორთავეს შემოქმედება. გაბრაზდნენ ბიჭები და აღარაფერს აკითხებდნენ. მაინდა მაინც არც ის აძალებდა წამაკითხეთო! ბოლო დროს საჭადრაკო წარმატებებს აღწევდა ეზოს ჩემპიონი ჩვენს გურულ ბიჭთან. შემთხვევით მიხვდა რა იყო მისი წარმატების მიზეზი: თავისი დეიდაშვილის ოთახში შემოსვლა უფანტავდა გონებას მის მეტოქეს. გუნებაში გაეცინა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

გავიდა ის ოთხი წელიწადი. დაამთავრა ჩვენმა ბიჭმა, აიღო დიპლომი და უნდა წამოვიდეს სახლში. სასიყვარულო ლექსი დაწერა და მიუტანა გოგოს: - შეყვარებულს ლექსი დავუწერე და იქნებ ჯერ შენ ნახოო?

ნახა! მიხვდა ვინც იყო ადრესატი. არაფერი შეიმჩნია: - რა კარგი ჰქენი, ჯერ მე ,რომ წამაკითხე! არამც და არამც ეს შენს შეყვარებულს არ აჩვენო: შენც შესძულდები და ლექსიცო!

გაბრაზდა ჩვენი გურული ,,რომეო“ ნაკუწებად აქცია გოგოს თვალწინ ის ლექსი და თავის ბინაში შევარდა. დილამდე ბრაზმა გადაუარა. დაინახა ავტობუსის გაჩერებისკენ მიმავალი სატრფო და, მივიდა:- მიყვარხარ და ცოლად წამომყევიო! ვარგოდა თუ არა ის ლექსი შენ მოგიძღვენიო!

გაეღიმა გოგოს: მივხვდი, მაგას. კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ სანამ სწავლას არ მოვრჩები ვერ გავთხოვდები! პატარა ბავშვიანი, ვეღარ ვისწავლი და არ მინდა ოთხი წლის ნაშრომი წყალში ჩამეყაროსო!- ავტობუსში ავიდა. იქიდან ხელი დაუქნია ბიჭს.

გაფიცხდა გურული. დაჰკრა ფეხი და წამოვიდა. ერთხანს სოფელში იყო ძმასთან და მშობლებთან. ქალაქში გადაწყვიტა გადმოსვლა. ჩვენს ქუჩაზე ნაკვეთი იყიდეს და სახლის მშენებლობას შეუდგნენ. ააშენეს, გადახურეს. მერე შიგნით ოთახების მოწყობას შეუდგნენ.

გავიდა ერთი წელი. ისევ ჩააკითხა დედაქალაქში გოგოს, თავის დეიდაშვილთან. გაუხარდა მის მეგობარს: - შე, თათარო! ეგ არის საქმე? ერთხელაც არ ჩამოხვედი და არ მნახეო!

-შენ ჩამოსულიყავიო!

-მე რა პირით ჩამოვსულიყავი? გავიგე, ჩემს დეიდაშვილს, შენთვის ცოლობაზე უარი უთქვამსო! უყვარხარ, ძმაო, იმ გოგოს: ,,აქედან გორი შორია...!“ სიმღერაში კი მღერიან, მაგრამ ეგ კახური სიმღერაა და თან მაშინ შექმნილი, ხალხი ურმით, რომ დაიარებოდა! ახლა, გინდა მატარებელი, გინდა ავტობუსი, ერთ საათში გორში ხარ! მისამართს მოგცემ! ჩააკითხე, მოკიდე ხელი და წაიყვანე! ჩემს დეიდაშვილს შენნაირი კარგი ბიჭი, თუ შეირთავს, მაგას რა სჯობს? დამიმოყვრდები და მთლად კარგიო!

ჩააკითხა! -კიდევ გაქვს პრობლემები, თუ წამომყვებიო?!

წამოჰყვა. ერთხანს სოფელში იყვნენ. ერთი ოთახი,რომ გააწყვეს, ქალაქში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, იმ წელს. სტალინი, რომ გარდაიცვალა [1953წ.]. ერთ ოთახს მეორე მიუმატეს. მეორეს მესამე. ორთავემ მუშაობა დაიწყო. მოკლედ ყველაფერი კარგად იყო გარდა ერთისა: ბავსვი არ უჩნდებოდათ! დაიწყო ქალმა ექიმებთან სიარული. აქაურმა ექიმებმა, ერთადერთი სასარგებლო რაც გაუკეთეს ის იყო: დედაქალაქში სარეაბილიტაციო ცენტრის მისამართი მისცეს. ქმარიც წაჰყვა: -შენი დეიდაშვილი გაბრაზებული იქნება და შემოვირიგებო!

რაკი ქმარიც იქ იყო ისიც გასინჯეს და დასკვნაც დადეს: ქმარი პროდუქტიულია, ცოლია უშვილოო! - დაღონდა ქალი: - ჩემებთან ჩავალო! ერთად ჩავიდნენ. ერთი კვირის შემდეგ: - შენ წადი, მე ცოტა ხნით კიდევ დავრჩებიო! დარჩა. ორი კვირის შემდეგ წერილი მისწერა: - ორივენი რატომ უნდა ვიყოთ უბედური? აღარ ჩამოვალ! ეგ ორსართულიანი სახლი რად გვინდა, თუ შიგ ბავშვმა არ ირბინაო? შენ მაინც იყავი ბედნიერი, ვინმე სხვას მოიყვან, შვილები გეყოლება და გაიხარებო!

ჩააკითხა: - გარიგებით არ მომიყვანიხარ! სიყვარულით შეგირთე! მე ვინ ვარ? ილია ჭავჭავაძესაც არ ჰყოლია შვილი, მაგრამ მაგისთვის ოლღა გურამიშვილი არ მიუტოვებიაო! - ქმრის სიტყვები ალბათ გულს კი მოხვდა სასიამოვნოდ, მაგრამ პრობლემას რას უშველიდა? ლამის ძალით წამოიყვანა. კიდევ უფრო დასევდიანდა ქალი, სხვა, რომ ვერაფერი მოიფიქრა: - წადი, ვინმესთან გააჩინე ბავშვი, მოიყვანე და რაკი მეცოდინება შენია, საკუთარივით გავზრდიო!

გაეცინა კაცს: - პატიოსანი ქალი ჩემთან ბავშვს რატომ გააჩენს? და თუ გააჩენს რატომ მომცემს? უპატიოსნოსთან გაჩენილი მე რაში მჭირდება? ამ ქვეყნად არაფერი იმალება და არ მინდა მერე ვინმემ წამოსძახოს, ჩემს შვილს: შე იმნაირის შვილოო!

ქმრის ერთგულებაც სასიამოვნოდ დაურჩა ქალს, შეიძლება, მაგრამ რაღაც უნდა ეღონათ. ბავშვის აყვანა გადაწყვიტეს, თან გოგონაზე შეთანხმდნენ: - ბიჭი, ლოთი და ნარკომანი, თუ გამოვიდა რას ვუშველით? გოგოს, რაღაცას უფრო მოვუხერხებთ, თან სიბერეში ის უკეთესად მოგვხედავსო!

ერთი პერიოდი აქვე ეძებეს, უშედეგოდ, მერე დედაჩემმა ურჩია: - ზოგი უღირსი დედა შვილს გააჩენს და სხვას მიუგდებს. მოხუცდება საპატრონო გახდება და მერე ახსენდება მიტოვებული! მივა და ეტყვის შენი დედა მე ვარ, უნდა მიპატრონოო! თბილისში რამდენიმე ბავშვთა სახლია. იქ ობოლი ბავშვებიც ჰყავთ და მაგისგან დაცული იქნებით, ასე შორს არავინ დაუწყებს ძებნასო! - თურმე ისედაც აპირებდნენ. საბუთები შეგროვილი ჰქონოდათ. დედაქალაქში წასვლის წინ დღეს, ქმარს სამსახურში გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და ქალი მარტო წავიდა. ქმარმა: - თუ რაიმე ისეთი იყოს მიდეპეშე, ყველაფერს მივატოვებ და ჩამოვალო!

მივიდა ჩვენი მეზობელი ქალი ერთ-ერთ საბავშვო სახლში, {1957 წლის 14 სექტემბერი იყო} და თმაჭაღარა გამგე ქალბატონს თავისი საბუთებით წარუდგა. გადახედა ქალბატონმა საბუთებს, გაეღიმა: ქმარი ეკონომისტი, ცოლი მასწავლებელი, ორთავენი მომუშავენი. სამსახურებიდან დადებითი დახასიათებებით, ჯანმრთელობის ცნობებით, 29, 30 წლისანი. საკუთარი სახლით და ეზო კარ-მიდამოთი. -ასეთი სრულყოფილი საბუთებით აქ ჯერ, მგონი არავინ მოსულაო!

გაესაუბრა. მოეწონა მისი გარეგნობაც და დალაგებული საუბარიც.

-გვყავს ერთი ობოლი ბიჭი! საღი და ლამაზი, ძალზედ მოსიყვარულე ბავშვიაო!

-ბიჭი, არა, გოგონას აყვანაზე, ვართ მე და ჩემი მეუღლე შეთანხმებულიო!

-წაიყვანე, შვილო, ეგ ბავშვი, ენდე ჩემს გამოცდილებას, როგორსაც გაზრდი ისეთი გაიზრდება. შეიძლება ასეთი შანსი აღარც მოგეცეთო!

-ქმრის გარეშე ვერ გადავწყვეტო!

-ნახე რა კარგი ბიჭია, უსათუოდ მოგეწონება და თუ არა, ძალით ვინ გაგატანს? ამ სკამზე იმიტომ ვზივარ, ეს ბავშვები, რომ არიან აქ, მე თუ ეგენი, წამდაუწუმ აქეთ-იქით ვარიგე, მერე ვისი ან რის გამგე ვიყოო?- წყენა დაეტყო ხმაში გქმგე ქალბატონს.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა: -კარგი წამოვალ და ვნახავო!

კარებთან არ მისული გამგე შეჩერდა: -აქ იყავი, მოვიყვანო და კაბინეტიდან გავიდა. იქნებ ძალიანაც გარისკა ქალბატონმა გამგემ, მაგრამ ეტყობა მართლაც დარწმუნებული იყო თავის თავში და იცოდა რასაც აკეთებდა, ჰქონდა თავისი გამოცდილების იმედი. ხერხს მიმართა, მივიდა და უთხრა პატარას: -შენი დედიკო მოვიდა, სახლში უნდა წაგიყვანოსო!

- ჩემი დედიკო მოვიდაო?! - გაგიჟდა ბავშვი! ეცა კარებს. წლის და რვა თვის მოიყვანა აქ თავისმა ბებომ. ერთი თვის შემდეგ ის ბებოც გარდაიცვალა და მორჩა, აღარავის უკითხავს მისი ამბავი. სხვა ბავშვებს: ზოგს დედა აკითხავდა, ზოგს - მამა, ბებია, ბაბუა, მამიდა ან დეიდა. მხოლოდ მასთან არ მოდიოდა არავინ. ვინ იცის, როგორ სწყდებოდა პატარას გული. არ იცოდა რატომ არ მოდიოდა თავისი დედიკო. ჰკითხა აღმზრდელ-მასწავლებელს. იმანაც იფიქრა ასეთ კარგ ბავშვს აქ დიდხანს არ გააჩერებენ, ვიღაც იშვილებსო და: - შენი დედიკო შორსაა წასული, მალე ჩამოვა და აუცილებლად მოვაო! როგორ უსაშველოდ გაიწელა პატარა ბიჭისთვის ეს ,,მალე“ და აი, როგორც იქნა, მოვიდა მისი დედიკო! დედამიწის ზურგზე იმ წუთს, ალბათ არავინ იყო მასზე უფრო ამაყი! ხედავთ, არც ის არ ყოფილა ვინმეზე ნაკლები, მასთანაც მოვიდნენ! ჰო-და განა ყველას არ უნდა გაეგო ეს? გარბის და თან მთელი ხმით კიჟინებს: - დედიკო მოვიდა! ჩემი დედიკო მოვიდა! მისდევს აღმზრდელი და გამგე ქალბატონი. სხვა ჯგუფის აღმზრდელებმაც გამოიხედეს. ძვლივს დაეწივნენ: - მაქეთ არა, აქეთო! - თავის კაბინეტში შეიყვანა, აღმზრდელი მასწავლებელიც შეჰყვა.

არ ვიცი, პატარა ბავშვებს რამდენად აქვთ განვითარებული სილამაზის აღქმის

უნარი და შენიშნა, თუ არა, როგორი ლამაზი იყო ქალი, რომელიც კაბინეტში დახვდა. თუმცა ამისთვის ვის ეცალა? მთავარია ეს მისი დედა იყო, თავისი დედიკო!

ამ რამდენიმე ხნის წინ ერთმა პოეტმა ქალბატონმა მომწერა: -,,გურული კილო ქართული ენის ეშხი და ლაზათიაო!“ - სწორედაც! ჰო-და თუნდაც კუთხურობა დამაბრალონ მაინც გურულ სიტყვას ვიხმარ: მივარდა, ჩაეფჩხვნა კისერში! კაბინეტში სხვა მასწავლებლებიც შემოვიდნენ. გული გადაუქანდა ჩემს მეზობელ ქალს: ეგონა პატარა დაიმორცხვებდა და არ მივიდოდა. სულით-ხორცამდე შესძრა ბავშვის საქციელმა. მკერდში ჩაიკრა, ხეირიანად შეხედვაც ვერ მოასწრო, ხელები მაგრად მოხვია და თავადაც მთელი ძალით ჩაიხუტა! გული ამოუჯდა! სხვებიც ატირდნენ. ეს ამბავი ჩემს დაბადებამდე ერთი თვით ადრე მოხდა, ამიტომ რაც ჩემი თვალით არ მინახავს იმის უცილობლად მტკიცებას ვერ დავიწყებ, უბრალოდ ამბობენ, რაც იქ, იმ კაბინეტში ცრემლი დაიღვარა, რამდენიმე დღე მტკვარი ზღვასავით მლაშე მოედინებოდაო! თუ დაიჯერებთ ხომ კარგი? თუ არა და თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით. მხოლოდ თვალცრემლიანი თმაჭაღარა გამგე ქალბატონი იღიმებოდა კეთილად: გასჭრა მისმა ხერხმა. ერთი კი ამოილაპარაკა ქალმა: მომკლავს ჩემი ქმარიო! - მაგრამ ეს, რომ თანხმობას ნიშნავდა, ამას რა ლაპარაკი უნდოდა?

-წაიყვანე, შვილო, ეგ ბავშვი, ხომ ხედავ, რა ლამაზი და თბილია? მამა ავტოავარიაში დაეღუპა, დედას ნერვიულობაზე ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, ვეღარ გადაარჩინეს ექიმებმა. ბებიამ მოგვიყვამა აქ, მალე ისიც გარდაიცვალა. შეიძლება შორეული ნათესავები კი ჰყავს, მაგრამ აქ მოსვლით თავი არცერთ მათგანს შეუწუხებია. მოდავე არავინ გეყოლება. 60 წლის ვარ, მალე პენსიაში გავალ და აქ ვეღარ მნახავ. ჩემი ბინის მისამართს მოგცემ. თუ რაიმე ისე არ იყოს, მოდი და პასუხი მაგებინეო!

ძალიან ჭკვიანიცაა!- ჩაერთო აღმზრდელი მასწავლებელი,- ჯგუფში ერთი სუსტი ბავშვი მყავს, მაგაზე 3 წლით უფროსი. რამდენიმე თვე ვუკითხე და ვაზუთხე ,,სოსელოს“ ,,დილა” {,,ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“} როგორც იქნა ჩემი დახმარებით ვათქმევინე და: -ტაში დაუკარით

ჩვენს გოგონას-მეთქი, ვუთხარი ბავშვებს. ეტყობა ეს ტაშის დაკვრა მოეწონა, მოვიდა და მეუბნება: - მეც ,,იციო"! მაშინ ორი წლისაც არ იყო, ყველა ბგერას ვერც კი წარმოთქვამდა, მაგისთვის ჯერ ადრეა-მეთქი ვფიქრობდი და ერთ კუპლეტიანი ლექსიც არ მიასწავლებია. - შენ, რა იცი-მეთქი?! - ვკითხე გაკვირვებულმა. - ,,ლექციო"! არ დავუჯერე: - აბა, თქვი, ერთი, რა იცი-მეთქი. ისე სასაცილოდ მომიყვა, რ-ს და ს-ს ვერ ამბობდა, მაგრამ სამივე კუპლეტი ჩამირაკრაკა! უჭკვიანესი ბავშვია და უსათუოდ გაგიმართლებთო!

გაპირება ერთია და, ახლა, როცა თავის გულთან ბიჭუკელას პატარა გულის ფეთქვა იგრძნო, უკვე იცოდა: ეს მისი შვილი იყო! მშობელი დედა თუ ადგებოდა საფლავიდან და მოსთხოვდა:- დამიბრუნეო! - თორემ, სხვას? არავის ცოცხალი თავით აღარ დაუთმობდა!

წამოიყვანა. ჩამოვიდნენ. ქმარმა აივნიდან დაინახა ხელი-ხელს ჩაკიდებულნი და ზემოდან გადმოსძახა: - ქალო, გოგოს და ბიჭს სხვანაირად, თუ ვერ არჩევ, ჩაგეხადა შარვალი მაგ ბავშვისთვის და გენახა პასპორტიო! - გაუხარდა ქალს, მიხვდა ამით ამოიწურა ქმრის საყვედურები. ქმარმა ჭიშკარი გაუღო. შევიდნენ. 14 სექტემბერი, ძველ საქართველოში ახალი წლის დღე იყო და საეკლესიო კალენდრით დღესაც ასეა. არ ვიცი, 15 სექტემბერი 15 იანვარივით ,,ფეხადობას," რომ ეძახიან გურიაში, ადრე ის დღეც ასეთად თუ ითვლებოდა, მაგრამ ,,ბედნიერი ფეხი" კი შედგა ბიჭმა მათ ოჯახში.

- იცის ვინ ვარო?!- იკითხა კაცმა.

- კი, ვუთხარიო!
- მოხვალ ჩემთან? -ჰკითხა.

მივიდა.

- ჩამეხუტებიო?! - ჩაეხუტა. ცოლს მიუბრუნდა:- მე ამ ბიჭს კაცად გავზრდიო!

წაიყვანეს მეორე დღესვე: რა ტანსაცმელი, რა ფეხსაცმელი?! სამთვლიანი ველოსიპედი, ჩასაჯდომი ავტომანქანა, ბურთი თავისთავად და კიდევ უამრავი სათამაშო. ზეიმი ჰქონდა ჩვენს ბიჭს. მერე სოფელშიაც წაიყვანეს: ბაბუა, ბებია, ბიძა, ბიცოლა, სამი ბიძაშვილი, ყველა ეფერებოდა და საჩუქრებს ჩუქნიდა. გაოცდა ბავშვი. ცოტა უფრო დიდი ყოფილიყო, ალბათ იკითხავდა: - დალოცვილებო, ყველანი თუ ცოცხალი და საღ-სალამათი იყავით, აქამდე სად იმალებოდითო? ჩვენს ბიჭს ეს არ უკითხავს.

რა არის სასწაული? ალბათ, ის რასაც ჩვეულებრივი დედამიწისეული კანონები არ ესადაგება და ადვილად ვერ ახსნი. სხვანაირად ის რა სასწაული იქნება? მოხდა ეს სასწაული, მათ ოჯახში! შეიძლება არც არანაირი სასწაული ყოფილა, ქალმა მკურნალობა გააგრძელა და რომელიღაცა ახალმა წამალმა უშველა. ორი წლის შემდეგ ცოლ-ქმარს თავისი, ნანატრი გოგონაც შეეძინათ, 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას. იმ დღეს, ჩვენი ბიჭი 5 წლის გახდა. სვეტიცხოვლობას 1959წ. გურიაში კი არა, ალბათ, მცხეთაში, ტაძრის გარეთაც არ აღნიშნავდნენ, მაგრამ დღე კი სწორედ ეგ დღე იყო.

ბიჭმა თავი დაჩაგრულად არ იგრძნოს, არ იეჭვიანოსო! - ყურადღებას არ აკლებდნენ მშობლები არც უფროსს. ეტყობა უკვე გასული იყო იმ ასაკიდან, როცა უფროსი ბავშვები ეჭვიანობენ, თავიანთ უმცროს და- ძმებზე. ის კი არა და როცა დედა სადილს ამზადებდა აკვანთან თავად იჯდა და ურწევდა პატარა დას. და როცა ერთხელ 6 წლის ბიჭმა დედისგან მოსმენილი იავ-ნანა უმღერა თავისი წკრიალა ბავშვური ხმით, ერთი წლის დაიკოს, ამჯერად ჩვენი ქუჩის გასწვრივ, მისგან 50-იოდე მეტრში ჩამდინარე მდ. ნატანებში მოიმატა მარილიანობის დონემ. წამოიზარდნენ. ბიჭი უფრო დინჯი ბავშვი იყო, ეტყობა აღმოსავლური გავლენით, გოგო უფრო ახტაჯანა. ერთი სასაცილო ამბავი სჭირდა კუდრაჭას: როცა გამოტეხვა უნდოდათ, დააფიცებდნენ: - ჩემს ძამიკოს ვფიცავარო! თუ იტყოდა ცამდე მართალი იყო! აი, ტყუილზე, რომ მოგეკლა, ძმის სახელს ვერ ახსენებინებდი. ჰო-და ბაც! გამოჭერილი იყო ტყუილში ცუგრუმელა. მერე გაზრდილს თავად ეცინებოდა: - ვერაფრით ვხვდებოდი რა გულთმისანი მშობლები მყავდა, ასეთი, ტყუილში მუდამ უშეცდომოდ, რომ მიჭერდნენო!

აასრულა მამამ დაპირებული: კარგად გაზარდა ბიჭი. აკაკი წერეთელი, რომ ამბობს: მარტო წვრთნა, რას უზამს თუ ბუნებამც არ უშველაო! - იმ ბუნებამაც უშველა.

იმ დროს ქალაქის ცენტრში მდებარე სკოლა ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდა. კომუნისტური ნომენკლატურისა თუ თანამდებობის პირთა შვილები, ყველანი იქ სწავლობდნენ. ჩვენი ბიჭიც {დედამისი იმ სკოლაში, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა} იქ სწავლობდა. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე. ჩამოვიდა. ანასეულში სამეცნიერო - საკვლევ ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. დაუსწრებლად ასპირანტურაც დაამთავრა და საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. მომავალი მეუღლე იქ, სამსახურში გაიცნო. დაქორწინდნენ. ქალ-ვაჟიც ეყოლათ. მერე დაც გათხოვდა.

იქნებ სადოქტორო ხარისხიც მოეპოვებინა, მაგრამ ქვეყანა აირია. ყველაფერი თავდაყირა დადგა და სამეცნიერო ხარისხის საძებნელად ვის ეცალა? ლუკმა პური გახდა საძებნი. ავი და კარგი დროც ერთნაირი სისწრაფით გადის. ერთი კარგი და სასიკეთო მაინც მოიტანა ახალმა დრომ: ეკლესიაში სიარულს აღარავინ უშლიდა ხალხს. 2005 წელს, სამოქალაქო ქორწინებაში მყოფ მშობლებს ეკლესიურადაც დააწერინა ჯვარი შვილმა. ტაძრის დეკანოზმა, მამა ბასილმა მეჯვარეები მოვიდნენო, - მოითხოვა. 55წლის წინ, საქორწილო მაგიდასთან, რომ ხელისმომკიდეები ჰყავდათ, არც ერთი აღარ იყო ცოცხალი. რა ვქნათო, მიმოიხედეს. შვილმა დამინახა და გაუხარდა: - ე , ბიჭო მერაბა, ტყუილად ხარ ჩემი ძმა და მეგობარი? მიშველე დაუდექი მამაჩემს გვერდითო!

გამეცინა: - მე კი დავუდგები, მარა თავად ისურვებს-თქვა?!- გამომხედა ნეფემ:

მეფე კი ვარ, მარა მონარქი, ხომ არა? დადექი აქ! ეგეთი რა გჭირსო?

-შენს მტერს მე, რომ მჭირს! ხომ იცი, სამნაცოლევი ვარ და ჩემი ბედი, რომ დაგებედოს, რას შვრები მერე?!- ვკითხე სიცილით.

მასაც გაეცინა: - 78 წლის ვარ. აი დედაბერი აგერ, ახლა რომ ჩამაკვდეს ხელში, მერე თუ კიდევ იმდენს ვიცოცხლებ, კიდევ ორ ქალს მოვინელებ კი ღირს გარისკვად! იდექი მანდო! პატარძალმაც შეიფერა: - მგონი დავიღუპე! ოღონდ ეგ არა და სხვა ვინც გინდა ისო!

-კაი, ბატონო! თუ არ გინდივართ, მარა ის მაინც მითხარით, რომელ სასაფლაოზე მარხია, თქვენი ხელისმომკიდე. წავალ, გავიქცევი, ჩავძახებ საფლავში: - ადექი, წამოდი, ჯვრისწერაზე გეძახიან- თქვა!

ან მე რომელი მიცვალებულის საფლავიდან წამომყენებელი ვიყავი?! და არც იმათ, ჰქონდათ, დიდი ასარჩევად საქმე, შევრჩი ჩემს ტკბილ მეზობელს მეჯვარედ. ახლა პატარძალს რა ვუყოთო? მამა ბასილმა იპოვა გამოსავალი: მესასანთლე ქალს დაუძახა: - შენ პატარძლის მეჯვარე იქნებიო! გაეღიმა ქალბატონ მაიას და ხალისით იკისრა პატარძლის მეჯვარეობა. ასე სიცილ-კისკისში, ოღონდ წესების სრული დაცვით დავწერეთ ჯვარი. მამა ბასილმა ჩვეულებას არ უღალატა: დალოცა და დაუმატა: აბა, თქვენ იცით, 12 ბიჭი და 12 გოგოო! კაი 25 კაციანი, ოქროს ქორწილის სუფრასთანაც მოვულხინეთ. ამერიკაში წასული ქალიშვილი შორიდან, კომპიუტერის მონიტორის საშუალებით, ესიყვარულებოდა მშობლებს. მისი გამოგზავნილი ფულების წყალობით იყო: ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას.

კიდევ 5 წელი იცოცხლა ჩემმა მეზობელმა და 2010 წელს 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერთი წლისა და ერთი თვის შემდეგ, იმავე ასაკში ცოლიც შეუერთდა იმ ქვეყნად წასულ ქმარს. საკმაოდ სოლიდურ ასაკში, ვალმოხდილნი, ბედნიერნი წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ისევ შორიდან დაიტირა მშობლები ქალიშვილმა. კვლავ მისი დახმარებით, გადაუხადა ორივე მშობელს ვაჟიშვილმა ქელეხი. მორწმუნე კაცი იყო და სადა, მაგრამ კოხტა სასაფლაო გაუკეთა დედ-მამას. რამდენიმე თვის წინ თავადაც, იქვე, მათ გვერდით ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. მანამდე 2014 წელს ქალიშვილი გაათხოვა. 2015წ-ში ბაბუაც გახდა. მზახალმა: - ჩემს შვილიშვილს ჩემი გვარი, რომ ექნება, ჩემთვის ეგეც კმარა! საკუთარი სახელი ალისტრახო ჩემთვისაც არ მომწონს, ერთი უბრალო შოფერი კაცი ვარ, მეორე ბაბუას სახელი საქართველოში, ლამის ყველა მეორე კაცს ჰქვია, მეცნიერი კაცია, ბიჭს მისი სახელი დაარქვითო! დაარქვეს.

ბოლო ხანებში თავის ტკივილებს უჩიოდა. გვიან მივიდა ექიმთან. სასწრაფოდ თბილისში წადიო! წავიდა. თავის ტვინის სიმსივნე დაუდგინეს და ოპერაციის გაკეთება შესთავაზეს. რძალი მულს, რომ დაელაპარაკა და უთხრა შეიძლება ოპერაცია ვერ გადაიტანოსო! ამჯერად ვეღარ

გაუძლო გულმა, ორ დღეში ჩამოფრინდა და ოპერაციისთვის საჭირო თანხაც ჩამოიტანა. საავადმყოფოში, როგორი იყო და-ძმის შეხვედრა? იქ არ ვყოფილვარ. შეგიძლიათ, თავად წარმოიდგინოთ. სანამ საოპერაციოდ გაიყვანდნენ, ვაჟმაც დიდი სიურპრიზი მოუწყო: პალატაში ლამაზი გოგო მიუყვანა და უთხრა: - კარგად, რომ გახდები, რძალი შეგიძლია დაუძახოო! თვალებში ცრემლები ჩაუდგა: - ცუდი წინათგრძნობა მაქვს, შეიძლება ვეღარ გამოვიღვიძო. კი მინდოდა ორი ჭიქა ღვინის დალევა შენს ქორწილში, მაგრამ, რახან შენს ბედნიერებასაც მოვესწარი აღარც მაგას დავეძებო!

ვერ გამოიღვიძა. 9 დღიანი კომის შემდეგ გარდაიცვალა, 65 წლისა. თავისი მშობლებივით, უფრო დიდხანს ეცოცხლა, ცხადია, არც ის იქნებოდა წინააღმდეგი, მაგრამ მე, მთელი ეს ამბავი თავის დასასრულიანად, მაინც კეთილად მიმაჩნია. ამ ქვეყნიდან, მარტო ღრმად მოხუცებულები მიდიოდნენ რა უჭირდა სააქაოს? გადით ნებისმიერ სასაფლაოზე, ჩვილი ასაკიდან დაწყებული, რამდენი ,,უდროოდ“ წასული ადამიანის საფლავს ნახავთ! ჩვენმა მეზობელმა 65წელი კაცურად იცხოვრა. იყო კარგი შვილი, ძმა, მეუღლე, მამა, ბაბუა, უღალატო და სანდო მეგობარი.სიკვდილის წინ, ყველა ახლობელი ადამიანი ვინც უყვარდა მასთან იყო და ასევე დარწმუნებული, იმაშიც, რომ მათაც ძალიან უყვარდათ! ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არასოდეს შეპარვია ეჭვი: თავისი დედ-მამა, მისი ბიოლოგიური მშობლები თუ არ იყვნენ. მხოლოდ ერთხელ, დედამისს უთქვამს თავისი რძლისთვის: – უკვე სკოლაში დადიოდა, ერთ საღამოს, თავისი დის სურათების ალბომს ათვალიერებდა და უცებ მკითხა: – მე რატომ არ მაქვს ასეთი ალბომი? ჩემი პატარაობის სურათები სად არისო?! 2 წლის და 11 თვის იყო თბილისიდან, რომ ჩამოვიყვანე და მერე, კი, მაგრამ მანადე სურათები სად გვქონდა? შავ დღეში ჩავვარდი, დავიბენი, ვერაფერი მოვიფიქრე, მეპასუხა. კიდევ კარგი შენი მამამთილიც ოთახში იყო. შემატყო ცუდ დღეში ვიყავი და მადლობა ღმერთს: – შენს თავს დააბრალე, პატარა იყავი და არ გახსოვს: შენი ეგეთი ალბომი წყლიან ვედროში ჩააგდე, გვიან ვნახეთ და სურათები გაფუჭებული იყოო! დაიჯერა.

P.S. ბევრმა ადამიანმა, ვინც ჩემი რომანი: ,,ნუ მიგვატოვებ!“ წაიკითხა, მთხოვა: რომანის დასასრულის შეცვლა და მისი ბედნიერად დამთავრება. მე როგორც საჭიროდ და სწორად ჩავთვალე ისე დავასრულე იგი და იქ აღარაფერს შევცვლი. ამერიკული HAPPY END-ის მოყვარულ ჩემს მკითხველებს კი ამას ვეტყვი: – თუ ეს მოთხრობაც წაიკითხეთ, შეგიძლიათ იგი ჩემი რომანის ბედნიერ დასასრულად ჩათვალოთ!

20. 02. 2020წ.

ელგუჯა სხირტლაძე

როდესაც შენს კალთას მოვსწყდები სანუკველს,
ბედის თამაში, შენს საზღვრებს გამაცელს,
მხოლოდ და მხოლოდ, ერთ რამეს ვშიშობ,
უცილო სიკვდილი, სხვაგან არ დამხვდეს,
არ ჩამიბაროს სხვა ქვეყნის მიწამ,
ამ ქვეყნად, სიკვდილიც ოცნებად არ გამხდეს.

საიდან უნდა დაიწყო კაცმა, თუ დაემშვიდობე შენს უწინდელ მყარ არსებობას. ზოგჯერ უცნაურ სიტუაციებში მოხვდები ან თავადაც მოახდენ უცნაურ რამეებს ნებსით თუ უნებლიეთ.

ხან, ვერ გაიგებ, საით მივყავართ წუთისოფლის ზვირთებს, ვერ გაუგებ ადამიანებს, რომელთაც, სოფოკლეს თქმით, სხვადასხვა დემონი უზით სულში, ხანდახან ზოგიერთი მათგანის ფეხქვეშ გათელვაც კი გინდება კაცს.

არის გრძნობები, რომელსაც ვერც გაიგებ და ვერც ახსნი, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ჩემში კიდევ არის რაღაც ბუნდოვანი, ჯუნგლების პატარა ნაგლეჯი და თითქოს დავიარები, ამ უნაპირო ქვეყანაზე დიოგენეს ფარნით ხელში.

ხანდახან, მარტო ყოფნა მინდა ხოლმე, თითქოს, რაც ოდესმე ადამიანებთან მაკავშირებდა, დარღვეულია და ვცვივდები, როგორც გაწყვეტილი ძაფიდან მძივები და აღარაფერია მყარი.

ხოლო, რადგან გამოსწორება არაფრის არ შეიძლება ან უკიდურეს შემთხვევაში ძალიან ძვირად გვიჯდება, ვცდილობ გავექცე სინანულის უსარგებლო გრძნობას, რადგან, სამწუხაროდ, წყეული დრო გარბის და კვდება, ადამიანები კი ვცოცხლობთ, ასობით გაგვიფრინდება ზამთარი და ზაფხული, დღეებს ვიგებთ და წლებს ვკარგავთ, წამის სიამეში ვპოულობთ მარადულობას, ხოლო ვარსკვლავთა მტვერი მოარღვევს უსასრულობას, მწარე ქარიშხალად ქცეულს.

ზოგჯერ ჩინებულიცაა სინანულის გარეშე ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, იცი, რაც ხდება ქვეყანაზე... როგორც წესი, ართმევენ უფრო მეტს, ვიდრე აძლევენ, მაგრამ, როგორც ყველაფერი დედამიწაზე, ჩვენი დუმილიც დროებითია და როგორც მიგელ დე უნამუნო ამბობს **„...შენს გარშემო ჩამოწოლილ დუმილს, თუ უჩივი, ეს უკვე საზეიმო დუმილია, მალე შენი სიტყვები უფრო მკაფიოდ ამაღლდება ამ დუმილზე.“** ხოლო დადუმებულნი და ჩაფიქრებულნი, ყველანი ვეძებთ ბედნერებისაკენ მიმავალ გზას და ვცდილობთ გავერკვეთ მის არსში. ბედნიერება, ხომ ადამიანის ყველანაირი სურვილის ასრულებაშია, ხოდა, თუ ასეა, დედამიწაზე ბედნიერების არსებობაც გამორიცხულია. მაგრამ, მეორე მხრივ, მადლობა უფალს, რომ სრულყოფილი ბედნიერება არ მოგვანიჭა. ადამიანის ცხოვრების მიზანი, ხომ გამუდმებით ბედნიერებისაკენ სწრაფვაშია. სწორედ ამ ბედნიერების ძებნაშია

იღბალიცა და უიღბლობაც,
დარდიცა და სიხარულიც,
ბედიცა და უბედობაც,
ბედი, უმოწყალო რამაა...

სხვისი უბედურების შემხედავს, თითქოს გრცხვენია საკუთარი ბედნიერებისა და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მისკენ მივისწრაფვით, წამის მარადიულობაში გადის მთელი სიცოცხლე და ამ დროის მანძილზე ბედნიერების ძიებაში, სად არ გატარებს კაცს ამ უკიდეგანო ქვეყანაზე ბედი. სადაც ყოველ მხრივ ათასნაირი საფრთხეებია ჩასაფრებული, მათ შორის სიკვდილიც, რომელიც ელის ადამიანს თავისი სიბნელით და არის კიდევ უფრო საშიში, საზარელი და მომაკვდინებელი, ვიდრე სიკვდილი, რომელიც ათასგზის სისასტიკით კლავს ადამიანს, სიკვდილის ორეული – სირცხვილი.

„...თავი ნუ მოგწონს სიკვდილო,
სირცხვილზე მეტი არცა შენ ხარ“...

ლამაზად უთქვამს ბესიკ ხარანაულს. სირცხვილის გამო კვდება ადამიანი. სწორედ ამ გრძნობის გარეშე შექმნა ღმერთმა ადამი და ევა, და უკვდავყო სამოთხის ბაღში, რომელთაც განარისხეს უფალი, როდესაც შეცოდებულები მის წინაშე და დარცხვენილები, ფოთოლაფარებულნი გამოეცხადნენ მამა ზეციერს, რომელმაც განდევნა სამუდამო საცხოვრებლიდან.

მას შემდეგ დაიწყო ყველაფერი მიწიერი, მათ შორის, სიკვდილი.

სიკვდილი ერთხელ მოდის, თუმცა ყოველ წამს ველით. სიბერის გვეშინია, თუმცა დაბერება გვწადია.

რადგან სიკვდილი ჩვენ უკითხავად დაბადებიდან თან გვდევს და ვერც ვერავინ აღუდგება წინ, თითქოს შეგუებული ხვდები მის მოულოდნელ გამოჩენას.

მაგრამ სულ სხვაა სირცხვილი – აფთარივით უსაფრდება და სულმოუთქმელად ელის ადამიანის მცირე შეცდომასაც კი, რომელსაც საზოგადოება მხოლოდ თავისი თვალით უყურებს და განსჯის.

„მგელს მგლობას დაარქმევენ და ტურა კი ქვეყანას აქცევს“-ო.

ტურებითაა სავსე ეს ქვეყანა და უნამუსოდ ჯიჯგნიან ადამიანის სულს. არ ფიქრობენ, რამდენად დასაშვებია, ადამიანზე შეიქმნან აზრი მისი ერთადერთი შეცდომის მიხედვით, რაც შეიძლება გამოიწვია უკიდურესმა გაჭირვებამ, უსაზღვრო გატაცებამ ან დაუფიქრებლობამ.

ამიტომ მინდება, ალბათ, მარტოობა და მგლური კანონით ცხოვრება, სადმე ადამიანებისაგან შორს, მთის ველურ ბუნებაში, რომელიც მგელივით მკაცრი, მაგრამ სამართლიანია და ადამიანზე უფრო გონიერი, სადაც გონსმოგებული ცხოვრებას იწყებ ახლებური გაგებითა და შეხედულებებით.

სადაც იბადება ბუნდოვანი ოცნებები...

სადაც ხანმოკლეა ბინდის სილამაზე და ისეთივე ცივია და გამჭირვალე, როგორც მთვარიდან გამოდღვრილი სხივები სიბნელეში.

სადაც, არც დავიწყებისთვის და არც გახსენებისთვის იმეტებ დროს, და მხოლოდ ადამანებისადმი უნდობლობის შიშის ძაფები გადახლართული გრძნობებით, მკერდქვეშ ტკივილით გაჰყურებ სამყაროს და მიწაზე დაღვრილ სიჩუმეში ვერ ხვდები სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე...

რას მოელი ამ ქვეყნისაგან, ან რას სთავაზობ თავად.

გაჰყურებ მას და ხვდები, რა დაუნდობელია წუთისოფლის მარჯვენა, სადაც არცერთი ჩვენგანი ჩვენი ნებით არ მოვსულვართ და ბედისწერით განსაზღვრული კანონი, ნაცარივით შემოგვაყრის ფიქრსა და ტკივილს. რისგანაც ხანდახან უძლურების გამო, ბედთან შეგუების ზანტი გრძნობა დაგეუფლება და მხოლოდ განმარტოების მშვენიერება გივსებს სულის სიამეს. სადაც ამოვსებული წარსულის როგოდან, ამოტივტივდებიან ტკბილი და უსიამოვნო ფიქრი და გვიჭირს სიყვარული დიდი სიძულვილით მოწამლულებს და შენიღბულნი ვიტყუებთ თავებს და საკუთარ სიბეჩავეს სხვებს ვაბრალით. ხოლო, საკუთარ თავთან ყოფნა და სიმარტოვე აგვაფორიაქებს და აღგვიძრავს უმიზეზო შეშფოთებას.

მაგრამ, რადგანაც ეს ქვეყანა დროებითი სამოსახლოა და გვეჩვენება, ვუმზერთ უკანასკნელად, ვერ ვთმობთ ბედნერების წვეთსაც კი და გონსმოგებულნი გავცქერით ახალ, უცნობ გზებს, რომელზედაც მიდიოდნენ ჩვენამდე სხვები.

გზებს, სადაც იცი განმეორდება იგივე: ღალატი, სიცრუე, სიბილწე, ყოველდღიური ცდუნებები, ქედმაღლობა, მოჩვენებითი ერთგულება, უსამართლობა და უამრავი საფრთხე.

გზებს, სადაც გდევენ დღეები თავისი უძლეველი ჯარით.

დღეები, რომელთა შეკრება ჩვენს ცხოვრებად იქცევა და მასში, თავად თუ არ მოინდომე გამოჩენა და მოკრძალებით განზე გადექი, ბედის უკულმართობით შეიძლება მთელი შენი მომავალი საფრთხს წინაშე დააყენო.

მართალია, ძნელია, გიყვარდეს და არ ამჟღავნებდე, ფარავდე გულის თრთოლვას, გებრალებოდეს და დუმდე, გასაჭირში შველას არ ითხოვდე, მაგრამ უძლურნი ვართ ცხოვრების უსამართლო კანონის წინ და ამიტომაც თავადაც მკაცრი შეხედულებებით გიწევს ცხოვრება ნებნით, თუ უნებლიეთ.

ათასნაირი ჯურის ადამიანებთან გიწევს „დაჯახება“ და თავის გატანა. ზოგიერთ მათგანს კი ღირსებაც არ გააჩნია, მხოლოდ არარაობაა და მეტი არაფერი, რომელთა ხელშიც ბედის უსამართლობით, შემთხვევით მოხვდა იმ ადამიანებზე გავლენა, რომლებზედაც წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ, საშუალება რომ მიეცათ. ძნელია ამ ცხოვრებაში კაცისთვის, რომელსაც წარმოსაჩენად საკუთარი ღირსების გარდა არა აბადია რა, სარბიელზე გამოვიდეს და ბედით განებივრებულ უგუნურს გაუტოლდეს. უგუნურებს, რომლებიც იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ სახელი იმ ადამიანებმა უნდა შეუქმნან, რომლებსაც ანგარიშს არ უწევენ, და ვერც იმას ხვდებიან, რაოდენ სასაცილოები და უბადრუკნი არიან, როცა გონება არ ჰყოფნით, რომ ლამაზად ილაპარაკონ და არც მოსაზრება, რომ გაჩუმდნენ.

ვერ ხვდებიან, რომ სხვისი ჭკუა-გონება მათ ვერაფერს არგებს, ისევე, როგორც ბრმას სხვისი მხედველობა.

და მაინც, ბედის უმოწყალობით, მათი გავლენით ვიცვლით ზნესა და ვხდებით პირქუშნი, ღვარძლიანი, სრულიად სხვა გვარი განწყობლების და ისე ვიცვლებით, ბოლოს თავადაც გვიკვირს როგორ და როდის აქეთ გავხდით აგრე გულცივები.

ჩვენგან დამოუკიდებლად, მრავალმა გარემოებამ დაგვიმახინჯა სული, შეგვიცვალა მორალური სახე და აღარც ისეთები ვართ, როგორებიც ჭეშმარიტად მოვევლინეთ ამ სამყაროს და აღარც ისეთები როგორიცა ვჩანვართ.

სამწუხაროდ, ხანდახან ცხოვრება გვაიძულებს, რომ მიამიტობა და გულწრფელობა დახვეწილ ეშმაკობად გამოვიყენოთ, რადგან ბედი უმოწყალო რამაა! და, თუ სხვისგან არ მოველით ფეხქვეშ გაგებას, თავადაც ვერ გავეგებით ფეხქვეშ!..

* * *

ამ ქვეყნად ყველას თავისი ზარი და ჯვარი აქვს, ვის დიდება და ვის – ტანჯვა და ხანმოკლე სიცოცხლე.

ზოგიერთს კი ამ ყველაფრის მონაცვლეობით უწევს წუთისოფლის გავლა.

არავინ იცის როდის და რითი შეიცვლება ჩვენი სიცოცხლე, მაგრამ ერთი კი ჭეშმარიტებაა. მთელი სიცოცხლის გავლა შეიძლება ტანჯულ საუკუნეშიც ვერ შეძლო და შესაძლებელია ბედნიერ ერთ წელშიც მოასწრო.

ამიტომ, არ უნდა დათმო, ამ ისედაც ხანმოკლე წუთისოფელში, შენი წილი ბედნიერების ერთი წვეთიც კი, რადგან არავინ უწყის, როდის წაშლის ჩვენს ბედნიერ ყოფას უმოწყალო ბედი, როგორც შემოდგომის წვიმა ნაკვალევს.

* * *

ზოგჯერ, ვფიქრობ, ჩემში ორი არსება ზის ერთდროულად. თითქოს თავად ვუცქერ, როგორ ძალაგამოცლილი დღე და ღამესავით გამუდმებით ებრძვიან ბოროტი და კეთილი ანგელოზი ერთმანეთს. მე კი უნდობლობის გამო, მკაცრად შევცქერი და ველი სულმოუთქმელად, გადაღლილი გულით ველი, ვის შერჩება საბოლოოდ ჩემი სული, რომელიც მხოლოდ მე ვიცი, რომ აღარც ისეთია, როგორიც მოევლინა ამ ქვეყანას და აღარც ისეთია, როგორიცა ჩანს. თითქოს გაორებულია: ერთი, რომელიც მკაცრი, ცივი და დაუნდობელია, და უნდობლობის თვალით უყურებს წუთისოფლის მკვიდრთ, ხოლო მეორე, ფაქიზი და მიმტევებელი, რომელსაც სიყვარულიც შეუძლია და ერთგულებაც, და თითქოს, მხოლოდ ამ ორთაბრძოლის შედეგად დარჩება ერთერთი...

ბეჟან ხარაიშვილი



უსახელო მკვდრები

თიბათვე რომ დადგა, ქალაქს გამოვექეცი. მომწყინდა ქალაქში უთავბოლო სმა და ერთფეროვანი დღეები.

ახლა ხევსურეთში ვარ, ძია ანიელთან ვზივართ ხევსურულ ქოხში და თუთუნს ვაბოლებთ. გარეთ გრილა. საღამო ახლოვდება. სხეულში სიმსუბუქეს ვგრძნობ. ახლო, სულ ახლოა ზეცა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ქოხი ზეცაში იდგეს და ღია ფანჯრიდან არაგვის ხეობას დავყურებდე.

ძია ანიელს პატარა ხელადით ჟიპიტაური შემოაქვს. სუფრას აწყობს. იღიმება.

ანიელი ნამდვილი ხევსურია, ამიტომაც შემაყვარა თავი. სუსტი წაბლისფერი სახე და განიერი მხრები აქვს. ყვრიმალთან ნახმლევი ემჩნევა, ყმაწვილობისას დაუჭრიათ ხატობაში.

მას შემდეგ კარგ დროს გაუვლია. ანიელს კი ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს.

ღუმელთან ახლოს საუფროსო გრძელი სკამი დგას. წინათ ამ სკამზე ოჯახის უფროსი ან საპატიო სტუმარი ჯდებოდა. ახლა მე ვზივარ... ანიელმა პატარა სკამი ირჩია. სუფრას წინ მიდგამს. ვილოცებით.

პატარა ყანწებს მალ-მალე მაცლევინებს. ვგრძნობ, ვთვრები, მაგრამ უარის თქმა არ გამოდის.

ხვალ ან ზეგ ხევსურები სათიბში გავლენ.

ქალაქიდან სწორედ ამიტომ ამოვედი. არასოდეს არ მინახავს, სად, ან როგორ თიბავენ ხევსურები. ანიელი შემპირდა, რომ წამიყვანს. ბევრს ვერაფერს მოვეხმარები, მაგრამ თვალს მაინც გავახელ, ვნახავ ქვეყანაზე რა ხდება... აქაურ დილა-საღამოს გავაცილებ. მეც ხომ ამ დილა-საღამომ უნდა გამაცილოს, როცა იქნება. იქნებ ხვალ, ზეგ, ან ახლა, ამ წუთში... ო, არა, სიკვდილი საშინელებაა! ეს სენტიმენტალური განცდა ქალაქიდან გამომყვა და აქედან რომელიმე ლამაზ ღელეს გავატან, ისევ ქალაქისკენ. არა, არც ქალაქში, სადმე შორს, სულეთში ან სულეთს იქით.

მე უნდა ვიცოცხლო და ვნახო ხევსურები თიბვის დროს. მე ბევრი რამე უნდა ვნახო, მოვისმინო მთიბლური და ყური მივუგდო ხევსურების გულების გუგუნს, – საქართველოს ისტორიის ცოცხალ მატინიანეებს.

– თითოც დავლიოთ, – მეუბნება ანიელი. – წინათ ყანწების ერთმანეთზე მიხლა არ იცოდნენ ჩვენთან, ყანწების მიხლით შუღლი იწყებოდა. ახლა ყანწებსაც ახლიან ერთმანეთს, თავებსაც და – აღარ დაამთავრა.

ჩაფიქრდა. სახე ნერვიულად დაეძაბა. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა. თვალები დახარა. ნახმლევ საფეთქელთან ამობერილი ძარღვი შეუტოკდა. ამ ძარღვში სისხლზე უფრო მეტი საქართველოს სიყვარული მოძრაობს, ცქმუტავს, ტოკავს და ზედ ნახმლევთან საფეთქლის სიღრმეში ეშვება.

უხერხულობა მიმორჩილებს. ხან შებოლილ ჭერს შევცქერი, ხან ძია ანიელს. ვიცი, რაღაც აწუხებს და არ მეუბნება.

– ვაჟო, – როგორც იქნა ხმა ამოიღო, – მითხარი, რატომ ვართ ქართველები ასეთები...

– როგორები, ძია ანიელ?

– დავთრებით, ყველაფერი მაშინ გვახსენდება; სამშობლო, სიყვარული, შუღლი, სიკეთე...

– სამშობლო ყოველთვის გვახსოვს, – ვეუბნები, – პირიქით, როცა ვთრებით, ყველაფერს ვივიწყებთ.

ჯელი ხარ და ეგრე გეჩვენება, ჩემხნად რომ მოიყრები, სხვანაირად იფიქრებ. კაცს რომ ქალი უღალტებს ან ცხოვრებაში ხელი მოეცარება, სმას იწყებს. რას აკეთებს ამით, ივიწყებს? – არა, არა მგონია. გრძნობები უფრო მეტად აეშლება, ბოღმა სხეულის ყველა ნაწილს დაივლის, თავი გაუბრუვდება, გული გაუსივდება, საკუთარ თავში ეცემა უღონო და არაქათგამოცლილი. მიიხედ-მოიხედავს, დარდის მოსაკლავად ისევ დალევს, ივლის, ვიღაცას გადაეყრება, შეაგინებს, ცემს, ან ცემენ, ფეხქვეშ გაიგებენ, ათრევენ და მერე, როცა გონს მოვა, ცოტახანს ჩაფიქრდება...

გახელებულმა ტარიელმა ვეფხვი ხელით დაახრჩო. ახლა სადღაა ვეფხვი ან ვეფხვის დამხრჩობი. ჩვეულებრივი ცოდვილები ვართ და ხან სიმთვრალეში, ხან სიფხიზლეში ერთმანეთს ვაღრჩობთ და ამით ვიკლავთ წყურვილს.. რის წყურვილს ვიკლავთ ეს ღმერთმა იცის და ღმერთმა არაფერი არ იცის...

ისევ ჩაფიქრდა.

მე, ანიელის დაუკითხავად, ყანწს ვავსებ.

– ყველა კაცი ხომ კაცი არ არის, ძია ანიელ, რა გული გაგიტეხია?! ჩვენ ვებრძვით ლოთებს, უქნარებს და ჩხუბისთავებს...

– ყური მიგდე, – მეუბნება და ცალ ყანწს მართმევს, – ყველა არც კაცია, არც დალევა შეუძლია და არც ჩხუბი, მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისი გონებაც სადავეს არ ემორჩილება, ვისთვისაც მამულის სიყვარული ყანწივით არ იცლება, გროშებზე არ იყიდება, ვისაც ძმისთვის მოქნეული მარჯვენა საკუთარ სახეში მოხვდება... ვინ გაგიმართავს ხელს ყველამხრივ, ვინ? ხომ რჩება გულის ფსკერზე ისეთი სევდა, რომელიც კაცს სამარეში მიაქვს და რომელსაც მიწის მეტი ვერავინ გაიგებს. მთაში ვცხოვრობ, მართალია, მაგრამ წიგნები და გაზეთები აქაც მოაქვთ ხანდახან. იქ... იქ ყველაფერი ლამაზად წერია. ყველაფერი ლამაზი არ არის. უდარდელი კაცი არარაობაა. არარაობა არსებობს, უდარდელი კაცი – არა. როცა გიხარია, კიდეც უნდა გწყინდეს. სიხარულში აუცილებლად იმალება სინანული და ეს სინანული თავს გვიან იჩენს.

ენა მებმება. ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

– ა, იმ მთას ხედავ? – თითით მაჩვენებს. – თითს თვალს ვაყოლებ და სარკმლიდან მთის ხედს ვხედავ.

– ტრაქტორი შეუყენეს მაგ მთას... გზა გაიყვანეს... იქ ერთი კომლი ცხოვრობს, დაბლა იშვიათად ჩამოდის. რაღათ უნდათ ეს გზა, გეკითხები.

– ალბათ მადანი აღმოჩნდა მთის წვერზე...

– ეჰ, – ოხრავს, – მადანი ხევსურეთში ბევრია, მაგრამ მიგნება უნდა, მიგნება.. მე მაინც ის ბილიკი მერჩია, მოქნეული შოლტივით რომ იყო მაგ მთაზე დაკრული.

ყველაფერს მივხვდი.

თითოც დავლიეთ და ჩემი თხოვნით სმა დავამთავრეთ. მთის წვერიდან ნისლებმა მთვარე ამოაბურთავეს და არაგვის ჭალაზე ისროლეს. კამკამა, ლურჯი ზეცა ხევსურული ჩოხასავით დაწინწკლეს ვარსკვლავებმა. ანიელმა ლამპა აანთო. ქოხი მკრთალმა შუქმა გაანათა. გული სივრცეში აღარ მქონდა, მინდოდა მალე დამეძინა და მალე გათენებულიყო.

* * *

იმედი გამიცრუვდა. მეორე დღეს თიბვა არ დაწყებულა. მე და ანიელი მაინც წავედით მთაში. თან თოფი და არაყი გავიყოლეთ. როგორც ანიელმა მითხრა, იმ ღამეს სადმე, ქოხში გავათევდით. ამას, რა თქმა უნდა, ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა.

მთის ფერდობს ნელ-ნელა შევუყევით.

დაცვარულ ბალახებს ოხშივარი ასდიოდა. არაგვს გაღმა ცამდე აღმართულ მთებს ნისლები წამოეპარენ და თვალებზე ხელი დააფარეს.

რაც უფრო ზევით მივიწევდით, მით უფრო იზრდებოდა სწრაფვა სიმაღლისკენ. ჰორიზონტზე მზე გამოჩნდა. ნისლები ნელ-ნელა გაიფანტა, არაგვს გაღმა ცხვარს ფერდობი გადაეთოვლა.

შევისვენეთ.

თითო სიგარეტი გავაბოლეთ. მომწყურდა. ანიელმა წყაროზე გადამიყვანა.

წყარო!!!

აი, ეს იყო წყარო. მივხვდი, ჩემ სიცოცხლეში ამაზე უკეთესს ვერაფერს დავლევდი. მთის ფერდიდან წყლის დიდი ნაკადი გამორბოდა და მთის გულზე ობოლი სიმივით ჟღერდა. ვიდრე ანიელი ზურგჩანთიდან საგზალს ამოალაგებდა, წყაროს ისე დავეწაფე, როგორც მომაკვდავი უეცრად მინიჭებულ სიცოცხლეს. წყარო, რა თქმა უნდა, ცივი იყო. ცივი, როგორც ყინული და საამური, როგორც სიცოცხლე. იქვე, გვერდით, სულ ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დუღდა ხევსურეთის გული–ვეძა.

ახლა იქით გადავედი. ვეძას ხევსურეთში მინერალურ მჟავე წყალს ეძახიან. დავლიე. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, თითქოს ათასი წლის მერე ამ წყლებთან დავბრუნებულიყავი საპყრობილედან.

ანიელმა დამიძახა.

ვისაუზმეთ. ჩვენს ირგვლივ ყვავილების სურნელი იფრქვეოდა. მიწა ისეთი თბილი მეჩვენა, მეგონა მისი თოვლივით დაგუნდავება შემეძლო.

მიწის სამ გუნდას ავიღებდი.ერთს სიკვდილს ვესროდი, მეორეს – ბოროტ ადამიანს. მესამეს – ისე, უბრალოდ და უმისამართოდ გავუშვებდი. გავუშვებდი შორს ან ახლოს. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ უმისამართოდ გასროლილი გუნდა ისევ მიწას დაუბრუნდებოდა. დაგორდებოდა, ორიოდე ყვავილს გადათელავდა და მიწა მიწად გახდებოდა.

გუშინ ანიელმა მითხრა. გზისპირას აგებულ წყაროებს მიცვალებულთა სახელებს ვარქმევთო. ეს წყლები სულეთში ჩადიან და ჩვენი მკვდრები სვამენო.

სვამენ? – რა ვიცი. ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძლიან მაწუხებს. მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს. მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. უბრალოდ ვნახავ და დავბრუნდები.

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ეს აზრი ამეკვიატა. ამეკვიატა და არ ვიცოდი როდის დამშორდებოდა.

აქეთ რომ წამოვედით, თან უბის წიგნაკი წამოვიღე. ანიელმა არ იცოდა ჩემი პოეტობის შესახებ. კარგი ლექსები არ გამომდიოდა, მაინც ვწერდი. მტკიოდა და ვწერდი. ამაზე უკეთეს ადგილს სად ვნახავდი. ბალახზე გაშლილი ფურცელი რომ დაგედო, მწვანე წერტილებით ლექსი დაიწერებოდა. დაიწერებოდა, მაგრამ ამ ლექსს ბევრი ვერ ამოიკითხავდა...

ანიელმა არაყი დამისხა.

სამ-სამი დავლიეთ. წამოდგა, ჭურჭელს თავი დაახურა.

– ვაჟო, შენ აქ დარჩი, უცქირე აქაურობას. მე ჩავალ, სათიბს გადავხედავ. და თავქვე მძიმე-მძიმედ დაეშვა.

უბის წიგნაკი და ავტოკალამი მოვიმარჯვე. გადავწყვიტე ხევსურეთზე ლექსი დამეწერა. რის დაკვირვებაც შემეძლო, დავაკვირდი. რომელიღაც მთა ვეებერთელა ჩონგურს მივამსგავსე, მთაზე ჩამოჭიმული თეთრი ჩანჩქერები – ჩონგურის სიმებს. მუსიკოსად სიო მოვნათლე, რომელიც ამ სიმებზე მამულის ჰანგებს ამღერებდა.

საჭირო იყო ყველაფერი ეს ლექსში ჩამეტია და მხატვრული სახე მიმეცა. ვცადე. არაფერი გამომივიდა.

ახლა სხვა მთებს გავხედე.

ეს მთები კაცებად წარმოვიდგინე. მათ თავზე დადგმული ნისლები ხონჩებად. მზე თავის ადგილზე რჩებოდა. ესე იგი: მთებს ნისლის ხონჩები შეუდგამთ თავზე და მზის მისართმევად მიაქვთ.

ისევ უბის წიგნაკს ვეცი.

სიგარეტი ზედიზედ მოვწიე. სასმელი მომინდა. დავასხი. დავლიე. ცოტათი გავბრუვდი. თავზე ხელები მოვიჭირე. ისევ სიგარეტი... ისევ მთები... ფურცლები... ტვინში აზრების რიარია... რითმა... რითმაა საჭირო...

„მთები ვთბები“... არ ვარგა, ძველია.

„გზები გზნებით“... არც ეს ვარგა.

ჯანდაბას ურითმო იყოს... თეთრი, სულ თეთრი...

ოღონდ ეს შეკოწიწებული სახეები არ დამეშალოს და ლექსის ფორმას არ დავეძებ...

თანდათან თბილ ბურანში ვეშვები... თვალები მეხუჭება. ლექსს ვწერ და ვერ ვწერ. ყველაფერი ერთნაირი ხდება ან არაფრის ნაირი. ბურანში უფრო ღრმად ვეშვები და...

ჩამეძინა.

ჩამეძინა და სიზმარი ვნახე:

ზღვის პირას ვიდექი. ჩემი უბის წიგნაკი და ავტო-კალამი თან მქონდა. ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა, ბრდღვინავდა. უშველებელ ენას ნაპირზე ისროდა თავისი სათქმელ-უთქმელობით. ამ ენით თავის ხაოიან ნაპირს ისე ლოკავდა, როგორც პირუტყვი ქვამარილს.

მახსოვდა, რომ ქართველი ვიყავი და არ მახსოვდა სადაური. ზღვა კი ნამდვილად ქართული იყო, ჩემი შავი ზღვა, ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი.

უცებ ზღვის ენა ტალღებად იქცა.

მერე ჩემს მზერაში ზღვა მთლიანად გაიყინა. შევამჩნიე: ზღვის დასალიერზე უამრავი მზე ენთო. ზოგი მზე ჩადიოდა, ზოგი ამოდიოდა... გაყინულ ტალღებზე მიმწუხრის ფერი დასრიალებდა. ასეთი სამყარო არასოდეს მენახა და შიშით ტანში მაჟრჟოლებდა. ვიცოდი, მალე არსებობას შევწყვეტდი. მესმოდა ჩემი ძვლების ღრჭიალი, მტკიოდა ძარღვებში სისხლის უწყვეტი მოძრაობა. მე ჩემს სხეულში, უფრო სწორად, ჩემს გულში ჩავჯექი და სისხლთან ერთად დავიწყე მოძრაობა. როგორც მეზობელი-მეზობელთან, ისე მივდიოდი ჩემს ფილტვებთან, ტვინის უჯრედებთან, თირკმელებთან, მუხლებთან, მკლავებთან... ხან მარტო ტვინი ვიყავი, ხან გული, ხან ფილტვები, ხან ყველაფერი, ხან არაფერი. მე ვიყავი მთლიანი და საზიზღარი, ვიყავი ნაწილი და საყვარელი.

ყველაფერი ეს ხდებოდა და არც ხდებოდა.

ზღვა მზერაში გამდნარიყო.

„მოგზაურობიდან“ რომ დავბრუნდი, ჩვეულებრივი ბიჭი დავრჩი უბის წიგნაკით და ავტოკალმით.

ზღვის დასალიერზე ერთი მზეღა ჩანდა... ისიც ტალღებში ჩასულიყო ნახევრამდე. შემეშინდა. მზესთან ერთად თითქოს მეც დაბლა ვიწევდი, მიწაში, მიწაზე უფრო ქვემოთ...

ჩემი ორეული ქვიშაზე წამოწვა და დაცინვა დამიწყო:

– მიდიხარ? – მეკითხება,

– ჰო, მივდივარ... მივდივარ მიწაში... მიწის ქვემოთ.

– ლექსები მაინც დატოვე... შედევრი დაიკარგება.

– მიშველე რამე, თუ შეგიძლია...

– გიშველი. გიშველი, ოღონდ შენი სხეულიდან გამოუშვი: გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა, მიჩქმალვის ნიჭი, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც დაბლა ჩაყავხარ... მოიხსენი ნიღაბი... გიმეორებ, მოიხსენი.

– მერე... მერე რაღა დავრჩები?! მე მგონია, რომ გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა და მიჩქმალვის ნიჭი არ გამაჩნია და რომც გამაჩნდეს მაინც ვერ გამოვუშვებდი, მე ადამიანი ვარ...

– სცდები, შენ ჩემგან ჩამოთვლილი ყველა თვისება გაგაჩნია, იგი დაბადებიდანვე დაყვება მოკვდავს. – მეუბნება ჩემი ორეული, – შენ პატარა ხარ, პატარა. პატარა და მსუბუქი.

– ვიდრე ბოლომდე ჩავიძირები, შენი სურვილის ასრულება არ შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამსრესენ, გადამთელავენ და გაივლიან.

– გაიარონ, სხვას რატომ უღობავ გზას...

– გაიარონ, – ვეუბნები მეც, – მაგრამ იმათაც ხომ მიაქვთ შუღლი, ბოროტება, მტრობა...

– მათ სხვა გაადაუვლის, სხვას კიდევ სხვა და ბოლოს ყველანი რიგ-რიგობით ჩაიძირებიან...

ეს რა გავიგონე.

მინდა ჩემს ორეულს მივწვდე, ფეხი დავადგა, გავსრისო და ხმა გავაკმენდინო.

– გრძნობათა უხილაობის მიღმა რომ ჩაწვდე, ეს სიკვდილია. – იღმიჯება ლანდში მოძრავი ჩემი თავი, – მე შენ ჩაგწვდი და გკლავ. მე ღმერთი ვარ შენი...

შენთვის სხვა ღმერთის არსებობა ჩემი მოგონილია. დაბლა საკუთარი თავის ჯოჯოხეთი გეზიდება...

შენი სხეული ნიღაბში მიგატოვებს და ყველაფერი თავის გზით წავა. ხორცით მიწა გაძღება, სული კი აქვე დარჩება ყვავილებში, ხეებში, დილის ნამში და ფოთოლში. შეიძლება რომელიმე კაცში, რომელიც მოვა ან არ მოვა...

ორეული გაჰქრა.

მე ისევ მე დავრჩი. ზღვაში ჩამავალი მზე ხარის ნალის ოდენა ჩანდა. შემოვბრუნდი. ზღვას ზურგი შევაქციე. თვალთაგან ცრემლი წამსკდა. ვტიროდი ისე, არაფრის გამო, ჩემგან დამოუკიდებლად. ვგრძნობდი, თუ ჩემი ცრემლი ზღვას შეერთვოდა, მაშინ მზე უფრო მალე ჩაიძირებოდა...

თვალების ნაჟურს პეშვი შევუშვირე.

პეშვი გაივსო... თვალები დავხუჭე და ცრემლები წყალივით დავლიე. გამოვცოცხლდი, საკუთარი არსებობა ვიგრძენი. ჩვეულებრივი მოკვდავი გავხდი.

ირგვლივ რაღაცამ იხუვლა. არ მახსოვს, ქარიშხალი იყო თუ ჰაერში გაყინული თოლიების ფრთებით წარმოშობილი გრიგალი მიბიძგებდა ზღვისკენ... პალმები, ევკალიპტები, კიპაროსები, ბალახები, ყვავილები და ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, მე მეჭიდებოდა, მე – მათ.

* * *

საიდანღაც ნაპირს უამრავი ხალხი მოაწყდა. შევკრთი, ამდენი ხალხი ერთად შეკრებილი არასდროს მენახა.

ჩემს გვერდით ჩემი თანატოლები ჩამწკრივდნენ. მათაც, როგორც მე, ხელში უბის წიგნაკები და ავტოკალმები ეჭირათ. ზოგი იცინოდა, ზოგი ტიროდა, ზოგიც ღრმად ჩაფიქრებული, უბის წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. ჩვენს წინ მოხუცი კაცები იდგნენ. მოხუცთაგან ხმას არავინ იღებდა. გრიგალი ჩადგა. სამაგიეროდ ზღვა აღელდა, აბობოქრდა და შუაში მთასავით აიზნიქა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. სასწაულის მოლოდინში თოლიები ნაპირზე დაეშვნენ და ჩვენ მოგვაჩერდნენ.

ზღვის ამოზნექილი ნაწილი დაეშვა.

ტალღებზე კაცი გამოჩნდა. ხალხმა ისე ღრმად ამოისუნთქა, გეგონებოდათ გულები თან ამოაყოლესო. ზღვის კაცი თითქოს ტალღა-ტალღა მოდიოდა. მოდიოდა ზღვათა და საუკუნეთა მიღმიერთიდან. კაცი კი არა, ღმერთკაცი იყო. თავზე ლამაზი ბოხოხი ეხურა. ბოხოხში ბატის ფრთა ქონდა ჩარჭობილი.

მალე ღმერთკაცი მოგვიახლოვდა.

მიგებება ვერავინ გაბედა. ყველა მონუსხულივით იდგა.

– ვინ ხართ, ან აქ რამ მოგიყვანათ? – მოსვლისთანავე გვკითხა ღმერთკაცმა.

– ქართველები! – პასუხობს წინ მდგონი წვეროსანი.

– ოჰ, ო... ოჰ... – კვნესის ღმერთკაცი, – ქართველები ასე ცოტანი დარჩით? რამ დაგაბეჩავათ, რამ დაგაკნინათ...

ოი, საქართველოვ, ჩემო საქართველოვ!..

ღმერთკაცი დაიხარა და მიწას აკოცა. ახლადა ვიცანი, რუსთაველი იყო.

წინ მდგომთაგან ოთხი უხუცესი მისაგებებლად დაიძრა. დაუჩოქეს. თავები დახარეს. რუსთაველმა ყველა წამოაყენა და მათ შუაში ჩადგა. მე, ჩემი აზრით, თანატოლებზე მეტი გამბედაობა მქონდა.

– მივალ, – ვფიქრობდი, – თავის ბიოგრაფიას ვკითხავ, ვკითხავ და მეტყვის. მეტყვის და გავლექსავ. გავლექსავ ან ისე ჩავიწერ. ჩავიწერ და მსოფლიოს ნათელს მოვფენ.

რუსთაველი დაიბადა ამა და ამ წელს, – ასე დავიწყებდი, – გარდაიცვალა ამა და ამ წელს, – ასე დავამთავრებდი, – გარდაიცვალა? – არა, არ გარდაცვლილა, ის ხომ ჩემს თვალწინაა, ის ცოცხალია და მის გარდაცვალებას არავინ დამიჯერებს. მივიხედე. ჩემი თანატოლები ავტო-კალმებს ერთმანეთის უკან მალავდნენ და შიშისგან ცახცახებდნენ.

რუსთაველმა შუბლზე ხელი მიიჩრდილა და წინ მდგომ ოთხეულს პირდაპირ შეხედა.

ერთმანეთი გაიცნეს.

– აკაკი!

– ილია!

– ვაჟა!

– გალაკტიონი!

მე მივხვდი, რომ რუსთაველს მხოლოდ ესენი წაუკითხავდნენ ლექსებს. მათ ერთმანეთს გაუღიმეს და ხელი ჩამოართვეს. გონი მოვიკრიბე და ისევ წინ გავიხედე:

სიხარულით კინაღამ შევყვირე, მაგრამ წამსვე გამახსენდა, რომ აქ ჩემი ხმის ამოღება არ შეიძლებდა.

ლექსს გალაკტიონი კითხულობდა!

ზღვა უფრო აღელდა, ადუღდა, ნაპირს დაემუქრა. გალაკტიონი ხან გრიგალებდა, ხან ტიროდა, ხან საოცრად ალერსიანი იყო. ტიროდა რუსთაველი. ვტიროდით ჩვენც.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია

და შორეული ცის სილაჟვარდე“...

დაამთავრა. ზღვაც დაცხრა.

ახლა ჩვენი ჯერი დადგა.

– ეს ბავშვები ვინ არიან, ერისკაცნო, აქ რას აკეთებენ.

– ესენი პატარა პოეტები არიან, დიდო მგოსანო, – უპასუხა ყველას მაგივრად აკაკიმ, – ლექსებზე ნადირობენ, კალმები დააქვთ, მხატვრულ სახეებს (თავის ჭკუით) ინიშნავენ, ეძებენ და ისევ ინიშნავენ. მერე დაჯდებიან და ღამეებს სიტყვების შერჩევაში ატყემლისფერებენ. ლექსზე იმდენს წვალობენ, იმდენს აშალაშინებენ, რომ გათენებისას თეთრი ლექსი რჩებათ.

– თეთრი ლექსი როგორია? – გაუკვირდა რუსთაველს, – ასეთი რამ არ გამიგია.

– ურითმო ლექსია, – უთხრა აკაკიმ – ვერლიბრს ეძახიან. ბევრი მიმდევარი ყავს.

რუსთაველმა გაიღიმა.

მიგვიხმო. ერთმანეთის გასწრებით მივეახლეთ.

– წამიკითხეთ, რას წერთო! – გვითხრა.

წავუკითხეთ.

ყველა ლექსი ზეციდანდ იწყებოდა და ზეცით თავდებოდა.

მშრალი სიტყვების რახარუხმა ზეცა შეანჯღრია, სანაპიროზე მტვერი დადგა.

რუსთაველმა შეჩერება ბრძანა.

ამოიოხრა.

– დიდთა ვერ მოჰკლავთ ნადირთა... – თქვა სინანულით.

უბის წიგნაკები და საწერ კალმები ყველას წაგვართვა და მიწით დაგვითხუპნა... უბის წიგნაკები ზღვაში გადაყარა. მე შემეშინდა, პოეზიას ასე ადვილად ვერ დავთმობდი...

– ვისაც კალამს დავუბრუნებ, წერა იმან გააგრძელოს, ვინც ისე დარჩება, თავისუფალია ამ ხელობისგან. ლექსი ვერც ყანას მომკის, ვერც გაგაძღებს და ლექსმა შეიძლება ყანაც მომკას და კიდეც გააუკვდავოს პოეტი. ლექსმა შეიძლება სამყარო ააფეთქოს ან დაამშვიდოს. მაშ ასე, ვიწყებ კალმების დარიგებას.

ჩვენ ფერი წაგვივიდა.

ყველას პოეტობა გვინდოდა. პოეტობაც არის და პოეტობაც, სახელოვანი პოეტები გვინდოდა ვყოფილიყავით. ჩვენ უნდა გვტკენოდა სამყარო და სიცოცხლე. ბევრი გვეცინა და ცოტა გვეტირა. ტირილშიც იქნებოდა სიცილი. სიცილი კი არა ხარხარი. ხარხარი ცრემლისა და სინანულისა, განშორებისა და ახლოს ყოფნისა...

– გამოდით რიგიდან, – უბრძანა ოთხ ჩემნაირს და კალმები გადაუყარა. – წადით, მოთოხნეთ, მომკეთ. ისიც ლექსია, სიმღერაა, სიხარულია.

შემდეგ ოთხეულს იგივე გაუმეორა.

ჩემი ჯერიც დადგა. თვალები გამიფართოვდა. რატომღაც მჯეროდა, რომ კალამი აუცილებლად მერგებოდა. მჯეროდა და მერგებოდა, მერგებოდა და მჯეროდა...

– ეს კალამი ვისია? – იკითხა სხვათა შორის.

– ჩემია! – ვთქვი მე და ხელი გავიწოდე. ვგრძნობდი, რომ ავტოკალამს მაძლევდა.

* * *

– წამოდექი, წამოდექი, – ჩამძახა ანიელმა და გამომაღვიძა. – ადრე დაგიძინია, ბალღო. მოიცა, ეს რა ფერი გადევს?.. ცუდად ხომ არა ხარ... მთისჰაერმა დაცდა იცის, მიდი, პირი დაიბანე, გამოცოცხლდები.

ზლაზვნით წამოვდექი.

პირი დავიბანე, გამოვცოცხლდი. ამნაირ გამოცოცხლებას სიკვდილი მერჩია...

მოსვენება დავკარგე. რაც მესიზმრა, ყველაფერი ხელახლა გავიაზრე. გული მიგრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო იმაზე უარესი, რაც ზღვის პირას ვნახე.

ტყის პირას კურდღელი დავლანდე.

ანიელს ხელი წავკარი, მივახედე. არ განძრეულა, თითქოს კურდღელი ვერც შენიშნა.

– ესროლე ანიელ, რაღას უცდი, – ვეჩურჩულები.

– არ ვესვრი...

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ტყეების დაცვა მე მავალია, ასეც რომ არ იყოს, კურდღელს მაინც არ მოვკლავდი...

– თოფი რაღად გინდოდა რომ წამოიღე, თუ არ ვინადირებდით და არაფერს მოვკლავდით.

– ღამით, თუ მგელი ან დათვი დაგვესხმება, იმას ვესვრი, კურდღლის მოკვლა რა ვაუკაცობაა.

დავუსტვინე.

კურდღელი ელდანაცემივით გაიქცა... გული დამწყდა, რომ ცოცხალი გადარჩა. კურდღელი, რა თქმა უნდა, არაფერს მიშავებდა, მაგრამ მე მასზე ძლიერი ვიყავი და უნდა მომეკლა. მერე ცეცხლს დავანთებდი. კურდღელს გავატყავებდი და ხორცს მადიანად შევექცეოდი.

ხევხუვებზე ბინდი დაეშვა.

საიდანღაც გრილმა სიომ დაბერა. ბალახებმა მოიწყინეს, ყურები ოდნავ ძირს დაუშვეს, გაინაბნენ. შორს, ძალიან შორს, ჭიუხთა წვერი გამოჩნდა. ზოგან ბინდისფერი შედგომოდა, ამ უკარებელ მასპინძელს.

ანიელი ქოხისკენ წამიძღვა.

ვივახშმეთ. ვისაუბრეთ. ცეცხლი არ დაგვინთია, რადგან შესაწვავი არაფერი გვქონდა და არც სიცივე გვაწუხებდა. ანიელმა ზურგჩანთა თავით ამოიდო და ძილინებისა მისურვა. მე დაძინების მეშინოდა. ქოხიდან გამოვედი, ბალახები მოვგლიჯე, როგორც ანიელმა მირჩია და თავით დავიდე.

როგორც იქნა, ჩამეძინა.

ჩამეძინა და... მოვკვდი. კუბოში ჩამაწვინეს. გამაპატიოსნეს.

ჩემი დასაფლავების დღე კვირა იყო...

ჩემსავით უბრალო და სახელდახელო კუბო გაეკეთებინათ. თავთან ყვავილები მეწყო. ყვავილები სიცოცხლეშიც ძალიან მიყვარდა და ალბათ ეს გაითვალისწინეს. მთელი სოფელი ჩვენთან იყო შეკრებილი. ნათესავები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ.

თავთან სანთლები მენთო.

გამთენიისას ჩემს უმცროს ძამიკოს ახალი ყვავილები მოქონდა. თავთან მიწყობდა, დამყურებდა, ტუჩები და ხელები უცახცახებდა, გული უთრთოდა.

მერე ჩამეკონებოდა.

ჩემი განშორება უმძიმდა. ხელებს სახეზე მხვევდა, ცრემლს მაღვრიდა. ასე ვიყავით მანამ, სანამ ოთახში ვინმე არ შემოვიდოდა და ჩემს ძმას გარეთ გაიყვანდა.

ჩემი ძამიკო გადიოდა, ეზოში ვაშლის ძირში ჯდებოდა. ეს ვაშლი ერთად დავრგეთ ორივემ. ვენახიც გავაშენეთ.

იგი ვაშლსა და ვენახს შეჰყურებდა. შეჰყურებდა და ტიროდა. ტიროდა და შეჰყურებდა. სოფელში ხმა დაერხიათ, ლექსების წერამ გადარია საწყალი და უდროოდ ამოხადა სულიო.

ბავშვებს საწერ-კალმები დაუმალეს, გარეთ არ უშვებდნენ – დაწერილ ფურცლებს უხევდნენ, თქვენც გაგიჟდებითო.

შაბათ საღამოს, ჩემი დასაფლავების წინა დღეს, ჩვენს ეზოში თეთრი ცხენი შემოჯირითდა. ცხენზე გოგონა იჯდა. გოგონას შავი კაბა ეცვა. მხრებზე ყორნისფერი თმები დაჰფენოდა. ზღვისფერი თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხენი კიბესთან შედგა. გოგონამ ზე აიწია, დამხვდურთ ნაღვლიანი მზერა მოავლო და ცხენიდან მსუბუქად დაეშვა.წამოდგომა ვცადე. მინდოდა მეყვირა, ცა და ქვეყანა შემეძრა, მზეს და მთვარეს მივწვდომოდი... მივწვდომოდი და მეთქვა, რომ ის დაბრუნდა... დაბრუნდა მაშინ, როცა მე აღარ ველოდებოდი, მან გაიგო ჩემი სიკვდილი...

გაიგო და მოვიდა...

მოვიდა და გაიგო... წამოდგომა მომინდა. თითქოს მხრები წამოვიწიე, თითქოს ნაბიჯის გადადგმა მოვინდომე, მაგრამ მე მკვდარი ვიყავი და ეს ცდა ჩემში ან სხვაში დარჩა.

ეს გოგონა მკვდარსაც მიყვარდა და ცოცხალსაც. მშობლები ყავდა გულღრძო. ჩემთან შეხვედრას უშლიდნენ. უკეთესი სასიძო უნდოდათ: ლამაზი, თანამდებობის მქონე და სასიქადულო.

გოგონას ჩემსავით უყვარდა ყვავილები, მიწა, ზეცა, სიცოცხლე...

გული, ერთავად, სულ ბუნებისაკენ მიუწევდა. ხსნას და სიმშვიდეს ბუნებაში პოულობდა. იგი ჩემი იყო. (ამას მე ვფიქრობდი) ის იყო ჩემი და არავისი. მისი სული ვერავის დაიტევდა და ის არავის სულში არ დაეტეოდა...

ჩემზე გავრცელებული ჭორების არ სჯეროდა. უფრო სწორად, არ უნდოდა დაეჯერებინა.

დაუპატიჟებელი სტუმარი არავის მისალმებია.

მომიახლოვდა. მოვიდა. მინდვრის ყვავილები მომიტანა. სველი, ცვრიანი ყვაივლები ჩემსავით მოეკლა. მოეკლა და მოეტანა. მოეტანა მკვდარი მკვდრისათვის. გაუცივებელი სიცოცხლე გაუცივებელი სიცოცხლისათვის.

დაიხარა.

– ბეჟან! ჩამჩურჩულა, სიცოცხლეში ვერ გავბედე... ვერ გავბედე მეკოცნა შენთვის... ახლა კი... ახლა გაკოცებ... გახსოვს? – ერთმანეთის მაგივრად ყვავილებს ვკოცნიდით ხოლმე... მშობლებს ახლაც გამოვეპარე... შენი სიკვდილი რომ გაიგეს, გაუხარდათ.

– წამომყვები? – ვეკითხები უხმოდ.

– ვერა... ვერ წამოგყვები!!!

– რატომ მოხვედი ჩემთან, მკვდარს მაინც დამეხსენი...

– ვერ დაგეხსნები...

– მითხარი, სიკვდილის გეშინია? – ვეკითხები უკითხავად.

ხმა არ გამცა.

ყვავილები გულზე დამაწყო. თბილი, ჩემთვის შორეული თითები სახეზე მომისვა, მომიალერსა.

– სიკვდილის არ მეშინია, – მითხრა უხმოდ, – სიკვდილი არაა საშიში. სიკვდილი ლმობიერებაა... სიკვდილი მოგკლავს და მოგასვენებს. სიცოცხლე გაწვალებს, გაშინებს, გაიმედებს და ბოლოს მაინც სიკვდილს ჩაგაბარებს...

ოთახში, სადაც მე ვესვენე, ჩემი ძმა შემოვდა. გოგონა ლანდივით გაქრა. გაქრა ცხენიც, ძმაც, ხალხიც და ყველაფერი, რაც კი ოდესმე მენახა. დები არ მტოვებდნენ, ტიროდნენ, თმებს იწეწავდნენ, მერე დედას ამხნევებდნენ, შენი შვილი არ მომკდარაო, აჯერებდნენ... გულწასულ დედას ჩემთან უნდოდა, მოიწევდა, არ უშვებდნენ.

ბოლოს მარტო დავრჩი.

მარტო საკუთარ თავთან და საკუთავი თავის გარეშე... კვირას, ვახშმობის დრომ რომ მოატანა, ჩვენი სოფლის აღმართზე გამომედვიძა. მიმასვენებდნენ. ჩემი სამგლოვიარო პროცესია ხუთიოდე კაცისგან შედგებოდა.

აღმართი რომ აათავეს, ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის ერთ განაპირა კუთხეში ჩემი საფლავი გაეთხრათ. საფლავთან დამასვენეს.

თვითონაც დაისვენეს.

ცოტა ხნის შემდეგ მესაფლავემ ბაწრები მოიტანა. თეთრი ზეწარი, რომელიც სახეზე მეფარა, გადამხადეს.სანთლისფერი მედო. საცოდავი დასანახავი ვიყავი.

დაიწყეს ბჭობა.

ზოგი ყვავილებს არ მატანდა მიწაში, ზოგი სასმელს, ზოგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მალე დავემარხე.

მაჯაზე ახალთ-ახალი საათი მეკეთა.

წიკწიკებდა. ისევ დროს ითვლიდა. ერთი ნატვრა მქონდა, ეს საათი შეეხსნა ვინმეს და მისი წიკწიკისგან განვთავისუფლებულიყავი.

სიკვდილის წუთებს რაღა დათვლა უნდოდა?!

ისევ ჩემი გოგონა გაჩნდა.

გაყინულ შუბლზე მაკოცა, თვალებზე თითები გადამისვა. საათი ისე უეცრად შემხსნა, არც გამიგია. საფლავში მძიმე-მიძმედ ჩამიშვეს. ცარიელი თოკები უკან ამოზიდეს. ორიოდე წუთის შემდეგ ქვა-ღორღი დამაყარეს.

თვალები გავახილე.

ვიცოდი მკვდარი არ ვიყავი და ცოცხლად მმარხავდნენ რა მექნა?.. რადგან თქვეს მოკვდაო, მოვკვდი, ხალხის ნებას წინ ვინ დაუდგება?!

მოვკვდი და დამმარხეს.

დამმარხეს და მოვკვდი.

მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ კბილებს ერთმანეთს ვერ ვაცილებდი, რომ ენას თავისუფლად ემოძრავა. რომ მეთქვა, მაინც არავინ დამიჯერებდა, მკვდარი ვიყავი და ცოცხლებთან რაღა საერთო მქონდა?!

კუბოს ზემოთ ქვების რაოდენობამ იმატა. ქვებთან ერთად მიწასაც მაყრიდნენ. მაყრიდნენ და მტკიოდა. მტკიოდა და მაყრიდნენ. მტკიოდა გულთან ახლოს, გულს შიგნით, ქვემოთ, ზემოთ, ყველაფერი მტკიოდა, ყველაფრის ტკივილს ვგრძნობდი.

იმ მიწას მაყრიდნენ, რომელსაც მე ვბარავდი, ვთოხნიდი, ვაბრუნდებდი. ახლა მე გადამაბრუნა ამ მიწამ და დამბარავს, დამთოხნის, გაივლის ჩემში და იზეიმებს, იზეიმებს და თავის ღმერთთან კიდევ ერთ უმისამართო ბარათს გაგზავნის.

– შვილოო... შვილოო... – მესმის დაგვიანებული დედაჩემის ხმა.

– ძამიკოო... – ჩამომქვითინებენ ძმები და მიწას ხელით მაყრიან.

– ბეჟან მე... მე სიცოცხლეშივე მინდოდა მეთქვა, რომ...

და უკვე აღარაფერი მესმის.

ხმაზე ვიცანი ჩემი გოგონა იყო. ღმერთმა იცის, რა უნდოდა ეთქვა. ალბათ, მეტყოდა, მებრალებიო.

შებრალებით სიყვარული რაღა სიყვარულია?!

ვებრალებოდე, მერე რა მოხდა. ყველა ცოცხალ არსებას ებრალება ერთმანეთი. ებრალება და მიწას აყრის, ან ისე, უბრალოდ, დაუმარხავად ტოვებს.

ჩვეულებრივი ძილით ჩამეძინა.

მალე გამეღვიძა. ბნელოდა. ჰაერი არ მყოფნიდა. ხელები გავანძრიე. ყვავილები მოვსინჯე. დამჭკნარიყვნენ. ყველაზე უფრო მეტად ახლა შემეშინდა.

ვიცი, მკვდარი ვარ, ზემოდან მიწა მაყრია, არავინ მშველელი არ არის და არავის ვჭირდები. მიწას ვინ ჩივის, გულზე მარმარილოს ლოდი მექნება დადებული. ჩემი წილი მიწა შემოღობილი იქნება. ამ მიწის სიმძიმეც მეყოფა, ლოდი რაღად დამაწოლეთ?!

სუნთქვა მიჭირს.

ზუსტად არ ვიცი, ვსუნთქავ, თუ სუნთქვის მაგვარ პროცესს ვასრულებ... მგონია ვსუნთქავ... ისედაც დაბინდული თვალები კიდევ უფრო მებინდება. ყურში რაღაცები თუ ვიღაცები ხმაურობენ.

მესმის საშინელი ხარხარი, სტვენა, სიცილი, ვბორგავ. თავს წამოვწევ თუ არა, კუბოს თავს ვარტყამ. მთელი ხმით ვყვირივარ, ვყვირივარ, მაგრამ ხმა არ მაქვს. ტანზე ხელს ვისვამ. ხორცი მაქვს და ვერ ვგრძნობ. საშინელი სუნი ამდის, ვგრძნობ და ვერ ვგრძნობ, ვიხრწნები.

ჭიაღუებმა აქაც ჩამოაღწიეს. რა უნდათ, რას მემართლებიან?

უეცრად კუბოს ძირი ეხსნება.

შვებას ვგრძნობ. თავისუფლად ვსუნთქავ. ვეშვები. ვეშვები სადღაც, უსასრულობაში ან დასასრულში... ძალა მემატება. არსებობას ვგრძნობ. დამჭკნარი ყვავილები ჩემთან ერთად ეშვებიან.. ძარღვებში სისხლი მოძრაობს. გული ფეთქავს. ტვინის რომელიღაც უჯრედებში ქაოსია, რაღაც ახალი იწყება.

– ო, ნეტავ ისევ მიწაზე დამაბრუნა!

დამაბრუნა თუნდაც ერთი დღე, ერთი წუთით, ერთი წამით...

ვიღაც ხელს მავლებს და მექაჩება. ხმას არ მცემს. ჩემზე ძლიერია, მკლავი ვერ მოვუხარე. ბნელა. ვეცემი. არაფერი მტკივა.

ვეცემი და ყველაფერი ნათდება. ჩვეულებრივად დავდივარ. წინ გზა მიდის. უკან არაფერია. გზა თითქოს აქედან იწყება. იქით-აქეთ კედლებია. ორივე მხარეს ერთნაირი მდინარეები მოჰქუხან. ორივე უცხოა და ორივე მტკვარს მაგონებს. გზას მივყვები. გზადაგზა ყვავილებს ვხედავ.

მახსოვს: მკვდარი ვარ. დამმარხეს. დამიტირეს. საყვარელმა გოგონამ გამომაცილა, საათი შემხსნა...

– ო, რა კარგი ქნა, საათი რომ შემხსნა!

აქ ცა არ არის. ძირს და ზემოთ მიწაა. მიწა გაცისკროვნებულია უცისკროდ და ცის გარეშე. მდინარეები მოდიდებულან. საიდან მოდიან, მაინტერესებს. უკან არაფერი ჩანს, წინ ყველაფერი ნათელია. გზას ალაყაფის კარები მიღობავს.

ვუყურებ. ჩვეულებრივი რკინის ალაყაფია, არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლეში ნანახისაგან. მიკვირს და ვერ გამირჩევია: ესაა საიქიო, თუ ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე. აქ ხალხი იქნება. ალაყაფის იქით დიდი სახლები ჩანს. ყველაფერს გავიგებ.

ალაყაფზე დიდი ასოებით აწერია:

საქაო

მოვსულვარ. ალბათ ამათი საიქიო იქ არის, საიდანაც მოვიდნენ. ალაყაფის კუნჭულში პატარა კარია. ამ კარში შევდივარ. ათიოდე ნაბიჯს ვადგამ და წინ ჯუჯა კაცი მეღობება. სახემოსვრილი, წვერგაუპარასავი. დიდი, დატოტვილი თითები აქვს.

– საით? – მეკითხება.

– საიქიოში, – ვეუბნები.

– ჰიჰი, ჰი, ჰიჰი, – იცინის, – საიქიოდან მოხვედი. ახლა სააქაოში ხარ. მე ჩამოგათრიე მაღლიდან. მატლები გჭამდნენ. იქ, ზემოთ, შენისთანები ბევრი რჩებიან. აქ ჩამოყვანას ვერ ეღირსებიან. სადაც დამარხავენ, იქ დალპებიან. შენი ჩამოყვანა ჩვენმა უფალმა მიბრძანა.

– ბოდიში, უკაცრავად, – ენა ამერია, – ვინ არის თქვენი უფალი?

– ამიერიდან ჩვენი, – შემისწორა ჯუჯამ, – ამიერიდან ჩვენი უფალი სიკვდილია, ილოცე მისთვის.

ახლა მე გამეცინა.

ჯუჯას გაუკვირდა, ასე თავხედურად რომ გავიცინე. მე კი ვიფიქრე: სიცოცხლზე არასდროს მილოცია, სიკვდილზე როგორ ვილოცო – მეთქი.

– წამოდი! – მითხრა ჯუჯამ და წინ გამიძღვა.

წავყევი. ისევ ალაყაფთან მიმიყვანა. ჯუჯა კაცისთვის განკუთვნილ ოთახს რომ მივუახლოვდით, დავეცი. დავეცი და ვეღარ წამოვდექი. საშინელი კრუნჩხვები დამეწყო. ჯუჯა შეშლილივით ახარხარდა. მერე ფეხი დამადგა, გადამიარ-გადმომიარა. მუშტები დამცხო, გამჩენი შემიგინა...

– ილოცე ჩვენს ღმერთზე. – მითხრა და და წიხლი შემინაცვლა. ახლა უფრო ღონივრად, შეუბრალებლად.

– მე ღმერთი არ მწამს.

– რწმენა გაქვს?

– მაქვს.

– მაშინ შენს რწმენაზე ილოცე, შენი რწმენა – შენი ღმერთია. მე სიკვდილი მწამს და სიკვდილი ჩემი ღმერთია, შენი ენით რომ ვთქვათ.

რაღას ვიზამდი.

უაზრო სიტყვები ჩავიბუტბუტე, სიკვდილზე მაინც არ მილოცია.

კრუნჩხვებმა გამიარა.

წამოვდექი. ჯუჯა თავის ოთახში შემიძღვა.

– შენი გვარი? – შემეკითხა.

დავიბენი.

ჩემი გვარი ისევ მახსოვდა, მაგრამ გამხელა არ მინდოდა.

– შენი გვარი? – გამიმეორა.

– არ მახსოვს, ბატონო.

– მე ბატონი არ ვარ.

– აბა, ვინ ბრძანდებით? – ვეკითხები შიშით.

– ამას მერე გაიგებ.

თვალი თვალში ისარივით გამიყარა. აღარ ხუმრობდა.

– გვარი მითხარი!

– არ მახსოვს-მეთქი.

– სტყუი, გახსოვს, ჩვენ ყველაფერი ვიცით. (ეს შესაშინებლად მითხრა) შენ, სულ ერთია, იქ მაინც ვერ მოხვდები... უმჯობესია თქვა. ან იტყვი, ან ეწამები...

– როგორ, – გამიკვირდა მე, – სამოთხე და ჯოჯოხეთი მართლა არსებობს?

– არა!

– აბა სად მაწამებთ?

– აქვე, ჩემს ოთახში. შენ გინდა უსახელო მკვდრებში მოხვდე, მოისვენო, ფეხი ფეხზე შემოიდო, დამშვიდდე. შენ გინდა მოისვენო და თოხი აგცდეს...

დავინტერესდი.

– უსახელო მკვდრები ვინ არიან?

– გაიგებ, – ჩაილუღლუღა და გაიმეორა.

– შენი გვარი??

– ხარაიშვილი.

– სახელი?

– ბეჟანი.

მოზრდილი სია გადმოიღო. ჩამწერა. მერე წამოდგა, სიამოვნებით დაამთქნარა და ოთახიდან გამომიძღვა.

ცოტა ხნის მერე მთელი ქალაქი მომატარა. სახნავ სათესები მაჩვენა. არაფერი გამკვირვებია, ჩვეულებრივი ცხოვრება იყო, ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.

ტყის ნაპირზე მივედით.

აქ მწვანე სიმინდის ყანა იყო. ჯუჯა კაცმა სადღაც თოხი მოძებნა. ყანის თავში დამაყენა. ქვემოდან, პაპანაქება სიცხეში ყანას ჩემი ტოლი ბიჭები თოხნიდნენ.

– დაიწყე! – მითხრა ჯუჯამ.

გამიკვირდა. ყანა ზემოდან ქვემოთ არასდროს მეთოხნა.

– დაიწყე! – გამიმეორა და თავში ხელი წამცხო.

დავიწყე, მეტი რა გზა მქონდა.

ჯუჯა არ მომშორებია. ფეხდაფეხ მომდევდა.

დავიღალე. არ შემასვენა. იქ, იმ ყანაში და იმ ქვეყანაში, დღე და ღამე არ არსებობდა, შეუსვენებლად ვთოხნიდი.

სიცხე თანდათან მატულობდა.

ბიჭები შემიერთდნენ. ყანა ზემოდან გათოხნილი მქონდა, მაგრამ ბიჭები მაინც არ შეჩერებულან

თოხნა გააგრძელეს.

მეც გავაგრძელე. ჯუჯა დამშორდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. დავრწმუნდი: კაცი ვერც მკვდარი მოისვენებდა, ვერც ცოცხალი. სახე ოფლმა დამისველა, ამეწვა.

სულ მალე ყანის ბუღში აღმოვჩნდი.

თოხი დავაგდე. წელში გავიმართე.

სული რომ მოვითქვი, თვალი ყანის თავისკენ გავაპარე. ბიჭებს აღმა თოხნა დაემთავრებინათ და ახლა დაღმა მოჰყვებოდნენ.

ჯუჯა დაბარებულივით მოვიდა. იქვე, ყანის ბოლოს, ბალახებში ჩაჯდა. მიმიხმო. მივედი.

– მიიხედ-მოიხედე! – მითხრა.

მივიხედ-მოვიხედე. ჩვენგან მარჯვნივ, გამწვანებული პალმების ქვეშ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი ისხდნენ.

რაღა თქმა უნდა, ვიცანი.

ისვენებდნენ. გალაკტიონი თუთუნს აბოლებდა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. მგოსნები აუჩქარებლად საუბრობდნენ. ხანდახან თვალს ჩემკენ აპარებდნენ. ეს მე მეგონა ასე.

– მკითხე, რაც გინდა! – ჯუჯამ ნება დამრთო, – დასაწყისისთვის შენი მუშაობა კმარა, მალე იმ ბიჭებს შეუერთდები, ხელი ზემოთ გაიშვირა, პალმის ჩრდილისკენ გავიხედე.

– ყური მიგდე, – მითხრა ჯუჯამ, – შენ რომ სიკვდილზე გელოცა, აქაურობას საერთოდ ვერ ნახავდი. წაგიყვანდი მეორე ადგილზე, სადაც სახლებს აშენებენ... აშენებენ და ანგრევენ... ცოტას ჭამენ და ბევრს მუშაობენ. ყველას სახლებს უშენებენ, თვითონ უსახლკარონი არიან. სახლის ეზოშიც ვერ შედიან თუ ჩემი ნებართვა არ ექნათ.

– სიკვდილს ჯიუტი ხალხი უყვარს, – ამბობს და უშნოდ იღრიჯება, – სიამოვნებს, როცა მას ეჯიბრებიან, ედავებიან, სახელს უტეხენ. იცის, ბოლოს თვითონ რომ გაიმარჯვებს და დამმარცხებელს დაამარცხებს. სიკვდილს საბოლოოდ ვერავინ მორევია, თუ მოინდომა სიკვდილი თქვენს ღმერთსაც მოკლავს.

– როგორ? – მიკვირს მე და ისევ პალმებისკენ ვიყურები.

– სიკვდილს უფლება აქვს მთელი სამყარო არარაობად აქციოს, მას შუძლია კაცობრიობა მოსპოს... მოსპოს და არ დატოვოს ძეხორციელი... ამით თქვენი ღმერთი მოკვდება, შემქნელი და თაყვანისმცემელი აღარ ეყოლება. სამყარო დარჩება, მაგრამ შემმეცნებელი აღარავინ იარსებებს, შემეცნების გარეშე კი სამყარო და მის ირგვლივ არსებული მოვლენები არარაობაა. არარაობა და სიკვდილი ძმები არიან...

– სცდებით, ბატონო! – ჯუჯას თვალს ვუსწორებ, – ღმერთი ადამიანის შექმნილი არ არის, პირიქით, ღმერთმა შექმნა ადამიანი.

ჯუჯა ისევ დაიღრიჯა.

– ადამიანის ფანტაზიამ შექმნა ღმერთი, – მეუბნება და ისტერიულად ხარხარებს, – შენ რომ მაგდენი იცოდე, ახლა იქ, იმ ხალხთან იქნები. – ხელი პალმებისკენ გაიშვირა.

მივიხედე. პოეტები ისევ დინჯად საუბრობდნენ.

– ეგენი ვინ არიან? – ვკითხე ჯუჯას გამოსაცდელად, – რა ხელობის ხალხია?

– არ ვიცი.

– იცი და მალავ, ალბათ, ჯერ საკმარისი ნდობა ვერ დავიმსახურე თქვენთან.

– მე კი არა, მაგათი ვინაობა ჩვენმა ღმერთმა ანუ სიკვდილმაც ვერ დაადგინა. ეგენი უსახელო მკვდრები არიან.

– რატომ არიან უსახელო მკვდრები, მათი სახელები მე... – კინაღამ წამომცდა ვიცი მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც უხილავმა ძალამ ენა დამიბა.

– გაიმეორე ეგ წინადადება!

გავიმეორე. „მეს“ შემდეგ ენა ისევ დამება.

– სწორი ხარ, – მეუბნება, – შენ გინდა თქვა: მაგათი ვინაობა ყველასი ვიციო, მაგრამ ენა სწორედ ვინაობაზე გებმება. შენ მაბეზღარა ხარ. სხვაც ბევრი ჩამოვიდა შენნაირი, როცა ეს ტბა გაჩნდა და ეს ხალხი აქ მოვიდა, სიკვდილმა ვერაფერი გაიგო. მის მერე აღარ აინტერესებს მაგათი ვინაობის გაგება.

მაგ ხალხს თავისი სახელები იქ დაუტოვებიათ. სადაც ცხოვრობდნენ. აქ საკუთარი სხეულის გარდა არაფერი ჩამოუტანიათ. ღვაწლი და ამაგი მოკვდავთათვის დაუტოვებიათ. მაგათი სხეულიც აღარაფრად ვარგა. ნატანჯი, ნაგვემი, ნაწამები სხეული და დაღლილი ტვინები აქვთ. უსახელო მკვდრებს სიკვდილი სახელებს არ არქმევს. ტბის პირას, პალმების ძირში აჯენს და ანებივრებს. ეს ტბა უსახელო მკვდრებისაა და მასთან ახლოს სახელიანი მკვდარი, თქვენ ენაზე რომ ვთქვათ, ვერ მივა. შენ კი, ასე პატარა ბავშვს, პალმის ჩრდილში ჯდომა მოგიწევს.

– სამოთხე ყოფილა! – ვამბობ ჩემთვის.

ჯუჯამ წამოიწია, წასასვლელად მოემზადა.

– სამოთხე აქ არ არსებობს, არც ჯოჯოხეთი, – როგორც ხედავ ისინი, ვინც თავის სახელს ზემოთ, მიწაზე დატოვებენ, ამ ტბასთან დასხდებიან, ვისაც სახელი ჩამოჰყვება, ყველა შენ დღეში ვარდება.

– უკუღმა რატომ მათოხნინებ, კაცი არა ხარ? – ვეკითხები.

– არა ვარ. მე კაცზე დიდი ვარ და კაცზე პატარა... ასე უფრო ეფექტურია თოხნა, ჩვენმა უფალმა ასე გვიბრძანა.

ვის უნახავს ამნაირი თოხნის ეფექტიანობა?

აშკარად მატყუებდა... ზეზე შეშლილივით წამოვვარდი. მივწვდი, მუშტები დავუშინე.

ყელში ვეცი, ჯუჯას გახრჩობა მოვიწადინე.

სამაგიერო სილა მივიღე...

ეს ჯუჯა კი არა ანიელი იყო. კიდევ გამარტყა. როცა დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი, მთელი ხმით ვიღრიალე, ანიელს გულში ჩავეკარი. ავტირდი, ცრემლი ნიაღვარივით ჩამომდიოდა.

ჩემი თავი ისევ საიქიოში მეგონა.

ანიელს სიზმარი თავიდან ბოლომდე მოვუყევი. არაფერი მითხრა. ხელი უიმედოდ ჩაიქნია...

ინათა. მთები გამოჩნდნენ. ნისლებში ჭიუხი აილანდა. არაგვის ჭალაზე სიცოცხლემ იფეთქა. დაბურული ტყიდან ცვრიან ბალახზე სიცოცხლით სავსე შვლის ნუკრი გამოკუნტრუშდა...

ანიელს დილის ძილით ჩასძინებოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი. თოფი მოვპარე... შველს გავხედე. ისევ კუნტრუშობდა. თოფიდან ვაზნები ამოვიღე, მერე თვალები დავხუჭე და ვაზნები გარეთ გავყარე. არასოდეს ისე არ შემშინებია, როგორც ახლა, ამ წუთში...

– მე თოფის გასროლის შემეშინდა...

მოგზაური

ჯუმბერ ლეჟავა

ორიათას ათ წელს დაარსდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. მოგზაურის სიცოცხლეში. აკადემიაში გამოდის სამეცნიერო შემეცნებითი ჟურნალი ,,ათინათი“ და წელიწადში ერთხელ ანთოლოგიის ტომი. მას შემდეგ თერთმრტი წელი გავიდა. გამოსულია ორმოცი ნომერი სამას გვერდიანი „ ჟურნალი “და ათი ექვსას გვერდიანი ანთოლოგის ტომი. ფიცი, ბატონი ჯუმბერ ლეჟავას საფლავზე დადებული, რომ არ უნდა მოვდუნებულიყავით, თაობები უნდა შეგვეკრიბა და სიკეთის, სიყვარულის, ერის კეთილდღეობაზე გვეზრუნა გრძელდება. გარდაიცვალა, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში, ოცდასამ ივლისს ოთხმოცდა ერთი წლის გახდებოდა. ჩვენთვის ბატონი ჯუმბერი ცოცხლად დარჩა. იგი განისვენებს დიდუბის პანთეონში. დიდი მადლობა ამ დიდი ეროვნული ინიციტივისათვის ბატონ დავით ნარმანიას. მისი მერობის დროს მოხდა ჯუმბერ ლწჟავას გარდაცვალება და მას ეროვნული წვლილი მიუძღვის, რომ იგი დამსახურებულად დაკრძალეს, დიდუბის პანთეონში. დიდი მადლიბა, გეპეის ადმინისტრაციას, მოგზაურის საფლავის გაკეთებისათვის. მე, როგორც მისი სახელობის აკადემიის ხელმძღვანელს, ისღა დამრჩენია, კვლავ ლექსით შევეხმიანო მის უკვდავ სულს:

ეს ლექსი მიუძღვენი, როდესაც ცხრა წლიანი მოგზაურიბის დროს რუთავში დაბრუნდა. იგი რუთავმა გააცილა და მოგზაურობაც რუსთავში დაასრულა. მოგზაურობა მიუძღვნა, აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობისათვის შეწირულ გმირს, ჟიული შარტავას და გარდაცვლილ მეუღლეს, ქალბატონ ლიანა ალიბეგაშვილს: ლექსს რომელსაც ახლა გთავაზობთ, დაბეჭდილი იყო, ჟურნალ ,,მოგზაურში“. ჟურნალი დააფინანსა, იმ დროუნდელი ნაყინი თოლიას დირექტორმა, ბატონ დავით კიღურაძემ.

=========:·
მზე გაზაფხულს
შემოუძღვა დილით
და სიცოცხლე ააკვირტა ისევ,
თავის გამზრდელს
დაუბრუნდა შვილი,
მთებმა სული
შეუბერეს ნისლებს.
მან გაასწარო
ქარიშხლიან დრო ჟამს,
დედამიწას დაამჩნია კვალი,
გზად, მინდიად ჰქონდა
ქართვლის დროშა,
ვაჟკაცურად მოიხადა ვალი.
ო, ქვეყანავ,
ულეველო გმირთა,
ისე გტკივა,
ტკივლს არ ხმაურობ,
წარმატებას
კვლავ მოგძღვნი ტვირთად,
ცას წასულო, დიდო მოგზაურო.
თუ ბატონობს, აქ,
სატანის მოდგმა,
ვარსკვლავები,
განაგრძობენ ციმციმს,
ქარო, ისევ ჭორაობ და ბოდავ,
ცაში სული არა კვდება ვიცი!

ბათუმის ბოდიბილდერები

18 ივლისი, 23:03-ზე ·

1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების განგრენით.
1986-1987 წლეებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები.
1987-1990 წლეებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი.
1990-1992 წლეებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში.
1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით.
3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისადა აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას.
გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი.
შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური.
უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი - 9 წელიწადი და 3 თვე.
ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასმა მოეწყო:
1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.
3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა.
მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.
15 ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო 6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში.
1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ. გარდაიცვალა 2014 წელს.
დღეს გავიხსენებთ ამ ძლიერ პიროვნებას

ოცდასამი ივლისი ბატონი ჯუმბერის დაბადების დღეა.

:·:·:·

ალექსანდრე ციხელაშვილის ნახატი

საფლავზე მივიდე და პატივი მივაგო, სიცოცხლეშივე უკვდავ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სულს. მინდა მადლობა გადაუხადო, ამაღლების ეკლესის წინამძღოლს, საერო ცხოვრებაში დიდ მსახიობს, ოპერის მომღერალს, არაერთი წიგნების ავტორს, ახლა კი, მამაოს, მამა ამირანს, რომ მიუხედავად იმისა, ის, ძალზე დაკავებული იყო, მაინც მოვიდა და ბატონი ჯუმბერის საფლავი აკურთხა. მადლობა აკადემიის წევრებს: გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთავარ სპეციალისტს, პოეტ ქალბატონ ეთერი ჭელიძეს, პროფესორს, ქალბატონ სულიკო თავბერიძეს და მის მეუღლეს ბატონ იუზა რობაქიძეს. აკადემიის სწავლულ მდივანს, ბატონ მალხაზ ჩხიტუნიძეს, დიდუბის პანთეონის დირექტორს პოეტ ბადრი ქუთათელაძეს. აკდამიის წევრს, მეცნიერს, ქალბატონ ხათუნა ელიაშვილს. აი, ამ ჯგუფმა, მთელი დღე, ვიტრიალეთ მოგზაურის საფლავთან, მერე კი, ბატონი ბადრის სამუშაო ოთახში გადავნაცვლეთ და იქ, გავაგრძელეთ მოგონებები ბატონ ჯუმბერიზე. მაგიდაზე დაწყობილმა ჟურნალმა ,,ათინათმა“ და ანთოლოგიამ შემომანათა, რისთვისაც დიდი მადლობა პანთეონის დირექტორს, ბატონ ბადრის. მას საგანგებოდ ეწყო, აკადემიაში გამოშბებული ჟურნალები და ტომები. ბოლოს ვნახეთ ფილმი, რისთვისაც დიდი მადლობა, ყველა იმ ფილმის პროექტის ავტორს, უბრალოდ სახელებს ვერ ჩამოვთვლი ჩემთვის უცნობები იყვნენ და ეკრაზე უცებ გაელვებული, ჯგუფის, სახელბის დამახსოვრება, ფიზიკურად შეუძლებელი აღმოჩნდა ჩემთვის. ფილმის მსვლელობის დროს ტიროდა დარბაზი, რაც იმას ნუშნავს, რომ დიდი შრომა იყო გაწეული. ჩემი აზრით ფილმი უნდა გაგრძელდეს, სერიალებით რადგან, ბატონი ჯუმბერი ამოუწირავი თემაა. გულნაზ ხარაიშვილი. აკადემიის პრეზიდენტი.

სულიკო თავბერიძე, მამა ამირან ამირანაშვილი,
გულნაზ ხარაიშვილი, ეთერ ჭელიძე, ბადრი ქუთათელაძე

რაც შეგვიძლია

თუ ფოთლებივით არ მოვწყდით,
თუ ტყვია არვინ გვესროლა...
გდიეთ და მაინც ვერ მოგწვდით,
გიძახდით შენ არ გესმოდა.
რაც შეგვიძლია ვაკეთებთ,
საფლავზეც ხშირად დავდივართ,
დრო კი ვერ გამოვაკეთეთ,
და ვერც მთვარეზე ავდივართ.
ვიცავთ შენს წმინდა ღირსებას,
რაც ყველა ქართველს ეკუთვნის,
თვალი ცრემლებით ივსება,
სახელს მზის სხივში შევფუთნით.
ო, მოგზაურო დიდი ხარ,
დიდია შენი სახელი,
მთავარეზე ხშირად მიდიხარ
სულ ერთხელ, თვალის გახელით.
აგერ მოვედით საფლავზე,
გიკურთხა, მიწა მამაომ,
არ მკითხო თბილის ქალაქზე,
ცხოვრება გახდა ამაო.
დღევანდელი დღე გიბოძეთ,
აგინთეთ წმინდა სანთლებიც,
სამშობლოსათვის ვიბრძოლებთ,
რომ, შენთან ვიყოთ მართლები!

გულნაზ ხარაიშვილი, იუზა რობაქიძე, მამა ამირან ამირანაშვილი, ეთერ ჭელიძე, სულიკო თავბერიძე და ბადრი ქუთათეკაძე.

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

გონების ზღვარზე (აზრები)
ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

* * *

ადამიანური მორალი საუკუნეებია ღვივის და ღვივის - არ ჩამქრალა და არც ჩაქრება.

* * *

ამ ცხოვრებაში არამარტო იმისათვის ვართ მოსული, რომ ჩვენ-ჩვენი საჭვრეტიდან ვიცქიროთ, არამედ, ზოგიერთი რამ შევცვალოთ და გადავაკეთოთ.

* * *

როდესაც ჰომოსექსუალური წყვილების „ბავშვები“ გამოჩნდებიან არენაზე, ისინი, საუბედუროდ, საზოგადოების ნეგატიური რეაქციების მსხვერპლად გადაიქცევიან და ისედაც დასაღუპად განწირული კასტის გაქრობის წინაპირობად იქცევიან...

* * *

საუბედუროდ, ზოგიერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის გამოყენებას და ჩაგვრას „კვების ინსტინქტები“ კარნახობს...

* * *

გამუდმებულად მზამზარეულის მიღების სურვილი ადამიანს ამორალურს ხდის…

* * *

ხელაღებით რაიმეს მტკიცება ან უარყოფა დოგმატიზმის, ფუნდამენტალიზმის განვითარების წინაპირობას და საშიშროებას წარმოადგენს.

* * *

მართო ადამიანები - ურთულესი პრობლემაა, მართო „ავადმყოფები“ - აზრდაკარგულია...

* * *

მტრის ხატის თანხლება ადამიანს აგულიანებს, ბრძოლი უნარს უყალიბებს - „სტიმულატორის“ როლს თამაშობს...

* * *

ახალ ცხოვრებას შეხვდი გახარებული და გალაღებული. ნუ ეცდები უკან დაბრუნებას, მით უფრო, არ ეცადო გაიმეორო განვლილი ცხოვრების ურთიერთობები ან რომელიმე ეპიზოდი. ის არასდროს იქნება ისეთი, როგორც წინათ და საკმაოდ იმედგაცრუებული დარჩები.

* * *

თუ სასახლე მოგინდება ან დამოუკიდებელი ცხოვრება, შექმენი შენ თვითონ, თორემ იმ სასახლეს და იმ ცხოვრებას, რომელსაც სხვისგან მზამზარეულად მიიღებ, არც ხიბლი ექნება და არც მადლი.

* * *

ფიქრი – რასაც მინდა იმას დავწერ, იმას ვიტყვი, როგორც მინდა ისე მოვიქცევი ან ვიცხოვრებ და მაინც გამივაო- ეს შეცდომაა.

* * *

დაფიქრდი: ყოველთვის შენ არ ხარ მართალი...

* * *

არ დაზოგო ძალა და ენერგია, რათა განსაზღვრო და იპოვო შენი ადგილი ცხოვრებაში.

* * *

ადამიანებთან ზედმეტი სიახლოვე, ზედმეტი საუბარი, ასევე ზედმეტი ბჭობა საჭირო არ არის.

* * *

მაქსიმალურად აამუშავე წარმოსახვები, რათა კარგად წარმოიდგინო, ვინ იყავი, საიდან მოდიხარ, ვინ ხარ აწმყოში და ვინ იქნები მომავალში.

* * *

შეამცირე წყენადობა...

* * *

უკიდურესობებს უიღბლობა თან სდევს და მარცხისთვის ან, სულაც, დასაღუპავად ამზადებს ადამიანს.

* * *

როდესაც ადამიანს რჩევები მხოლოდ სხვებისთვის აქვს გამზადებული - ეს თვითდაჯერებულობა არაა. იგი სიბრიყვეზე მეტყველებს.

* * *

იმის დემონსტრირება, რომ ნიჭიერი ხარ, მაგრამ ზარმაცი – შეგიძლია, მაგრამ არ გსურს, სიგლახის ნიშანია.

* * *

ზოგიერთ ადამიანს მხოლოდ სიტყვა „არა“ აქვს პირზე მიკერებული, - ამ სიტყვით იწყებენ და ამ სიტყვით ამთავრებენ. თუ ცუდზე კარგს იტყვი, „არას“ ამბობენ, თუ კარგზე ცუდს - მაინც „არას“. ასეთი ადამიანები მსჯელობის დროსაც იგივე მეთოდს იყენებენ: თუ ერთ აზრს იტყვი შეგეწინააღმდეგება, ასევე შეგეწინააღმდეგებოდა ამ აზრის საწინააღმდეგო რომ გეთქვა. „არას“ სტიქია მათ ცხოვრებას განსაკუთრებულ დაღს ასვამს, რომელიც მუდამ მოუწესრიგებელი აქვთ, ურთიერთობები კი - დაულაგებელი.

* * *

თუკი საკუთარს არაფერს ქმნი, დამოუკიდებელი აზრი არ გაგაჩნია და სხვათა სიტყვას გაუკონტროლებლად, ანდა, გამორჩენის მიზნით ახმიანებ, მაშინ უღირსი და უგანაჩენო ადამიანი ხარ.

* * *

თავის თანატოლებთან შეხვედრა ადამიანს იმდაგვარად აღაფრთოვანებს, რომ უპრობლემოდ გადაისვრის ბავშვობის ხანაში. ამიტომ ხშირად უნდა იმოგზაუროთ ბავშვობის სამყაროში. ნუ დაიზარებთ, მოუყარეთ ბავშვობის მეგობრებს თავი - იმხიარულეთ და „იცელქეთ“ მათთან ერთად. ეს ძალიან გჭირდებათ ხანდაზმულობაში.

* * *

არ ეცადო, მზის ელვარება და სიკაშკაშე გააუფერულო და გადაფარო შენი “სიკაშკაშით”.

* * *

ძალიან ცოტაა ადამიანები, რომლებიც „საჭირო“ ცოდნას აგროვებენ.

* * *

ნაკლის სხვებში ძიებას სჯობს, საკუთარ ნაკლს და შეცდომებს გამუდმებულად ჩხრეკდე...

* * *

ადამიანებთან მიდგომის სტრატეგია მათი ხასიათიდან გამომდინარე შეიმუშავე. გაითვალისწინე, რომ მათი ბუნება ხშირად კეთილშობილური არ გახლავთ.

* * *

ნუ აღგაფრთოვანებს საკუთარი წარმატებები!.. მხოლოდ ერთს ეცადე: შენი არსებობით, სიტყვით, საქმით და მოღვაწეობით გაალამაზო ცხოვრება შენს ირგვლივ.

* * *

ნუ აიძულებ თავს სხვისი აზრით, განკარგულებებით ან მითითებებით იარო; სხვისი გემოვნებით მოაწყო შენი ცხოვრება ან შეიმოსო. ამის საპირისპიროდ გამოიმუშავე საკუთარი აზრი და დახვეწე შენი გემოვნება.

* * *

თუ გინდა ეზიარო უმაღლეს ღირსებას, პატივი ეცი შენს სურვილებს, ნიჭს და უნარს. ბოროტი სურვილები ჩაახშვე, კეთილი წაახალისე, ნიჭი განავითარე, უნარები დახვეწე. ხშირად განიკითხე საკუთარი თავი, ვიდრე სხვები.

* * *

თუ ადამიანი მოიძულე, კარგად გააანალიზე რატომ მოიძულე ის. თუ მისი ღირსებების, ქველმოქმედების და წარმატებების გამო გასწირე და ამას ვერ აცნობიერებ, მაშინ ბნელეთის მოციქულებთან თანამშრომლობ და, პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა მოიძულო...

* * *

ადამიანს გონებაში სიტყვიერი და აზრობრივი მასალისთვის მთელი რიგი საკნები და საწყობები გააჩნია. მათი აქტივაცია, მოქმედებაში მოყვანა და გამოყენება მთელ რიგ ძალისხმევას და ოსტატობას მოითხოვს. ვაითუ! ყველაფერი ეს მხოლოდ წინა ერთ საკანშია თავმოყრილი

და დანარჩენი მარაგები არ არსებობს... მაშინ ადამიანი ცირკის მსახიობს დაემსგავსება, რომელიც რამოდენიმე გირზით ჟონგლიორობს და მისი დახვეწილი მოძრაობები მხოლოდ მაყურებელთა გასართობადაა გამიზნული...

* * *

ძალიან ბევრია ნიჭიერი, შრომისმოყვარე და განათლებული ადამიანი, მაგრამ ცხოვრების მიერ შემოთავაზებული ვარიანტებიდან ოპტიმალურის ამორჩევის უნარის მქონე ძალზე ცოტაა.

* * *

აღიარების ღირსნი ისინი ხდებიან, რომელთა სიტყვამ და საქმემ გაამართლა.

* * *

განსაცდელისას ტირილით და ვიშვიშით ვერავის გააკვირვებ - ქვეყანას ვერ შეძრავ. თანაგრძნობა შენს მიმართ განელდება, გულშემატკივართა რიცხვი თანდათან შემცირდება. სჯობს, გამონახო საკუთარი ძალები, მიენდო უფალს და გააგრძელო შენი გზა – რაგინდ რთული და გაუსაძლისი იყოს.

* * *

დროს საჭიროებისდამიხედვით მოაქვს ყველაფერი...

* * *

ცხოვრება პარალელურ სამყაროებში მოგზაურობას ჰგავს, მხოლოდ ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლისას მეგზურიც და სამყაროც მეუფეც იცვლება.

* * *

თუმცა ენთუზიაზმით და ხალისით ვეწევით ცხოვრებას, არასდროს ვიცით, სად მიგვიყვანს ჩვენი მცდელობები და რისკები...

* * *

კარგია, როცა ადამიანი წერს თავის აზრებს და შეხედულებებს; ხსნის თავის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან, მოვლენებთან, სამყაროსთან; ზოგჯერ უმჯობესია, თუ ზოგიერთი ადამიანი არაფერს დაწერს ან საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავს შეიკავებს...

* * *

ნუ გარბიხარ იქ, სადაც არ გეძახიან, მით უფრო, თუ არ გაფასებენ ან, უფრო მეტიც, აბუჩად გიგდებენ.

* * *

ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ყველაფერი ადამიანის წინააღმდეგაა მიმართული. ჩავთვალოთ, რომ ასეა. იფხიზლე – გაწვრთენი შენი გონება და სხეული მუდმივ წინააღმდეგობათა გადასალახავად.

* * *

ძნელია ცხოვრება იმ ადამიანებისა, ვინც ჭკვიანთა გარემოცვაში არ ტრიალებს და ბრძენთა სიტყვას არად აგდებს.

* * *

ყოველთვის ეცადე თავზევითა ძალის დაუფლებას, რომელიც შიდა და გარე ვნებათა გაუვნებლობაში დაგეხმარებათ.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№22-40-ში

თვითრეალიზაციის ცნობიერი არსი

ამ ფრიად საჭირბოროტო თემისთვის იძულებული ვარ შესავალი გავაკეთო, რათა მასში გარკვევის პრაქტიკული თუ ვერა, თეორიული შანსი მაინც მიეცეს ამის მსურველს. ყველაზე რთული ასახსნელი და რაღაცნაირად დასაფიქსირებელი ნებისმიერი ადამიანისთვის გახლავთ ის, რომ ამ ქვეყნად მოვლინება მატერიალიზირებული სხეულის სახით, როგორც ეს ადამიანთა მიერ აღიქმება, მისივე სურვილების-და შესაბამისად მოხდა. თვითრეალიზაციის ორიენტირებული მიმართულება და საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ინერცია მასში უკვე იდო, ვიდრე იგი ამ სხეულში შევიდოდა ან სხეულს შეიძენდა ან, ძალიან მატერიალისტი ადამიანების აღქმით, სხეული გახდებოდა. ანუ მატერიალიზაცია გახლავთ საკუთარი ცნობიერების ნაირსახეობის შედეგი, რომელ ცნობიერებაშიც მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში რაღაცაში დარწმუნების მცდელობა უნდა ხდებოდეს. საკუთარ ცნობიერებას თუ კრიტიკული თვალით ვერ შეხედავს, მისი მატერიალიზაცია უაზროდ ფუჭად ჩაივლის, ხოლო დარწმუნების საშუალებად კი მისი შეზღუდვა, შევიწროვება, თვითრეალიზაციის მცდელობებში ხელმოცარვა, უსიამოვნება, ავადმყოფობა და ათასი წვრილი რამ საბოლოო სიკვდილის, სხეულის დაკარგვის დაფიქსირება გამოიყენება. ალბათ ამ გადასახედიდან ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ არის ასე. ადამიანს აქვს ორი უდიდესი ნიჭი, ეს არის შინაგანად შეგრძნების (არა შეხებით შეგრძნების) უნარი და გაგონების, ჩაღრმავების (არა ზედაპირული მოსმენის) უნარი. როდესაც ადამიანი ამ ორ უძვირფასეს ნიჭს ვერ ივითარებს და რაც მათში განვითარებული ჰქონდა, მათაც კარგავს იგი, ავტომატურად კარგავს იმ უპირატესობას, რაც გააჩნია ცოცხალ არსებას, საკუთარი ნების გამოვლინების უფლების ანუ თვითრეალიზაციის უფლების სახით. ასეთი ადამიანის სურვილები ე. წ. ყოფითი პრობლემების მოგვარების, ანუ მატერიალური სხეულის ინტერესების მსახურების იქით, ვეღარ გადის. ე. ი. მატერიალურ სამყაროში მოსვლის მიზეზიც, მიზანიც და საშუალებაც სრულიად დავიწყებას ეძლევა და შედეგს მიჯაჭვული როგორც სამყაროსა და ღმერთის, ისე ჭეშმარიტი „მე“-ს ინტერესების იგნორირებას ახდენს. მე გეტყვით ამ შესავლის აზრი რაში მდგომარეობს. ვისაც ეს აქსიომატურად მიაჩნია, მისთვის ამის კითხვას აზრი აქვს. ვისაც ეს თეორიულად მისაღებად მიაჩნია, მაგრამ დამტკიცებას ითხოვს, მისთვის მით უმეტეს აქვს აზრი ამის კითხვას, რამეთუ I ნაწილი, ვინც აქსიომად მიიღო შესავალი, შინაგან ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებს, რამეთუ მასში უკვე დამკვიდრებულის გახსენება იქნება რაღაცა ტიპად „გადამღერებული“ სახით. II ნაწილი ვინც თეორემად მიიღო, შესავალი შინაგან ეთიკურ კორექტირებას მოახდენს საკუთარ „მე“-ში განურჩევლად იმისა, მიიღებს ნაწერში მოყვანილ არგუმენტაციას, თუ არა, რამეთუ მასში ჯერ არ დამკვიდრებულის, ახალი საძიებელი მასალის მიწოდება მოხდება, შეხება მოხდება რაღაც ახალთან, რაც შიდა კომფლიქტს გამოიწვევს გონებაში წესრიგად ჩამოყალიბებულ შტამპდადებულ დამტკიცებულ ფასეულობრივ შეფასებებთან. შემდგომში ამ II ნაწილის წარმომადგენლებში ეს პროცესი არაერთგვაროვნად საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი ასპექტებით გამოირჩევა ხოლმე, მაგრამ ერთი რამ შეიძლება ითქვას, ამ ტიპის ადამიანს ძალიან გაუჭირდება ძიებას დაანებოს თავი, ვიდრე რამე ღირებულს არ ჩამოაყალიბებს თავის აფორიაქებულ, აბურდულ, ურთიერთდაპირისპირებულ, გაღიზიანებულ და დაბნეულ „მე“-ში.

ხოლო III ნაწილს, ვინც არათუ აქსიომატურად არ მიიღებს ამ შესავალს, თეორიულადაც არ დაინტერესდება, მისთვის აბსოლუტური სისულელეა არა თუ ამ შესავლის შემდეგ რაიმეს კითხვა, არამედ, საერთოდ, რაიმეს კითხვა, რაც სხეულს გარდა რაიმეს შეეხება. ეს ნაწილი თავისი რეალიზაციის ერთადერთ მიზნად საკუთარი სხეულისა და ამ სხეულიდან გამომდინარე სხეულების და მათი პირობების ცალსახად და განუხრელად უზრუნველყოფით არის დაკავებული. მათ სხეულის გაჩენისა და მისი ფუნქციონალური რაობის მიზეზით ვეღარავინ ვერ დააინტერესებს მინიმუმ იქამდე, ვიდრე სხეულის არა პირველადობაში, უმნიშვნელობაში, შედეგობრივობის სტატუსში არ დარწმუნდებიან, რაც მხოლოდ და მხოლოდ სხეულის დაკარგვის შემდეგ მოხდება და ისიც მეტად საკამათო საკითხია, ამის

შემდეგ მოხდება ეს, თუ ვერა. მაშასადამე, საკუთარი ცნობიერებისა და ცნობიერების შესაბამისად ჩადენილი ქმედებების შედეგს მიჯაჭვა ყველაზე არასასურველ შედეგებს იწვევს.

სიტყვა თვითრეალიზაცია თავად მიუთითებს იმ ცნობიერ აზრზე, რომ ადამიანი იმის რეალიზაციას ახდენს, რასაც საკუთარ აღქმაში გათავისებულ „მე“-ს ეძახის. მაშასადამე, ინდივიდი „მე“-ს გრძნობად აღიქვამს, გონებად, ამბიციად, თუ ემოციად, რეალიზაციის სახე და მიმართულებაც შესაბამისი იქნება. ის, ვინც მხოლოდ სხეულს ეძახის თავის „მე“-ს, ამ „მე“-ს ემოციად აღიქვამს და გრძნობას, გონებასა და ამბიციას იგნორირებას უკეთებს. ის, ვინც არაინდივიდუალური ცნობიერების აღქმულ ნაწილს ეძახის თავის „მე“-ს, ამ „მე“-ს გონებად აღიქვამს და სხეულსაც აღიარებს, მაგრამ გრძნობასა და ამბიციას იგნორერებას უკეთებს. ის, ვინც ინდივიდუალურ სულს ეძახის თავის „მე“-ს, ის გონებასაც აღიარებს და აღიქვამს და სხეულსაც. ხოლო ის, ვინც არაინდივიდუალური ცნობიერების ავტორად და შემოქმედად კონკრეტულ ინდივიდუალურ სულს აღიარებს და აღიქვამს, რომელსაც ადამიანურ ენაზე სამყაროს უზენაესი პიროვნება, ღმერთი ეწოდება, ის გრძნობასაც აღიარებს და აღიქვამს, ამბიციასაც, გონებასაც და ემოციასაც (სხეულსაც). ის კი, ვინც შეძლებს სრულყოფილად მიენდოს ყოველივე მისთვის არსებულის და მისთვის ვერ აღქმულის (არ არსებულის) ავტორს, აღიარებს ამით რა იმას, რომ ეს მისი (ღმერთის) თვითრეალიზაციის შედეგია, მას მიენიჭება უფლება უკვე არსებულ გამოვლინებულობაში, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, საკუთარი შეხედულებების რეალიზაცია ანუ თვითრეალიზაცია მოახდინოს. ის ავტომატურად თავისივე სურვილით დაექვემდებარება უზენაესი პიროვნების ნებას და მისი ნების რეალიზაციის საშუალებად გადაიქცევა, რაც, ვგონებ, ერთადერთი საშუალებაა ჭეშმარიტად საჭიროებისა და აუცილებლობის რეალიზაციისა. ის ავტომატურად ჩადგება აბსოლუტური ჭეშმარიტების სამსახურში, იმ სამსახურში, რომელშიც თავად უზენაესი პიროვნებაც, ღმერთიც კი დგას. მაგრამ ეს ცნობიერება, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების სამსახურში ხარ მიღებული, ძალიან ხშირად ღმერთთან დაპირისპირების, პირველობისკენ სწრაფვის მიზეზი ხდება ხოლმე. ასე რომ, ვიდრე ინდივიდი სიღრმისეულად ძალიან გამყარებული ვერ არის ღმერთთან საკუთარი „მე“-ს გათანაბრების საკითხში, ვფიქრობ, აბსოლუტური ჭეშმარიტების თემატიკასთან მისი მიკარება არ იქნებოდა სასურველი. სამყაროს, ისევე როგორც ყველაფერს, ერთი მმართველი სჭირდება. მმართველად კი ღმერთი აბსოლუტურმა ჭეშმარიტებამ დაადგინა. ემსახურო ღმერთს, ნიშნავს ემსახურო აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ვინც ამას ვერ აღიქვამს, ის ვერც პასუხისმგებლობას (უფლებისა და მოვალეობის თანასწორობის ბალანსს) ვერ დაიცავს. ვინ არის უზენაესი პიროვნება? ის არის თავდაპირველი ანუ ყველაფრის შემომქმედი, შეუმცდარი, ანუ ვიდრე ჩვენ, ინდივიდუალური სულები, საკუთარი სიამოვნების მისაღებად ვეცემოდით და შემდეგ, მის მიერვე გაკვალული გზით, ისევ ზემოთ მივემართებოდით, ღმერთი არ მიჯაჭვებია საკუთარი ქმედებების შედეგებს და რომც მიჯაჭვებოდა რამეს, აბსოლუტური ჭეშმარიტება იმ წამსვე დააყენებდა სხვა მმართველს, თუ მისი მიჯაჭვულობის შედეგად მიღებული ეთიკურ-ჰარმონიული ხარისხი უფრო დაბალი იქნებოდა, ვიდრე სხვა ნებისმიერი პიროვნებისა, რომლის ეთიკურ-ჰარმონიულობის ხარისხი მასთან რაიმე სიახლოვეში იმყოფება, ანუ ის არის ჭეშმარიტად ღირსეული და არა ავტორიტარული დიქტატორი, ის არის ერთადერთი, ვისაც ეკუთვნის ის, რაც აქვს, ის არის ჭეშმარიტად უზენაესი პიროვნება, ის არის ჭეშმარიტად ღმერთი და მეორეც, თუ ვინმეს ჰგონია რომ ღმერთის არ მსახურებით, ამ მსახურებაზე უარის თქმით, თავისი ნებისმერი რეალიზაციის მცდელობით, ვინმეს ან რაიმე სხვას არ ემსახურება, უბრალოდ ღიმილის მომგვრელია გონიერი ადამიანისთვის. ისე რომ, ვინც არ ემსახურება ღმერთს თავისი სურვილით, თავისდა უნებურად ემსახურება რაიმეს ან ვინმე სხვას ე. წ. კერპს, რომელიც, მაამებლობის პოლიტიკით შეიარაღებული, ამ ინდივიდს მნიშვნელოვნების გრძნობას უკმაყოფილებს ერთადერთი შიშით, რომ მისმა მსახურმა (კერპთაყვანისმცემელმა) გონების თვალი არ გახსნას, ჭეშმარიტი რეალობა არ დაინახოს, ამ სიბნელეში მოქცეულ სიყალბეს ნათელი არ მოეფინოს და მისი ლამაზად შენიღბული თვალთმაქცობა და ფარისევლობა არ გამომჟღავნდეს. ასეთივე მიდგომა სუფევს კერპთაყვანისმცემლის მხრიდან. ამყოფებს რა საკუთარ თავს იმის ილუზიაში, თითქოს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში აკეთებს იმას, რაც მოეპრიანება ან ისეა თითქოს ყველაფერი, როგორც თვითონ უნდოდა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის დასაკმაყოფილებლად იმ შეზღუდვებზე მიდის, რომლებიც საკუთარი სურვილების სარეალიზაციოდ მიიღო. ჭეშმარიტი სიმართლე კი ძალიან მარტივ თეზისზე დაიყვანება, ყველა და ნებისმიერ უფლებას თავისი შესაბამისი მოვალეობა გააჩნია. **მან, ვინც უფლება აიღო რაიმეზე ან ვინმეზე და ამ უფლების შესაბამისი მოვალეობა არ გაითავისა, თვითგაკერპება მოახდინა, ხოლო მან კი, ვინც მოვალეობა აიღო რაიმეზე ან ვინმეზე და ამ მოვალეობის შესაბამისი უფლება არ მოითხოვა, თავისდაუნებურად კერპის თაყვანისმცემელი გახდა.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შემეცნებითი სკამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №10 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-40-ში

ბრალის სახეები და ფორმები (სისტემატიზირებული)

ბიბლიური პერსონაჟების ბრალი

ა) იობის ბრალი

იობის წიგნი, რა კუთხითაც აქ განიხილება, ზუსტად ასახავს უსამართლოდ აღძრულ ბრალს და მის საწინააღმდეგოდ წარმოშობილ სამართლიან უკუბრალს. იობი – „მტრობის ობიექტს“ ნიშნავს და გასაკვირი არაა, მის მიმართ რომ არსებობს ბრალი (ოღონდ არ უნდა აგვერიოს, რომ იობს მტრობდა და სჯიდა სატანა და არა უფალი). თუ გავიხსენებთ ამ წიგნის შინაარსს, იობს ღმერთი თავის თაყვანისმცემლად აღიარებდა. იობის ცხოვრება და მოღვაწეობა მის ღვთისმოსაობას ადასტურებდა. ერთ დღესაც, სატანამ ბრალი დასდო იობს, რომ ის კეთილსინდისიერად არ ემსახურებოდა უფალს და თუ უფალი მას კეთილდღეობას აღუკვეცავდა, ის ერთგული აღარ იქნებოდა ღვთისა: „აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მთელს მის საბადებელს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა“ (იობ.1:11). იეჰოვამ სატანას ნება დართო, წაერთმია იობისთვის ყველაფერი, მხოლოდ ის არ უნდა მოეკვდინებინა: „უთხრა უფალმა სატანას: აჰა, შენს ხელთ იყოს მთელი მისი საბადებელი! ოღონდ თავად მას ნუ შეეხები. და გავიდა სატანა უფლისგან“ (იობ.1:12). სატანამ იობს უამრავი განსაცდელი მოუვლინა: იობი კარგავს შვილებს, ქონებას და კეთილდღეობას, მაგრამ ის კვლავაც უფალს განადიდებს: „თქვა: შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ, უფალმა მომცა, უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს უფლის სახელი“ (იობ.1:21). სატანამ უფალი დაარწმუნა, რომ თუ მას პირადად მოუვლენდა საშინელ სნეულებას, ის უსათუოდ გახდებოდა უფლის მგმობელი: „...ტყავი ტყავის წილ, მაგრამ სიცოცხლის წილ ყველაფერს გაიღებს კაცი. აბა გაიწოდე ხელი და შეეხე მის ძვალსა და ხორცს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა“ (იობ.1:45) მაგრამ სატანას განზრახვა არ გამართლდა. უდიდეს სატანჯველში მყოფ იობს სიტყვითაც კი არ შეუცოდავს უფლისთვის: „უთხრა ცოლმა: ახლაც ეჭიდები შენს სიალალეს? გარემ დაგმე ღმერთი და მოკვდი! მიუგო: ერთი უგუნური დედაკაცივით ლაპარაკობ! სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისგან, ავის ატანა კი აღარ გვინდა! არც ახლა სცოდა იობმა თავისი ბაგეებით“ (იობ.1:9,10). სატანამ „ვერაგულად“, ასევე გამოსაცდელად, იობს სამი მეგობარი მიუგზავნა. ისინი იობის ხილვით თავზარდაცემულები, იობთან ერთად შვიდი დღე მიწაზე ისხდნენ. როცა მათ ხმა ამოიღეს, ამის შემდეგ იწყება კამათი მათსა და იობს შორის, რომელიც რამოდენიმე ეტაპისაგან შედგება. მეგობრები ფიქრობდნენ, რომ იობის განსაცდელი იყო მისი ცოდვებიდან გამომდინარე და რომ ცოდვები უნდა მოეძია თავის თავში და თაობებში... იობი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და უფალს მიმართავს: „ოჰ, ნეტავ დამმალავდე, შემინახავდე, ვიდრე შენი რისხვა გადაივლიდეს! დროს დამინიშნავდე და მერე გამიხსენებდე! თუ მოკვდა კაცი, განა კვლავ იცოცხლებს? მთელი ჩემი მაშვრალობის დღეები დაველოდებოდი ჩემი ფერისცვალების დადგომამდე“ (იობ.14:13,14). იობმა „ვაიგულშემატკივრები“ დაადანაშაულა უსამართლო მსჯელობაში... ღვთივშთაგონებული ელიჰუ, რომელიც ბოლოს ჩაებმება საუბარში საყვედურს ეუბნება იობს სიტყვებისათვის – რას მარგებსო

უმწიკვლობა, რომ, იობი ზოგჯერ დაუფიქრებლად ლაპარაკობდა. ბოლოს ანუგეშებს იობს, რომ უფალი დიდია და სულგრძელობას გამოიჩენს შენს მიმართო: „ვერ ვწვდებით ყოვლადძლიერს, ის აღმატებულია ძალით და სიმართლით; მრავალმოწყალეა, არავის ჩაგრავს. ამიტომაც მისი ეშინია ხალხს; ბრძენებს ის არად აგდებს“(იობ. 37:23,24). ელიჰუს სიტყვები გამართლდება; ბოლოსდაბოლოს, მართალი კაცი გაიმარჯვებს, რომელიც ბრალმდებელ სატანას მრავალგზის აჩვენებს, რომ ის შეუვალია ღვთის სიყვარულში. ამ ნაწარმოებში უპირველესად ნაჩვენებია, რომ ადამიანის ტანჯვის მიზეზი არ არის უფალი; ის ყოველთვის უბრალოა. ბორტეგა ეშმაკის „შემოქმედებაა“, რომ ადამიანები „ბრალით“ ხელს არ უნდა იშვერდნენ უფლისაკენ, არამედ უნდა ვევედრებოდეთ მას, გვიხსნას სატანის მტანჯველი ზემოქმედებისაგან. აქ არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მთავარი, □ მორალური სახე ადამიანისა. როგორც აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, ზნეკეთილ ადამიანს უნდა ახასიათებდეს სამართლიანობა, ბრძოლა ამ სამართლიანობისათვის, სიბრძნე და გაწონასწორებულობა, რომლითაც, მართლაც, აღჭურვილია იობი; ის თუ არ იკითხავდა თავისი განსაცდელის მიზეზს და არ აღძრავდა ბრალს უფლის მიმართ (ამ შემთხვევაში სატანის მიმართ. მან ხომ არ იცის რომ სატანამ დასაჯა), მაშინ ეჭვი შეგვეპარებოდა მის გულწრფელობაში და ის იქნებოდა პირმოთნე – ფარისეველი უფლის მიმართ. მან, სწორედაც, სამართლიანად მოითხოვა თავისი უბედურების მიზეზის გარკვევა. იგი თამამად სვამს სამართლიან კითხვას, როგორც უფლის წინაშე, ასევე ადამიანების (მეგობრების) წინაშე. იობი არა მარტო მართალ კაცს განასახიერებს, არამედ სამართლიან, პრინციპულ ადამიანს, რომელიც ბოლომდე მიჰყვება სიმართლის ძიებას და არკვევს კიდევაც მას. ამ ორთაბრძოლაში იკვეთება კიდევაც მისი სიბრძნე და გაწონასწორებულობა. ამგვარად, ის არის უმწიკვლობის, მოთმინების, ამტანობის, სამართლიანობის, უდიდესი რწმენისა და იმედის მატარებელი, სიბრძნით და სამართლიანობით დაჯილდოვებული, რომელიც მისაბაძია ყველა დროის ადამიანებისათვის.

ბ) ეკლესიასტეს ბრალი

სრული, ჯანსაღი, ბრძნული განსჯით – ბრალი ადამიანური პოზიციიდან,
უფლისა და ზოგად კანონზომიერებათა სრულად ვერ განცდის გამო.

„ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა. ადამიანს რას ჰმატებს შრომა, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა? თაობა მიდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე... განვიცადე ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზისქვეშეთში; და აჰა ვცანი – ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა... ვუთხარი ჩემს თავს: აჰა, მოვიპოვე და განვიმრავლე ცოდნა ყოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს უწინარეს იერუსალიმში, და ეზიარა გონება ჩემი განუზომელ სიბრძნეს და ცოდნას. როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი – ამასაც არა აქვს აზრი, რადგან როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს“ (ეკლ.1:2,3,4, 14.16,17,18).

ეს სიტყვები და ბრალი შეიძლება აღეძვრა არა მარტო ისეთ განათლებულს და ბრძენს, როგორიც ეკლესიასტე იყო თავისი დროისათვის, არამედ, ნაკლები განათლების ან სულაც გაუნათლებელ ადამიანსაც. ეს სიტყვები აღმოხდება ნებისმიერს, ვისაც ნაკლები რწმენა აქვს და სულის მარადიულობაზე წარმოდგენა არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, არ განიცდის მას. „მერმე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ, და ყოველ საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარისნაბერი, და რომ არ არის სარგებელი ამ მზისქვეშეთში“ (ეკლ. 1:10,11). ყველაფრის მომპოვებელი ეკლესიასტე ამ „სარგებელს“ კვლავაც იპოვიდა, მრავალ სიცოცხლეს და ახალგაზრდობას ჩაეჭიდებოდა, გააჩენდა ყველაფერს, მაგრამ თავად სიამოვნების შეგრძნება დაეკარგა სიბერის ჟამს, ცხოვრება კი უკან არ ბრუნდება... მას ტკბობა და გემო მხოლოდ აქ ეგულება, ამის იქით კი, ხსნა და გზა არ არსებობს – ამაოა ყველაფერი... ეკლესიასტე ადამიანურ ყოფა-

ცხოვრებაში უფლის ხელს ვერ ამჩნევს, ადამიანს უფლის სახე-ხატად არ განიხილავს, მარადიულ სასუფეველზე კი ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია... დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს არის ბრალი უფლის მიმართ, მაგრამ უსათუოდ არის ბრალი და ყვედრება ადამიანური ცხოვრების მიმართ.

ეკლესიასტემ თეორიულად იცის, რომ „სიკეთე უნდა ქმნას“, მაგრამ კეთილგანზრახულობით მის განმსჭვალულობაში შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, რადგან მასში „ღვთაებრივი გონება“ არ არის ანთებული; ის სულის მარადიულობას ვერ გრძნობს; კავშირს ადამიანსა და უფალს შორის ვერ განიცდის. მართალია, ერთგან ის ამბობს: „მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“ (ეკლ.10:7), მაგრამ ეს სიტყვებიც, წინააღმდეგობებით შექმნილ მის ნაწარმოებში, ერთგვარი ყვედრების და ბრალის სახითაა მოსროლილი. მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა: სიკეთის გაკეთება არ ღირსო, თავის განსწავლულობას რომ არ ჰქონოდა გავლენა მის შეხედულებაზე... თავად „ამაოდ“ ჩავლილი წამიც რომ მარადიულია, ამის შესახებ მას არც შეუძლია იფიქროს. იგი „სხეულებრივი ტკბობის“ კაფსულიდან იმზირება და თუ ეს არ არის, მაშასადამე, არ არის არაფერი... მის ბრალში არსად სჩანს – სურს თუ არა ღმერთს ადამიანის სიკეთე და ზრუნავს თუ არა ღვთისნიერთა ბედზე. მის „სიბრძნეს“ გრძნობისმიერი ძაფები აკავშირებს ცხოვრებასთან, მაგრამ არა უფალთან. ღმრთის ხატს პირუტყვთან აიგივებს:

„და ვთქვი ჩემს გულში: ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ. რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია – ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყველაფერი ამაოა. ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა. რომელი იტყვის,რომ კაცთა სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით ჩადის, ქვესკნელისკენ?“ (ეკლ. 3: 18- 21).

ეკლესიასტეს უკვდავების არ სჯერა... წარმოუდგენელია ღმერთმორწმუნე ადამიანს ჰქონდეს ასეთი პესიმიზმი... შეიძლება თავისუფლად ვთქვათ, რომ მან ცხოვრების სიამოვნების ფიალა „ზედმეტად“ ავსებული გამოსცალა და ამან აწყინა...სიბერის ჟამს, მხიარულების ჰორმონებისაგან დაცლილი, საყვედურებით ავსებს წუთისოფელს; ამასთან, თავის სიბრძნეს კაცობრიობის და ღმერთის სიბრძნესთან აიგივებს და აქედან გამოჰყავს თავისი მსჯელობა. მას ნაკლებად აქვს რწმენა და იმედი ღვთისა: „არ უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, არ დავაოკე გული ჩემი სიხარულისგან, რადგან ხარობდა ჩემი გული ჩემი ნაღვაწით, ეს ყოველივე იყო ხვედრი, ჩემი შრომისა“ (ეკლ. 1: 10). რატომ არ უარყო მაშინ? – იმიტომ რომ, ჭარმაგი ახალგაზრდობა, ძალა და ენერგია თან ახლდა. ახლა დეპრესიულმა ჰორმონებმა უარყვეს ნდომა-სურვილი და ყოველივე ჩაუცხრეს... მარადიულ ღირებულებათა ნდომა და სურვილი კი არსად ჩანს... „მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი“(ეკლ. 1:11). – როდის? სიბერეში სიკვდილთან მიმდგარმა იგრძნო ეს? – მაშ, სად არის უფალთან შერთვის წადილი – მოლოდინი უფლის განზომილებაში გადასვლისა? ეკლესიასტეს ამ ბრალში არ ჩანს არც იმედი, არც იდეალი, არც მადლიერება ღმერთის მიმართ, რაც რწმენის ნაკლულობა-განუვითარებლობას უნდა მივაწეროთ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კულინარიის გვერდი

ქეთევან ღონღაძე

ნამცხვარი " იდეალი"



დეკემბერი 4, 2018

მასალა ცომისთვის:
კვერცხი 3 ცალი
შაქრის ფხვნილი 1 ჭიქა
თაფლი 3 ს/კ
ფქვილი 3 ჭიქა
ნიგოზი 1 ჭიქა
კარაქი 100 გრამი
1ჩ/კ ცოდა ძმრით

კრემისთვის:
მოხარშული შესქ.რძე 1 ქილა
კარაქი 200 გრამი
ნიგოზი 1 ჭიქა
ვანილი

ავთქვიფოთ კვერცხი და შაქრის ფხვნილი, დავამატოთ თაფლი, გამდნარი კარაქი, ნიგოზი, სოდა ძმრით, ფქვილი და მოვზილოთ ცომი.
ცომი გავყოთ სამ ნაწილად და გამოვაცხოთ ცხიმწასმულ ფორმაზე. თბილ-თბილს ჩამოვაჭრათ გვერდები და დავფხვანათ.
მიქსერით გავთქვიფოთ კარაქი და ნელ-ნელა შევურიოთ შესქ. რძე, ვანილი, დაფქვილი ნიგოზი.
ფირფიტები შევაერთოთ კრემით, ზემოდან კი მოვაყაროთ დაფხვნილი გვერდები.

პომიდორი კორეულად – ელვის სისწრაფით ქრება სუფრიდან

სექტემბერი 27, 2020
ამ კერძის მომზადებაში რთული არაფერია და შედეგი გადააჭარბებს ყოველგვარ მოლოდინს! სურნელოვანი საუზმე უბრალოდ კი არ ქრება, არამედ ელვის სისწრაფით ქრება სუფრიდან! აუცილებლად დაწერეთ ეს რეცეპტი თქვენს სამზარეულოს წიგნში!
პომიდორი კორეულად

ინგრედიენტები
პომიდორი 2 კგ
ბულგარული წიწაკა 2 ც
ნიორი 2 ც
ჩილი წიწაკა 1 ც
ძმარი 100 მლ
მწვანილი 1 კონა
მზესუმზირის ზეთი 100 მლ
შაქარი 80-100 გრ
მარილი 2 ს.კ.

მომზადება
გაატარეთ ბულგარული წიწაკა, ცხარე წიწაკა და ნიორი ბლენდერში ან ხორცსაკეპ მანქანაში.
მიღებული მასა ჩაყარეთ თასში, დაუმატეთ მარილი, შაქარი, მცენარეული ზეთი, ძმარი და დაჭრილი მწვანილი, დაჭერით პომიდორი 2-4 ნაწილად.
3 ლიტრიან ქილაში ფენებად ჩააწყვეთ პომიდორი, თითოეულ ფენას მოასხით თხევადი მასა, ბოლოს დარჩენილი დაბლენდერებული მასა მოასხით და დაახურეთ თავსახური. მთელი ღამით დადგით მაცივარში.
ასეთი წვნიანი და პიკანტური საჭმლის მაცივარში შენახვა შესაძლებელია არა უმეტეს ერთი კვირისა, მაგრამ გარწმუნებთ, ის რამდენიმე დღის განმავლობაში აღარ დარჩება.

ასე მომზადებულ წათხში ყველი 8-10 თვით ინახება

ნახეთ საუკეთესო წათხის რეცეპტი ყველის დიდი ხნით შესანახად

ყველის ხანგრძლივი დროით შენახვა ყოველთვის წათხის ხარისხზეა დამოკიდებული. დიდი რაოდენობით ყველი ოჯახში სეზონის შესაბამისად გროვდება - ზაფხულში და ადრე შემოდგომაზე ყველი უფრო იაფია და ცხიმიანიც. ოჯახების უმრავლესობას სწორედ ამ სეზონზე სურს დიდი რაოდენობით ყველის შეძენა, რომ ის მომავალ თვეებში გამოიყენოს.



გთავაზობთ საუკეთესო წათხის რეცეპტს:

13 ჩაის ჭიქა წყალი

2 ჩაის ჭიქა მარილი

1 ჩაის ჭიქა შაქარი

1 ჩაის ჭიქა ძმარი

იმერული ყველი წათხში 8-10 თვე ინახება. ჭყინტი ყველი კი მაცივარშიც კი ერთ კვირაზე მეტს ვერ ძლებს.

შოკისმომგვრელად გემრიელი ტორტი-ეკლერი გამოცხობის გარეშე

ფიქრობთ, რომ გემრიელი დესერტები რთულად მოსამზადებელია? სინამდვილეში ასე არ არის. ეს მართლაც შოკისმოგვრელად გემრიელი ტორტი გამოცხობასაც არ საჭიროებს და უმარტივესად მზადდება.

ინგრედიენტები

- ფხვიერი ნამცხვარი ("პეჩენია")
- რძე - 500 მლ
- სიმინდის სახამებელი - 2,5 ს/კ
- შაქარი - 3 ს/კ
- კვერცხის გული - 1 ცალი
- ვანილის ექსტრაქტი - 0,10 მლ
- შოკოლადის მინანქრისთვის:
- შაქარი - 4 ს/კ
- კაკაო - 2 ს/კ
- რძე - 2 ს/კ
- კარაქი - 50 გ

მომზადების წესი:

ვანილის პუდინგის ფხვნილის შეძენა შეგიძლიათ მაღაზიაში. მაგრამ თუკი არ გსურთ ფხვნილით მომზადებული პუდინგი, გააკეთეთ შემდეგნაირად.

გაყავით რძე დაახლოებით 2 თანაბარ ნაწილად. რძის ერთი ნაწილი დადგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. დანარჩენ რძეში გახსენით სიმინდის სახამებელი. ჩაუმატეთ აქვე შაქარი, ვანილის ესენცია, ან ვანილინი დანის წვერით და კვერცხის გული. ათქვიფეთ ხელის ზამბარით და ჩაუშვით ეს მასა ადუღებულ რძეში.

თან ურიეთ შეუჩერებლად, ადუღეთ 5 წუთი გასქელებამდე.

მომზადებულ პუდინგს გადააფარეთ საკვების შესაფუთი ცელოფანი და შედგით მაცივარში გასაცივებლად.

აიღეთ ღრმა გამოსაცხობი ფორმა, ჩააფინეთ მასში ფოლგა. დაალაგეთ მასზე მჭიდროდ ორცხობილები, შემდეგ გაანაწილეთ სქელ ფენად პუდინგი. ძემოდან კვლავ ორცხობილები მოაწყვეთ, მერე კიდევ კრემი. ბოლო ფენა ორცხობილები უნდა იყოს.

ახლა კი მოამზადეთ შოკოლადის მინანქარი: შაქარი და კაკაო ერთმანეთში კარგად აურიეთ, დაუმატეთ რძე. დადგით დაბალ ცეცხლზე. როცა მასა ადუღდება, დაუმატეთ კარაქი. ურიეთ კარაქის სრულად გადნობამდე. გადმოიღეთ შოკოლადის მასა ცეცხლიდან და მოასხით დესერტს.

აჯობებს, რომ ტორტი მთელი ღამით შედგათ მაცივარში. მეორე დღეს უნაზესი იქნება.

ჩეხური ფახლავა

ინგრედიენტები

3 ჭიქა ფქვილი (მიახლოებით 400 გრ-ია)
250 მლ. მაწონი
5 კვერცხი
2 ჭიქა შაქარი (400 გრ.)
200 გრ. ქიშმიში
200 გ.რ. ნიგოზი
თაფლი, მარილი, ვანილი.

3 ჩ.ჭ. პურის ფქვილს დავახეხოთ 200 გრ. კარაქი ან მარგანინი, გავაფხვიეროთ, გავუკეთოთ გული, ჩავასხათ შიგ 250მლ. მაწონი 1 ჩ.კ. სოდით, ცოტა მარილი, 3 კვერცხის გული (ცილა შევინახოთ) და მოვზილოთ ფაფუკი ცომი. გავყოთ 4 ნაწილად, გადავახვიოთ სამზარეულოს ცელოფანში და შევინახოთ მაცივარში 2 საათით.

ავთქვიფოთ 6 კვერცხის ცილა, მეექვსე დავამატოთ, მისი გული კი თავზე გადასასმელად გამოვიყენოთ, დავუმატოთ მწიკვი მარილი, 2 ჩ.ჭ. შაქარი თანდათან, ვანილი, მწიკვი ლიმონმჟავა, გავაკეთოთ კარგი, ფუმფულა ბეზე.

გავწიოთ ცომის ერთი გუნდა საცხობი ფორმის ზომაზე, გადავუსვათ ბეზეს ნაწილი, მოვაყაროთ ქიშმიშის ნახევარი და ნიგვზის ნახევარი, მოვაწუწოთ თაფლი, შემდეგ მეორე ფენა გავწიოთ და გადავაფაროთ, გადავუსვათ ბეზე, ნიგოზი და ქიშმიში, მოვაწუწოთ თაფლი, გავწიოთ მესამე ფენა გადავუსვათ ბეზეს დარჩენილი ნაწილი,ქიშმიში და ნიგოზი მოვაწუწოთ თაფლი, მეოთხე ფება გადავაფაროთ თავზე, გადავუსვათ კვერცხის გული და დავჭრათ სასურველი ზომისა და ფორმის ნაჭრებად, ვაცხობთ ღუმელში დაბალ ცეცხლზე 180 გრადუსზე თითქმის საათზე მეტი დაჭირდა, დაშუშდა და ბეზე ხრაშუნა გახდა. მე ვაცხვე ქვედა წვით, ბოლო 10 წუთი ჩავურთე ზედა წვა, ცხობის დამთავრების შემდეგ ზემოდან გადავუსვი თაფლიანი წყალი (ერთი კოვზი თაფლი გახსნილი ერთ კოვზ წყალში).

,,ყარაყუმის ტორტი" - საუკეთესო რეცეპი!

ინგრედიენტები

ბისკვიტი:

- კვერცხი - 3 ცალი
- შაქარი - 400 გ
- ვანილი - 1 ცალი
- კარაქი - 100 გ
- კაკაო - 75 გ (3 შეკვრა)
- მაწონი - 500 გ
- სოდა - 2 ჩ/კ
- ძმარი - 2 ჩ/კ
- ფქვილი - 3 ჭიქა (600 გ)

კრემი:

- შედედებული რძე (მოხარშული ,,სგუშონი") - 2 ცალი
- კარაქი - 300 გ
- ხსნადი ყავა - 1 ს/კ
- კონიაკი - 1 ს/კ
- ვანილი - 1 ცალი
- შავი შოკოლადი - 1 ცალი

მომზადების წესები

3 კვერცხი და 2 ჭიქა (200გრამიანი) შაქარი დიდხანს თქვიფეთ, შეძლებისდაგვარად დიდხანს, დაუმატეთ ვანილი, 100გრ კარაქი ან მარგარინი "დაჩა", 3 პაჩკა (25გრამიანი) კაკაო, 500გრ მაწონი, 2ჩ/კ სოდა 2ჩ/კ ძმრით და 3 ჭიქა ფქვილი, ესეც 200გრამიანი ჭიქით. კარგად ათქვიფეთ, დაასხით თბილ ჟარონაზე რომელსაც არაფერს არ წაუსმევთ. მე გამოვაცხე 160°-ზე 30წთ, ბოლოს ჩხირით მაინც გასინჯეთ, ყველა ღუმელს სხვადასხვა დრო ჭირდება.

კრემი: 2 ცალი მოხარშული სგუშონი და 300გრ კარაქი ან დაჩა ათქვიფეთ კარგად, დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი უნალექო ყავა, 1 სუფრის კოვზი კონიაკი და ვანილი. ეს მასა მოასხით გაციებულ ბისკვიტს და ზემოდან დაახეხეთ შავი შოკოლადი.

შენიშვნა: გამოიყენეთ კარაქი ან დაჩა, დაჩა ძალიან მსუბუქია და ბისკვიტსაც და კრემსაც ამსუბუქებს ცომი ჩაასხით განიერ ფორმაში, იმიტომ რომ მაღალი ბისკვიტი არ უხდება ამ ნამცხვარს, ამიტომ განიერ ფორმაში ძალიან არ აფუვდება. მე ვითხოვე წითელ პეჩკებს რომ მრგვალი ჟარონები აქვს და იმაში გამოვაცხე ბისკვიტი დატოვეთ ფორმაში და ისე დაასხით კრემი უმჯობესია დატოვოთ მთელი ღამით, კრემი კარგად გაუჯდება, ჩაარბილებს და სასიამოვნო საჭმელი იქნება **კრემი მოგეჩვენებათ ძალიან ბევრი მაგრამ ბოლომდე დაასხით, არ დაიტოვოთ, ბისკვიტი შეიწოვს მთლიანად და ზედაპირზე დარჩება საკმარისი.**

იდეალი

❤️საღამომშვიდობისა გამოვაცხვე 3 ფენიანი კლასიკური იდეალი დედას ძველი რეცეპტია, ნამცხვრების მეფეს ვეძახი❤️

მე დავწერ 1ფენის რეცეპტს, სულ უნდა სამი.

ბისკვიტი:

❤️3 კვერცხი
❤️100გრ.შაქარი
❤️1ს. კ. თაფლი
❤️150 გრ ფქვილი
❤️50გრ გატარებული ნიგოზი
❤️1ჩ/კ სოდა ძმრით(გამაფხვიერებელი არუნდა) არც ვანილი ცომში, თაფლი სასწაულ სურნელს აძლევს.

კრემი:

❤️❤️❤️კრემი
❤️2 მალაკო მოხარშული
❤️400 გრამი კარაქი
❤️100 გრამი წვრილად დაჭრილი ნიგოზი
❤️2 პ. ვანილი

ბისკვიტი:

❤️ცილა კარგად ამოვიყვანე, დავამატე შაქარი დაკვერცხის გული და კიდე ვთქვიფე 5 წუთი, დავამატე სოდა ძმრით თაფლი, ნიგოზი და ფქვილი ერთად ავურიე, რომ ნიგოზი დაბლა არწასულიყო, გადავიტანე კალკა დაფენილ ცხიმ წასმულ ფორმაზე, გამოვაცხვე წინასწარ გახურებულ 160 გრ. რომ შევდგი, კიდევ დავუწიე ტემპერატურას მალე ცხვება, ფრთხილად არდაგეწვათ.

კრემი:

❤️❤️❤️კარაქი ამოვიყვანე გათეთრებამდე დავამატე ნელნელა მალაკო ვანილი

გაგრილებულ იდეალის ფენებს მოვაჭერი გვერდები. (ღუმელში 5წუთი შევდგი რომ კარგად დაიფშვნას გვერდები მაღლიდან მოსაყრელად) წავუსვი კრემი, ყველაფენას მოვაყარე დაჭრილი ნიგოზი. მაღიდანაც ❤️უგემრიელესია❤️

დამიმეგობრდით👇❤️

ქლიავისა და ვაშლის ჯემი

ავღნიშნავ თავიდანვე, არ დამიმატებია ჟელატინი, ძმარი, კვიტინი და ა.შ

უბრალოდ დიდი ხანი ვადუღე, ნელ ცეცხლზე, რომ გაცივდა გამყარდა. არის მართლაც უგემრიელესი.

ინგრედიენტები

ქლიავი 1კგ
მწვანე ვაშლი 500 გრ
შაქარი 1,5 კგ
ლიმონმჟავა 0,5 ჩ/კ

მომზადების წესები

დავჭერი კანიანად ქლიავი, ვაშლი გავთალე, დავაყარე შაქარი და ლიმონმჟავა, ვადუღე შესქელებამდე, არ დამიბლენდერებია.

მართლაც არომატულია და უგემრიელესი ❤️

რულეტი

ინგრედიენტები

3 ცალი კვერცხი
200 გრ შაქარი
300 გრ ფქვილი
100 გრ ცხელი წყალი, ან რძე
მწიკვი მარილი
1/2 ჩ. კ სოდა

მომზადება

სანამ თქვეფას დავიწყებთ, მანამ ჩავრთოთ ღუმელი 250 გრადუსზე, ზედა-ქვედა წვით, ავადუღოთ წყალი ან რძე, მაგრამ წყლით უფრო ფაფუკი გამოდის, ავთქვიფოთ დანარჩენი ინგრედიენტები კარგად, მანამ წყალი შეგრილდება, დავასხათ ათქვეფილ მასას და ნელი სიჩქარით მოვურიოთ, ბოლოს დავაცრათ ფქვილი სოდით, სულ ესაა, დაჭირდა მზაობას 15 წუთი, ჩემთან, თქვე თვითონ აკონტროლეთ დრო

ლეღვის მურაბა

1 კგ.ლეღვი
750 გ.შაქარი
200 მლ. წყალი.
1 ს.კ. ლიმონის წვენი ან მწიკვი ლიმონმჟავა.
1) ლეღვი გავრეცხე, დავჩხვლიტე.
2) შაქარს დავასხი წყალი,ვადუღე შაქრის გადნობამდე, შემდეგ ჩავაწყე ლეღვი, 5 წთ. ვადუღე მაღალ ცეცხლზე, პირველი ადუღების დროს ქაფს რომ გაიკეთებს მოვხადოთ, შემდეგ დავუწიე და ძალიან დაბალზე ვადუღე 40 წთ, არ მოურიოთ, თუ რამე ქვაბი გაამოძრავეთ .შემდეგ გავაციე ბოლომდე (6-7 სთ), მე დავტოვე მთელი ღამით, მეორე დღეს კიდევ ვადუღე ძალიან დაბალზე სასურველი სისქის მიღებამდე, ბოლოს დავამატე ლიმონის წვენი ვადუღე კიდევ 5 წთ და მზადაა.

მკუხე პომიდვრის სალათი

5 კგ მწვანე პომიდორი
2 კგ წითელი ბულგარული
2 კგ ხახვი
2 კგ სტაფილო
0,5 ნიორი
5 კონა ნიახური
2 კონა ქინძი
2 კონა ოხრახუში
1 კონა ცერეცო
1 პაჭკა შავი წიწაკა
ცოტა მწვანე წიწაკა

მომზადების წესი:
პომიდორი დავჭრათ მრგვალად და დავაყაროთ მარილი,გავაჩეროთ 4 საათი. 4 საათის შემდეგ გავწუროთ, დანარჩენი ინგრედიენტები დავჭრათ და მოვაყაროთ გაწურულ პომიდორს, ამ სალათას მოვასხათ 0,5 ზეთი + 0,5 ძმარი, მარილი გემოვნებით და გავაჩეროთ 3საათი.3საათის შემდეგ ამ პომიდვრის სალათას გავანაწილებთ ქილებში თავის წვენთან ერთად და ვასტერილებთ 20 წუთი. (ამ პორციით გამომდის 1ლტ 11ქილა.) აბა ველოდები თქვენ პომიდვრის სალათასაც


ზოგიერთი პროდუქტის ზომისა და წონის შედარებითი ცხრილი
ჯერის მომზადების დრო და ტემპერატურა
ინგრედიენტის ტემპერატურა
ინგრედიენტი
დრო
ტემპერატურა
ტემპერატურა
ინტერვალი
გამოყენება
ინგრედიენტი
ზომა
ზომა
ინგრედიენტი
ზომა
ინგრედიენტი
ზომა
ინგრედიენტი

წერილები

ლუარა სორდია

რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში უმთავრესია სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი. ვფიქრობთ, ამის გათვალისწინება მოგვცემს პოეტის, ერთი შეხედვით, პარადოქსული აზროვნების გასაღებს, მისი ენიგმების, ლიცენციების, ეზოტერული ქვეტექსტების ამოხსნის საშუალებას.

„ათასის მხედველობის“ მქონე პოეტების მეფე არა მხოლოდ ემპირიული სამყაროს საგნებს, მოვლენებს, მათ შორის მიმართებებს აფიქსირებდა, არამედ ჭვრეტდა სხვათათვის „უხილავ-ფარულს“, დეტალებით მთელზე, ლოკალურით გლობალურზე, ეფემერულით მარადიულზე მიგვანიშნებდა. მისი მეტაფორული აზროვნების არეალში ექცეოდა ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური თუ ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რაზედაც ასე გაბედულად გააკეთა აქცენტი: „მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“.

სიტყვის ჯადოქარმა ავდრის, ზამთრის, უამინდობის, თოვლის, ყინვის სახეთა ქვეტექსტებით გაგვიცნობიერა სამშობლოს ბედი თუ უბედობა. საკუთარი ერის მომავალი გაიაზრა მსოფლიოს მოვლენათა კონტექსტში, „კოსმიურ სიცივეს“, სულის გვალვას, პლანეტის კატაკლიზმებს დაუპირისპირა ყოვლისშემძლე, მარადიული სიყვარულით დამუხტული ქართული სული, საღვთო სიბრძნე და საღვთო სიყვარული.

„არტისტული ყვავილების“ ავტორმა, ერთი მხრივ, „გაზაფხულისმაგვარი“ ქართული თოვლის მომხიბვლელობას გვაზიარა, სხვა გეოგრაფიულ არეალში კი იხილა „თოვლის სუდარა, თოვლის კუბო, ჯადოქარი სიცივე“.

რელიგიურ ჭრილში გაიაზრა „თოვლის მადონა, თოვლის ვარდები, იისფერი თოვლი, ლურჯი ფიფქი, ვარდისფერი თოვლი, ქალწული თოვლი“ და ჩვენი ზეციური დედა იხილა განუმეორებელი მეტაფორებით...

სხვაგან საბედისწერო თოვლით შემოსა ალვა, ნაძვი, ბილიკი, წყარო, ანუ ურწმუნოებას დაუპირისპირა რწმენა, რადგან ალვა, ნაძვი, ბილიკი, წყარო საღვთო სახელებია ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში.

პოეტმა „შავი თოვლით“, „ბნელი თოვით“ მიგვაახლოვა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის შინაარსთან.

ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემების წარმოჩენა მოახერხა „არაწმინდა თოვლის, თოვლის სამსალის, ფიფქით მტრობის, მწუხარე თოვლის, საუკუნეთა თოვლის, ირიბი, ალმაცერი თოვლის“ სიმბოლოებზე აქცენტირებით.

საგულისხმო ქვეტექსტების მატარებელია ყინულის გამოყენებით შექმნილი სახეები: გაყინული მხედარი, გაყინული გული, გაყინული ცა, გაყინული ყვავილი, ყინულის სასახლე, ყინულის კოშკი, ყინულის ქალაქი, ყინულის მთა, ივლისისფერი ყინვის თასები.

გალაკტიონს აწამებდა „უამინდოთა სასტიკი სული“, „სული, აღსავსე სუსხით“, თვითმპყრობელობის საშინელი სუსხი.

კოდირებული სახეების შემცველია და ჩვენთან „დაძმობილებული“ მტრის მხილებით გამორჩევა „ოფორტი“.

ლექსის „ელვარე თოვლის მარხილი“ და „თეთრი ავდარი“ მიგნებული მინიშნებაა ჩვენი უბედურების რეჟისორზე: „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი, ამ სივრცეებში მყავს დამარხული ზამთარი ცივი და ნაზავთარი“.

მეზობელი მონსტრის „ელამი მზე“, გაყინული მხედარი, სიჩუმე, ავბედითი ნაკვალევი და ძალადობით სამშობლოდ გამოცხადებული თოვლიანი იმპერია არის ლექსის ლირიკული პერსონაჟის გაუნელებელი სატკივარი: „რა სიჩუმეა. როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მართლაც, საკუთარი სამშობლოს დავიწყებას და თავისი თოვლიან-ყინულიანი, უცხო ქვეყნის სამშობლოდ აღიარებას მოითხოვდა ჩვენგან „გაიძვერა მოყვარე“.

შიფრით ნაწერი ლექსია „გული გრძნობს“.

მასში მთავარ სათქმელთან გვაახლოებს „მწუხარე თოვლი“, მისკენ სვლის მიზეზად კი სახელდება „ფერადი გემი“: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს – დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს როსმე ბოჰემა. გული გრძნობს ღალატს“.

„მწუხარე თოვლი“ ისევ უბედურების მომტანი ტოტალიტარული სახელმწიფოს პაროლია, გემი (აქ – „ფერადი“) – ღვთისმეტყველთა განმარტებით, არის ეკლესია, ქრისტიანული რწმენა.

თავის განმარტებაში იოანეს სახარებისა“ (2,4) ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „რატომ აცვეს მაცხოვარი ჯვარს? – იმიტომ, რომ შენთვის, სულო კაცისაო, აუცილებელია ეს ძელი მისი დამდაბლებისა. შენს ამპარტავნებაში შენ გეშინოდა მისი და ამის გამო შორს მოსცილდი მშობლიურ ქვეყანას. საერო ზვირთებმა წაშალეს მისკენ დასაბრუნებელი გზა და მხოლოდ ამ გემით ძალგიძს შენ დაბრუნდე შინ. იგი თვით იქცა გზად, მაგრამ ეს გზა ზღვაზე ძევს, რომელზეც შენ ფეხით ვერ გაივლი, შენ გადაგიყვანს გემი, გადაგიყვანს „ძელი“ (ანუ ჯვარი), გწამდეს ჯვარცმისა და შენ შეძლებ დაბრუნებას“.

სიტყვა „ძელი“, „მორი“ მეტონიმიურად აღნიშნავს გემს (ნეტარი ავგუსტინე „აღსარება“, 1985, გვ. 453).

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20).

ლექსი ქვეტექსტებით გვაუწყებს, რომ ერთმორწმუნეობის გამო მომხდარა თოვლის სამეფოსთან დაახლობა, მაგრამ მფარველი „ანგელოზის“ ნიღბით მოვლენილი ქვეყანა „ჯალათად“ ქცეულა, ღალატით ყოფილა დაღდასმული მისი „მფარველობა“.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ ალეგორიულად მხილებულია სატანური იმპერია, „მგმობარი მეგობარი“, „მტერი მეორე“, „საშინელი ავდრის, უამური ზამთრის“ სამეფო, „ნგრევა – ხოცვის“ ოსტატის ხრიკები.

„ქაჯეთის“ სახელით მონათლულმა ბოროტების იმპერიამ ჩვენს ქვეყანას მოჰპარა მშვიდობის წიგნი.

წიგნი ღმერთის სიმბოლოა:

ბიბლიაში ძე ღმერთის მოვლინება აღიქმება, როგორც წიგნის სიტყვების გახმიანება (წიგნი მამაღმერთი, სიტყვა – ძე ღმერთი): „იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები“...

„გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,11,18).

„აღსარების“ ავტორი აცხადებს: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიე უკუნისამდე“ (ავგუსტინე, 1985, 217).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უწოდა „სანუკვარი წიგნი“, „დიადი წიგნი“ (ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941, გვ. 383).

„მშვიდობის წიგნში“ წიგნის დაკარგვას მოჰყვა თოვლის, ნისლის გაბატონება, წყლის ამღვრევა, მახის დაგება, შეთქმულება, ღალატი, ხიფათი, აკლების მუქარა, „მკვლელთა თარეში“...

პოემაში ხაზგასმულია „წინანდელი იმედების“ დაღუპვა, ქართული „მიწის და ცის ნამცეცის“ მითვისების, ჩვენს „ტურფა სამოსახლოზე“ ვეფხვის გაბატონების სურვილი, მსხვერპლი, სატანის მოვლინება, ბაღის განადგურება, მხეცების მოძალება.

წიგნი ჩრდილოელმა ქაჯმა გაიტაცა, ქაჯი არის რუსული ბოლშევიზმის ალეგორია. ქაჯი „ნგრევა – ხოცვის“ ოსტატია.

სულით გაღვიძებულმა ადამიანებმა განგაშის ზარი შემოჰკრეს, მიხვდნენ უბედურების მიზეზებს, იპოვეს დაკარგული წიგნი (ღმერთი), მათ მიაგნეს „წმინდა გზას“ (ღმერთს) და ქვეყანა გადარჩა.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი არის „მშვიდობის „გზა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 59,8).

პოემაში საუბარია „თოვლის სამსალაზე“, „არაწმინდა თოვლზე“, რომელიც დადნა მზის ელვარებით.

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84; 12).

ვერაგი მეზობლის მუხანათობით მიუღწეველი ნაპირები თოვლით და ყინვით იმოსებოდა: „და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით“ (თოვლით და ყინვით).

გულს თოშავდა „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული“ (ჩემს გულში დაჰქრის).

ეს ავბედითი, „ალმაცერი, ირიბი“, არამშობლიური თოვლი ცეცხლს აქრობდა სულში, იფან-

ტებოდა თეთრი ფიქრები, იფერფლებოდა ხელნაწერი და პოეტი ნატრობდა იმედების, სინათლის მოვლინებას: „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება. გაიღო ფანჯარა. თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. იფანტება თეთრი ფიქრები. იფერფლება ხელნაწერი. ნუ ჩამიქრები და იქაც, შიგნით, სულში... თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“ (თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი).

თოვლში (თოვლის იმპერიის მარწუხებში) იმსხვრეოდა იდეალები, ჩხაოდნენ ყორნები და თოვლი სილისთვის იმეტებდა იდეალს–ნოვალისის ყვავილს: „იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი. თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“ (აღარ არის მენესტრელი).

ბედისწერამ „იანვრის მოძმედ“ აქცია პოეტი და იგი ჰგოდებდა: „იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს“.

„დაფარული ცოდვების, დამალული ღალატის“ შედეგი იყო „შიშველი, თეთრი ყვავილი.“ ასევე პოეტი წუხდა „თეთრ ბეჭდების თვლებზე“.

ია მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა. ჩვენი ზეციური დედა მოიხსენება, როგორც „უბიწოებით შემკული ია“ (ვახტანგ VI, 1975, 45).

ბეჭედი, ზეცის ბეჭედი მარიამ ღვთისმშობელზე მიგვანიშნებს.

თვალი, ზეცის თვალი უფლის მეტაფორაა: „დიდგანმზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 321,9).

ლექსში მარადიული თოვლით, ღალატით ცნობილი მონსტრი სახელდებულია, როგორც „იანვრის თოვლი“ (სამრეკლო უდაბნოში).

სხვაგან წუხილის მიზეზია „თოვლში ჩაფლული უნუგეშოდ შთენილი, გაყინული ფოთოლი“ (ქარით დატირებული) (ტაბიძე, 1982, 355).

„ელეგიაში“ „გაზაფხულის მზიან ჩრდილს“ გადაუღებელი თოვლი ენაცვლება.

თეთრ თოვლის ქვეშ სიზმარეთში გაუჩინარებულა მთა, გაზაფხულზე გაყინულა ნაკადული, თოვლის ფიფქით დაფარულა ნაძვი (თეთრ თოვლის ქვეშ).

მთა მარიამ ღვთისმშობლის სახელია და მომდინარეობს ბიბლიიდან (დანიელ წინასწარმეტყველი 2,34,247).

ნაკადული საღმრთო სიმბოლოა: „წყალს მივუღვრი ურწყულს და ნაკადულს გამომშრალ მიწას“ (ესაია წინასწარმეტყველი, 44,3).

ნაძვი სიცოცხლის ხის ანუ ღმერთის მეტაფორაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავიღებ ტოტს მაღალი ნაძვიდან და დავრგავ: მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი: 17, 22).

„შავი თოვლი“ მთავარი აზრობრივი აქცენტის მატარებელი სახეა ლექსში „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“: „ვეწვევი განდეგილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეს, იქ შავი თოვლით დამათოვს ჭვარტლი და ბურუსი თავანის“.

ლექსის ლირიკულ პერსონაჟს უდაბნოს ქარების ქროლვაში ჩაესმის ათეისტებისთვის უზენაესის მიერ გამოტანილი განაჩენი: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

„შავი თოვლი“ (ჭვარტლი, ბურუსი) ურწმუნოებაზე, გაუქმებულ ეკლესიაზე მინიშნებაა მიგნებული სახით.

„დომინოში“ „თოვლის ფერ-უმარილით“ „გაფითრება“ და „ფიფქით მტრობა“ გვაფიქრებინებს არაკეთილმოსურნე მეზობელზე.

პოეტი აფრთხილებდა ღვთის მგმობელთ, უკეთურთ, ზეცის სისპეტაკე და სინათლე კი არა, „ბნელი თოვა“ და დემონ-ლუციფერთა ჯოჯოხეთში გაყიდული სულით არსებობა იქნებოდა მათი ხვედრი: „ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა, ვერ შეიფერეს მზე კონებისა და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა, ქვეყანა ბნელი დემონებისა. მოკვდებით, ბნელი იქნება თოვა, რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა, იქნება ლანდი ლიუციფერის“ (ვერ გაიგონეს).

ასე სიმბოლურ-ალეგორიული, მრავლისმთქმელი სახეებით ამხილა პოეტმა ჩვენი ეროვნულ-რელიგიური, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ტრაგედიები, ასე განუხრელად ემსახურა თემიდას, მაგრამ იყვნენ ქვეყნის სატკივრის მიმფუჩეჩელი გულგრილი მედროვეები, რომლებიც იანვრის თოვლშიც „მაისის ვარდნი გაფურჩქვნილის ხმით“ ღიღინებდნენ (70 წლის პოეტი ქუჩაში მიდის).

სიცრუის აპოლოგეტებისადმი ირონიაა „ყვავის სიმღერა“: „თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს ჩემი ბახალა“ (ტაბიძე, 1993,328).

ლექსში „თიბათვე გავიდა“ „გაიძვერა მოყვა-

რე“ „მევახშის“ სახეში გვეცხადება, რომელმაც იყიდა სასახლე, მამული, ჭალები, და „გაყიდული“ ქვეყნის მკვიდრს ისღა დარჩენია, „ჩრდილოეთს“ ეწვიოს „კიდობნით“ (ტაბიძე, 1994, 114).

კიდობანი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა: „გიხაროდენ, კიდობანო ოქროვანქმნილო სულითა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა) (იკოსი 12) გალაკტიონის ლექსი დაწერილია 1916წ.

ყოველი ნამდვილი ქართველის სატკივრის სხვაგვარი ფორმით გაცხადებაა ლექსი „შავი ზღვის პირად“: „ტროპიკულ ხეებს, შავი ზღვის პირად, ვაზებს დახლართულს, რომ მივყვებოდი ზურმუხტისფერ ფიქრებში გართულს, ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“.

ეს სტრიქონები დაფიქსირებულია 1928წ.

1937 წელს პოეტს ისევ მონობის სიმწარე, ურწმუნოება, საკუთარ მამულზე დადებული ჩრდილოელი მტარვალი მხეცის ტორი აკვნესებდა: „არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა გულო, თუ ამგვარი გახდებოდი ცივი, უმამულო. და ამგვარად თუ სიცოცხლის მოკვდებოდა კონა – არ მეგონა, სიცოცხლეო, არა, არ მეგონა“ (არ მეგონა).

მიუხედავად თოვლისა და ეპოქის ავდრით გადახრილი ქუჩისა, პოეტი სასახლეში მაინც „სიხარულს“ მოელოდა (მთელი დღე ვგრძნობდი) „სიხარული“ ქრისტეს სახელია.

იმედიანობის საფუძველი თოვლივით სწრაფწარმავალი ბოროტების დამარცხების, ჩვენი ქვეყნის სამართლიანობის რწმენა იყო: „... მაინც არ ჩაქრა ჩვენი სანთელი, ვამბობთ: ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი“ (მშვიდობის წიგნი) (ტაბიძე, 1975, 351).

ორი საუკუნე ათოვდა და აწვიმდა ჩრდილოეთიდან ქართველი კაცის იდეალებს, მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ კარგავდა, რომ გამოიდარებდა, დადნებოდა ეს ავბედითი თოვლი: „საუკუნეთა თოვლო, ითოვლე, მაინც დადნება ეს ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე).

მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე და მკითხველის გულში გალაკტიონის მიერ ქვეყნის გასაგონად დაიწერა სამარადისო პოეტური სიტყვა (სიტყვა პოეტის) (ტაბიძე, 1993, 121).

მიზანი იყო „ქალწული თოვლისკენ“, „ღრუბლებისკენ“ სწრაფვა, რათა „ცის კაბადონზე“ „მსოფლიოს შესახედავად“ აღებეჭდა საღვთო მცნება: „გიყვარდეთ!“ (ფანტაზია).

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „ძეგლი ქალწულებისა“ (გზა სამეუფო, 2009, 10).

ჩვენი ზეციური დედის სახელია „ღრუბელი ნათლისა“ (სინური მრავალთავი, 1959, 200).

„ელვის ბილიკზე“ მავალი პოეტი ეთაყვანებოდა „თოვლის ვარდებს“ (ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები), თოვლის მადონას-მარიამს (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა).

ბიბლიის მიხედვით, ბილიკი, გზა საღვთო სახელია (ესაია წინასწარმეტველი, 30,21,95), „თოვლის ვარდი“ – ღვთისმშობლის.

„დაუჯდომელში“ მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „ყვავილი უხრწნელი“.

გალაკტიონმა თოვლის სახის გამოყენებით გვიჩვენა ეროვნული ხასიათი: „არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც, ვაჟკაცსა – გული რკინის, აბჯარი – თუნდაც ხისა“. (პირველ აგვისტოს ღამით).

საქართველოს ბედისა და მგოსნის სულის დასახასიათებლად ისევ თოვლის შემცველ ფრაზას მიმართა: „რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა. რას ნიშნავს იყო მგოსანი? ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა“ (რას ნიშნავს, იყო ქართველი?).

პოეტმა ქართველი წარმოაჩინა, როგორც „არმოშიშარი ქარისა და თოვლისა“, მამულისთვის თავდადებული, მისი უპირველესობის მქადაგებელი: „არმოშიშარს ქარისა და თოვლისა, ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება: „მამულს გული უპირველეს ყოვლისა!“.

სოსო სიგუა



"მხატვრული აზროვნება"გენეზისი და სტრუქტურა კონსტანტინე გამსახურდია:

პროფესორ სოსო სიგუას წიგნიდან

მამისმკვლელობა და დედისკულტი

ლეო ქიაჩელისაგან განსხვავებით, კონსტანტინე გამსახურდია პრეისტორიისა და ისტორიისაკენ უკუიქცა, წარმართული და მითოლოგიური სახე-სიმბოლოები აამეტყველა, რომლებთანაც მიიყვანა განსწავლამ და ბიოგრაფიულმა ფაქტებმა.

თუ ახალი დროის ტრადიციამ ძველი ჟამიდან მამის კულტი დააკანონა, „მთვარის მოტაცების“ ავტორმა გაიხსენა არქაული, ყველა ხალხის უშორეს წარსულში არსებული დედის კულტი და ტომის ბელადის (იგივე მამის) მკვლელობა, რაც ფსიქიკას შემორჩა როგორც კონფლიქტი მამა-შვილს შორის.

ამგვარი კონფლიქტი არის განახლების საფუძველიც.

მწერალი შენიშნავდა, რომ ვინც მუდამ შეგირდად დარჩება, ის ოსტატი ვერ გახდებაო. საკუთარი სახის გამოკვეთა და გზის პოვნა ძველთან დაპირისპირებას, ძველის დარღვევას ნიშნავს.

ყოველი განახლება, ამავე დროს, არსებულის უარყოფაა და ამდენად – მტკივნეული.

პრეისტორიულ ეპოქაში მამის (ბელადის) მკვლელობა იყო ერთდროული ტრიუმფი და გლოვა, როგორც ღმერთისმკვლელობა.

263 267

კონსტანტინე გამსახურდიას მთელს პროზას გასდევს მამაშვილის მტრობა-სიყვარულის მოტივი.

სასიკვდილო სარეცელზე მწოლმა მამამ, რომლის სახელი არც ვიცით, დასწყევლა კონსტანტინე სავარსამიძე და უნაყოფობა დაანათლა („დიონისოს ღიმილი“).

ტვინამღვრეულმა შვილმა თოფს დაავლო ხელი, რათა მამა მოეკლა. ანდერძის გამტეხ შვილს მუდამ სდევდა მამის წყევლა და სძულდა იგი. მაგრამ არაცნობიერად მაინც უყვარდა. ამიტომ ზმანებაში, საიქიოში როცა ნახა, მუხლზე დაეცა და პატიება სთხოვა:

„შენი წყევლა ამიხდა, მამა. ჩვენი ეწერის თხმელასათვის უნაყოფო გავხდი. ვერც ერთმა ქალმა ვერ გაუძლო ჩემს სიყვარულს და ყველას შევძულდი, მამა. ძველი ვენახი დამექცა, ვეღარც ახალი გავაშენე, დამლოცე, დამიბრუნე ისევ შენი ნაციები მიწა. დამიბრუნე შენი ვენახი, მამა“.

მაგრამ მამამ ვერ დალოცა ანდერძის გამტეხი ვაჟი და გაუჩინარდა.

„მთვარის მოტაცებაშიც“ მამა-შვილის – კაც და არზაყან ზვამბაიების ურთიერთობა მტრობა-სიყვარულზეა აგებული, რაც მთავრდება ტრაგიკულად – მამის მკვლელობით.

მკვლელი არის არზაყანი – ბოლშევიკი და ჩეკისტი, ახალი დროის სიმბოლო, რომელმაც გაანადგურა მშობლიური, ქართული წარმართულ-ქრისტიანული სამყარო. მაგრამ არ ნანობს ჩადენილ დანაშაულს, არც ცრემლი დასდის.

ჯერ კიდევ მიხეილ ჯავახიშვილის გივი შადური ამბობდა ბოლშევიკზე: „თუ დასჭირდა, ახალი თემის ღალატისთვის საკუთარ მამას გოჩასაც გაჰგმირავსო“.

264 267

ხდება პირიქითაც: როსტომ აფთარაული ჰკლავს თავის ვაჟს ახლად შერთული ცოლის წაქეზებით (ნოველა „დათვი“, 1938 წ.).

მამა-შვილის მეტოქეობის მოტივი გასდევს „დიდოსტატის მარჯვენასა“ და „დავით აღმაშენებელსაც“.

გიორგი I სიკვდილის წინ ამბობს:

„არ მიყვარდა პაპაჩემი – გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი – ბაგრატ კურაპალატი, და მცხეთიდან გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს“.

„დავით აღმაშენებელი“ რომანი-ეპოპეაა, მაგრამ არც ამ ვრცელ წიგნში ასახულა მამა-შვილის ურთიერთობა. დავითი მეტ საერთოს პოულობს გიორგი ჭყონდიდელსა და მახარასთან, ვიდრე მამასთან ან ვაჟთან. იგი მამის გზისა და ხასიათის უარმყოფელი შვილია. არც გიორგი მეორეს მოსწონს შვილის ასკეტიზმი და ფანატიზმი, გულგრილობა ამა ქვეყნის სიამეთა მიმართ.

კონსტანტინე გამსახურდიას გმირებს მამის სანაცვლოდ უყვართ დედები და მორდუები.

კონსტანტინე 15 წლისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა. იგი მკაცრი ხასიათის კაცი ყოფილა, დედაჩემს სიცოცხლეს უმწარებდაო, მხოლოდ ჩემს დას თუ მიეფერებოდაო, შენიშნავდა სიბერეში. მაგრამ არც ნაგვიანევ სინანულს მალავდა: „მე დღესაც ვწუხვარ, რომ ჩემს საყვარელ და ვაჟკაც მამას ვერც სიცოცხლეში ვეცი პატივი და დღემდის იგი ლიტერატურაში არ მიხსენებია“. როგორც ჩანს, მამას ვერ ეგუებოდა, რაც საფუძვლად დაედო მკაცრი მამის სახეს მწერლის პროზაში. ესკი ეპოქის ტენდენციების შესატყვისი აღმოჩნდა, ანუ, ფროიდის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავს იჩენდა „ოიდიპოსის კომპლექსი“, რამაც აღუდგინა მითოსური არქეტიპი.

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგში“ ერთმანეთს შეებრძოლებიან ერთმანეთისათვის უცნობი მამა-შვილი – თამაზ მაყაშვილი და ვამეხ ლაშხი, რაც მშობლის დაღუპვით მთავრდება.

კონსტანტინე გამსახურდია მითებს ხსნის ფროიდისა და ნიცშეს, გრიგოლ რობაქიძე _ ნიცშეს მეშვეობით. ლიტერატურაში ჭარბად არის ასახული კონფლიქტი მამასთან. მაგრამ ცნობილია დედის მკვლელობაც: მაგ., ნობელის პრემიის ლაურეატის ესპანელი კამილო ხოსე სელას მთავარი პერსონაჟი კლავს საკუთარ დედას, რომელიც მიჩნეულია ყველა უბედურების მშობელად (რომანი „პასკუალე დუარტეს ოჯახი“).

დედისმკვლელობა ყველაზე საზარელი დანაშაულია, მაგრამ ზოგჯერ ამასაც ეძებნება გამართლება: ესქილეს ორესტე მახვილს ჩასცემს საკუთარ დედას, რომელმაც თავის საყვარელთან ერთად მოუკლა მამა – გმირი აგამემნონი (ტრილოგია „ორესტეა“).

დედის მკვლელს არეოპაგი ათენას მხარდაჭერით გაამართლებს.

მამისაგან განსხვავებით, სტუდენტი კონსტანტინე გამსახურდია პირად ბარათებში სულ დედას ახსენებს, მე რომ მშიერი მოვკვდე, ის მირჩევნია, ვიდრე დედამ იშიმშილოსო, დედაზე წერდა ლექსებსა და ნოველებს სიჭაბუკის შემდეგაც.

„ყველაფრის ატანა შემიძლია, ოღონდ ნუ მაჩვენებთ მოხუცი დედის ცრემლებს“, – წერდა ერთგან. დედის სიყვარული მწერალმა გადასცა თავის პერსონაჟებს: კონსტანტინე სავარსამიძე:

266 267

„ჩემი ძვირფასი დედა! ჩემს გაჩენამდის წმ. კონსტანტინეს შეჰვედრებია, მოწამეთას ფეხშიშველად ხლებას შეჰპირებია“, „ჩემი მოხუცი დედაც ცოცხალი დამხვდა. პატარა ხელეტლი ჩამოვუტანე. კვირა დღეს სვეტიცხოველში დამყავს“.

თარაშ ემხვარი: „ვწვები, საბანს ვიფარებ თავზე, არ მინდა ვხედავდე ჩემის თვალით, რომ პარიზში ვარ. ეგების დედა დამესიზმროს და ჩვენი მთები“.

„ასი წლის რომ გავხდე, დედა, ათასი წელიც რომ დავრჩე უცხოეთში, თუ შენ შინ მეგულები, ფესვები მაქვს-მეთქი შენს მიწაში, ასე ვიტყოდი“. სიკვდილის წინ დედა ეზმანებათ გიორგი პირველსა და კონსტანტინე არსაკიძეს.

ბოლშევიკი და ჩეკისტი, ყოველივე მშობლიურის ხელმყოფი არზაყან ზვამბაიაც კი გულჩვილია დედის მიმართ. იგივე ითქმის სხვა პერსონაჟებზეც. კონსტანტინე არსაკიძის დედამ მკლავმოჭრილი, მკვდარი შვილი რომ იხილა, უეცარი ელდისაგან გაქვავდა. გრძნობათა ამგვარი დიფერენცირება დედისა და მამის მიმართ არის შორეული ჟამის გამოძახილი, შემორჩენილი არაცნობიერ ფსიქიკაში და გამოტანილი მითოლოგიაში, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. ამ

გრძნობას ლეო ქიაჩელი ხედავდა თანამედროვე ჭრილში, კონსტანტინე გამსახურდია – ისტორიულ და პრეისტორიულ ვერტიკალშიც.

ლეო ქიაჩელისათვის ამოსავალი იყო ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობა, კონსტანტინე გამსახურდიასთვის – არაცნობიერი ფსიქიკურის არსი.

* * *

რა მიმართება აქვს დედის კულტს მამისმკვლელობასთან? ფროიდის მიხედვით, აქ ვლინდება „ოიდიპოსის კომპლექსი“, როგორც წარმოსახვათა სათავე. გავიხსენოთ მწერლის მამა – მკაცრი და სასტიკი, დედას სიცოცხლეს რომ უმწარებდა.

მამა თავისთავად არის ღმერთის ხატი და ძალაუფლების სიმბოლიკა, რაც ყრმის ცნობიერებაში ასოცირდება რუსულ ხელისუფლებასთან, რომელიც იყო დამპყრობი და დამთრგუნველი, ღირსების შემლახველი და მშობლიურის ხელმყოფელი, რუსული ხელისუფლება – ქრისტეს სახელთან, რადგან რუსეთმა ქრისტეს ჯვარით დაიპყრო საქართველო.

ამიტომ ღმერთთან, სიკვდილთან და ბედისწერასთან მებრძოლი მწერლის ნაციონალიზმი დედის კულტად და მამისმკვლელობად გაიშალა, რაც იწვევდა მითოლოგიური წარმოდგენების გააქტივებას.

დედის კულტი – ეს იგივე დედასამშობლოს კულტია. ამიტომ ჩნდება წარმოსახვაში ყოველთა ქართველთა შაოსანი დედა, ჩნდება 25 თებერვლის საბედისწერო ღამეს – საკუთარი შვილების მიერ გაძარცული და ყელგამოჭრილი („დიდი იოსები“, შდრ. – არზაყან ზვამბაია).

ეს კი იწვევს გმირის, ძლიერი პირივნების, მფარველი ძალის ხატს, რაც არქეტიპულად არის ფარ-შუბოსანი, თეთრცხენოსანი, დრაკონის დამამხობელი წმ. გიორგი და პერსონაჟებად გადანაწილდა.

მაგრამ როცა შთაგონებას სძლევდა დეპრესია, საომარ შემართებას – სასოწარკვეთა, მაშინ გამოსავალი იყო თარაშ ემხვარის „მესამე გზა“ ანუ თვითმკვლელობა როგორც ავტორის, ისე პერსონაჟებისათვის.

გადავხედოთ თვითმკვლელ პერსონაჟთა გალერეას:

იოჰანეს ნოიშტეტი და ჟოზეფ ვიტენზონი („დიონისოს ღიმილი“), ჯანსუღ აგირბა და ქოსა გახუ („ქოსა გახუ“), მზეჭაბუკი („მშვენიერება“), ლუკაია ლაბახუა და თარაშის თვითმკვლელობის ცდა (`მთვარის მოტაცება“). მინდია („ხოგაის მინდია“), შორენა კოლონკელიძე („დიდოსტატის მარჯვენა“), გვანცა ერისთავი, შამან ერისთავი, მაგისტრი იოანე („დავით აღმაშენებელი“), აბრია უჯირაული და რუდოლფ შტამლერი („ვაზის ყვავილობა“), რაჰიმ ვექილოვი („მტრების მეგობრობა“)...

* * *

„სიკვდილი“! – ეს ერთადერთი სიტყვა დაიძახა რაიხსმარშალმა გერინგმა, როცა ნიურნბერგის ტრიბუნალმა ჩამოხრჩობა მიუსაჯა. ალბათ იმიტომ, რომ სიკვდილი მაინც არის არყოფნა და ცნობიერება ამ სიტყვით წყდება, მთავრდება ტრაგიკომედია. ხელოვანი კი ამ სასტიკი სიტყვის სარკეში წინაპართა მსოფლიოს ხედავს, ხედავს სისხლიან კონფლიქტებს, აღზევებასა და დამხობას.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე

სულიერ-უფლებათა დეკლარაცია!

არსის ყოფა!

სულიერი დეკლარაცია მიზანდასახულობის უდიდესი ზღვარია!

უფლებაა, უფლებათა აღზრდის მონაწილე ისევ სულიერებაა, სული-ერ - ება!(სული ერს ებაო!)

მაგრამ ჩვენს გარშემო არსებული საზოგადოების ნაწილი ჯერ ისევ მკვდარია,ამიტომ საზოგადოების ნაწილი უნდა გაიზარდოს.

სულიერების დონეზე არსებული საზოგადოება (სიტყვა მეტყველია და აქ სულიერების დონე განიხილება როგორც მთლიანად კაცობრიობა, სული - ერების, ანუ მრავალი ერის)ნაწილია იმ ფორმისა, რომელიც სულიერ უფლებას გამოხატავს.

არსებობის ცოდნა - ღვთაებრივი საწყისია!

ჩვენ ვცხოვრობთ უხეშ საუკუნეში, ღერძი სულიერების ღრმა რწმენაა. ქრისტე არის იდეა და ჭეშმარიტება!

გაქრისტიანება იდეით იბადება!

სული ადამიანშია!

სულიერი განზომილება გულიდან განივრცობა და მაშინ სული ზეცას ეწევა.

სულის განვითარებისთვის თვითონ უნდა აღმოაჩინო მთავარი, ანუ სულის სმენის ორგანო უნდა გააძლიერო.

სული ღეალური და ინდივიდუალურია, აქ საკუთარის ყველაზე დიდი შესაძლებლობაა.

სული ზეცას სწვდება მარადიულობის შეგრძნებით, უნდა შევძლოთ სულიერი ენერგიების მოზიდვა და ამაღლება.

ადამიანი ჭურჭელია! გააჩნია რითი შევავსებთ მას, გარე და შიდა სამყარო უნდა შევავსოთ მაღალი სულიერი ენერგიების მოზიდვით.

თუ ადამიანი გარე სამყაროს ეკუთვნის , ის ავლენს უარყოფით ასპექტებს.

უნდა ჩავწვდეთ სულიერ იდეებს და შევიცნოთ სხეული ღვთიური ენერგიების უსასრულობაში. აქ სულის ქორწინება ხდება საკუთარ თა ვთან, შრეების გადალახვა, შეღწევა, წვდომა, ამით დასამარება ხდება უარყოფითი ენერგიების და აღდგენა განახლება მიმდინარეობს სხეულში, სუფთავდები, თვალი იწმინდება, გონება იხსნება.

სამყაროს სული მუდმივად ჩვენს გარშემოა რათა სულის ხედვა ჩვენშიც აამაღლოს.

სრულყოფილება გარდაუალობაა ადამიანის ცხოვრებაში, უნდა შევძლოთ ამის მიღწევა.

ყველაფერი შეზღუდულია ამ სამყაროში გარდა სიყვარულისაა!

ნებისმიერი ენერგია ემოციის საწყისია, ტკივილი გარდასახვაა,ის გვიჩვენებს სადაა ნაკლი, ეს სულის ამაღლების ერთადერთი საშუალებაა.

ფიზიკურმა სხეულმა უნდა მიაღწიოს ყველაფერს, რომ უკვდავი სული გახდეს.

იერარქიის კიბეზე ზუსტად უნდა განსაზღვროთ ვინ სად ვდგევართ, რომელ საფეხურზე, სულის განზომილება ითხოვს ამას,ყველა სული ციკლურად იზრდება და ივსება, მაღალი სულის ადამიანი ხდება მისი ზრდის მაგალითი.

სამყაროს ენერგიები ღვთაებრივია! მდაბიო ცნობიერება არღვევს და ანგრევს ამ ღვთიურ ენერგიებს. უარყოფითი აზრი ფესვიდან უნდა ამოიგლიჯოს !

დედამიწა კაცობრიობის ევოლუციაა!

სული ჭურჭელია და მისი ხარისხის მატარებელი, ან ნათელია ან ბნელი!

დამოუკიდებლად ხდება სულის ალქიმია!

ადგილის დედა შენებისთვის ჩვენშია. ჩვენ თვითონ ვაართ ის ყველაფერი რაც ჩვენთვისაა საჭირო და ის ძალა რასაც სულის ამაღლება გვაძლევს.

სულს შენება სჭირდება!

საკუთარ თავში ჩაღრმავებით მოიპოვება მაღალი სული.

სული და გული გასაღებია!

სული მეფეა!

სული ხედავს ყველაზე მაღალს და მშვენიერს!

როგორც ერთმა ,

ისე მთელმა კაცობრიობამ უნდა გაანაყოფიეროს სივრცე.

შეცდომა შეუცნობელია, უნებლიე მოქმედება გამოსწორებას ექვემდებარება, განსაცდელი კი მორიგ საცდელში შესვლაა, მორიგი ცდა, ახალი ინკარნაცია, გამოცდილება!

მიიღე გამოცდილება და გამოხვედი,ანუ სულის ამაღლებისთვისაა საჭირო, ზრდისთვის.

სულის სამოსელი უკვდავების გარანტიაა!

''თუ კაცსა ცოდნა არ ააქვს გასთანჯავს წუთისოფელი''

შინაგანი არსი- მე ვარ,რომელიც ვარ! ეს სულიერი ბრძოლის სიღრმისეული შინაარსია.

სულიერი ბრძოლის სიღრმისეული შინაარსი სწორედ აქ დევს!

სული - „მაღალი მეა!"და ეს სრულყოფილი და ამაღლებულია!

პიროვნება - ჩვენი მთლიანობის არსის მინიშნებაა, და სული, რომელიც ეძებს ღვთიურ მდგომარეობას, და სადაც ის მარცხდება, ამაღლება ხდება!

ადამიანმა ყოველთვის უნდა ეცადოს სულის მარცვლის გაღვივებას.

საქართველო სულიწმინდის სამშობლოა!

ცოდნა სულიერი განზომილებაა! რომელიც ადამიანს ეძლევა, ადამიანს კი პასუხისმგებლობა აკისრია, ეს ის ცოდნაა , რომელიც დედამიწის ღერძსაც კი აბრუნებს.

ეს მაღალი დონეა და სიტყვები , რომელსაც ჩვენ ვხმარობთ ლოგოსს შეესაბამება.

ყოველი ჩვენთაგანი სულის განზომილებაშია და ეს სურვილია!

ღვთიური სურვილი!

სულიერი ჰიგიენა მუდმივ პოზიტივშია.ღერძი სულიერების ცოდნის შეხედვაა, ანუ ვეზიაროთ განსაცდელს!

სულიერებას აქვს სხვა მხარე, ეს უკვე ღმერთია!

გაგრძელება იქნება,
15,08,2021წ.

ლია მენაბდიშვილი

კასპის საბადოები

"კასპის საბადოები კასპსა და უფლისციხეს შორის არსებულ ერთ–ერთ ხეობაში მდებარეობს. სავარაუდოდ, საბერძნეთში იასპის ქვის შეტანა ხდებოდა კასპიდან.

კ–სპი–ასპი–ი–ასპი კასპთან არსებულ ჯოჯოს ხევთან, სადაც იასპის საბადოები არსებობს, მტკვრის მეორე მხარეს მდებარეობს სოფელი გრაკალი. გრაალის თასის პირველადი სახელი–გრაცალი და გრაკალი მონათესავეა. ეს ტოპონიმი, სავარაუდოდ, გრაალთან უნდა იყოს დაკავშირებული. ძველ-პროვანსულად გრაალს სწორედ "გრაცალი" ეწოდება.

ესაა იასპის ქვა, რომლისგანაც, გადმოცემით, დამზადებული იყო გრაალის თასი.

გრაალის თასის ისტორია ქრისტეს ჯვარცმას უკავშირდება, რომლის მიხედვით იოსებ არიმათიელმა ჯვარცმული მაცხოვრის გარდამოხსნისას მისი ჭრილობიდან

გადმოდენილი სისხლი იასპის თასში შეაგროვა. ეს სწორედ ის თასია, რომლიდაც საიდუმლო სერობისას მოციქულთა ზიარება მოხდა. გადმოცემით, არიმათიელმა გრაალის თასი დასავლეთში გადაიტანა და იქ ქრისტიანული სკოლა დაარსა.

რელიგიური მოძრაობა, რომელიც გრაალის სახელით არის ცნობილი მე-8 საუკუნეში კაპადოკიაში ჩამოყალიბდა. მისი დამფუძნებელი გახლდათ ტიტურელი, რაც თავისთავად მიუთითებს მნიშვნელოვანი მისტერიული ცენტრის არსებობაზე. რეალურად გრაალის მოძრაობა მე-8-10 ს-ის მოვლენაა. ამის შესახებ წყაროები ჩნდება მე-12 ს-ში.

სავარაუდოდ, ძველპროვანსულმა "გრაცალ"-მა განიცადა ცვლილება, ამოვარდა "ც" და მივიღეთ გრაალი. ქართული სოფელი გრაკალი-გრაცალი. იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე კასპთან დაკავშირებით. "კ"-მ განიცადა ტრანსფორმაცია "ა"ხმოვნის წინ და მივიღეთ "ასპი"-

"იასპი", რაც სრულად შეესაბამება გადმოცემას, რომ გრაალის თასი იასპის ქვისაგან იყო

დამზადებული. ქართლში და კაპადოკიაში გრაალის პირველი სახელწოდება, სავარაუდოდ, იქნებოდა გრაკალი, სადაც "კ" შეიცვალა "ც" ასოთი და მივიღეთ გრაცალი. შემდეგ, ევროპულ ენებში "ც" ამოვარდა და მივიღეთ ტერმინი გრაალი.

ტოპონიმი გრაკალი განიხილა აკ.შანიძემ და მიაჩნია, რომ ეს სიტყვა ძველ ქართული 'გრაკალი"-დან მომდინარეობს. ძველ ქართულში თანამედროვე "რკალი" გამოითქმებოდა როგორც გრაკალი. გრკალი რგოლსაც ნიშნავდა. გრაალის მისტერიის

მთავარი სიმბოლო იასპის თასი კი სწორედ რკალით გამოისახება. ასეთივე რკალით გამოისახება მთვარეც, რომლის სიმბოლოს პირდაპირი კავშირი აქვს გრაალის მისტერიასთან. სიმბოლო(გრაკალი) ამ რეგიონის ტოპონიმს შეესაბამება, სად მოიპოვება იასპის განსაკუთრებული სახეობა.

გრაალის გამოსახულება გვხვდება გელათის ფრესკაზე, სადაც რკალი მაცხოვრის შუბლზეა გამოსახული. გელათის ტაძარი გრაალისადმია მიძღვნილი. არც ის

უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასურელი მამა-თადეოზ სტეფანწმინდელი სწორედ კასპთან, იასპის მოპოვების რეგიონში მოღვაწეობდა".

(წყარო: Zeon Mamber Zedginidze -თან ქებაᲘ და დიდებაᲘ ქართულისა ენისაᲘ.
3 ივნისი, 2012, 10:42-ზე)

ხელოვნება

ალექსანდრე ციხელაშვილი



ნელი კვახაძე

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-39-ებში
და ანთოლოგიის მე-5-10 ტომებში)

**ოპოზიციური მხარისაგან გ. სააკაძის
სალიკვიდაციო გეგმა და მისი განხილვა**

ლუარსაბ II-ს რომელიმე მათგანის ასული სადედოფლოდ რომ შეერჩია და ჯვარი დაეწერა, ეს იქნებოდა უტყუარი დასტური მეფისგან, სააკაძისა და მისი დის სამუდამო უარყოფისა, კიდევ ვიმეორებ, ლუარსაბ მეფისგან დიდებულთა ასულებისადმი დუმილი, იგივე გულგრილობა და მათ მიმართ პროტესტის გამოხატვის ნიშანი იყო, მეორეს მხრივ მეფისაგან დუმილი, სინანული უფრო იყო ცოლის განტევებისა და სააკაძის გაძევების გამო.

ქართველმა ერმა იცოდა, ფიქრობდა და არ დაივიწყებს იმ მოვლენას, რომ 1612 წელს სააკაძე ირანში ჩავიდა, შემდეგ 1615 წელს შაჰმა ლუარსაბ II-ე ირანში ჩაიყვანა, 1615 წლიდან 1622 წლამდის სანამ შაჰი ლუარსაბს სიკვდილით დასჯიდა, მთელი ეს დრო ანუ შვიდი წელი, ირანში მყოფი სააკაძის ხელში არ იყო? თუ რამე ცუდი განაზრახი ჰქონდა ლუარსაბისადმი სააკაძეს, ამ დროს არ გამოიყენებდა? ლუარსაბ II-ე შეთქმულების ორგანიზატორი არ იყო, იგი შეთქმულთაგან ძალდატანებით გადაბირებული მეფე იყო. როცა სააკაძე, თავის პირად მტრებს შერიგების ხელს უწვდის და მის წინაშე ამხელა დანაშაულებს ჰპატიობს?

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ის თავისი სათაყვანებელი მეფის სიმონ I-ის იდეებზე და ზნეობრივ მაგალითებზე იყო აღზრდილი, ყველას მპატიებელი სააკაძე, სიმონ I მეფის სულის წინაშე თავს შეირცხვენდა, და მის უსპეტაკეს შვილიშვილზე ლუარსაბზე აღმართავდა ხელს?

აქაა წარმოჩენილი მეფისა და ნაწილ დიდებულთა სააკაძის მიმართ არა სამართლიანი მოპყრობის მიზანი. რა უგერგილობის აბდაუბდა მოხვეოდათ მათ გონებას, რომ კარგად უნდა ხსომებოდათ იმერეთის კარზე მყოფთ, თუ როგორ ჩაუვარდა შაჰ-აბასს ხელში ლუარსაბ II-ე სარუ ხოჯასა და შადიმანის მეშვეობით და იმ დღიდან ქართლში მისი ვერ დაბრუნების ბედიც გადაწყდა.

შაჰ-აბასმა თეიმურაზ I-ს, ზავის პირობით, ახალი რა შესთავაზა, როცა მარტყოფის გამარჯვების შემდეგ, სააკაძის მოწადინეობით თეიმურაზი უკვე იყო მოწვეული ქართლ-კახეთის მეფედ? შაჰმა ვერ შეისრულა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის სურვილი, მაგრამ ის ყველა ხერხით ცდილობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო არ გაერთიანებულიყო, რომ მას გავლენა არ დაეკარგა აღმოსავლეთ საქართველოზე. ამ მხრივ, შაჰს იმედი შეუქმნეს თეიმურაზ I და დიდებულთა ნაწილმა, მიიღეს შაჰის ზავის პირობა და ეს უკვე იყო მიზეზი სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყოთ.

წიგნის მკითხველისათვის ყოველთვის დამაფიქრებელი იქნება ის მკაცრი რეალობა, რომ ქრისტიანობაშეუცვლელ დიდებულთა ნაწილმა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების მოსურნე სააკაძეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

წიგნის მკითხველისათვის ყოველთვის დამაფიქრებელი იქნება ის რეალობა, რომ ქრისტიანობაშეუცვლელი დიდებულთა ნაწილი, სააკაძეს სამჯერ უწყობს შეთქმულებას.

და ქრისტიანობა შეცვლილი სააკაძე, მტრულად განწყობილ თანამოძმეთა მიმართ ტოლერანტი და მიმტევებელია!

რადგან სააკაძესა და თეიმურაზ მეფეს შორის საერთო ენა ვერაფრით გამოინახა, სააკაძე იძულებული გახდა საქართველოს გაერთიანება სხვა გზით მოეხერხებინა. აქაც ღრმად უნდა დავაკვირდეთ სააკაძის საქციელს. იგი პირდაპირ არ გადადის იმერეთის სამეფოში გიორგი III-სთან მოსალაპარაკებლად, მისი შვილის ალექსანდრეს, ერთიანი საქართველოს მეფის, კანდიდატურის შესათავაზებლად. არამედ ჯერ ქაიხოსრო მუხრან ბატონს ეთათბირება ქართლის გამგებლობა ჩაიბაროს, იგი ბაგრატიონი იყო და სამეფო პოზიცია ჰქონდა სააკაძეს ქაიხოსროსთვის ქართლის მეფობის უფლება რომ ჩაებარებინა, ეს იქნებოდა აღიარება ქართლის სამეფოს პირვანდელი — მდგომარეობისა, რის გამოც საქართველოს გაერთიანების იდეაც და რესურსიც შემცირდებოდა, ამიტომ ქაიხოსრო მუხრან ბატონი-

საგან ქართლში გემგებლობა იყო უკეთესი პოზიცია. ასეთმა ვითარებამ, კახეთის სამეფოდან ქართლის გამოყოფა გამოიწვია, რაც მარტყოფის გამარჯვების შემდეგ, სააკაძის აქტიურობით, ქართლიც თეიმურაზ I-ს (კახეთის მეფე იყო) ჰქონდა ჩაბარებული. აქ უნდა დაისვას შეკითხვა: — რამ განაპირობა ის აუცილებლობა, რომ სააკაძეს ეფიქრა კახეთის სამეფოსაგან ქართლის სამეფოს გამოყოფაზე და ქართლში გამგებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დაენიშნა. რამაც შაჰის ზავის მიღების მომხრე თეიმურაზი გააღიზიანა. ამ მოვლენების სწორი ორიენტაციისათვის უნდა გავიხსენოთ 1626 წელი, შემოდგომის დასაწყისი. ცხინვალის შეკრება, სადაც გამჟღავნდა თეიმურაზ I-ის სააკაძის მიმართ შეთქმულება, სანამ სააკაძე თეიმურაზს დარბაზში ეახლებოდა და მანამ ორჯერ იქნა გაფრთხილებული, რომ მის წინააღმდეგ ისევ შეთქმულება მზადდება და ამის მოსურნე შაჰ-აბასისაგან გადაბირებული თეიმურაზ I-ია, სააკაძემ ეს ინფორმაცია ქაიხოსრო მუხრან-ბატონსა და იესე ქსნის ერისთავს გაანდო, მათ არ დაიჯერეს და გაკვირვება გამოხატეს. (დავაკვირდეთ, სააკაძის წინააღმდეგ უკვე მესამეჯერ იგეგმება შეთქმულება.)

სააკაძე თავის გარემოცვით თეიმურაზ I-ის სიახლოვეს განერიდება და საგონებელში ჩავარდება, ეს უკვე მეტისმეტი იყო. რადგან სააკაძე ორჯერ გააფრთხილეს, მის წინააღმდეგ შეთქმულება გარდაუვალი ჩანს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი ის იყო, რომ მის სიცოცხლეს დამცველები ჰყავს და მისი სიცოცხლის გაფრთხილება ქართველი ხალხის დიდი ნაწილისაგან აუცილებლობას წარმოადგენს, რომ საქართველო გაერთიანდეს და ერთ მთლიან სახელმწიფოდ იქცეს.

(ქართველი მკითხველი გულისტკივილით დაფიქრდება იმის შესახებ, რომ ჯერ იყო და მარტყოფის აჯანყებამდის აღაიანის ველზე, ვითომ იმერეთზე ლაშქრობისათვის, ყორჩიხა-ხანისაგან კახელების თანამონაწილედ გადმოყვანა, სინამდვილეში მათი განადგურება ეწადათ. ეს გეგმა ყორჩიხა-ხანმა და სააკაძემ იცოდნენ. კახელი მეომრები თავიანთ განადგურების ცნობას კონსპირაციულად შეიტყობენ და თავს დაიხსნიან. ამ მოვლენამ, ეჭვი პირდაპირ სააკაძეზე შეაჩერა და სასწრაფოდ გაიგზავნა ფაიქი ირანში, შაჰ-აბასთან, როგორ მოქცეოდნენ სააკაძეს. შაჰმა პირდაპირ ბრძანა, — „მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ქართლი აჰყარეთ.“ საბედნიეროდ, სააკაძის სიფრთხილემ, თავიც გადაირჩინა და წერილის შინაარსი გამოიყენა ქართული ეროვნული სიმტკიცის მობილიზაციისთვის. რამაც მარტყოფის გამარჯვება განაპირობა.)

მიუხედავად ამისა, ახლა თავისი თანამემამულეები სიკვდილის განაჩენს უმზადებდნენ, იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ ჯარებგანადგურებულ შაჰ-აბასს, ძალების მოსაკრებად ზავი სჭირდებოდა, შაჰის ზავის პირობაზე თანხმობა თეიმურაზ I-ს სჭირდებოდა, აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის შესანარჩუნებლად. მათი გეგმების მოწინააღმდეგე და საქართველოს გაერთიანების მოსურნე სააკაძე უნდა განადგურებულიყო.

თავდაპირველად, როცა მარტყოფის ომი გამარჯვებით დამთავრდა, სააკაძეს მეფე თეიმურაზისადმი იმედი და სიმპათია ჰქონდა, რომ ის ქართლ-კახეთის და შემდეგ ერთიანი საქართველოს მეფობას შეძლებდა, მარაბდის ომის მოვლენებში სააკაძე თეიმურაზისადმი უნდობელი გახდა, უფრო უარესი კი ის იყო, რომ სააკაძისაგან ჯარგანადგურებული შაჰ-აბასის ზავის პირობებს დათანხმდა, ამან ისედაც უკვე არსებული უნდობლობა თეიმურაზისადმი უფრო გააღრმავა, და ბოლოს სააკაძემ ხელი აიღო თეიმურაზ I-ის იმედზე უფრო იმის გამო, რომ შეიტყო 1626 წლის შემოდგომის დამდეგს ცხინვალში თეიმურაზ I — სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებს. იმ დროს ეს უნდა ყოფილიყო ძირითადი მიზეზი, სააკაძისაგან ქართლის გამგებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონის დანიშვნისა, რომ ქართლი კახეთის სამეფოსაგან გამოყოფილიყო.

მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება აზრი იმისა, რომ, რადგან ქაიხოსრო მუხრან ბატონი ბაგრატიონი იყო და ის სააკაძემ ქართლის გამგებლად დანიშნა, რატომ არ შეიძლებოდა, თუ მოხდებოდა და აღმოსავლეთ და დასავლეთი საქართველო გაერთიანდებოდა, ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურა ქაიხოსრო ყოფილიყო. იმერეთის მეფემ მშვენივრად იცოდა სააკაძის გეგმები, მარტყოფის აჯანყების შესახებაც და შემდეგ საქართველოს გაერთიანების შესახებაც. ამ მხრივ ის ხელს უწყობდა სააკაძეს, იმდენად თანაუგრძნობდა, რომ მზად იყო თავისი შვილი ხვარამზე სააკაძის შვილს შეერთო ცოლად და თუ სააკაძე ერთიანი საქართველოს მეფის ტახტის დამკავებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონს მიიჩნევდა, იმერეთის მეფე გიორგი, დამაჯერებელია რომ იგიც თანახმა იქნებოდა. (როგორც ჩანს, სააკაძე საქართველოს გაერთიანების გზას თანმიმდევრული სვლებით და ლოგიკით ცდილობდა, იმერეთის მეფის შვილ ალექსანდრეზე როგორც ერთიანი საქართველოს მეფე, ბოლოს შეაჩერა ყურადღება) სააკაძე იფიქრებდა ამ ვითარებაზე, თუ რა მოვლენა რა მიმართულებას მიიღებდა და როგორი შინაარსით შეიმოსებოდა. ქაიხოსრო მუხრან ბატონის უფროსი ძმა თეიმურაზ მუხრან-ბატონი სააკაძის სიძე იყო, (ის მარაბდის ომში დაიღუპა) და ამ მხრივ საქართველოს მოსახლეობაში უხერხული ამბიცია რომ არ გაჩენილიყო, რომ სააკაძე პი-

რად ინტერესებს უფრო წინ აყენებს, ვიდრე ერთიანი საქართველოს ინტერესებსო. მას ქაიხოსროსთან შეთანხმება ექნებოდა ქართლის გამგებლობა დროებით დაეკავა. დავაკვირდეთ, თუ ქაიხოსრო მუხრან-ბატონი ერთიანი საქართველოს მეფე გახდებოდა და იგი სააკაძის სიძის თეიმურაზის ძმაა, ასეთი მდგომარეობა ხომ უკეთესი იქნებოდა სააკაძისთვის, მაგრამ იგი ამას არ ცდილობს, ეს გარემოება მისთვის მესამე, მეოთხე საკითხადაა დაყენებული. მისთვის უმთავრესია ქვეყანა გაერთიანდეს. (ქაიხოსრო მუხრან-ბატონი სააკაძის გეგმებისა და მიზნების მაღიარებელი რომ არის, ეს ჩანს იმაში, რომ იგი სააკაძესთან ერთად იბრძოდა ქსნის ომში, ბაზალეთის მოვლენებში მის გვერდით იდგა და სამწუხაროდ, ვერ გაერთიანდა ქართული ეროვნული რესურსი. სააკაძე იძულებული გახდა ისევ გასცლოდა თავის ქვეყანას და ოსმალეთს მიაშურა, მასთან ერთად იყო ქაიხოსრო, მუხრან ბატონიც, რომელიც სააკაძის მომხრე სხვა ქართველებთან ერთად 1629 წელს ტრაგიკულად აღესრულა.)

სპარსეთში ჩასული და შემდეგ 1615 წელს, ქართლში დაბრუნებული სააკაძე გამუდმებით ფიქრობს საქართველოს მდგომარეობაზე, რომელიც სამ სამეფოდაა დანაწილებული. მას დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა უდიდეს საფუძვლად მიაჩნდა, რომ ქართველმა ერმა არ დაჰკარგოს იმედი და რწმენა საქართველოს გაერთიანების შესახებ. ამის გამოც ფიცი აქვს დადებული მის საფლავთან, მაგრამ შედარებაც უნდა მოვახდინოთ, რომ დავითი ბაგრატიონი იყო და რა წინააღმდეგობაც დაძლია ერთიანი სამეფოს შექმნისთვის წინ ვერაფერი აღუდგებოდა — უწინარესად, წინ უძღოდა მეფური პოზიციების ანუ უფლებების სიმტკიცე. სააკაძე საშუალო აზნაურია, წადილი და სურვილი მეფე დავითს და სააკაძეს ერთნაირი ჰქონდათ, შესაძლებლობანი სხვადასხვა. მეფეს შეეძლო, ქვეყნის გაერთიანების გეგმის მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფი დაესაჯა და ციხის კედლებს ამოეფარებინა. ასეთ ვითარებაში ხომ საქართველოს გაერთიანების მიზანს, მწვანე შუქი აენთებოდა, საშუალო აზნაურს რა ექნა? შაჰ-აბასის 90 ათასიანი არმიებიდან 65-70 ათასი განადგურდა, ეს უმთავრესი გაკეთდა, ისევ ერთსულოვნური თანადგომა რომ ყოფილიყო ქართველებში, შაჰი მათ მიმართ, ზავის პირობას ვეღარ წამოაყენებდა და საქართველოს გაერთიანების საქმესაც ნათელი ფონი შეექმნებოდა.

საქმეც ამაშია, შაჰ-აბასმა იცოდა ყველა ნიუანსი, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ხდებოდა. რომ არა სააკაძე, იმ ხანებში საქართველოს გაერთიანებაზე არავინ ფიქრობდა. რადგან შაჰმა, თავისი ზავის პირობით, ქართველთა ფსიქოლოგია ორად გაყო, ამით სააკაძის საქართველოს გაერთიანების იდეას ოპოზიცია გაუჩინა. როგორც კი ასე განვითარდა მაშინ არსებული მოვლენები, დიდებულთა ნაწილს არასასურველად მიაჩნდა სააკაძისეული საქართველოს გაერთიანების იდეა, მის დამოუკიდებელ მოქმედებებსა და მიზნებს „უფროსობა“ დაარქვეს. (ჩვენ ქვემოთ შევეხებით, რა მოვლენებში იყო სააკაძე თავმდაბალი და რა მოვლენებში გამოჩნდა მისგან ეგრეთწოდებული უფროსობა.)

ქართველმა ხალხმა სააკაძის შესახებ იცოდა ის, რომ იგი საშუალო აზნაური იყო და ამავე დროს თავმდაბალიც.

მართებულია აქვე ისევ მოვიყვანოთ შეფასება სააკაძის შესახებ, „არ ავმაღლდეთ თავმდაბალნი, სიტყვა არ ვთქვათ შეუგვანი“.

დიდ მოურავიანი

ახლა ეს თავმდაბალი სააკაძე გამრიგე გამხდარა ქართლის საქმეებისა და მკითხველს მაშინვე გაახსენდება პოეტ არჩილის ნათქვამი „მოურავი უფროსობდა”, რისი ფაქტიც სახეზე იყო. დადასტურებულია რომ გ. სააკაძის, როგორც საშუალო აზნაურის ინიციატივით, ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი ქაიხოსრო ინიშნება ქართლის გამგებლად.

მეფე არჩილისაგან, სააკაძის მიმართ კი ითქვა „მოურავი უფროსობდაო”, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი შეფასება ბუნდოვან ელფერს იძენს, როცა აღარ განმარტავენ, როდის, რა ვითარებების შემდეგ იკითხება ნაწილ დიდებულთა მიმართ, სააკაძისაგან უფროსობა.

ქართველი ხალხი ვალდებულია ისტორიული სიმართლით ღრმად ჩაუკვირდეს ამ ორი სიტყვის „მოურავი უფროსობდა“ შინაარსს, სადაც ქვეცნობიერად მიგვანიშნებს, რომ დიდებულთა ნაწილი, სააკაძისაგან უფროსობად აღიქვამს იმ მოქმედებას, რა მოქმედება და მოწადინეობა საქართველოს გაერთიანების იდეაში იჯდა და, სააკაძე ამისათვის ხან ფარულად და ხან ღიად იღწვოდა. თეიმურაზ მეფე და დიდებულთა ნაწილი ისედაც იყვნენ უფროსები, თავთავიანთ სათავადოებში, თეიმურაზ I კი ქართლსა და კახეთში, ვინ ეცილებოდათ უფროსობაში? თუ შნო ჰქონდათ, ეუფროსათ შაჰის ჯარების წინააღმდეგ, მტკიცედ და ერთსულოვნად და არა ორჭოფულად. ამოდენა ზარალი მიაყენა შაჰ-აბასმა კახეთს, იგივეს და უარესს უმზადებდა ქართლს, სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ II, გოლგოთის მსგავსი წამებით ამოხადა სული ქეთევან დედოფალს, საქართველოზე მგლოვიარე ქალს, მის შვილიშვილებს ალექსანდრესა და ლევანს, პაატა სააკაძეს, რადგან შაჰ-აბასს ზავი დაჭირდა ძალები რომ მოეკრიბა, ქართველთა მხარესთან, შაჰისაგან წამოსულმა ზავმა, რა მამა აბრამის კრავად აქცია იგი, რომ ასეთი გულმოდგინება გამოიჩინეს ასეთი მტარვალის ზავის პირობაზე?

ვისაც სააკაძის თადარიგები და საომარი გეგმები მისგან უფროსობად მიაჩნდათ, თუ რამე ილაჯი და შნო ჰქონდათ, ეუფროსად თვითონ. რატომ არ არიან სააკაძესავით, მტრის ჯარების ბოლომდის განადგურების მოსურნენი?

თუკი მარაბდის ომის წინარე სათათბირო მოვლენებში უფროსობა თვითონ დაიჩემეს და ამას ომის წაგებაც მოყვა, რატომ არ იუფროსეს ბოლომდის, რომ ბოლომდის განადგურებულიყო საქართველოში შემოსული მტერი?—

გამოეჩინა მეფეს გონივრული ნება, სააკაძის ინიციატივით არ იყო მოწვეული გონიოში მყოფი თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ? (ე.ი უფროსად) ემოქმედათ მაშინ, ხომ აღარ მივიდოდა ბაზალეთამდის საქმე? და, სამწუხაროდ, ამის რესურსი და ილაჯი, ვეღარაფრით გამოიძებნა. რომ მეფე შაჰ-აბასის წინადადებას ისმენდა და სააკაძეს კი შეთქმულებას უმზადებდა. მეფე თეიმურაზ I-ს რაც სააკაძის მიმართ პრეტენზია ჰქონდა, ეს იყო მისგან საქართველოს გაერთიანების მცდელობა. სააკაძემ თეიმურაზ I-ს ორჯერ შეუქმნა ფონი, აღმოსავლეთ საქართველოში მეფობისა, მაგრამ ამ თადარიგებმა, სამწუხაროდ, მიმართულება საქართველოს გაერთიანებისაკენ ვერ მიიღო. ისმება კითხვა, საქართველოს გაერთიანების სურვილი, ნება, მონდომება, მეფის მოვალეობა, პრეროგატივა უფრო იყო თუ აზნაურ სააკაძისა?

როცა იმ დროის მოვლენებში თეიმურაზ I-ის მიზანი იყო ქართლ-კახეთში მეფობა და პარალელურად მორჩილება ირანისა, სააკაძის მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება, რაც ჩვენი ქვეყნისათვის მეფური მოვალეობაა. და ამ მიზნისა და მოვალეობის მქონე „უფროსად“ თუ მონათლავდნენ, ეს არ უნდა გვაკვირვებდეს.

მეფე თეიმურაზი სააკაძის მიმართ პირდაპირ ამბობდა:

„თავს არ გკიდებს საპატრონოდ“

როცა თეიმურაზი I — მეფე იყო, სააკაძე მისი ქვეშევრდომი, ქვეშევრდომის საქმე, საქციელი და მიზანი მეფის დამსახურებაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მეფის და დიდებულების გარეშე, მათზე დაბალი რანგის პიროვნება, მათზე აღმატებულად არ უნდა მოქმედებდეს.

მაშ რა უნდა ექნა სააკაძეს, როცა დავით IV-ე აღმაშენებელის საფლავთან ფიცი ჰქონდა დადებული, რომ მასავით, იგიც შეეცდებოდა, რომ საქართველო ყოფილიყო ერთი მთლიანი სამეფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის. რა ექნა, როცა თავის სამშობლოსათვის სამსახურს ამ მხრივ შესრულებაში უთვლიდა საკუთარ თავს და საამისო პირობას თავის გონებისა და ფიზიკურ შესაძლებლობებში ხედავდა, ბაზალეთში თანამებრძოლებთან დაპირისპირება სწორედ ამის გამოც მოხდა, რომ საქართველოს გაერთიანების მიზანი ითხოვდა ამას.

შაჰ-აბასი ზავს იმ ქვეყნებთან დებდა, რომელ ქვეყნებსაც მეტოქედ აღიქვამდა და მათთან წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო, ასეთი ვითარება შეიქმნა საქართველოსთანაც, იმის გამო, რომ სააკაძე საქართველოში ტრიალებდა და მისგან შაჰის ჯარები დამარცხებას დამარცხებაზე იღებდნენ.

სააკაძის ოპოზიციური მხარე ხედავდა, რომ მისი საომარი წარმატებანი საქართველოს გაერთიანების იდეისკენ მიისწრაფვოდა, რასაც მათი ინტუიციით, თავიანთსავე სათავადოებში უფლებები შეეზღუდებოდათ. ასეთი დროება ურთიერთსაპირისპირო ამინდებს ქმნიდა. თეიმურაზ I-მა, როგორც მეფემ, იცოდა, თავის ქვეყანაში ერთიანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, თვითონ რუსთაველის თაყვანისმცემელს, როგორც პოეტს, მშვენივრად ესმოდა, საქართველოში აღორძინების ეპოქამ რა კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველთა მოდგმას. როცა ერთიანი იყო საქართველო, ერთიანი წარმატებანი ჰქონდა ყველა სფეროში.

ახლა გაერთიანებული საქართველოს ინიციატორი არა ბაგრატიონი, არამედ საშუალო აზნაური გ. სააკაძე გამხდარა? განა თეიმურაზ I-მა არ იცოდა, რა უფრო ღირებული იყო თავის სამშობლოსათვის, ერთიანი ქართული სახელმწიფო, თუ სამ სამეფოდ დაყოფილი საქართველო? მეფემ იცოდა მაშინდელი მსოფლიო კულტურული ცივილიზაცია როგორ მიემართებოდა პროგრესისაკენ და მისი ერთერთი თანამონაწილე თანაფერხულში ჩამდგარი თავისი ქვეყანაც ხომ უნდა ყოფილიყო!

იცოდა მეფემ ყოველივე ეს, მაგრამ ნაწილ ამბიციურ დიდებულთა მხარეს, მასზედ გავლენა მოეხდინა და აღარ იძებნებოდა გზა ქვეყნის ბევრად სასიკეთო საქმის გასაკეთებლად.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ

თათია ბილისეიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
თიბისი ბანკი

რეგიონალური რისკის სოციალურ-პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები, რისკების ფაქტორები

რეგიონალური რისკი - არის რისკი იმისა, რომ რეგიონის ხელისუფლების ორგანოების ქმედებები, მოცემულ რეგიონთან დაკავშირებული მევალეს მირ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაზლებლობაზე მოახდენენ ზემოქმედებას.

რეგიონალური რისკი, სხვადასხვა პოლიტიკური და ეროვნული ფაქტორების, საგადასახადი „კლიმატის", კონკრეტული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, ასევე ადგილობრივი ადმინისტრაციის ქმედებებით არის განპირობებული. ყველაზე მიმზიდველ რეგიონებად ითვლებიან ისინი, რომლებიც შედარებით სოციალურ სტაბილურობას უზრუნველყოფენ, მდიდარ რესურსებს ან კონკურენტუნარიან საწარმოო პოტენციალს ფლობენ. როგორც წესი, რეგიონალური რისკი მართვისათვის ჯერ-ჯერობით როგორც დამოუკიდებელი რისკის სახეობა არ გამოიყოფა, მაგრამ, ჩვენი აზრით, საკრედიტო რისკის შეფასებისას იგი მიზანშწონილია დამოუკიდებელ კატეგორიაში იქნას გამოყოფილი. ამასთან რეგიონალური რისკის ანალიზი უნდა იქნას განხორციელებული არა მარტო თვით მსესხებელის, არამედ მისი ძირითადი კონტრაგენტებისაც, რომელთა საქმიანობა შეიძლება მევალეს ფინანსურ მდგომარეობაზე არსებითად ზემოქმედება მოახდინოს.

➢ სოციალურ-პოლიტიკური მაჩვენებლები:

რეგიონში სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის მახასიათბელი მაჩვენებლებია:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა, მისი ურთიერთქმედება ბიზნეს-სტრუქტურებთან და ზემოქმედება რეგიონის განვითარებაზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობა, რომელიც სხვადასხვა თვითმმარ-თველობის ორგანოების უფლებამოსილებების მიხედვით მუშაობაში ურთიერთქმედებაზე, ურთიერთგაგებაზე და ურთიერთშეთანაწყობაზე პირდაპირაა დამოკიდებული;
- კრიმინალური სიტუაცია რეგიონში;
- დემოგრაფიული სიტუაცია რეგიონში;
- სოციალურ-ეკონომიკური პირობები მისახლეობისათვის;
- რეგიონის პოტენციალი (ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი და შრომითი რესურსები);
- ძირითადი შემოსავალ შეწმნადი დარგების რენტაბელობა რეგიონში;
- რეგიონის საბიუჯეტო პოლიტიკის სტრუქტურა და ეფექტიანობა.

➢ ეკონომიკური მაჩვენებლებია:

მთლიანი რეგიონალური პროდუქტი - მრპ:

მთლიანი რეგიონალური პროდუქტის მაჩვენებელი თავისი ეკონომიკური შინაარსის მი-ხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელთან მიმართებაში მატად ახლოს წარმოადგენს. მაგრამ მათ შორის არსებითი სხვაობაც არსებობს. მთლიანი რეგიონალური პროდუქტების

ჯამიქვეყნის მიხედვით მშპ-თან მიმართებაში თანხვედრი არაა, რამდენადაც იგი სახელმწიფო ორგანოების მიერ მთლიანობაში საზოგადოებისათვის განხორციელებადი არასაბაზრო კოლექტიური მომსახურეობების მიხედვით დამატებულ ღირებულებას არ მოიცავს (თავდაცვა, სახელმწიფო მმართველობა და ა.შ.).

ქვეყნის სუბიექტის ბიუჯეტის მაჩვენებლები:

აღნიშნული მაჩვენებელი რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი - რეგიონის დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების სიდიდის, მათი სტრუქტურის, ბიუჯეტისა და დანარჩენი მაჩვენებლების დეფიციტი/პროფიციტის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

სამრეწველო წარმოების ინდექსი:

აღნიშნული ინდექსი შედარებითი მაჩვენებელია, რომელიც ანალიზირებად პერიოდში წარმოების მასშტაბების ცვლილების მახასიათებელია. ინდექსი წარმოებული პროდუქციის მხოლოდ ფიზიკური მოცულობის ცვლილების შედეგად ღირებულების სამრეწველო წარმოების პროცესში შექმნადი ცვლილების მახასიათებელია. ინდექსის გამოსაანგარიშებლად გამოიყენება მეთოდი, რომელიც ნატურალურ-ნივთობრივ გამოსახულებაში სამრეწველო პროდუქციის, მისი მთლიანობაში შემდგომი გამსხვილებულ დარგებზე და მრეწველობაზე ეტაპობრივი აგრეგაციით, მაჩვენებლების დინამიკაზეა დაფუძნებული.

სამომხმარებლი ფასების ინდექსი:

აღნიშნული ინდექსი მოსახლეობის მიერ არასაწარმოო მოხმარებისათვის შეძენადი საქონელზე და მომსახურებაზეფასებისა და ტარიფების დროში საერთო დონის ცვლილების მახასიათებელია. იგი ზომავს საქონელისა და მომსახურების ფიქსირებული ნაერთის მიმდინარე პერიოდში ღირებულების თანაფარდობას მისი წინა პეროდში ღირებულებასთან მიმართებაში. საქონელისა და მომსახურების ნაერთი თავისთავში 400-ზე მეტ პოზიციას მოიცავს. ფასებზე და ტარიფებზე დაკვირვება - რესპუბლიკის დედაქალაქებში, რეგიონების ცენტრებში, ავტონომიურ ოლქებში, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქებში და შერჩევითად - რაიონულ ცენტრებში, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული მდგომარეობის მიმართებაში მათი წარმომადგენლობითობის გათვალისწინებით, ხორციელდება.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებლების ფასების ინდექსი:

აღნიშნული ინდექსი საქონელზე საბაზო სამრეწველო ორგანიზაციებში ფასების მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშება. მწარმოებლების ფასებზე დაკვირვება 7,5 ათასზე მეტი სამრეწველო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. საშუალო ფასებისა და ფასების ინდექსების გაანგარიშება 800-ზე მეტი საქონელი წარმომადგენლების მიხედვით იწარმოება. მწარმოებლების ფასები თავისთავად სამრეწველო ორგანიზაციების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე რეგისტრაციის მომენტში, შიდა ბაზარზე რეალიზაციისათვის გათვალისწინებულ (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის, აქციზისა და თვითღირებულებაში არ შემავალი სხვა გადასახადების გარეშე), ფაქტიურად ჩამოყალიბებულ ფასებს წარმოადგენენ, საქონელი-წარმომადგენლების მიხედვით გაანგარიშებული მწარმოებლების ფასების ინდექსი შესაბამისი ქვედარგების, დარგებისა და მრეწველობაზე მთლიანობაში თანმიდევრულად აგრეგირდებიან. წონების სახით საბაზისო პერიოდის ღირებულებით გამოსახულებაში წარმოების მიცულობის შესახებ მონაცემები გამოიყენება.

კვების პროდუქტების მინიმალური ნაერთის ღირებულება:

აღნიშნული ღირებულება შრომისაუნარიანი წლოვანების მამაკაცებისათვის კვების პროდუქტების მინიმალური ნაერთის საფუძველზე განისაზღვრება. მაჩვენებელი სამომხმარებლო ფასების დონეების რეგიონთაშორისო დიფერენციაციას გამოხატავს და ქვეყანაში განსაზღვრადი საარსებო მინიმუმის სიდიდის შემადგენელ ელემენტს არ წარმოადგენს, რაც მათი ფორმირებისას მეთოდოლოგიური მიდგომების განსხვავებებით აიხსნება.

დანარჩენი მაჩვენებლებია:

- ინფლაცია;
- სამრეწველო წარმოების, საცალო გაყიდვებისა და სამომხმარებლო დაკრედიტების მოცულობა;
- დანარჩენი სოციალური მაჩვენებლები.

➢ რეგიონის შეფასების ჩატარების ეტაპებია:

- რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი;
- რეგიონის კრედიტუნარიანობისა და საკრედიტო პროდუქტის ხარისხის დამათებითი საექსპერტო შეფასება;
- რეიტინგის განსაზღვრა.

რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი:

რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი რეგიონის ბიუჯეტის შესრულების, ასევე რეგიონის ფინანსური მდგომარეობის მახასიათებელი სხვა ფინანსური მაჩვენებლების მონაცემების საფუძველზე ხორციელდება. ფინანსური მდგომარეობის ანალიზში გათვალისწინებადი ფაქტორების ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმატივებს შეესაბამებიან. გაანგარიშებისატვის გამოიყენება არა კონსოლიდირებული ბალანსის მონაცემები, არამედ ბიუჯეტის საკასო შესრულების მონაცემები წლის (ნახევარი წლის) მიხედვით. ანალიზში გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- რეგიონის საერთო ვალის მოცულობის თანაფარდობა რეგიონის ბიუჯეტის საერთო შემოსავლების მოცულობასთან, ზემდგომი ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების გათვალისწინების გარეშე.

მოცემული ფაქტორი რეგიონის სავალო დატვირთვის მის საკუთარ შემოსავლებთან შესაბამისობის მახასიათებელია. იმ შემთხვევაში, თუ რეგიონის საერთო ვალის თანაფარდობა მის შემოსავლებთან დიდია (70%-ზე მეტია), ვალდებულებების არაშსაბამისად შესრულების ალბათობა მაღლდება.

- რეგიონის ვალის მომსახურებაზე ხარჯების თანაფარდობა რეგოინის ბიუჯეტის საერთო ხარჯებთან.

მოცემული ფაქტორი რეგიონის მიმდინარე ხარჯების სტრუქტურას გვიჩვენებს. რეგიონის მიერ ვალის მომსახურებაზე ყოველწლიურად გახარჯვადი სახსრების მაღალი წილი (10%-ზე მეტი), რეგიონის გადაკრედიტების შესახებ, აქედან გამომდინარე კი მარალი საკრედიტო რისკების შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა,

- რეგიონის ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობა რეგიონის ბიუჯეტის საერთო შემოსავლებთან, ზემდგომი ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების გათვალისწინების გარეშე.

მოცემული ფაქტორი გვიჩვენებს, თუ რეგიონის ხარჯები რამდენად აჭარბებს მისი საკუთარი შემოსავლების ჯამს. დეფიციტის დიდი დონე (10%-ზე მეტი) რეგიონის არაადექვატურად მაღალი ხარჯების შესახებ მიუთითებს, რაც საკრედიტო რისკების დონეს ამაღლებს.

- რეგიონის ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების თანაფარდობა რეგიონის საერთო შემოსავლებთან.

მოცემული ფაქტორი მიმდინარე ხარჯებისა (საერთო ხარჯები კაპიტალურების გათვალისწინების გარეშე) და შემოსავლების თანაფარდობის მახასიათებელია. მიმდინარე ხარჯების საკუთარ შემოსავლებზე გადამეტების შემთხვევაში (95%-ზე მეტად) გადამეტების შემთხვევაში შეიძლება რეგიონის ფინანსების მნიშვნელოვანი დისბალანსის შესახებ დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი.

- რეგიონის სავალო ვალდებულებების მიხედვით ვადაგადაცილებული (არადარეგულირებული) დავალიანების ჯამი.

მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებული ვალდებულებების არსებობა, მათი წარმოქმნის მიზეზებიდან დამოუკიდებლად, რეგიონის საკრედიტო რისკების დონეზე მეტად ნეგატიურად აისახება.

- რეგიონის ბიუჯეტის საკუთარ შემოსავლებში ზემდგომი ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების წილი.

მოცემული ფაქტორი რეგიონის საკუთარი შემოსავალებისა და მათ მიერ უსასყიდლოდ მიღებული დახმარების თანაფარდობის მახასიათებელია. რამდენად მაღალია მოცემული ინდექსის მნიშვნელობა, იმდენად მაღალია შემოსავლების შესაძლო მკვეთრად შემცირებასთან დაკავშირებული რისკი. ნორმატიული მნიშვნელობაა არაუმეტესი 30%.

- იურიდიულ პირებზე საბიუჯეტო კრედიტების წილი რეგიონის ბიუჯეტის საერთო ხარჯებში.

მოცემული ფაქტორი იურიდიულ პირებზე ბიუჯეტიდან მიწოდებული სახსრების მოცულობის მახასიათებელია. კრედიტების მოცულობის ზრდას, იურიდიული პირების დეფლოტის ხარჯზე, ბიუჯეტის მოცულობების დანაკარგების ამაღლებამდე, აქედან გამომდინარე კი, თვით რეგიონის საკრედიტო რისკების გადიდებამდე მივყავართ. ნორმატიული მნიშვნელობაა არაუმეტესი 2,5%.

- რეგიონის მიერ გაცემული სახელმწიფო გარანტიების წილი რეგიონის ბიუჯეტის საერთო ხარჯებში.

მოცემული მაჩვენებელი იურიდიულ პირებზე ბიუჯეტიდან მიწოდებული გარანტიების მოცულობის მახასიათებელია. გარანტიების მოცულობის ზრდას გარანტიების „გახსნის“ ხარჯზე ბიუჯეტის დანაკარგების მოცულობების ამაღლებამდე, აქედან გამომდინატე კი, თვით რეგიონის საკრედიტო რისკების გადიდებამდე მივყავართ. ნორმატიული მნიშვნელობაა არაუმეტესი 2,5%.

- საგადასახადო შემოსავლების მიხედვით ბიუჯეტის შესრულება დასაწყისში დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით.

მოცემული მაჩვენებელი ბიუჯეტის დაგეგმვისა და არსრულების ხარისხის მახასიათებელია. რანდენად ცუდია ბიუჯეტის აღსრულების ხარისხი, იმდენად მეტია რეგიონის საკრედიტი რისკები.

- რეგიონის მოსახლეობის მიერ კომუნალური მომსახურეობის გადახდის თვითღი-რებულების წილი.

მოცემული მაჩვენებელი, ერთი მხრივ, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის, ხოლო მეორე მხრივ - საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის მხარდაჭერაზე რეგიონის ხარჯების მახასიათებელია. რამდენად დაბალია მოსახლეობის მიერ მომსახურების გადახდის დონე, იმდენად მაღალია რეგიონის საკრედიტო რისკი. ნორმატიული მნიშვნელობაა არანაკლები 75%.

➢ რეგიონის ეკონომიკის ანალიზი:

ანალიზში გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

რეგიონში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები:

აღნიშნული შედარებითი მაჩვენებელია, რომელიც მიმდინარე პერიოდში წარმოების მასშტაბების წინა პერიოდთან შედარებით ცვლილებების მახასიათებელია. წარმოების მოცულობების ზრდა რეგიონის ეკონომიკის ზრდის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

- რეგიონში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მოცულობა:

მოცემული ფაქტორი რეგიონში 1 ადამიანზე პერიოდში საცხოვრებელი ბინების მშნებლობის მოცულობის მახასიათებელია. საყოფაცხოვრებო მშენებლობით უფრო განვითარებული რეგიონები უფრო განვითარებული ეკონომიკით და უფრო გადახდისუნარიანი მოსახლეობით ხასიათდებიან.

- რეგიონში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დინამიკა:

მოცემული ფაქტორი რეგიონში ერთ ადამიანზე მიმდინარე პერიოდში საცხოვრებელი ფართის მშენებლობის მოცულობის წინა პერიოდთან შედარებით დინამიკის მახასიათებელია. საყოფაცხოვრებო მშენებლობის უფრო მაღალი ტემპებიანი რეგიონები უფრო განვითარებული და დინამიური ეკონომიკიტ ხასიათდებიან.

- რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპები:

მოცემული ფაქტორი მემცენარეულობისა და მესაქონლეობის სფეროებში შდარებად პერიოდებში წარმოებული პროდუქტების მასის ცვლილებების დინამიკას ასახავს შეპირისპირებად ფასებში. რეგიონში სოფლის მეურნეობის ზრდა ეკონომიკის ზრდის შესახებ ასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

- რეგიონში საცალო ვაჭრობის ბრუნვის ზრდის ტემპები:

მოცემული ფაქტორი რეგიონში მიმდინარე პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით საცალო ვაჭრობის ბრუნვის დინამიკის მახასიათებელია შეპირისპირებად ფასებში. საცალო ვაჭრობის უფრო მაღალი ტემპებიან რეგიონები უფრო განვითარებული და დინამიური ეკონომიკით და გადახდისუნარიანი მოსახლეობით ხასიათდებიან.

- რეგიონში მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობის ზრდის ტემპები:

მოცემული ფაქტორი მოსახლეობის მიერ მოხმარებადი ფასიანი მომსახურებაზე დანახარჯების დინამიკის მახასიათებელია. მომსახურების უფრო მაღალი ტემპებიანი რეგიონები უფრო გადახდისუნარიანი მოსახლეობით, უფრო დიფერენცირებული მოხმარებითა და უფრო განვითარებული ეკონომიკით ხასიათდებიან.

- რეგიომში მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) ერთეულზე ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა:

მოცემული ფაქტორი ძირითადი ფონდების, მთლიანი რეგიონალური პროდუქტის 1 ლარზე გაანგარიშებაში, შექმნაზე და კვლავწარმოებაზე მიმართული დანახარჯების ერთობლიობას ასახავს. ინვესტიციების მაღალი მოცულობა რეგიონის დადებითი საინვესტიციო კლიმატის და ეკონომიკის ზრდის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

- რეგიომში მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) ერთეულზე უცხოური ინვესტიციების მოცულიბა:

მოცემული ფაქტორი უცხოელი ინვესტორების, ასევე ქვეყნის იურიდიული პირების უცხოური ფილიალების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე მოცემული რეგიონის მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) ერთ ლარზე სამეწარმეო საქმიანობის ობიექტებში კაპიტალის დაბანდების მოცულობას ასახავს. ინვესტიციების მარალი მოცულობა რეგიონის დადებითი საინვესტიციო კლიმატის და ეკონომიკის ზრდის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

- რეგიონში მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდის ტემპები:

მოცემული მაჩვენებელი შედარებად პერიოდებში მოსახლეობის ფულადი შემოსავლების შპირისპირებად ფასებში ცვლილების მახასიათებელია. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა რეგიონის ეკონომიკის ზრდის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

- რეგიონში მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპებისა და ფასების ზრდის ტემპების თანაფარდობები:

მოცემული ფაქტორი რეგიონსი მოსახლეობის შემოსავლების ზრდის და სამომხმარებლო ფასების ზრდის შესაბამისობის მახასიათებელია. ფასების წინმსწრებად ზრდა მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირების შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რაც რეგიონის ეკონომიკაზე ნეგატიურად ზემოქმედებს.

- რეგიონში საშუალო ხელფასის სიდიდისა და რეგინში საქონელისა და მომსახურების ნაერთის ღირებულების თანაფარდობები:

მოცემული ფაქტორი რეგიონში მოსახლეობის შრომის ანაზღაურების საშუალო დონისა და სამომხმარებლო ფასების შესაბამისობის მახასიათებელია. ფასების მეთობა მოსახლეობის დალი გადახდიუნარიანობის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რაც რეგიონის ეკონომიკაზე ნეგატიურად ზემოქმედებს.

- რეგიონის ბიუჯეტის ხარჯზე 1 ადამიანზე შრომის ანაზღაურების მიხედვით ვადა-გადაცილებული დავალიანების მოცულობა:

მიცემული ფაქტორი რეგიონის მიერ შრომის ანაზღაურებასთან მიმართებში თავისი ვალდებულებების შესრულების მახასიათებელია. დავალიანების დიდი მოცულობა რეგიონის სუსტი ეკონომიკის მახასიათებელია.

- რეგიონში უმუშევრობის დონე:

უმუშევრობის დიდი მოცულობა რეგიონის სუსტი ეკონომიკის მახასიათებელია.

- რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი ნაზარდი:

რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი ნაზარდი ეკონომიკის სამომავლო პოტენციალზე ზემოქმედებს.

- რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი რეგიონალური პროდუქტი:

მოცემული ფაქტორი მაკონსოლიდირებელს წარმოადგენს და რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხარისხის მაჩვენებელია. რეგიონში მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) დიდი მოცულობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მაღალი განვითარების, მოსახლეობის ხარჯების და ეკონომიკაში ინვესტიციების მახასიათებელის.

- რეგიონის ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხარისხი:

მოცემული ფაქტორი რეგიონის ეკონომიკის დარგებზე (2-ზე ან 3-ზე მეტი) დამოკიდებულობას ასახავს. ერთ დარგზე მაღალ დამოკიდებულებას დარგობრივი დაცემის შემთხვევსი შემოსავლების შემცირების რისკისაკენ მივყავართ.

➢ დამატებითი ეკონომიკური შეფასება:

- რეგიონის საჯარო საკრედიტო ისტორიის არსებობა და ხარისხი:

მოემული ფაქტორი რეგიონის მიერ თავისი ვალდებულებების წარსულში შესრულების გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა. ფაქტორის მნიშვნელობა რეგიონის საჯარო საკრედიტო ისტორიის, ვალდებულებების დაფარვის წყაროების ანალიზის საფუძველზე, ასევე რეგიონის ბაზარზე მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების ლიკვიდობით განისაზღვრება.

- საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების არსებობა და ხარისხი:

მოცემული ფაქტორი საკრედიტო რეიტინგების ხარისხის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მეშვეობით (Standart and Poors, Moodys, Fitch Ratings) შეფასების, რუსეთის ფედერაციის რეიტინგთან (თანამედროვე მომენტში „BB+“ შკალა S and P-ს მიხედვით) შედარებით, შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, თუ საკრედიტო რეიტინგი შკალა S and P-ს მიხედვით „C“-დან - „CC+“-მდე დიაპაზინში იმყოფება, რეგიონალური რისკი უკვე შეიძლება როგორც მაღალი შეფასდეს.

- რეგიონის პოლიტიკური რისკების დონე:

მოცემული ფაქტორი რეგიონის პოლიტიკური რისკების შეფასების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც რეგიონის კრედიტუნარიანობაზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ. ფაქტორის მნიშვნელობა რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება. მაგალითად, არჩევნების მოახლოვება, ხელისუფლების შეცვლის ან პოლიტიკური კონფლიქტების მაღალი ალბათობა, ხელისუფლების ვადაზე ადრე შეცვლა, პოლიტიკური კურსის ცვლილება და ა.შ.

➢ რეგიონალური რისკის ფაქტორები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მუშაობის პრინციპებს სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნიათ;
- ძირითადი სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტები ბიზნესის განვითარებას, ასევე რეგიონში ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევას სრულად ხელს არ უწყობენ;
- პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაში მაღალი ლობბიზმი;
- პოლიტიკრი კონფლიქტების, ხელისუფლების შცვლის, პოლიტიკური კურსის შეცვლის მაღალი ალბათობის არსებობა;
- დამნაშავეობისა და (ან) უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც სახელისუფლებო სტრუქტურებისადმი მოსახლეობის უკმაყოფილების გაზრდისაკენ მიყავართ;
- სასიცოცხლო მინიმუმიზე დაბლი ფულადი შემოსავლიანი მოსახლეობის დიდი წილი ან მოსახლეობის შემოსავლების შემცირება;
- რეგიონში ცუდი დემოგრაფიული სიტუაცია;
- ინფლაციის მაღალი დონე და (ან) ზრდის ტემპი;
- ფასების ზრდის ტემპის მეტობა მოსახლეობის შემოსავლებზე;
- მეურნეობრიობის ცუდი რეგიონალური პირობები, მათ შორის შრომითი და ბუნებრივი რესურსების არასაკმარისობა;
- ეკონომიკაში ჩრდილოვანი სექტორის მაღალი წილი;
- განუვითარებელი ინფრასტრუქტურა (საზღვაო პორტების, აეროპორტების, სარკინიგზო ხაზების, ავტომაგისტრალების, საბაჟო ტერმინალებისა და სასაზღვრო პუნქტების არასაკმარისობა);
- რეგიონის შემოსავლების საერთო სტრუქტურაში რეგიონალური გასასახადების დაბალი წილი (დოტაციური რეგიონი);
- ბაზრის საერთო მოცულობაში ზარალიანი (ან) არარენტაბელური დარგების მაღალი წილი;

- ბანკების საკუთარი სახსრების მთლიანი რეგიონალური პროდუქციისადმი (მრპ) დაბალი წილი;
- ეკონომიკის რეალური სექტორის კრედიტების მთლიანი რეგიონალური პროდუქციისადმი (მრპ) დაბალი წილი;
- საშემნახველო საქმის განვითარების დაბალი ინდექსი (სსგი);
- წარმოების, საცხოვრებელი ბინების, საცალო ვაჭრობის ან ინვესტიციების მოცულობების სემცირება;
- დაბალი საერთაშორისო რეიტინგი;
- რეგიონის არადამაკმაყიფილებელი ეკონომიკური მაჩვენებლები“
  - დაბალი მთლიანი რეგიონალური პროდუქტი მრპ;
  - დაბალი საშუალოადამიანური შემოსავალი;
  - დაბალი საყოფაცხოვრებო მინიმუმი;
  - ბიუჯეტის დეფიციტი ან მისი შესრულების ცუდი ხარისხი;
  - მაღალი სავალო დატვირთვა;
  - ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობა;
  - რეგიონის საერთო შემოსავლებში საკუთარი შემოსავლების დაბალი წილი;
  - რეგიონის ფინანსების და სხვა დანარჩენი მაჩვენებლების დისბალანსი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 ოქტომბრის #100/04 ბრძანება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ;
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ. საბანკო საქმე, თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020.
3. ბურდიაშვილი რ. – ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში. – თბილისი, გამომცემლობა ,,პოლიგრაფისტი”, 2013.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისის #145 ბრძანებაში შეტანილია ცვლილება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 ოქტომბრის #278 ბრძანებით კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის შესახებ.
5. ხანთაძე გ. ცაავა გ. – საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). თბილისი გამომცემლობა ,,დანი”, 2012.
6. www.parliament.ge [გადამოწმებულია - 04.06.2021].
7. www.nbg.gov.ge [გადამოწმებულია - 30.06.2021].
8. www.geostat.ge [გადამოწმებულია - 07.06.2021].
9. www.abg.org.ge [გადამოწმებულია - 30.06.2021].
10. www.imf.org [გადამოწმებულია - 11.06.2021].
11. www.worldbank.org [გადამოწმებულია - 30.06.2021].
12. www.ifc.org [გადამოწმებულია - 12.06.2021].
13. www.gse.ge [გადამოწმებულია - 30.06.2021].
14. http://nbg.ge/uploads/legalacts/payentsysmens/saqartv_unagdo_angarish_wesi_29_06_18.pdf [გადამოწმებულია - 30.06.2021].

დარგობრივი რისკების სოციალურ-პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები, რისკის ფაქტორები

დარგობრივი რისკი – არის დარგის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის შედეგად მეველეს მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დანაკარგების ალბათობა.

დარგობრივი რისკის დონე დარგის სამრეწველო სასიცოცხლო ციკლსა და შიდადარგობრივ კონკურენციასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ამასთან შიდადარგობრივი კინკურენციის დონე, მოცემულ დარგში მომუშავე ორგანიზაციის სხვა დარგების ორგანიზაციებთან მიმართებაში მდგრადობის შესახებ, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს. შიდადარგობრივი კონკურენციის დონის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ფასობრივი და არაფოსობრივი კონკურენციის ხარისხის;

- დარგში ორგანიზაციის შეღწევის სიადვილისა და სიძნელის;
- საქონელი-შემცვლელების ფასის მიხედვით ახლო ან კონკურენტუნარიანების არსებობის ან ნაკლოვანების;
- მყიდველებისა და მიმწოდებლების მყიდველობითი შესაძლებლობის.

ჩამოთვლილი პირობები, რომლებშიც ფუნქციონირებეს დარგი, ზოგჯერ მკვეთრი ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, ამიტომ დარგობრივი რისკები, დაკრედიტების პერიოდის განმავლობაში დარგის განვითარების პერსპექტივებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, მუდმივობის საფუძველზე უნდა იქნას გაანალიზებული,

კომერციული ორგანიზაციისათვის საქმიანობის დომინირებად მიმართულებას, რეალიზებული პროდუქციის (შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების) საერთო მოცულობაში წინა წლის ჯამის მიხედვით ყელაზე დიდი ხვედრითი წონის მქონე საქმიანობის სახეობა წარმოადგენს.

➢ რისკის აღწერილობა და დახასიათება:

დარგობრივი რისკის ანალიზისას საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი ინფორმაცია:

- ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არასასურველი გადაწყვეტილებების პირობებში დარგის საწარმოს სუსტი ადგილი;
- დარგის მიხედვით საწარმო-მეწარმეების ფასების დინამიკა;
- დარგების მიხედვით დასაქმების დინამიკა;
- დარგების მიხედვით პროდუქციისა და აქტივების რენტაბელიბა (საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული, რომ მაღალ მოგებიანობას დარგში ხელს უწყობს - ახალი კონკურენტების წარმოქმნა, დაბალს კი - კომპანიების რიცხოვნობის შეკვეცა);
- დაეგში ტექნოლოგიური ცვლილებები (პროდუქციის ხარისხის გაუნჯობესება/მხარდაჭერა საწარმოო ფონდების სრულყოფის, საწარმოო ფონდების სწრაფი მორალური ცვეთის ხარჯზე);
- წარმოების მასშტაბების ცვლილების მახასიათებელი შეფარდებითი მაჩვენებელი (პროდუქციაზე მითხოვნის გადიდება ან დაცემა);
- დარგში საწარმოო სიმძლავრეების ცვეთის ხარისხი და ნაკლებობა/სიჭარბე;
- მსესხებელის კონკურენტუნარიანობა: კონკურენტების უპირატესობები და ნაკლოვანებები; კონკურენტების რაოდენიბა ბაზარზე; მსესხებელის წილი ბაზარზე; კონკურენტებისა და მსესხებელის პროდუქტებში განსხვავებები; სავაჭრო მარკის მნიჭვნელობა (სავაჭრო მარკა უზრუნველყოფს თუ არა კონკურენტულ უპირატესობებს);
- ბაზარზე „შეღწევის“ ბარიერები (მაგალითად, რამდენად მეტია საჭირო ინვესტიციები ბიზნესის გასახსნელად / საქმიანობის განსახორციელებლად, იმდენად მაღალია „შეღწევის“ ბარიერები);
- ბაზრიდან „გამოსვლის“ ბარიერები (მაგალითად, რამდენად დაბალია საქმიანობის ამა თუ იმ სახეობაზე მოთხოვნა, იმდენად „მაღალია“ ბარიერები);
- გადაორიენტაციის დანახარჯები (დარგის რენტაბელობის შემცირების შემთხვევაში, რამდენად მაღალია მსესხებელის საქმიანობის გადაორიენტაციის დანახარჯებთან და ვადებთან დაკავშირებული წინააღმდეგობები, რომლებშიც მუშაობენ ისინი);

- ბაზარზე მყიდველის/მიმწოდებლის მდგრადობა: მყიდველების კონცენტრაცია მიმწოდებლების კონცენტრაციასთან მიმართებაში და პირიქით (მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებულობა); მყიდველის შესაძლებლობა უკუ ვერტიკალური ინტეგრაციის განხორციელებასთან მიმართებაში (მყიდველების შესაძლებლობა ნედლეულისა და სხვა პროდუქციის წარმოებასთან მიმართებაში, რომლებსაც აწვდის მიმწიდებელი);
- მიმწოდებლების გადაპროფილების დანახარჯები (მიმწოდებლების ერთი დარგიდან მეორეზე ადვილად გადაერთების შესაძლებლობა);
- მყიდველების/მიმწოდებლების უპირატესობები, გადახდისუნარიანობა და საქმიანი რეპუტაცია;
- საქონელი-შემცვლელების არსებობა.

დარგობრივი რისკის (მისი კონცენტრაციის) შემცირებისათვის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისადმი მიკუთვნებადი კლიენტების მომსახურებაა მიზანშეწონილი. ასეთი სახით სეზონურობის რისკის დონე მცირდება, რამდენადაც სხვადასხვა კლიენტების სეზონური მერყეობების ზედა და ქვერა წერტილები, ასევე ინფლაციის, სავალუტო რისკების, ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედებაც ერთმანეთს არ ემთხვევიან.

➢ დარგობრივი რისკის ფაქტორები:

- მაღალი კომკურენცია დარგში;
- მონოპოლიის არსებობა დარგში (იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ წარმოადგენს მონოპოლისტს);
- საქონელი-შემცვლელების (სუბსტიტუტების) დიდი რაოდენობის და (ან) მსესხებელის საქმიანობის მთლიანი პეროოდის განმავლობაში მათი გაყიდვების სწრაფი ზრდის არსებობა;
- დარგის გაყიდვების დაბალი რენტაბელობა’
- პროდუქციის გასაღებითი მოცულობების დაცემა;
- დარგში სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებსაც შეუძლია წარმოებაზე დანახარჯების, მათ შორის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დანახარჯების გადიდებამდე მიგვიყვანოს;
- კომკურენტების დაბალი მყიდველობითი შესაძლებლობა;
- ბაზარზე „შეღწევის“ დაბალი ბარიერები - კლიენტის მცირე სიდიდე, რომელიც ინდუსტრიაში ახალი ბიზნესის დაწყებისათვის არის საჭირო, ან საქმიანობის განხორციელებაზე ნებადასართავი დოკუმენტაციის არსებობისადმი მოთხოვნილებებისარარსებობა; სახელმწიფო პოლიტიკა ახალი კონკურენტების მხარდაჭერაზეა მიმართული;
- ბაზარზე „შეღწევის“ მაღალი ბარიერები, - მაღალი ფასის, მაღალი კომკურენციის, დარგის დაბალი რენტაბელობის და სხვა დანარჩენი ფაქტორების გამო, ბიზნესის პოტენციალური მყიდველების მცირე რაოდენობა;
- დაკრედიტების პერიოდში საქმიანობის განხორციელებაზე ლიცენზირების ან ნებადასართავი დოკუმენტაციის დიდი რაოდენობის მირების არსებობა;
- დარგზე გადიდებული საგადასახადო ტვირთი;
- დარგის განვითარებაზე სახელმწიფო ორგანოების არსებითი ზემოქმედება - უცხოელი მწარმოებლის მხარდაჭერა; საექსპორტო ბაჟების გადიდება; ემბარგო; საქმიანობის განხორციელებაზე და ლიცენზირებაზე სანებართვო დიკუმენტაციის მიღების წესების გამკაცრება; კვოტების არსებობა და ა.შ.;
- მსესხებელის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე დაბალი მოთხოვნა;
- მსესხებელის ფასები მნიშვნელოვნად მეტია კონკურენტების ფასებზე (პროდუქტში არსებითი განსხვავებების არარსებობისას) და (ან) კონკურენტებს დიდი უპირატესობების გააჩნიათ, რომლების შეთავაზება მსესხებელს არ შეუძლია;
- დარგში შრომითი რესურსების უკმარისობა;
- მსესხებელის გადაორიენტირების მაღალი დანახარჯები (ანალიზი ხორციელდება ისეთი დარგობრივი რისკების არსებობისას, როგორიცაა დარგის რენტაბელობის შემცირება, ნებადართვადი დიკუმენტაციის მითების წესების გამკაცრება და ა.შ.);

- დარგში ჭარბი სიმძლავრეების არსებობა, რასაც ფასებისა და მოგების დაცემამდე მივყავართ;
- მყიდველებზე/მიმწოდებლებზე დამოკიდებულობა:

- დარგში მყიდველების/მიმწოდებლების რაოდენობა არასაკმარისია ფირმები-გამყიდველების/შემკვეთების რაოდენობის მიმართებაში;

- მყიდველების/მიმწოდებლების დაბალი დანახარჯები კონტრაგენტის შეცვლისას (მყიდველების / მიმწოდებლების ადგილგანთავსება მიმზიდველია სხვა მონაწილეებისათვის; მყიდველისათვის / მიმწოდებელისათავის ახალი კონტრაგენტის მოძიება საქონელის/მომსახირების განხორციელების იმავე პირობებზე მიწოდებასთან მიმართებაში სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც ეს მსესხებლისათვის შეიძლება იყოს; ერთი მყიდველის/მიმწოდებლის დაკარგვისაგან დანახარჯებმა შეიძლება სხვებით იქნას კომპენსირებული);

- მყიდველს დარგის ჩარჩოებში შეუძლია მიმწოდებლის მიერ წარმოებადი პროდუქციის გამოშცებაზე თვითონაც გადავიდეს;

- მსესხებელი პროდუქციას მყიდველს უფრო ძვირად მიყიდის მყიდველს, ვიდრე კონკურენტები, ან ნედლეულს/საქონელს მიმწოდებლისაგან უფრო ძვირედ შეიძენს, ვიდრე ბაზრის სხვა მონაწილეებისაგან;

- მყიდველი პროდუქტ-შმცვლელზე გადასვლის ალბათობა ძალიან დიდია;

- დაკრედიტების პერიოდში პროდუქციის იმპორტ/ექსპორტზე, წყლის ბიოლოგიური რესურსების და ა.შ. მოპოვებაზე კვოტები განაწილებული არ არის, ასეთი შესაძლებლობის არსებობისას.

➢ მაგალითები:

- ალკოჰოლური დარგი:

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის დარგობრივი რისკები მაღალია, ამასთან ზოგადად დადგენილია, რომ დარგობრივი რისკები მსესხებელის საქმიანობაზე არსებით ზეგავლენას არ ახდენენ:

- რუსეთში მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების გამო ძვირადღირებულ ღვინოებზე მოთხოვნა მცირდება. მოხმარების შემცირების პირველი ტალღა ბოთლზე 700-1000 რუბლზე ზევით ღირებულების ღვინოებს შეეხო. 300-700 რუბლის ფასიან ღვინოებზე სიტუაცია ჯერჯერობით მერყეევია, მაგრამ 300 რუბლზე უფრო დალი ფასიან ღვინოზე მოთხოვნა მკაფიოდ იზრდება. მთლიანობაში, ღვინოს მოხმარება არ მცირდება, იგი ძვირი სეგმენტიდან უფრო დაბალში გადანაწილდა.

- სამშენებლო დარგი:

- მთლიანობაში პროექტის დარგობრივი რისკების დონე კრიტიკულია და დარგობრივი რისკები მსესხებელის საქმიანობაზე არსებით ზეგავლენას ახდენენ. დარგი „გადაკრედიტებული“ აღმოჩნდა, ხოლო საცხოვრებლებლების ბაზარი - „დადახურებული“. ბანკებმა პრაქტიკულად სხვა სუბიექტების საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების დაკრედიტება თითქმის სრულად შეწყვიტეს (თუმცა მათივე უშუალო მონაწილეობა აღნიშნულ სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვანია). შედეგად სამშენებლო პროექტების დაფინანსების მოცულობების მკვეთრად შემცირებას ახალი მოტყუებული მეწილეების წარმოქმნის რეალური საშიშროებისაკენ და სამშენებლო და ცალკეულ მოსაპირკეთებელ მასალებზე და სამშენებლო არმატურაზე მოთხოვნის შემცირებამდე მივყავართ. საზოგადოებაში უძრავ ქონებაზე ფასების შმცირების მოლოდინის ტენდენცია არსებობს. მოცემულ მომენტში მყიდველებმა მომლოდინეების პოზიცია დაიკავეს და ჯერჯერობით უძრავი ქონების შეძენისადმი თავის შეკავების პოზიციას იკავებენ. აღნიშნულმა პოზიციამ სამშენებლო კომპანიებში გაყიდვების დაცემის რეალობა, სამშენებლო ბიზნესში კრიზისის წარმოქმნა, ასევე მოთხოვნის დაცემა და მომიჯნავე დარგებში - სამშენებლო არმატურის, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების და ა.შ. წარმოებების დაცემა განაპირობა. სამშენებლო პროცესების მონაწილე მხარეები - მშენებლები და უძრავი წონების მყიდველები მოლოდინის პოზიციაში არიან, რამაც შეიძლება სამშენებლო დარგის მორიგი კრიზისი გამოიწვიოს.

- შაქრის დარგი:

- მოცემულ სფეროში პროექტის დარგობრივი რისკების დონე ამაღლებულია და სახელმწიფო ორგანოები აღნიშნულ დარგზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ.

ხელოვნება

მარიკა კაპანაძე

ჩემი შემოქმედება




უფალო, იესო ქრისტე
ძო ღვთისაო
შეგინყალე მე ცოდვილი!



ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე

🌺 საზაფხულო სურნელი 🌼

საზაფხულოდ, საამურად მეწვიე,
გულში, კონა ყვავილების ჩამიწენი,
გონებაში ჩამეღვარე ისე, როგორც
ჩაკბეჩვისას მწიფე ატმის ტკბილი წვენი.
ტკბილი, როგორც ყვავილების სურნელია,
ფურცლებზე რომ დასდევთ ამეთვისტოს ფერი,
გამუდმებით შენს სიმღერას რატომ ვმღერი?
გეფინება ამ მიდამოს, შენც ელფერი.
მსურს, ჰაერი გამჭვირვალე თასით შევსვა,
შენ რომ დაგდევს, იმ სურნელით გაჟღენთილი,
გამოვსახე, ამ ფურცელზე ფუნჯს რომ ვუსვამ,
დამემსგავსა, ცვილი ცეცხლით დაღვენთილი.
🌺🌺🌺

🧡 ოქროსთმიანს

ხშირად ვფიქრობ ოქროსთმიან გოგონაზე,
მის კისკისა, ნაზი ხმის გაგონებაზე,
მასთან იყო მშვენიერი აისები,
გვერდით რომ მყავს, სულ სითბოთი ავივსები.
როს სოფელში ჩვენი ხმები ირეოდა,
ნალიაც კი იქ სასახლედ იდგმებოდა,
ან ქალაქად მწუხრის დროს რომ ზღაპრებს ვწერდით,
იმ ადგილებს დღეს ჩავუვლი გრძნობით გვერდით.
ოქროსთმიან, ცისფერთვალა გოგონას,
თუნდაც იყოს უსასრულოდ მოშორებით,
ვჩუქნი ღიმილს და ვუგზავნი მოგონებებს,
ჩემი ნატვრა მის ხმას ისევ გამაგონებს.
❤️💜💜

ქოლგის ქვეშ

წამოწვიმა, შემიფარე ქოლგის ქვეშ.
პატარა ვარ, მის ქვეშ მეც დავეტევი.
ჩქარა, თორემ წვიმა ერთობ ჟუჟუნებს,
მენამება თმა, მაინც ვერ გელევი.
შენი ქოლგა ცის ცრემლებით დაწინწკული,
მე ვერ მფარავს, ალბათ შენ ხარ უფრო დიდი.
რა ვიცოდი, ადგილს თუ ვერ მიპოვნიდი,
დასველებულს გვერდით მშრალი ჩამივლიდი.
ვერ დამიტევს სიახლოვეს შენი ქოლგა,
წვიმიანმა ამინდმა თუ მოინდომა,
ვეღარ შეძლებ უკან ფეხი რომ შემოდგა,
გაზაფხული იყოს, თუნდაც შემოდგომა.

მძიმე ჯაჭვი

°°°°°••••••°°°°°

ცხოვრება მჭიდროდ გადაჯაჭვულა
ადამიანთა მზაკვრული რგოლით,
ცოტას თუ ნახავ კეთილი მიზნით,
ბევრი წინ ილტვის სიავის სრბოლით.
იკარგება და უფერულდება
სიყვარულისთვის განწირულობა,
ყალბი სიმართლე ბევრს უცრუვდება,
ძნელად ვინმესთან იპოვნი შვებას.
სიყვარული და სიკეთე გაწყვეტს
მხურვალე რკინით ნაჭედ მძიმე ჯაჭვს,
მისით დააბამ მხოლოდ ავ მწევარს,
თავისუფლებას ვეღარ შებოჭავს!

სული გამინათლე

სული გამინათლე ღმერთო ზეცად,
ქვეყნად შემეწიე ხელით,
წმინდა ეკლესიის გალობანი,
შენთვის აღვავლინოთ ჟღერით.
ჩემში დაემკვიდრე შენ, უფალო,
გვემა გამიქარვე მარად,
სულიწმინდის მადლი ჩამისახე,
წრფელი სიყვარულის დარად.
კაცთმოყვარე ღმერთო შეგვიწყალე,
მუდამ შენი გზებით გვატარე,
წმინდა ანგელოზი შეგვაწიე,
შენ ხომ ჩვენთვის სისხლი დაღვარე.

მინარით

მასზე ოცნებით მალულად ვცოცხლობ,
უსუნთქვოდ, მასზე ოცნებით ვკვდები,
გულს ვერ უბრძანებ – ეს თეორემა
მე დავამტკიცე და ახლა ვხვდები.
ნუთუ ეს სენი მეც შემეყარა
და უნებლიედ ვხდები სნეული?!
არც სამკურნალოდ ხარობს მინარი,
ვინ არის, ვისთვის ვრჩები ეული?
მინდა ნაყენი შევსვა მინარის,
როგორ გავუძლო მწარე იქნება,
სულისკვეთება ეს უწყინარი,
სანუგეშებლად შეინახება.

ბავშვობის ბაბუაწვერა

იმ დღეს, ნიავმა თან მოიტანა
ჩვენი ბავშვობის ბაბუაწვერა
და მის ფუფმფულა, ფაფუკ უბეში,
ის წერილები ისევ ეწერა.
იმ დროის მოჰყვა მას თან სურნელი,
ბავშვობის ცელქი, უმანკო სული,
ფრინველთა ხმების ლაღი ჟღურტული,
წარსულს უკვე აქვს შორს წაღებული...
იმ დღეს, თითქოს და ეს იყო გუშინ,
წრფელი სიტყვები ისევ ჩამესმა,
ის მოკითხვები, ჩვენი ბავშვობის,
ბაბუაწვერით აქ მომესალმა.
მაშინ, ერთმანეთს იდუმალებით
და საუკუნო განუყრელობით,
ბაბუაწვერით ვეფერებოდით,
ანცი მზერით და სულის შებერვით...
იმ დღეს, ნიავმა თან მოიტანა
ჩვენი ბავშვობის ბაბუაწვერა
და მის ფუფმფულა, ფაფუკ უბეში
ის წერილები ისევ ეწერა.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია მადლობას უხდის ქალაქ რუსთავის 22-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ეკატერინე ცხადაძეს და პედაგოგს, მანანა მამაიაშვილს, ამავე სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლის, ნიკოლოზ მელაძისა და მეორე კლასის მოსწავლის, ბარბარე მელაძის, სრულყოფილ მოსწავლეებად ჩამოყალიბებისათვის. თქვენ, მაღალ მხატვრულ და ხელოვნებისადმი სიყვარულს უნერგავთ მოსწავლეებს.

ნიკოლოზ მელაძე

9 Comments

ბარბარე მელაძე



2 Comments

DIPLOMA

DIPLOMA

დარდეგის სამოსახლოში

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ერთსულოვნება

გვინდა თუ არა, ცის გზას გავყვებით,
ეს, ყველას ასე დაემარათება...
ბედის მორჩლნი როგორც მაყრები,
სული ზეცისკენ მიემართება.
ერთსულოვნების, ჯაჭვის პერანგით,
ჩავყრით მიწაში, სიკეთის მარცვლებს...
ახლა ერთად ვართ, ნდობის მარაგით...
და მერე ცაში გადავინაცვლებთ.
ვინაც ღვთის სანთლის სიწმინდეს იცავს,
და ერთხელ მაინც მღერის არიას...
მე ჩემი დედის, იმ საფლავს ვფიცავ...
ყველა ისინი ჩემი არიან!

მაშინ მოვკდი

მაშინ მოვკვდი, როცა შვილი აღარ მყავდა,
არ მესმოდა, თუნდაც კარგი ეთქვათ.
ღამის ფიქრი მიღმის იქით გადამყადა,
ხმა მესმოდა, შვილი თითქოს ფეთქავს.
დაქანცული ვიძინებდი ცრემლთან ერთად,
სიზმარეთში იქ ვცხოვრობდი ცაში,
ჩემი ცრემლი სალ კლდეებსაც გახეთქავს და
ღამე ვცურავ ცრემლ-მდინარის ზღვაში.
ამიტომაც მტკივა ყველას სატკივარი,
ვიცი სიმწრით რად ბრიალებს ცეცხლი,
მეცოდება ყველა დედა, შვილმკვდარი და...
მათ მაგივრად, ვღვარე ბევრჯერ ცრემლი.
ფეხზე ვდგავარ, შვილის სულის საამებლად,
დავამშვიდო, დავაწყნარო იქით...
დავიბადე, ასე საჯიჯგნ- საწამებლად,
სხვისი დარდიც მტკივა, გულს მიძიძგნის!

დღეს სულობაა

ჩემებო, სულის ზეიმია,
მიწა სამარხებით ავსილა,
უთქვენოდ განა შემიძლია...
თვალი ცრემლებისგან დაცლილა.

ძლიერ ქალს მიძახიან, არა და...
ვარ სუსტი, როგორც ენძელა.
გულღია, არაფერს ვფარავ და..
სიკვდილი სუყველგან მეძებდა.

ხვანში ჩაცელა, ხუთი ძმა,
მშობლები, დედის დაძმები,
ჭალვანში ისმის დათას ხმა,
დედავ, გაიხადე ძაძები!

ოჯახში? ქმარი და თან შვილიც,
მაზლი და მეუღლე, ალალი...
ბევრი მყავს, გარდაცვლილი და...
ვსტირივარ, ჩუმად და დამალვით.

რწმენა მაქვს, ამით კი, კვლავ ვცოცხლობ,
სიკეთით მოგფინეთ, ნათელი...
ლექსებში გაგაცოცხლეთ და...
დაგინთეთ გულში სანთელი!

ბიძა ვახტანგი

ბიძა, ვახტანგი, ასე გეძახდი,
ძმა იყავ ჩემი და მეგობარი,
ტკივილის დროსაც მუდამ თან მახლდი,
ისე მიცავდი, ვით მეომარი..
    დედა მესიზმრა, შენი დაიკო,
    სუფრას შლიდა და ემზადებოდა,
    იქვე ღიმილით იდგა დათა და...
    ბედს გაცხარებით ედავებოდა.
კამათის მიზეზს ვერა ვხვდებოდი,
მაგრამ უთუოდ დაობდა რაცხას ...
ხომ დათა არის დავაკვირდი და..
მიუახლოვდი და... უცებ გაქრა.
    დილით ცისკრისას გამომეღვიძა..
    ასე ავხსენი, ჩემი სიზმარი...
    იქ დახვდებიან, ვახო ბიძას და
    იქ, დახვდებიან, მთელი ხიზანი!

ჩვენ ბავშვივით ერთად ვმასხრობდით

უკვე ცაში ხარ, შენს სხეულს კი მიწა აყრიან,
გელოდებიან, დაძმანი და შენი მშობლები,
თუ გასასვლელთან, შეეფეთო, სულთა მაყრიონს
დათა იქნება ძმაკაცებით და ახლობლებით.
    გზას გაგინათებს, სიბნელეში რომ არ იარო,
    ვიცი უფალი არ შეგხვდება, ცუდი განწყობით...
    შეუფერხებლად, ზვრები მინდა გადაიარო,
    ხან ბიძა იყავ, ხან ბავშვივით, ერთად ვმასხრობდით!

ვახტან შუბითიძე ახალგაზრდობაში



ვახტანგი შუბითიძეს
(ბიძაჩემო).

იმედად მყავდი, ბიძაჩემო და შენც წახვედი,
ცაში გაფრინიდი, სამუდამოდ, ფრთები გაშალე,
ბიძავ კეთილო, ბეწვის ხიდზე, როგორ გახვედი,
უნდა მენახე, შენთან მოსვლა, აღარ მაცალე.

პატარა იყავ, ნაბორალა მეცხრე შვილიდან,
რამდენი სიმწრის მნახველი და... მაიწც ძლიერი,
ამ რწმენით ვიყავ, შენი ფეხი მუდამ ივლიდა,
გულით ალალო, ახლა ცაში გაბედნიერდი.

ცას არ მოიწყენ, იქ, დაგხვდება მთელი არმია,
რომ ჩამოვთვალო, მე იმდენი დათვლა არ ვიცი,
შენი რვა და-ძმა, დიშვლები ბევრი არიან,
მეც, დას მიძახდი და შენს წასვლას ვტირი, განციცდი .

სიკეთის წყაროვ, ხვანის მთების ფესვის ნაყარო,
ციდან დალოცე, შვილები და შვილიშვილები,
ჩემთვის შენ იყავ, დედულეთის მთელი სამყარო,
სხვა გზა აღარც მაქვს, ისევ იმედს მივეშვილები!

შენ წაიკითხავ

იმ დღიდან როცა
    დავფიქრდი, რომ მეც...
უნდა ვიშრომო,
    სხვათა საამოდ,
მერე ნაშრომი გაუყო რომელს,
რომ დამიღამდეს,
    ტკბილი საღო.
ეკლები ვკაფე, ნაზი თითებით,
აღმართებიც კი
    ციცაბო შემხვდა,
რომ არ ვიარე,
    სხვის მითითებით,
ქარი უაზროდ
 კვლავ ამიმხედრდა.

გავჩუმდი, კამათს
    არ ჰქონდა აზრი,
გაავებულ ბრბოს
    სულ გაუყუჩდი,
მე დავრჩი აქეთ
    გულგანაკაწრი,
მაინც ჯობია რომ ვიყო მუნჯი.
მხოლოდ შენ
 გეტყვი უფალო ჩემო,
 მაინც არავის, არ განვიკითხავ,
შენით ვცოცხლობ
და კვლავ რწმენით გჩემობ...
 გულის ტკივილსაც
    შენ წაიკითხავ!



ისევ პოეტებს მივმართავ

ტოტი ვარ, ხმელი წიფელის,
ბედით დამცვივდა კვირტები.
ზოგია ლოყებწითელი,
ზოგი ლამაზი ტიტები.

ფეხი მეც მთებში ავიდგი,
ხვანის, ძირულის ნაპირზე,
გული სავახშმოდ ჩავადგი,
ვბრაზდები ამ წლის აპრილზე.

იანვრის სუსხმა მოტეხა,
ჩემი ბეჟანის სიცოცხლე...
მთებმა განგაში ატეხა,
მას შემდეგ როგორ ვიცოცხლე.

თებრვლმა კი შიგ გულში,
ნალესი დანა ჩამარტყა...
გული არ მღერის ზაფხულში,
სხვა ბევრი რამეც გადამხდა.

როგორ გაუძლოს გუგულმა,
ბედმა ეს რატომ დამმართა...
რომ კვლავ იცოცხლოს ამ გულმა,
ცას დათა უნდა წავართვა.

ისევ პოეტებს მივმართავ,
აკაკის, მუხრანს, ბეჟანის...
ლექსის ნადიმს რომ გამართავთ,
გთხოვთ, დათა გამოიცანით.

თქვენს ლექსებს ის წაიკითხავს,
ცა, სულის სამოსახლოა...
მის საფლვს თუკი იკითხავთ,
ძირულის პირას ახლოა.

ახლა გამოცდებს აბარებს,
რომ გაახაროს ხათუნა...
მას შემდეგ შავებს ატარებს,
ბედმა წაართვა დათუნა.

ვიცი სიცოცხლე გრძელდება,
მარადისობა მად არის,
დათას არ გაუძნელდება,
იპოვნა სულთშესაფარი.

სიზმარში

(მეუღლეს ვახტანგ სხირტლაძეს)

წუხელი სიზმარში ვახო,
დაფუსფუსებდი სახლში.
მე მინდა ერთად გნახოთ,
დათასთან ერთად ხვანში.

იქ, ვნახო, გელა, ლევი,
თამაზი, ბეჟან, მამა.
მერე დიდ მთაზე ზევით,
ღმერთი რომ ყოფდეს სამანს.

სამანის იქით ბედს და ...
სამანის აქეთ ცოცხლებს.
მზე, რომ წვდებოდეს ქედს და...
ვუალერსებდე ხოხბებს.

უფლება მოსილ ბედს კი...
არ მოეხვედროს ტყვია,
აღარ მირტყავდეს კეტს და...
ვსუნთქავდე ხვანის ნიავს.

არ გავიგონო სიკვდილი,
ახალგაზრდების ვახო.
რას დაჭენაობს სირბილით,
თვალით არ დამენახოს.

გავგუდავ, ხელით დავახრჩობ,
არ გამეკაროს ახლოს.
მიმინოსავით მდარაჯობს,
ხელი არავის ახლოს.

არ გაეკაროს ჩემიანს,
ნუ მტანჯავს ცრემლის დენით.
რა ბოროტული ჟინია,
მომიკლა, თან რამდენი.

მტერსაც აცილდეს, ის ელდა,
რაც ჩემს გულს მოხვდა ვახო.
როგორ ისვენებს მანდ დედა,
ბედი რომ ნერგებს ახმობს.

დედაო ღვთისავ დაიცავ,
ანტიქრისტეა კართან,
დედა შავს ნუღარ ჩაიცვავს,
ბედიც ნუ გვირტყავს მათრახს!

დუმს სასაფლაო

სამოთხის ადგილს დავარქმევდი, კარგი გაგებით,
იქ, პანთეონში საქართველოს გული მარხია,
დადიხარ, ხედავ, უკვდავებას, არ იკარგები,
ლოდები არა, დედამიწის დიდი ძარღვია.
სიამაყეა, პატრონობდე, სულთა საუფლოს,
დუმს სასაფლაო ნაძვნარის ქვეშ ლექსს წერს პოეტი,
უნდა მიხვიდე, წუთით მაინც, დრო დაუთმო და...
პოეტის სული ცაში ფრინავს, ვით კაპოეტი.

იუზა რობაქიძე, სულიკო თავბერიძე, მალხაზ ჩხიტუნიძე, ბადრი ქუთათელაძე, ხათუნა ელიაშვილი, მამა ამირან ამირანაშვილი და გულნაზ ხარაიშვილი ჯუმბერ ლეჟავას საფლავთან

ლოცვა შენთვის

ლოცვა შენთვის რას მიქვია,
თვითონ გვლოცავ ანგელოზო...
ის ძირულა, ის, იქვეა,
ბედი უნდა გამოვროზგო.
მორაკრაკე, ჩემო წყარო,
სად გაფრინდი, რას ირკვევო.
შენ არავის შესადარო,
ხვიჩა, ხათოს საძირკველო.
აიკრიფე ზეცავ კალთა,
ვიღა დაგრჩა წასაყვანი...
ანგელოზი არის დათა,
ჩემი შვილი მის მაყარი.
იმდენია ძმებს ვერ დავთვლი,
ლევან, ბეჟან, ბაბუ თამაზ,
ამირანს კი არ მივათვალი,
აქვე ვეძებ, ჩემს ძმას ლამაზს.

დათა

ერთი წელია, დედას ცრემლი დის,
მამა დაგეძებს, ერთი წელია,
ციდან ცოტახნით, მაინც ჩამოდი,
ლოდინით ძალა გამოელიათ.
წასული არ ხარ, შენ ჩემთვის დათა,
ჩემს გულში დარჩი, სამიდღემჩიოდ,
უნდა ვირწმუნო, აქახარ მართლა,
მოლოდინს უნდა გადავეჩვიო.
უნდა მჯეროდეს, სწავლობ თბილიში,
დალაზღანდარობ, ისევ ტოლებში,
სუფრას გამიშლი, სოფლად ივლისში,
ან დასეირნობ, ქუჩის ბოლოში.
დიანას ნორჩ გულს, ისრის ტარება,
შენს ბედს რა უთხრა, რამ შეგაგუა...
ტანჯვის ცეცხლი ხარ და თაკარება,
შენი დაიკო დარდის გოგოა.
ხარ, მოწყვეტილი, გულის ძარღვი
და...
დამატებული დიდი ტკივილი,
წასაკითხავად, ლექსიც არ ღირს და...
შემომეფეთე თბილი ღიმილით.

დათა

აღდომას შენ ხვანში მხვდებოდი,
ახლა კი ცაში ხარ ვარსკვლავო,
ღიმილავ, წინ შემომხვდებოდი,
ეს, ბედი, რას კუკუმალაობს.
შენ აქ, ხარ, ვერ გხედავთ უბრალოდ,
ვარსკვლავად ანთიხარ, ციმციმებ,
ძირულის სიო გსრუს დაღალო,
რომ ვდარდობთ, ამაზე დაგვცინებ.
ვერ ვხვდებით, რომ ღმერთმა
გიშვილა,
არ გვესმის, რომ სული არ კვდება,
ბაბუა მადა გყავს ღიმილავ,
ცას ბევრი ნაცნობიც შეგხვდება!

უკვდავებაში

დაბადების დღეს
გილოცავ დათა,
უსიმღეროთ და
სულ უხმაუროთ,
ამ დღეს მე ახლა,
ცრემლებით ვნათლავ,
ვცდილობ, რომ სიკვდილს,
შევეხმაურო...
ვერ მოერევი
სიკვდილო, დათას,
ეს, მზე ჭაბუკი შენზე დიდია,
მაღლა ზეცაში,
მნათობებს მართავს,
დათა ვარსკვლავზეც ,
დიდზე დიდია.
მერკურზე მაღლა
აჭრილა ცაში,
ხედავ?პლუტონსაც მიუახლოვდა,
შენ როს დაგახვრჩე
სიკვდილო, ზღვაში,
უკვდავებაში დათა გალობდა!

ლამზირა შეყილაძე, დათა შუბითიძე და
გულნაზ ხარაიშვილი

* * *

სიზმარში ვნახე ყმაწვილი
ღიმილიანი მცინარე,
ვარსკვლავებს დასთამაშებდა.
მზის სხივებს სწვავდა მღიმარე,
ვკითხე აქ, როგირ აღმიჩნდი,
რად არ ბრუნდები შინაო.
ღიმილით მითხრა:
უფალმა აქ, მიმიჩინა ბინაო.
უნდა ვილოცო ამათზე,
ვინც ჩემზე ცრემლი ღვარაო,
უფალთან ყოფნა ვარჩიე,
უფალმა შემიყვარაო.
ნელი გიუნაშვილი.

ნელი გიუნაშვილი

ძმაო

ამირან ხარაიშვილი

აღდომას გილოცავ ძამიკო,
ჩემზე პატარა და ძლიერო...
ნახავდი დედას და მამიკოს,
მითხარი თუ ბედნიერობ.
ამირან, ლევანი, ბეჟანი,
თამაზი, იუზა, ვახტანგი,
არავინ იყავით ბეჩავი,
არავინ იყავით ნატანჯი.
დათა და გელა თუ ნახე,
ძირულის ტალღებში გაზრდილნი,
ძმაო, შენებურად შესძახე,
უთხარი, ცრემლით ვარ დაღლილი,
შვილივით გაგზარდე გასწავლე,
ენა და ბაჩიბუჩები,
მივსტირი იმ, ამაგს ნაწვალებს,
და ჩემს ბედს, კვლავ, ვეურჩები.
ზეცში წახვედით, დაწყვილდით...
ვიტირო? ვის ესმის, გოდება,
მადლს ვთესავ, არავის დავწყევლი,
იციცხლონ, მტერიც ნუ მოკვდება!

ამირან ძმაო

(ვლოცავ ბექა ფიფიას, ბიძას სიყვარულის ძეგლი დაუდგ

ვლოცავ სუყველას, სხვა რაღა ვქნა, როგორ მოვიქცე...
როგორ გავუძლო ამ ტკივილებს, ჯვარცმულ ცხოვრებას
ვძალაობ ძმაო და არ მინდა ძირს რომ წავიქცე,
ეს ტკივილები, ყველა ერთად, გულში გროვდება.
ნასერ სხეულებს, ნატყვიარს და ნაგლეჯს სეტყვისაგან,
მევე მკურნალობ, სხვა პატრონი არცა მყოლია.
ზურგი აღარ მაქვს არც ქმარშვილით, აღარც ძმებისგან,
ნატყვიარი ვარ ...ცხოვრებაა, ჩემთვის ომია.
შენ მახარებდი, ნაბოლარავ, მაძლიერებდი...
შვილივით გზრდიდი, მე გასწავლე სიტყვის ტიტინი,
ვერ გაამაყე ძმაო ჩემი ბედნიერებით...
სხვის საიმედოდ, ამირანო, მაინც ვიცინი.
ბედისწერაა, ჩემი მკვლელი, სულის მხუთავი,
„ბექას“ კი მჯერა, გაახარებს ვიცი უფალი,
მან ჩემს ძამიკოს, უსაჩუქრა ძეგლი უკვდავი,
მართლაც ყოფილა, ძმაო შენი, ჭირისუფალი!

გელა სხირტლაძე
ნახატი ალექსანდრე ციხელაშვილისა

მაძლიერებ

ჩურჩულობენ,
ის დღეები რაც წახვედი,
იბადება ისევ კითხვა,
რატომ, რისთვის?
ქარი იყო, ბოროტი
და თან თავხედი,
როგორ მტკივა,
არ მითქვია შვილო, სხვისთვის.
მაძლიერებ,
ყველა ძალას, ვიცი ხარჯავ,
რომ ვიცოცხლო,
რადგან იცი დედის ფასი,
შენა მხედავ,
დედი იცი ჩემი ტანჯვა,
თვით უფალმა,
შემომატა ძალა კაცის.
არ დაუშვებ,
რომ სისუსტით, დავიჩოქო,
ააცდინე, ეს ჯვარცმები
დედებს ღმერთო,
ბედისწერამ, სულ რომ
გული დამიჩეჩქვოს,
მაინც ჩემში მადლის
ცეცხლი უნდა მენთოს!

დამილოცე შვილი

დღეს შენ უნდა დამილოცო შვილი,
ბეჟან, ძმაო, ჩემი გელა ცაში,
ძლიერია, ვაჟკაცი და თბილიც,
ირჩეოდა სილამაზით ხალხში.
პოეტი ხარ, მიუძღვენი ლექსი,
ითამადე, დღევანდელ დღეს მასთან,
მე კი ძმაო, სულ უჩუმრად ვკნესი,
ამ სიჩუმით გული, ლამის გასკდა.

იმდენი ხართ, ალბათ ვეღარ დაგთვლით,
საიმედოდ მხოლოდ რწმენა შემრჩა,
ბედისწერა, ხორცებს, დანით მათლის,
დამიპირებს ალბათ ცოცხალად შეჭამას.
არ მიდარდოთ, ბედისწერას დავღლი,
სიკეთით და მადლის თესვით ბეჟან...
შევაწყვიტავ, სიბოროტის აღვირს,
დაანებებს, ჩუმი ხორცის ჟეჟავას.



ბეჟან ხარაიშვილი

დედის ტკივილო

ცხრა წელიწადი გავიდა დედი,
ჩემი ტკივილი უფალმა იცის,
ეს, რანაირი მქონია ბედი,
ოთხი ძმაც შვილო,
შენთან რომ მიცდის.
ძმისშვილიშვილი
ღიმილა დათა,
მამაშენი და ვინ აღარ გელა,
შენს მონატრებას,
ძარღვები ართავს,
დარდის მდინარე,
ღმუის და ღელავს.
შენა ხარ, დედი
ტკივილის კერა,
შევჩერებივარ,
ცას ღრუბლებიანს,
ცოცხალი რომ ვარ,
თვითონ არ მჯერა,
უშენოდ ყოფნა, ან რა წლებია.
გილოცავ შვილო,
დაბადების დღეს,
პირველს უკლია,
რაღაც წამები ...
ალბათ თამადა
იქმები შენ და...
მე დარდითა ვარ, განაწამები!

თუკი

თუკი გარდაცვლილი აღდგება,
მაშინ ნუ, ზეიმობ სიკვდილო...
მივალ, ყველა ერთად დამხვდება,
ვნახავ, რაც არ უნდა მირბინო.
ვთესავ, სიკეთეს და თან მჯერა,
მშვიდად დავისვენებ ზეცაში,
სამოსს ჭრეჭრულას, შევკერავ,
ჩემი სიცოცხლის კეცვაში.
იას სიფაქიზით შევხედავ,
შემომჭიკჭიკებენ მერცხლებიც...
მტრისიც შემიძლია დახვედრა,
მასაც გულს მალამოდ ვეცხები.
ბოროტს ვაიძულებ, შეჩერდეს,
სიცოცხლე ხანმოკლე ხილია,
თუკი მას არ უნდა, შეჩვენდეს,
აჯობებს, წაიკითხოს ბიბლია.
მე გავცემ თუ კი მაქვს, რად მინდა,
შრომა მომავლისთვის მჭირდება,
ბედო, შენით თუ გაწვიმდა,
სულს ფრენა არ გაუჭირდება.

გახსენება

წავიდა! – მარლენი მჭედლიშვილი!!!

სამშობლოს გულზე კი დატოვა დიდი ნაკვალევი...თქვენს გონში დიდი ცოდნის ლამპარი ენთო, მეცნიერ-გამომგონებელო, ზე ქიმიკოსო...უამრავი მეცნიერილი ნაშრომის ავტორმა ბოლო ნაშრომის დამთავრება ვეღარ მოასწარით... მარლენი მჭედლიშვილმა წითელ დიპლომზე დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტი,დატოვეს უნივერსიტეტში, დღემდე იყო ამავე უნივერსიტეტში პროფესორი, იგი ასზე მეტი საკუთარი ნაშრომის და რამდენიმე გამოგონების ავტორია...ასევე მიწვეული იყო ტუნისისა და ალჟირის უნივერსიტეტებში სადაც ათეულ წელზე მეტი დაჰყო და ჩვეული ენერგიით ზრდიდა უცხოელ სტუდენტებს...სადაც დიდი სიყვარული და მოწონება დაიმსახურა... ,,ქართული კომპიუტერი უწოდეს მას"

წავიდა!_სიკეთისთვის შექმნილი გული. მეზობლე-ბის, ახლობლების, თანამოსაქმეთა სიამაყე. უაღრესად დიდი ადამიანობით გამორჩეული, თავდაბალი, სათნო, კეთილი, მოსიყვარულე, გაჭირვებულთა ქომაგი.

ვინ იცის რამდენ თქვენს გაზრდილ სტუდენტს დასწყვიტეთ გული. მწარედ მოსაგონებელი ხართ ჩემთვის, დიდი ტკივილი დამიტოვეთ ჩემო დიდო მოამაგე,ჩემო დიდო მესაიდუმლე,ჩემი სასიკეთო საქმის თანამოზიარე.

ბატონო მარლენ! ამის გარეშე სიტყვას არ დავიწყებდი, დიდად პატივსაცემო მეზობელო, ახლობელო, განუსხვავებელო ოჯახის წევრებთან,ისევე საგოგმანებლად დარჩებით ჩემს გულში.

დასრულდა ომში დაკარგული მამის სახლი,

მოაწყეთ მცირე კომფორტი და მარადისობაშიც გადადგით ნაბიჯი, გელოდებათ დედა! ომში დაკარგულის ქვრივი,რომელმაც ალალი,პატიოსანი კალთით დაგზარდათ სამი ობოლი და ყველამ შეისისხლხორცეთ დედის ჩვევები...ეს იყო ტრადიციები რომელითაც საოცარად განსხვავებდათ ნებისმიერი ადამიანისგან თვისებებით.

მწარედ მოსასმენი და დასანახი იყო, როდესაც იტყოდით,ხომ დავაფასე დედის ამაგიო და თვალზე სინანულის, მონატრების ცრემლი მოგორავდა.ტკბილად იძინეთ,თქვენი გამზრდელი დედის გვერდით, თქვენი სული იპოვის უცნობ მონატრებულ მამას, რომელსაც დიდი ტკივილით იხსენებდით, ის ხომ სხვის მაგივრად წაიყვანეს ომში...

არ მინდა თქვენთან დამშვიდობება ჩემო ტკივილო და მწარე მოგონებავ. ჩემგან მიდის

ჩემი დედის და მამის ძმა თქვენი სახით,

ადგილს ვერა ვპოულობ, ცრემლი ზღვას უერთდება.ვუსამძიმრებ ოჯახის ყველა წევრს.

მარლენი მჭედლიშვილმა დაამთავრა ყვარლის რაიონის საბუის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე,დიდი სიყვარულით იხსენებდა ამავე სპოლის იმდროინდელ დირექტორს მედეია რობაქიძეს უნიჭიერეს ქიმიკოსს,ჩემს დიდ ქიმიკოსად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი აქვსო.ერთ დდღეს დამიბარა კაბინეტში და მითხრა ყოველ დღე მოხვა ჩემთან სახლში მოსამზადებლად,როდესაც მივიდოდი გამოიტანდა თაფლს კარაქს,სხვადასხვა საჭმელს და მეტყოდა ჯერ დანაყრდები და მერე ვიმეცადინოთო.მან იცოდა რომ მე ქიმია არ მიჭირდა, იცოდა რომ ეკონომიურად გვითირდა და იმიტომ მივყავდი ეჭმიაო.მარლენი მჭედლიშვილის ძალიან

გაუსაძლისი ბავშობა აქვს გამოვლილი,უმამოდ დარჩენილი დედის სინაბარა სამი ობოლი,ბევრჯერ პურიც არა გვქონდაო ერთი წელი ლოგინად ჩავარდა,ამ ამბის მომსწრენი იგონებდნენ სანახავად რომ შევდიოთით წიგნები გულზე ელაგაო,წლის ბოლოს ყველა გამოცდა ვინც მასწავლებელს უსმენდა იმათზე კარგად ჩაბარაო.

მარლენი მჭედლიშვილმა სკოლის დამთავრების წელსვე შეიტანა იმდროინდელ გეპეიში საბუთები.მწარე მოსასმენი იყო როდესაც ამბობდა სამი გამოცდა ხუთზე ჩავაბარე და მეოთხე გამოცდაზე შუა გამოკითხვის დროს გადავვარდი გული გამეპარა შიმშილის გამოო...

ამის გამო გარეთ დავრჩი და მეორე წელს ჩავირიცხეო.მარლენი მჭედლიშვილს თექვსმეტი სახელმძღვანელო აქვს გამოცემული რომელიც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ისწავლება.

ტუნისში და აღჟირსი ყოფნისას გამოსცა ოთხი სახელმძღვანელო და დღემდე ისწავლება ორივე ქვეყნის უნივერსიტეტებში.მხიარულადა ჰყვებოდა და ხმამაღლა ეცინებოდა...მოსკოვში შეგვაგვიანეს და რომ ჩავედი ტუნისში დავრჩი უმუშევარი ჩემზე წინ ჩასული დაასაქმესო,ორი თვის მერე გამოჩნდა გეოგრაფიის ლექცია წასაკიხიო, რა ვქნა უმუშევრობას, შევედიო.მალევე გამოჩნდა ქიმიის ლექცია წასაკითხი და იმავე სტუდენტებთან უნდა ჩამეტარებინა,დიდად განვიცადე როგორ მიიღებდნენ სტუდენტებიო.რამდენიმე დღე რომ ჩავატარა ადგა ერთი სტუდენტი და მეუბნება,პატივცემულო,თქვენ შესანიშნავად ჩაატარეთ გეოგრაფიის ლექცია,ახლა ქიმიის ლექცია არანაკლებ უკეთესია,რა ხდებაო?

მაშინ მოუყე სტუდენტებს გეოგრაგიის ლექცია დაგვიანების გამო მომცეს ისე ქიმიმიკოსი ვარო.თქვენ არა მარტო ქიმიკოსი კომპიუტერი ხართო!..როდესაც საქართველოში ბრუნდებოდა მან წამოიღო გამოცემული სახელმძღვანელოების მხოლოდ თითო ეგზემპლარი.როდესაც გადმოვდიოხით საზღვარზე და შეგვამიწმეს გაკვირდნე არაფერი არ მომქონდა იმათიო,გაუკვირდათო,მე ასე უთხარი რატომ წავიღო აქედან როცა ჩემს ქვეყანაში ყველაფერია...მხოლოდ ოთხი სახელმძღვანელო მომქონდა იქ გამოცემული და ისიც ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამა მთხოვა და ვაჩუქე სახლში აღარა მაქვსო.

მარლენი მჭედლიშვილი იყო კახეთის და თავისი კარ მიდამოს დიდი მოყვარული,ყოველ შაბათ კვირას მოდიოდა თვითონა სხლავდა,აკავებდა და ახვევდა ზურგითა სწამლიდა და იტყოდა დედაჩემის და მამაჩემის მამულს არ გავაპარტახებო...აი ასეთი უბრალო და დიდი ბუნების ადამიანი იყო.ჩვენს სოფელში და გარშემო სოფლებში თუ ვინმე მივიდოდა მასთან უფასოდ ამზადებდა,ოღონდაც ესწავლათ,მისი მომზადებული ინსტიტუტის გარეთ არავინ

დარჩენილა.როგორც პატარა ბავშვს ისე შესსაქმებდი,მისგან ღალატი არ არსებობდა.

დაბადების დღეს გილოცავ ემო!

დილიდანვე წრიალებს სული... მივხვდი, დღეს შენი დაბადების დღეა❤❤❤ ...რა დრო უნდა გავიდეს რომ შენი მონატრების ტკივილი განელდეს?! უფერულია ეს დღეც უშენოდ...დღემდე გვათბობს გულწრფელი სითბო და სიყვარული შენგან გაცემული რომელსაც ყველა შემხვედრს უნაწილებდი...

თამამად დავდივართ შენს ნაკვალევზე!

სხვა იყავი, განსხვავებული ყველასგან!

სინდის ნამუსის ჯვრიან ქუდს ამაყად დაატარებდი სიცოცხლის ბოლო წუთამდე!

გარდაცვალება შენნაირი კაცებისთვის, ნამდვილად არ ნიშნავს სიკვდილს!

ასეთი დიდი დოზით, სიყვარული და პატივისცემაც საძმო სამეგობროს მხრიდან მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!

იქაც აღნიშნავ დაბადების დღეს ალბათ ემო! ჯალაბი ერთად ხართ□ერთ დროს ოთხარაში ყველაზე ძლიერი, მართალი და სანიმუშო ოჯახის წევრები ძალიან ნაადრევად შეხვდით იმიერში ერთმანეთს

აქ შენი პატარა ოჯახი გეფერება, წამოიზარდნენ ბაბი და ნენე, შენი სულის მოფერებაში, შენს მოგონებებზე იზრდებიან!!

დაბადების დღეს გილოცავ ემო!

ჩემო მოუშუშებელო ტკივილო და მონატრებავ❤❤❤

ერთი წელი გავიდა ემო!

არაფერი უთქვია, მომღიმარი წავიდა...
კარი მშვიდად მიხურა, შუა გზაზე წაიქცა...
სადღაც მეხი გავარდა, სიკვდილის ხმა დაირხა
და მურყვამის ქონგური, ჩამოიქცა... დაინგრა...
დედის დიდი იმედი, დედის უბეს გაექცა,
ობლის კვერი ცხვებოდა, მაინც ვეღარ გამოცხვა...
სულ პატარა იყო და პატარები დატოვა...
ვერაფერი მოასწრო შვილები ვერ დამოძღვრა...
ტაძრად იყო უფალთან, უფალს ევედრებოდა,
ქართველობა უყვარდა, ყველას ეფერებოდა...
გული ჰქონდა სამყაროს დაიტევდა ალალად,
აფხაზეთი სტკიოდა, ნაჭრილობევს მალავდა...
მეგობრობა უყვარდა, სულში ედგა ნათელი
სიკეთის გზად ვიდოდა გულიანი ქართველი!
ვეძებ, უკვე რამდენი, მწუხარე დრო გავიდა,
სიყვარულის საგზალი წაიღო და წავიდა!!!!

ეთერ ჭელიძე

ჩემო მარიამ!



ნეტავი რისთვის მოხვედი ან სად მიგეჩქარება პატარა ანგელოზო, ჯერ ფეხზე არ გაგივლია... ქუჩაში მზის სხივებს არ ადევნებიხარ... პატარა გოგო-ბიჭებთან არ გიკეკლუცია... პატარა ძმებთან არ გითამაშია....

ჭრელ-ჭრელი კაბებით არ გაპრანჭულხარ თანატოლების წინაშე, არც ბაგა-ბაღის კარი შეგიღია და არც სკოლის...

უკეთესობის მოლოდინის 12 წელი მიილია...

შენ უკვე დიდი გოგო ხარ! ნეტავ რისთვის ეწამე, ერთი დღე მაინც შეგეგრძნო სამყაროს მრავალფეროვნება... ერთი დღე მაინც გაგეშალა ეს ლამაზი ხელები და შენი ბაგიდან ამოძახილი ვედრებით გეხმო: ,,უფალო მიშველეო“!

ახლა მართლა გიხმო უფალმა, შენ ხომ მისი რჩეული ხარ, სიცოცხლეშივე წამებული ანგელოზი...

დედის და მამის გაუხარელი გოგონა!

მოსეს და ანდრიას ტკივილით მოსაფერებელი დაიკო!

მანანა ბებიას დაუღალავი თავდადებით შენარჩუნებული 12 წლიანი იმედი და ტკივილი...

უძლურები ვართ განგების წინაშე... მშვიდად განისვენე ცათა სასუფეველში

ჩემო თვალებრიალა გატანჯულო გოგო.

ეთერ ჭილაძე

ლამზირა შეყილაძე

ჩემო ზურა

ჩემო ზურა, ჩემო სათნოებით, სიყვარულით, და მრავალი ღირსებებით სავსე დის შვილო, სადაც გაივლიდი მზესავით ანათებდი იმდენი სითბოს მატარებელი იყავი.

ჩემი ალიკას გარდაცვალების შემდეგ შენი იმედი მქონდა, შენ უნდა დაგეტირე და დაგებინავებინე შენი გულმკვდარი დეიდა...

ეს იმედიც თვალსა და ხელსშუა გაქრა. ვფიქრობ და ვერ გამიგია რა იყო ეს? მოულოდნელი მეხის დაცემა? მტკივიხარ ისე როგორც ჩემი ალიკა. მე ორი შვილი გარდამეცვალა და ორ ჯოჯოხეთში ვიწვი. მკლავს ჩემი დის შეკითხვა სად დატოვე ჩემი ზურა? შენი დების, ცოლშვილის გაურკვეველი თვალები და მამაშენის მდგომარეობა მაშინებს. შენ არამხოლოდ ოჯახის არამედ მთელი ნათესავების, მეგობრების და ახლობლების ცხოვრება შეცვალე. მზე ნათელი დაადგეს შენს წმინდა სულს ჩემო ბიჭო...

უსაშველოდ გვენატრები უკვე

ჩამოინგრა შენი სახლის ჭერი
კედლებიდან მწარე ცრემლი ჟონავს
უშენობით კვდება დედაშენი
სიკვდილს უხმობს ჯოჯოხეთში ბორგავს.

უშენობა თავს დაატყდა ცოლ-შვილს
ნაფერებს და ნასათუთარ ოჯახს
შენზე დარდი ყველას წელში მოგვხრის
მამაშენი მოჭრილ მუხას მოჰგავს.

ქარიშხალი ამოვარდა უცებ
გაიტაცა შენი წმინდა სული
შენ წახვედი შეუერთდი ზეცას
ჩვენ შემოგვრჩა დამსხვრეული გული.

ახლა უკვე უშენობა გვაწვიმს
ფიანდაზად, რომ გვიგებდი ხავერდს
როგორუნდა გაუმკლავდეთ აწი
სამი ობლის ტკივილიან თვალებს.

უსაშველოდ გვენატრები უკვე
ვიცით შენი მონატრება მოგვკლავს
სად წახვედი! სად წახვედი ზურა!?
სად გაასწარ ჯოჯოხეთურ ყოფას...

სიცოცხლე მძულს

უმძიმესი სასჯელი მაქვს, რთული,
შიგნიდან მხრავს, ზეზეურად ვხმები.
აღარ მინდა მიფეთქავდეს გული,
სიცოცხლე მძულს და უშენოდ ვკვდები.
წამებაა გათენება დილის,
გარიჟრაჟს რომ უშენობით ვხვდები.
მე, ყოველდღე, გულში საფლავს ვითხრი,
ყოველ ღამით იმ საფლავში ვწვები.
ვეღარ ვუძლებ ამ უაზრო ტანჯვას,
ჩემი გული ტკივილების ტყვეა...
ჩავცქერივარ ცივ საფლავის ხახას,
მინდა გულში დავიხალო ტყვია.
ეს უაზრო თოული და წვიმა,
ურვასა და მწუხარებას მაყრის...
მე ისეთი სატკივარი მტკივა,
ჯოჯოხეთი მოგონილი არის.

ლამზირა შეყილაძე

მილოცვა

მალვინა ჭელიძე

ჩემო უსაყვარლესო დიდო პოეტო... დიდბუნებოვანო... ანკარა წყაროსავით სუფთა და წმინდა თქვენი სული.... მინდა არასოდეს არავინ იმედი არ გაგიცრუეს... სიკეთე ბოროტებით არ დაგიბრუნდეთ... თქვენ სუფთა. და კეთილ.... ადამიანებისადა... უფლის სიყვარულით დაკავებულ გულს უსამართლოდ არავინ მოექცეს. მიყვარხარ და დაიმახსოვრეთ შენი მტერი ქვეყნის მტერია... მოშურნე გეყოლებათ სამწუხაროდ.... იცით რატომ?.... ისინი. შენაირები ვერასოდეს იქნებიან... კეთილი ყოველთვის მტრიანია... ისინი გვაძლიერებენ და ხდიან ჩვენ ცხოვრებას საინტერესოს და გვასწავლიან თუ როგორ უნდა მოვიქცეთ შემდეგში. ამისთვის მადლობელი ვართ. ყველა მტერზე ძლიერი ხართ. და ყველა მოშურნეზე გამარჯვებული.

დედასავით საყვარელო

(გულნაზ ხარაიშვილს)

რამდენ ჭრილობას მაყენებს ცხოვრება,
რამდენჯერ მატკინა მავანმა,
სიცოცხლე არ არის განმეორება,
ჩემი პატრონი თავად ვარ.
გული რომ მატკინეს, როგორ მიმიხვდი,
დაჭრილი გული შორიდან არ ჩანს,
შენ დედასავით დამიხვდი,
სითბო, რა ტკბილად დამრჩა.
შენმა სიტყვებმა, მომაძლიერა,
გული ამინთო მზისებრ,
სიცოცხლე ვიგრძენ წამიერად და...
მითხარი, შვილო, გისმენ.
ო, რა თბილი იყო, ეგ, სიტყვები,
რა საამო და წყნარი,
იმ დღიდან ყველაფერს გიყვები,
აღარ ვარ ცოცხალ-მკვდარი.
ფიქრში გიწოდე, ქალღმერთი,
რადგან გხედავდი დედად...
შენა ხარ, დე, ერთადერთი,
ვისთანაც სიტყვას ვბედავ.

თამრო სვანი-ნიჟარაძე

მალვინა ჭელიძე

დედას ვერ გიწოდებ....

დასავით მზრუნველი და კეთილშობილი...
დიდი მეგობარი ხარ ლილიანა.
შენ ....სულის სამოსელი ხარ,
ღმერთივით ფაქიზი და კეთილი,
სიკეთის სანთლად ანთიხარ,
ანგელოზი ხარ, ვარსკვლავი ....
ცით მოწყვეტილი.
კარგის მთქმელი ხარ და ....
კარგად გამგონე,
არ გიყვარს სიტყვები უაზრო,
გაძარცულ ტოტებს რომ შემოსავ
ფოთლებით,
და ყველა ტკივილს რომ უარყოფ.
ყოველი გათენება გხიბლავს და გახარებს,
ღიმილით...ცისკრის დილას გადარებ,
უფლის მოვლენილო, ჩემო ანგელოზო...
გულით, შენს სატკივარს ატარებ.
მზესავით ასხივებ სითბოს და სინათლეს,
შენი სიკეთე არ ნელდება,
როგორც უჩემობით შენ გაგიჭირდება,
უშენობა....მეც გამიძნელდება.

მე... ემიგრანტი ვარ,
შენს კალთას შეყუჟული,
ასე მოითხოვა დროებამ,
შენ გესმის ჩვენი
დარდის და ტკივილების
რომ არ დავიბადეთ მონებად.....
არ ვიცი ვინ გიწოდო,
ვინა ხარ ...შენ ჩემთვის.....
ერთი უცხოელი ქალი ვარ,
შენ უფლის მოვლენილო ანგელოზო,
გულუხვო....
შენ ჩემო მეგობარო,
შენ ...უფლის საჩუქარი ხარ.
დრო მიდის ....დრო აღარ ბრუნდება,
და ფერი ეცვლება სამყაროს,
თენდება...და მალე ბინდება,
უფალმა მისი გზით გვატაროს....
ეს წლებიც ნელნელა მიდიან,
დავთვალოთ...
ასამდე დავთვალოთ,
იმედით, რწმენით და ნუგეშით....
ვიბრძოლოთ,
დარდებიც...გავთვალოთ.
შენ ჩემით ამაყობ,
ძლიერ შემიყვარე,
შენ ხვითის მოვლენილო ფერიავ,
მე კი ასე ვიტყვი....
ლილი შენაირი...
ქვეყნად არც იმდენად ბევრია.!!!

სარჩევი

ხატმწერები: **ხატია ლარიაშვილი**
მიდგომილი ღვთისმშობელი 2
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები** და **არჩილ სარჯველაძე**
პანორამა 3
ნესტენ გეგენიძე
მამა გაბრიელი 4
გულნაზ ხარაიშვილი
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო (აკროსტიხი) 5
სიკეთის წყარო (მამა ამირან ამირანაშვილს) 6
* * * ნაცრისფერებში, სევდიანი იყო ზაფხული 7
ამირან ამირანაშვილი 8

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

ვაჟა ეგრისელი
ქოლხური ფსალმუნები
(100-ტომეული) 9
პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“ 10

პოეზია

მაყვალა გონაშვილი 13
ეთერ ჭელიძე 14
ჯგუფი ზღვარი
სერგი ლომაძე 15
კახა ბაციკაძე 18
გიორგი ზუხბაია (ზუხბა) 20
ერეკლე საღლიანი 21
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 22
ედუარდ უგულავა 24
იზა შუბითიძე 26
ხათუნა ჩიტაძე 28
მალვინა ჭელიძე 30
არჩილ ჭოველიძე 32
ლია ჯავახიშვილი 34
გერმანე საბანოელი 36
მამუკა ოჩიაური 38
ლია შენგელიძე 40
თეა გურგენიძე 42
ლალი ევლალია პერპერიდი 43
შორენა ჩხიკვიშვილი 44
ირინოლა ფერაძე 46
მინდია ზვიადაური 48
მარიკა კაპანაძე 50
მარინე შანიძე 54
ეკა ნადირაშვილი 56
ქეთი ატენელი 58
ეთერი ზარიძე 60
მაგული კუჭაშვული-კურტანიძე 61
თამარ ნიჟარაძე 62
ლაურა ასისტიშვილი-სარალიძე 64
ლია ძამუკაშვილი 68
მაგდა გოშნიაშვილი 70
იოსებ ტაბიძე 72
ნინო უძილაური 73
ნიკა ჭიკაიძე 74
მადონა კალანდია 76
მარი კუბლაშვილი 78
ნანა ჩარკვიანი 81
ლამზირა შეყილაძე 86
მარი ბერუაშვილი 88
მაია სიჭინავა 90
მანანა სამყურშვილი 92
გერონტი მესხი 98
მზია ელიაძე 100
გიგი თეთრაძე 101
ნიკა ფუხაშვილი 102
მაია კახიძე 104
ანამარია ლილუაშვილი 106
თემურ გოგსაძე 108
ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი 110
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 112

გიორგი სვაკაძე

მაყვალა ხაჩიძე 120
ნიკა ჭიკაიძე 121
ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი 122

არდავიწყება მოლვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 124
მუხრან მაჭავარიანი 126
ბეჟან ხარაიშვილი 128
გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი)ვ 130
გურამ ჭავჭანიძე 132

სვბავშვო განყოფილება

ლელა კობერიძე ჭიაურელი 134

მზიანი აჭარა

ნიაზ მოლქვაძე
უძველეს კოლხთა რკინის სადნობი
სახელოსნო ძვ.წ. XIII-VIII საუკუნეები 139

ხათუნა დოლიძე
ლიფანალი 152
აჭარაში ჩატარებული ღონისძიებები 155
ნოდარ ჩიკვილაძე 159
ნანა მომცელიძე 160
დაუვიწყარი დღე შეკვეთილში 164
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს.. 165

პროზა

გარი ჩაფიძე 166
მაია ფეიქრიშვილი 170
გიორგი კეკელიძე 172
ირმა კეკელიძე 176
მონაზონი: იოანა ონიანი (დარიკო ონაინი) 180
შორენა მამალაშვილი 183
კლარა გელაშვილი 185
გულნაზ ხარაიშვილი 188
მანანა გორგიშვილი 202
მერაბ ზაქარიაძე 204
ელგუჯა სხირტლაძე 211
ბეჟან ხარაიშვილი 214

მოგზაური

ჯუმბერ ლეჟავა 226

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 230

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი
სულიერ ფასეულობათა ანბანი 233

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
ბრალის თეორია 235

კულინარიის გვერდი

ქეთევან ღონღაძე 238

წერილები

ლუარა სორდია 244
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო 248
სოსო სიგუა
კონსტანტინე გამსახურდია 248
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე
სულიერ-უფლებათა დეკლარაცია!..... 251
ლია მენაბდიშვილი
კასპის საბადოები..... 253

ხელოვნება

ალექსანდრე ციხელაშვილი 254
ნელი კვახაძე 256

ისტორია

ნიკო ხერკელაძე
ცრემლში ნალესი ხმალი..... 258

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, თათია ბილისეიშვილი
რეგიონალური რისკის სოციალურ-პოლიტიკური
და
საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები,
რისკების ფაქტორები 262
დარგობრივი რისკების სოციალურ-პოლიტიკური
და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები, რისკის
ფაქტორები 269

ხელოვნება

მარიკა კაპანაძე 272

წორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე 274
ნიკოლოზ მელაძე 276
ბარბარე მელაძე 278

დარდების სამოსახელოში

გულნაზ ხარაიშვილი 280

გახსენება

წავიდა! – მარლენი მჭედლიშვილი!!!..... 290
გულნაზ ხარაიშვილი 289
დაბადების დღეს გილოცავ 291
ერთი წელი გავიდა ემო! 291
ეთერ ჭილაძე
ჩემო მარიამ! 292
ჩემო ზურა 293
ლამზირა შეყილაძე 294

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილი 295
მალვინა ჭელიძე 295

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „წმინდა გიორგი“. გარეკანის მეორე გვერდზე „დედა ღვთისმშობლის ხატი ყმით“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

მათემატიკის განყოფილების რედაქტორები: სოსო ფოჩხუა – პროფესორი და ლალი ქელბა-ქიანი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული აკადემიის ვიცეპრე-ზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ედვარდ უგულავა – პოეტი
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა

საარი